ISSN 0132—599 X

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ენათმეცნიერება

4

1984

ვნათობი

ეროვნული ბიბლიოთეკა

წელიწადი მე-60 № 4 აპრილი, 1984 წ.

შინაარსი

პროზა, პოეზია

მიხეილ ქვლივიძე — ლენინი. ლექსი. 3
ოტია იოსელიანი — შავი და ცისფერი მდინარე. რომანი. გაგრძელება 4
ლია სტურუა — ლექსები 67
მაყვალა გონაშვილი — ლექსები 71
რევაზ მიშველაძე — ორი ნოველა 73
ტაგუ მეგურიშვილი — ლექსები 85
ნოდარ ადეიშვილი — ლექსები 87
ელდარ კერძევაძე — ლექსები 90
გივი გუთხუზი — გაცილება. მოთხრობა 91
კოსტას ვარნალისი — ლექსები. ახალბერძნულიდან თარგმნა იზა ორჯონიკიძემ . . 98
ალბერ კამიუ — მოლალატე. მოთხრობა. ფრანგულიდან თარგმნა გიორგი ეკიზაშვილმა 101

ჩვენი მივლინებით

მირონ ხერგიანი — სადამდე ივლის ქარავანი?.. ნარკვევი. დასასრული . . . 113

კრიტიკა, პუბლიცისტიკა

ელვირა გორიუხინა — ბედნიერი მგზავრობა ჯერ თბილისში, შემდეგ კი ნოვოსიბირსკში 128
დავით კაციტაძე — ვახუშტი ბაგრატიონის ნაკვალევზე 162

მეცნიერება

ვახტანგ გოილაძე — ვიკინგები საქართველოში 165
წათე გაწაში — ეთნონიმ „ლაზი“-ს გაგებისათვის თურქულ ისტორიოგრაფიაში 171

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მთავარი რედაქტორი არჩილ სულაკაური

სარედაქციო კოლეგია:

გრ. აბაშიძე, ი. აბაშიძე, რ. ამაშუკელი (მთ. რედაქტორის მოადგილე), მ. გერძენიშვილი, ალ. გომიაშვილი, გ. დოჩანაშვილი, კ. კალაძე, მ. ლასურია, მ. ლეგანიძე, ე. მაღრაძე, ლ. მრელაშვილი, გ. ნატროშვილი, რ. პატარიძე, ო. პაპკორია (პ/მგ. მდივანი), ჯ. ჩარკვიანი, ნ. ფულეისკირი, ო. ჭილაძე, გ. ხარანაული, რ. ჯაფარიძე, გ. ჯიბლაძე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მიხეილ ქვლივიძე

ლენინი

ჩვენ დავიბადეთ იმ ნათელ ღამით,
როდესაც მიწა შეიძრა წამით,
და როცა ატყდა ბალტიის მხრიდან
გრიგალი —
ქვეყნის ხსნად მოვლენილი.
მაშინ ნევაზე „ავრორა“ იდგა
და ტრიბუნაზე დიდი ლენინი.

ეს იყო ცხრაას ჩვიდმეტი წელი!...
ლენინი იდგა გაწვდილი ხელით.
მან გამარჯვება ხალხებს ახარა,
მან მოაბრუნა მზისკენ გულები,
მას შემდეგ მიწაც ბრუნავს სხვაგვარად —
ლენინის ხელის მიმართულებით!...

Державна ордена Трудового
Червоного Прапора
Республіканська бібліотека
УРСР імені КПРС

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ოტია იოსელიანი

შავი და ცისფერი მდინარე

რომანი

19.

შეტევა ნაშუალამევს, სამის ნახევარზე დაიწყო. დილამდე ვერ დაიცდიდნენ. დღის ნათელი მტერსაც და მოყვარესაც დაანახვებდა ამ ჭაობებიდან აშლილ ჯარისკაცთა უმწეობას. რასაც თვალით ვერ ხედავ, წარმოდგენა ყოველთვის რაღაც საშუალოს გულისხმობს.

დიდი დრო დასჭირდა ამოდენა ოპერაციის დაგეგმვას და მომზადებას. ამ ჭენჭყოში ტყვია-წამლის და ორცხობილის შემოზიდვას; მცირეკალიბრიანი ქვემეხების, დაზგისა და ხელის ტყვიამფრქვევების, ჯავშანგამტანების შემოთრევას და თუნდაც ერთი ოცეულის ავტომატებით შეიარაღებას; იმ შორსმსროლელი, მძიმე არტილერიის ჭაობების პირებამდე განლაგებას, რაც დივიზიას გააჩნდა და წყალშემდგარ ჭენჭყოში ჩასაძირად არ ემეტებოდა. ავიაციის ის ჯგუფი, რომელიც ღამის ოპერაციებისათვის გამოჰყვეს — ორფრთიანი „კუკურუზნიკები“, ახალბედა მფრინავებით იყო დაკომპლექტებული — ღამით თავისიანებისთვისაც ისეთივე საშიში, როგორც მტრისთვის; მაგრამ შეტევა მთელი ორგანიზებულობით თუ იწყება, მოწინააღმდეგე იმაზე მეტს მოელის, ვინემ დაემართება. ის ექვსი მსუბუქი ტანკი, რომელიც დასაღუპავად გაიმეტეს, კაცმა არ იცის აქამდე რა ჯახირით და ჯიკავ-ჯიკავით მოათრიეს. უფრო ჯარისკაცთა გულის გასამაგრებლად და იმედის გასაჩენად იყო განწირული, ვინემ მტრის სანგრების გასათელად, საჯგლეთად და დასარბევად.

ღამეს ღამე არც კი ეთქმოდა. გაზაფხულის ჯანღმა არ ინდომა სავსე მთვარის პირის შებურვა. აზოვის თუ შავი ზღვიდან ნოტიო, მოთბო ქარები მოდენა და შეტევაც რომ არ დაწყებულიყო, სანგრებში გაზაფხული ატირდა; შიგ კაციშვილს აღარ დაედგომებოდა.

ძველი და ახალი სადენებით, მავთულხლართის ნაწყვეტი და ნაგლეჯი მავთულებით მიწაში, სარებზე და ბოძკინტებზე გაკოწიწებულ კავშირგაბმულობის ხაზებზე ერთდროულად გაფრინდა ბრძანება: ცეცხლი! და ზარბაზანი, ქვემეხი, ნაღმსატყორცნი და ტყვიამფრქვევი აბღავლდა, აყეფდა, აზმუვლდა და აკაკანდა. მალე თვით-

---

გაგრძელება. იხ. „მნათობი“, №3.

მფრინავებიც აზუზუნდა და ტანკები ახროტინდა...

საარტილერიო ჭურვები სოფლის სანახებში, ორ მოწინავე ხაზს შორის, ნეიტრალურ ზონაში რომ დაეცა, საკომანდო პუნქტში ბოკერია ყურმილს და რაციას ერთად ეტაკა, ორივე ყურზე მიიკრა და ერთდროულად ჩაჯღავლა:

— წინ გადაწიე ცეცხლი, შე შობელძაღლო!.. წინ, ორასი მეტრი, ორას ორმოცდაათი!.. არ ამომწყვიტო, კაცო! — მერე ყურმილიცა და რაციაც გუჯაბიძეს მიაყარა და უკივლა — შტაბი და ჯანდაბა არ ვიცი... არა ვარ მე აქ!

მენაღმეთა და მეავტომატეთა ოცეულების მეთაურები თითით მოიხმო, ხელებით თავი თავზე მიადებინა და ყურებში ჩაჰკივლა: — ცეცხლი რომ წინ გადაინაცვლებს, გაჰყევით — გზა გაწმინდეთ!

ოცმეთაურები მიწურიდან გაცვივდნენ.

— გოშხეთელიანო! სადაა აკაკი, ეს შობელძაღლი!

— აგერაა, ამხანაგო... აგერაა, ავთანდილ! — საშიშად ატრიალებდა თვალებს ამაღლობელი, დაგეშილი ძაღლი რომ პატრონს თოფს დაუნახავს და აწრიალდება, აწუწკუნდება.

— შენ ფეხს არ მოიცვლი, იცოდე! — უყვირა და ცეცხლჩანთებული თვალები ისევ მიწურში მოატარა.

— არის, ფეხს არ მოვიცვლი! — გამოეპიმა მამუკა და ზედ გადაობა ისე, რომ ხმისთვის არ დაუწევია — ეგერ შარდავს, გოშხეთელიანი, ამხანაგო...

— გაჩუმდი!

— არის!

გოშხეთელიანი შემოსასვლელში რომ შემოლაფუნდა, შარვლის ღილებს იბნევდა.

— შენც გუშინდელი ჯარისკაცი მყავხარ... რა ფსმა აგიტყდა?!

— საქმე მოსტუმრებული ჯობია... — გულგრილად განმარტა მზვერავმა და ბრძანებას დაელოდა.

— შენი ოცეული...

აკაკიმ ხელი ასწია: ყველაფერი რიგზეაო.

— თუ კაცი ხარ, ინასარიძეს შუაში ჩაუდექი, მაგას ასეულს კი არა, ჯერ ორ ბატს არ მიაბარებს კაცი!

— არის... — ჩაიდუდუნა გოშხეთელიანმა, უკან გაბრუნდა. არც ნაბიჯისთვის აუჩქარებია, არც სანგარში ჩამომდგარ წუმპეს დარიდებია და არც ცაზე დანთებულ ცეცხლისთვის აუხედავს, მტერ-მოყვრის ფერადი შუშხუნები, მანათობელი ტყვიები, მთვარის შუქში მოფარფატე „კუკურუზნიკების“ ბომბები და ჭურვების სკდომა რომ არიალებდა.

20.

მტერს პასუხი არ დაუყოვნებია, მაგრამ არც ყველა ჯურის იარაღი აუმუშავებია. უფრო გამოზომილად და ანგარიშიანად, იმის გააზრებით, საარტილერიო-საავიაციო, უშეტევო ღამის ბრძოლაში ბრმად არ ჩაეთრიათ და ყველა საცეცხლე წერტები არ გაეცა.

ამ თვალუწვდენელ ჭაობებიდან უკან დახეულსა და ჩასანგრებულს დიდძალი იარაღი დაუგროვდა, მაგრამ ანგარიში ანგარიშია. ბოკერიას გერმანელის თადარიგიანობაზეც ჰქონდა სათავსო „გამოსარჩენი“. მტერი იმ ძალებით, მის პირისპირ რომ დიდი ხანია დგას, გადამწყვეტ ბრძოლას არ მოელის. არადა, რაიმე მნიშვნელოვანი, ახალი შევსება ან ტექნიკა, არაფერი შეუნიშნავს (მტერს რასაც ძალიან გულდაგულ უმალავ, იმას უფრო ხედავს). და, ამას გარდა ისიც იცის, ამ დამპალ ჭანჭრობებში რა მძიმე იარაღის შემოტანა შეიძლება, მით უმეტეს, ახლა, როცა წყალი შეუდგა.

ის ცოტათი ზედმეტი ფაცაფუცი და ჭენჭყოში ფხაკური იმაზე მეტს არ ნიშნავდა, რაც ჯარს საკვებად და ყოველდღიური შეიარაღებისათვის სჭირდება. აქამდე, ალბათ, ის აოცებდა, რომ ეს არ ხდებოდა და რა ასულდგმულებდა ამ უთავბოლო „რუსებს“.

ახლა ეს „ხმაური“ მტერს ქვეყნის

დაქცევა არ უნდა ეგონოს და ანკესზე არ წამოეგება, სუსტ მოწინააღმდეგეზე ორივე ხელს არ გაისვრის. ამით შავლეგიშვილის პოლკი თუ საარტილერიო დანგრევას ვერ გადაურჩება, მტერზე მეტს მაინც არ დაჰკარგავს. შეტევა ფიცხელი უნდა იქნეს, როგორც ავთანდილმა და, საერთოდ, პოლკის შტაბმა დაგეგმა. თუ მტრის წინა ხაზს მიუახლოვდნენ, მერე გერმანელებმა თვალიც რომ გაახილონ, არტილერია და ავიაცია მაინც არ გამოადგებათ. ჯერჯეროობით ჰურვზე მეტს ფერად შუშხუნებს ხარჯავს, რომ კარგად დაინახოს — „ისეთი“ მართლა არაფერი ხდებოდესო.

შეღამებისთანავე წინა ხაზებში შემოიტანეს მცირეკალიბრიანი ქვემეხები და წინდაწინ გათხრილ სანგარ-ორმოების საფარში ჩაჰყარეს. კარგად გაზეპირებული ტყვიამფრქვევის საცეცხლე წერტები უნდა ჩაექროთ. პირდაპირი დამიზნებით როგორმე იმდენის განადგურება მაინც უნდა მოხერხდეს, ჯარისკაცმა მიწიდან ამოძრომა შეძლოს და შემლხვალ თოვლ-ყინულიან, გადათხრილ და დაგლეჯილ ველზე წინ წაიწიოს, სანამ გერმანელი გონს მოსვლას მოასწრებდეს. მერე კი, რომლის ჩადუმებაც მოხერხდება, იმ ხაზზე უნდა გადაინაცვლონ. ომი მაინც ალალბედია, თუ გაგიმართლა, შეიძლება ისეთ ადგილას მოარტყა, მთელი შეტევის ბედი გადაწყვიტოს. არის ზოგჯერ, მთლად დაანგრიე გგონია მტრის მოწინავე პოზიციები. მიუახლოვდები და კოკისპირულ ცეცხლს დაგანთხევს, გეგონება თავზე კენჭი არ დასცემიაო. ისეც ხდება, სულ ცარიელი გხვდება თბილი სანგრები, მეთაურთა მიწურებში ღუმელიც კი ანთია.

ძველი ჯარისკაცისთვის ომში არაფერია მოულოდნელი, მაგრამ მაინც ყველაფერი გაუგებარია, თვით შენ ცხვირწინ ჩასანგრებული მტრის გულშიც რომ იჯდე, თვითონ მანაც არ იცის, მის უკან, ვისი ბრმა იარაღიცაა, მის გულში რა დევს, ან საერთოდ არ დევს, რაკი ისიც ბრძოლის მდგომარეობით და თავისი ადამიანური სიბრძნითა თუ სისულელით მოქმედებს...

ამაზე წინასწარ თავის მტვრევაც კი არ ღირდა, ან საერთოდ ღირდა?

უბედურება ის იყო, ამ სამკვდროსასიცოცხლო ოპერაციის გამარჯვების შემთხვევაშიც წინასწარ არავითარ სიხარულს არ გრძნობდა. ალბათ, მარცხის შიში იყო, რომ ასე მომართული ჰყავდა; რომ ვარიას დამლტობი ცრემლები ერთხელ კიდევ დადენოდა და უკვე გაქვავებული გული გაეთბო. ახლა აღარც დედის იმედი ჰქონდა, არც მშობელი ქვეყნის. ისინი იმდენად დაშორდნენ, ფიქრითაც ვეღარ სწვდებოდა. საოცარი მარტო ის კი არ იყო, ავთანდილი ამ ბოლო დროს ერთადერთ ქალზე რომ ფიქრობდა. შეუყვარდა იმისთვის, რასაც ვერასოდეს წარმოიდგენდა. ვერ წარმოედგინა ქალი სილამაზის, ღიმილის, სიცოცხლის ხალისის გარეშე და ეს გოგო არც გარეგნობით ბრწყინავდა (როგორც მისი დაია), რწმენა დაკარგული ჰქონდა, რაკი თავისი ოჯახის მომავალს კარგად ხედავდა, ავთანდილის არც ერთ ენამოსწრებულობაზე კრიჭა არ გახსნია, ალტობდა, ახრჩობდა ცრემლით და თავგაწწირული, შეუპოვარი ვნებით. საკუჭნაოს თეთრეულის გროვაში ერთად გათეული ყოველი ღამე უკანასკნელ დატირებას და ბოლო ვნებათა ღელვას ჰგავდა.

...და არ დარჩა ეს ქალი იმ საკუჭნაოსა და თეთრეულში. არც ჰოსპიტალში და არც იმ დაფაიცრებულ რკინიგზის ჯიხურში, სადაც ასე ცრემლიანი ვნებისგან უკანასკნელად იწურებოდა... და დაჰყვება თან, თავისი სხვადასხვა ფერის თვალებით შემოსციცინებს დალუმპული ხორბლისფერი წამწამებიდან. ახლაც, როცა ირგვლივ მეხთა ტეხვაა, ცხელი ტალღები მიწურშიც ვარდება, არყევს და თავზე ქვეყანას აქცევს, ავთანდილს ომისგან თიშავს და თავისკენ ახედებს.

— ამხანაგო... ავთო! პოლკის მეთა-

ური... — ყურმილს თვალებთან უტრიალებს მამუკა. მეკავშირემ რომ ვერაფერი გააგონა და ვერც ვერაფერი გაუბედა ბატალიონის „ცოფიან“ მეთაურს, გმირი ადიუტანტი მოიშველია და აპარატი აქეთ მოაჩოჩა.

— რას შვრებით!.. ამის!.. — იგინებოდა გაცოფებული შავლეგიშვილი ყურმილში, — რატომ ხმას არ იღებ?!.

— ვაცალოთ... ეგონოთ...

— რა ეგონოთ, მაგათი...

— ეგონოთ ეს საარტილერიო და საჰაეროა... გათენებამდე დიდი დროა...

— რა ეგონებათ, მაგი ვინ იცის.

— რამდენი „რა ეგონებათ“ უკეთესია. რამდენად არაფერს ემგვანება ჩვენი მოქმედება, იმდენი... — ყურმილში შიშინიც კი ერთბაშად ჩაწყდა. მეთაურმა ყურმილი ჩაჩოქილ მეკავშირეს — თვალებდაყვლეპილ ბიჭს ესროლა. ბიჭმა დაიჭირა და ყურზე მიისრისა. მაშინვე თავი უმწეოდ გადააქნია... წელში მოხრილი, მობუნძღული წამოიწია.

— ამხანაგო მეთაურო, დაგლიჯეს...

ბოკერიამ ხელი ჩაიქნია, არც გუჯაბიძე გახსენებია, იმ წუთს გარედან შემოჭრილ, ცაზე გაკიდებულ, ძლიერი შუშხუნების მოძრავ შუქზე მამუკას მოგეზებულ საშიშ მზერას წააწყდა.

...ვარია ხომ არ ჰგავდა თეკლას? ავთანდილის ზერელე, ქალთმოყვარე, პეპელასავით ხალისიან, მოფარფატე გრძნობას თეკლამ ხომ არ გაუჩინა ერთგულებისა და სევდის მარადიულობის გამძლე გრძნობა? ავთანდილს ხომ არ შეუყვარდა იმ გოგოს გრძნობა ამ ბიჭისადმი, ან ამ ბიჭისა, როცა ის მამუკა იყო?

ან თეკლა ხომ არ შეუყვარდა ვარიაში? ან ომმა ხომ არ მოკლა ქალში ხალისი, ღიმილი, პეპელა და გახადა იმად, რისთვისაც ახლა იგი უნდა გიყვარდეს? და როგორც ომამდე ავთანდილი ზედაც არ შეხედავდა თვალ და გულატირებულ მანდილოსნებს, ახლაც უდარდელად მოკისკისე და მოხორხოცე დიაცებს თვალს ხომ არ აარიდებს? ომი და გაჭირვება იქნებ სიბრძნეცაა? იქნებ იმ ქადაგიძის გატაჯული გოგოს, თავი რომ პარტახად მიაჩნდა, ჰქონდა ის, რითაც შეეძლო ავთანდილისთანები გაემდიდრებინა და ახლა მამუკა იმისთვის არ ემეტება დასაღუპავად, რომ იმ გოგოს განძს უნახავს? უყვარს თეკლა და უნდა გადაურჩინოს ის, რითაც ის მდიდარია. იმიტომ ხომ არ უფიქრია, ომს რომ საშველი დაადგეს, იქნებ მოსკოვში და ლენინგრადში სამკურნალოდ წავიყვანოო. იქნებ უსაშველოც არ სჭირს, ახლა, აგერ, ავთანდილის ბრძანებას ძაღლივით ჰყავს დაბმული და თვალები გარეთ, ცეცხლში და ტყვიაში „სანადიროდ“ გაურბის... ეს უბედური, ამნაირი რომ იმ გოგოს დაუბრუნდეს, ხომ დაღუპვაზე უარესია, მაგრამ უამისოდაც რომ დაღუპულია!..

რა კარგია, რომ უამისოდ დაღუპულია...

ავთანდილი ახლა ცეცხლში უნდა შევიდეს, სადაც გადარჩენის შანსი არაა. თუ დაიჯერებს, რომ თავისი დაღუპვით ვარიაც დაღუპულია — ეს სიცოცხლეს არ უდრის? რას ემგვანება ის სიკვდილი, რომელიც აღარავის ემახსოვრება, ან ემახსოვრება, როგორც მოგონება სხვა სიცოცხლეზე და, სიყვარულზე გაცვლის?..

არაა ეს ეგოიზმი. უამისოდ არც სიცოცხლე ვარგა. ეს არის ის, რისთვისაც უნდა იცოცხლო და რისთვისაც უნდა მოკვდე.

— ქაღალდი [illegible]ომეცი.

— ქაღალდ[illegible] მოგეცი... — ისე უპასუხა მამუკამ, ჯიბისკენ ხელი არ წაუღია; ამ ქვეყნის დაქცევაში მას კი არა, ვის შეეძლო იმის გაგება, რაც ბოკერიას ეწადა.

— საწერი ქაღალდი და ფანქარი მომეცი! — ეს კი ახლა მამუკას შეეძლო გაეგო, სხვას — არა.

„ძვირფასო ვარია!

კარგად ვარ, შენზე ვფიქრობ, მხო-

ლოდ შენზე... სხვაზე არავიზე და არაფერზე... შენს სიყვარულზე, შენს თვალებზე, შენს ცრემლებზე... შენს გულზე... არ დამივიწყო...

გეხვევი, გკოცნი, გკოცნი, გკოცნი... შენი ავთანდილი“.

ფურცელი სამკუთხედად დაკეცა, მისამართი ერთი მოსმით დააწერა და სატელეფონო ყუთთან ჩაყუნტულ მეკავშირეს გაუწოდა.

— მოეშვი მაგ უპატრონოს, ეს წაიღე!

— არის!.. სად... ახლა?..

— ჰო, შენ რა შუაში ხარ. შენ, მამუკა, წაიღე... გესმის?

— მესმის ამხანაგო... მესმის, ავთო.

— გადაწერე და თეკლასაც გაუგზავნე... გესმის? შტაბში წადი. ორივე ერთად გაგზავნე!

— არის!.. ორივე ერთად!..

21.

ასეთი გაწამაწიის დროს, როცა ჯარისკაციდან პოლკის მეთაურამდე ავთანდილი ყველას სჭირდება, თვითონაც დასჭირდა თავის თავს. ეს აქამდე არ მომხდარა და, ალბათ, კარგს არაფერს უქადდა. არც საკომანდო მიწურში დგომა და ჯდომა იყო მისი საქმე, არც მეთაურებთან და შტაბთან ტელეფონომანია. ჯარისკაცები მას ჯარისკაცად იცნობდნენ და ეშინოდათ; სძულდათ თუ უყვარდათ, იმედის თვალით უყურებდნენ, ენდობოდნენ და სჯეროდათ. ასეთ დროს ყველა ბრმაა, მაგრამ ეგონათ, ავთანდილი ყველაფერს ხედავსო (სხვათა შორის, მტრის ზურგიდან გერმანელი ტყვე ოფიცრის გამოყვანამ, ამ მხრივ ბევრი რამ გააკეთა).

მაუდის თაგვისფერი მაზარა, კაპიტნის სამხრეები, ბინოკლი, ტყავის ჩანთა, რუკა, კომპასი და ყველა სამეთაურო აღჭურვილობა, უფროსს რაღაცას მატებს მებრძოლის თვალში და აჯერებს, მეთაურმა ისედაც მეტი იცის და მეტის დანახვის საშუალებაცა აქვსო: მეთვალთვალის პერესკოპთან მიჯდომა და ჭვრიტინი, მზვერავი, მეკავშირე, ბუდეგახსნილი პისტოლეტი, მისი სიტყვა — კანონი, ხელშეუხებლობა, განუსაზღვრელი უფლებები და ყველაფერი... ყველაფერი ეს და სხვაც: თვით მეთაურის პიროვნება, ხასიათი, ცოდნა, სინდისი — უსინდისობა, სამართლიანობა — უსამართლობა, პატივმოყვარეობა, სიამაყე, მოუქნელობა, საზრიანობა და ომის ცოდნა. შექმნილი მდგომარეობის შეფასება და ერთადერთი გადაწყვეტილების მიღება და არა და არა ყოყმანი... აი, რისიც ეშინია ჯარისკაცს. გაბედულება...

მეთაურის შიში, სანგრებში ფორთხვა და კუდის ამოძუება მთელი მისი ათასი ჯარისკაცის დამბლაა, საბრძოლო უუნარობა. მეთაური თუ გინდა იყო, უპირველეს ყოვლისა, სიკვდილის შიში უნდა დათრგუნო შენში როგორმე... ყოველ შემთხვევაში, ჯარისკაცმა არამც და არამც არ უნდა შეგამჩნიოს, თორემ წასულია შენიცა და იმისი საქმეც. არავითარი ნიჭი, სტრატეგია, ცოდნა და გამოცდილება, იარაღი და აღჭურვილობა არ გიშველის... და როგორმე არ უნდა დაემსგავსო სხვა მეთაურებს. როგორმე, რაც მათში არ მოსწონთ, შენ არ უნდა შეგამჩნიონ და ისიც კი, რაც მათ ღირსებად მიაჩნიათ, ისიც... ისიც კი პირდაპირ არ გადმოიღო.

სიავეს აქ ვერ აცდები, თავზე ხელის გადასმა და ლოლიავი ჯარისკაცს დაუგლახაკებს, მაგრამ დედას რომ აგინებ, პირდაპირი მნიშვნელობით არ უნდა მიიღოს. შენ აქ მის საქმეს აგინებ, მის შიშს, სისუსტეს და არა მის სალოცავ მშობელს. ცუდზე მეტად კარგის დანახვა უნდა შეგეძლოს, არ უნდა ეგონოს, რომ შენ ერთი ხარ და ათასნაირი სიავისა და სიკეთის დანახვას ვერ შესძლებ.

„ყველა ოჯახში დუღს თითო კვაწიაო“, ამბობენ, და აქ რაღა იქნება? ყველა ადამიანური სისუსტე, გაუტანლობა, შური და თავკერძობა თუ სადმე უნდა იყოს, აქ უნდა იყოს და არის. ოცდაოთხი საათი რომ გაყინულ ორ-

მოში აგდია და როცა ფრონტზე ბაიბურიც არ ისმის, მაშინაც კი ყოველ წამს სიკვდილს თვალებში უცქერის, ის კაცი ვის და რას დაზოგავს. როცა თავისი ხელით გაუთხრია გვერდით განგმირული, სიცოცხლით სავსე მეგობრის საფლავი. მის შეხვეულ წეკოს, შუამდე მოწევა რომ არ დასცალდა, ახლა ის უკიდებს და საიქიოს წასული მოძმის ნერწყვით დასველებულ ბოლოსაც არ წაახევს, რომ არ დაამოკლოს და ერთი ნაფაზიც არ იზარალოს. საქართველოში ნამკვდრევ და ნაპარტახალ სახლს არ იყიდიან, ოხრის ფასადაც რომ შეაძლიონ. არ იბედებენ, სიცოცხლეს რომ სიკვდილის ჩრდილი არ მიაყენონ. აქ სიკვდილია სიცოცხლე და სიცოცხლე — სიკვდილი. შენს ირგვლივ ბატონობს და თვალდახუჭულიც მას უყურებ. რას არ იბედებ და ვის ჩრდილს დაემალები, როცა თავზე ზვავად გაწვება და თავისი ცივი ძვლების ხრჭიალით სულს გხდის. აქ თვით სიკვდილს თუ რაიმეს დატყუებ და გამოგლიჯავ ხელიდან, თორემ სხვა რა სიკეთე გეგულება, რომ წყალობა მოიღოს.

მეთაურმა ჯარისკაცს არ უნდა გაუიოლოს ხვედრი, ეს მისთვის დამღუპველია, მაგრამ სიკვდილსა და მას შორის კი უნდა ჩადგეს, არ უნდა გააუფასუროს სიცოცხლე. ეს გოშხეთელიანს დაემართებოდა, რომ დაზვერვაზე თვითონ ბატალიონის მეთაური თან არ წაჰყოლოდა, მით უმეტეს, მაშინ, როცა ჰოსპიტლიდან ახლად დაბრუნებულ ბოკერიას ეს ჯერ ფიზიკურად არ შეეძლო, მაგრამ ფასიც ამას ჰქვია. ახლა ეს მარტო გოშხეთელიანმა, დაზვერვის ბიჭებმა და ბოკერიას ბატალიონმა კი არა, პოლკმაც იცის და შტაბშიც ამაზე ლაპარაკობენ (ალბათ ძვირად დაუჯდა ავთანდილს, ამ საქმეს ვარიას დედა და და შესწირა, მაგრამ იმათი ხსნა მაინც არ იყო. აქ ბევრს გადაარჩენს). ამ შეტევის დროს სადაც არ უნდა იყოს ასეთი ბატალიონის მეთაური, საკომანდო პუნქტშიც რომ დაჯდეს და მხოლოდ ბრძანებები და განკარგულებები გასცეს, არავინ იფიქრებს რომ იგი სიკვდილს და მტრის ტყვიას ემალება.

და, მით უმეტეს... ახლა მაზარას რომ იხდის და დალაფულ ჯუბას იცვამს, ჯარისკაცის მუზარადით და ავტომატით მათ გვერდით ჩადგება, ამან უნდა შესძლოს იმ დიდი უპირატესობის ძლევა, რაც მტერს უდაოდ გააჩნია.

ყველა მებრძოლს იგი თავის გვერდით უნდა ეგონოს და ვერავინ დაინახოს, თვითონ ამ საცოდავ, კეთილ და ტანჯულ ავთანდილის გულში რა შიში და ცოდვა-ბრალი ტრიალებს. და როგორ უნდა გადარჩენა, რომ ვარია კუდრიაშოვას, დედა და და რომ დაუღუპა, თავისი თავი მაინც გადაურჩინოს. რომ ერთგული, მართალი, დიდი სიყვარულით აუნაზღაუროს ის, რაც ომმა წაართვა.

ერთადერთი პისტოლეტია, რაც მას მებრძოლებიდან გამოარჩევს და ასეულმა, ოცეულმა და ათეულმა კი არა, თვითონაც არ იცის ვისთან ერთად მოუწევს სანგრიდან ამოხტომა და წინსაკენ, ვის გვერდით შეებმება ცეცხლსა და ტყვიას.

აფეთქებებით მიწის რყევისას ჭაობი შემლხვალი წყლით იმდენად გულგაყეყილია, სანგრის კედლები იმზღვლევა და ფსკერზე მოძრაობას აჭირვებს. ეს უკეთესია, ჯარისკაცი თავისი თვალით ხედავს რომ აქ ადარ დაედგომება. მიწაყრილზე მიწა, ატირებული თოვლი და ყინვა ერთმანეთში რომაა შეზელილი, ტყვია ცხელი შანთივით ეყრება და შიშინებს; ან მაღლიდან წაკრული და ასხლეტილი, სანგრებში ტალახს შხეფებად ფანტავს; მთლიანად აცდენილი — თავს ზემოთ ნაკვერჩხლებივით გადარბის.

მარაოსავით გაშლილი შუშხუნების მოცახცახე, დამაბრმავებელი ციალი მთვარეს ამქრქალებს და ფერმიხდილს ხდის. მტრის თავდაცვის რუხ, გრძელ ფაფარს, საიდანაც ტყვიამფრქვევის, ქვემეხის და ნაღმსატყორცნის წითელი

ენები ამოიტიტება და გრგვინვა-ტატანით აცხადებს თავის შეუვალობას, თვალნათლივ აჩენს და აახლოებს.

აქედან წინა ხაზებში შემოთრეული მცირეკალიბრიანი ქვემეხები და ნაღმსატყორცნები უშენენ. ზურგიდან მძიმე არტილერიაც ძლივს მოსწვდა, ის რუხი ფაფარი ალაგ-ალაგ აუშალა. თოფი და ტყვიამფრქვევი ბატალიონის მეთაურს ელოდება. ამჯერად უკვე თავზე წამოაფრინდათ, ღამის ბომბდამშენები. მაღლა შენთებული ცეცხლის თავზე რიალებენ, ნეიტრალური ზოლის გადაფრენისას ქვევით გრუხუნსა და გრიალს ტოვებენ.

ჯარისკაცები მთავარი სანგრის ფრთებში შეთხრილ ორმოებში არიან შეკუჭულნი, შიშით მხრებში თავჩაძვრენილნი, მუზარადები პირდაპირ მხრებზე ადევთ. ელიან წინსვლის, მოუსავლეთის გზის დადგომის ბრძანებას და წინ კი არა, აქეთ, ზურგში იცქირებიან, თუმცა თვალები მტრის ზღუდეებზე აქვთ მიციებული. მეთაურმა მათ უკან ისე არ უნდა გაიაროს, რომ ხმა არ მიაწვდინოს: ნაბიჯით, ხმაურით, ყვირილით, ბრძანებით, გასროლით. უფროსის აურზაურს კი არა, ჩურჩულსაც გაიგონებენ, ათასჯერ ძლიერსა და დამაყრუებელ ხმაურში გამოარჩევენ. მათ მხოლოდ მისი ხმის გაგონება სჭირდებათ, რაკი ყველაფერი მეთაურის დაძახილზეა დამოკიდებული.

დანარჩენი... დანარჩენი ომის, ქლეტვის და სიკვდილის [illegible].

დაჭრილებს მოათრევენ თუ დახოცილებს?..

ეს მედსანბატები, მედნაწილები და სანინსტრუქტორები ყველაფერს აურევენ. უბედურება სადაც მოხდა, იქ არ კმაროდა, რომ ამ შეტევის წინ მთელ წინა ხაზზე არ ჩამოატარო და ყოველ ჯარისკაცს თავის ხვრელში სიკვდილი არ მიუქსიო?

— ადგილზე, ადგილზე! — ჯღავის ავთანდილი. დაფეთებულ, მაზარებში ჩაკარგულ მედდებს და მედმძებს ერთმანეთიდან ვერ არჩევს და არც მათ იციან, ეს მართლა მეთაურია თუ თვითმარქვია. მაგრამ მძიმე ტვირთს იქვე უშვებენ და ბრძანებას ასრულებენ.

— ამხანაგო მეთაურო!.. — ვიღაცა რაღაცის რჩევას თუ განმარტებას მოითხოვს, თუ იმის გაგებას, საქმე ვისთანა აქვს.

— აქვე, ადგილზე შეუხვიეთ, გადაყვანის დრო გექნებათ!.. — სანგარში დაგდებულ ლაბადაში შეხვეულზე დახრილ მედპერსონალს გვერდის აქცევისას ერთმანეთზე უხეშად აყრის და ისინიც სანგრის კედელს მუზარადებით აწყდებიან.

— ამხანაგო მეთაურო!.. — ვიღაცა უკმაყოფილოა, თუ ისევ რჩევას თხოულობს...

მაგრამ ახლა ამისთვის ვის ცხელა და არც შეიძლება ამ ერთ დაჭრილზე, ან ორ მაშველზე ამდენი დროის დაკარგვა...

აგერ, ეს ღლაპი რომ ჩაკუნცხულა და ძიგძიგებს, ამას რომ შეუძახებ, ყველა შიშით წელში გატეხილი და გათანგული უნდა გამაგრდეს... და ბოკერიამ პისტოლეტის ტყვიით ბათინკის ჭვინტთან ტალახში ჩაძიძგნილი, წვივიდან ჩამოშლილი ტოლაღი გახვრიტა.

საწყალი, სანგრის ძირს თვალჩამკვლელებული პირტიტველა ბიჭი იმოდენაზე შეხტა, როცა ძიგძიგებული ფეხზე დადგა, იმის ნახევარი არ დარჩა, როცა ავარდნისას სივრცეს თავი უწვდინა. შაშხანა დააგო და ელდანაცემმა ხელები ასწია.

— წვივსაკრავი დაიხვიე! — ჩაულაპარაკა მეთაურმა ისე ყრუდ და დუნედ, თითქოს ის ტყვია ვიღაც სხვა კაცთმოძულეს გაესროლოს და თვითონ კი რჩევას აძლევდა რა უნდა ეკეთებინა, რომ „იმ“ ცოფიანს აქვე არ ჩაეძაღლებინა.

ორმოციოდე წლის წვერგაბურძგნულ ათმეთაურს ორი გაფითრებული ახალბედა ჯარისკაცი თავის სანგარში შეეხიზნა; მუხლჩახრილები, სამთავენი პირჯვარს იწერდნენ.

— სერჟანტო, ლოცვა გვიშველის? — ცოტა გულდაწყვეტილადაც კი ჰკითხა: უღმერთოს რომ ღვთისმოსავის შეშურდება.

— გვიშველის, ბატონო ავთანდილ, რწმენა გვიშველის. — ნელ-ნელა წამოიმართა და შუბლისკენ წაღებული სამი თითი ყურთან მიიტანა.

— მაგი რომ გვიშველიდეს, მარტვილში იმისთანა სალოცავი მაქვს...

— იმ სალოცავის მადლს შეთხოვე... — შეეხვეწა სერჟანტი და მის ფრთას ამოფარებულ უმწეო ბიჭებს გადახედა: თქვენ რა გგონიათ, ღმერთი მეთაურსაც სწამსო.

ის იყო, ავთანდილმა პირჯვარი გადაისახა და გაბრუნდა, რომ მიწაყრილის იქით, ხუთ ნაბიჯზე, ისეთი იგრიალა, მთელი ძველი და ახალი ამონათხარი მიწის შვავით სანგარი შუამდე ამოავსო. მაგრამ მუზარადზე და მხრებზე ბელტების ბრაგუნის გარდა არაფერი დაშავებია.

— ცოცხალი ხარ! — ახარა ჩაჩოქილ მეთაურს დაოთხილმა ათმეთაურმა, — ღმერთი თუ მაშინ გაგვახსენდა, როცა დაგვჭირდება, ალბათ, ამით უფრო შეურაცხვყოფთ და განვარისხებთ...

ბოკერიამ თავი ურწმუნოდ გადააქნია:

— მე, ამ გაჭირვების დროსაც, ღვთის მოსავი ვერ გავხდები; მაგი მე თუ მირისხდება, ამ უბედურების წამომწყები როგორღა გააჩინა, ან ამნაირ ქვეყანას, კაცო, ზევიდან რა პირით დასცქერის?!.

შვავს რომ გადაუარა, ვიღაცა ისე უთავბოლოდ დარეტიანებული და დაზაფრული შემოასკდა, თან წამოიყოლა და გროვას წამოდებული ბოკერია გულალმა გაშხლართა. მოხედვასაც არ აპირებდა, ისე შებორძიკდა ნედლ გოროხებზე, ორივე ფეხი დაუცდა და ჩაიმუხლა, ლადარში ჩამჯდარივით მაშინვე წამოვარდნა დააპირა, მაგრამ გაცოფებული მეთაური რომ იცნო, ამან ნირი ისე წაუხდინა, ერთბაშად მოწყდა და მოირღვა.

— ამხანაგო... — სულამომავალივით, პირიდან ორთქლი რომ ამოდიოდა, უკან ჰაერს ვერ იბრუნებდა. — დავიღუპე... დამხვრიტე... მეთაურო... ალბათ ჩემი... აქ ვინ გაიგებს... ან ვინ უნდა იცოდეს...

რა თქმა უნდა, ავთანდილი, მიხვდა რომ ლეიტენანტი მხოლოდ ამ შეჯახებასა და წაქცევას არ შეეშფოთებინა.

— რა იყო, ინასარიძე, რა ქვეყანა დააქციე?.. — ხმადაბლა ჰკითხა; ამ თავზარდამცემ ამბავზე ახლა ხმამაღალი ლაპარაკი არ შეიძლებაო. არც ამ გაუსაგისი ლეიტენანტის კიდევ უფრო დაფრიხობაო.

ინასარიძეს მეთაურის დაწეულმა, გამაფრთხილებელმა ხმამ ტუჩი მის ყურთან მიატანინა.

— თავი... — ენა ჩაუწყდა და ბოლოს სულს ძლივს ამოაყოლა, — ვერაფერს გაიგებ, გაუვარდა თუ თავი დაიჭრა, ამხანაგო მეთაურო...

ერთი წამით ავთანდილიც კი შეცბა.

— ვინ?

— ჯარისკაცმა.

— ვინ-მეთქი!

— ვინ და... შენი ჭირიმე...

— მე ახლა, კაცო, აქ შენი ჭირიმე და შენ გენაცვალესათვის მცალია?! გაიღიმა, ვითომ ძალიან ეღიმებოდა და ეოხუნჯებოდა, მაგრამ ამ ღიმილმა მთხლეულ წასული ინასარიძე ისევ კაცად აქცია.

— ამოწყდა მისი გვარი და ჯილაგი, არ ვიცი მარა მაგის გაგებას რა უნდა.

— შენი ჯარისკაცის გვარი და სახელი კი არა, გუნებაში რა უდევს ის თუ არ იცი, თავსაც დაიჭრის და შეიძლება შენც ზედ მიგაყოლოს.

— ამხანაგო... მაგი იქ არავის უსწავლებია და აქ თქვენ ჩემთვის სად გცალიათ...

— ბევრს ამაღამდელი ღამე გასწავლის, ბევრს ხვალინდელი.. სანამ სიმართლეს გაიგებ, კაცო, ჩემს მეტს ვინმეს

უთხარი? პაპიაშვილმა ხომ არაფერი იცის.

— გოშხეთელიანმმა იცის...

— წადი, კაცო, და ენას კბილი დააჭირეთ, გადაუხვიე ხელი და... მე ამ წამს...

— მარცხენა ხელშია დაჭრილი... — პირი დააღო ინასარიძემ: ამან ჩემზე ადრე... და საერთოდ იმ ჯარისკაცს გულში რა ედო მართლა წინდაწინ ხომ არ იცოდაო.

— ჰო, გადაუხვიე და თავის ადგილას დააბრუნე.

— ა-არის!.. — ჩაილაპარაკა და მათრახდარტყმული ბედაურივით ადგილიდან ისე მოწყდა, ჩექმის ლანჩით ლაფი უკან მოაყარა.

. . . . . .

— სამიზნე ხუთი, ცეცხლი! — მოისმა სანგრის შესახვევიდან. „ბაც!" — მკვეთრად იჭექა „სოროკაპიატკამ" და როცა ქვემეხის ჯგუფეულს თავზე წაადგა, უკან გადმოსროლილი თითბრის ცარიელი, ცხელი მასრა ფეხებში გაებლანდა.

— როგორაა საქმე, არტილერისტებო, ვაცილებთ და ვაცილებთ?

— არის... ამხანაგო ბატალიონის მეთაურო! — წამოვარდა ფერმკრთალი სერჟანტი შმილოვი. ეს ბიჭი და მისი ჯგუფი უქეს და გვარიც ახსოვდა.

— არ თქვა, შმილოვ, ღამეა და მტრის საცეცხლე წერტი არ ჩანსო.

— ჩანს, ამხანაგო...

— კარგი, ნუ ჩქარობ! — აწეული ხელი დააშვებინა, — და ბიჭებს ნუ აჩქარებ! — საათს დახედა, ოთხი ის-ის იყო დაწყებულიყო.

ზედიზედ დაეცა ჭურვები ქვემეხის ორმო-საფარის აქეთ-იქით და ფარზეც ტყვიები ატკაცუნდა.

— აღმოგვაჩინეს... — ხმა აუთრთოლდა შმილოვს.

— უკვე ყველა აღმოჩენილი ვართ, — „დაიმედა" მეთაურმა — ახლა შიში და სიჩქარე კი არა, ვინც ზუსტად ვუმიზნებთ...

— არის...

. . . . . .

ინასარიძის ასეულის მექვემეხეებს ემარჯვათ და მსხვილკალიბრიანი ტყვიამფრქვევისთვის ხმა ჩაეწყვიტათ, მაგრამ იქიდან ამავე თავშესაფრის მიწაყრილზეც დაერტყათ და ორი დაჭრილი იქვე ფართხალებდა. მემიზნის ადგილი თვითონ ათისთავს დაეკავებინა...

— გაყვანის ბრძანება არაა... — თავი იმართლა სანინსტრუქტორმა, როცა ბოკერია დაჭრილებს დააჩერდა. ერთს გვერდგამობდღვნილ მაზარაში გადმოყრილი წელები ხელით ეჭირა, მეორეს უხელო მხარს უხვევდნენ.

— ადგილზე, რაც შეიძლება... ჯარისკაცებს ახლოს ნუ მოუშვებთ!

ასმეთაურს, რა თქმა უნდა, ახლა ამ უღვთოდ დაგლეჯილებისათვის არ ეცალა.

. . . . . .

— რაღა აზრი აქვს პაპიროსის ცეცხლს, მოსწიე! — ბოკერიამ ნება დართო „მაქსიმკის" ფართან მიჭუჭკულ მეტყვიამფრქვევეს.

— არის, ამხანაგო... — აისორი უნდა ყოფილიყო, ან ქურთი, რაღაც ასეთი ეროვნებისა ახსოვდა ის ჯარისკაცი.

— შეტევა დაიწყება მალე და ხომ იცი შენ... აქ რად მინდა მაგ შენი ჯაბახანა... წინ უნდა გაგვასწრო.

— არის წინ გავასწროთ... — ჩაილუღლუღა და მსხვილად შეხვეული წეკო მოქაჩა და მოქაჩა.

— რაა, ბიჭო, მაგ მყრალი თუთუნი, რომ ააქოთე აქაურობა.

— იქამდე ამას უნდა დაჯერდეს...

— ხელი მტრის სანგრებისკენ გაიშვირა მეტყვიამფრქვევის დამხმარემ, ისიც მისი რჯულისა უნდა ყოფილიყო.

— აბა, თქვენ იცით. იქ მიმაღწევინეთ და ნუ ჩააქრობთ... ნება მომიცია.

. . . . . .

გახურებულ ტაფაზე ფეხშიშველა მდგომელივით ხტოდა და ძუნყულებდა შიშს ატაცებული, ხელშეხვეული გაწრიპული ბიჭი, ზაფრით მაზარაში რომ გამდნარიყო.

— ესაა... — ხელი აიქნია ინასარიძემ და მოსხეპილივით ჩამოუვარდა. ბოკერიამ რომ იმედი გამოატანა, მის გამოჩენამდე დაელოდა და ისევ გასაცოდავებულიყო.

ბიჭმა ბოკერია იცნო და გახევდა. მაშინვე შეწყვიტა მოშლილმა ნერვებმა ძიგძიგი და გაუხისტდა.

— რა იყო. კაცო, რა წამოგედვა მაგ ხელზე და ამათ რა მოეჩვენათ?!

ბიჭი მუმიასავით თვალდაუხამხამებლად და სიცოცხლის უნიშანწყლოდ იდგა.

სანგარს ჯარისკაცები მოაცვივდნენ.

— არაფერი, ამხანაგო კაპიტანო... — მიხვდა რაღაცას ინასარიძეც და დაუმატა: — ეს ვინმეს უბრალო კაპიტანი არ ეგონოს, თვით ბოკერიაო — ამხანაგო ბატალიონის მეთაურო!

— ხდება... — უკან რომ დაიხია, ჯარისკაცები გაცვივდნენ. ხელის დაქნევით მოუხმო: ნუ გამირბიხართ, მე თქვენთანა ვარო და სინანულით ახსნა: — ტყვიასთან, ცეცხლთან და ფათერაკთან გვაქვს საქმე, კაცო, აბა ისე ხომ არაა... გვესვრიან, ვესვრით... გაგვივარდება უცაბედადაც, აბა რა მოგვივა, ჭამის დროსაც რომ ხელში თოფი გვიჭირავს... რას გაიგონებს აქ კაცი... — ჩაილაპარაკა კანონადით და ზალპით გაყრუებულმა, მაგრამ მაშინვე მიხვდა, არავის არც ერთი მისი სიტყვა არ გამოპარვია. — მაგი კარგად გადარჩენილა... თოფი [illegible] ყუმბარა რომ ხელში გაუსკდა, [illegible] ისეთიც მინახავს. მაგას მედდაც არ უნდა, აქ არშიყი არ წამოიწყოს, კაცო... არაა ახლა მაგის დრო, თვარა კაი შენ.

ირგვლივ შემოფეცებულ ჯარისკაცებში ხორხოცი ატყდა — რამდენადაც ახლა სიცილი არავის შეეძლო, ახლა იმდენად ხმამაღალი და რაღაცნაირი შვების გულიდან ამომტანი, ბედნიერი.

— არაა დრო, ბიჭებო, შეტევას ვიწყებთ, თუ არა, გოგოების ამბავი მე მკითხეთ თქვენ... — თვითონაც ჩაიხითხითა. — გოგოები მერე... იცით მაგი თქვენ, ჯერ პატარა საქმე გვაქვს ჩვენ.

იმ დაჭრილი ბიჭის სანგრიდან მიწაყრილზე ერთი ხელის დაკვრით შეხტა და ისე იჭექა, ერთ დროს მისმა მეთაურმა — ბოჟენკომ რომ იცოდა, მინის მსხვრევასავით მჭახე ხმით:

— წინ, ბიჭებო!.. წინ!..

22.

მხარდამხარ ის დაჭრილი ბიჭი მოსდევდა, ისე დაგულიანებული და ფრთებშესხმული, ერთი ნაბიჯით არც წინ გაუსწრია და არც უკან ჩამორჩენია. ინასარიძე ამ შარშანდელ ნაჩალარში და თოვლიან ჩამხმარ ბალახში, ნაბომბარ ხრამებში ჩაემხობოდა, ჩაიკარგებოდა და გალაფულ-გათხვრილი წამოეწეოდა. აქეთ კიდევ ორნი ახალბედა ერთმანეთს ფეხებში ედებოდნენ, მაგრამ მაინც ერთმანეთს აგულიანებდნენ და ტოლს არ უდებდნენ. დაჭრილი ბიჭის იქით ვიღაც ერთთავად მოძუნძულებდა, აქეთ-იქით აწყდებოდა: ვითომ მტერს კვალს ვუბნევო და, კვალგამრუდებულს, დაწევა უჭირდა.

ინასარიძის ასეულის წამოშლამ და დათქმული სანიშნო შუშხუნების ჰაერში ავარდნამ მტერი და მოყვარე ფეხზე დააყენა, მაგრამ ნაცადმა მოწინააღმდეგემ მასირებული ცეცხლით მაშინვე არ უპასუხა. ასე თავზე ხელაღებული მოძალადეების ახლოს მოშ-

ვება სჯობია, რომ ტყვია არ გაგიცუდდეს. ბოკერიამ და გოშხეთელიანმა იციან, რამდენზე მიუშვებს მტერი და მერე რა ამბავს დააწევს, მაგრამ ეს ასეულების მეთაურებმა, ოცისთავებმა და გამოცდილმა, ძველმა ჯარისკაცებმა უნდა იცოდნენ. ამაზე ჰქონდა ნათქვამი ავთანდილს და ნაჩიჩინები: იქ უნდა წაიქცე, სადაც მტერი ნიშანში ამოგიღებს. მანამდე შეგიძლია ირბინო და ეს მანძილი მოგებულია. მერე მოგიწევს სისხლში ლაფის ზელა და ყოველი გოჯისთვის სიცოცხლის განწირვა.

მიწას რომ გაეკვრები, მოწინააღმდეგე ყოველნაირი იარაღის ცეცხლს დაგიშენს და ქვას ქვაზე დააღდებს. ერთნაირად დააფრთხობს და დაჟლეტავს მოიერიშეებს. ამ დროს არტილერიამ ცეცხლი მტრის ზურგში უნდა გადაიტანოს და მეწინავეების მფარველი ის თოვლ-ჭყაპიანი ლაფი თუ იქნება, რაშიც ცხვირს წარგავენ. მოიერიშეების კვალზე დამდგარნი ცეცხლის ხაზში თავის შერგვას ვერ გაბედავენ, მაგრამ ამ დროს აქამდე დადუმებული ტანკები უნდა მოეშველონ, რომლებიც გამოუცდელი ჯარისკაცების იმედად და საფრად გამოდგება, თუ რომელიმემ მოწინააღმდეგის სანგრებამდე მაინც მიაღწია.

მტერს ჯავშნოსნები ბევრი ჰყავს, მაგრამ ამას არ იზამს, ამ ჭაობიან ნეიტრალურში მძიმე მანქანებს დასაღუპავად არ ჩამოყრის. თუ წინა ხაზის შემაღლებულ პოზიციებს დაჰკარგავს, თავისიანებს მეორე ეშელონში გადაიყვანს და მერე იქაურობას ტანკებით კალოსავით გალეწავს. მაგრამ მოწინააღმდეგის სანგრებში თუ ბოკერიას ჯარისკაცები გადაცვივდებიან, იქ მაინცაა გადარჩენის შანსი. და ამ პირველ შეტევას ჯავშნოსნებთან შეტაკება ჯერჯერობით არ ემუქრებოდა. მტრის სანგარში ფეხის ჩადგმა მაინც გამარჯვებაა და ხელჩართულ ბრძოლაში გერმანელის ჩათრევა — თანასწორი ბრძოლა. გერმანელი იარაღით გჯაბნის, თორემ რაოდენობით არასდროს არაა შენოდენი. ხელჩართული ბრძოლა კი კაცზე კაცის მგლური მიხტომის თანაფარდობაა და იარაღიც თანასწორი, რაკი ხიშტი, კონდახი და ნიჩაბი, ფრჩხილი და კბილი იბრძვის. რუსულ ხიშტს, ნურას უკაცრავად, გერმანული ვერ შეედრება. თოფი რამდენად მძიმე და ბლაგვია, იმდენად საშიშია მისი კონდახი. ნიჩაბი ნიჩაბია და ფრჩხილები თუ ჭუჭყიანია და დაუქნელი, იმდენად გრძელია და ბასრი. კბილი კიდევ... მშიერი კაცის კბილისგან ღმერთმა დაგიფაროს. გერმანელი კაცს კაცზე არ გაიმეტებს, ასე რომ ექნა აქამდე ერთი ჯარისკაცი აღარ ეყოლებოდა, ხელჩართული ბრძოლა კი ამას მოითხოვს. მოულოდნელი შეტევით თუ დაბნევ და ხელჩართული ბრძოლის შიშით, იქნებ უკან დახევა აიძულო, რაკი იცი: შოკოლადით, შნაპსით გაზულუქებულ ჯარისკაცებს — ოქროს ფასად რომ უღირს — არ შეგაწყვეტს და ერთს ერთზე არ გაგიცვლის. მას რომ ჰკითხო, ჯარისკაცსაც არ დაგიძახებს.

23.

არსებობს შტაბი, დაზვერვა, მეთაურთა საბჭო... არის კავშირები, რეკვა, შიკრიკები, თვალთვალი, დრო, პაროლი, ნიშანი... შესწავლა, დაგეგმვა, დახაზვა, თეორია, ვარაუდი, გამოცდილება, ცოდნა... და მაინც ყველაფერი ეს ქაღალდზე რჩება, ან სიტყვად და ლაპარაკად: რაღაც გაკეთდა, რაღაც დაზუსტდა, ვითომ ბრმად არ მიგიშვერია შუბლი ტყვიისათვის და წინასწარ რაღაც იცოდი. რაღაცა რაღაცას შეუფარდე და ძალა ძალას დაუპირისპირე.

და ყველაფერი ეს, ერთბაშად ინთქმება ცეცხლში, როცა ამოქმედდება ომის სტიქიის ურჩხული, რომელიც მაშინვე ანადგურებს ყოველნაირ აზრებს, ვარაუდებს და გონება-სმენამხედველობადახშული, მიწაზე გასუდრული ებრძვი მხოლოდ იმას, რაც შენ წინაა და იცავ იმას, რაც იმწუთას შენ

გეკუთვნის: ორმო-თავშესაფარი, ჭურვის ამონათხარი, ჩალის ნაძირალა თუ ბალახის ბღუჯა, თოვლი და ყინვა...

შენ გვერდით გართხმულ მეგობარსაც ვერ ხედავ, ვერ იცავ და ვერ გიცავს. არც მისი ყვირილი, ჯღავილი და კვნესა გესმის, რაკი შენი, საკუთარი გამყინავი ძახილი გაყრუებს და გიხმობს საშველად. იცი, აქ შენი მშველელი არავინაა და არც შენ შეგიძლია ვინმეს ცალი ხელი მაინც გაუწოდო. ხელი ორი კი არა, ასი რომ გქონდეს, ასევე გჭირდება შენი დარბეული სიცოცხლის თავდასაცავად და მფარველად.

რა სიბრძნითაც და გამოცდილებითაც უნდა იცოდე ამა თუ იმ უბანზე მოსალოდნელი ბრძოლის საერთო ხასიათი, ვერავითარი ომის ღმერთი და გულთმისანი ვერ იგულისხმებს, რა ცოდვა-ბრალი დატრიალდება შენს „ფრონტზე“ — შენი მეზობლიდან მეზობლამდე. რა ჩამოვარდება, რა შემოიჭრება და რა დააქცევს შენს ქვეყანას, რომელიც ერთ დიდ ბომბს ძაბრად თუ ეყოფა, ან ტანკს ცალ მუხლუხოზე მოსაბრუნებლად. ამწუთას მხოლოდ შენი „ფრონტის“ ხელშეუხებლობისათვის იბრძვი და ამდენად თუ იბრძვი მთელი ფრონტისათვის, მაგრამ ახლა გაუგებრად და გაუცნობიერებლად. იბრძვი ამ შენი ქვეყნის დასაცავად, ან იღუპები — ისევ და ისევ შენი წილხვდომილის შეუვალობისათვის. ამ დროს სხვის „მიწას“ ვერც ხედავ და იგი, თუ მართალი გინდა, არც არსებობს. უშენ ყველაფერს, რაც ხელთ გაგაჩნია, ვინც ამ „შენსას“ განადგურებით ემუქრება. თუ „ის“ განწირულია და ატყობ, იქ აღარ გაგეძლება, იხევ უკან, ან იწევ წინ ისევ „იმის“ გადასარჩენად.

პირველი ნაღმის აფეთქებისთანავე დაეცა ბოკერია. წამოვიდა ტყვიის და ბელტების თქეში. უკვე აღარაფრის გაგონება არ შეიძლება, მაგრამ ეს თავის „მიწაზე“ ცვივა და ესმის. ახლა რაც თავის „მიწას“ ეყრება და აწუხებს — განუყოფელია. დახოხავს, ინაცვლებს და მასთან ერთად „დადის“. ვიწროვდება და ფართოვდება, იმის კვალობაზე, რა მანძილზეა მისგან მეორე „პატრონი“. მათ შორის მანძილის ნახევარი ერთისაა, მეორე — მეორის. როცა ის აღარაა, საზღვარი იქ გადადის, სადაც ის იყო, სადაც მისი გვამი აგდია, ან მის ადგილზე ორმო დარჩა.

აქ, მძიმე არტილერიის მიერ, თავდაპირველად ჩამოყრილი ჭურვების ორმოები უნდა ყოფილიყო. ამის გუმანი ჰქონდა, როცა აქეთ თავწახრილი გამორბოდა. წინა ხაზზე რამდენი ჭურვი და ბომბი დაეცემა, მისი დამახსოვრება შეუძლებელია. მაგრამ მებრძოლი თავის „გზას“ ხედავს და თავის „ფრონტსაა“ ჩაგეზებული — ზედ როგორ გაევლება და წინ რა უდევს. თავისი სანგრის პირიდან მტრის სანგრის მიწაყრილამდე უძუძგურებს იმ გზას და ყოველი ხმელი ბალახის ძირი და ჩალიღერაზე შერჩენილ დაღმა ჩაკიდებულ ფოთოლს ქარი როგორ უღიტინებს, იცის.

ჯარისკაცი თავის „საკუთარ“ მტერსაც იცნობს: როგორი მებრძოლია, რა ჯანისა და ღონის პატრონი, როგორ თხრის სანგარს, წმენდს და აღრმავებს. ბელტებად ამოაქვს მიწა ნიჩბით, სქლად ჭრის — ღრმად თუ თხლად და ამონაბარი უფხვიერდება. იქვე, ბექობზე ყრის და მერე აქეთ გადმოშლის თუ უკანვე უცვივა. ნიღბავს, ბალახიან კოლბოხებს უწყობს თუ ოთხკუთხედებად მოჭრილ ბელტებს ერთმანეთს უსადაგებს. გლეხია, მუშა თუ ინტელიგენტი. დინჯია, მრავალჭირნახული თუ ნერვიული, მშიშარა და სადა აქვს დატოვებული იარაღის გამოსაყოფი. გამოზომილად, დამიზნებით ისვრის თუ ჯერით უშვებს ერთის ადგილზე ათს...

ახლა ჭურვის ამონგრეულ ორმოში თავჩარგული ავთანდილიც არ ფიქრობდა საერთო შეტევის არსზე. როცა ზედიზედ სკდებოდა ამდენი ნაღმი და

ჭურვი, ჰაერში დამწვარი ნედლი მიწის, რუჯის, დენთის, ტოლის თუ ტრიტოლის, კვამლსა და ცეცხლში შეზელილი მხუთარი ფილტვებში მახრჩობელა ზეთივით ჩაგდის და მაშინვე სისხლს გიწამლავს — ყოველ ჩასუნთქვაზე ცივი ოფლი გცვარავს. და თუ მოთბო ნიავი, რომელიც აფეთქების ტალღებში გზადაკარგული მაინც მოგაგონებს, ისეა გაჯერებული და გაფისული ამდენი საწამლავით, ეს მაცოცხლებელი ნიავიც სულის შემგუბებელი ძირმწარე გაუხდია, ჭენჭყოიანი მიწის სუნი უფრო ასატანია და ცხვირით შიგ ბელტებსა და გოროხებში ამიტომაც მიძვრები, გინდა ამოსრუტო თავის გადარჩენაც და ჰაერიც. რაკი ცამ ყოველნაირად გიღალატა და მიწა მიწადაც გიერთგულებს და ჰაერადაც უნდა გექცეს.

ახლა ომს მხოლოდ ომი განაგებს და სადღაც ტანკები დაიძრნენ, ზარბაზნები, ნაღმსატყორცნები თუ ჯავშანგამტანები ცემენ, ტყვიამფრქვევი, ავტომატი თუ შაშხანა ტკაცუნებს... ვერაფერს, შენ რომ მეთაური ხარ, ვეღარც გააჩუმებ და ვერც იმაზე მეტს გააკეთებინებ, რისი მაქნისიცაა. ახლა ყველა ცალ-ცალკე იბრძვის თავის „მიწისთვის“ და ფრჩხილით და კბილით დაიცავს. ასეთ დროს ჯარისკაცის თავზე რომ ჯოჯოხეთის ცეცხლი ტრიალებს და ათასნაირი მეხი სკდება, ამის მოსმენა კი არა, ერთი ზარბაზნის ქუხილი უხშობს სმენას ადამიანს, მაგრამ ხდება სასწაული თუ... სასწაულებრივი „დაყრუება“. ყრუა მებრძოლი, რაკი გაგონება შეუძლებელია. მიწაში თავჩარგული ვერც ვერაფერს ხედავს, მაგრამ ამ დაყრუებულს და დაბრმავებულს ესმის იმ ტყვიების წივილი, რომელიც მის თავზე გადადის და ბნელშიც ხედავს, თუნდაც მანათობელი არ იყოს. ყოველნაირ იარაღს, ყოველნაირი მანქანის ხმაურს არჩევს, რაც მის „მიწას“ უახლოვდება. ფეხის ხმას, ფორთხვას, ხოხვასაც და ისიც არ ეშლება, მტერია ის თუ მოყვარე.

ავთანდილის „ფრონტს“ ტანკები უახლოვდებიან, იცის მოყვარეა, მაგრამ ისიც იცის: ერთი მარჯვნივ, მოშორებით გაუვლის, მეორე მარცხნივ — ძალიან ახლოს, მაინც არ დააზიანებს. სადღაც ასეთივე მოყვარე აღმუვლდა იმ ჭექა-ქუხილისა და ჯავშნის მსხვრევის შემდეგ დაკოდილი. მაგრამ ამასაც, ავთანდილის მარჯვნივ რომ მოჯახირობს, დიდი დღე არ უწერია. ზრიალ-ხრჭიალით ხვდება ჯავშანგამტანის ტყვიები და ქვემეხის ჭურვები. ის სროლა და ზრიალი, რასაც ტანკი თავგამეტებით, ბრმად აყეფებს, განწირულის უკანასკნელი გაბრძოლებაა. მოწინააღმდეგის სანგრებამდე არავინ მიაღწევინებს და არც საფლობები გაუშვებს, მაგრამ სადაც დადგება, თავის „ფრონტს“ დაიცავს. ტანკის ტრახტრახს და ცეცხლის ფრქვევას მაინცა აქვს რაღაც ისეთი, რაც წინ გიბიძგებს და მერეც საფარს გპირდება, როცა გაცდები და, ალბათ, როცა ის დაილეწება, თუ ცეცხლი არ წაეკიდა, ზურგშიაც რაღაცნაირ იმედს გიტოვებს.

პოლკის მეთაურმა იცის, ეს მსუბუქი, ფიცხი ფოლადის ინგლისური ტანკები ფრონტზე ასანთის კოლოფებივით იმსხვრევა, მაგრამ ახალბედა ჯარისკაცებისთვის მაინც ძალაა. მალე, ალბათ, ექვსივე მწყობრიდან გამოვა, მაგრამ თავის გასაკეთებელს გააკეთებენ და მერეც, როცა ისინი „დაიხოცებიან“, მერეც საფარად ექნებათ წინა ხაზისკენ დაძრულ ახალ და ახალ მოიერიშეებს. როცა მტრის ძლიერი ჯავშნოსნები ამოქმედდება (ავთანდილს უკვე ესმის მათი შორეული „ტრახტრახი“) ჯარისკაცებს ეს თავისი დაღუპული ტანკი ახალ, სხვა რწენას უჩენს, რომ თვით ფოლადის ურჩხულიც უძლეველი არაა, და როგორც ეს რკინის ციხე-სიმაგრე განგმირეს, ასევე შეიძლება მტრისაც დაანგრიო. არადა, ეს მრისხანე მოძრავი კოშკები, ისიც ღამით, ერთობ შეუვალი და თავზარდამცემია.

ასეც მოხდა. ავთანდილის მარჯვნივ,

ის იყო გვერდის ავლა მოასწრო, რომ ფერდი გაუგლიჯეს და მუხლუხა, შეხსნილი ქამარივით, წაძვრა. მაგრამ ცეცხლი არ გაჩენია და გონების მოკრების შემდეგ ისევ დააქნია მომცრო ზარბაზნის ლულა, ცეცხლი ამობოლმა. რაკი დაინახა არ იწვოდა, მაგრამ უკან დახევა და წინსვლა არ შეეძლო, რაღა რჩებოდა — დაჭრილს უნდა ებრძოლა.

ახლა ყველამ იცის — უნდა იბრძოლო. უკვე სხვა გზა აღარაა და შენ რომ ბიკერია ხარ, უკეთესს ვერაფერს ასწავლი.

მაინც ფრთამოტეხილი ტანკისკენ გადანაცვლება სჯობდა. მართალია ის ახლა იოლი სანიშნეა, მაგრამ მან, ერთგვარად მაინც, დაკარგა მტრისთვის მნიშვნელობა, ჯავშანგამტანებმა და ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხებმა თავისი საქმე გააკეთეს. თუ ისევ გაისვრის გაახსენდებათ, მაგრამ მისი ზურგი მაინც მაგარი კედელია, ყველა დარტყმას თვითონ მიიღებს. ასეთ დროს იმასაც უნდა ხედავდე შენს წილ ტყვიას ვინ გააციებს და თავი მის ფრთის ქვეშ დროულად შემალო.

წამოწევა ვერ მოასწრო, რომ მოწინააღმდეგის მიწაყრილების იქით ავბედითი, გაგრძელებული ღრჭიალი მოესმა და მაშინვე ნაღმების გამჭოლი წივილი ატყდა, ცეცხლწაკიდებული ზეცა ერთბაშად დაფხრიწა, ერთმანეთის მიყოლებით ამოარღვია მიწის პირი, დააპო დაყრუებული სმენა.

„ექვსლულიანები მოგვისია... ისევ ცოცხლად დამმარხავს, ეს შობელძაღლი!..“ — ძაგძაგმა წამოაგდო, როცა თავის დაფატრულ „მიწაზე“ გრიგალმა ერთი წამით გადაიარა. ტანკის საფარს ახალბედების გრძელი „კუდი“ ექნებოდა ადევნებული და ფეხზე წამოწეულს უნდა გადაერბინა. რაკი წინ ველარ მიდიხარ, მეთაურის გვერდზე გადახვევა და ისიც ფორთხვით, გონდაკარგული ჯარისკაცების თვალში სიკვდილია.

ტანკის უკან ტყვიამფრქვევიც კი შემოეთრიათ და მუხლუხების განათხარში მთელი ნახევარი ოცეული გასუდრულიყო. გოშხეთელიანი ფრთას მიყუდებოდა და თამბაქოს აფუტებდა.

— მოიტა, კაცო, მომაწევიე! — გაუხარდა მეთაურს, კონტუზიის შემდეგ რომ თამბაქოს არ იკარებდა, თვითონაც გვერდით ამოუდგა. ამ დროს ბეთქა ტანკის ქვემეხმა და უკუდარტყამმა ორივე აქეთ გამოყარა.

— ჰო-ჰო, ბიჭებო!.. — მიაძახა თვითონაც, როცა მეტყვიამფრქვევემ იაზრა ამ „მკვდარ“ ტანკს ხმის ამოღებას არავინ შეარჩენსო და საფარიდან გახოხება და „ჯაბახანის“ გათრევა ამჯობინა.

ატკრციალდნენ ღონიერი ტყვიები კოშკურაზე და ასხლეტილნი ორივე მხარეს წაბზუილდნენ.

— მოაწექი, შენი დედა... უჯიკე! — წივის მეტყვიამფრქვევე და ტანკის გვერდით დაჩიავებულ „მაქსიმკას“ ლაფში ჩაჩოქილი უბიძგებს. წინ უნდა წაიწიოს, როცა ისეთი ნაცადი მეთაური მათთანაა.

— მიდით, ბიჭებო! მოვწევ ამ ოხერს და მეც ახლავე...

გოშხეთელიანი მაგარია, ხმას არ იღებს, მაგრამ ხომ ხედავენ: თუ ახლა თამბაქოს ბოლება შეიძლება, ალბათ ქვეყანა მთლად არ დაქცეულა და წინ ხოხვით სვლაც შეიძლება.

ტანკის საფარის იმედად კიდევ რამდენიმე წახრილმა მებრძოლმა მოირბინა და მეთაურებს რომ გადააწყდნენ, ტყვიამფრქვევის კვალს დათხილები გამოუდგნენ. ისევ მიდიან მუხლუხების ღრმა კვალზე და წინა ხაზებისკენ იშლებიან. შორს ქვემეხს ჭაპანწყვეტით მოაგორებენ, მომცრო ნაღმსატყორცნების ლულებსაც მოაბორძიკებენ. მაგრამ ისევ აკაკანდა იმ ხაზზე მტრის ტყვიამფრქვევი, „სოროკოპიატკამ“ რომ ჩააქრო, უთუოდ სხვა უბნიდან გადმოიტანეს. აჭრიალდა გაბმულად ექვსლულიანი ნაღმსატყორცნიც და წინ წახოხებულების თავზე ისევ ადუღდა ცა და მიწა. ტანკის დაგლე-

ჯილ მუხლუხას ფრთასაც დაეცა და აფეთქების ტალღამ გოშხეთელიანი და ბოკერია ჯავშანს ისევ მოგლიჯა. ტანკის საძრომში ვიღაცამ თავი გამოჰყო და რაკი ცეცხლი არ ეკიდა, გარეთ გამოძრომას ისევ შიგ ერჩია თუ მეთაური შეიცნო? მაშინვე მიიმალა... ავთანდილი გრძნობდა, აქ დგომით და პაპიროსის წევით უფრო დიდ საქმეს აკეთებდა, ვინემ წინსვლით და ტყვიაზე შუბლის მიშვერით. იქ ხუთი მებრძოლი თუ დაინახავდა. აქ, ტანკის ნაკვალევზე დაძრულ მოიერიშეებს მეთაური გზამკვლევივით და რწმენის კედელივით ხვდებოდათ, თუმცა ბრძანებებს აღარ იძლეოდა და წინ არავის ერეკებოდა. ახლა უკვე ყველა წინ მიდიოდა, რაკი მეთაური აქ იყო, თუმცა საკომანდო პუნქტში ჯდომა და თვალთვალი ევალებოდა. იქიდან რომ გიკიჟინებენ, შესაძლებელიც შეუძლებლად გეჩვენება. ამ დროს ნამდვილი მეთაურის შენს გვერდით დგომა წარღვნის ცეცხლს ანელებს და წაქცეული მებრძოლი, სიკვდილს კი არა, მეთაურს ხედავს.

გოშხეთელიანი უნდა წასულიყო. მისი მზვერავ-მებრძოლები მარჯვენა ფლანგზე უტევდნენ, ახლახან ჩამქრალი მტრის ტყვიამფრქვევის მიმართულებით, თვითონაც უნდა მიშველებოდა. პირველი გარღვევა მაინც მას თუ შეეძლო.

არაფერი შეშლია, ნამწვი ნერვიულად მოსრისა და ავთანდილს ნადავლი (ვარია კუდრიაშოვას სახლიდან წამოღებული) პაპიროსები გაუყო, ამოტრიალებულ, ცეცხლჩანთებულ ხნულში და კვამლის სვეტებში შეძვრა.

24.

მტერი თვითონ „გეუბნება“ წინ საითაა და ერთადერთი გზაც იქითაა. ეს გინდა არ გინდა იცი და რამდენს ფეხ! აითრევ, რამდენს ხვრელისა და სოროს ძებნაში დროს დაკარგავ, რამდენს დაყრუვდები, თუ მოიყრუებ, დაბრმავდები, თუ თვალებს დახუჭავ, დროს გაჭიმავ და იმდენად ნაკლები შანსია გადარჩენის. რამდენს იცდენ, იმდენი მოდის და რამდენს გააჭიანურებ — იმდენად გაზრდი შენზე დამიზნებული ტყვიის რიცხვს. ვითომ რომ გგონია, შენს გასაკეთებელს ვინმე გააკეთებს, ვინმე გაკვალავს და შენს გასახვრეტ შუბლს სხვა გაიხვრეტს, ისიც იმას ფიქრობს. ორი შუბლი არც იმ „ვინმესა“ აქვს და მასაც ის უნდა, შენ გააკეთო მისი გასაკეთებელი. ამ დროს კი ორივე მეტს კარგავთ.

აგერ რომ შენს გვერდით ბიჭი აფართხალდა, კი გგონია გაგიმართლა, მის ადგილზე რომ არ იწექი და რაღაც ვარაუდით იმედოვნებ, ყველა ხომ არ უნდა დავიხოცოთო. იმ გადასარჩენთა მცირე რიცხვში აპირებ შეძრომას, მაგრამ ომში დადგენილი არაა რამდენი უნდა გაწყდეს და რამდენი გადარჩეს. შენსა და იმ დაღუპულს შორისაა სიკვდილ-სიცოცხლე შუაზე გარწყული, თორემ საერთოდ რამდენია ამაღამდელისთვის განწირული, ომის ღმერთმაც არ იცის. თვალნათლივ ხედავ, ასეთ განკითხვაში ნახევარი ცოტაა. სამესამედად კი, მეორე მხარეზე რომ ჩია ბიჭი მოხოხავს, მიწასაც არ აჩნია. შენს და მას შორისაა ერთ-ერთი გასამეტებელი. წელან აგცდა, მაგრამ ახლაც შენ აგცდება? ასე ერთის გამოტოვებით ნამეტანი მათემატიკური კანონია და ეს შეუძლებელია...

შეუძლებელია!..

დაიჯერებ ამას და სიკვდილის შიში გადამბლავებს. ყველა გასროლა შენზე დამიზნებული გგონია და ყველა ჯურის ტყვია და ნამსხვრევი შენკენ მოფრინავს. მართლაც დაეცა აგერ, შენ ახლოს. გოროხები და ბელტები რომ გაცვივა, ისინიც აფეთქდება გგონია. უილაჯოდ ელოდები დაგლეჯას, დაფლეთას და საშინლად განიცდი, როგორ იგრძნობ ამას — თუ ყველაფერი გეტკინება, როცა ასად და ათასად გაიხლიჩები? რა სატანჯველი იქნება ეს? ნაღმი იმ ჩია ჯარისკაცის წინაც დაეცა. აგერ შენამდე მოაღწია „მისი“

ნალმის ნამსხვრევებმა და შენს მუზარადზე გაჩხაკუნდა. როგორმე ისევ რომ წაჩოჩდე... იქნებ წინ ვინმე დაიღუპა, იქ უკვე გააკეთა თავისი საქმე სიკვდილმა და ახლა საკბილოს სხვაგან ეძებს. უკან აღარ მობრუნდება — ორი გვამი ერთმანეთის გვერდით იშვიათია და თუ მკვდარს თავს შეაფარებ, გადარჩები.

კი, აგერ აგდია. მადლობა ღმერთს, შენ უკვე მესამედი ხარ, თუ წელან შენს გვერდით დაღუპული, ჯერ კიდევ თბილი გვამი ერთად ხართ ანგარიშში ჩათვლილი. მაგრამ ის ჩია, უკან რომ ჩამორჩა, ისევ გიახლოვდება. ისიც თუ თქვენთანაა და ოთხივე გიანგარიშეს, მაშინ ისევ ნახევარია დახოცილი და ნახევარი საღსალამათი. ნახევარი კი აქ მეტისმეტი ფუფუნებაა. ამაზე ფიქრს ვერ გაბედავს ვინც ისმენს — რა გახელებით ტატანებს ტყვიამფრქვევი, ავტომატი და შაშხანა; სკდება ნალმები და გრგვინავს ჟურვები. ვინც ხედავს, როგორ იხრჩობა და იგუდება მთვარე მხრჩოლავი კვამლის მხუთრში.

რა მოხდა, როგორ გადაურჩა ეს ჩია, გალეული ბიჭი ცხვირწინ გახეთქილ ყუმბარას. ვითომ არც დაჭრილა? თუ ჯერ არ გაუგია და სისხლიდან რომ დაიცლება და ძალ-ღონეს დაკარგავს, მერე გაიგებს.

არსებობს დაჭრილები... დაჭრილების პროცენტები... „ამდენი და ამდენი დაიხოცა, ამდენი დაიჭრა, ამდენი გადარჩა“.

ბედის სასწორი ისევ შენკენ იხრება. უსისხლოდ გადარჩენაზე ფიქრს ვერ ბედავ, მაგრამ არსებობს დაჭრა?.. შენ ხომ დაუჩეხავ, უმტკივნეულო გადარჩენაზე არ ოცნებობ. ეს, კაცმა რომ თქვას, უსამართლობა და ბოროტებაც კი იქნება დაღუპული მეგობრების წინაშე. ისინიც ხომ შენსავით დედის უბიდან დაიბადნენ და შენსავით შეხვროდნენ სიცოცხლეს. იმათი დედები რომ შავს ჩაიცვამენ, დედაშენმა როგორ თქვას: ჩემს შვილს ფრჩხილი არ სტკენიაო.

დაჭრა აქ იგივე სიკვდილია. ახლა, როცა ძაღლი პატრონს ვერ ცნობს, დაჭრილი ვარო კი ვერ წამოდგები და უკან არხეინად ვერ გაქუსლავ. ისევე უნდა იფორთხო და იჯახირო, როგორც აქეთობისას. აქეთობას რა გიშავდა, ხელ-ფეხში ძვლები მთელი გქონდა და სისხლიდანაც არ იცლებოდი.

როგორ აკანკალებს მიწას, როცა ჟურვი ჯერ კიდევ ჰაერში ზმუის. დაეცემა და გახეთქვამდე ისე ჩაზნიქავს, ჯაგლაგ ცხენს რომ ბედაურის საპალნეს აკიდებენ. გასკდება და ზათქით ამოისვრის თავისივე ჯიგრის ნაფლეთებს. ეს აგცდა?.. აქვეა ნალმები — ნალმსატყორცნებიდან დამიზნებული, ან მიწაში ჩაწყობილი. ერთი ისეთნაირიცაა, მტერი რომ მტერს არ უსურვებს. ფეხსნების წინააღმდეგ ფლავენ, წამოედები და რაღაცას მგლის საფანტივით შემოგაყრის, უფრო წელს ქვევით. შეიძლება არ მოგკლას, მაგრამ წვივებს, ბარძაყებს და ჭანჭლებს სულ დაგიფლითავს. კაცობა რომ დაკარგო, მაგას ის არ ჯობია, ჟურვი თავში დაგეცეს?

შეტევის დროს ნეიტრალური ზონაა უსაშველო და უსასრულო გეჩვენება, თორემ მტრის სანგართან იერიშის ბედი მალე წყდება — სიკვდილი ან სიცოცხლე. აქ იმდენს ჯახირობ სულთმობრძავივით, ბოლოს და ბოლოს, სისხლი თავში გივარდება. გინდა წამოხტე და გაიქცე — ბარემ მოხდეს, რაც მოსახდენიაო, მაგრამ წელი ვერ აგიღია. წამოდგები და იცი, მერე ამ ატალახებულ საფარსაც ვეღარ ეღირსები, შენს ლოგინზე და სიმინდის ულვაშით გატენილ მუთაქაზე ვეღარ იოცნებებ. დილით დედა რომ ვერ გაღვიძებდა: ძროხა და თხები გამოწველილია, ადექი, ბიჭო, დაწყდა საქონელი შიმშილითო!..

იქნებ სხვას უფრო ადრე უღალატოს ნერვებმა და წინ გაგიძღვეს და მტერთან თუ მიგასწრო, ცეცხლს მას შეაგებებენ. იქნებ მთლად უტყვიოდ გადარჩე და სანგარში თავქვე გადამხობილი

შენი მფარველი ბიჭისათვის შურიც იძიო.

ვაითუ იმ სიცოცხლემოსწრაფებულსაც თავისი გოგოსთვის ისევე არაფერი აქვს ნათქვამი, როგორც შენ?.. არადა, აქეთ რომ მოდიოდი, მაშინ მაინც გაგემხილა. იცოდეს იმანაც, რომ ასე საიდუმლოდ და ფაქიზად გყავს გულში ღრმად ჩამარხული. ენით ვერ ამოთქვი, პირიდან არ ამოგეტია და... ღმერთო ჩემო, ეს საძმო საფლავში რომ ჩაგყვეს, როგორ ჩაეტევი. როგორ ჩაეტევით, თუ ყველას შენოდენა სიყვარული ჩააქვს და რა მიწამ უნდა დაგფაროთ, სადაა ამდენი მიწა...

ვინაა? აქეთ გამორბის? გადაირია! დაჰკარგა მოთმინება, დაუწყდა ძარღვები და უნდა ბარემ ერთხელ და სამუდამოდ დაწყნარდეს?

თითქოს არც ჯარისკაცია, არც მეთაური, არც შენსავით ფარაჯა აცვია, მაგრამ არც ბლუზის ამარაა. მუზარადიანი თავი შენკენ ისე აქვს მოშვერილი, სახეს კი არა — გულისპირსაც უფარავს. კვამლი და ბოლიც გადახრილი მთვარის შუქს არ განებებს, რომ ხეირიანად გაარჩიო. დაყრუებულს ძახილიც კი გესმის: „წინ, ბიჭებო!“

ოო, ეს ის მეთაურია! მტრის ზურგიდან „მოენე“ გამოიყვანა, ამას კი უნდა გაჰყვე. თურმე იმდენი ნაბრძოლია... დანაჭერიც, დანამარხიც... ამას როგორ მოშორდები, აქეთ მოდის თუ გაუხვია!? ალარ ჩანს, მაგრამ აქაა. აქაა და ისე დაშლიგინებს, მაგას მართლა სიკვდილიც ვერ მოახელებს...

ე, დაიძრა ვიღაც, საიდანაც წელან გამორბოდა, იქიდანაც წამოიკუზა ჯარისკაცი და შენსკენ მოსისინებს:

— წინ, მაგათი დედა!..

— წინ, მაგათი!.. — წამოეშველა სხვა და გვერდიგვერდ გამოჰყვა.

— ვაშა, ბიჭებო, ვაშა! — ჯღავი შენც გადაირიე?! რა დროს ვაშა და ვაშაა! თუ სხვა გზა ალარაა და იღუპები, ვაშას იძახი და საერთოდ ენა, ყელი და გული როგორ გემორჩილება. ხმა როგორ ამოგდის პირიდან?! ისევ „ვაშა!“ აგერ, ამ ჩიამაც დაიძახა, იმას იქითაც ვიღაცა ხრიალებს და შენც ისევ?..

შეენც?

აბა ვინაა ასე ახლოს, შენს ამოლაფულ მაზარაში რომ ღრიალებს ასე თავგანწირვით? შენი შიში და უმწეობა, შენი დათრგუნვილ-დადამბლავებული უენობა და უთქმელობა ხომ არ გასკდა და ასე ძალუმად ამოიბოღმა? თუ გული აფეთქდა და ნაღველი ამოიქცა?!

— ვაშა! ვაშაა!..

ადგილიდან გისვრის ელდა, კანკალი, ძრწოლა, დაღუპვა თუ უიმედობა... წინ გერეკება? ფეხები უკან გრჩება და გარბიხარ? ხედავ სიკვდილს უვარდები პირში და გარბიხარ? ჩქაროობ? იცი სანიშნე ხარ, გესვრიან, გიშენენ და არ გესმის, არ ხედავ, არ გრძნობ; რაკი ყველაფერი იწვის, ირუჯება და იღუპება. არც უძრაობაშია ხსნა და არც გაქცევაში, არც უკან დახევაში და არც წინსვლაში. მაგრამ უძრაობა მანამდე ამოგხდის სულს, სანამ სიკვდილი მოვიდოდეს. სრბოლა — პირისპირ შეხვედრა და ერთხელ დაღუპვაა. ორ... სამ... ათ სიკვდილს ერთი გირჩევნია.

— წიიინ!

შემოგაცხავა ტყვიამ ფარაჯის კალთები და იქნებ შენც საცერივით მოგაქცია.

— წიინ! ვაააშა!

სად წინ?! „წინ“ გელოდება დედაშენი და ამაღამ რომ დაიძინებ, დილით გაგაღვიძებს? „წინ“ გაამხელ იმ ცოდვით გულში ნამალავ, ნალოლიავებ სიყვარულს? წინ რა გინდა?!

წინ და ასე ჩქარა? ასე სულწასულად და ფეხშეუშლელად?! როცა მტკაველი, მტკაველი მიწა არაა — ორმოთი, ხრამით, ძაბრით, ბელტით და გოროხით, ნამსხვრევით, ნამტვრევით, ნანგრევით არ იყოს ნაგვემი და დასახიჩრებული; ახლაც არ სკდებოდეს, წიო-

დეს, სიოდეს, იმსხვრეოდეს და ილეწებოდეს?..

— ვა-აშაააა! წინ, ბი-ჭე-ეებო!

25.

სოფელი მარჯვნივ რჩება და ბრძოლა ოდნავ შემაღლებულ, ვრცელ სანახებში მიდის, მაგრამ მაინც არავინ იცის, მტრის ან მოყვრის რამდენი ჭურვი და ბომბი ერგო, რამდენი სახლი და კერია დაიქცა. ამ ვრცელი სანახების მიღმა კუდრიაშოვების სოფელია.

ავადმყოფ, ხორცსავსე, ფაშფაშა მარფა ხარიტონოვნას სახლიდან ბოსლამდე გასვლა უჭირდა და მის ქალიშვილს ლუსიას კი აქეთ გამოხედვაც არ უნდოდა. ამის დანახვა მოასწრო ავთანდილმა საღამომდე, სანამ გერმანელ ოფიცერს გაკოჭავდა. მერე „სიდედრი“ და „ცოლისდა“ . რა ჭკუაზე დადგნენ, ამისი გაგების სურვილი ბოკერიას და გოშხეთელიანს რომც ჰქონოდათ, მხარზე მოგდებული „ძვირფასი ქვისლი“ არ მისცემდა საშუალებას. თუ ლუსიამ და მარფა ხარიტონოვნამ თავს არ უშველეს სახრჩობელა არ აცდებოდათ. მაგრამ თუ რაიმე სასწაულით ეს ორი დღე მტერს კვალი დაუბნიეს, უკან დაბრუნებულ მოყვარეს შეუძლიათ პირნათლად დახვდნენ: რუსმა მზვერავებმა მათი ოჯახიდან წაიყვანეს „ოქრო“ გერმანელი.

ახლა მაინც არ იყო ამაზე ფიქრის დრო და ადგილი, მაგრამ რას გაიგებ როდის რაზე უნდა ითავცემო და სად რა დარდი და ფათერაკი წამოგეწევა.

საცაა ალიონი დაჰკრავს. მტრის მეწინავე სანგრებიც სისხლის ტბორით აივსო. ჭაობების გაზაფხულის მზით წაშრობისთანავე მოწინააღმდეგე თურმე წინ უნდა დაძრულიყო და უკან ფეხი არ მოიცვალა. ხელჩართულ ბრძოლასაც არ დაერიდა და სადაც ამდენი ჩახოცილი ჯარისკაცი ჩატოვა, ისევ და ისევ, სისხლის ფასად დაგიჯენს.

სატანკო ნაწილები ღრმა ზურგში ჰყავდა და ამ თავგანწირულ შეტევას ან მართლა არ ელოდა, ან მოგიერებას უმისოდ შეძლებდა ეგონა.

ჭენჭყო და ჭაობი კი არა, ამ გაზაფხულის პირზე ეს შემაღლებული სანახებიც არაა სანდო და მძიმე ჯავშნოსნებისათვის ხელსაყრელი, მაგრამ უკუგდებული მტერი უკვე აღარაფერს დაერიდება. ავთანდილის ვარაუდით, მოწინააღმდეგის ტანკებს გათენებამდეც უნდა მოეღწიათ. მაგრამ მანევრირება ეტყობა იმაზე მეტად გაუძნელდათ, ვინემ ეგონათ, ან მოიერიშე ახალ ძალებს თავი სახელდახელოდ ვერ მოუყარეს.

შავლეგიშვილი, სარეზერვო ასეულების გარდა, ეტყობა შტაბს, მეკავშირეებს, საინჟინროს და სამზარეულოსაც არ ზოგავს და წინ ახალ და ახალ ძალებს ერეკება. უთუოდ დივიზიიდანაც რაღაცა იმედს იძლევიან: თავიანთ რეზერვს გამოიმეტებენ, ან მომიჯნავე პოლკიდან ასეულებს გადმოისვრიან, თუ, რა თქმა უნდა, ამ საფლობებში შემოაღწიეს.

აღებულ სანგრებში ნაღმსატყორცნების ბიჯგები ვერ გაუშლიათ, ფსკერი ისეა ჩახოცილებით მოფენილი და ამდენი ცოცხალი ჯარისკაციც ერთმანეთს ხელს შეუშლის, სვასტიკიანი ტანკები რომ სათელად და საჟლეტად მოიჭრებიან ზარალიც მეტი იქნება. რკინა-ბეტონის საცეცხლე წერტები რამდენს შეიფარებს. შეგულიანებული მებრძოლები მკვდრებზე დადიან. სანამ გათენდებოდეს ყველა მტრისა ჰგონიათ. ორი ტანკსაწინააღმდეგო მცირეკალიბრიანი ქვემეხის შემოთრევაც მოასწრეს. ჯავშანგამტანი თოფებიც აქამდე უქმად ათრიეს და ტანკსაწინააღმდეგო ნაღმებიც ჯერ არ გაუხარჯავთ. ხელყუმბარები გაუთავდათ. ხელყუმბარები სასანგრო ბრძოლის დროს ყველაზე მეტად აკეთებს თავის საქმეს. ნაღმსატყორცნი რაც უნდა ახლოს მოათრიო, ისიც ღამით, ათი გასროლიდან ვიწრო თხრილში ერთ ნაღმს ვერ ჩააგდებ. მებრძოლი თავისი ოფლით და სითბოთი ნატარებ ხელყუმბარას, რაც არ უნდა გამოუცდელი იყოს (ბოლოს-

და ბოლოს ქვა ყველას უსვრია), უმიზნოდ და უგერგილოდ არ გადააგდებს. იცის სადაც ის დაეცემა იქ მტერი აღარ დახვდება. და თავში უნდა დასცეს, რომ თავისთვის უშიშარი ადგილი გაიჩინოს.

ტანკების გრუხუნის ხმა მოიტანა ზღვის მოთბო-მომლაშო ნიავმა. ღმერთმა ნუ ჰქნას, გათენებამდე არ შემოიჭრან. ამ ურჩხულების ჯავშნიანი, განიერი მკერდი რომ სანგრებზე გამოჩნდება და ცეცხლისმფრქვეველი მოქანავე ხორთუმები თავზე წამოადგებათ ამ, უმეტესად წყალწყალა მებრძოლებს, შარვლებში ჩაასვრევინებს. ვინც წუხანდელ ქლეტას გადაურჩა და საომარი ნათლობა მიიღო, ახლა ორმოებიდან თავს აყელყელავებს და ვითომ ისევ წინსვლას ეპირება. ჭურვების და ნაღმების სკდომას, როცა სანგრებში თავი დაიგულეს, ისე აღარ უფრთხიან, რაკი იგი უთავშესაფრო ველზე გამოცადეს.

ნაწილი მეორე

თავი პირველი

1.

შუქშენიღბვით ისეა ქალაქი ჩალუსკუმებული, თვალში თითს ვერ მიიტან. ხეშეშ ქაღალდში შეხვეულები, მკერდზე ორივე ხელით ისე მაგრად მიეკრა თეკლას, თითქოს მათთან ერთად გულის ბუდიდან ამოვარდნასაც იჭერდა. თითქოს თბილისის ვიწრო ქუჩებში კი არა, უკაცრიელ უღრანში გარბოდა და უკან კაცის სისხლზე დაგეშილი მშიერი ნადირი მოსდევდა.

საუბედუროდ, ეს არ იყო მოჩვენება. რაკი „ნადირი“ არც ისე ფრთხილობდა, მისი კუდში დევნა შეუმჩნეველი დარჩენილიყო. უნდოდა მსხვერპლი მოემზადებინა და განეწყო თუ, ღმერთმა არ უწყის, ეშმაკს და მავნეს გულში რა უდევს (თუ გული დაერქმევა, სადაც კაცს კაციშვილის განწირვა და დაღუპვა უტრიალებს).

ათას ჭირსა და სნებაში გამძვრალი გოგო მიეჩვია შეუძლებელზე და არაადამიანურზე ფიქრს, რაკი დღე ერთი იყო და იმდენი შემზარავი და შემაძრწუნებელი რამ ესმოდა, კაცისგან კაცის ხორცის ჭამაც არ უნდა გაჰკვირვებოდა. დახვედრა, გაძარცვა, ძალადობა თუ ღორივით ქუჩაში ყელის გამოჭრა... ძალა რომ შესწევდეს, ამას, ამ დღეებში, ალბათ თვითონაც ჩაიდენდა მისი ერთადერთი სასოება — ბებიისათვის რომ ამომავალი სული ჩაებრუნებინა.

ელპიტეს, ქალიშვილია სიკვდილის შემდეგ, ყოველდღე მიჰქონდა წერილი და მიდიოდა თავის ერთადერთ ამქვეყნიურ ბედნიერებასთან, რომელიც იმიერს ეგულებოდა. აღარ უჭირდა ამ ცოდვილი ქვეყნის დატოვება. აღსასრულს ისე მოუთმენლად მოელოდა, როგორც ერთ დროს შვილის აბასთუმნიდან დაბრუნებას. მას მერე, რაც „ოქრომჭედელს“ თავისი გალეული ჯვარნაწერი ბეჭედიც ორი დღის პურის ფულში მისცა, დაიჯერა: შვილიშვილისათვის ზედმეტი ბარგი ვარო და ჭამა აღიკვეთა.

„ნეტარ იყვნენ რომელთა ჰშიოდის“... — თქვა და აღარაფერმა გაჭრა, ლუკმა პირში არ ჩაუდევს. ყოველ ცისმარე დღე მამაზეციერს ეეედრებოდა: „დასდევ, უფალო, ცაცო პირსა ჩემსა და კარი ძნელი ბაგეთა ჩემთა“ და სული მიიბარეო. ღამეს გაწყობილი ხვდებოდა და მაინც ისე გაიტანჯა, ვერაფრით ძვლებზე გადაკრულ, დაჭმუჭნულ ტყავს სული უზიარებლად ვერ გამოგლიჯა.

თეკლას ამ ახალმა, ენით აუწერელმა ტანჯვამ დედის საფლავიც კი დაავიწყა (დედამ შვილზე სიკვდილის წინაც იზრუნა, მისი ამომავალი სული თეკლას არ დაუნახავს). ბებია კი ყოველდღე კვდებოდა და ამქვეყნიურს გაყრილი, მოთბო, სიკვდილით ჩონჩხადქცეული, უღვთოდ აწამებდა თავის ერთადერთ პატრონსა და დამტირებელს.

ზიარებას მოითხოვდა, როგორც ბარგშეკრული და გზას დამდგარი — საგზურს, სანამ ლაპარაკის თავი ჰქონდა და მერეც, როცა ენა წაერთვა და მოცახცახე ხელით პირჯვრის გადასახვაღა შეეძლო.

ღმერთო, რა გასაძლებია მარტოხელა, უმეზობლო და უმეგობრო გოგოსთვის ყოველდღე სიკვდილის თვალში ცქერა! შიში, უძილობა, შიმშილი, სიცივე და უმწეო ჯვარცმულის, სიკვდილის ცივ კლანჭებში გათანგული საცოდავი სულთმობრძავის თვალებში ლაციცი. რაკი წუთისოფლიდან წასვლა გაუგრძელდა და სადაც დიდი სურვილით მიისწრაფოდა — არ ეღირსა, ტანჯულის ცივ, უმოძრაო თვალებში სამდურავი გაჩნდა... სამდურავი და საყვედური ღმერთის მიმართ?.. ელპიტეს ორი ღმერთი ჰყავდა: საიქიო და საქაო. სასუფეველი მას არასოდეს განუსჯია და დაჰგმო ამქვეყნიური — თეკლა, რაკი იგი თავს დაწრიალებდა და წყლით, წამლით, ნემსითა თუ ცხელი სათბურებით, ზიარების მაგიერ ბრინჯის ნახარშით, თუ წყალწყალა ფაფით არ ანებებდა ხსნას, იმიერს — მარადიულ სუფევას... ბოლოს სამი თითის საძრაობაღა შერჩა, ხელი შუბლთანაც ვეღარ მიჰქონდა და იმ სამი თითითაც პირჯვრის გადასახვას და სულთათანას ივედრებოდა. იტანჯებოდა სიცოცხლით და ილტვოდა მისგან. სიკვდილის ნეტარებას დაშურებული ხედავდა თეკლას, რომლისთვისაც თვითონ წამება იყო და მისგან წამებულის ცქერა ჯოჯოხეთში ახედებდა. ელპიტემ რწმენით იცოცხლა და თუ საქაოში ღმერთს ვერაფერი დასტყუა (ჭეშმარიტ მორწმუნეს არ უნდა ენდომებინა), ახლა სჭირდებოდა, როცა წუთისოფელს სტოვებდა, რომ საიქიოში გადასახლება გაიოლებოდა.

შესაშურიც იყო ასეთი სიკვდილი. ნეტავ ეს თეკლასაც შეძლებოდა, რომ ბარემ მასთან ერთად გადგომოდა იმ გზას, რომელსაც დღეს-ხვალ მაინც ვერ აცდებოდა და რამდენს დააყოვნებ, იმდენად ცოდვით და წარწყმედით დამძიმდები. აქაც მეტს ეწამები და იქაც აღარ მიგესვლება. ელპიტეს ხსნა რწმენა იყო და ჭირისუფალს ხორცზე მეტად მის სულზე უნდა ეზრუნა, მის ღმერთზე და საიქიოზე უნდა ედავიდარაბა. მორწმუნე მომაკვდავისათვის ზიარება (ან მზიარებელი სად იყო), შვება და ქვეყანასთან გამოთხოვებაა. ეს თუ იცი და უსრულებ, სამუდამოდ ემშვიდობები, უხსნი საიქიოს კარებს...

თეკლა შეულეველს ვერ შეელია. შეეძლო თუ არ შეეძლო, ყველაფერს აკეთებდა: თავისი ღმერთი — ბებია გადაერჩია და ბებიას ღმერთიც. ცალ ხელში კოვზი რომ ეჭირა, წყალწყალა კისელით თუ ჩაის წყლით (რომლის დანახვა მომაკვდავს ისე არ უნდოდა, როგორც სატანის გამოცხადება), მეორეში — სახარება.

მაგრამ ელპიტეს სახარების კითხვა და ზიარება საქაო პურ-ღვინოდ კი არ უნდა, საიქიო რწმენად და სულის ხსნად. ამას მარტო ანბანის ცოდნა და მამაოჩვენოს, ათი მცნების და ცხრა ნეტარების გაზუთხვა არ შველოდა. სანთელი უნდა აგენთო, ჩვრებში გამოკრულს რომ ინახავდა; სიტყვაში რწმენა უნდა ჩაგედო, ხელაპყრობილს უნდა გეღაღადა აღვლენა ლოცვათა. მოხუცს გონებით არასოდეს განუსჯია ღმერთი და რაიმე მეტი და ნაკლები არ უძებნია საეკლესიო რიტუალებში. რაც მან იცოდა, ყველაფრის გულწრფელი დაცვა მიაჩნდა რწმენად: „შიშით და ძრწოლით მივეახლნეთ ყოველნი საღმრთოთა საიდუმლოთა მეუფესათა“...

„გონება, სული და გული წმინდა ჰყვენ მაცხოვარო, და ხორციცა ჩემნი, და ღირს-მყავ მეუფეო, დაუსჯელად მი-

ახლებად, საშინელთა საიდუმლოთა შენთა". და ახლა, „ხორცისა ჩემნ"-ის დატევების ჟამს: „ნუ განმაგდებ მე, პირსა შენისაგან და სულსა წმიდასა შენსა ნუ მიმიღებ ჩემგან".

სანამ ელპიტეს სასიცოცხლო ძარღვი აქ ფეთქავდა, იმიერს აქედან მსახურებდა, მაგრამ როცა არსობა მისი ორად გაიყო, თვითონაც ორად გაიხლიჩა: საიქიოდ — შვილად და სააქაოდ — შვილიშვილად, ხორცად და სულად. ახლა, როცა გაემზადა მიძინებად, „მირქმად" სულისა, აქ ხორცად დატოვებული სულისაგან ჭეშმარიტი რწმენა უნდა გაჰყოლოდა საიქიოში გამთლიანებისა. რაკი გაყოფა (ასმათის სიკვდილით) სააქაო გოლგოთად ექცა, თუ იქაც გათიშული იქნებოდა, შვებას და სამოთხეს ვერ ეზიარებოდა. და, ენაწართმეული, ევედრებოდა ხორცსა თვისსა თეკლას: „რათა უცხო ვიქმნე ვნებათაგან შენითა მადლითა და ღირსვიქმნე ქონებად, მოგებად გონებისა სიმტკიცესა, ზიარებისათვის წმიდათა შენთა საიდუმლოთა".

უბედური გოგო ვერ ხედავდა, რომ სცოდავდა, როცა მომაკვდავს ზიარებისა და ხსნის მაგიერ აყოვნებდა, ბორკავდა ნებას მეუფისას ანგარებისთვის და არ შესწევდა ძალა გაეწირა თავი მარტოობისათვის და განეკითხა ჭეშმარიტი არსება თვისი. ჰზარავდა შიში, განტევების ჟამს, გულუბრყვილო მოწამეს ნათელხილვა არ ხლებოდა, არ შეეცნო გაუმეტებლობა, უშურველის შური და შეუულევლობა. ამაოდ შეთხოვდა სულთმობრძავს: „გული წმიდა დაბადე ჩემთანა ღმერთო და სული წრფელი განმიახლე გვამსა ჩემსა".

მაგრამ განწირულში, სიკვდილის ხსნად მოლოდინმა და აღსასრულის დაღირსებამ, სიძულვილი ჩაასახლა ამქვეყნიურისადმი. მიცვალებული დამარხვას ითხოვს და თუ ეს არ მოხდა, ხრწნას იწყებს. ასე დაიწყო მისმა ღვთისმოსავმა სულმა გმობა, უკვე მისთვის ზედმეტი და საძულველი ქვეყნისადმი, რომელმაც სააქაო არ აღირსა და ახლაც ყოველდღე რომ შვებას ელოდება, არაფრით ანებებს. არადა, „მთელი გაუხარელი სიცოცხლე ჰპირდებოდნენ: „ნეტარ იყვნენ წმინდანი გულითა, რამეთუ ღმერთი იხილონ".

აღარ უნდა სიცოცხლის — შვილიშვილის თავზე გადაკვდომა, კლანჭებით ჩაფრენა და დაყოვნება. პირში კოვზით ათასნაირი ძირმწარის ჩაღვრა, ჩხვლეტა, ბანა, გვემა და ცრემლები. ეს ყველაფერი ამ ქვეყნისაა, რომელსაც მან პირი აქცია. სადაც იგი უდრტვინველად, წმიდად ეწამა და დაიმკვიდრა სასუფეველი — „ნეტარ იყვნენ მშვიდნი, რამეთუ მათ დაიმკვიდრონ ქვეყანა". ისევ და ისევ აქეთ მობრუნება ცოდვაა და სცოდავს, ვინც ამისთვის იღწვის. უსიყვარულოდ და უღმერთოდ ექცევა, არ ივრდომებს უსასოოს და ჯვარზე აკრავს ჯვარცმულს. „ნეტარ იყვნენ მოწყალენი, რამეთუ იგინი შეიწყალნენ." და, რამდენადაც ეს „უწყალო" მისი ხორცია ხორცთაგანი და სული სულთაგანი, დიდია ცოდვა მისი და მიუტევებელი.

თეკლას თავზე ორმაგი უბედურება დატრიალდა, ბებიასთან ერთად ჰკარგავდა მის უზარმაზარ, უკიდეგანო, უანგარო გრძნობას. ეს გარდაცვალებაზე უფრო დიდი ვაებაა. მართლა და მართლა მოხუცი უკვდავი ხომ არ იყო, მაგრამ მისი უსაზღვრო სიყვარული შვილიშვილისათვის აქ უნდა დაეტოვებინა და სანამ იარსებებდა, თან უნდა ხლებოდა, მასთან ერთად ეცოცხლა.

ახლა კი, სიცოცხლემოძულებულ მოხუცს იგი ან აღარ გააჩნდა, ან თან მიჰქონდა, თეკლას რომ საიქიოს იმედი ჰქონდა, სიკვდილის მერე თუ დაუბრუნებდა.

და თითქოს...

ღმერთო შეუნდე ცოდვილ მოკვდავს და... თითქოს კი არა... ბარემ... ერჩია. ზეზეულად გახრწნილი, ბარემ გაჰყოლოდა წუთისოფელს, ერთ დღეს აღარ დახვედროდა. კაცმა არ იცის ამას როგორ გადაიტანდა, ალბათ ჭკუიდან სამუდამოდ გადავიდოდა, მაგრამ ორივე დაისვენებდა და დაიხსნიდა თავს სახლის ყოველ კუთხე-კუნჭულში დადარაჯებული სიკვ-

ლილის ბასრი და ცივი კლანჭებიდან, მაგრამ არა იმის მოიმედე, რომ „ნეტარ იყვნენ მგლოვიარენი გულითა, რამეთუ იგინი ნუგეშინისცემულ იქმნენ“

2.

ვატუტის დააგვიანდა, გადაჰყვა ჰოსპიტლის დირექტორთან ბრძოლას. საწყალი საშა ლაშხი, მთლად გულუბრყვილო გამოდგა. გადაყვანა და დაწინაურება რომ მოუნდომეს, იმას კი ვერ მიხვდა ეს რისთვის სჭირდებოდათ. ეგონა მისი საქმე და ცოდნა დააფასეს და ახლა, ამ ქვეყნის დაქცევის დროს, ვითომ კაბინეტში გულზე ხელდაკრეფილი ჯდომა არ ინდომა: — „რასაც მიფასებთ და რითაც კაცი ვარ, იმას თუ მომწყვიტეთ, მანდ ბრძანებაზე ხელის მოწერას რა კარგი დასტაქარი უნდა. აქ ერთი განწირული რომ ვიხსნა და ფრონტს ჯარისკაცი დავუბრუნო, ყველა მაგ უამრავ თანამდებობებს სჯობიაო.“ — რავა ეგონა, თუ მისი მოადგილისათვის იღწვოდნენ და ხელები გაასავსავა — „ჩემი საქმე მე ვიცი!“ — არადა, თავის საქმე იმან იცოდა, ვისაც ის თვალში ეკლად ესობოდა.

საწყალ, უანგარო დასტაქარს, დღე და ღამე საოპერაციო მაგიდასთან რომ ეგდო და თვალები ამოღამებული ჰქონდა, როგორ წარმოედგინა, სამი დღის და ზოგჯერ ერთი კვირის წინაც გარდაცვლილი დაჭრილების „ჩამოწერას“ რომ ადასტურებდა და მკვდრების ულუფას მისი ქვეშევრდომები იყოფდნენ.

დაწინაურება რომ არაფრით ინდომა, „საქმე“ გაუხსნეს და დიდი „ხათრი“ დადეს და ამაგი „დაუფასეს“, რომ თავი პირდაპირ ფრონტზე უკრეს — მოწინავე ხაზის სანნაწილში ფერშლად გაუშვეს. ძლივს ერთი წითელჯვრიანი, ხაკისფერი ჩანთა ანდეს: ე, მანდ მედიკამენტები ვაითუ დაჭრილებს არ მოახმარო და როგორც აქ, მკვდრების ლუკმაზე, იქ — სისხლიდან დაცლილი ჯარისკაცების მარლასა და მალამოზე ხელი არ წაგცდესო.

ვატუტის ვარსკვლავი მნათობად იქცა საეჭვო, ბიოგრაფიისათვის არასახარბიელო, „ქვეყნის მოღალატე“ ღვიძლი ბიძა მიიცვალა. ძმა, ომის გმირი გახდა. ჰოსპიტლის დირექტორობა ერთ ხანს, თორემ უკვე „შესაფერისი“ თანამდებობა იყო გამოსაძებნი. ასეც ითქვა არდაძეების სახლში გამართულ წვეულებაზე (მამუკას გმირობას და მექის შვილიშვილის საიდუმლო ნათლობას რომ მიეძღვნა, სადაც ფარნა ისევ არ გამოჩენილა. კვლავ რუსუდანმა იკისრა, ისედაც დამძიმებული, გმირი დედის როლთან უჯიათი მამის ტვირთიც).

ვატუტიმ ისევ შორს გაიხედა. მამუკა გმირი კი არა, მთავარსარდალიც რომ გახდეს, იმ გოგოს ისეა გადაკიდებული, მამაჩემის ნატეხია, ცოცხალი თავით მაგის მიმტოვებელი არაა; მართალია ჯერ ხელმოწერილნი არ არიან, მაგრამ კანონი, ობობას ქსელისა არ იყოს, წვრილფეხობის — ბუზებისათვისაა მოგონილი, თორემ, სად ნახულა, ობობას ქსელში მიმინო გაბმულიყოსო. იმ წვეულებაზე თეკლაც მოიწვია და პირდაპირ რძლად გამოაცხადა. ეს სადედამთილოს ემწუხრა. მარტო იმისათვის არა, ფარნა ამისთვის თმებს დამაგლეჯსო. ასეთ გაჭირვებულ და ნაწანწალებ გოგოზე გმირი მამუკა ახლაც თუ იმ გულით იქნებოდა, ეს ისევ მას უნდა გადაეწყვიტა და აქ მშობელი — გმირის დედა რომ გმირის დედაა,ისიც ვერაფერს ურჩევდა „მამუკა, შვილო, ბავშვი იყო, ისიც როგორი ალალი და მიმნდობი! ვიღაც ტინგიცა გოგო გადაეკიდა, რომელსაც მამა, კაცმა არ იცის, რა ქვეყნის დამქცევი ჰყოლია, დედა ჭლექიანი, ამ გაჭირვებაში ეს გოგოც თვალებად გადაქცეულა, ბებია, თურმე, ხელში აკვდება და საშველი არ ადგება. ინსტიტუტში ალბათ ვეღარაფერს აკეთებს და, საერთოდ, ომის დამთავრებამდე გააღწევს თუ არა, არავინ იცის“... — და ადგეს ახლა დედა და გმირი შვილის ცოლად გამოაცხადოს (ფარნაც არის ამ ტიბზთან ნამყოფი, იმ ჭლექიანების ბუდეში. მეორედ, თურმე, სამძიმარზეც ბრძანებულა. არდაძეებთან ერთხელ მეტად ფეხი არ დაუდგამს). ვითომ ფარნა ხედავს ყველაფერს და

რუსუდანი მართლა ბრმა და ყრუა? მამამამისმა, როგორც მამუკას და ვატუტის მომავალი დაინახა, სხვასაც ისე ხედავს.

დედას სუფრასთან ხმა არ გაუღია, მაგრამ ვატუტის ცალკე უსაყვედურა: თქვენ იმისთანა მამის შვილები ხართ (რატომღაც მამას დააბრალა), რამდენ ქალს ქარი კაბას აუფრიალებს, იმდენს მოინდომებთ და რა ვიცი ვის დაიჯენთ სახლში და ვის იქით დაუჯდებითო. ამან ვატუტიც ჩააფიქრა. გმირი გმირთა გმირი რა ჭკუაზე დადგებოდა, მართლაც საკითხავი იყო, მაგრამ რუსუდანს ამაგი წყალშიც რომ ჩაჰყროდა, თეკლას ქერის ორმოში ჩასმა მაინც მოინდომა.

ვატუტის ასეთი, თავისთვისაც აუხსნელი რამ სჭირდა: თავის მოწონება, თუ შექება რომ მოუნდომებია, ასეთი „მოყვრისადმი ხელის გაწვდენა" „საქმენი საგმირონად" მიუჩნევია. პატივმოყვარენი თავისადმი მარტო ყოვლად მიმტევებელნი კი არ არიან, წამქეზებლებიც და „საქმე ქმნილთა" დამფასებელიც. თანაც „ავთა საქმეთა" წილ „ქველმოქმედნი" და „ცოდვათა" წილ „მადლმოსილნი"

მადლი რომ ჰქნა და უპოვარი განიკითხო, „დოვლათიც" უნდა მოგდევდეს. ცარიელ ჯამში ხელს არავინ უყოფს. „ქრთამი ჯოჯოხეთს ანათებსო", მადლობა ღმერთს, ვატუტის არ უთქვამს. და, თურმე, ჯოჯოხეთს მას აქეთაა ანათებენ, რაც არსებობს... ექნა ფარნა ამაღლობელს ის, რაც ვატუტიმ მამუკას „გოგოს" გაუკეთა. კარგი, ქვეყანა იქცევა და ქორწილების და დღეობების დრო არაა, თუ ხალხს მშვიდობა ეღირსა და ვიცოცხლეთ, მერეისთვის იყოს. მიცვალებულს რა ვუყოთ, დავტოვოთ მიწის ზევით? და ჩვენ რომ კაცთა მშვიდობას ვუცდით, მკვდარი მოუცდის; წარღვნაა და არ აქოთდება? ძვალშესალაგი არ უნდა განსვენებულს და შესანდობარი? ვატუტის მამისაგან აქვს ეს ნასწავლი, აბა, სასულიერო სემინარია კი არ დაუმთავრებია. (სამედიცინოზე სწავლობდა და მკვდრებს ისე ჭრიდა და კერავდა, როგორც თერძი მეწამულ ქიშმირის საჩოხეს). სამძიმარზე რომ ბრძანებულა, ჭირისუფალს მუჭში რა ჩაუდო, არ დაენანებოდა, მაგრამ რა გააჩნდა? დედის და ძმის დასაფლავებისა და ორმოცის გადახდას მთელი სიცოცხლე ვერ აუთავდება. საწლოს, ალბათ, არ გადაიხდის, საწლო გამოგლოვაა და დედის და ძმის დარდს მიწაში ჩაიტანს. კი, ბატონო, მაგრამ გააცოცხლებ?..

ჰო, რა გააჩნია? ერთ სიკვდილს გაივლიდა, რომ ასე დაობლებულ და სულით ხორცამდე გაფცქვნილ გოგოსთვის. შვილის საფიცარი კი არა, ქუჩის მაწანწალა რომ იყოს, სულს არ დაიშურებს, მაგრამ იმ გაწვალებული სულის მეტი რომ არაფერი აბადია!

არც ვატუტის ძმები არ უქნია ღმერთს. ის ნაბოლარაც, ჯერ არ გამოფსხრეკილა და დამიწყო აქ „მამაჩემობა". ორი სიტყვა მაინც მოეწერა... ქვეყანა რომ იქცევა, ვატუტის არ წამოუწყია ეს ომი და, ბოლოს და ბოლოს, ვინც წამოიწყო არც იმას უკრია, ჯერჯერობით ტყვია შუბლში. და თუ დაჭრილი მომაკვდავი იყო, როგორ, ვატუტიმ გაუყარა ხანჯალი თუ? მის მომაკვდინებელს თუ აქვს არსებობის უფლება, ვატუტი იმიტომ უნდა დაისაჯოს, რომ სულთმობრძავი იმ დილით გარდაიცვალა, როცა მისი ულუფა ბურღული და შავი პურის ნაჭერი საწყობში გამოწერილი იყო და მკვდარს პირში არ ჩაატენა? დაჩეხილ-დასახიჩრებულს, ან სიცხით გათანგულს უმადობა სჭირს და რჩება ორი ნატეხი შაქარი და ფრჩხილის ტოლა კარაქი? სად მიაქვს მერე ვატუტის, გერმანიას უგზავნის თუ იაპონიას. ჯარისკაცის საცოლეა თეკლა და დაღუპული ჯარისკაცის დედ-მამა მექი და მარგალიტა. არც ციცოა შორებელი და არც პატარა მარგო, — მამუკას ძმისშვილია და ნოშრევანის დისშვილი.

„კარგი ერთი, მამაჩემო, თუ ღმერთი გწამს, დაიჩემებ რაღაცას და არ მოიშლი! საშა ლაშხი?... მართლაცდა. მამამისის ნაანდერძევი ხომ არ იყო ეს ჰოსპიტალი... და თუ მართალი გინდა, ფეხებზე ეკიდა იმას დირექტორობა.

თავისი საქმე იცოდა და უყვარდა. ახლა სადაცაა, იმ საქმეს იქ რომ საჭიროა, ისეთი გაძღოლა უნდა. ფრონტიდან თბილისამდე რომ დაჭრილი მოაღწევს, თუ მერე ათასი გართულებები არ დაერთო, გადარჩენილია. იქ უნდა საქმის მცოდნე და დასტაქარი, ცხელი სისხლი რომ მოთქრიალებს. აქ, ჩემს ჰოსპიტალში, რომც არ მყავდეს მაგისთანა „ოქროს ხელი“, სხვას მოვიწვევ. ამხელა ქალაქია, ქვა რომ ააგდო, ექიმს დაეცემა. ბევრი წაიყვანეს, მაგრამ ექიმების ამბავი ხომ იცი: „ძაღლი ძაღლის ტყავს არ დახევს“ კიდევ ბევრი გვყავს. არის თუ არა მკურნალი — ეს გაშანშალებული დიპლომი კი უდევს ჯიბეშიდა, თუ შენსავით სინდისი ხელებს არ უკრავს, დაჩეხილს და დაქიაქებულს კი არა, საღსალამათს გამოშიგნავს. მაგრამ ასიდან ერთი მოიძებნება...

„პატიოსან კაცს ჩირქი მოცხეთო!“— შენი ამბავი რომ ვიცი, ასე იტყვი, მაგრამ ჩირქის ცხება და უსიამოვნება კი არა, შენ გაზრდილ ოქროსავით ბიჭებს ისე ჟლეტენ, „ვაი დედას“ დაძახებას ვერ ასწრებენ, მართლა პატიოსანი კი არა — ანგელოზები არიან. ლაშხი, რომ იცოდე, არც მთლად წმინდანია. ცოლი და შვილი ჰყავს, მაგრამ არის ეჭვი, კიდევ ერთ ქალს უყვარდა თურმე, სტუდენტობის მეგობარს, და იმასაც ამბობენ, იმ ქალმა იმდენი ჰქნა, ლაშხისგან შვილიც კი იყოლაო. (რუსეთში იყო ის ქალი განაწილებული და იქიდან რომ დაბრუნდა, შვილიანი დაბრუნდა). იმ ქალს უნდოდა და იყოლიაო, თუ იტყვი, ძალადობა არც მე მიხმარია ელიტაზე, ან სხვაზე. ვუნდოდი, მინდოდა და... ქვეყანას მე ვაქცევ და შენ და ლაშხი აშენებთ? თქვენი ცოდვა — მადლია და ჩემი — წარწყმედა?

„შენზე არაფერს ვამბობ, რაღაცა დედაჩემი ეჭვიანობს... და, თუ გინდა ასეც იყოს, არ მგონია ცისთვის სვეტი გამოგეგდოს. არ ვარ მე შენსავით კარჩაკეტილი აზიელი — მაგ წიგნებს რომ ქექავ და ბებიაჩემის და ბაბუაჩემის ინტერესებს იქით ვერ იხედები, მორწმუნე მაინც იყო. ეკლესიის შენ არაფერი გწამს და მღვდლის. „ღმერთი თუა, რა ჩემისთანა კაცის შუამავლობა მინდაო?“ — შენი ნათქვამია მაგი. „თუ უფალს ცხვარი არ დავუკალი ცოდვას არ შემინდობს და თუ დავუკალი — შემინდობსო?“ — არ მახსოვს მე მეთქვას ეს, და არც ის: „თუ ღმერთს ჩემი ცხვარი, გოჭი და ხაჭაპური სჭირდება, რაღა ღმერთიაო?!“.

„არა, ეგ მართლა ეგრე კი არ მესმის. ვიცი, შენ არც ურწმუნო კაცი გქვია. ახლა, ასე წვერებიან ღმერთს და ოქროთი მოსირმულ ქალღმერთებს თუ არ აღიარებ, რანაირიც არ უნდა გწამდეს, იმის გაჩენილია ეს ქვეყანა, შენც და მეც... (ხომ ხედავ, შენც არ გაბრალებ ჩემს გაჩენას) და რანაირიც ვართ, ჩვენი ბრალი არაა. არც შენი, შენ რომ მასეთი ხარ და არც ჩემი, მე რომ ვატუტი ამაღლობელი მქვია.

„...და ის მინდა გითხრა: არ გინდა ეს განდგომა, უარყოფა და შეურიგებელი ბრძოლა. იქ მიდიხარ, მამუკა რომ ვიღაცა გოგოს იცნობდა და არა ჩემ სახლში, როცა აქ რაცაა, კანონიერი მაინცაა. და, ბოლოს და ბოლოს, შვილიშვილმა რა დააშავა? იმან ხომ ჯერ არც ცოდვა იცის და არც მადლი...

„პატივს გცემენ: მარგალიტა, მაგალითად, შენი მომხრეა. ზოგჯერ, იმაზე გასაგონად რომ შენზე რაღაცას ვიტყვი, მრცხვენია, მამაჩემო, და ვიტყვი, აბა რა ვქნა — არ დამანებებს: „იმ კაცს ჩვენგან აუგი არ ეგებისო. არაა, მაინცდამაინც, დიდი განათლებული ქალი, სიმღერა ნიჭია, ბოლოს და ბოლოს, მაგრამ იმდენად გეკრძალება, ჩვეულებრივი სიტყვითაც კი არ უნდა შენზე ილაპარაკოს. „აუგი არ ეგებისო“. და: „ფარნა ამაღლობელს ჩვენ ვერ გავკიცხავთო“.

„მართლაცდა, მეც მესმის რაღაცა, მამაჩემო, მთლად ყრუ კი არა ვარ მარტო ჭამაზე, ქალზე და კარიერაზე ვიფიქრო. და თუ გინდა იცოდე, ამასაც დღეს იმისთანა გგელის ჭკუა უნდა და იმისთანა გაძრომ-გამოძრომა, არა მგონია,

ძალიან გულით რომ მოინდომო, შენ შეძლო. ამას, შენ რომ იცი თქმა: „სინდისზე ხელის აღება“ არ შველის. ბევრი, ძალიან ბევრი რამ ისეთი, რაც შენ არ იცი და ვერც გაიგებ, ფარნა ბატონო! მაგრამ რად გინდა, აწი მე შენ „გაგანათლებ“ კი არა, შენ შემქმენი, გამზარდე, მასწავლე, გამანათლე და ვერ გამჭედე შენებურად; მე, პირიქით, რას გავხდები.

„ის თეკლაც მამუკას დაგეშილია, თუ ჯიში ამასაც თვალებს უბრმავებს, ყოველნაირ ლეშზე არ ჯდება და ყოველნაირ ნეხვში ნისკარტს არ ურევს. მანაც „პატიოსნება“ მომიგონა. პატიოსანი ბებიამისია, ელპიტე. იქნებ მამამისიც პატიოსანი იყო, მაგრამ მისი საფლავიც არავინ იცის. და დედამისს — ასმათს, ვატუტი რომ არა, საავადმყოფო უპატრონო მკვდარივით უკუბოოდ თუ დამარხავდა. და ბებიამისსაც, ისევ ვატუტი რომ არა, შვილისა და ქმრის გვერდით დამმარხავი არავინა ჰყავს. პატიოსნებაა ის, რითაც შეგიძლია იცხოვრო და მკვდარი აცხონო. პატიოსანი ვარო და დაუმარხავი რომ მიწის ზევით დარჩე, არ აყროლდები? მით უმეტეს, ახლა ომია. თუ პატიოსანი და მართალი გინდა, ამდენი ალალ-მართალი ბიჭი რომ იღუპება, ესაა სამართალი? მიიხედ-მოიხედეთ, დამანახეთ ვის, რომელს მოუტანა მაგ თქვენმა „პატიოსნებამ“ სახელი და დიდება, ვინ გააბედნიერა და მეც თქვენთანა ვარ.

„რა გჭირთ შენ და შენისთანებს, მამაჩემო, გამაგებინეთ, თვალი არ გინდათ გაახილოთ? მაგ მამუკას „გოგომ“ „ბრძანა“: — თქვენმა საწყობის გამგემ — ტრიფონ აფაქიძემ, მგონი მამაჩემი დაასმინა და მისი ხელიდან შენ, გამოგზავნილიც არაფერი მინდაო. — არადა, მათი მეზობელია. როგორ გინდა, ქვეყანა შიმშილით კვდება, ადგე და კარზე მანქანა მიაყენო. ან ვატუტიმ — დირექტორმა კაცმა, ამოიდოს იღლიაში „მეშოკები“ და მიუთრიოს? თანაც უფიცოს: ეს ჩემი — დირექტორის ფონდიდანაა და დედის რძესავით შეგეგრგებაო? დღეს, ქუჩაში, ორივე ჯიბეში უნდა გეწყოს ხელები, გამარჯობისას ვინმეს რომ ჩამოართვა, ვიღაცა არ ჩაგიძვრეს და ხმა რომ გასცე, ზედ დაგაკლავს. თქვენ ალალ ლუკმას მოითხოვთ? სადაა ბატონო, ალალი ლუკმა! შიმშილით რომ ხალხი იხოცება ალალია?... შიმშილით სივდებიან და იჟლიტებიან, აბა ზედმეტი ძღომისაგან მუცლის გვრემა კი არ ხოცავთ“...

3.

ერთი კვირის წინ, თეკლა რომ სამსახურში თავისთან გააფორმა, ვატუტიმ, მაშინ იყო, ყველაფერი რომ გადმოულაგა: (ამას არ ეგონოს, რაც მაგან და მისმა „გმირმა“ იციან, ჩემთვის ჩინურიაო).

— ტრიფონი თუ მართლა მამაშენის დამსმენია და მაგაზე იყო დამოკიდებული „უდანაშაულო“ კაცის ბედი... მე იგი აქ დამხვდა, ჩვენამდე მგონი საღღაც კი მუშაობდა, მაგრამ ახლა, ეს ადგილი სხვას ჯობია. ისე, თუ მართალი გინდა, მთლად მას ეკისრება მამაშენის ოჯახის რჩენა და თქვენც, თუ ქრისტეს მცნებას ხართ შემდგარი, ქრისტე მიტევებას და შენდობას ქადაგებს... ასე მაქვს მე ეს გაგონილი.

უნივერსიტეტის მიტოვება ვერც ვატუტიმ ურჩია. ბოლოს და ბოლოს, გმირის „ცოლად“ ასე გაუნათლებელი და გაუბედურებული ვერ გამოდგებოდა — „ხელს შეგიწყობთ, დღის მეორე ნახევარში იარე... ელიტა დაგეხმარება“...

ელიტა... კაცმა რომ თქვას, თეკლას რა ესაქმება იმ ქალთან? ხომ არ მეგობრობს? ეს სამსახურია, ყველა დაჭრილსა და დასახიჩრებულს, მამუკასნაირ ჯარისკაცებს ემსახურება... და, შვილიშვილმა, ბებიას ჰიქა ჩაი და ერთი ნატეხი ორცხობილა უნდა უშოვოს — გრამებით აწონილ შავი ტალახივით ჭვავის პურს მომაკვდავი კი არა, ჯანმრთელი ვერ ინელებს.

ლექციების შემდეგ შინ მივარდება, სახელდახელოდ რაღაცას მიხედავს მომაკვდავს, რომელიც ხელს გააკანკალებს

უარის, თუ სიძულვილის ნიშნად, და თეკლა ისევ ჰოსპიტალში გარბის. შუაღამეში, გულისხეთქვით, უკან მოწანწალებს და მოაცილებს ვიღაც... მოჰყვება სახლამდე, კარამდე და სანამ ქანცგაწყვეტილი კიბეებზე აირბენს, დავარდნილ მოხუცს დახედავს, სული თუ კიდევ უდგასო, და აივანზე გავარდება, ჩაბნელებულ, სიცოცხლე ჩამკვდარ ქუჩაბანდებში ადამიანის ჰაჰანება აღარაა.

ეს ძველი „სკოროხოდებიც“ ასეთ დროს ცუდ სამსახურს როდი უწევს. მეჯღანემ (თათრის მოედანზე) რეზინის შავი ლანჩები რომ გამოუკერა, დაუვიწროვდა და გაუხეშდა, მაგრამ ქვაფენილზე აღარ ცურავს და შეუძლია გაქცევა — მისი ერთადერთი მწე და მფარველი, რომ ფეხი არ დაუცდეს, ერთ დროს ჩანატეხი კვინიხი ისევ ქვას არ დაჰკრას და თავი იქვე არ დატოვოს.

მდევარი თუ ტრიფონია... (ამბობენ, აფაქიძე მამინაცვლის გვარიაო... ღმერთმა დასწყევლოს მისი სახელიცა და გვარიც,) თეკლამ დღეს „დირექტორის ფონდიდან“ ნახევარი კილო ბრინჯი, პაკიდლო და ორცხობილა გამოიტანა (ელიტას უკვე შეურაცხყოფდა, მისი ხელქვეითი გოგოსათვის საწყობის გამგეს უკანალზე ხელი ესვა). ის ჩადგმული, ღონიერი ავსული, საქმე საქმეზე რომ მიდგეს, ამ შუაღამისას, უკაცრიელ ქუჩაშიც დაეწევა, ყველას გაექცევა — და იმას ვერა. როცა განახევრებულ ბრინჯიან ჯვალოს ტომართან ჩაიყუნცა, თეკლას ერთი სული ჰქონდა ამ ბოროტის თვალებში შეეხედა, როგორ უცქერიან ასეთები მათ მიერ განწირულ მსხვერპლს და, საერთოდ, დღის ნათელსო, მაგრამ ეს, რა თქმა უნდა, შეუძლებელი იყო. ისედაც სუსხავდა მისი მზერა და კანს უწვავდა, როცა ეგონა ჩემსკენ მოიხედაო. უხმოდ, თავმიუბრუნებლად დაუდო ძველ, ატკეჩილ მაგიდის ყურში დირექტორის განკარგულება და არ დაუნახავს, სურსათი აწონა და ნიჩბით ჰქონდა გამორწყული. სქელი ქაღალდის თავჩაუჭკნული ხვეულები რომ გადასცა, მაშინ დალანდა, რომ ხელის ზურგი და თითების ნახევარი შავი ბალნიკი ჰქონდა დაფარული, ბრჭყალების მაგიერ კი მოკლე, ბრტყელი, ლია სისხლისფერი ფრჩხილები. თითქოს ეს კოტიტა თათები, დიდ და მსხვილ საგანს არ შემოწვდებოდა, მაგრამ რასაც მოწვდებოდა, ქვაც რომ ყოფილიყო, წვენს გაადენდა.

...ფრონტზე, თურმე, ათეულის ჯერს რომ მიიტანენ და იქ ნახევარი აღარაა. ვინც ცოცხალი დარჩა, უმადობას კი არ უჩივის, დაღუპული მეგობრის ულუფასაც შეექცევა. ყოვლად დაუჯერებელია, მამუკა შიმშილით მოკვდება და ამას არ ჩაიდენს, მაგრამ არც ისინია უსულგულო ბიჭები, ამას რომ აკეთებენ.

ტრიფონი თუ იუდაა, ეს საწყობი, ჰოსპიტალი და ქვეყანა მისი არაა და არც მისი ულუფა. მაგრამ ის აქ ალბათ იმიტომ არ შემომძვრალა, სხვისას არაფერი დააკლოს..

რაღაცა თქვა, თუ თეკლას მოესმა? „უგანკარგულებოდაც გამოიარეო“, თუ „უმოწერილებოდაცო?..“ „ბებია როგორაა?..“ ესეც იკითხა?.. კედელზე აქვს ყური მოდებული და სულთმობრძავის სიკვდილს უცდის?!. (ღმერთო. როგორ უნდა იფიქრო ადამიანზე ასეთი საშინელება) რატომ დაუხშო მისმა ხმამ სმენა?! მართლადა, გველის სისინს ისმენს ადამიანი, ყელში კბილებჩავლებულ მტაცებლის ღრიალს და რატომ უნდა იყოს თუნდაც სატანის ხმა დამაყრუებელი?! როგორც ის მოკლე და ფართო, ბანჯგვლიანი ხელები ქაღალდის ხვეულებს გაშორდა, მაშინვე სულსწრაფად მიიხუტა გულზე და კეტდარტყმულივით გამოიქცა. ასე არ ჰქონდა ნაფიქრი: ისე აპირებდა შესვლას და გამოსვლას, ვითომ არც იცნობდა, არც იცოდა ვინ იყო, ან თუ აქამდე ქვეყნად არსებობდა.

ანდა, მართლა რა იცის თეკლამ? ეს საწყობის ვირთხა საიდუმლოდ რა ჩინის პატრონი იყო, რომ ასე დამსახურებული და დაფასებული ტარასი ქადაგიძის დაღუპვა შეძლებოდა, თუნდაც ემტრო

და ემუხანათა? თუნდაც თეკლას დედა ჰყვარებოდა... ჰყვარებოდა კი არა — ნდომებოდა და ბაბუის სახლისა და ქონების დაპატრონება გულში დებოდა. ბნელ, ნესტიან სარდაფისმზემონატრებულ არამზადას.

„დედაჩემი თუ მართლა კერპად გადაექცა, ანგარებით იყო, თუ ბნელი გაბოროტებით, მამაჩემზე იძია შური ვინც, ამ უხსენებელის არსებობა არც იცოდა? დედაჩემი გაამწარა და დააჭლექა მამაჩემის უბედურებით?!

„იგი დედაზე უმცროსიც ყოფილა. (ეს ხდება. თეკლას თანაკლასელ, ციებცხელებიან, ცვილის სანთელივით ყვითელ ბონდო გაჩეჩილაძეს ქართულის გატკრიალებული, ხორცსავსე მასწავლებელი უყვარდა. კურსდამთავრებული იმ წელს გამოჩნდა და იმავე სასწავლო წლის ბოლოს გათხოვდა. თვალატირებული ბონდო სხვა სკოლაში გადავიდა). მაგრამ სიყვარულის დროს ხომ ბოროტებას ვერ ჩაიდენ! ანგარება კი, ალბათ, სადაც ფესვს გაიდგამს, აგრეიოლად არ ამოიძირკვება. მაგრამ, როცა შურისძიება შეეძლო, ვისზეც შურს ძიობდა, ქონება აღარ გააჩნდათ. ორ პატარა ოთახში შეკუჭეს და ისიც მათ გვერდით დამკვიდრდა. რაღა უნდოდა, ხომ ამოძვრა იმ ბნელ ორმოდან (სადაც, თურმე, კუტ დედამისს სული მზის ნატვრაში ამოხდა). თუ უთანასწორობას ებრძოდა, ხომ გაათანასწორეს და ამაში მამასაც წილი ედო. ამის შემდეგ ანგარებას ხომ უნდა მოღებოდა ბოლო და, თუ სიყვარული იყო, დარჩენილიყო სიყვარულად ის, რაც ბოროტებას ვერ ჩაიდენდა.

„დედას თუ საყვარელ ადამიანს მოუკლავდა და დააქვრივებდა, მერე თავის დამღუპველს შეიყვარებდა?.. თუ სამაგიერო გადაუხადა, ალაყაფის კარებთან ჩადარაჯებულისათვის დედას სახეში რომ შეუფურთხებია?.. ასმათს, დევნილი სატრფოსთვის, სხვენში, უბით პური და ყველი აუტანია. შეგვიანებია და სიწითლეჩამოყოლილს, მეზობლის ურცხვი ბიჭი ალაყაფთან უხმოდ თვალმიშტერებული გადაღობებია. თურმე არაფერს ამბობდა და გულანი მოშტერება იცოდა. უდაბნოს ხვლიკივით, თურმე, ცალი თვალით სხვენს რომ უმზერდა, მეორეთი თავის სოროში ეპატიჟებოდა... ეს იყო, დედა მაშინ რომ შეზარა და ისე გაასილაქა, ცხვირიდან სისხლი წახეთქა და თვალებში აფურთხა.

მაშინ, ალბათ, იმოდენა არ იყო, მისი დასმენა და გველაძუობა ვინმეს ყურადღეო. ან, ეგონა, მეტოქეს ისედაც გაბაწრავდნენ და ამიტომ, ფურთხს და სისხლს რომ იწმენდდა — „მთელი სიცოცხლე ვატარებ და მემახსოვრებაო“ — იგესლებოდა. ასმათი თავმოყვარე, გულფიცხი ქალი იყო და მთელი ცხოვრება იტანჯებოდა არა შურისძიებით. არამედ იმით შეურაცხყოფილი, ასეთი სულმდაბალი რომ „ეტრფოდა“. როცა მამა დააკავეს, დედა ყოველლამ დაკითხვაზე დაჰყავდათ და სისხლი გაუშრეს ერთი და იგივე, ერთი და იგივე უაზრო შეკითხვებით (დედა ამბობდა, ამას, თურმე, განგებ აკეთებდნენო), გამწარებული რომ გამოიქცა და კარი გამოგლიჯა, თურმე, ზედ ყურმოდებულ „მეზობელს“ შეასკდა.

„დედა და ბებია ლაპარაკობდნენ ამ უხსენებელზე და არც ერთს არ შეეძლო „მისი“ ვინაობა წარმოეთქვა. ბოლოს ასმათმა სახელითაც „დაივიწყა“ და უსახელოდაც... სადღა ჰქონდა იმის ჯანი და ღონე, ასეთი მძიმე ტვირთი აეწია,

„შვილი რომ უკურნებელი სენით არ დაეავადებინა, მარტო ამიტომ არ იმალებოდა აბასთუმნისა და ხუდადოვის „ტყეებში“. იმიტომაც, რომ „ის“ არ დაენახა და სიცოცხლე არ მოსწრაფებოდა?..

„...და ეს იყო მართლა „ის“? თუ კიდევაა აქ სხვა ვინმე? მაგრამ აქვე და არა გადამთიელი.

„თუ ეს „ისაა“, ერთ დროს დედას რომ უსაფრდებოდა, ახლა გულგახეთქილ თეკლას დასდევს? ხასიათად და ცხოვრების პათოლოგიურ მიზნად ექცა ეს, თუ შურისძიება მემკვიდრეობაზე გადავიდა?.. თუ შურისძიება არაფერ

შუაშია და მეზობელი, უპატრონო, ნაცდუნები გოგოს ხასად დასმა მოინდომა, რომ ამ არეულობის დროს შორს არ იაროს? მემკვიდრეობითი ჭლექის შიშით გონებადაფანტულ მრუშს პურითა და ამერიკული კვერცხის ფხვნილით სული ჩაუბრუნოს და მშიერი ვნება დაიცხროს და დაუცხროს?

ხვალინდელზე ვიღა ფიქრობს, მაგრამ დაჯერებულია, ის „გმირი“ დღეს არა, ხვალ დაიღუპება? თანაც მისი „გმირობა“, სადღაც, გაუგებრობასა და მოგონილს ჰგავს და ესეც რომ არა, „ხვალემ იზრუნოს ხვალისაზე“? ასეთები, ალბათ, მტაცებლის ერთი დღით ცხოვრობენ, თუ უჩნდებათ ღვთის განკითხვის შიში და თეკლა ვერა ხედავს, მაგრამ მაინც არსებობს სამართალი, კანონზომიერება და „ბოროტსა სძლია კეთილმან?..“

არა, ეს ტრიფონს კი არა, აღარც საიმქვეყნოდ განწყობილ ბებიასა სჯერა. როცა მილიონობით უცოდველი ბიჭი განუკითხავად იჟლიტება და მარტო იქ კი არა, აქაც, ჰოსპიტლებში... ყოველდღე ივსება ძმათა სასაფლაოები და სანამ თეკლას გული არ გაქვავებია, ერთადერთი დამტირებელი კიდევ ჰყავთ.

...და გარბის, გარბის გულზე მიკრული „ლუკმით“, რათა ერთადერთ სანუკვარ ადამიანს ამომავალი სული ჩაუბრუნოს და შეაჩეროს მისი დამარხვა. ცოტა ხანს მაინც, სულ ცოტა ხანს... ესღაა ახლა რაც მას აბადია და ამოძრავებს, მისთვის იღვიძებს და მისთვის გარბის დილაუთენია, აკეთებს თავის და სხვის გასაკეთებელს, რომ ეს გულზე მიკრული ცოდვის ლუკმა არამი არ იყოს, მისი ოფლის, სისხლის და ხორცის საფასური იყოს. ეს სულთმობრძავია ამდენ შრომას, დევნას და ყოველწუთს მოსალოდნელ თავდასხმის შიშს რომ აძლებინებს. კანკალი და ძიგძიგი უკვე ჩვეად ექცა და სიზმარშიც ახლავს. მთელი ღამე მოძალადეები და მძარცველები: ხან მუცლიდან გოგორა პურს უღებენ, ხან პირიდან მერე უყოფენ, ძალით ისევ პირში ატენიან და თან ნამუსს ხდიან, ზოგჯერ ერთი და ორი კი არა...

სახლამდე, როგორც ყოველთვის, ჰყოფნის ძალა, მაგრამ კიბესთან ერთბაშად მოსერავს მუხლებში და სახელურზე ხელჩაჭიდებით ადის, ადის მთლიანად არაქათგამოცლილი და მოსხლეტილი, კანკალი და ძიგძიგიც რომ აღარ ძალუძს და მაინც კარამდე უნდა მიაღწიოს.

იქ ბებია ელოდება, იქ ბებიაა... იქნებ უკვე მოხედული... იქნებ იმდენადაც, რომ ლოგინიდან ძვალტყავა ფეხებიც კი ჩამოუყრია და ის სიხარულიც კი დაბრუნებია, რომელიც შვილიშვილს არასოდეს მოკლებია, რითაც ამდენი ჯოჯოხეთისთვის გაუძლია და უძლებს. ბებიას ახლანდელი სიძულვილიც ხომ ისევ და ისევ უკუქცეული დიდი სიყვარულია?... უმისობა რომ მოანატროს და გაანთავისუფლოს, მარტოობას შეაჩვიოს და უბებიობა გაუადვილოს.

...მაგრამ ბებიამ არ იცის, არ ძალუძს... რომ მამუკას დაბრუნებამდე მაინც, ასე ძვლებად და ცხედრად ქცეულმა უნდა გაძლოს. ამ დაუმარხავმა მკვდარმა უნდა გააძლებინოს მამუკას გამოჩენამდე. ეს საზრუნავი და თავსატეხია ახლა, რამაც თეკლას უნდა აატანინოს ის, რასაც, თუნდაც, ამწუთას განიცდის (ორი წლის წინ მარტო ამის გაფიქრებაც ჭკუიდან შეშლიდა). კიბეებზეც ამან უნდა აიყვანოს და მდევრისგანაც უნდა დაიცვას, რომ სადარბაზოში არ შემოსდიოს და საფეხურებზე არ ამოჰყვეს მძიმე, ნახევრად ქურდული და ნახევრად გამხელილი ნაბიჯები. ბებია რომ არ იყოს, სახლშიც ხომ მიუხდება...

ღმერთო, მართლა ხარ, შე დალოცვილო!..

კარის სახელურში წერილია! წარმოიდგინეთ, თეთრად ანათებს მოყავისფრო, ტალახის ფერი და მერე ამდენი ნათრევი და გაჭუჭყიანებული სამკუთხა ბარათი. იმ კისერმოღრეცილ, საცოდავ ფოსტალიონს თეკლა შინ რომ ვეღარ ხვდება, და ბებიასაც ამ წუთისოფლისა

აღარაფერი ესმის, წერილს კარის სახელურში გაჩრილს ტოვებს.

ბარათები, მამუკას უღვთოდ დაჭრის შემდეგ, უაზრო და ორსიტყვიანია. მშრალი და მყვირალა მხოლოდ და მხოლოდ თეკლას კითხვებზე უგულო, აბდაუბდა პასუხები...

მაგრამ, რა უაზრობაც არ უნდა იყოს, თუ შიგ ერთი სიტყვა მაინცაა მიჩხაპნილი — „თეკლა!“ რა უნდა ამის მეტი? რატომაა ადამიანი გულხარბი და გაუმაძღარი. ცოცხალიც უნდა ჰყავდეს „გმირი“, ფრჩხილწამოუტკივებელიც, ყოველდღეც სწერდეს, ბევრსაც და ღრმააზროვანსაც... როცა დედამისმა — მარგალიტა ალხაზიშვილმა თუ არა, თეკლამ ხომ დაღესტანში გაიგო, რომ ნოშრევან არდაძე ისე დაიღუპა, საფლავიც არ ღირსებია. მამუკას ძმის — ლეონის, რა ხანია არაფერი ისმის. აგერ, მათი ეზოდან, თვე არ გავა წივილ-კივილი არ მოისმას და ქუჩიდან ყოველ კვირა გოდებისა და გლოვის ზარი რეკავს.

ერთი სიტყვა არ კმარა? ერთი სიტყვა — თეკლა. არც „ჩემო“, არც „ძვირფასო“, არც „სანატრელო“ და არც „საფიცარო“... თუ მართლა საყვარელი ქალისადმი მიწერილ ბარათებს სხვა კითხულობს (ღმერთო, ეს რა უმსგავსობაა), არც უნდა. ახლა ის წერილებიც კი ისე აღარ უხარია, თუ ვინმე იმაშიც ცხვირს ჰყოფდა, როცა მამუკა გაუთავებლად და აღტაცებით უყვებოდა და ელოლიავებოდა...

არის!

არის ბარათი, არის იმედი, არის ბებია, თეკლა, ყველა და ყველაფერი... რაც აქამდე ჭირი და შიში ახლდა, რაც აქამდე სულს ხდიდა და ძალას აცლიდა, უკან დარჩა. ავი სიზმარი იყო, კოშმარი, მოჩვენება და არა სინამდვილე...

სინამდვილე ეს — სამკუთხედად დაკეცილი ქაღალდია. ისევ გადარჩენა, ისევ სიცოცხლე, სიყვარული და ბედნიერება!

„ჩემი ყველა აქამდისი ჭირი ლხინსა შევუწონე“.

4.

ბებ, შენ უნდა აბატონ, ბებ, უნდა შეუნდო, უნდა შეივრდომო თუ შენზე უწინ, შენზე მეტად, შენზე... ეს წერილი უნდა გახსნას. ბარათს უნდა მიეახლოს. ამ ფარატინა, გაქექილ და გაფხეკილ ფურცელს უნდა მიუალერსოს. ამან უნდა დაუბრუნოს ძალა და ჩაჰბეროს უკვდავი სული, მისცეს რწმენა და იმედი, აღავსოს სიცოცხლით და სიყვარულით, რომ შენც გიწილადოს, შენც გაგიყოს, შენც დაგაბრუნოს ამქვეყნად და ორივეს გეყოთ ჰაერად, პურად, უკვდავების წყაროდ...

„ძვირფასო ვარია!“

აჰ, რაო!

„ძვირფასო ვარია!“

— მოიცა, მოიცა ბებო! ერთი წუთით, ერთი წამით! — თვალებში უბნელდება თეკლას, რაღაც შავი ეფარება თუ სინათლე ჰქრება?.. ჩამობნელდა? ფანჯრები ხომ გარედანაა შენიღბული და თეკლა თუ შინაა. თუ თავის ოთახშია, რატომ ჩამოშავდა ყველაფერი?!. აბა რაა, რაღაც რომ ჭიატობს წითელი კლაკნილი ძაფივით?.. ვითომ ხედავს და მაინც ასე სწერია?!

„ძვირფასო ვარია!“

თუ კარი დარჩა ღია და ვინმემ შემოიძახა?

შეიძლება, ასეთ დროს — ყველაფერი შეიძლება! ამოდენა სიხარულზე რა გასაკვირია, კარები კი არა, დაგმანული ფანჯრებიც დააღოს და ქვეყანას ამცნოს, რომ მამუკა ცოცხალია, მამუკა ისევ მასთანაა! არც არაფრის ეშინია და არც არავისი ერიდება. და მაინც:

„ძვირფასო ვარია!“

თუ მაინც აქ ასე წერია, მაშინ ხომ ეს მამუკა არაა! მაშინ ეს სხვაა... სხვისია... სხვისთვისა... სხვისგანაა!..

ეს ხომ იმ კისერმოქცეული, ქერქეტა ფოსტალიონის, იმ საძაგელი გომბიოს შეცდომაა. ოჰ, ღმერთო, როგორ შეიძლება ამოდენა სიხარული ხელში გეჭიროს და სხვისი კი აღმოჩნდეს!

ეს ხომ სხვისი ნაწერია... ეს ხომ მა-

მუკას ხელი არაა... არა, საიდან!.. როგორ... შეუძლებელია... წარმოუდგენელია... გაფიქრებაც კი შეგშლის... არც ერთს წუთს... არც ერთ წამს... ამ დროს შეიძლება სიცოცხლეს გამოესალმოთ, ან უარესი — ჭკუიდან გადახვიდე... ამას ხომ ადამიანი ვერაფრით, ვერასდიდებით ვერ აიტანს...

და ეს მაინც მამუკას ხელწერაა?!

მისია ეს „ძილი", „მანს" რომ ჰგავს და თეკლას გარდა ყველა „მანად" ამოიკითხავს? მისია ეს „ვინი", „განი" რომ გეგონება, შეკეცილის ქვემოთ რომ არ იყოს გამონასკვული. „ინი" თუ მაინც „ინია", „რაე" ხომ ცალფეხაა და „ინიდან" აყოლილი ხაზი „ჩინად" აჩენს. „ფანი" ხომ მხოლოდ და მხოლოდ მისია! მამუკა „ფანს" ზევიდან იწყებს, და რატომღაც მისი „ანი" მუდამ მარჯვნივაა გადახრილი, მომდევნო „სან"-

ყოფნა. უხილველი მირქმა და უსულთა-თანო სულთათანა. მიუტევებლის მიტევება და ცოდვა-მადლის განუკითხაობა. მიქცევა და არა უკუქცევა. ქცევა არაფრად და ყველაფრად, ყველაფრად და არაფრად. განტევება, განწმენდა, ამაღლება და არაღმა და, ამ ძლივს, ძლივს გამომეტებული უგრძნობლობის ბედნიერების განუცდელობა. სრულქმნა — არადქმნა.

... და ისევ, ისევ?!. ისევ... ამ გაუმეტებლის დატევება?! მირქმიდან მორქმა?!. უკუქცევა?!.

არა!.. არ არს ძალი უკუხმევისა... არ არს ნება ქმნად უქმნელისა... არ არის მორქმად მირქმულისა!

არ არს: მოტევებად განტევებულისა და ურწმუნოთა ხელყოფად.. დამდაბლებად ამაღლებულისა, და ბიწიერთა ნდომისა! დატევებად ცათა შინა ასაყდრებულისა... და ამაოთაგან განდგომილის მოქცევა ამაოებად.. არარაობით სრულქმნილის რაობად შებილწვისა... იმიერის ამიერად განუკითხაობისა. უცოდველის ცოდვით დალტობისა. ოტებულის დაურვებისა. სულქმნილის — დამიწებისა...

არ ეგების: ჯვარცმით ამაღლებულისა ჯვარცმა! ტანჯვით განტევებულისა გვემა! უბიწოთა ბიწიერება!..

არა ჯერ არს: სულიწმიდისა უძღებად მოქცევა; განწმენდილისა განსაწმენდელსა მწყვდევა; განბანილისა ლაფით სვრა!

და არა ჯერ არს: „მოველი აღდგომასა მკვდრეთით". და „რომელსა სუფევასა არ არს დასასრულ" ჰქმნა სასრულ. და გმობად თანაარსის არსისა.

ვიჯიმი ეშმაკისაგან! „მოსატევებლად ცოდვათა". და

„წმინდა გყვენ ჩვენ ყოვლისაგან ბიწისა".

ივნო სავნები და არა განკაცდეს...

. . . . . .

...და მაინც? და ვერასგზით? და ვერა წადილით? ვერა ნდომით და ძალისხმევით ვეღარ ისაყდრებ, რასაც ელტვი, ესავ და გამეტებად არ გენების?!.

უკუხმობა? რასაც ძლივს, ძლივს ღირსგყვეს და განერიდე?!. ან განტევება რად, და შეცნობა უცნობელისა, და კვლავ განკითხვად უკუქცევა?! დახშობა იმისა, რასაც სასვლელი, სასრული და საგდული არ ეგების?

... რად ეკრძალვიან იმად, სად უსრული და უკაცრიელი განფენილია?.. არ ეგების, არყოფის ხელთუქმნელ უშურველთაღოვანთა უსრულობას სასრული და სიკვდილითა სიკვდილისა დამთრგუნველთაგან განდგომა... უსიკვდილო და უსიცოცხლო ბედს ნაწევს უკუგანტევება, მიწყვლა და უში?!

... და მიხმობა კვალად შერისხული სიკვდილისა და სიცოცხლისა შუა სასრესად და საგვემად, რათა კვლა მოაწყურონ, რისმა წყურვილმა და შიმშილმა უძღებ ჰყოს? როცა სიცოცხლის გაუსაძლისთაგან შეივრდომეს და სიკვდილის გაუსაძლის განუცდელ აღთქმულისა ახდენად ნეტარებას აზიარეს?

მოწევნად კვალად ყოფად? და ძლივს არყოფის იავარყოფა?.

თეკლა გონს მოდიოდა, თუ გონი იყო ის შეულეველი, რაც არ ეთმობოდა და არარაობის კარიბჭეს ჩაფრენილა უკან არ ახედებდა. სხეული ასე უსაშველო მძიმე ტვირთია, თუ ეს იმ ~~ორ~~ააამქვეყნიური, არარაობის სიმსუბუქის შემდეგაა, ასე რომ ეჩვენება და სულის შემხუთველ, გამსრეს, გამთანგავ ცხელ ლოდად აწვება. და ასე გაუსაძლისად გაუცნობიერებელ ტანჯვა-წყურვილად უნდა მიეტმასნოს იმას, რასთანაც განშორება ერთადერთი შვება ყოფილა!

რა ტკივა ახლა და თავისია ეს ტკივილი? თუ როგორღაც გასხვისდა, ან ეს ცხელი სიმძიმე და სიკვდილ-სიცოცხლის სამკვდრო-სასიცოცხლო ჭიდილი, ჭყლეტა, გვემა და რბევა თანგავს და ხვედრს უიოლებს?.. თუ აქ ხომ ცივი სიკვდილი დახვდა—აქაურობის ერთადერთი ბატონ-პატრონი. როდის გაჩნდა აქ კვლავ ეს ვერაგი ყოფა ნეტარ არყოფასთან შესაბმელად და შესამუსრად. და ამ უშეღავათო ორთა-ბრძოლამ თეკლას

ზურგზე უნდა გადაიაროს? უნდა თელოს, ათრიოს და აწამოს? გამოსწოვოს თვალთაგან ცრემლი, პირიდან ლორწკი და ძუძუთაგან ცხემი, რომ ძალი მოიცეს დათრგუნვად შეულეველი ასასრულისა?... დაბანგოს უხეში ლმობა და თეკლას არარაობით დანთქმულ სამყოფელში — სითბო შეასახლოს?.. თუ ვნება!..

სიცოცხლე უჩვენოდ ხომ არ სუფევს ჩვენში? ან თვითონ ხომ არა ვართ მისი ხიზანი? ჩვენ საცხოვრისს მხოლოდ და მხოლოდ ის ხომ არ განაგებს და როცა უნდა კარებს მაშინ დაგვიღებს და როცა არა — დაგვიგმანავს? მის დაუძინებელ მტერთან — სიკვდილთან ომში მისი ყურმოჭრილი მონა, ჯარისკაცი და იარაღი ხომ არა ვართ მხოლოდ? და მხოლოდ მისი მორჩილება გვმართებს?..

და შენც, მონავ და მორჩილო, აცახცახებული, დამფრთხალი ნებდები მის ვნებას და ცხოველმყოფელობას, მის ცეცხლსა და ღველფში იძირები — ჰმსახურებ... იყრი თავზე ცხელ, შემტრუსავ ნაცარს...

ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

თეკლა თავის საწოლზე გულაღმა ეგდო და ცივ ოფლში ცურავდა, ტკივილებისა, ვნებისა და არსისაგან დაცლილი, დამარცხებული. სიკვდილ-სიცოცხლის ორთაბრძოლაში გათელილი, ნაგვემი და დაჭრილი. ღია კარს იქით მაჯლაჯუნა სიცოცხლე დაბოტებდა და გუშინდელი მსხვერპლის — ელპიტეს ძვლებს კრეფდა, ალაგებდა, აწყობდა, სუდარაში „დანანებით“ ხვევდა ხვალ-ზეგ სიკვდილის ნამუსრევთა ძვალშესალაგში დასავანებლად..

ვაი, თუ ყველაფერი ეს ცხადი იყო? და ხვალ ყველაფერი თავიდან უნდა დაწყებულიყო?

ნუთუ კვლავ „მომკლავ ჭირითა, ამისგან უარესითა“?!.

ᲗᲐᲕᲘ ᲛᲔᲝᲠᲔ

1.

მთელი ნახევარი წელიწადი ჰოსპიტალში ნაგდები ბაკური (გვერდები ნაწოლებით დაწყლულებოდა) თამარ მირიანაშვილის თავგადაგებულმა ზრუნვამაც იმდენად ვერ გამოამჯობინა, სამწყობრო ჯარისკაცად ეცნო ყოვლად უშეღავათო კომისიას: — „ქვეყანა იქცევა, რა დროს ჯანმრთელი და საღსალამათია, ერთ ტყვიას ყველა გააცივებსო“. ბაკურს, ქინჩში ჩაჭედილი ნამსხვრევით მოხრილი კისერი, ბაკნიდან თავგამოყოფილ კუს რომ დაამგვანა, მაღლა ვერც ამისთანა კომისიამ ააწევინა. სახლში გასაშვებად და უპატრონო თხასავით ფარნას კარ-მიდამოში საკუნტრუშოდ, რა თქმა უნდა, ვერ გაიმეტეს; არც თვითონ „კუ“ გაქაჩულა და — „კეისარს კეისრისაო“... ჯარს ნახევრად ინვალიდებისთვისაც ჰქონდა ასი და ათასი სამეურნეო, დღე და ღამის გასასწორებელი სათრევი და სათავცემო ისეთი რამ, რითაც ჯეელი უნდა დაგესაქმა, თუ ხეიბრებს არ გამოიყენებდი.

იქვე, ზღვისპირა სამხედრო აეროდრომზე გაამწესეს: მხრებზე ტვირთის დასადებად თავის დახრა აღარ დაგჭირდება, უკვე სამაგისოდ ხარ მოწყობილიო. ამაში, ალბათ, თამარის „ნაცნობებიც“ ერევნენ. ჰოსპიტლიდან მოშორებული იყო, მაგრამ არც ისე — მოგენდომებინა და ხელი ვერ მიგეწვდინა.

ფრონტებზე წინსვლა დაიწყო. ასეთ დროსაც ხდება ტყვედ ჩავარდნა, აბა ომი რისი ომია, მაგრამ გაცილებით ნაკლებად, ვინემ უკან დახევის და ისიც ისეთი უთავბოლო დახევისას ხდებოდა. შეტევა მაინც ორგანიზებულია, გააზრებული, ძალისმიერი.

...მაგრამ, სადღაც ზურგში, კავკასიონის გადაღმა, როცა მტერი თვით მწვერვალებიდანაც ჩამოაბრძანეს და

ყირიმის ნახევარკუნძულისაკენ მიერეკებოდნენ, ამ დროს ბაკურ ამაღლობელის ტყვედ ჩავარდნა, მთელ გერმანიას მარტო ამისთვის რომ მოეცალა, გაუჭირდებოდა.

და მაინც, ერთ მშვენიერ დღეს, ეს ისე უბრალოდ მოხელკეთილდა, მგონი თვით აზრთა გამრიგეც სახტად დარჩა.

ღმერთწინაშე, ბაკურს მზადყოფნა რომ უბრძანეს, ალბათ არავინ იცოდა, რომ თვითმფრინავში ნაჯდომიც კი არ იყო. რა საკადრისია, ჯარისკაცისთვის და ისიც არასამწყობრო ჯარისკაცისთვის, ანგარიში არავის ჩაუბარებია და, ისიც უნდა ითქვას, არც მისგან მოუთხოვიათ.

ნაშუადღევს, თამარი რომ გამოჩნდა, მაინც გააცივა: ვაითუ ეს ცის თავანზე უბრალოდ გასეირნება არ იყოსო, მაგრამ მერე ამანაც გააკვირვა, ნეტა მე რომ გამაოცოს, ისეთი კიდევ თუ შეიძლება რაიმე მოხდესო. ერთი გულით თვითონაც კი ეთვალსეირა და ვრცელ მინდორში მაზარიან ქალთან ხელგაყრილმა იხუმრა:

— მოდი, სადაც სხვაა, ესეც იყოს...

თამარი შეცბა:

— რაღა იყოს? რაა ჩვენ რომ არ გადავიტანეთ.

— გადავიტანეთ?

— არის კიდევ რაიმე?..

— ალბათ.

— შენ მაინც რა გინდა რომ „იყოს“?

— ბევრი არაფერი... ამ ტრაგი-კომედიას მინდა ზევიდან დავხედო, სულ ჩვენ რომ დაგვცქერიან და სიცილით კვდებიან.

— სიცილით კვდებიან... — თავი მწარე სინანულით დააქნია ქალმა.

— ახლა მე დავჯდები და ვასმევ თვალს წყალს.

თამარი უხმოდ მიჰყვებოდა, ველის გადამხმარ ბალახებში თვალჩაციებული. თვითმფრინავი რომ აზრიალდა, ისევ შეცბა, მაზარიან მკლავში ბაკურს ხელი ოდნავ მოუჭირა:

— მე რა ვქნა ამ ტრაგედიაში?..

— შეენ?..

— ჰო, მე, მე!..

— შენ... მონასტერში წადი და გაიღიმა.

ქალს გააჟრჟოლა, მაგრამ თვითმფრინავის გრიალში „მომეყურაო“ არ უფიქრია და არც ის, ბაკური ამას ხუმრობით რომ არ იტყოდა.

— მონასტერში?

— კი, მონასტერში, „ოფელია“, მონასტერში!

— ვითომ, „მამას“ მოგვიკლავენ?

— ჩვენ იმდენი ვინმე მოგვიკლეს და კიდევ იმდენს... ერთი, თუნდაც იმპერატორი, მამის აჩრდილად კი ღირს.

თამარს გაუკვირდა:

— რატომ არ მიფიქრია ამაზე?

— მონასტერზე?

— მონასტერზე...

ბაკური დაიბნა: — „მონასტერზე არ უფიქრია... ისევ შინ დაბრუნებას და ცხოვრებას აპირებს?..“

— ნეტარ არიან მორწმუნენი.

— და შენ გიფიქრია ამაზე?

— არა. რატომღაც ახლა...

— თუნდაც ახლა... და გგონია, რომ ჩემი ხსნა მონასტერია? ან, ხსნა კი არა, გზა?..

ბაკურმა დახრილი თავი გაიქნია, მაგრამ არაფერი თქვა. თამარმა ერთი პირობა დუმილის შემდეგ დაუმატა:

— ვითომ... უჩვენოდაც ფიქრობენო და არ გინდა თავი შეიწუხო?

საყვედური ხომ არ იყო ეს? უმადურისათვის გაწეული სამსახურისათვის კი არა, საკუთარი თავისადმი?

ზემდეგი შაგალოვი მოსდევდათ თურმე უკან დედის გინებით, მაგრამ თვითმფრინავის ზრიალში არ გაუგონიათ.

— ნახა სეირნობის დრო! — გულისპირში ჩააფრინდა გამობრუჟული უფროსი.

— სად უშვებ! — პირველად იყო, თამარმა რომ ბაკურის მკლავს ხელი ვერ გაუშვა.

— ბებიაჩემთან — ნასტასია ნიკიტიჩნასთან, საიქიოს!.. — დააზუსტა

ზემდეგმა და ისევ შეიგინა, მაგრამ ამ-ჯერად უმისამართოდ და „მსხვერპლი“ ხელიდან გამოგლიჯა.

მაშინვე უბრძანეს — თვითმფრინავ-შიო! და აღმოჩნდა თვითმფრინავში. და თუ საავიაციო სამსახურისა ისევე არაფერი გაეგებოდა, როგორც ჩინეთის იმპერატორისა (თუმცა ჩინეთის იმპერატორისა, ალბათ, მეტი), ეს კი-დევ უკეთესი. რა თვალის სეირი უნდა ყოფილიყო მფრინავისათვის — თვით-მფრინავი და პარაშუტისტის — პარა-შუტი (ეს მერე გაახსენდა, როცა პარა-შუტი ყოველ შემთხვევისათვის მიაჩე-ჩეს). არც ამას ეთქმოდა ზებუნებრი-ვი... მთლად უპარაშუტოდ რომ გად-მოეხტუნებინათ არ შეიძლებოდა? მა-გრამ იმ იარაღის ქონა, რომლის ხმა-რება არ იცი, უიარაღობას არ უდრის? იქვე აუხსნეს: საჭიროების შემთხვევა-ში ამ ღვედებში გაეხვიე, ხუთამდე თვლა დღეს ყველამ იცის, და ამ რგოლს ხელი აჰკარიო. და, საერთოდ, გაიხსნ-ება თუ არა, მაინც მიწისკენ წახვალ, მადლობა ღმერთს, თავი მაინც ძირს გაქვს დახრილი, მაღლა აწი შენ ოცნე-ბითაც წამსვლელი არა ხარო.

ტვირთი, ეტყობოდა, უმისოდ დაე-დოთ. თვითონ ჩემოდნების და ჩანთე-ბის სათრევად ვიღაც მსხვილი ჩინოს-ნის თანმხლებს ახლდა, რომლის მაზა-რაც კი ჰოსპიტლის სუნით ყარდა.

მაგრამ ამით როგორ ეფიქრა, ამ ღა-მის მგზავრობას ფრონტთან რაიმე საქმე ჰქონდა. რაღაც მძიმე ბარგიც გა-დაჰქონდათ, მაგრამ ეს მუდამ დღე ასე იყო და თავწაკუნძული ბაკური ზის თვითმფრინავში, ილუმინატორთან და მეხთამტეხელივით უყურებს ქვევით ღრუბლებს, ზევით ვარსკვლავებს და იქნევს ელვის მათრახებს...

და მოხდა მოსახდენი!..

ჰო, მანამდე ეს კი იყო — თვითმფ-რინავით ერთი დაშვება სადღაც ბნელ-ში დაეშვნენ, თუ იმას დაშვება და და-ფრენა დაერქმევა — ნახნავებში, ნახ-რამებში და ნაორდალებში ჩაასკდნენ მიწას.

იქიდან ისევ ჯაყჯაყით და ძუხძულით აფახურების შემდეგ, ფირფიცრის ფრინველმა, ნახევარ საათზე მეტი იქოთქოთა და, ალბათ, რაც მის ძალას აღემატებოდა, იმაზე მაღლაც შეფო-ფინდა, რაკი ბაკურს საფეთქლის კაპი-ლარები ბამბის ძაფებივით დაუწყდა. მალე ამას ისეთი მძაფრი დრამატული სცენა მოჰყვა, ასეთი წვრილმანების თავი ვიღას ჰქონდა.

უეცრად ისეთ კაშკაშა, ელვარე პროჟექტორების შხვართალა შუქში მოჰყვნენ, უკეთესს თვალი მართლა ვერაფერს ინატრებდა. ამოდენა რახვი ობობას ქსელში გაბმული ბუზივით აბ-ზუილდა და თავრეტდასხმულ ტრიალ-ბზრიალს მოჰყვა. რა არ იჯახირა, მაგ-რამ, ბედდამწვარმა, ვერაფრით თავი ვერ დამალა. ეს კი არადა, ობობა, ჯერ კიდევ თავის დაღწევის მოიმედე, მო-მსხო ნადავლს რომ მიეჭრება და ქსე-ლის ახალ ძაფებს ახვევს, ღმერთი არ გაუწყრეს, ბადე არ გამიგლიჯოს და ულუკმაპუროდ არ დამტოვოსო: თვით-მფრინავს უამრავი დამაბრმავებელი ნა-თლის სვეტი შემოანთეს და ნადავლი ჩააჯვარედინეს, გაბაწრეს.

ფრონტის ხაზზე გამოუცდელ, ბუდი-დან ახლად გამოფრენილ ბარტყს არ ენდობოდნენ. ეტყობოდა, არც ეს მფრი-ნავი იყო ბრიყვი. იმდენი იტრიალა და იბზრიალა, იმდენჯერ ავარდა და დავა-რდა, ბაკურმა სადილად მირთმეული, კომბოსტოს მწნილის ბორშჩით ჭერიც კი გალუმპა.

როცა განწირულს ქვევიდან ტყვიის ცეცხლიც შემოუნთეს, ვითომ გვერდზე გადაფერდილი ფრენა ამჯობინა. ალ-ბათ: ეს ტანი ტანია, რას უზამ, მაგ-რამ ამ ტანის ხელა თითოეულ ფრთას მაინც ავაყირავებ, მტრის სანიშნეს ორჯერ შევამცირებ, იქნებ გადარჩე-ნის შანსი საორმესამედოდ გავზარდო. თავგზადაკარგულმა, რისი შემძლებე-ლიც იყო გააკეთა, მაგრამ სკდებოდა

და სკდებოდა ჭურვები, ცეცხლი ოთხივე მხარეზე ენთო.

ალბათ, მტრის ზურგში მაინც შეასწრო, რაკი ცეცხლის ხაზი უკან მოიქცია და მიცხო და მიცხო თავი, მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, რამდენი აგცდება. რამდენსაც ისვრიან ყველა რომ მიზანს ცდებოდეს, ხელისგულები კი არავის ექავება. ბოლოში, მარცხენა ფრთას წამოედო და ერთი შეჩქვიფების და შენჯღრევის ფასად ააბდღვნა, მაგრამ სამაგიეროდ იმოდენა გრძელი და შავი კუდი გამოაბა, კაცმა რომ თქვას, ასეთი მცირე დანაკლისისთვის მეტისმეტი გულუხვობა იყო.

აბა, ისკუპე, ჩემო ბაკურ!..

გაშალე ფრთები და იფრინე...

2.

ტყვის ცემა და მისიკვდილება ახალი გამოგონილი არაა. რაც არსთა გამრიგემ ტყვე გამოამეცნიერა, ესეც იქვე წაუსართა. თავიდან, ალბათ, თავში წარტყმა და წაქიმინჯებაც კმაროდა. მერე — მუშტი და სილაქები. სანამ ჯერ კიდევ ყრუობა იყო, პანღურსა და წიხლსაც ჯერდებოდნენ. მაგრამ, როცა ქვეყანა განათლდა, ჩექმა გაჩნდა და ჩექმაზე ნალი — დაიხვეწა, გამდიდრდა ასი და ათასი გამოგონებებითა და მიღწევებით. აბა, მუდამ ერთი და იგივე რა სათვალსეირო იქნებოდა.

მაგრამ ტყვისაგან ყოველთვის რაღაცას მოითხოვდნენ, რაც მან იცოდა და არ ამბობდა, ან შეეძლო და არ აკეთებდა. ამიტომ რტყმევა, მძგვლევა და წამება ამდენად „გამართლებული“ და „კანონზომიერია“, რაკი მიზანი ამართლებს საშუალებას.

მაგრამ, როგორი სათვალსეიროა, არაფერი იცოდეს წამებულმა იმისა, რასაც მწვალებელი მოითხოვს, რისთვისაც იღწვის და ოფლს ამაოდ იწურავს...

უნტერ-ოფიცერი ზივერსი ვერ იყო თავისი საქმის ერთგული, ანდა გერმანული სიზუსტითა და გამოწვლილვით კირკიტის დრო მართლა აღარ რჩებოდა; თარჯიმან გერჰარდტს გულწრფელ დახმარებასა და თანადგომას ევედრებოდა, ამდენი „ყრუ რუსის“ „შეუგნებლობით“ გაწამებული.

გერჰარდტი ყველა შეჭირვებულს თანაუგრძნობდა და ცალკე ტყვე ენანებოდა, ცალკე დამტყვევებელი ებრალებოდა. ეტყობოდა, არც ჩინისკენ ილტვოდა, რაკი თარჯიმნის უპრეტენზიო სამსახურით დაეწყო და ამ „ნეიტრალური“ როლით აპირებდა მესამე რაიხის მიერ მსოფლიოს დაპყრობის ომში მონაწილეობას. კეთილსინდისიერი იყო. არ ყოფილა ბაკურს რაიმე ეთქვას და ზედმიწევნით, ზუსტად და მიუკერძოებლად არ ეთარგმნოს.

გერჰარდტს უთუოდ ერთი სისუსტე სჭირდა: როცა გონმიხდილ, „დამუშავებულ“ ტყვეს შემოათრევდნენ და დაკითხვას იწყებდა, წყალი ამ დროს წამებულს მოსაბრუნებლად ეკუთვნის და არა სასმელად და თავზე სასხმელად, მაგრამ იგი ღალატობდა წესს და, როცა ტყვე მოსულიერდებოდა, მერეც აგრძელებდა მის „მოსულიერებას“. ისეც კი მომხდარა, გვემულს ჩასისხლიანებულ ტუჩებში გაჰლიმებია, როცა სითხე პირში ზიარებასავით ჩაღვრია. მაგრამ ეს „შეცდომა“ და „წინდაუხედაობა“ გერჰარდტს არცთუ დიდ ცოდვად მოჩვენებია.

ბაკურს, რაც აქამდე არ გასჭირვებია, წყალი და ჰაერი იყო, ახლა ამის დროც დადგა. ბნელ სარდაფში ჩამპალი, ტყვეების ზედახორაში ეგდო, იქ სუნთქვა ჭირდა და წამების დროს — წვეთი წყალი. ამ დროს რაიმე იცი და არ ამბობ კი არა, ნატრობ ნეტავ მართლა იცოდე და იმაზე მეტი თქვა, ვინემ შენგან ასეთი „პატივისცემის“ შემდეგ მოითხოვენ. რავა გინდა ამდენი ჯაფის და უსიამოვნების შემდეგ, შენთვის ასე დამაშვრალთ, კიდევ უარესი შრომა და წყენა მიაყენო. მაგრამ, მისდა უნებურად, ისევ და ისევ უნდა „ეჯიუტა“, რომელმაც, ბოლოს და ბოლოს, თუ ბაკურს არა, უნტერ-ოფიცრის ღაჟღაჟა ჯან-ღონეს ქანცი გაუწყვიტა.

„ამ უგუნურს“ არ ეყურება, რომ ზურგის შტატები ამ გამუდმებული შემოტევების გამოისობით განახევრდა და ისედაც წელში გამწყდარი ახალგაზრდა კაცი (უნტერ-ოფიცერი სულ რაღაც ოცდაოთხი წლისა თუ იქნებოდა) დღე და ღამეს ასწორებს. ტყვეებმაც, რაც მათი „დროებითი“ წინსვლა დაიწყო, პირზე ბოქლომი დაიდვეს და მათ გამოტეხვას ადრე რომ დრო სჭირდებოდა, ახლა ათი იმდენი არ ჰყოფნის. ზივერსი კი ის ერთი კაცია, რაც იყო. ცოტა მეტი გამოცდილება შეიძინა და ცოტა მეტი შიში გაუჩნდა — რა იცი რა მოხდესო.

— ამას გარდა, ცხოვრება ხომ გინდა?.. — შესჩიოდა მამის ტოლა ფილანტროპ მაიერს.

მაიერი თავშეკავებული, გადაუჭარბებელი ცხოვრების წინააღმდეგი არ იყო:

— ის, რისი უფლებაც ადამიანს მიენიჭა. — არ ამბობდა, ღმერთმა მიანიჭა თუ ხელისუფლებამო, მაგრამ აღვირახსნილობას და თავგასულობას უთუოდ არ თანაუგრძნობდა, რაც გერმანელ ჩინოსანთა დიდ უმრავლესობას უკვე სჭირდა.

— რასაც შენ დამიდგენ, დალახვროს ეშმაკმა... — ყაბულს იყო ზივერსი, — და ამ რეგვენს შეაგნებინებ!..

— ეს, რუსი არც უნდა იყოს... — ეჭვით თავს იქნევდა თარჯიმანი.

— აქვს ამას მნიშვნელობა?!. — მოწყდებოდა და მოსავდებოდა გაუბედურებული უნტერ-ოფიცერი, — ვითომ იმას გთხოვდე, ამ ღორის ეროვნება დამიდგინე-მეთქი.

— ამ შემთხვევაში იქნებ არა...

— არც ერთ შემთხვევაში, ეშმაკმა წაიღოს...

— ალფონს! — შემოიძახებდა ამ დროს ვინმე მუშამბაგადაკრულ, ღრიჭოდ შემოღებულ კარში და მაშინვე მიიხურავდა.

— ე, ბატონო გერჰარდტ, ბიჭები... მეც ხომ ცოდვილი ადამიანი ვარ და თვალის გახელა მინდა, თუნდაც შუაღამისას.

გერჰარდტი მისი მამის ტოლა იყო თორემ, არც მამა იყო და არც უფროსი, მისი ან გაშვება შეძლებოდა ან დაკავება. და თავს უქნევდა: „შენც თვალის გახელა გინდაო“, თუ შენც ადამიანი ხარო“.

თვით გერჰარდტ მაიერი მაინცდამაინც არსად ჩქარობდა. ის დრო, რაც ძილისთვის არ სჭირდებოდა, მაინც უქმი იყო. სახლს და პატარა მამულს მოწყვეტილი, სადღაც, უცხო მიწაზე და უცხო სამყაროში გადმოხვეწილი, თავს ეულად გრძნობდა, მარტოსულის მელანქოლია სჭირდა. ზომიერი, თავშეკავებული ცხოვრების თანამოაზრე აქ აღარავინ ჰყავდა. თითქოს ხვალ აღარ აპირებდნენ ცხოვრებას, ბუნდოდათ ყველა სიამოვნება, „მთელი სიცოცხლე“ დღეს მოესწროთ. თანამოაზრეებით მაინცდამაინც არასოდეს ყოფილა განებივრებული, მაგრამ ის თითოოროლაც შემოეცალა, რომლებიც თავიდან გაიჩინა. სულო ცოდვილო, ყველამ მოინდომა „პატარა ჯილდო“, „პატარა სახლი“, „პატარა მომავალი“ და მესამე წელია ასე პატარ-პატარობაში ნელ-ნელა გაილიეს. თვითონ რისი პატრონიც იყო, სჯერდებოდა, მაგრამ ვინ ჰკითხა. არც ახლა უნდოდა აქ ჯდომა, მაგრამ არც ყაზარმის გულგრილი და უთვისტომო უსულგულობა ეძახდა. ეს ტყვეც ენანებოდა და თავიც, მაგრამ იგი არც დამტყვევებელი იყო და არც იმის მოწადინე, ამ კისერმოღრეცილ ნაგვემს გუნებაში რა ედო. ამას საქმე მოითხოვდა, საქმე კი საქმეა და წესრიგი — წესრიგი.

ახალგაზრდობაში, მისდა ჭირად თუ იღბლად, ენებს სწავლობდა. პარტიების და აყალმაყალის მოყვარული არც ბიჭობაში ყოფილა. წიგნი უყვარდა, არცთუ ცუდი განათლება მიუღია და თავისთვის ფილოლოგობდა და ფილოსოფოსობდა, ლინგვისტობდა კიდეც, მაგრამ ინგლისელებს არ წყალობდა, გერმანელებს ზევიდან დაგვცქერიანო; კე-

რძოდ ამიტომ კი არა, საერთოდ, ადამიანის ქედმაღლობას ვერ ეგუებოდა და ვერც მათი ენა შეიყვარა. ლათინური, ფრანგული, და სლავური ენები იცოდა. სლავური უფრო იმიტომ, ამის მცოდნე ხელწამოსაკრავად არ ეყარა და ამას გარდა, ტოლსტოის აღმერთებდა. ისიც კი უკვირდა, ეს ბუმბერაზი რატომ გერმანელი არააო, მაგრამ ბოროტი შურით კი არა (ამის ნებას თვითონ ტოლსტოი არ იძლეოდა) — დედა რომ კარგ, შვილის ტოლა ვინმეს გადაეყრება და წამოცდება: ნეტავი შენ დედასო. რუსეთში ტოლსტოის სახლის ნახვაც უნდოდა, მაგრამ მაინცდამაინც გერმანული აჩემება და ჩაგეზება არ უყვარდა და არც იოლი იყო რევოლუციის შემდეგ რუსეთში ტოლსტოის და დოსტოევსკის საბაბით ხეტიალი. მერე ომი დაიწყო და ეს თავისთავად მოხდებოდა ეგონა, მაგრამ არც მაშინ და არც ახლა ბედს ამიტომ არ ემდურის. კაცმა რომ თქვას, ეს „მერუსულეობა“ ამაში მაინც გამოადგა, რომ ტყვიას შუბლს არ უშვერს და ცეცხლწაკიდებულ ტანკში ან თვითმფრინავში არ მიძვრება.

იმ კარში, საიდანაც ტყვე გაჰყავდათ და შემოჰქონდათ, ბაკურის „ძალიან კარგმა“ ნაცნობმა ჯან-ღონით აღბეჭდილი სახე და ცარიელი თავი შემოჰყო: კიდევ საჭირო ვარ ჩემი მოვალეობის აღსასრულებლად, თუ, ბოლოს და ბოლოს, „მეც ადამიანი ვარო“...

მაიერმა ერთხანს იფიქრა, რაღაც აწონ-დაწონა და თავი გაიქნია: დღესდღეობით საკმარისიაო.

კარი რომ მიიხურა, ბაკურს გაეღიმა.

თარჯიმანი არა ერთხელ გაუოცებია ამ ტყვის აუხსნელ ღიმილს და მთელი დღის დაღლას და მოთენთილობას ვერც ახლა დააბრალებს.

— არა... ახლა შენ მართლა გაგეცინა?!.

— კი.

— და იყო ამის მიზეზი?!. — გერმანელი ცოტა შეშფოთდა კიდეც, ეს „გაუტეხელი“ ტყვე ამდენმა წამებამ ჭკუიდან არ შეშალოს.

— დიდი ხანია.

მაიერმა ჩექმებიდან გულისპირამდე ამოაყოლა თვალი თავის თავს და სახეზე ხელიც კი მოისვა, ქუდიც მოიხადა და იქვე, ობერშარფიურერის სამუშაო მაგიდის ყურეში ჩამოდო.

— არა, ბატონო, თქვენს გარეგნობაში არაფერი... და ამას გარდაც, ისეთ გუნებაზე არ გახლავართ, თქვენ შარვალიც რომ გქონდეთ გახსნილი, ახლა ამისთვის მოვიცალო.

— ღმერთმანი, მეც ასე მგონია.

— ან, თუნდაც სხვა დროს, დაავიწყდება კაცს ღილების შებნევა, ან შეიბნევს და აერევა, რატომაა ეს სასაცილო. ადამიანს არაფერი ადამიანური არ უნდა უკვირდეს.

— ეს ბერძნებმა თქვეს!

— ლათინებმა.

— დიახ, დიახ!.. — გერჰარდტი ეცადა, ეს ფრაზა ლათინურადაც კი გაეხსენებინა.

— არ გინდათ, — დაამშვიდა ბაკურმა, — ლათინურისა მე მაინც არაფერი გამეგება.

— თქვენ გერმანული გესმით თითქოს...

— თითო-ოროლა სიტყვა, სკოლაში გვასწავლიდნენ.

— სკოლებში თქვენთან გერმანულს ასწავლიდნენ, და ახლაც, ომის დროსაც? — თარჯიმანმა სკამი ფეხით მოიჩოჩა და საზურგეს მკლავებით დაეყრდნო.

— ენამ რა დააშავა.

— რა თქმა უნდა, არაფერი! — თვალები დააფახულა, უთუოდ სიამოვნებითაც, მთლად გერმანულ გულგრილობას ვერ იტანდა.

— უნივერსიტეტშიც... სამი წელი.

— მაშინ, თქვენ, ჩვენი ენა გცოდნიათ და ეგაა!

— არა, ენას სახელმძღვანელოებით და ლექციებით ვერ ისწავლი. სალაპარაკოს, მით უმეტეს. — რუსულად უპასუხა ტყვემ.

— პრაქტიკა უნდა, ამ ორი წლის წინ მეც მიჭირდა.

— მაგრამ თქვენ უკვე დიდი პრაქტიკა გაქვთ!

მაიერი შეცბა. თვალებიც დააფახულა და მარცხენა ბეჭიც შეუტოკდა.

— მე ეს მხოლოდ პრაქტიკულობის პირდაპირი მნიშვნელობით გითხარით.

— თქვენს მდგომარეობაში. — მაიერმა ცხვირსახოცი ამოიღო, კეფაზე დაიფინა. — თქვენს ყოფაში...

— თქვენს „ყოფაშიც" არაა იოლი. — თანაუგრძნო თავის მხრივ ბაკურმა.

მაიერს სევდიანად გაეღიმა კიდეც:

— არა, მაინც არის განსხვავება.

— მგონია არავითარი.

თარჯიმანი წამებულს გახეთქილ ტუჩზე და შეშუპებულ თვალის უპეებზე შეაჩერდა.

— თუნდაც, რასაც ახლა ხედავთ, არც ამით.

— მოითმინეთ... თქვენ ღმერთი გწამთ?

— არა მგონია.

— ჰო, თუმცა თქვენში იგი არავის სწამს.

— რატომ!

— იმიტომ, რომ იკრძალება. მღვდლები დაიჭირეს, ეკლესიები დაკეტეს...

—თქვენთანაც ბევრი რამ იკრძალება...

— ჰო... რა თქმა უნდა, კანონი იმიტომაცაა კანონი.

— მაგრამ მე „იმას" ისე ვხედავ, როგორც თქვენ გიცქერით.

— ვის?!. — მაიერს ისევ აუტოკდა ბეჭისთავი.

— იმას, ვინც მე სამხრეთ კავკასიის იმ სოფლიდან წამომიყვანა, რომელიც თქვენ რუკებზე არაა აღნიშნული, თქვენ კი თქვენი სოფლიდან თუ ქალაქიდან და ერთმანეთის პირისპირ დაგვსვა.

— ეს მოვალეობაა ჩემი და... იქნება... თქვენიც...

— მაგრამ ამ მოვალეობის დაკისრება ხომ უნდა მოეფიქრებინა ვინმეს და მერე მისი შესრულება.

მაიერი დაფიქრდა და გუნება წაუხდა: ეგონა საუბარში ჩაითრია — ეს არცთუ ისე ყრუ კავკასიელი, მაგრამ ეტყობა მაინც მოტყუვდა.

— თქვენ გინდათ თქვათ, რომ მოვალეობას ვერ უღალატებთ? არ გირჩევთ. და ამას გარდა, რაც განწირულია...

— თქვენ იცით რაა განწირული და გადარჩენილი?

— ეს როგორ, კერძოდ თუ საზოგადოდ.

— არ არსებობს კერძო საზოგადოს გარეშე და პირიქით.

— თქვენ ახალგაზრდა ხართ და თანაც რუსი... კავკასიელი... არა, მე ტოლსტოისგან ვიცი კავკასია.

— გმადლობთ, — თავი დაუქნია ტყვემ.

— მოვალეობა... ესე იგი... არ არსებობს, თუ მიზანი არ არსებობს.

— ალბათ, მაგრამ მე არც კი ვიცი რა მევალება.

— ჩემთან არ გინდათ ასეთი ამბავი. ახლა აქ ხომ ზივერსი არაა.

— იმ თქვენმა ზივერსმა კი იცის რა ევალება? — შავ მუშამბაგადაკრულ კარებს შეხედა, — ან იმათ?.. — მეორე, საპირისპირო კარისკენ უნდოდა თავის მიბრუნება და კისერში ისეთი ტკივილი ეცა, ენა წაართვა.

მაიერმა თვალი აარიდა.თითქოს რაღაც უკანონო, ადამიანური ურთიერთობა მყარდებოდა, მაგრამ შესალევად მაინც ვერ გაიმეტა. ამ ბოლო დროს წახდა საქმე, თორემ საღამოობით იგი თავის თავს ეუთვნოდა და ფიქრობდა სახლზე, ქალიშვილებზე... ან კითხულობდა. სმით, ვითომ, თავიდან, როცა გამოიწვიეს, ერთი გატევა გაუტია, მაგრამ სიმთვრალემ თავდავიწყებას ვერ აზიარა. პირიქით, ნასვამს უფრო უჭირდა თავის შეკავება და რაც სჭირდა, იმაზე სავალალო დღეში აგდებდა, თუ, რა თქმა უნდა, მთლად გონს არ დაჰკარგავდა. გადამთვრალს კი, ერთხელ, კინაღამ ანტიფაშისტობა დასწამეს. „ტოლსტოიმ იმპერატორს სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ მისწერაო...

თუ ადამიანი და ჰუმანიზმი ერთი მგონიაო...“ რაღაც ამდაგვარი წამოეჩმახა და, ცხადია, ამისთვის ტაშს არავინ დაუკრავდა. მეორე დღესვე შეაგონეს: ლოთობა არაა იმის ხელობა, ვისაც ენაზე კბილის დაჭერა არ შეუძლიაო.

— ჩვენ გვყავს ერთი დიდი პოეტი, ის თქვენს ენაზეცაა თარგმნილი. ისევ თქვენებურის მიერ, რომელმაც ჩვენი ენა შეისწავლა.

— ენების რომელ ოჯახში შედის თქვენი ენა.

— ეს არაა ახლა მნიშვნელოვანი, მან თქვა: „კოკასა შიგან რაცა დგას იგივე წარმოდინდებისო“.

— თითქოს კარგია, მაგრამ ამით რა გავიგოთ.

— ის, რომ თუ კოკაში არაფერია, თავდალმაც რომ დაამხო, არაფერი გადმოიღვრებაო.

— არაფრის თქმას აპირებთ?

— ვერ გეტყვით, რაიმე რომ ვიცოდე შევძლებდი თუ არა დაფარვას, მაგრამ არც თქმით და არც უთქმელობით შეიცვლებოდა რაიმე.

— რა, არ იცით!.. — ეწყინა მაიერს და თვალები გადაატრიალა: მე შენ მამაშვილურად გექცევი, თავს გიტოლებ, წყალს გასმევ და შენ ისევ ჩემს გაბიაბრუებას აპირებო? — როგორ, ეშმაკმა დალახვორს, თვითმფრინავში სასეირნოდ ჩაგსვეს?

— თქვენ წარმოიდგინეთ, ჩემ სიცოცხლეში პირველად.

— და [illegible] ომმა ჩვენ თავზე გასწავლეს?

— აი, ამაზეა რომ მეცინება.

— და არ გქონდათ დავალება და დანიშნულება?

— თვითმფრინავს ექნებოდა, მაგრამ მე თქვენთან რომ პირისპირ ვმჯდარიყავი ,ალბათ ამიტომ...

— ასე გამოგიცხადეს: გერჰარდტ მაიერთან გგზავნითო?

— არა, მათ რა იცოდნენ სად მგზავნიდნენ.

— თვითმფრინავს გზავნიდნენ გერმანელთა ზურგში და არ იცოდნენ რისთვის?

— არა.

— ვთქვათ შენ მართლა არ იცი. რატომ ამბობ, რომ მათ არ იცოდნენო?

— იმიტომ, რომ რისთვისაც მათ გამოგზავნეს ეგონათ, ის არ მოხდა. ჩვენი შეხვედრა კი მოხდა.

— ესე იგი...

— ესე იგი, მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო.

— და მოხდება ის, რაც უნდა მოხდეს?

— აბსოლუტური სიმართლეა და ჩვენ ვერაფერს შევცვლით.

— და შენ არ იცი ვინაა „ის“, ვინც ჩვენს ზურგში, პარტიზანებთან იმყოფება თქვენთვის ასე მნიშვნელოვანი, ვისთვისაც საგანგებოდ თვითმფრინავი იგზავნება?

— ხომ გითხარით, მე ისიც კი არ ვიცი რატომ ამოვყავი თავი ზეცაში.

— და თქვენ გინდათ თქვათ, რუსები ასე უთავბოლოდ გვიტევენ და ასე შემთხვევით აღწევენ, ამ ბოლო დროს, წარმატებებს?..

— ისე, როგორც ომის დასაწყისში თქვენ აკეთებდით ამას.

— და მერე, ეს ჩვენზე არ იყო დამოკიდებული?

— ახლაც თქვენზეა დამოკიდებული და არ აკეთებთ? მაინც იხევთ? ეს თუ ასეა, მე ვიცი, როგორც ჩვენ, თქვენც გყავთ ისეთი ვინმე-ვინმეები, რომლებიც ამისთვის ყურს აგიწევენ.

— ჩვენზე რაცაა დამოკიდებული...

მაიერი დაიბნა, მაგრამ ახლა როდი განაწყენდა.

— აკეთებთ, ამის მოწამე მეცა ვარ... და არაფერი გამოდის.

გერმანელი დაეჭვდა, ეს წამებისგან თავის დაძვრენის ფანდი არ იყოსო?

— გამოვა... ხვალ გამოვა, ზეგ...

— არავითარი. — სრულიად დარწმუნებით უარყო ტყვემ. — არაა ეს ჩვენზე დამოკიდებული. მესამე წელია მე ომში ვარ. როგორც ახლა არაფერი ვიცი, არც სხვა დროს ვიცოდი სად

ვიყავი, სად მივდიოდი, ვის ვებრძოდი, ვინ დავჭერი, ვინ მოვკალი, ვინ დამჩეხა და ვინ დამასახიჩრა. არც ახლა ვიცი ვინ ზის ჩემს წინ, უნდა აქ იჯდეს თუ თავის სახლში და ოჯახში.

— ეს, ეშმაკმა ნუ იცის... თითქოს ასეა... — მაიერმა თვალები დააფახულა, თითქოს ამ გაუგებრობაში რაიმე სასიამოვნოც ყოფილიყოს.

3.

— მე ბავშვი არა ვარ, ორ წელიწადნახევარია ომში ვარ. — მეორე მოქუფრულ საღამოს უთხრა ტყვემ მაიერს.

გერჰარდტმა ცისფერი თვალები დაახარბალა და მილეული ნიკაპი და შუბლი დაუნაოჭდა: წამებისაგან თავის დახსნის მიზნით? თუ მამის ტოლა ხარ მაგრამ უკვე შენოდენი მეც გამეგებაო?

მაიერს გვიანი შემოდგომის ცივი ნესტი ტანში ჟონავდა და ძვლებს უწიწკნიდა. წლევანდელი წელი უფრო ნოტიო იყო, თუ მისი ორგანიზმი გახდა ამ ბოლო დროს ასე მგრძნობიარე? თუ რუსების შემოტევები რომ „დაკანონდა“ მის სხეულშიც სიცივე დაობუდა?

თუ მაიერის „ფილოსოფოსობამ“ საკაცობრიო აზროვნებას ის აგური ვერ შემატა, რომელსაც ბარე ოცი წელიწადია ჰპირდებოდა, იმისთვის კი ეყო, უბედურება კარზე რომ მოადგა და ასე ძალუმად დაუბრახუნა, ახლა მაინც დაენახა. ადამიანი და ეგოიზმი რომ განუყრელია, მაიერმა ცოლის შერთვიდან მესამე კვირის თავზე დაიჯერა (ერთი თვეც არ დასჭირებია). ამან ახალგაზრდა „ფილოსოფოსს“ სასოწარუკვეთა და თვითმკვლელობის ჭია შეუჩინა, მაგრამ ცოლს იგივე ეგოიზმის გამო არ გაჰყრია და მაინც ორი ქალიშვილის მამა გახდა. მერე შვილებმა „აიძულეს“ ებრძოლა და ადამიანი დაეხსნა თავისივე თავში ჩაბუდებული მტრისაგან — ანგარებისაგან. ამან ერთხანს იმოდენა საზრუნავი და თავსაცემი გაუჩინა, თვითმკვლელის გულის გამომხვრელი მატლიც კი მიაძინა და ართვალ ცოლთანაც შეარიგა; რაკი გარეგნულ სილამაზეზე, უგნურთა სიმდაბლეზე, პატივმოყვარეთა და შურით დაბრმავებულთა ხვედრზე მაღლა დგომა მოინდომა. მერე ისიც კი დაიჯერა, ეს გონებაჩლუნგი, მეშჩანი და მიმტაცებელი ცოლი იმიტომ ერგო, თვალი ახელოდა და ებრძოლა. ებრძოლა და ამოეშრო ის ჭაობი, რასაც მხოლოდ გონების თვალით კი არ ხედავდა, თვითონვე წილად ხვდა, რაშიც ცხოვრობდა და რაც, თუ გნებავთ, თავის თავში აღმოაჩინა. ცოლი ლამაზად მოწყობილი მამულის პატრონი იყო. პირველ მსოფლიო ომში დაღუპული მამის ერთადერთი ქალიშვილი; ყოველ უსარგებლო ნივთსაც ქორივით ჩაფრენილი, ქარაფშუტა და წიგნზე მწყრალი (ეს, რა თქმა უნდა, როგორც საერთოდ კაცის ცხოვრება, გრძელი და ვრცელი ამბავია). მაგრამ „ფილოსოფიის“ მოიმედე სწავლული, რამდენი დრო გავიდა და მეტი და მეტი გაიგო, იმდენი პირში ჩალაგამოვლებული დარჩა. თურმე ამ საკაცობრიო ძველისძველი სენის მკურნალობის მოწადინე მარტო თვითონ არ ყოფილა. არც პირველი და არც უკანასკნელი. თურმე ამისთვის მოუგონიათ წესები და კანონები, დასჯა და წაქეზება. თვით სახელმწიფოც და რელიგიაც, განათლებაც და კულტურაც, ფილოსოფიაც და ხელოვნებაც. კაცმა არ იცის რა ნიჭი და შრომა, ძალა და ნებისყოფა შელევია ამ უმადურ საქმეს. და, ბოლოს და ბოლოს, ეს კაცის თანდაყოლილი თავისივე მტერი და ორგული კი ვერ დაუმარცხებიათ, პირიქით, ათასნაირი ცოდნით და ნიღბებით შეუიარაღებიათ. ის თავდაპირველი მიამიტი, უგნური, თავკერძა ღორი თვალთმაქც, გაიძვერა ვერაგად უქცევიათ. ადრე თუ თავის მსუნაგობას ურცხვად აჩენდა, ვერ ფარავდა, იცოდი ვისთან გებრძოლა და ძალიც შეგწევდა, ახლა ანგელოსის ნიღბით და ღვთიური ღაღადისით, პირმოთნეობით და ფარისევლობით, ერთის ქადაგებით და მეორის კეთებით, სიყა-

ლბით, გაიძვერობით, თეთრი კბილის ჩვენებით და შავი გულით, პირში სიცილით და ზურგსუკან ორმოს თხრით, მაღალი საკაცობრიო ზნეობის ფარით და ჰუმანიზმის მუზარადით სპობს და აცამტვერებს ადამიანს — თავის თავს. ამას მარტო ამ ცივილიზებულ ევროპაში კი არა, სადღაც, გადასაკარგავ კავკასიის იქითაც ჩაუღწევია და, ღმერთმა ნუ იცის, ეს სამი წლის ნაომარი ტუსაღი როდის ტყუის და როდის მართალს ამბობს.

რასაც იმ დალეწილი კბილებიდან ფქვავს, ვითომ მართალია და გულწრფელი, მაგრამ, ალბათ, სიცრუეც იქ იწყება. ერთი ცხადია — ასეთი „შეიარაღებული“ მოწინააღმდეგე იმ გულუბრყვილო „უხეშ დამუშავებას“ არ ექვემდებარება. და ვისაც სიკვდილი ასჯერ უნახავს, იმას მეასერთედ ვეღარ შეაშინებ. ვისაც სიცოცხლე ჩალის ფასად გაუხდია, იგი ბზეში ოქროს ფასს არ გადაიხდის. ოქროდ უნდა უღირდეს, რომ ვერცხლში გაცვალოს. ვერცხლში ვერცხლის გაცვლაც არაფერს აძლევს და უანგაროდ არაფერს გააკეთებს. მაიერს იმის ცოდნაც მართებს, რასაც „გიცვლის“ — ნამდვილია? ყალბი რატომ არსებობს? — ძნელად განირჩევა ნამდვილისაგან და საღდება. ოქროც არქიმედის „სხეულის კუთრი წონის“ კანონით არის შესამოწმებელი.

— ღმერთი იმიტომ არ გწამს, რომ მის არსებობას ვერ ასაბუთებ?

— ამას გარდა, უსაწყისოა. და მე რაც ვიყავი ის ვიქნები?..

— მაგრამ გარდა გულუბრყვილო ბრბოისა, ბევრ მოაზროვნესაც სწამდა.

— როგორც ვოლტერს, ძეგლი რომ აუგო? და მეგობარს უთხრა, შინამოსამსახურე რომ გავიდა, ამას რომ ეუთხრა ღმერთი არაა, ამაღამ თავს ნაჯახით გამიჩეხავსო?

— და თავი ამითაც გასცა?

— არა, უფრო ადრე, როცა ძეგლი აუგო.

— ღმერთი რომ არსებულიყო ძეგლი რად უნდოდა?

— თქვენ ამას წინათ ტოლსტოი ახსენეთ. მე მამაჩემისგან ვიცი, მანაც კი, თავის საფლავზე, ძეგლის დადგმა ანდერძით აკრძალა. თუ, რა თქმა უნდა, ამით მაინც ძეგლი არ დაიდგა.

— მოიცა, მოიცა... — მაიერმა კარს გახედა, ობერშარფიურერი წაუსვლელი არ იყოს და, ღმერთი არ გაუწყრეს, ამას ისევ ჯალათები არ მიუსიოსო.

— თქვენმა „მოიცა, მოიცამ“ მე ისევ ის ჩვენი დიდი პოეტი გამახსენა და მეღიმება, თქვენ თავზე არ მიიღოთ.

— რაო, იმ თქვენმა დიდმა პოეტმა.

— აი, თქვენი არ იყოს, „სადაურმა სადმე გზასა“ ჭაში ჩავარდნილი კაცი ნახა. დამიცადე, ბაწარს მოვიტანო. იმ ჭაში ჩავარდნილსაც გაეცინა: „რომ გავიქცე, სად წავიდეო“.

— მე მთლად ასე არ მითქვამს.

— ადამიანი, მოგეხსენებათ, ეგოისტია. ყველა სათავისოდ ფიქრობს და ზრუნავს. ყველაფერს საჩვენოდ გამოვიხელკეთილებთ და, ამიტომაცაა, ბოლოს გაწბილებულნი და გაკოტრებულნი რომ ვრჩებით. ისევ იმ თავდაუღწეველი ეგოიზმის გამო ვქმნით ღმერთს, იქ მაინც რომ დავიკმაყოფილოთ ჩვენი თავკერძა ვნებები.

— ვნებები?..

— რას ამბობს რელიგია, სამოთხე რა�ა?..

— ჰო, თუმცა მართალია... მაინც რას?.. როგორი უნდა იყოს?

— თუ ღმერთმა უკეთესი ვერაფერი მოიფიქრა...

— ვთქვათ ადამიანმა.

— სხვას რომ თავი დავანებოთ, უზრუნველად აყვავებული სამოთხე ხომ მაინც ზარმაცის და მცონარას ნაოცნებარია.

— ჯოჯოხეთი?

— ჯოჯოხეთით აშინებდა „მოყვასს“, რომ მოწინააღმდეგე შეეზღუდა და თავისი თავკერძობისათვის გასაქანი მიეცა. სამოთხე ხომ ადამიანის სიხარბის აღსრულებაა. ჩვენ ხეირიანად არც კი

ვიცით რა გვინდა, ან. უფრო სწორად, რა აღარ გვინდა. ამიტომ სამოთხე ხეირიანად დაზუსტებული არც კია. მგონი, რაც გინდა სულო და გულო. ჩვენთან არ ასწავლიან საღვთო სჯულს... თქვენ უფრო კარგად გეცოდინებათ.

— ამიტომ გგონიათ, ჩვენ ყველაფერი გვჯერა?

— არა მგონია; თქვენ რომ ეს გწამდეთ, საკუთარ ერს და ქვეყანას სხვებზე უკეთესად არ გამოაცხადებდით.

— მოიცათ, მოიცათ! — გერჰარდტმა „ტუსაღის კარი“ გააღო, გაიხედა და მაგრად შემოიხურა.

— აი, თქვენ გეშინიათ. ჩვენ ისეთს არაფერს ვამბობთ, რაც იმათაც არ იციან, ვინც არ გვინდა გვისმენდეს. მაგრამ ჩვენი და მათი ეგოიზმი შეეჯახება ერთმანეთს და სიმართლისთვის დავისჯებით. თქვენ, რა თქმა უნდა, თორემ მე ხომ ისედაც ჩემი მჭირს.

— თქვენ მართალი ხართ?.. უფრო სწორად... სიმართლეს ამბობთ.

— მე ვიცი, თქვენ მარტო ამ „რელიგიურს“ არ გულისხმობთ...

„ამასთან წამებით და გვემით ობერშარფიუერერი ვერაფერს მიაღწევს. უნდა მაცალოს, შთავაგონო. კაცმა რომ თქვას, სხვა გზა არც რჩება. ხელში რომ შემოაკვდეთ, ეს საქმის არასწორი წარმოებაა. ეს ჩინს და კაბინეტს ვერ შესძენს“.

— მართალია, მარტო ამას არ ვგულისხმობ, — დაყაბულდა მაიერი და ცისფერი, ნათელი თვალები დააფახულა.

— მე არც ღმერთისათვის ვამბობ სიმართლეს, რაკი უფალიც არ გვიმხელს ჩვენ ჭეშმარიტებას თავისი არსის თაობაზე. არ იფიქროთ სიცრუეს დავერიდებოდი, რომ აქ ჩემ ეგოიზმს რაიმე გამოსარჩენი ჰქონდეს.

— თქვენ მარწმუნებთ, რომ წამება ტკივილებს არ გაყენებთ?

— არა იმაზე მეტს, რაც არ მტკენია. მაგრამ ეს მაინც არ ნიშნავს იმას, რაკი ერთხელ გავნეს მეორედ აღარ ივნები. მაგრამ მე ჩემ უბედურებას მწვალებლების „ბედნიერებაზე“ არ გავცვლი და არც ის მგონია, მართლა რომ რაიმე ვიცოდე და არ ვთქვა, ან ვიცრუო, ეს ომის ბედს შეცვლის — ჩვენი არმიის წინსვლას შეაჩერებს (თუ ეს ასეა გადაწყვეტილი) და ისევ თქვენი წინსვლა დაიწყება. მე, მოგებული და წაგებული, ორივე დამარცხებული მგონია. ომში ყველა მარცხდება და ყველა ჯარისკაცი იღუპება.

— როგორ, ჩვენ ყველა დავიღუპებით?

— ჩვენ დაღუპული ვართ.

— მოითმინეთ, მოითმინეთ!.. — ამჯერად მაიერს კარებისკენ არ გაუხედია, მხარი და მილეული ნიკაპი ისე აუთრთოლდა.

— კი, ბატონო, ჩემი და თქვენი შემმუსრველი ტყვია ჩამოისხა. იგი ჩვენ რომ არ მოგვხვდეს, მაინც არ აგვცდება. ჩვენ უკვე აღარ ვარსებობთ.

— ჩვენ აქ არა ვართ?!.

— თქვენ გონიერი კაცი ჩანხართ და ამაში ეჭვი გეპარებათ?

— რა გგონიათ თქვენ არსებობა?

— ახლა ვერ გეტყვით, მაგრამ ომის დაწყებამდე მეგონა, უნდა მეკეთებინა ის, რაც გულით და გონებით უკეთესად და საჭიროდ მიმაჩნდა. ახლა კი არა, რაც ჩვენთვის ტყვია ჩამოასხეს; ვაკეთებთ იმას, რაც არ გვინდა...

— და ეს სიკვდილზე უარესი არაა!..

— ამაზე აქამდე არ მიფიქრია, მაგრამ ახლა მგონია უარესია, რაკი სიკვდილის შემდეგ ვერ აკეთებ იმას, რაც შენ გულით და გონებით გწადია, მაგრამ არც იმას, რაც არ გინდა. ნუ გეწყინებათ, ბატონო მაიერ, მაგრამ თქვენ არ გინდათ ის, რასაც აკეთებთ. არც იოჰანს და კარლს. აბა რა სიამოვნებაა შედგე ჩექმებით იმ საცოდავს და უბადრუკს, ვისაც არც კი იცნობ და არც წინააღმდეგობას გიწევს. მე რომ რაიმე ვიცოდე, არ დავფარავ; თუ ჩემს თავს არა, თქვენ შეგიცოდებდით. ამით მე სამშობლოს კი არ ვუღალატებდი, როგორც თქვენს და ჩვენ სამხედრო იურისპრუდენციას ჰგონია. ჩემთვის

ყველა საიდუმლოს და არასაიდუმლოს ერთი ფასი აქვს...

— ღმერთს ყველაფერი გადაწყვეტილი აქვს?

— არ ვიცი, ღმერთს თუ დავარქმევთ, მაშინ მის მიმართ სხვა მოთხოვნილებებიც გაგვიჩნდება. ღმერთი თუ არსებობს, ის ჩვენთვის მართლა შეუცნობელია და ჩვენი მიწიერი მოთხოვნილებებისათვის გაუგებარი. რელიგიას რომ ღმერთი ციდან არ ჩამოჰყავდეს და ჩვენს ცოდვა-მადლში არ რევდეს, მეტი მორწმუნე ეყოლებოდა.

— მაშინ ეშმაკი?

— აი, ხომ ხედავთ, ბატონო მაიერ, ეს მაშინვე შენიშნა ადამიანმა, როგორც კი ღმერთი შეჰქმნა. არ დაიჯერა მისი ერთადერთობა, რაკი რაღაც თუ ვიღაცა კიდევ არსებობდა, რომელიც უგულებელჰყოფდა ღვთიურს და ადამიანზე ბატონობდა, სანამ მიწაზე იყო, მანამდე მაინც.

— ბედისწერა?

— თუ გნებავთ ბედისწერა დავარქვათ. აი, ის ჩვენი დიდი პოეტი ამბობს: „მაგრამ ღმერთი არ გასწირავს კაცსა შენგან განაწირსა“.

— არ ამბობს ვინ?

— იგი „სოფელს“ ეძახის, — წუთისოფელს, გვაქვს ჩვენ ასეთი გამოთქმა, რაც აქ ყოფნას, ამ მიწაზე ჯახირს ნიშნავს. ესე იგი, გენიოსის თვალმა დაინახა იგი, მისგან კი მე ვხედავ ისე, როგორც თქვენ გიყურებთ და მჯერა, ჩვენ ერთმანეთზე გვაკლავს. რაშიც ჩვენი სურვილი არ ურევია. მაგალითად მე, როცა თვითმფრინავში ჩაჯდომა მიბრძანეს, ვიცოდი თქვენ შეგხვდებოდით.

— მოიცა, მოიცა... მე?!

— ჰო. სახელდობრ თქვენ, გერჰარდტ მაიერს კი არა, ვინმე ოტტოს ან ჰაინრიხს. როცა მე სასიკვდილოდ დავიჭერი კავკასიონის მწვერვალებში, იქ მომაკვდავი კი არა, ნაპრალში ცოცხლად ჩაცვენილი ჯარისკაცებიც არავის უძებნია. მე ვინ ჩამომიყვანა და რატომ ჩამომიყვანა, ახლაც წარმოდგენა არა მაქვს. და ასე კისერმოღრეცილი, სამწყობრო ნაწილებისათვის გამოუსადეგარი, აეროდრომზე შუშა ჯარისკაცად ვეგდე, მაგრამ როცა ჰაერში შემისროლა...

— აფეთქდა რამე?

— მაპატიეთ, თქვენ მე გულისყურით მისმენთ?

— დიახ, მთლიანად...

— ბომბიც რომ გახეთქილიყო, თვითონ ბომბიც ხომ არაფერ შუაშია? ვინც იმ ბომბს გვაკეთებინებდა, თქვენ ჩემთვის და მე თქვენთვის... იმაზე მოგახსენებ, იმან შემისროლა.

— მესმის, მესმის... ბედისწერამ...

— თუ გნებავთ ბედისწერა იყოს... ახლა „ის“ კაცი ავიღოთ, ვინც მიწაზეა და ვისი ხელითაც თუ ხელისუფლებითაც ჩვენ ყველაფერს გვაკეთებინებს. გგონიათ „მან“ ჩვენზე მეტი იცის იმისა, რასაც „ბედისწერა“ ჰკარნახობს? — მაიერი სკამზე მთელი ტანით შეტოკდა. — ნუ წამოიძახებთ, ბატონო გერჰარდტ, „ჰაილ, ჰიტლერს!“ ეს ჩემ თვალში დაგცემთ. მე თქვენ ბრმა იარაღი მაინც არ მგონიხართ.

— ჩვენ შეგვიძლია „მის“ წინააღმდეგ რაიმე გავაკეთოთ და არ ვაკეთებთ?

— არა, მაგრამ შეუცნობელი, ბრმა მორჩილება მაინც პირუტყვის ხვედრია, რომელსაც დილით გადენიან სახლიდან, საღამოს მოდენიან, მოწველიან და არ იცის, რომ ხვალ ყელს გამოსჭრიან.

—მაგრამ თუ მაინც არაფერი შეგვიძლია, რად გვინდა იმის ცოდნა, ხვალ რომ ყელს გამოგვჭრიან, რად... ასეთი წინასწარმეტყველება. ამას ხომ სჯობია..

— რომ პირუტყვი იყო?.. — მაიერი დაიბნა და ტყვეს ერთბაშად მიაშტერდა.

— შეიძლება, — დაეთანხმა ბაკური მის ორჭოფობას, — მაგრამ ეს ჩვენზეა დამოკიდებული? მე, რა თქმა უნდა, არ ვიცი თქვენ რა ცხოვრებით იცხოვრეთ, მაგრამ ნუ მეტყვით, რომ

ბედნიერი იყავით. გონიერთათვის ბედნიერება არ არსებობს.

— შეიძლება დაგეთანხმოთ...

— რა თქმა უნდა, ამას ახლა კი არა, ადამიანი გამოქვაბულში რომ ცხოვრობდა, მაშინაც ვერ იტყოდა, თუ ჭკუას ძალას დაატანდა. და თქვენთვის, თქვენს გაჩენამდე რომ ეკითხათ, ისურვებდით ქვეყნად მოვლინებას?

— არა მგონია, არა მგონია! — თავი გააქნია მაიერმა და თვალები დააპარპალა.

— არადა, კაცმა რომ თქვას, თუ სადმე გვგზავნიან, ხომ უნდა გვკითხონ, ჩვენ გვინდა თუ არა? ესე იგი, ჩვენდამი უპატივცემლობა და აბუჩად აგდება ჯერ კიდევ იქიდან იწყება, როცა ჩვენ არც კი ვიყავით. როცა არ შეგვიცოდავს, ჭიანჭველასათვისაც ფეხი არ დაგვიდგამს, როცა ფეხიც კი არ გვქონდა და ახლა ცოდვილთ გვკითხავს? როცა ერთმანეთის სისხლს ვსვამთ?.. ჩვენ ორივემ ვიცით რა ხდება თქვენს საკონცენტრაციო ბანაკებში: ტყვეებს შიმშილით ხოცავენ, გაზით გუდავენ, ან ცოცხლად წვავენ თავის თავს...

— ტყვეები?

— მე მინდა თქვენ ყური კარგად დამიგდოთ...

— გიგდებთ, უსათუოდ გიგდებთ... — მაიერი მთლად ცისფერ თვალებად იქცა, — თავის თავსო...

— ეს ჩემმა უმცროსმა ძმამაც კარგად იცოდა. ლექსებს წერდა, სხვათა შორის...

— კარგია! — თავი დააქნია მაიერმა. — აი, რაც ადამიანმა უნდა აკეთოს...

— თუ საამისო ნიჭი დაჰყვა.

— სულ ერთია, მაინც... ხარისხშია განსხვავება, თორემ მიზანი ხომ ერთია...

— ახლა ჩემი ძმაც ფრონტზეა და ჰკლავს თავის თავს... როცა პოეტი კაცს მოკლავს...

— პოეტი ამას არ ჩაიდენს!

— არ ჩაიდენს... თქვენს უზარმაზარ ლაშქარში არავინაა, რომ ლექსი არ დაუწერია, ან მუსიკა? ან ხატი არ დაუხატავს? მაგრამ, როცა კაცს მოკლავს, იმავე წამს, ხომ მოკლავს თავის თავში პოეტს, მუსიკოსს, მხატვარს... თუ ის პოეტი იყო და პოეტს მოკლავს, რა რჩება ამის შემდეგ.

— ლეში!.. — წამოიძახა გერმანელმა და თავისივე თავდაუჭერელობისა შერცხვა, მაგრამ მალე გონს მოეგო და გაუხარდა, რომ ისე მოიქცა, როგორც ეწადა. — თქვენ ომის შემდეგ დარჩით გერმანიაში, ჩვენთან ფილოსოფიის დიდი და მრავალმხრივი ინსტიტუტებია.

— შეურაცხყოფად ნუ მიიღებთ, მე თქვენ კი არ განათლებთ, ჩემს მრწამსზე მინდა მიგანიშნოთ.

— მე ყოველნაირად ვიზრუნებ...

— თქვენ იზრუნებთ ჩემზე? ჩვენზე... ჩემზე და თქვენზე ზრუნავენ... ამის თაობაზე ხომ ვილაპარაკეთ?

— თუმცა ხომ, მაგრამ ისევ „ის“... „იმან“ ჩამაგონა...

— „ის“ თუ იზრუნებს, თქვენ შეგიძლიათ არხეინად ბრძანდებოდეთ... მაგრამ მე ისევ იმას ვუბრუნდები... ხომ ყველა ადამიანშია პოეტი...

— პოეტი... პოეტი არა.

— ადამიანი ხომაა.

— უნდა იყოს...

— ესე იგი, მე ვგულისხმობ ადამიანს — არა მკვლელს. ადამიანი, ჩემი გაგებით, მკვლელი არ უნდა იყოს. და თუ ის მოჰკლავს, გახდება მკვლელი და არა ადამიანი, მოჰკლავს თავის თავსაც და იმავე დროს ხდება თვითმკვლელიც. მერე ის რად დარჩება და რამდენ ტონა პურს და ღორის ხორცს გაანადგურებს, ეს უკვე სხვაა.

— მაგრამ სამშობლო, ქვეყანა, პატრიოტიზმი... ხალხი, ერი...

— ბატონო მაიერ, რომელი სამშობლო გაქვთ თქვენ ჩემ სოფელში, გულზოდში, როცა გერმანელები ქვეყნად სულ არ არსებობდნენ, იქ ჩემი წინაპრები ცხოვრობდნენ... ეს საწყენი სულაც არაა, არც თავმოსაწონებელი. ეს, უბრალოდ, ისტორიაა და მეტი არაფერი. მე მამა ისტორიკოსი მყავს...

— იგივე ისტორია...

— იგივე ისტორია, თუ გნებავთ... არ ამბობს რამდენი იმპერია იყო და საპნის ბუშტივით გაქრა? თქვენ ჯერ კიდევ არ შეგიქმნიათ, და თქვენ გგონიათ იმ თქვენმა თოჯინამ... აქ ჩვენ არავინ გვისმენს და, ამის გარდა, მე ადამიანებს თოჯინას ვეძახი, რაკი ჩვენ ჩვენი ნების წინააღმდეგ გვმართავს ვიღაცის რკინის ხელი... და იმ თქვენმა თოჯინამ არ იცის გგონიათ? ჩვენზე კარგად იცის და მაინც...

— მოითმინეთ, მოითმინეთ, დავიღალეთ... გვიანია...

— კი, ბატონო, როგორც ბრძანებთ.

— არა, მე აქ... ყოველ შემთხვევაში მალე აქაურობას გაგარიდებთ... სადმე ბანაკში... ეს ომი ხომ მაინც უნდა დასრულდეს... თქვენ მაინც გერმანიაში უნდა დარჩეთ.

— თუ იმპერატორებს არ ეკითხებიან, ჩვენ გვკითხავენ სად დავრჩეთ და სად არა? მე კიდევ ერთი რამე მგონია, ბატონო მაიერ, არ ვიცი, თქვენ ეს ჯერ თუ არ შეგინიშნავთ, გთხოვთ მომავალში მაინც მიაქციოთ ყურადღება. ზოგჯერ ამ გადაფრენა-გადმოფრენას, გადასროლა-გადმოსროლას ისე ულოგიკოდ აკეთებს, თითქოს უნდა დაინახო და დაიჯერო, რომ „ის“ არსებობს.

— როგორ, ულოგიკოდ დაინახო?..

— ულოგიკო რატომ მოგახსენეთ?.. მიჭირს... ჩვენ ხომ მაინც მშობლიურ ენაზე არ ვლაპარაკობთ... მოგეხსენებათ, ენის ცოდნა... აგერ, თქვენ თვითონ ხართ მაგალითი. არა მგონია თქვენ ენები ჩემ დასაკითხად შეგესწავლათ.

— ღმერთო!.. — აღმოხდა ოვალჩაწყალებულ მაიერს...

— თურმე „ბედისწერას“ ეს თავისი საქმისათვის ნდომებია. „ულოგიკოდ“-მეთქი, ამიტომ გითხარით... და თუნდაც ეს ლინგვისტობა ულოგიკობა არაა? თქვენ რუსულს, ან ფრანგულს იმიტომ ხომ არ ისწავლიდით, ფრანგი ან რუსი თავის ენაზე მოგეკლათ.

— ღმერთმა დალახვროს, ვინ იფიქრებდა!

— მე და თქვენ რომ სამხედრო განათლება მიგვეღო, თითქოს ომის ერთგვარი ლოგიკა მაინც იქნებოდა. აქ ეს ეც არაა და ეს ხომ არ ნიშნავს იმას, რომ „ის“ გვიმხელს თავის არსებობას და ჩვენ თვალს ვიბრმავებთ იგივე ეგოიზმის გამო, რაკი ამის დაჯერება არ გვაწყობს?

— ხომ ვამბობთ, ბედს ვერ გაექცევითო?

— მაგრამ იქვე უარვყოფთ, შენი ბედი შენს ხელთაა.

— ისევ და ისევ ეგოიზმი?

— არ ვიცი. თქვენ რაც გენებოთ ის დაარქვით, მაგრამ მე ეს დიდი ხანია ვიცი...

— ამას გარდა... მე თქვენ ახლა საკნამდე მიგაცილებთ და იცით რას გირჩევთ? ნუ იტყვით, რომ თქვენ რუსი არა ხართ. მე კი ვუთხარი ობერშარფიუერერს, მაგრამ მას ეს არც ემახსოვრება, მით უმეტეს, არც ჩაუწერია...

— მირჩევთ მაინც ტყუილი ვთქვა?

— თუ ყველაფერს ერთი ფასი აქვს... — გეოჰარდტს მწუთხედ გაეღიმა.

— მე ამიტომაც ვამბობ სიმართლეს...

— როგორ...

— ეს ჩემი პროტესტია.

— პროტესტში კი აზრი?..

— აზრია: თავის ჯკუაზე, გასართობად და ტაკიმასხარად მაბურთაოს და ფლიდ და ცრუპენტელაც მიძახოს?

მაიერს სიცილი აუტყდა რაღაც უხერხული, დავიწყებულის გახსენებასავით.

— არა, მაინც... — სახე უცებ მწუხარებით დაეღრუბლა, თვალების დამალვა მოინდომა, — ნუ იტყვით... რა ეროვნებისა ხართ?

— ქართველი...

— ჰო, თუმცა ვიცი, ტოლსტოი... ჰო, საუბედუროდ ჩვენში არსებობს, მგონი, რაღაც შავი საზოგადოება «Ahnenerde» და მისი უამრავი ფილიალი ინსტიტუტებთან და უნივერსიტეტებთან.

— თავისუფალ მსმენელად მაინც შემიძლია მოვეწყო იმ „აჰნენერდეს“ საზოგადოების შუამდგომლობით?..

— არ გირჩევთ. — მძიმედ დახარა თავი გერმანელმა. — საკონცენტრაციო

ბანაკებში საგანგებო ლაბორატორიებიც კი არსებობს მასალისათვის...

— ბატონო გერჰარდტ, ვერც კი ვხვდები მე რისლა მასალად უნდა გამოვდგე. ან მე კიდევაც რომ ვიცრუო და დავმალო ჩემი ეროვნება, რომელიც სხვაზე ნაკლებად არ მიმაჩნია, რუსს ვინ დაუსვამს თავზე ხელს.

— დალახვროს ღმერთმა!.. — ფანჯრიდან კარგა ხნის მძინარე ქალაქის თვალის გადავლება მოიგუნება და პირმიჭცეულმა განაგრძო, — ენტომოლოგიური, ანატომიური, თუ სამედიცინო ინსტიტუტებისთვის სხვადასხვა რასების ჩონჩხებისთვის... ჩემი უფროსი ქალიშვილი სწავლობს, სტუდენტია... არც მან იცის, ღმერთია მოწამე...

— თურმე წინ კიდევ ბევრი „სიამოვნება" მელოდება.

— თუმცა... — რაღაცის უეცარი აღმოჩენით შეცბუნებული მოტრიალდა — თქვენ ხომ კისრის მალები გაქვთ დაზიანებული...

— კი, ეს ბედნიერება მაქვს.

— იქ კი, სამწუხაროდ, „საჩონჩხე მასალას" დიდი ყურადღება ექცევა...

— ამ სიამოვნებას, ბატონო გერჰარდტ, ვერ მპირდებით? ვწუხვარ... ხედავთ? როგორი ლაბორატორიები და ფილიალები მოუგონია „იმ კაცს" და ჩვენ მაინც არ გვინდა „მისი" არსებობის დაჯერება.

— გაჩერდით, მამაშვილობას, გაჩუმდით!

— წარმოგიდგენიათ!? ბატონო მაიერ, მთელი ჩემი ცხოვრება ძალიან ცოტას ვლაპარაკობდი. ბიძაჩემთან შემეძლო ორიოდ სიტყვის თქმა. მაგრამ ვფიქრობდი ძალიან ბევრს და ერთმანეთის საწინააღმდეგოს. მამაჩემის გავლენითაც... ან მისგან გადმომეცა ბევრი რამ მზამზარეულად... ამ ბოლო დროს, ჰოსპიტალშიც და აქაც. ლაპარაკი დავიწყე. ეს კარგს არ ნიშნავს, რაკი მე თითქმის ჩემი წილი ყველაფერი „გავხარჯე" ვუნდერკინდივით და ახლა, ალბათ, ესღა მაქვს დარჩენილი...

— ნიჭიერი კაცი ისმენს, სანამ მის „დონეს" გარემო „დონეს" არ გაუთანასწორებს...

— მე არც ნიჭიერებისა და უნიჭობას მჯერა, და თუ მაინც არსებობს, ნიჭიერი უფრო უბედურია.

— მე ის როდი ვთქვი, რეგვენი უბედურია-მეთქი, მაგრამ იგი ყოველთვის ლაპარაკობს.

— წეღან თქვენ ყურადღება კარგად ვერ მომაქციეთ, ან ფიქრმა გაგიტაცეთ. ვიცი, რომ თქვენ სიტყვა „სამშობლოში" ჩემი ქვეყანა არ გიგულისხმიათ. თქვენი ქვეყნის ინტერესების და მისი სამომავლო საქმე გაფიქრებდათ.

— რა თქმა უნდა... უთუოდ...

— მაგრამ ჩემი პასუხი ზუსტი არ იყო, თორემ არც მანდ გეთანხმებით.

— ჩვენ „შეთანხმებულები" ვართ.

— რა თქმა უნდა, მე კიდეც რომ გაგცეთ, ვისთან გიჩივლოთ. გამოსარჩენი მქონდეს, იცოცხლე... ახლა კი გამორჩენა თქვენს ერთგულებაშია, რაკი ერთადერთ გულშემატკივარს თუ არა, გონიერ მოსაუბრეს დავკარგავ...

— თქვით, მე აღარ მეშინია.

— თქვენ, გერჰარდტ მაიერს, არ გრცხვენიათ, რომ დედამიწის ზურგზე ყველაზე წმინდა სისხლის და რასის წარმომადგენელი ხართ?

— ყველაზე უკეთესი...

— დიახ, ყველაზე უკეთესი... პირველი... მე რომ გითხრათ, მეც ასევე უკეთესი რასის შვილი ვარ-მეთქი, არ გაგეცინებათ?

— გამეცინება?.. ალბათ.

— რატომ გგონიათ, ჩვენ არ გვეცინება. მხოლოდ ჩემი ერი არა მყავს მხედველობაში, „ჩვენ" — ინგლისელებს, ფრანგებს, ესპანელებს, არაბებს... ჰომეროსს, შექსპირს, სერვანტესს, ტოლსტოის და თვით გოეთეს... მე, საუბედუროდ, ცოტას წაკითხვა მოვასწარი. სამი წელია... თუმცა ჰოსპიტლები ოცდაოთხსაათიანი საჯარო ბიბლიოთეკაა...

— თქვენ გერმანული უნდა ისწავლოთ... აუცილებლად უნდა ისწავლოთ... მე ამაზე ამალამ ვიფიქრებ...

4.

— ქვეყანას რომ ღუპავდა და ღუპავს, ულოგიკობაა. — წუხდა მაიერი, — ადამიანის გადასარჩენად მოიგონეს „აზრი“ და „ფილოსოფია“, მაგრამ უბედურების სათავეც ისაა, რომ „აზრი“ ცალკე რჩება აზრად და „ფილოსოფია“ — ფილოსოფიად. ადამიანი კი პირველყოფილი ინსტინქტებიდან ვერ განთავისუფლდა... თუ ქვეყნად მხოლოდ არისტოტელეები, კანტები, ფოიერბახები, შექსპირები, სერვანტესები, შილერები და ტოლსტოები იარსებებდნენ, რაიმე ულოგიკო და შეუსაბამო არ მოხდებოდა. როცა იცი, იყვნენ ეგვიპტელები, ფინიკიელები, ბერძნები, რომაელები, სხვანი და სხვანი, არა გაქვს უფლება... ან იმათაც ჰქონდათ უფლება პირველი ერის, პირველი რასის...

— მაპატიეთ... — გააწყვეტინა ბაკურმა.

— ჰო, კიდევ ორიოდე სიტყვა... ის, რომ ჩვენ მაინც ბევრ რამეში დავესესხეთ აღმოსავლეთს.

— თუ ახლად აღმოჩენილი ველური ტომები, მხოლოდ ათამდე თვლა რომ იციან, აღმოჩენის შემდეგ ცივილიზაციას მოიწადინებენ, ათიდან ოცამდე ანგარიშს საუკუნეებს აღარ მოანდომებენ. ერთბაშად ითვისებენ კაცობრიობის მონაპოვარს... და იმ „ველურმა“ მერე რაიმე ახალი მათემატიკური კანონი რომ აღმოაჩინოს და თავის და თავისი ერის ღირსებად მიიჩნიოს, ეს მხოლოდ სულელური პატივმოყვარეობა იქნება. ამისთვის, თუ მაინცდამაინც, დოქტორის ხარისხი ეკუთვნის (მე, როგორც სხვა მეცნიერებისა, მათემატიკისაც არაფერი გამეგება). ბატონო მაიერ, თქვენ ფიქრობთ რომ ის „ველურები“, რომლებიც ათამდე ითვლიან და ჩვენ — ასამდე, ერთმანეთისგან განვსხვავდებით?

— ალბათ იმდენადვე, რაც ათიდან ასამდეა?

— თავს ნებას მივცემ არ დაგეთანხმოთ.

— ნუ დამეთანხმებით, ნუ დამეთანხმებით!.. — მაიერმა დადებული თვალის ბნდუ ცისფერში ნათელმა იძალა.

— თქვენ გგონიათ ის „ველურები“ რომ არ აღმოეჩინათ, ათამდე თვლაზე გაჩერდებოდნენ? ბოლოს და ბოლოს, ერთ დროს ხომ ჩვენც „აღმოუჩენელი“ ვიყავით, და ათამდე ვითვლიდით. ისინი ხომ ჩვენი წარსულია და კაცობრიობის არსებობის მანძილზე არცთუ ისე შორეული. ჩვენ თუ მათ დავცინებთ, ჩვენს წინაპარს არ დავცინებთ?

— ცივილიზაცია... კულტურა... ფილოსოფია... მაღალი აზროვნება?...

— საუბედუროდ, მე მხოლოდ სახელები გამიგია თქვენი ჰეგელის, კანტის, ნიცშეს... და ასეთები თქვენ და მსოფლიოს უთუოდ ბევრი ჰყავს, მაგრამ დარწმუნებული ხართ არისტოტელეს, პლატონს, დიოგენეს ან ეზოპეს ისინი არ იცნობდნენ? მაპატიეთ, თუ მე ერთმანეთში ვურევ ფილოსოფოსს, მწერალს, მეცნიერს და მოაზროვნეს. მე ადრე ან ამის დრო არ მქონდა, ან წაკითხვა არ შემეძლო. ამ ბოლო დროს მძიმედ ვიყავი დაჭრილი და ნახევარი წელიწადი ლოგინს მიჯაჭვული. ექვსი თვე ასეთ პირობებში, ექვს წელიწადს უდრის, მაგრამ მაინც ცოტაა. და აეროდრომზე, სადაც მე მიმამაგრეს, სანამ თქვენთან გადმომაფრენდნენ, და თურმე თქვენთან შესახვედრად მამზადებდნენ, იქ მივაგენი, თუ ეს ჩემზე იყო დამოკიდებული, ერთი ფილოსოფოსის ზღვისპირა აგარაკს... იგი აქ, ევროპაში იყო ერთ დროს განსწავლული... მაგრამ ჩვენ შევთანხმდით, რომ „აქ“ და „იქ“ არ არსებობს.

— აქ, — „სადაც თვლა იცოდნენ ასამდე“. — თავი დაუქნია მაიერმა. — და იქ — „ათამდე“.

— მთლად ასეც არ მინდოდა მეთქვა... ჩვენ, ერთ დროს, აკადემიები გვქონდა შავი ზღვის პირას დაარსებული და ბერძნებიც კი სწავლობდნენ ჩვენთან ოცამდე თვლას, რაც იმას არ

ნიშნავს, რომ თვითონ ოცდახუთამდე არ ითვლიდნენ. თუ ხელოვნება და ფილოსოფია არა, მეცნიერება ხომ ტექნიკასაც გულისხმობს. თქვენ წარმართეთ ჭკუა აქეთკენ და ცოტა უკეთესი იარაღი გაჭედეთ, საუბედუროდ, ჰუმანიზმისა და ფილოსოფიის საზარალოდ. დაარბიეთ მეზობლები და ეძგერეთ „რუსეთს“, რომელიც თქვენი „ფილოსოფიით“, ომამდე, ოთხმოცდაათამდე ითვლიდა. ახლა გაკეთდა და კეთდება თქვენი „მეცნიერების“ გათვალისწინებით ახალი იარაღები, რომელთაც უნდა აჯობონ თქვენსას, დამეთანხმებით, ისე მის გამომეცნიერებას აზრი არა აქვს, და იწყებენ რუსები წინსვლას. ჩვენი თვითმფრინავის სიჩქარე, ომამდე, ვთქვათ სამასი კილომეტრი იყო, თქვენი — ოთხასი თუ ხუთასი (ზუსტად არ ვიცი და არც ვხედავ მე ციფრების სიზუსტეში აზრს). ახლა ჩვენთან კეთდება უფრო სწრაფი თვითმფრინავი. გამოდის, რომ რუსებმა ახლა ასზე მეტის თვლა იციან, და რაკი ისინი გაიმარჯვებენ, პირველი ნაციაც ისინი იქნებიან და დღევანდელი პირველი — გერმანელი, დაჩლუნგდება და რაცაა ის არ დარჩება?

— გაიმარჯვებს?

— თქვენი ლოგიკა ასე ამბობს!

— ლოგიკა?!. — მაიერი ოდნავ დაპატარავდა, რაკი მხრებში მოიბღუნკა, მაგრამ არ წამომდგარა და კარში არ გაუჭვრეტია, ობერშარფიუერერის შიში აღარ ჰქონდა, მას აღმოსავლეთით უპირებდნენ გამგზავრებას და ღამით კი არა, დღისით, სამუშაო საათებში, თავი ორივე ხელით ეჭირა, თითქოს ტყვიამ ერთი მხრიდან მეორეში გაუარაო და აქედან და იქიდან გაგლეჯილ თავის ქალას იჭერსო. ზივერსი მანამდე იყო დაუნდობელი, სანამ ამ დაუნდობლობას ანგარება ახლდა. ახლა, რაკი ეს აღარაფერს აძლევდა და დასაკარგი დაკარგა, ყეფა კი არა, ღრენაც დაივიწყა. ყოველი დაკითხვა მისთვის უფრო წამება იყო, ვინემ წამებულისთვის. მუნდირზე, მართალია, ჭრილობის არც ერთი ნიშანი არ ჰქონდა, მაგრამ ეგონა თავის საქმეს აქაც აკეთებდა. ახლა თუ „თავისმა საქმემ“ იქ გადაინაცვლა, სადაც ბევრი „ეშურებოდა“ და ცოტა ბრუნდებოდა, გამოდის, რომ აქამდე არაფერი უკეთებია, ან წყალში ჩაუყარეს. თუ ამდენი „შრომა“ და „ერთგულება“ მაინც იქ მიიყვანს, ეს დარჩენილი ერთი კვირაც ისევ ის აკეთოს?.. („დიდი-დიდი ერთ კვირაშიო“, ასე უთხრა გესტაპოს განყოფილების მჭლე უფროსმა. სათვალის მინის მიღმა, ამ ბოლო დროს, თვალი უშეშდება და რომ მოგაცივებს, გახვრეტას მოგინდომებს). კაცი ასე შეცვლილიყოს და ასე ბრინჯივით დაბნეულიყოს, ბაკურს თითქოს აღარაფერი რომ არ უნდა გაჰკვირვებოდა, ისიც კი გააოცა. ყველა საქმე მაიერს მიუყარა, და გამორთული მანქანა რომ თავდაღმართში მიგორავს და საჭეს თუ გზის კვალობაზე მიაყოლებ, სანამ აღმართი დაიწყება, ივლის — ყველაფერი ისე წარიმართა.

გერჰარდტმა ბოლო საღამოს (ბაკურმა, რა თქმა უნდა, არ იცოდა თუ ბანაკში აგზავნიდნენ), სრულიად მოულოდნელად და „ულოგიკოდ“, ჯიბეზე ხელი გაისვა და ფოტოსურათი ამოიღო. სურათზე ორი ქალიშვილი იყო გამოსახული. ერთს — უფროსს, მოწკურულს და უფრო შეუხედავს, რომელიც ბაკურს მოჩერებოდა, მეორე, კოპწია და სანდომიანი გოგონა შესციცინებდა. მათ შორის, თითქოს, არავითარი შინაგანი კავშირი არ იყო. მხოლოდ ნათესაურიღა თუ შეიმჩნეოდა.

— რა ელოდება, ყმაწვილო, ამათ?

ცხადია, მაიერი არც ისე შეზღუდული კაცი ჩანდა, თავისი ქალიშვილების ბედს იქით არ გაეხედა.

ბაკურმა მხრები აიჩეჩა და მაშინვე შეახსენა თავი კისრის მალებში ჩახორცებულმა ნამსხვრევმა. თავი ძლივს გაიქნია.

მაიერს ეს დაბნევა და გაურკვევლობა ეამა. ახლა სხარტი, დაუფიქრებელი პასუხი, როგორი სწორიც არ უნდა მოჩვენებოდა, მაინც დააეჭვებდა.

— თუ ადამიანი...

— ადამიანი, ადამიანი... — მაშინვე დაეთანხმა: ჩემი ქალიშვილები, ამ შემთხვევაში, განზოგადებისთვის გამოვიყენოთო.

— ადამიანი... თქვენი ქალიშვილი... — უფროსი... მეორე ძალიან ახალგაზრდაა (ქარაფშუტად მომეჩვენაო, ვერ უთხრა) — ჭკვიანი მგონია...

— ერთგვარად მოაზროვნე... ასე ვთქვათ... ქალია...

ბაკური სურათს დააჩერდა. უფროსის ხორციანი ტუჩები და მოგეზებული მზერა ქალურ, გაუნებივრებელ ვნებას ფარავდა, ჭკუას და უსანდომიანობას რომ დაეთრგუნა. სევდა და ბრაზი გასჩენოდა, თუ სასოწარკვეთა და შური ასე ქერქეტად მომხიბვლელი დისადმი.

— ალბათ გაჩენის დღიდან დღემდე ბედნიერი არ ყოფილა...

— რაც გრეტას შეეხება... მე გეთანხმებით.

ბაკურმა რაღაც მამისეული შენიშნა ამ კაცში. იგი მშობლის ცხოველურ ანგარებას ვერ დაებრმავებინა, მაგრამ ვერც იმაზე შორს გაეხედა, მომავალზე თავისი შვილების ბედით არ ეფიქრა.

— ანა ახალგაზრდაცაა... — თქვა მან უფრო კმაყოფილებით, მაგრამ კმაყოფილმა იმით, რომ ანა უფროსის ხნისაც რომ გახდებოდა, მაშინაც ხალისიანი იქნებოდა, თუ, დასთან შედარებით, ბედნიერი.

— და მომავლისათვის, ალბათ, ესღა დაგვრჩენია... — ბაკურმა მაიერს თვალი აარიდა, მაგრამ თუ ამ კაცს მაინც ჭკუა მოეკითხებოდა, ნათქვამი მხოლოდ შვილებზეც რომ მიეღო, არ უნდა სწყენოდა. უნდა სტკენოდა და არ სწყენოდა. — ჩვენი შვილებისათვის ზერელობა უნდა ვისურვოთ, უჭკუობა და არა სიბრძნე. ადამიანს თუ არ ეცოდინება, რომ ვინმესი სათამაშო თოჯინაა, ალბათ, მოახერხებს ამქვეყნად თავის გართობას. ეს კი, უთუოდ, ის ბედნიერებაა, რაც ჩვენთვის გაუგებარი და მიუღწეველია.

— მე თქვენ... — გერჰარდტმა ისევ „ულოგიკოდ“ გაისვა ხელი ჯიბეზე. — გერმანულ-რუსულ ლექსიკონს მოგცემთ... თუ გინდათ გაიცინეთ... ისეც არ იქნება, აიღოს ვინმემ და გერმანული ენის ცოდნა ერთბაშად თავში ჩაგიდოთ, როგორც ფილოსოფია... — მაინც ხაზი გაუსვა მოსაუბრის ახალგაზრდობას და მათს შორის ასაკობრივ სხვაობას, რითაც, ერთგვარად, შეაქო კიდეც. — ეს, სანამ აქა ხართ მაინც გამოგადგებათ. გერმანელს თუ შველას თხოვთ, მოწყალეც რომ არ იყოს, თხოვნა მაინც თავის ენაზე ურჩევნია. და ამას გარდა, რაკი მაინც განწირული ხართ, მეტის ცოდნა იმაზე უარესს არ დაგმართებთ, რაც არ გჭირთ.

— თუ „საქმეს“ ჭირდება, ჩემი უარი ან თანხმობა უაზროა.

— მით უმეტეს. რუსულ-გერმანული ჯობდა, მაგრამ ხელთ არა მაქვს. თუ წავაწყდი, მოგაწვდით.

ბაკურმა: რომ არ გავიღიმო, მაიერს ვაწყენინებო:

— ბატონო გერჰარდტ, სად, რომელ საკონცენტრაციო ბანაკში.

— ჩვენ, ალბათ, ისევ შევხვდებით. შენი ლოგიკით, თუ ჩვენ ვინმე გვმართავს და ეს შეხვედრა, ჩვენ თუ არა, მას მაინც სჭირდება, ამ დასაწყისში საქმეს არ მიატოვებს... — მაიერს გაელიმა, რაშიც თავის თავისთვისაც გაუმხელელი, გადარჩენის ეგოისტური რწმენაც იყო და სიკეთის გამოხმობაც. ორი დღის წინ აქაურობა „რუსებმა“ ისე დაბომბეს, მაიერს კი არა, ნაცისტ ბრმებსაც თვალები აუხილეს.

— თქვენ, ამ დღეებში, გერმანიისკენ გაგგზავნით. მე, ჩემზე რაც იქნება დამოკიდებული, გავაკეთებ.

— ამას, ალბათ, უჩვენოდაც გააკეთებენ და არ მინდა თქვენგან ზედმეტად დავალებული დავრჩე...

— არა უშავს, არა უშავს, ასე თუ ვიმსჯელებთ, გამოდის, რომ რასაც ვაკეთებთ — ჩვენ არ ვაკეთებთ და ამ-

დენად ერთმანეთის მიმართ არც მადლობა გვმართებს...

5.

ბაკურისთვის ჯოჯოხეთი მოულოდნელი სულაც არ იყო. კარი იმდენზე რომ გამოაღეს, შიგ კაცი გაეტეოდა, ისეთი მხუთარი შემოასკდა, იმის ჩასუნთქვა კი არა, გაქექილ გიმნასტურას და გალიფეს წუმპით დაუთხვრიდა ეგონა. ამ მხუთარში იყო შეთქვეფილი, რაც ადამიანს ბიწი და ჩირქი, ხრწნა და შმორი ოდესმე თავს დატეხია. ტყვეობას და მონობას, შეგინებას, შერყვნას, ფურთხს, შარდს, ბოღმასა და ნაღველს, ხელშეუხები და შეუვალიც კი დაეზრო და ზეზეულად ჰყარდა.

ბედი, რომ კარი გარეთ იღებოდა. ზედ ზღურბლზე იყო მოყრილი მოთბო გვამები. „სტუმარმა" ფეხის დასადგმელი რომ ვერსად იპოვა და ზურგს უკან კარი ძალუმად მოიხურა, „მასპინძლების" გულზე გაიშხლართა.

ვიღაცამ ვითომ შეიგინა, შეიკურთხა, ამოიბოღმა და ამოიგმინა, მაგრამ რაც ჭირდათ, ეს ახალი „ტვირთი" ისეთი დიდი არაფერი აღმოჩნდა, მათ სულზე დაწოლილი მაჯლაჯუნა დაეფრთხო. სადაც ასია, იქ მეასერთე იყოსო. მით უმეტეს, ეს „მეასერთე" ბარე სამი-ოთხი კაცის ჩონჩხზე განაწილდა.

წამოდგომა, ან წამოჯდომა არ ივარგებდა — „სტუმარი" რომელიმე ერთის „საკუთრება" გახდებოდა. იწვა ღია სამარის ნელთბილად გახრწნილ მკვდრებზე გულაღმა და გვამები ცივი რომ არ იყო და გასუდრული, ეს უფრო ამაზრზენი და შემზარავი ჩანდა. თითქოს სიკვდილს და ხრწნას თავის ბუნებისთვის და მარადიული წესისთვის ეღალატა.

ყველაფერი მოხდება ისე, როგორც საჭიროა. მოთმინება, ბატონო სტუმარო, მოთმინება! აქ, ეტყობა, იმისთანებსაც ნახავ, რომ გეგონა დავბერდი, იმდენი რამ ვნახე ვეღარაფერი გამაკვირვებსო, შეიძლება ისიც თქვა: „გადამხდა გარდასახადი, აწ უარესსა მოველიო". ასე რომ, თუ ძილს არ გაიტენაჭ და ნერვებს არ გაფლანგავ, აქ ეუმარიტად დიდებული სანახაობა გელოდება.

შხამს, რომლის ჩასუნთქვა მოინდომე და ყელიდანვე უკან დააბრუნე, ნელნელა ისევ უპირებ შესრუტვას და ისევ ახალი შხამითა და ნაღველით ამდიდრებ. არსებობდა, ერთ დროს, შიმშილი და წყურვილი, ტკივილი და ტანჯვა. მადლობა ღმერთს, ყველაფერი უკვე სქელ, თამთამა ყროლში იძირება და გულგრილი ხდები ყველაფრისადმი, რაც შენს ქვევითაა, რაზეც აწევხარ და რაც ზედ გაწევს. რა იყავი, რა დაკარგე და რა იქნები... მგონი არაფერიც არ იყო და, მით უმეტეს, არ იქნება. აქ წიხლით რომ შეგდგნენ, ვერაფერს გაგრძნობინებენ და დანა რომ დაგარტყან, ვერაფერს გატკენენ. თუ ასე გაგრძელდა, უკეთესს ვერ ინატრებ, მაგრამ სადღაც გულთან შერჩენილი მტკივანი სითბოთი მაინც გრძნობ, რომ ამას არავინ გაპატიებს, ასე არავინ გაგანებივრებს და ეს გამოუთქმელი, აღუქმელი, უკვე მძინარე სევდა გწამლავს და გნთქავს...

უეცრად, ფილტვებში რომ ყუმბარა გაგისკდეს და სისხლძარღვები დაგიფლითოს, ასე ჩაუვარდა ღია, ამომხმარ პირში ცივი, ნოტიო ჰაერი და გულაძიგძიგებულს სხეულში ცივი ნემსებივით დაურბინა.

თავზე რისხვით და გნიასით რაღაცამ გადაუგლიჯინა, ცალ თვალში სამი თითის სიფართე სილა თხლიშა და წარბი ჩამოხლიჩა... მერე ქვევიდან ასწიეს, აიტაცეს, თუ აღდგნენ და აღიღეს, დაიძრნენ, დაძრეს და ღლის გამთანგავ ცივ ნათელში გაიტანეს, ფეხზე დააყენეს, ყოველმხრივ ედგნენ და იდგა, მუხლის ჩახრა უნდოდა, თუ თავისთავად, მყესებ დადამბლავებული ეშვებოდა და არ იყო მუხლის მოსაყარი ადგილი. და მიჰქონდა არასხვის ნებას, სხვისა ნებისად. რუზრუზი და ჯგლეთა აბრუნებდა, აზიმზიმებდა, ით-

რევდა, ატივტივებდა, როგორც უსხეულოს და უწონადოს, სხვისად ქცეულს, სხვის ნებად.

ისეთ ბურანში შედიოდა, საიდანაც ვერაფერს გამოიტან, მაგრამ სადღაც კი ხარ; არც რაიმე მწვავე ტკივილისა და შიშის განცდა გაქვს და გაყრუებულ-გაჟრუებულს მძიმე, გარუმბულ, დიდ სხეულს გიბრუნებენ იმის მაგიერ, რისი ზიდვა და ტარებაც შეგეძლო. ეს ლოხი, ვიღაცის ლეშის თრევა კი არა, მუხლის გამაგრება გიჭირს...

ცალ თვალთან, სულ ახლოს რომ ხორცშემოცრეცილი ლანდები აბორიალდა, ერთბაშად გააძაგძაგა და ტანში დარბენილმა ზაფრამ დაანახვა სადაც იყო, ვინც იყო და ის სიმძიმე ძლივს თავისად ეჭცა და ტკივილიც — ტკივილად.

— ვაიმე, დაგენაცვლე!.. — ვიღაცამ ყურში ჩასძახა, თუ ამ რუზრუზში და ძაღლების გნიასში ამოძვრა და ამოტივტივდა.

ამ შედღვებილი ჯოჯოხეთის ნისლისფერ კუპრიდან, მკვდრის სიცილივით, კბილების გრძელი მწკრივი გამოკრთა.

— ქართველი ხარ, ბიჭო!

— რა ვიცი... — ეს კი მოესმა, მაგრამ თვითონ თქვა, თუ ისევ იმ „მიცვალებულებმა", ამის გარჩევა ჭირდა.

— ვაიმე, დედაჩემო სარა, ქართველია!.. ე, ბიჭო, ჩაიმალე, დაგენაცვლე, ასე სისხლგადენილი არ დაგინახონ! სარა, რატომ საშოში არ ჩამაკალი...

ვინ იყო სარა, ღმერთო, რატომ ასეთი არავინ ახსოვს:.. სარა...

— ახლავე, დაგენაცვლე... აგერ... ღმერთმანი, რომ არაფერი გამაჩნია... დედაჩემო, რატომ გამაჩინე, რას მერჩოდი!.. პერანგი გცმია, დაგენაცვლე, რაღაც ზურგზეც გკიდია.

ბაკურს ჭიპთან რომ ფხრეწის ხმა მოესმა და ჩასაკუნცხი ადგილიც გაჩნდა, გაბერილ, გალუმპულ ცალ თვალში სიბნელით ეშეღავათა და მეორე თვალში ნათელი დაუბრუნდა. ახლაღა გაარჩია, ირგვლივ აკანკალებული ბარძაყებისა და უკანალების ტევრიდან, ტყავგადაწებებული თავის ქალა შემოჩერებოდა ფართო, უამრავი კბილებითა და შიშჩასახლებული მფრთხალი მზერით.

— სარა, ჩვენი ოდის კიბეზე რატომ არ ამოვიდა ბალახი, სანამ მე გამაჩენდი... ჩვენებურია, დაგენაცვლე! ქოფაკს ჩაუკრავს თათი თვალში. ა, წარბზე ჩამოკრული ბრჭყალები... ვაიმე, დედაჩემო... ჯოჯოხეთის კარი რომ გააღეს, გულაღმა წოლილა, შემოგევლე... სარა, შენი ჭირის სანაცვლოდ ვიყო, რატომ დამწვი... დილით თავდაღმა უნდა ჩაემხო... არ გებრალები?..

— ჯოჯოხეთის , კარი... — ბაკური, როგორც იქნა, გონს მოეგო.

— ვაიმე... ისაკა დაგენაცვლოს, ჯოჯოხეთი ამასთან სამოთხის სამოთხე გამოჩნდება. ამათი დედის გულზე გაიარა მაკე ღორმა.

— ვინა ხარ?

მოხეული პირი ბაკურს ყურთან მიუტანა.

— ქართველი ებრაელი ვარ, დანიელა შამელაშვილის საფლავზე ამოვიდა ჭინჭარი, სარას შეცდენიზა, დაგენაცვლე, და ჩემი ჩასახვისთვის...

6.

ისაკა რომ წამოიმართა და ბაკურიც ფეხზე დააყენა, მისი ცნობა ისევ აღარ შეიძლებოდა. ცხვირზე შავი რქის უშველებელი სათვალე წამოეცვა და სქელი მინის მიღმა ვიწროდ გახელილ თვალებში შემზარავი სიცივე და გულგრილობა ჩაბუდებოდა. აქერცლილი ტუჩებიც იმწამში ჩაუნაღვლისფერდა. დაშაშრულ, დაღმეჭილ, ცვილისფერ სახეზე გადმომდგარი შუბლი, სოხანისფერი ყურებიანი ქუდის წინაფრით დამალა. ჯირკიდან გამოჯორკნილ სოლს დაემგავნა. მსხვილ თავს გაქონილ-გაქეჭილი ქუდი კიდევ უფრო უმსხვილებდა და სიცოცხლეგამოწურულ-გამომშრალ სახეზე ამოდენა სათვალე ამოცვენილ ღაწვისთავებს ჩქმალავდა, ჩაცვენილი ლოყები ნიკაპთან ყბებსაც

უვიწროვებდა. მის წელანდელ წუწუნს, სოფლისა და მშობლის სამდურავს, ერთბაშად მოეღო ბოლო, ყოველი ნაკვთი და ენა ჩაუქვავდა.

— მიხედე, სისხლი გწვეთავს. — რუსულად თქვა. გრანიტის კაციერთ ცივად მიტრიალდა, ხელით გასწია ორი, უძრავად დაყუდებული ტყვე და შუაში გაძვრა. თუმცა მის სიგანეს გაძრომა არ გასჭირვებია, იმ ღრიჭოშიც იოლად გავიდა, რომელიც იმ ორ ძონძს შორის გააჩინა.

როცა მეხუთე კლასში ბაკურმა გერმანული ენის სწავლა დაიწყო, სექტემბრის ბოლოს, ასამდე თვლა, შვიდი ასო და ერთი სიტყვა — „თამაში“ იცოდა. „ანნა უნდ მარტა ბადენ“ — ასწავლიდა სახლში მეორეკლასელ მამუკას და უმცროსი ძმისთვის გასაგები რომ ყოფილიყო „გაგერმანელებული“ უფროსი ძმის ენა, უადვილებდა: — „ბაკური უნდ მამუკა ბადენ“. მამუკამაც მაშინვე მოსწრებულად თარგმნა „ბაკური და მამუკა თევზაობენ“. ალბათ, „ბადენ“ ბადეს დაუკავშირა, მაგრამ, რაკი უცხო ენაზე ეს უთუოდ სხვას ნიშნავდა, ბადეობა თევზაობით შეცვალა.

— ჰო, ზუსტად, თევზაობენ, თევზაობენ! — ხითხითებდა ბაკური ამ გონებამახვილურ თარგმანზე. მამუკასაც ახარებდა უცხო ენის ასე სწრაფად „ათვისება“ და სიცილის დასათრგუნავად მთელი „სერიოზულობით“ ახალ-ახალ წინადადებებს ალაგებდა.

— ლეონი უნდ ვატუტი ბადენ.

— მართალია, მართალია! — იჭაჭებოდა „მასწავლებელი“.

— დედა უნდ მამა ბადენ, — „აფართოებდა“ ცოდნის სალაროს უცხო ენის „მუყაითი“ მოწაფე.

— ეს კიდევ უკეთესი... — ფარდაგგადაფარებულ ტახტზე გადაიქცა სიცილით „მასწავლებელი“.

— ფარნა უნდ ლუკა ბადენ!..

ბაკურს ღიმილი პირზე შეახმა. ლუკა ბიძია მაშინ დაჭერილი იყო. მამუკამაც დამნაშავესავით ჩამოყარა ყურები და საყვედურით თავი გაიქნია, ეს რა თამაში მოიგონეო. ბიძამისს „ბადენ“ თევზაობა იყო თუ სხვა რამ, ახლა ამისთვის არ ცხელოდა და არც მის ძმისშვილებს ჰქონდათ საქმე სასაცილოდ და სამასხაროდ. იმავე სექტემბრის ბოლოს ბაკურის თანაკლასელი და მეზობელი, კირთაძის ბიჭიც, წყალში დაიხრჩო და ის სიცილი უკანასკნელი გამოდგა.

მერე უღიმილოდ და უსიხარულოდ სწავლობდა თვლას და მამუკაც ასევე თავდახრილი და წარბშეჭმუხნილი იმეორებდა:

— აინ — ერთი, ცვაინ — ორი, დრაინ — სამი, ფირ — ოთხი, ფიუნფ — ხუთი, ზექს, ზიბენ...

ახლაც ითვლიდნენ კრიჭაშეკრულნი და საქმიანად შუბლშეჭმუხნილნი და ერთი რომელიღაც „ფირ“ თუ „ფიუნფ“ ბაკურიც იყო. არც სახელი უნდოდა მისი აქ ვინმეს და არც გვარი, არც — საიდან იყო და რა ეროვნების. ერთი ვინმე „აინ“ და მეტი არაფერი, რომლითაც ამ რიცხვების ზედახორას არც არაფერი მიმატებია და არც არაფერი მოაკლდებოდა.

საქმე „წინ“ მიდიოდა. ამ ორი წლინახევრის წინ მან სახელი და მამის სახელი დაკარგა. გვარიღა შერჩა — „ამხანაგი ამაღლობელი“. ახლა კი, „ფიუნფ, აინ, აინ უნდ ფიუნფ“ გახდა.

ბაკურის სოფელში ერთხელ მოსახლეობის პირუტყვის აღწერა მიმდინარეობდა. რა თქმა უნდა, რაიონიდან მომაგრებული პირიც ესწრებოდა. ბაკურმაც მიიყვანა ძროხა კანტორის გადაღმა სასიმინდე-საწყობებთან. ილიკო ხაჭაპურიძემ ვერაფრით გაიხსენა, თავის საქონელს რა ერქვა. არადა, უსახელოდ მოანგარიშემ სიაში არ ჩაწერა. მომაგრებულ პირს შეხედა — შეიძლებაო? მომაგრებულმა თავი მკაცრად გაიქნია — შეუძლებელიაო!

— ე, კაცო, ილიკო, გაიხსენე რა ქვია.

— რა ვიცი, ჯანდაბა და ჯარხანა...

— შუბლზე ხელი დაირტყა ილიკომ.

— ჯარხანა იყოს მაშინ, უფროსო,

აჰ... მიუბრუნდა მოანგარიშე, ამბროსი ქუთათელაძე, მომაგრებულ ამხანაგს.

უფროსმა ერთხანს იფიქრა, პატრონს გამომცდელი თვალით უცქირა — არ იცოდეს და მალავდესო, ბოლოს დათანხმდა:

— ჯანდაბას, იყოს...

ილიკოს ძროხას სახელად „ჯარხანა" ჩაუწერეს.

„ჯანდაბა" და „ჯარხანა" რომ გერქვას რა გიჭირს, რითაა „ბაკურზე" და „ისაკაზე" უარესი? სახელი გერქმევა. რასაც უნდა გაუფრთხილდე, ლაფით არ გასვარო და არ გაიტეხო. ამ ციფრს, ისიც გერმანულ ციფრს, რა გინდა რომ უქნა. შეგიკურთხებენ, შეგაფურთხებენ, თუ წიხლით გაგთელავენ — ციფრი ხარ. ჩამორეცხავ და, რაკი ზეთის საღებავით გაწერია, იმაზე უკეთესად გამოჩნდება, ვინემ მტვრიანი და ტალახიანი იკითხებოდა.

ისაკას ნომერი რომ დაემახსოვრებინა კარგი იყო. სანამ მასთან ჩაკუნცხული თვალს უხვევდა და სახეში უცქეროდა, თავისიანი, ახლობელი ადამიანი ეგონა, წამოიმართა და, თვალის დახამხამებაში ისე გადაკეთდა (ბაკურს წამოდგომისას ისევ თავბრუ დაესხა), დედამისი — სარაც ვერ იცნობდა. ნომერი კი... სადაც მშობელი დედა ვერ გიცნობს, ნომრით არავის — უცნობსაც არ შეეშლები.

გრძელი, უსასრულო გათვლის შემდეგ „ციფრები" უცებ აირია და ეზოში გაიფანტა. მაგრამ როცა რკინა რკინას ცივად დაჰკრეს, ერთმანეთს გაეკიდნენ სადღაც შესაკრებად და ჯამის გამოსაყვანად.

მოჯეგილი, მოჯარგალებული, ბალახის ნაძირალებჩასრესილი ნამინდვრალი რომ გაიცალა, ხმელ ხესავით დარჩენილ ბაკურს ზურგს უკან ჩაგლილის ხმა მოესმა:

— დაგენაცვლე, აქ რომ დაესო, ვინმე არ მოგთხრის? მომყევი. — „დასობილმა" ზურგისკენ მიხედვა დააპირა და მტკივანმა კისერმა რომ ამის ნება არ მისცა, უნებურად თვალები მიატრიალა. ისევ შემოენთო ცეცხლი ძაღლის თათჩარტყმულ, ბუდეში ჩაუტევარ უპეზე და სანამ მთელი ტანით არ მიბრუნდა, მანამდე ვერ დაინახა უკვე დაწინაურებული ისაკა; ზურგზე ოთხი ციფრი რომ ჰქონდა წამოკიდებული და წელის წყვეტით მიუძღოდა.

— ილბალი გქონია, ჭირიმე, რა ნომერი გერგო!

— ბოლოს და ბოლოს, ბედმა ალბათ მეც გამიღიმა... — ბაკურმა გალიგვებული, ცივ ტყვიაჩასხმულივით დამძიმებული ბათინკები აითრია.

— გაგიღიმა, მაგრამ, დაგენაცვლე, მასეთ ნომერს ძაღლებიც კარგად იმახსოვრებენ!

— ძაღლებიც ისე გაანათლეს წერაკითხვაც იციან?

— ვაიმე, აქ რა არ იციან... სარა, ღმერთმა გკითხოს ჩემი ამათ ხელში ჩაგდებიზა... — თავდაჯერებული, უკან მოუხედავად მიდიოდა. მავთულით ამოკრულ ფეხსაცმელის ლანჩს, ნაბიჯს რომ გადაადგამდა, ყრუ ტყაპანს გააღენინებდა.

უთუოდ ამ „ტყაპანმა" გაახსენა. ბარაკს რომ გაცდნენ, გვერდზე გაუხვია და მოფარებულში ბაკურის ბათინკებზე თავისი ჯღანებით ლაფი და ძინძი დაახოცა.

— ასეთ განძს, დაგენაცვლე, აქ ვინ შეგარჩენს. ზურგზე ნომერს რომ ამოგირქავენ, იქ ჩვენი ბიჭებია, საღებავითაც დავითითხნოთ.

— რომელი მეშის ტყავის აზიური ესაა...

— ქუთაისში, ჯაჭვის ხიდთან, იაშა ხარაზი რომ აგვირისტებდა? ვაიმე, დავენაცვლე!..

გამჭვარტლული ფარდულის ხარიხაზე მისეული „ციფრები" ერთმანეთში ისე ირეოდნენ, როგორც ხმელი ხის ტოტზე ფუტკრის ნაყარი. მიმატება-გამოკლების, გამრავლება-გაყოფის ისეთი რთული არითმეტიკული პროცესი დუღდა, იქიდან რაიმე ჯამის გამოყვანა ბაკურის კი არა, აქაურ მკვიდრ შამელაშვილსაც გაუჭირდებოდა.

ისაკამ უბიდან ალუმინის მომცრო „ფარი“ დააძრო და ამ ციფრების ხელ-ჩართულ ბრძოლაში შეევარდა. მაგრამ გაუყოფელი რიცხვივით ისევ უკან გამოაგდეს. ციფრები ხმებს გამოსცემდნენ. ღმუოდნენ, ყეფდნენ, კნაოდნენ, ერთმანეთს რქენდნენ, უბღვერდნენ და ზმუოდნენ ალბათ იმდენივე ენაზე, რამდენიც ამ ზედახორაში რიცხვი იყო. ხარიხაზე მიწყვეტილი „ციფრების“ თავზე კვამლი და ორთქლი გადმოდიოდა. კაცს ეგონებოდა, ვერავითარი ბრძენი მათემატიკოსი აქედან ორი რიცხვის ჯამს ვერ გამოიყვანსო, ისე ზრიალებდა და აჯდა ერთმანეთს შესაკრები და გამოსაკლები, სამრავლი და მამრავლი, გასაყოფი და ამოსაფესვი. ხარისხის მილმა კი „ბრძენი“ ახერხებდა ამ რთული ამოცანის ამოხსნას და ციფრების „ნაყარიდან“ ხან ერთი, კარგა მრავალასეულიანი, „წილადი“ გამოძვრებოდა თუნუქის ჯამზე გადამხობილ-გადაფოფრილი და ხან მეორე.

ამას ცალი თვალით კი არა, ორივე თვალით დანახულსაც ვერ დაიჯერებდი. ამ საერთო უზარმაზარი ციფრებიდან ძლივს გამოყოფილ „წილადს“ „ციფრები“ მოსდევდნენ და ხელიდან უპირებდნენ იმ „ნაწილაკის“ გამოცლას, რაც „მათემატიკოსმა“ საერთო ჯამიდან გამოუყო. „წილადი“ კი სალაფავში თავჩარგული, თავზე დახვეულ ციფრებს მუშტით და წიხლებით იგერიებდა. ეს იყო თქვლეფის ახალი კლასიფიკაცია და ჩანთქმის, კვადრატული ფესვის ამოღებით, შეზღუდული დრო.

ისაკაც გამოეყო ციფრების იმ ვეება ნაკრებს. თავის „ფარს“ ორივე ხელით ჩაფრენილმა და პირით ზედ დამხობილმა, ბაკურის მუხლებთან ჩაიჩოქა. მასაც მოსდეს მოზუზუნე ნომრებმა.

— ვაიმე, ძმებო... — თუხთუხებდა ენადამდუღრული შამელაშვილი, — სხვაგან იშოვეთ... ორ დღეში შიმშილით სულს გაცხებს...

— მაგის დედაც, თუ გაცხებს!..

— ენა გააჩუმე და ჩაცეცხლე!..

— საკუთარ დაგლეჯილ ტყავზე უარე!..

— რისი ღორი ხარ, თუ სხვა გახსოვს?!.

— ვაიმე, ესეც ხომ ჩვენი ძმაა... — პირიდან შეთქვლეფილი, ცხვირიდან სცვიოდა თუნუქის ჯამში თავჩარგულ ებრაელს; მისი თითების გვერდით, ჭურჭელს ბრჭყალებით ჩაფრენილი მოძალადეების ხელები სალაფავს აყირავებდა და ისაკა ვეება პირში რომ ვერ იტენიდა, გამსლეული ყელის ყანყრატოს ცხელი, მოყვითალო წუმპე გარედანაც ისევე ჩასდევდა, როგორც შიგნით.

ალუმინის დატყლეჟილი თეფში რომ ხელიდან გამობდღვნეს, დაჩოქილმა, ცხვირ-პირ მოლაფულმა ისაკამ ხელები გაფარჩხა და სარივით დარჭობილ „სტუმარს“ შესტირა:

— ვაიმე, ისაკას თავი დაგენაცვლოს... არ ვეცადე?

ბაკურს გაეღიმა და თავი დაუქნია.

— ღმერთმანი, ძალიან ეცადე.

— ვაიმე, დედაჩემო, გაგიჟდა? იცინის?!.

— ვიტირო? რას მირჩევ?

— მე და ჩემმა ღმერთმა, ბრძენი ხარ, უნდა იცინო. — და თვითონაც, თანაგრძნობის ღიმილი მოინდომა. ამ პირმოკუმულმა საფრთხობელამ, ჩამომჭკნარ ტყავში გამოკრული თავის ქალა რომ გახსნა და ბრიალა კბილებმა შავ ხახას პირი მოხსნა, სადაც კარტოფილის ტყავები, ქერის თუ ჭვავის ხიწვები და წითელი ჭარხლის დაულეჭავი ნამუსრევი შერჩენოდა, ეს იმასაც კი შეზარავდა, ვინც ეს საკონცენტრაციო ბანაკები შეთხზა.

— ისაკ, თუ ძმა ხარ, წამიყვანე აქედან.

— ვაიმე, დაგენაცვლე, სარა გაგვიწყობს სუფრას, გგონია?!

ვიღაცამ, რაღაც დაჭყლეტილი რკინის ჟანგიანი კოლოფით, ისაკას გვერდით ჩაიმუხლა. ეგონა, დაპურებული „ნომერი“ საშიში აღარაა და ცალ

მხარეზე მაინც „მოყვარე“ ეყოლებოდა.

— ორმოცი ათას ჩვიდმეტო!... — შეღაღადა ისაკამ და ხელი სალაფავს უტაცა, მაგრამ მაშინვე მოსდიეს მშიერმა ნომრებმა და კოლოფს ჩააფრინდნენ.

— სტუმარი, თქვე შობელძაღლებო... ბოლოს და ბოლოს...

— ძაღლებო კი არა, ღორებო... — შეუსწორა თავზე წამოყუდებულმა მშვილდივით მოზიდულმა მაღალმა ციფრმა.

— ვის როგორ უნდა მიმართო არ უნდა იცოდე, ამ ბანაკებში დაბერდი!? — გაუწყრა მეორე; პირველს ტყუპის ცალივით ემგვანებოდა, ოდნავ დაბალი რომ არ ყოფილიყო...

ამასობაში მეინახეს შავი კოლოფი პირში და ყელში ჩააწურეს და ხელიდან გამობრდღვნეს.

— გათავდება, ისაკას გაუთავდა პირში სული, ბგონია სამყოფადაა?

— სამყოფად და თავსასხმად რომ იყოს რა ფასი ექნება...

— ვაიმე, სარა, ღმერთმანი, ჭკუის კოლოფია... ეს ახალი ათას ას თხუთმეტი...

— აი, მაგ ციფრის დაწერაზე თუ დამეხმარები... მე ჯერ სახელი და გვარიც არა მაქვს... ვინ რას მომცემს.

— იქ, დაგენაცვლე, ჩვენი ბიჭია, თბილისელი მხატვარი, ყავლაშვილი... — სახელი ვერ გაიხსენა, — ვაიმე, ოქრო ხელი აქვს...

— ნომერი, შე კაცო, აბა გვარი და მამის სახელი შენი, გახსოვს?

— რად მინდა, დანიელა შამელაშვილო, შენს მამას — მეწვრილმანე შაფათა ურიას, შენი ჩასახვისათვის რა აცხონებს...

— შაფათა ურია, ჩვენ სოფელში დადიოდა თურმე, ბებიაჩემი იცნობდა.

— ვაიმე, ზინგერის საკერავ მანქანებს ჰყიდდა...

— კი, ბებიაჩემს მისგან ჰქონდა... თურმე წლიდან წლამდე, კაპიკ-კაპიკ ართმევდა საფასურს. ხან ნატურით, ხან ნაღდით, როგორც შეძლებდნენ.

— ვაიმე, ღვთისნიერი იყო, ღვთისნიერი.

— ბებიაჩემიც მადლიერებით იხსენიებდა. მთელ სოფელში შინაურად მიაჩნდათ, თურმე.

— მადლიანი კაცი იყო... მე ვისი ცოდვა მაწევს, შაფათა განათლებულო...

— ისაკა, ეგ აქ არ ეძიო, ჩვენ წინაპრებს ათ-ათი კაცი რომ ჰყავდეთ მოკლული...

— ჭიანჭველაზე ფეხი არ დაუდგამს დანიელა მამაჩემსა და სარა ღვთისმოსავს...

— სულ ერთია, რასაც მე და შენ მარტო ამწუთს ვუყურებთ, კაცის ხორცის მჭამელებიც რომ ყოფილიყვნენ, ამისთვისაც არ იკმარებდა მათი ცოდვა. ადე, წამიყვანე მხატვართან. სანამდე უნდა ვიყო ასე თეთრი ყვავივით, ბოლოს და ბოლოს, მეც ხომ „კაცი“ ვარ.

7.

მუდამ, დღედაღამ, ძილსა და ღვიძილში დაუსრულებელი შიში, ზაფრა და ელდა, ბოლოს და ბოლოს, მოგყირჭდება და გულცივ კაცად გაქცევს, მაგრამ არ იფიქრო, სანამ პირში სული გიდგას, დაგტოვებს და შენს ჯაბანად ქცევაზე საბოლოოდ ხელს აიღებს. დუღდა კუპრი სატანის ქვაბში და იხარშებოდა ბაკურიც ამდენი ათას ნომერთან ერთად. მაგრამ, თუ კიდევ გული დაერქმეოდა ნეკნებზე გადაკრული ტყავის შიგნით მოცახცახე იმ მექანიზმს, „ხუთი ათას ას თხუთმეტ“ გაუპოხავ მანქანას რომ აჭრიალებდა... ეს ყოფაც გულშიგნით შვება იყო. არსთა გამრიგე — მოსეირე თუ ამ ბედსაც ბოლომდე სწევდა, სამდურავი არ ეთქმოდა.

„სჯობს სიშორე დიაცისა, ვისგან ვითა დაითმობის“... და ახლა ერთადერთი, რაც უნდა გენატრა და გეოცნება, ეს სიშორე იყო. იქნებ ამდენი ჯახირის შემდეგ მაინც იყო იმედი დასას-

რულისა?.. შეღავათია, ბოლოს და ბოლოს, შორს მაინც იდგე თავზე დატეხილი უბედურებისაგან. საყვარელი ადამიანის დაღუპვა სხვაა და შენს ხელში რომ სული ამოხდება, სხვა. სხვაა უახლოესი ადამიანის საფლავთან დგომა და სულ სხვა — როცა შენი ხელით უთხრი სამარეს და მარხავ.

როგორც თამართან მიახლოება არ იყო ბაკურის სურვილი, განშორებაც მის ძალას აღემატებოდა.

რასაც ის გაურბოდა: ომსა და თავის უნიათო ჯარისკაცობას, მომაკვდავი ბიძის თვალებში ჩასახლებულ სიკვდილს, შეულეველ გუგუტასა და მასთან მიახლოვების ყოველმხრივ გადაჭრილ გზებს, თამარს, რომელთანაც ბედმა გადააჯაჭვა; სიცოცხლეს, რომელსაც ხვალინდელის იმედი არ გააჩნდა, ათას ჭირსა და არარაობას ტყვეობამ ერთბაშად გაჰყარა და დააშორიშორა. ეს უკვე საიმედო ციხე-სიმაგრე იყო, სადაც არავის — არც მშობლებს, ძმებს, გუგუტას, თამარს, ბესოს, ვალიას... და თვის სამშობლოსაც კი ხელი არ მიუწვდებოდა. არც აქ უნდოდა ვინმე.

ისაკაც, რომელიც სიკვდილის ორლესული მახვილის წვერზე იჯდა, როგორც ებრაელი, ამქვეყნად ნათესავი თუ ჰყავდა ან ახლობელი, ყველა თავსამტვრევად და საწამებლად გახდომოდა; და თუ „უყოლობა სჯობს კაცისა, მომდურავისა ყოლასა“, რატომ ათასჯერ უკეთესი არაა საწამებლად საყოლი კაცის უყოლობა.

არ უნდა ისაკა — ბედშავი სარას და დანიელას ერთადერთი ვაჟიშვილი და არავინ: არც ის მხატვარი ყავლაშვილი, „უსასყიდლოდ“ რომ „დაუქარგა“ ზურგზე ნომერი და აქაურ „კაცად“ აქცია. არც ის, სადღაც საქონლის, თუ ღორების ყოფილ სადგომში, კიდევ ორი ქართველი რომ ყოფილა და ისაკას ზოგჯერ იქაც სძინავს, მათი ტილებით და რწყილებით გატენილი კალთის ქვეშ, რომ ესესელებს კვალი დაუბნიოს. არც ის ესტონელი ლინგვისტი, **უნო** თუ ბრუნო, რომელიც შეშლილა და ქართულის სწავლა მრუნდომებია, რომელიც, ალბათ, [illegible] ბანკითხვისას თუ დასჭირდება. არც იმათი გაგონება უნდა, ამ ბანაკის აშლისა და შორი გოლგოთის გზაზე დადგომისას, გაქცევის გეგმას რომ აწყობენ; გზაში, გერმანიისა თუ პოლონეთის ორგანიზებულ ბანაკებამდე, იქნებ საკუთარი თავისთვის ეშველათ და აქ, უკრაინისა თუ ბელორუსიის ტყეებში, ჭაობებსა თუ სიკვდილისთვის თავი შეეფარებინათ.

არ უნდა... ისაკა, ყოველნაირი შენი ცდა და წვალება ამაოა. ტყუილად აკერებ მაგ შარვალზე თალხ ძონძებს და მაგ ფარაჯასაც ტყუილად ხევ და ლამბავ თეთრი, მსხვილი ძაფით, რომ არავინ წაართვას და ამოდენა გზას დამდგართა, წყალ-ტალახში ჩაყრილებს შორის, ბაკურს სიცივით სული არ ამოხდეს. იმ დაღვრემილ რუს სტეფანესაც ტყუილად ესესხე იმ ერთი ნემსის გაყრა კედის ძაფს და იმ შავ ბერძენს — ფეხსაცმლის თავბრტყელ ლურსმნებს. ვითომ ენაწაგდებული ჯღანები შეიკეთე? აგერ, ბაკურის ბათინკას ააგლიჯე ნალი და დააჭედე, თუ ამ ჯოჯოხეთის გზაზე ასაღოღებლად ემზადები და იმედი გაქვს, სარას და დანიელს ოდესმე მაინც, ცალი ფეხით და ცალი ხელით, დაუბრუნდები.

ეს თუ შეუძლებელია, შენთვის მიზანი მაინცაა და იქნებ შენი საოცარი არტისტული ნიჭით, ასე მფრთხალი და მოწუწუნე, თვალის დახამხამებაში რომ ცივ, უტყვ, წარბშეუხრელ ნიღაბს სათვალესთან ერთად აიფარებ, ბუდიდან გადმოსაცვენად დაფეთებული, ცრემლში აცურებული თვალები რომ დაკოდილი ნადირივით ბუნაგში შეგიცვივდება, ქუთუთოები დაგივიწროვდება და სამალავიდან საფრთხეს ჩაუსაფრდები, შენი ჯიშის მრავალსაუკუნოვანმა, გენად და ნიჭად ქცეულმა შემგუებლურმა, ერის გადარჩენის ბუნებამ ეგებ მართლაც სასწაული მოახდინოს — სული გაიტანო; ღმერთმა ხელი მოგიმართოს, წყალწაღებული ხავსს ეკი-

დები და საშველად ხელს კიდევ სხვას უწვდი? დაღუპვის და დაქცევის იქნებ შენ გეშინია, თორემ ბაკურ ამაღლობელს, რომელსაც აწი ეს სახელი და გვარიც აღარ დასჭირდება, ვერავინ ვერაფერს დააკლებს. და იქნებ, კაცი თუ მაინც იმედითაა, ის, რაც აქამდე ბედად, ბედისწერად თუ სვედ და გოლგოთად თან სდევდა, იქნებ სწორედ ბაკურ ამაღლობელის წილხვედრი იყო და არა ვინმე № 5115-ისა?

იქნებ მართლაც ბედნიერი ნომერია და მისი ახლანდელი პატრონი სხვა ვარსკვლავზე დაიბადა და სხვა როლის განსახიერება მართებს, თუ ეს ასეა, იგი იმაზე ბედმუხთალი ვერ იქნება, ვინემ მისი პატრონი აქამდე იყო და როგორი უკუღმართი გზითაც არ უნდა ატაროს იგი, მაინც ბედნიერება იქნება იმასთან, რაც იყო.

ასე რომ, ჩემო ისაკა, შეგიძლია გულმშვიდად იყო. ის დავიდარაბა, სიყვარული და სიძულვილი, წამება, ცემა, გვემა და სისხლის ნთხევა, რაც იყო და კიდევ ბევრია მოსალოდნელი, იმასთან ლხინია, „დაგენაცვლე", რაც, ასე თუ ისე, თვალს მიეფარა და რასაც აქამდე ბაკურ ამაღლობელი ერქვა.

ეტყობა წინ კიდევ დიდი გზაა, ასე რომ არ იყოს, მისი ხელახალი დაბადებისა და ქვეყნად „5115"-ად მოვლინებისათვის, სულის ერთი წაბერვით გასაჭრობი ვიგინდარისათვის, შუბლს არავინ გაიცხელებდა, ახალ ნათლობას არავინ მოიგუნებებდა.

8.

ძაღლები კიდევ ჰო, მაგრამ ბადრაგი რატომ იწუხებს თავს, ხელკეტებითა და წიხლების რტყმით, როცა ამოდენა, ათასობით დაბეჩავებულ და გასაცოდავებულ ტყვეთა აშმორებული ტბორი, საითაც გზას გაუკვალავ, ისედაც იქით მიედინება. ვინ გეურჩება, რომ დათრგუნო, ან არ მიდის, რომ მიერეკები? აქ თუ შენი საკუთარი ეგოიზმი და გამოსარჩენი არ გაიძულებს თავსაც ხომ ჯაფას აყენებ, როცა სცემ და უჟაჟუნებ... გასაგებია, თუ ამას საქმე მოითხოვს. რატომ ბაკურს გესტაპოს ორი ახალგაზრდა თანამშრომელი თავს „დასტრიალებდა" და ოფლად იღვრებოდა, იქ ეს მათი „პური არსობისა" იყო, რაკი ტყვე გამოსატეხი ეგონათ. ამას მაშინ აუცილებლობა მოითხოვდა. ახლა რატომაა, ძაღლებს პატრონები რომ აჭარბებენ ყეფითა და სიავით. ვითომ საკუთარი ხელით გაზრდილსა და გაწვრთნილ ცხოველებს ეჯიბრებიან? თუ ამ უმწეოთა გაჭიმულ, თვალუწვიერ ჯაჭვში „უწესოდ" არავინ მოიქცევა და თავის გზაზე თავდახრილი, კვნესით და ურვით, პატიოსნად ეთრევა, ნაგაზი არავის ერჩის. პატრონს რატომ ექავება ხელისგული და ილესავს კბილებს? რა ხდება, რომ ძაღლად ქცეულ ადამიანთა კაცის სისხლზე დაგეშილი ცხოველიც უსუსურია?

აგერ, ბაკურის გვერდით არბის და ჩარბის მშვენიერი ბიჭი. იმ მამუკას ხნის თუ იქნება, გაწვევამდე, ომის წინა დღეს რომ იყო. ეს ქერაა, ოდნავ მაღალიც, მაგრამ რაღაცით მაინც ჩამოჰგავს. იმაზე მეტადაც, როგორც ადამიანი ადამიანს, ან კბილა ბიჭი კბილა ბიჭს. ეს მაღლა არ იხედება (საქმე ქვევითაც ბევრი აქვს), თორემ ისეთივე დაუდევარი სიარული რომ იცოდეს, რაღაცნაირად წელგამართული, ოდნავ უკან გადაწეული, ზურგიდან მამუკასაგან ვერ განასხვავებდი. ყურის ბიბილოებიც მამუკასავით ხორციანი აქვს, არც ცხვირი აქვს მთლად სწორი, თითქოს მომაღლოც კი, მაგრამ ისე გრძელი არა... ძაღლიც კარგი ჰყავს, პატრონის თვალში ჩაგეზებული და მისი გუნებისად მოწადინე. ბრტყელი, მოთახთახე ენა საგლეჯ ეშვებზე მოსხმარტალე კალმახივით პირში ვერ დაუმაგრებია და მაღლა აწკიპული ყურებით ერთთავად იმის ცდაშია, მიქსევამდე გაიგონოს პატრონის გულისხმა. თითქოს ამ პირუტყვის აშვებაც კი შეიძლებოდა. ზედვე ეტყობა, პატრონის უნებურს არაფერს ჩაიდენს. უთუოდ

ძაღლური ერთგულების გამო, თორემ პატრონი ნამდვილად არაა ასეთი თავგანწირვის ღირსი. იგი ყოველნაირად აბუჩად იგდებს და ამცირებს ცხოველის უზადო ბუნებრივ ალღოს — ბეჯითობისა და თავის გამოჩენის წყურვილს. ძაღლი ხან აყეფებულ პატრონს აჩერდება დორბლიან პირში და ხან მისგან დასჯილ „ნადირს“. ერთბაშად ყალყზე დგება და მათ შორის ჩამდგარ გამშველებელსაც კი ჰგავს, რაკი ვერაფერი გაუგია... ცხოველმა იცის, რა დროს რა გააკეთოს. თავდასასხმელად საჭიროა რეფლექსი. „ნადირმა“ პატრონის უნებართვოდ მწკრივიდან სულ ცოტა, ორი ნაბიჯი მაინც უნდა გადმოდგას და ამის შემდეგ შეუღრენს. ღრენის შემდეგ თუ „ნადირი“ უკან ერთი ნაბიჯით მაინც დაიხევს, სიავის რეფლექსი ქრება. თუ პირიქით — მწკრივიდან მანძილი იზრდება და „კურდღელი“ ჯიუტობს, მერეღა ჩნდება ყეფის სურვილი, მაგრამ ნაბიჯს თუ არ აუჩქარებს, ამისთვის ყეფის გარდა, რაიმე რადიკალური რეფლექსის გაღვიძება არ ხდება. გაქცეული „ნადირიც“ კი, სანამ თვალსაწიერზეა, გაკიდებისათვის კუნთებს უმუხტავს, მაგრამ ეს უფრო გაქანებისწინა გახელების რეფლექსია, კბილით ცემა დევნასა და დაწევის ჟინში იბადება, როგორც ამ ქმედების გაგრძელება და განვითარება. „ნადირზე“ დახტომა და ნადავლის დაუმორჩილებლობა — წინააღმდეგობა იწვევს უკანასკნელ ზომას, კბენას და გლეჯვას.

ახლა ძაღლს ვერაფერი გაუგია და აბუჩად აგდებული აშტერდება პატრონს — „მონადირეს“ და ტყვეს — „კურდღელს“. ასე, თავის „სოროში“ შეუმჩნეველ „ნადირზე“, კვალაუღებლად რატომ უჩნდება მონადირეს თავდასხმისა და კბილით გლეჯის წადილი... უნდა დაეხმაროს, მხარში ამოუდგეს, უერთგულოს, მაგრამ „კურდღელმა“ თავდასხმის რეფლექსი ხომ უნდა გამოიხმოს?.. და დაბნეულ, გამოლენჩებულ ნაგაზს ენა ჩვეულებრივზე მეტად უგრძელდება და ელეზვება. წამით დაცქვეტილი ყურებიც კი [illegible] როგორ ახერხებს პატრონი [illegible] ამას, რაც მას და მის ჯიშს არ შეუძლია. ამაოდ აწყდება ჯაჭვს: გასაქცევად და მსხვერპლის დასაგლეჯად კი არა, ამ ძნელი ამოცანის ამოსახსნელად — რა იწვევს მონადირის სიავეს და გლეჯვის სურვილს.

ძაღლი უსამართლოდ დასჯილივით და გალახულივით წკავწკავებს. ჯარისკაცს ფეხებში ებლანდება, ან ყალყზე დგება — პატრონის ჟინს გაურკვეველი რეფლექსით აყოლილი და მაინც: წინ გაუგდებელ ნადირზე ნადირობის არამცოდნე, დარეტიანებული და დაბრიყვებული.

ნაგაზს თუ ჰგონია, რომ მასა და პატრონს შორის არაფერი განსხვავება არაა და ორივე ამქვეყნად ერთნაირი დანიშნულებისა და მიზნისთვის არიან მოვლენილი? მათში რეფლექსს ძეხვის ნაჭერი აღვიძებს, რომელიც ერთგული დარაჯობისა და ნადავლისათვის ერგებათ და ამდენად მიაჩნია, რომ ერთმანეთს უნდა ჰგავდნენ, მაგრამ სხვაობის დანახვა არ შეუძლია. უგნური ცხოველი მხოლოდ „დანაშაულის“ დროს იმუშავებს რეფლექსს, რაკი იგი გარკვეულ კანონს ემორჩილება და წესი და რიგი იცის. განვითარებული, უმაღლესი რანგის „მოაზროვნე“ პატრონი კი რეფლექსის გამომუშავებას იმ შინაგანი „წესრიგის“ გარეშეც ახერხებს და აი, აქ არის მათი განსხვავების ძაღლის თავი დამარხული. ნაგაზს ეს არ ესმის და თავს შეურაცხყოფილად გრძნობს, თუ პირიქით — ბადრაგის დაბნეულობად და მიუხვედრელობად მიაჩნია, რაც აღაშფოთებს და აწუხებს. საცოდავი, ცხოველი რომ არ ყოფილიყო და ერთგულებას არ დაებრმავებინა, მიხვდებოდა, რომ ეს პატრონის უპირატესობაა და არა სავალალო და ყურებჩამოსაყრელი რამ.

9.

— ვაიმე, დაგენაცვლე, რას მაღირსა ღმერთმა და შენი მიმტოვებელი ვარ? — მატარებელი ნაშუაღამევს, როგორც იქნა წელისწყვეტით დაიძრა, სად იყო და სად არა, ისაკამ ვაგონის კუნჭულში მისრესილი ბაკური იპოვა. ერთმანეთზე ისე მიჭუჭკნულ ტყვეებში, ნემსი რომ არსად ჩავარდებოდა, მარტო ამ ნემსის ყუნწში გამძრომ ბიჭს თუ შეეძლო ასეთი სასწაული ჩაედინა.

თვალების რახუნთან ერთად უმინო, რკინის გისოსებიან სარკმელში მაცოცხლებელი ჰაერიც ასირსილდა და ჩახუთულ ყროლში ჩამხრჩვალ ტყვეებს ამომავალი სული ჩაუბრუნა. ფანჯარასთან მომაკვდავი რომ ხროტინობდა, ისიც კი ჩაჩუმდა.

— რა ჰქენი, ისაკა, თავს ვერ უშველე? — ბაკურს ოღონდ რაიმე ეთქვა, თორემ ისაკა რა ნაშველიც იყო და რა დამშვენებულიც, ამ კუნაპეტ ბნელშიც კარგად ხედავდა.

— დედაჩემო, სარა! რატომ არ ჩამაკალი აკვანში, რაკი დანიელა არ მოგეშვა და დაიდო შენი და ჩემი ცოდვა.

— ის, კოზლოვი იყო თუ ბარანოვი, გაიქცა?

— ვაიმე, არ გამახსენო!.. არ იცი? ძაღლებით დაიჭირეს და ექვსივე იქვე დახვრიტეს, ჩვენ თვალწინ.

— დღე ერთია და რამდენჯერ და რამდენს დაჟლეტენ ვინ დაითვლის. შენ, ამ კილომეტრზე გაჭიმული ქარავნის ხან თავში იყავი და ხან ბოლოში... მე, რა ჯოგსაც მიმადენეს..

— ვაიმე, ბრძენი ხარ, ისაკა შემოგევლოს, მე რომ იმდენი ვიხტუნე და ვიწანწალე, რას გავხდი?.. ბეწვზე გადავრჩი. სარა, კინაღამ ჩაგაცვი შაავი! შარვალი რომ არ ჩამეხადა და კუჭიც აშლილი არ მქონოდა, დედაჩემო, შენი ისაკა შავად მოჩითული თეთრი არყის ხის ძირში მგელსა და ტურას წაჰკიდებდა ერთმანეთს.

— შე საცოდავო, შენ ერთსაც არ ეყოფოდი.

— დაგენაცვლე, ამიტომ წაიკიდებოდნენ, აბა, სანამ ქუთაისის მწვანე ბაზარში ფართლით ვვაჭრობდი, მთელ ხროვას გავაძღებდი. შენც იქიდან მახსოვხარ, სარას თავს გეფიცები.

— მე, ჩემი საცოლისთვის, მხოლოდ ფარჩა-ატლასს ვეძებდი, შენ ჩითი გექნებოდა.

— ვაიმე, რა იყო დედამიწის გულზე, რომ არ მქონდა!..

ზურგით კედელს მისრესილმა ტყვემ წყალჩამდგარი მუხლის გამართვა მოინდომა და ფეხები ჩაკუნცხული შამელაშვილის ლაჯებში გამოაძვრინა. ისაკას ისედაც ბაკურის წვივებს შუა ჰქონდა ცალი ბათინკა ჩადგმული.

— ვაიმე, დაგენაცვლე, რაც თავი მახსოვს ორი ფეხი ჰქონდა კაციშვილს!

— ეს მანამ, სანამ ადამიანი იყო.

— საქონელს ზრდიდი, შე ჩემი ცოდვით სავსე, სარა! დანიელა ართვალს ამიტომ გაყევი?

მატარებელმა სვლას უმატა. მინაჩალეწილ სარკმლიდან ფიფქი შემოძვრა და თავჩაქუზულ ბაკურს კისერზე დაადნა. რაღაც ეკლის ჩხვლეტასავით იგრძნო და ხელი მოისვა. ბებია, პირველ თოვლს რომ დაინახავდა, ცას შესცინებდა: ხა-ხა-ხა-ხა! გაისადაც მინახავხარო! „ღმერთმა ნუ ჰქნასო“ — გაიფიქრა და ისაკას კი ჰკითხა:

— თოვს?

— რა ვიცი, ქუთაისის ბაღის კიდეზე ვიდექი საღადაოდ თუ?

— დაღამებამდე სარკმელზე ეკიდე და...

— ვეკიდე, დაგენაცვლე, იქნება ამ ჩვენზე უბედურ ბადრაგებიდან რამეს ყური მოვკრა-მეთქი.

— რა გაიგე მერე, რიონის სადგურში ახსნიან ჩვენ ვაგონს და ქუთაისისკენ ჩაუბამენ, თუ თბილისისკენ წავა?

— სარა და დანიელა, ისე თქვენს მტრებს გაუხარიათ, მე ამათ საითაც უნდა წამიყვანონ, არ გამახარონ! მაგრამ სად ჩააძაღლებენ თქვენი ცოდვის შვილს, ხომ უნდა იცოდეთ.

— რა ჰქენი, წერილი გააგზავნე შე-

ნიანებთან, თუ ვინმეს სიტყვიერად დაბარე?

— ვაიმე, დანიელა კაცის ჭირო, მიგეცა რაღაცა კომისრისთვის და ერთი წელიწადი მაინც კიდევ გეყურებინა ჩემთვის, თუ მეტად ვერ ნახავდი შენი სიძვის ნაყოფს... კაცს ეძებდი, მარა ვინ გაცალა, აბლავამ გამძაგრა და იმ ღამესვე გატენილ „სასტავში“ უფაქტურო ინდიკოს თოფი-ქსოვილივით შემტენეს... ახლა აგერ, საექსპორტო ფარჩასავით ვარ გზას დამდგარი და სად დამჭრიან და ვის ჩექმად, ხელთათმნად და ხელჩანთად შემკერავენ, ის მაინც გაცოდინა.

— მაგის თაობაზე ბადრაგს ეცოდინება, რა თქვეს?

— რა ვიცი, ისაკა დაგენაცვლოს.

— გერმანული სულ არ გესმის?

— ვაი, სკოლაში, ნინო ბერეკაშვილის ქალი რომ მიჩიჩინებდა და თვალი ეზოში საეშმაკოდ და რიონში გადასახტომად მეჭირა, მაშინ არაფერი შედიოდა ჩემს თავში თვარა, აქ, თოფი რომ გულზე მაქვს მობჯენილი, მათი ყოველი სიტყვა თავში ტყვიასავით მეჭედება.

— რა თქვეს, რაო, რით გაგახარეს?

— ამ წყეულებს, ალბათ პოლონეთში გაგზავნიან, იქაა კარგად მოწყობილი ბანაკებიო.

— საერთოდ, „კარგად მოწყობილი“ უკეთესია. აბა, აქამდე რომ შესაკრებ სახელდახელო ბანაკებში ვეყარეთ, ეს საქმე იყო? ტყავი ტყავად იხეოდა და ძვლები ძვლებად იღუპებოდა. შენ, ჩემო ისაკა, მთლად გაუფასურებული ბგონია შენი თავი.

— ხომ ვთქვი, დაგენაცვლე, ჩექმად თუ არა, ხელთათმნად და ჩანთად ხომ გამოვდგები.

— არა, მე აბაჟურობას გირჩევდი. რა ჯობია, რომ ანათებ და ზევიდან დასცქერი ვინმე ჩინ-მედლებიანი გერმანელის მყუდრო, ბედნიერ ოჯახს.

— სარა! აბაჟურად გინდოდი, ცხრა თვე რომ მუცლით დამათრევდი და კინაღამ გადამყევი? ვიცოდი მე, რაც მელოდა და რომ დაჩეყენებინე, ახლაც იქ ვიქნებოდი.

— ხელთათმნად არ ღირს. ახლა მოდაში დუელი რომ იყოს, კიდევ ჰო, ვინმე შეურაცხყოფილი მოგისროდა და შენი ტყავით მტერს ტყავის სახევად გამოიწვევდა. რაღაცა ნუგეში კიდევ იყო...

— მასეთი ნუგეში არ მოეშალა, სარა, შენი ისაკას ტყავის გამძრობს.

— შენ კვაჭი ბიჭი ჩანხარ, ყოველნაირად უნდა ეცადო სააბაჟურე მასალაში გაძვრე. სულ სხვაა მყუდრო ოჯახური ცხოვრება, — ბაკურმა წამოდგომა მოინდომა, — ჩემ ადგილზე დაჯექი ცოტა ხანს, სანამ...

— ვაიმე, სანამ საკუთარი „ჭერი“ და „ოჯახი“ მექნებოდეს?... იჯექი. აგერ სამი ბათინკის წვერზე ვზიავარ, შენიც აქეთ მომიჩოჩე და ოთხივეზე მეფესავით მოვეწყობი.

— ცოტა ხანს, თორემ შენ რომ ბრდღვიალა ფერადი ნათურის თავზე გადმოემხობი, მერე შენ ბედს ძაღლი არ დაჰყეფს.

— კარგია, დაგენაცვლე, — ბოლოს და ბოლოს, „შეურიგდა“ ბედს ისაკა. — ამდენი ტანჯვა წყალში არ ჩამეყრება.

— მე წიგნის ყდად მერჩია ყოფნა, მაგრამ „მაინ კაფტის“ ყდობას ვერ შევძლებდი.

— მაგი ჩვენი მხსნელის ნამოღვაწარი უნდა იყოს და ასეთ პატივზე უარს რატომ ამბობ?!.

— კი, მაგრამ მაგ წიგნზე იქ თურმე დიდი მოთხოვნილებაა, ხელიდან ხელში გადადისო და მე არც ისეთი სქელი ტყავი მაქვს, მალე გავცვდები.

— ჰო, აბაჟური ისაკას თავი დაგენაცვლოს, შენც გინდა ერთხანს გაიხარო.

— ჰო, ჰეგელს და კანტს ვინ მაღირსებს, თორემ იმ მყუდრო სავანეში, სადაც შენ აბაჟურად ეკიდები, მეც იქვე, წიგნის თაროზე რომ ჩამომასვენა, ქუთაისის ბაღის კიდეზე ღადავს არ ჯობია? ცივილიზებული ქვეყნის სინათ-

ლისა და სიბრძნის სამსახურში ჩავდგებით.

— ღმერთმანი...

— იქნება გაგვიმართლოს და გაქცევა-გამოქცევას, პარტიზანებთან ტყეში და ჭაობში გდებას, ზამთარი კარზეა, გაყინულ სანგარში და ორმოში წოლას... შეიძლება ისე ჩაგვაძალონ, დამმარხავიც არავინ იყოს. გაზაფხულზე შენი საბაჟურე ტყავი და ჩემი კიდევ... მე ამის მოხერხების თავი სადა მაქვს, მაგრამ ვინ იცის რას ფიქრობს ჩვენი აქ გამწესებელი...

— მომყუჩებელი, დაგენაცვლე...

— ჰო, ვინც აქ მოგვაყუჩა. და, ამისთანა ძვირფასი მასალა, უაზროდ აქოთდეს და დალპეს? მე მგონია ამიტომაც არ გესროლა იმ შენმა ბადრაგმა და არა იმიტომ, რომ შენმა შიშველმა მიმხმარმა გავამ მოხიბლა.

— ვაიმე, სარა! არც ერთ სკამზე რომ არ ეტევი, დანიელა სიკვდილის მაშხალა შენთვის მაინც რწყილის მიჯდომასავით იქნებოდა და რატომ დაიდე ჩემი ცოდვა.

ერთი საათის შემდეგ ადგილები მაინც გაცვალეს და ბათინკების ჭვინტებზე ნაჯდომი ისაკა რომ ტყვეებს შორის ჩაეკვეხა, თითქოს აბაჟურით გაჩირაღდნებულ ოთახში ზამბარებიან სავარძელში მოკალათებულიყოს, ისე აღმოხდა:

— ასე მგონია, დაგენაცვლოს ჩემი თავი, თითქოს უკვე ორივე „ჩვენი გენერლის სახლში“ ვართ თაროებში ჩაჭედილი.

— ჩემო ისაკ, შენი არ ვიცი და მე ბედი მაინცდამაინც არ მანებივრებს. სივიწროვე და ჭედვა-ჭყლეტა მერეც არ ამცდება. შენ კი აბაჟურისა რაღაცა უნდა გაახერხო.

— ვაიმე, სარა, ბუზები დამჭამს, ბუზები და კოღოები...

— კაცო, შენ ისევ ქუთაისის ბაზარში დაბრუნებას აპირებ? გერმანელი გენერლის ოჯახში ბუზსა და კოღოს რა უნდა. ისედაც ამდენ ნაჯაფ კაცს რწყილებსა და ბაღლინჯოებს დააჭმევინებენ და წმინდა არიულ სისხლს გაუშროებენ?!

— სარა და დანიელა ბედშავებო, გაგიმართლათ, სინაგოგაში იარეთ და ილოცეთ.

მატარებელი მიჯლიგინობდა და შეუჩერებლივ მიაქროლებდა „ძვირფას მასალას“ მესამე იმპერიის კეთილმოსაწყობად.

10.

სარკინიგზო ხაზებზე ვერ უნდა ყოფილიყო საქმე ისე აწყობილი, მსოფლიო ბატონობისა და საკაცობრიო წესრიგის მოწადინე იმპერიას რომ შეეფერებოდა. განსაკუთრებით დღისით, როცა საათობით დაყუდებული მატარებლები თავიანთ უგანრიგო რიგს ელოდნენ. მწვანე გზა აქეთ — ფრონტზე მიმავალთ ეკუთვნოდათ, მაგრამ შეუფერხებლად ვერც ისინი მიგრიალებდნენ. ფანჯარაზე ჩამომხრჩვალივით ჩამოკიდებული ისაკა შებინდებისას ბაკურის გვერდით ჩაეჭედებოდა (ვაგონიდან ორი მიცვალებული რომ გაათრიეს, შამელაშვილმა მიმჭკნარი ცალი უკანალის ჩასადები გაიხერხა), თუ მატარებელს დაძვრა ეღირსებოდა (დამდგარ ვაგონში სუნთქვა ჭირდა, სალაპარაკო და საღლიცინო ჰაერი სად იყო).

— ბაკური, დაგენაცვლე, ვერ არიან გუნებაზე ჩვენი „მეაბაჟურეები“ და „წიგნის მკინძავები“.

შამელაშვილი ფრონტებისკენ დაძრულ გერმანელთა სამხედრო ეშელონების თაობაზე „წუხდა“.

— ვითომ ჩვენთან ერთად წამოსვლა ერჩიათ?

— მე და ჩემმა ღმერთმა, ისე ვატყობ!.. სარა, ისინი თუ მაქეთ. სადმე ქუთაისის ახლომახლო ჩვენსავით ჩამორეკონ, ბროწეულას სადგურზე გაგზავნე დანიელა წელმოთრეული და აკითხვინე: ჩვენი ისაკა რომ უკრაინა-ბელორუსიის საზღვარზე ტყვეთა ეშელონის რკინის გისოსებზე ეკიდა, რა დაგაბარათ-თქო.

— რა დააბარე ასეთი იმ გაჭირვებულებს, რომ თავის დარდზე სადარდებელი დაუმატე.

— რა ვიცი, რანაირად, რა სასწაულით, მარა ქუთაისის ბაღის კიდის ერთი მუჭა მიწა მომაწვდინეთ-მეთქი.

ბაკურს ამ მწარე, შხამიანმა ხუმრობა-ძირმწარემ კურცხლები წააყრევინა. ამომხმარ ყელში საქონლის ბალნისაგან მოთელილი ბურთი გაეხიდა: „ყველაფერი კვდება, ეტყობა, და მშობელი მიწის სიყვარული საფლავშიც მიყვება ადამიანს, იქაც აწამებს“.

— შენ, კაცო, — „გაუჯავრდა“ ბაკური, ბალნის ბურთი რომ გულ-მუცელში ჩაჩურთა, — გაგიჟდი?!

— დაგენაცვლე, დავიჯერო არა მქონდა ხელსაყრელი პირობები?

— ჭკუას მოეგე, ყაძახო, შენ! აბაჟურზე ზევიდან უნდა დაიყარო, თუ გენერლის ფრაუს თეთრ ხელთათმანებს წაუსვა შენი ქუთაისის აყალო ტალახი.

— ვაიმე, ისაკა დაგენაცვლოს, გადასაყრელად და დასაბნევად მინდა? შევჭამ.

— რას იზამ?!

— შევჭამ, დაგენაცვლე, მაცასავით შევჭამ ამ ნამარხულებზე...

ბაკურს ერთბაშად ამოუვარდა უკვე ნაღველში დამბალი საქონლის ბალნით მოთელილი ბურთი და სუნთქვა იმდენად დაეხშო, სისხლი საფეთქლებში აუვარდა და შუილით ვაგონების თვლების დაგადუგი გადაფარა, დააყრუა.

სანამ ხელახლა რაიმეს გაიგონებდა, ისაკას ჩაეთვლიმა და კვნესოდა. შამელაშვილს არტისტიზმი და გარდასახვა ძილში ღალატობდა და მისი ხანმოკლე თვალის მოტყუება ტანჯვა-წამება იყო. ქარ-შიშხათში გარეთ გაგდებული ლეკვივით წუწკუნებდა: სახლში შემოშვებას რომ არ ითხოვდა, არც თავშესაფარს და შებრალებას. მაგრამ თავის ძაღლურ მიუსაფარობასა და გაჩენის ვარსკვლავს შეყმუოდა დაუსრულებელი, ნაღველში გალესილი სევდით. ახლაც, თავისივე მუხლებზე დამხობილი, თოვლ-შვავში დაცუცქულ ფინიასავით წკავწკავებდა:

— ვაიმე, სარა, მავთულებზე... მავთულბადებზე... მიჭირს, ჟანგიანი სინები გვერდებში მესობა.. სულს მხდის, დაგენაცვლე...

ბაკური ატირდა: ახალი საწამებელი გავუჩინეო. ეტყობა, საკუთარი ნეკნები წნულ თარგად ეზმანება და თავის ძვლებზე გადაკრულ ტყავს ჰგონია იმაზე აცმევენო. თვითონაც ხერხემალი ჩაეშალა ეგონა, კისრის მალები ტეხდა და ბარემ წამოდგომა ერჩია. იქნებ ორის ადგილზე მორიგეობით მუხლმოკეცილებს ზურგი იატაკზე გაემართათ.

— ისაკ! — ვითომ შეანძრია კიდეც, მაგრამ მონჯღრეული საბარგო ვაგონების დანდგარში როგორი ძალით უნდა შეგენჯღრია რყევით და ჭანჭყარით ერთმანეთში ჩაჭედილი და ჩახლართული ძვლები და ტყავები.

— ისაკა! — იდაყვი უქიმანჯა. ერთხელ, მეორედ და ეტყობა ნეკნებში მოუხდა, რომ უკვე აბაჟურის თუ ტორშერის მავთულბადეზე გადაცმულმა წამოიკნავლა:

— სარა, დაიხა შენი წელები...

— კაცო, დააყენე ეს სარა და დანიელი!

— ვაიმე!.. — დაფეთებულმა წამოიწია და ამ დროს მატარებელმაც შეუხვია, ვაგონის თვლები ცალ რელსს მიაწყვიტა, წამობორძიკებული მთვლემარე მოიქნია და თავით კედელს მიახეთქა. უკუდარტყმამ დარეტიანებული ისაკა კვლავ თავის ადგილზე დასვა.

— ესეც ასე!.. — ვიღაცას თუ რაღაცას შანი მოუგო.

— თავი შენ გაიტეხე მგონია და ვისი ოხტიდან ამოდიხარ?

— სამი ტილი მკბენდა სწორედ იმ ადგილას და მგონი მეშველა.

— აქ რამდენი ტილი და რწყილი გიკბენს, თუ კედელს თავი ურტყი, ერთი კი არა, ასი თავი შუა გზამდე არ გეყოფა.

— დაგენაცვლე, ჩემი არ იყო. — თავი იმართლა ისაკამ.

— რა არ იყო შენი, თავი თუ ტილი.

— ტილი, დაგენაცვლე, თორემ თავი ჩემიც დავკარგე და სხვისას ვინ მომაშავებს... სარა, ჩემიც დაგეტია იქ, სადაც ცხრა თვე გედო, მეფესავით ვიცხოვრებდი.

—მოიცა, შე ღმერთგამწყრალო, სხვისი და შენი ტილი, ტილი არაა?

— არა, დაგენაცვლე, როგორც სარას ალერსი და დანიელას ხმელი მუშტი არ ამრევია ერთმანეთში, ისე ვარჩევ ჩემი და სხვისი ტილის კბენას.

— როგორ მაინც, ისაკა, თუ, რა თქმა უნდა, საიდუმლო არაა.

— მაგას კი არა, რაკი ღმერთმა ისე არ გამწირა რომ შენი თავი მაღირსა, იმასაც არ დაგიმალავ, სხვის ტილებს კიდევ ერთმანეთიდან როგორ ვანსხვავებ.

— ამასაც ახერხებ?

— სარა, რას იფხიკებოდი და ირეცხებოდი, შენი ხელის გაჩერება რომ არ იყო. მიგეჩვიე სისხლის გაღებას, შენი ნახელავი ზუბზუბა ხარჩოთი და ბატის ქონით ნაპატიებს რა მიჭირდა. იქნებ ახლა სხვისიც ჩემი მგონებოდა და ასე არ დავეტანჯე. შენი, რაც არ უნდა იყოს, შენია და რა ჰქნას, მარა სხვისი მშიერი ტილები რაფერ ვარჩინო?! სარა, მაქვს მე მაგის დოვლათი?

ფეხებთან მოკეცილი ტყვე გაფხარკალდა, მუცელი ისე ულმუოდა, ვაგონის დგრიალშიც ისმოდა. ჰაერი ოთხივე სარკმლიდან უბერავდა, მაგრამ მაინც ისე იყო შერწყმული, უარესად ვერავინ შებილწავდა. ოთხზე დამდგარი იმ კუთხისკენ წაფორხილდა, სადაც „ფეხსადგილის“ კასრი ეგულებოდა. მძინარეთა შორის ხელის და ფეხის ჩასადგმელი არ უძებნია, ისე წაწანწალდა. ასეთ დროს მისი ქათმის წონა ოთხად ნაწილდებოდა და შეეძლო ვაგონის იატაკზე ერთმანეთში ათქვეფილებზე ისე გადაევლო, არავისთვის ძილი არ დაეფრთხო.

— ერთი მაგის ტილიც იყო, წელან რომ ვაგონის კედელს მივასრისე. ორი ამის, აგერ რომ ჩემ ყურთან ხროტინობს.

— მაგ ყურის ძირის მეზობელი ძალიან დაგიზარალებია.

— არაა ისაკა იმის ბიჭი, ვალი შეირჩინოს, მოგებით გადავუხდი... კიდევაა, ბაკური დაგენაცვლე, მკვდრის ტილი.

— მოიცა, ისაკა, თუ კაცი ხარ!

— მოვიცადო რა, მე მოვკალი ვინმე თუ?

— მე მკლავ.

— დაგენაცვლე, შენ ახალი ხარ. სარა, წელიწად-ნახევარია სისხლს მწოვს კაცი, ძაღლი, ტილი და რწყილი.

— ისაკა, ჭუჭყის და მკბენარის უნახავი არც ჩვენ ვართ.

— ვაიმე, მკვდრის ტილი არ გეცოდინება. ჩემ გვერდით ვინმე რომ კვდება, მეც ვკვდები... ტილები გაციებას არ აცლიან, ახალ პატრონს ეძებენ, ყინულის ნემსებით ჩხვლეტასავით ვგრძნობ მათ შემოღოღებას... არაფრის, გერმანული ნაგაზის ისე არ მეშინია, როგორც იმათი...

— გაჩუმდი, ისაკა, შე ოჯახკეტიანო. როგორმე გაჩუმდი და დაისვენე!

— დაგენაცვლე, მე სამარე ვარ, მაგრამ ამ ჩემი ყურის ძირში რომ სულს ღაფავს, დილამდე ვერ გაატანს და ამის ტილები მომასვენებს?..

ბაკურს ერჩია დილამდე ფეხზე მდგარიყო და ისაკას ადგილი არ დაეთმო.

□ დასასრული იქნება □

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლია სტურუა

სუსტი მცდელობა გუნებასთან შერწყმისა

„ბუნება მბრძანებელია, იგივ მონაა თავისა,
ერთფერად მტვირთველი არის საქმის თეთრის და შავისა"
ვაჟა

როცა მატარებელში ზიხარ,
მატარებელი ერთ ყიამეთ, გაუთავებელ გვირაბში მიდის,
გახშირებული სუნთქვის წვეროებზე
შუქნიშანივით ანთია თვალების თეთრონი,
ღვიძლი ძმა იმ სინათლის,
გვირაბის ბოლოში რომ გამოკრთება
და რომელსაც მთელი გზა ელოდები,
მაგრამ თვალი შეეჩვევა თუ არა,
ისიც ისეთი ერთფეროვანი და მოსაწყენი ხდება,
როგორც ერთ ძაფზე ასხმული
ცხვრების თეთრი მძივი მინდორში...
ეს ერთფეროვნება რაღაცამ თუ არ ჩამორეცხა —
ან წვიმამ, ან თუნდაც სისხლმა,
შეიძლება გაგიჟდე
და ისევ ღამეში მირბიხარ
ქარის წაღებული თეთრი წიწილასავით,
მერე ღამის შავ კუწუბოს მოათრევ
მზეზე გამოსაფენად
ხომ შეუძლებელია, ხომ უკანონო საქციელია,
სამაგიეროდ როგორ უხდება შავი ყვითელს!
ზაფრანას ყვავილები რომ ღამის პეპლებში აურიო,
შიგ კრიმანჭულის ყველაზე წვეტიანი ბგერები მიმოაბნიო
და ამან ყველაფერმა იწვიმოს ციდან!
სუსხიანია, ვიღაცისათვის დამღუპველიც,
მაგრამ არა შენთვის,
ვისაც ბეცი თვალები ხილვებისათვის გაქვს ბოძებული
და არა მხედველობისთვის
სიტყვაც ასეთივე —
მფრინავი, ფეროვანი, შეფარვით მომღერალი...
მართალია, ვალისმიერ სამყაროში

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოხუცი დედის, ავადმყოფი შვილის,
საკუთარი უძლურებისგან მონასავით მოკაკული,
მაგრამ ყოველი წელში გამართვა
არა საკუთარ სიმაღლემდე (მეტრი და სამოცდაორი)
არამედ კენწეროომდე!
გინდა ხის, გინდა გუმბათის, გინდა შუბლის,
ოღონდ კენწეროომდე,
სადაც გაცილებით უფრო მწვავე,
ვიდრე ბრძოლა არსებობისათვის,
მიდის თავების შეხლა-შემოხლა
იმ უფლების მოსაპოვებლად,
რომ ზაფრანას ყვავილები ღამის ჰეპლებში აურიო
შიგ კრიმანჭულის ყველაზე წვეტიანი ბგერები მიმოაბნიო
და ამან ყველაფერმა იწვიმოს ციდან!
შენ კი სულ კენწეროზე უნდა იდგე, თითის წვერებზე,
და ჭარმა იმდენი უნდა გირტყას
და იმდენი უნდა გაწვიმოს,
რომ ახალშობილივით
ყიფლიბანდის ყვავილები ამოგეზარდოს თავიდან...
ახლა ეს ვარდისფერი უმწეობა
სალ კლდეებში რომ აურიო.
ჯოჯოხეთის კუპრში
კაკლის ლებანივით კრიალა კათარზისები მიმოაბნიო
და ამან ყველაფერმა...
მაგრამ გარშემო იმდენი კედლისგამრღვევი შუბლია
რომ მათთან ერთი შეჯახება და მორჩა
ჩამოვარდები და სასიკვდილოდ დაიმტვრევი...
ანდა სახლში უნდა შეიკეტო
და მისმა კრუხის ფრთამ
დაგიფაროს ნიჭის დელგმისაგან,
რასაც ისევ მატარებელში ჯდომა მოყვება
და ძნელი სინათლის მოლოდინი...
და შავ მიწაზე კი სულ სისხლის მდინარეები მოედინება
და ისევე უხდება მას,
როგორც ერთ ძაფზე ასხმული
ცხვრების თეთრი მძივი მინდორში...

* * *

ომარ ჩუბინიძეს

ზოგჯერ, როცა სახლივით მორგებულ
საკუთარ სხეულში
ღარიბ მდგმურად იგრძნობ თავს:
კისრის მალები ჭრიალებს,
გული გჩხვლეტს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

დახუთულ მუხლებს ქარი ვერ ამოალებინე,
პერანგივით ამოატრიალებ ამ სხეულს
და ხედავ:
ხერხემალზე ამოზრდილ
მარილის ფეოდალურ კოშკებს
და მათ შორის მოფრიალე გულს,
სულ მჭახე ალისფერს,
თითქოს არ არსებობს ფერისცვალების მოდუნება.
სულ აფრიალებულს ისე,
თითქოს ყველა ქალიდან
მზეთუნახავი იჭვრიტება...
ესეც, ალბათ, იმის ბრალია,
რომ მშიერი ბავშვობიდან მოყოლებული
შენს ფილტვებში ჟანგბადის ნაცვლად
მინდვრის ყვავილებს ჩაბერავდა პნევმატორაქსი,
ითვალისწინებდა რა შენს პოეტურ ბუნებას,
ახლა ექიმები ამბობენ,
რომ მინდორივით გასათიბია მთელი ტანი,
რადგან სარეველა მოეძალა
და სახლად აღარ ვარგა.
ამიტომ დანის მიკარებამდე
შენ თვითონ გამოდიხარ საკუთარი სხეულიდან
და იავნანას მისამღერივით
მერამდენედ უბრუნდები ბავშვობას.
სადაც რძის გოჭები ყრიან
ვარდის ფურცლებივით,
ჯერ არზიარებულნი ტალახში წოლის
ცოდვიან ნეტარებას,
ლეღვის იისფერი ხე ეზრდებათ მუცლიდან
დედიშობილა კაცებს და ქალებს,
არა სასირცხო ადგილების დასაფარავად,
არამედ იმიტომ,
რომ ხეს მიმგვანებული ადამიანები
უასაკოდ ლამაზები არიან...
იასა და ვარდს შორის გაწელილი
გრძელი ნანა...
ამასობაში ექიმები
სახელდახელოდ ამოკემსილ სხეულში გაბრუნებენ
„ასეთი უცნაური იყო ბავშვობიდან“
„საეჭვო ტიპი“
„კუზიანს მხოლოდ სამარე გააასწორებს“
კოხივით გეყრება თავზე
ჭირისუფლების მითქმა-მოთქმა
და შენ ბრუნდები,
ლეღვის იისფერ შუქს გატანენ საგზლად
გარდაცვლილი ბებიები
და ზედ იმდენ შაქარს აყრიან,
რამდენიც დაგაკლეს მშიერ ბავშვობაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რადგან კაცის ბოლო
და ყველაზე ძლიერი ვნება — სიტკბოსმოყვარულობაა,
ხოლო მასზე უაღრესი
სახლიდან გამოგდებული ხიზანის სასოწარკვეთა,
რომელიც მწიფდება შენში
მაწვნის გრილი თეთრი ყვავილივით მინის ქილაში,
მას ვეღარ დააშოშმინებს
ლელვის ღონიერი სიტკბო,
ვერც იასა და ვარდს შორის
გაწელილი ნანა,
რადგან როგორი სანახავია
მანქანების გამძვინვარების საათებში
გზაჯვარედინზე მდგარი კაცი,
რომელსაც მკერდში
ზუსტი მექანიზმის ნაცვლად გული უდევს,
ისეთი ალისფერი და აფრიალებული,
თითქოს ქალაქის ყველა სარკმლიდან
მზეთუნახავი იჭვრიტება...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მაყვალა გონაშვილი

ვალი

არა მარტოდენ მამული ანდა,
არა მარტოდენ წინაპრის ვალით,
საქართველოში ათგზის ძნელია,
იყო პოეტი და იყო ქალი.
ეს იმას ნიშნავს, რომ ფეხშიშველი
გაჰყვე დაეკლილ უცნობ ბილიკებს,
ვილაც ფეტვივით მოგაყრის ჭორებს,
ვილაც ქარივით გაგაქილიკებს.
ეს იმას ნიშნავს, ყოველ ცისმარე
მზის სხივით ქსოვდე ჩალისფერ დროშებს,
და სიმართლისთვის ზღაპრის გმირივით
რკინისგან ნაჭედს იცვამდე ქოშებს.
ეს იმას ნიშნავს, რომ ცალი ხელით
აკვანს არწევდე, სად სხივი ჩადგა,
ხოლო მეორით კემსავდე ძველი
მეტაფორებით გაცვეთილ კაბას.
იყო ერთგული დედა და ცოლი,
თანაც ფეხდაფეხ სდიო ქარაშოტს,
ეს იმას ნიშნავს, ვით ცეცხლს ფარვანა,
სიკვდილს ბავშვივით შეეთამაშო.
და სხვა კეკლუცი ქალების დარად
არ შეგისრულდეს ნატვრა აროდეს,
არ იყოს ვინმე, სიმარტოვიდან,
შენს დასახსნელად მოუხაროდეს.
ეს იმას ნიშნავს, არ წაიჩოქო,
სანამდის ძალა გიდგას მუხლებში,
ეს იმას ნიშნავს, იყო ქალღმერთი
კაცის და მიწის მძიმე უღელში.
არა მარტოდენ მამულის, ანდა
არა მარტოდენ წინაპრის ვალით,
ჩემს სამშობლოში ათგზის ძნელია,
იყო პოეტი და იყო ქალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაგვიანებული შეხვედრა

შენ ხარ რომეო?! როგორ შეცვლილხარ,
მეც აღარა ვარ ცამეტი წლისა,
აბურდულია ბედის გორგალი,
არ ასრულდება, რაც უთქვამს მისანს.
არ მომეკარო. ეკლის პერანგი
ტანთ მაცვია და ვნებაც განელდა.
მე ვნებდებოდი ქარებს და წვიმებს,
შენ გრილდებოდი მზისდარ ქალებთან
და მაინც თურმე წუთისოფელი
სიბერისაკენ მიგვაქანებდა....
და ისევ იქვით ვკითხულობ:—შენ ხარ?!
დავიგვიანეთ ჩემო რომეო.

გახსენება

ცა კაბასავით დამივიწროვდა,
ვდგავარ მუხლამდე ღრუბლის გუბეში,
წვიმების კიბით ჩამოდის გზებზე
სიგრილე — მიწის ჩუმი ნუგეში.
და მახსენდება, ის რაც იქნება
ხვალ, ზეგ, ან ძლიერ დიდი ხნის მერე,
ირთვება ზეცა, ტანისამოსად
ირჩევს საოცრად ხასხასა ფერებს,
ეს გზაც, რომელსაც უნდა შევუყვე,
თითქოს გავლილი დიდი ხნის წინათ,
და მეორდება სულში ყოველი,
ვით ფოთოლცვენა, ქარი და წვიმა.
და რაცა ხდება ირგვლივ ან ჩემში,
არ მაკრთობს, ჩუმად გულის ხმას
ვისმენ,
ვარ დაბზარული ხორნაბუჯივით
და სული კბილით მიჭირავს ისევ.
ბედმა მარგუნა თვალი გრძნეული
და წინათგრძნობის პერანგი წილად,
ვზივარ, ვიხსენებ მომავალს ჩემსას,
რომელიც თითქოს გავლილი წინათ.

—•—

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რევაზ მიშველაძე

ორი ნოველა

ზვიადაური

— დილა მშვიდობისა, სტუმარო!

გიორგი წიკლაურს კარვის კალთა კისერზე გადაუფენია, ჩაცუცქულა და მანჯღრევს.

ნაბადი მოვისროლე, წამოვჯექ და თვალები მოვიფშვნიტე.

— გათენდა?

— არც ბევრი დააკლდების, ექვსი საათია. ხომ კარგად გეძინა?

— მეფურად, შენა?

— სამ ბალღ ნუ მომიკვდების, თვალი არ მომიხუჭავს.

— რად დაისაჯე თავი?

— სტუმრებს ხომ არ შეგასწრებდით კარავჩი. ჩემ დასაწოლ აღარ დარჩა.

— სხვისმა მაზიარებელმაო... თურმანაული?

— ისიც ჩემს დღეში ჩავარდა. მაგრამ არაფერ წაგვიგია, შატილის მადლმა. სამნი ვიყავით ცეცხლთან ჩახუტებულნი.

— მესამე?

— ჩვენი ალალი ძმა — ჟიპიტაური. აბა, უიმისოდ რას გავძლებდით. არ შაგციოდა?

— ხომ ხედავ, ჩექმებიც არ გამიხდია.

კარვიდან გამოვძვერი. ჯერ ისევ ბნელა. ვარსკვლავები თავთავიანთ ბუდეებში მიყუჟულან. ცა მარტოა. მთის წვერებზე ბაცი თოვლი ილანდება. კარვებს შორის აქა-იქ ჯერ კიდევ ბჟუტავს ცეცხლი. ვიღაცა მანქანის სტარტერს გამეტებით აჩხაკუნებს. წამით რომ სიჩუმე ჩამოვარდება, ქვემოდან, შატილის კოშკებიდან ფანდურის სუსტი ხმა ამოაქვს ნიავს. უკანა ფარებანთებულ ვილისთან თურმანაული ირწევა. წეროსავით მაღალ ფეხებზე დგას მაღაროსკარის „ხევისბერი“ და განუყრელი ნაბდის ქუდიდან მისი ჭაღარა ახლა შავხუჭუჭად მოჩანს.

— ხომ გითხარ, ჩვენი კაცია, გამაიგყვება მეთქი. ანდე თუ სწორი არ მითქვამს, — თურმანაული ბეჭებზე მისვამს ხელს და აღმასკომის თავმჯდომარეს ნიშნისმოგებით ემასლაათება — არაო, სტუმარს ნუ შევაწუხებთო. აგეთი სტუმარი სწორედ ძილით შასწუხდების. ხომ მართალი ვარ? — მიმოწმებს, — ახლა მუცოს დავეცეთ. მზეს მუცოს კოშკებიდან მივესალმოთ და თითო არაკი დავჭკოათ, როგორია?

— ვინ იცის, რა სიზმრებს აგაგლიჯეთ, — გიორგი იცინის.

— ეგ კი მართალია. დილისკენ ტკბილ სიზმრებ ჩამაივლიან, — კვერს უკრავს თურმანაული.

— ეჰ, კარგა ხანია, ჩემო გიორგებო, ჩემს სასთუმალთან ტკბილ სიზმრებს აღარ უთოვია.

დავიძარით.

ანატორის აკლდამებს გავუარეთ და მუცოს ხეობაში შევედით. მთავარი გზიდან, ხელმარჯვნივ ქვებნათოვ ჭა-

ლაში კარგა ხანს გააჯანჯღარა ვილისმა. ბოლოს არაგვის (ხევსურები დიდსა თუ პატარა მდინარეს ყველას „არაგვად“ უხმობენ) ნაპირას შეჩერდა, მძღოლი გადავიდა, ერთი-ორჯერ ქვა მოისროლა წყალში და მანქანაში შემობრუნდა.

— ვერ გავალთ.

— რაიდ ვერ გავალთ? — გაჭირვეულდა თურმანაული.

— მოტორს ჩაგვიქრობს, მკერდამდე მოჩქეფს, ჩავრჩებით, — მძღოლმა გიორგის შეხედა.

— რა გაეწყობა. წყალთან ყინჩობა არ ეგების. დაატრიალე, მურყვანებში ჩამოვხდეთ.

...ბრტყელ ხავსიან ლოდზე ჟიპიტაურით სავსე ხელადა გვიდგას. გალიგვებული, მოხარშული ხორცი, მკავე ხაჭო, გუშინდელი ხინკალი, დედას პურები, სულ ეს არის ჩვენი ავლა-დიდება. თხის ყანწი ხელიდან ხელში გადადის: არაყმა სული გაგვითბო.

ვდგავართ ოთხივენი. თურმანაულმაღა ჩაიმუხლა სიპ ქვაზე ერთადერთხელ, მაგრამ სწრაფადვე წამოხტა. ცივიაო, ტიალი. რაც უფრო ნათდება, უფრო ცივა და გაღმა-გამოღმა კლდეები თითქოსდა განზე იწევენ. ხეებს ყვითელი ფერი უბრუნდება და კენწეროებს მოდებული თრთვილი ვერცხლივით ბრწყინავს. ცა ნელნელა ნათდება, მაგრამ მზე ჯერ კიდევ შორს არის. სანამ პირველი სხივი ამ მთებში ჩამოაღწევდეს, ყინვა ძვლებში გაგვივლის.

დავლიეთ ...ავდილის სადგურში ცოცხლად დამარ- ...ოთა შესანდობარი, მამა-პაპათა სალ...ავის სადღეგრძელო, მწყემსთა და მონადირეთა მფარველი ღვთაების სადღეგრძელო, ამ ხეობაში ჩამობრუნებული მთიელის სადღეგრძელო, კელაპტრებივით ყვითლად დანთებული ხეების სადღეგრძელო, საქართველოს არგათავების სადღეგრძელო... ბოლოს იქამდეც კი მივედით, რომ მკვდრის გულს დაწვეთებული ალალი ცრემლის სადღეგრძელო დავლიეთ.

— გინდათ ცრემლზე ლექსი — თურმანაულმა ოქროთი შეღებილ მთის წვერს ახედა:

დავბერდი, ცრემლიც დამიბერდა,
დავბერდი, სიტყვაც დამიბერდა,
ვარ ორის ჯოხით მოარული...
აბა, გაიხედნეთ ჩემ ნავალსა,
ცრემლით არიან დასეტყვილნი.
აბა, დაჰკვლიეთ გზა-გზის პირთა, —
ცრემლით არიან დარეცხილნი!
ცეცხლი მაქვს გულზე მოდებული,
ტუსის სული ასდის ჩემს ცრემლსაცა,
დავდივარ დამწვარ-დადაგული.
ღმერთმა დასწყიოს ცრემლი ჩემი,
ღორღივით არი, ხალხო, მძიმე!
მე თავადა ვარ სატირალი,
მე თავადა ვარ დაღონება,
ხმელეთზე ფეხით მოარული.

— რა დიდებულია, — ვთქვი მე, მაგრამ მაშინვე ვიგრძენი, რომ ლექსის ჩემეული შეფასება ყალბად აჟღერდა. თუ შეგიმჩნევიათ, ფშავ-ხევსურნი ლექსის ავ-კარგზე თითქმის არ ლაპარაკობენ. ისინი ლექსებს უბრალოდ ამბობენ, ლექსით ცხოვრობენ და იშვიათზე იშვიათია განზე გადგნენ და დაფიქრდნენ იმაზე, თუ რა სადა და თანაც გენიალური ფრაზაა „დავბერდი, ცრემლიც დამიბერდა“, ან „მე თავადა ვარ დაღონება, ხმელეთზე ფეხით მოარული“.

სევდიანმა ლექსმა ცოტა ხანს თავი ჩამაქინდვრინა, ჩემს თავთან, ჩემს ფიქრებთან ჩამაბრუნა და ვინ იცის, რამდენხანს შევრჩებოდი სევდას, მაღლა, ბილიკზე ჩქამს რომ არ გამოვერკვიე.

— ეჰაი, ხევსურო, ჩამაუხვიე! — გიორგიმ ხელი დაუქნია ბილიკზე ალმა მიმავალს. მგზავრი შეჩერდა, ფიწალი ბეჭიდან გადმოიღო და ზედ დაეყრდნო.

— გაგიმარჯვდასთ.

— ჩამაიბარდი, ერთაი დაგვილიე.

— აგეშენასთ, გმადლობთ, მთას მივდივარ დალევა არ ეგების, — ფიწალი კვლავ მხარზე შეიდო და შეტრიალდა.

— არ გამაგივა ეგ საქმე, ლაშარის

მადლმა, მიადგი ფეხი, ხევსურო, შენ გეუბნებიან! — დასჭყივლა თურმანაულმა.

მგზავრი კიდევ ერთხელ შედგა და მოიხედა.

— სულ ერთია, მაინც არ გაგიშვებენ. მანდ, ზემოთ ხალხი გვყავ ჩათოფებული. შენის ნებით ჩამაჰხვედ, აგრე სჯობიან, — გიორგი სიცილს ძლივს იკავებს.

ძალად სტუმარი ბილიკს ჩამოჰყვა, აბგა მოიხსნა, ფიწალი ქვას მიაყუდა, მშვიდობის დილა გვისურვა და შორიახლო გაჩერდა.

მოსხლეტილ ზვავს ჰგავსო, ვერა და ვერ იტყვი, დაბალი, ჩია ტანის კაცია, ლამისფერი ქურთუკი და რეზინის ჩექმები აცვია. წვრილი კისერი აქვს და თითქმის უწამწამო, კურდღლის თვალები. წელან ისე მჩატედ გადმოხტა ქვიდან, რომ უფრო ახალგაზრდა მეგონა. ახლა მის დანაოჭებულ ყელღაწვს რომ ვაკვირდები, თუ მეტისა არა ორმოცდაათს მიტანებული მაინც უნდა იყოს. კეფაზე — გაფსკვნილი, ფერგადასული, დაბამბული ქუდი ახურავს. სრულიად უმიზეზოდ ქუდს წამდაუწუმ ამოძრავებს. ხელით ხან წინ გადასწევს და მეჩხერ წარბებზე ჩამოიფხატავს, ხან უკან გადაქაჩავს და გაწლეულ კეხიან ცხვირს ზემოთ, თეთრყირმიზა შუბლს სანახევროდ გამოაჩენს.

— ხევსურს რომ ეძახი, იქნება ქისტია, — სტუმრის გასაგონად უთხრა თურმანაულმა გიორგი წიკლაურს.

— აქამდე ხევსურ ვიყავ, — წარბი შეჰყარა სტუმარმა.

— რა გვარისა ხარ? ახლოს მაიწი — გიორგიმ ყანწი გაუვსო და მიაწოდა.

— ღვთისო ზვიადაური მქვიან. გაგიმარჯვასთ. დილის მადლი შაგეწიოსთ. თუ არ გეწყინებისთ, ვერ დავლევ. შორი გზაი მიძევს. სხვა დროისთ იყოს, — მოიბოდიშა ღვთისომ, ყანწი ტუჩთან მიიდო და თურმანაულს გადაწოდა, მაგრამ „ხევისბერმა“ ხელები გაასავსავა.

— აი, ეს კაცი მწერალია. ხბილისიდან. ეწყინების, უნდა დაჰლიო.

ზვიადაურმა შემომხედა, მაგრამ აშკარად შეეტყო რომ ჩემი მწერლობა მაინცდამაინც ვერ დაიჯერა და კიდევ გაიბრძოლა.

— ღმერთმა ყველას ხელ მოუმართას. ჩემს საქმეს დალევა არ ეწყობის. შორი გზაი მელის.

— დალიე, ნუ ინაზები პატარძალივითა, დედას ჟიპიტაურია, არ გაწყენს, — ლამის უბრძანა წიკლაურმა.

ხევსურმა სამივეს ცალ-ცალკე მოგვაპყრო მუდარით სავსე თვალები, მაგრამ ჩვენის მხრივ ვერავითარი თანაგრძნობა რომ ვერ ჰპოვა, ხელი ჩაიქნია და თხის ყანწი სულმოუთქმელად გადაჰკრა.

გიორგის გაეცინა.

— რაირა გეცინების? — მიუბრუნდა ზვიადაური.

— გემრიელად კი გადაჰკარ, არაყთან ხამად არ იქნები.

— საქმეჩი არ გამოდგების. ღალატი იცის, თორემ სხვაფრივ კაი არს. დარდის მტერია.

— სად მიჰმგელამდი ასე ჩქარჩქარა? — თურმანაულმა ჰკითხა.

ღვთისომ შუბლზე ხელი მიიჩრდილა და მაღლა აიხედა.

— გაჰხედე, დათვიჯვარს შავი ღრუბელი ადგას, საწვიმრად ეღირების.

— მერე იწვიმოს, შენ რაი გაწუხებს.

— ახალგათიბულს თუ დააწვიმა ჩაახურებს და ჩაალპობს, გასაშლელად ვეშურები.

— სად გიძევთ ნათიბი? — ჩავერიე.

დასავლეთით, შატილსწამოყუდებული თოვლიანი მთისკენ მიმითითა.

— ა ემ მთის ძირშია. შორ ნუ გეგონებავ. ოთხი საათის გზა არც კი არი.

— აგაშენა ღმერთმა.

— ახლა ყველაფერსა ვჰკვირობთ. აი, მაშინ გენახათ, იმ ჭიუხებს ზემოთ, იალაღებს რომ ხნავდნენ ხევსურნი.

— სადა კაცო? — ფერდობს დაბლა ვათვალიერებ.

— მაღლა-მაღლა, თოვლის ზოლთან, დღესაც ეტყობის ნაპოხი.

— იქ ან ხარები როგორ აჰყავდათ, ან რასა თესდნენ, რა მოდიოდა?

— ქერი.

დავლიეთ იმ ხევსურის სადღეგრძელო ამ ფრიალო კლდეს რომ ჩაჰბღაუჭებოდა ათასი წელი და ბოლოს „შეტყუვილით ჩამააბარეს“, მერე დავლიეთ ჩვენი სატკივარის მორჩენის სადღეგრძელო...

მზემ რომ ნათელი დაგვაფინა მხრებზე, აღარც კი გვიგვრძვნია. რომ იტყვიან, კარგა ლაზათიანად გამომტყვრალები გახლდით.

ვმღერით, ვხარხარებთ ხან მიზეზით ხან უმიზეზოდ, ერთმანეთს ვებღოტიალებით, ერთი-ორჯერ წავუცეკვეთ კიდეც. ღვთისო ჩუმადაა. ფიწალს დაყრდნობია და მიწას ჩაჰყურებს, ცდილობს, სიმთვრალე არ შეიმჩნიოს.

— რამდენი შვილ გყავს, ზვიადაურო? — გიორგი ჩასძახის.

— ექვსი.

— ყოჩაღ ხევსურო. ვაჟკაცი შენ ჰყოფილხარ. სად სახლობ?

— მუცოს პირდაპირ, ხევში.

— მარტო სახლობაა?

— მარტო.

— უმეზობლოდ, კაცო? — ვეკითხები.

— აქამდის უმეზობლოდ ვიყვნით. გაზაფხულს ერთი ოჯახი აპირობს დაბრუნებას.

— საიდან?

—მანდეთ, თბილისთან ჩვენი სოფელია, გამარჯვებაი ჰქვიან, ხევსურნი სცხოვრობენ.

— ღვთისო! — თურმანაულმა ჭინჭრაქა ხევსურს ხელი ჩამოადო მხრებზე, — რა ჰქვიათ ბალღებს?

— რაიდა რა ჰქვია? — ბალღები.

— სახელებს გეკითხები, ჩამათვალე.

ღვთისომ ფიწალს ხელი შეუნაცვლა, თვალებში შემომხედა და დაიწყო.

— თამარაი, დავითაი, ჯაბაი, ეთერაი, საბაი... საბაი... ეთერაი, ჯაბაი ვთქვი, დათვია... თამარაი, ჯაბაი, საბაი ვთქვი... — თვალი მომარიდა და თავიდან დაიწყო — თამარაი, დათვია, ეთერაი, ჯაბაი...

თურმანაული და წიკლაური სიცილით იფხრიწებიან.

— ბალღების სახელ აღარ გახსოვს!

— ქაღალდზე ჩამასწერე და გულზე დაიკიდე!

— დილაობას გადასთვლიდე, არ დაგავიწყდების!

— ძაფი შეიბი რაღაცაზე!

— ცოლს ჰკითხე, არ დაგიმალავს!

რაც უფრო დალაღობენ თავზე მთვრალები, მით უფრო იბნევა ღვთისო.

— რაირა გაცინებთ? ყველაფერაიც კარგად მახსოვს. განა მაცლით ჩამოთვლასა.

— არა უშავს, ხდება, — დავამშვიდე.

— უარესიმც ხდების, — ღვთისოს გული მიეცა და გამხიარულდა, რაკიღა ეშმაკურ გუნებაზე ჰხართ, ერთ სათრეველა ამბოვსა მეც მაგიყვებით. პაპაჩემ უთურგაი ერქვა, ლებაის კარში სახლობდა. კაი ყმის სახელი ჰქონდა დავარდნილი. ახლაც მხვდებიან პაპის მცნობნი. ახლაიც თითო ჰიქა არაყს მამაწვდიან უთურგაის ანგარიშზედა.

— რატომ უთურგაის ანგარიშზედა? — თურმანაულს გიორგის მხარზე ხელი ჩამოუცურდა და კინაღამ ცხვირი ჩამოჰკრა ბეჭზე.

— პაპაის სახელით, პაპაის მადლით მპატიჟებენ. თორო მე ვის დავეკარგე, ვის რაჩი ვარგივარ. პაპისტოლანი ცერად მიცქერენ, „გონჯ ღვთისოს“ მეტყვიან, ზოგჯერ, სიყვარულითა.

— დიდი სიყვარულითა? — წიკლაური იცინის.

— უთურგას ცხრა შვილი ჰყავდის. ახლა არცერთ აღარაა ცოცხალი. ყველანი იქათ, გაღმა სოფელჩი დაბინავდან. ჰოდა, იმას გეუბნებოსდით, მამაჩემ — ნაბოლარაი ერთი წლისა ჰყოლიყო პაპასა, გაუნათლავი. გაუნათლავ

ბალღს ხევსურნი სახელს არას ეძახდნენ.

— სწორია, უბრალოდ „ბატარად“ ან „ბალღად“ უხმობენ. — თურმანაული ჩაერია.

— უთხარ დამაცადოს. — გიორგის შეხედა ღვთისომ.

— დააცად, თორო დაავიწყდების, — სიცილისაგან ყბებში თაგვები აუთამაშდნენ წიკლაურს.

— მამაჩემი ბატარაი, ერთი წლისაი, ცხენჯორზე შამაესვა უთურგასა და შატილს ჩამაეყვანა გასანათლავადა. დედაი ვერ თან გამაჰყოლოდა, აქ ბოდიში, ფეხმძიმედ ჰყოფილიყო. ჩამაეყვანა შატილში, გაუნათლავს მღვდელსა, თავის დავთარშიც სახელი ჩაუწერავს, წმინდა ზეთი წაუსომს მამაჩემისთვის (ერთაის წლის ბალღი) ცხვირზედა და გამოუსტუმრებია ლებაისკენ. აბა, უთურგას მასპინძელს რა დაუჰლევდა. ძმადნაფიცი თავის კოშკთან დაჰლოდებია. ჟიპიტაურის წვიმით თავიდან ფეხამდინ უსველებია. დილა-ბინდბუნდში მოსდგომია სახლსა პაპაი. გამაჰგებებია დიაცი — რა დაარქვაო ღვდელმა ბატარას? უთურგა არას ამბობს, მძიმედ დააბოტებს. ცხენს ლაგამ-უნაგირი აჰყარა, ტყაპუჭ-ქალამანი გაიხადა, კერას მიუჯდა, საგონებელჩია. ჰა, რა დაარქვითო ბალღსა, ბეჩავო? არ ეშვება დიაცი. რა ჰქნას უთურგამ, ამ ლოთობა-კვარჯღალში თავისი ბალღის სახელი დაჰვიწყებია, რას ჩამაცივდი დედაკაცო! — წამაუყვირნია, — რას დავარქმევდით, „ჯუღურაი“ ეწოდა ღვდელმა ამ შენს ჭინჭრაქასაო. ვინ გაუბედავდის პაპასა, ან ღვდლის დავთარს ვინ ჩაჰხედავდის, დარჩა და დარჩა ჯუღურაი სახელად მამაჩემსა, დარჩა და ამ სახელითაც წავიდა სულეთშია.

ამას რომ ჰყვებოდა, ღვთისოს ხელებს ვაკვირდებოდა. გრძელ მკლავებს ისე შეთანხმებულად ერთნაირად იქნევდა, გეგონებოდათ, თიბავსო. ისე ხმამაღლა ლაპარაკობდა, თითქოს წყალგაღმელთ უნდა გააგონოსო. გაუხეშებულ, ბელტითითება, ძვლებდა ხელებს ფერდებზე წამდაუწყმ ისვამდა. სიცილი გვაცალა, მერე სწრაფად დასერიოზულდა, ყანწი გაავსო და მაღლა ასწია.

— ერთ სადღეგრძელოს ვიტყვი, თუ ნებას დამრთავთ.

გავსწორდით ისე, როგორც ჩვენს დღეში მყოფთ შეეძლოთ გასწორება და სმენად ვიქეცით...

— მოდით, დიაცის სადღეგრძელო იყოს. ბარელთ ნუ გეწყინებისთ, დიაცის ფასი მთაჩი უკეთ იციან. არ დამცინოთ კია, ბარად შვიდი წელი მოვათიე. ბარისა ცოტა რამ გამეგება. იქნების, სისულელეს ვჩიოდე. სხვის ომში ბრძენობას ვიჩემებდე; მე რაც დამემართა, იმას ვამბობ. თხუთმეტი წლის წინათ ჩაგვლალეს ბარად. აუგს ვინ იტყვის, ეგ არის დავისვენეთ მეთქი, ამ კლდეებზე ბლოტიალს გადავურჩით მეთქი. შვილებს გაფიცებთ, არ დამცინათ. სამ წელიწად კარგად ვიყავით, მერმე უცნაურ დღეში ჩავვარდი — დიაცს გადავეჩვიე. ლამის თავი მავიკალ. არად მინდარის ჩემი ცოლი. რაი დამემართის. არც რაი ვიცი. ისეთ საქმეა, სხვასაც ვერას ჰკითხავ, დაგცინებენ. ჩავუკვირდი ჩემს ბეჩავობას. იქნების, სახად რამე შამეყარა. არცრაი — კურატივით ჯამრთელ ვარ. აბა რა სიკვდილ დამემართების. საჭმელ-სასმელ რიგიანი, სითბო-ლოგინი შვენიერი, ტელევიზორი და საქმე ცოტა. მეტი რაი უნდა კაცსა. არა და არ მიმდის გული, გადავეჩვიე დიაცსა. მაშინ ორი ბალღი მჰყავდა, ახლა ექვსი მყავ. აქედამ ვუკვირდები, ჩემთვის რაღაცეებ ახლა ამიხსნია, არ კი გამცინოთ. ვაჟობას გაფიცებთ. თბილ სახლჩი ტელევიზორ ვუყურებდით მე და ჩემი დიაცი. სითბოი ვაჟკაცის მტერია. ძილი მერევა. ყასიდად მაინც ვეუბნებ ცოლსა, წამოდი მეთქი, დიაცო დავიძინოთ. ცოტაც დამაცადე. კინოს ვნახამო. მე აღარ მინდა კინოი, იმას უნდა. მთავრდება გადაცემა, მე კარგა ხანია მძინავს, დიაცი თავის საწოლში ეხვევა.

რა სიცივე შეაწუხებს. დილით თვალდაბერილნი ვიღვიძებთ ორივენი. ვარსკვლავსაც თავისი გზაი აქვს, ყველანი გავრბივართ ჩვენს მოგონილ საქმეებზე. საღამოს ისევ ტელევიზორთან ვიკარგებით და ესეც შენი კვირა. დიაცს გადავეჩვიე. დიაცი მადლია. დიაცი ღვთის უკეთესი ფიქრია. დიაცი სიცოცხლეა. ამავალ მთაჩი, ნაბოლარა ბიჭი შარშან შამეძინა, გავცოცხლდი კაცი, იცით რა არი დიაცი? საქონელ რომ დააბინავებ, ცივ ღამეს რომ შაუდგები და ლოგინს გაგითბობს. გულს გაგითბობს. მერე თუ ნამეტან დაღლილ-დაკრეფილი არა ხარ, ცეცხლადაც შამოგენთება. დიაცი გულთან უნდა გყავდეს. სხვა ოთახს, ტელევიზორთან მჯდარი დიაცი ქრება, ნელდება, ცივდება. დიაცს გაუმარჯოს ჩვენს სულში, ჩვენითა. ჩვენი ნეკნია, ჩვენი გვერდია, ჩვენით არის. უჩვენოდ დიაცი არ დიაცობს. ტვირთს სახეზეაც კარგად აიკიდებს. დიაცი სიყვარულია. სიყვარულს გაუმარჯოს!

ერთი დაკვრით ჩაიცალა ყანწი ხახაში და თურმანაულს გადაულოცა.

მერე ერთი დაბარბაცდა. მამერია ტიალი ჟიპიტაურიო, თქვა, ხელაწევით დაგვემშვიდობა, ფიწალი და ზურგჩანთა ამოიღლიავა და წამოიყვირ-წამოისიმღერა:

ცოცხალთ რა გვიჭირს, მზესაა ვხედავთ,
დაღამდება და გათენდება!
ბრალიაააა, ვისაც დაუუღამდა,
ვიიისთვისაც ალაარ გათენდება.

მთას ახედა, ათიოდე ნაბიჯზე აუყვა ალმართს, შედგა, ხელი ჩაიქნია, გამობრუნდა და შინისაკენ მიმავალ ბილიკს დაადგა.

დოლომისი

მატარებელს ჩამორჩენილი კაცივით აწრიალდა ლადო მენაბდე. აქეთ ეცა, იქეთ ეცა, ხიდისკენ გაირბინა, მობრუნდა და შიო მღვიმელის ქუჩას გახედა.

არავინ ჩანდა.

ალბათ გადაიფიქრეს, მომსვლელი ცხრა საათამდე მოვიდოდაო, დაასკვნა და გული შეეკუმშა; „მომატყუეს“.

ზურგჩანთა ელექტრონის ბოძთან მიაგდო, რიყეზე გამოყუდებული ბულდოზერის გვერდით, თეთრ ლოდზე წამოწოლილი ბიჭებისაკენ გაემართა.

ექვსნი იყვნენ. ქუდები სახეზე დაეფარებინათ, ხელები თავქვეშ ამოეწყოთ და პირაღმა იწვნენ ყველანი ერთნაირად, ერთ ყაიდაზე. უცნობი კაცის მიახლოებისას მხოლოდ ერთი მათგანი წამოდგა და ქუდი შუბლზე აიწია.

— გამარჯობათ.

— იცოცხლე.

— აქაურები ხართ, ბიჭებო?

— მთლად აქაურებიც არ გვეთქმის. პრაქტიკაზე ვართ სუხუმიდან.—წითურმა, ცხვირნისკარტა ბიჭმა, მოსულს ცისფერი თვალებით ახედა და გრძელკოზიროკიანი, თეთრი ქუდი კვლავ წარბებს ჩამოაფარა.

— მე ვარ აქაური, — ფუნჩულალოყება, შავგვრემანი ბიჭი მუხლებზე დადგა, — ჰომელი გახლავართ. გნებავდათ რამე:

—არაფერი,—ლადოს გაეცინა—მინდოდა მეკითხა როდის ისწავლეთ საქარიელებმა ტყუილი.

— ეს ერთი კვირაა. მანამდე არ ვიცოდით, — არ დაიბნა შავგვრემანი.

ბიჭებმა ერთხმად გაიცინეს. ისე გემრიელად გორავდნენ ქვაზე და ხითხითებდნენ, რომ ლადოსაც გაეღიმა, ჯიბიდან ხელები ამოიღო და მზეს ზურგით მიეყუდა.

— არ გეწყინოს, — მორცხვად უთხრა ჭომელს და მხარზე ხელი დაადო.

— მე რა უნდა მეწყინოს. ნაწყენს და მოტყუებულს თქვენ გავხართ. — რიონს გახედა ლოყებფუნჩულამ.

— შენი სახელი? — ლადო ქვაზე ჩამოჯდა.

— გია ჭიღლაძე.

— ვიცნობდეთ ერთმანეთს, მე მხატვარი გახლავართ. ლადო მქვია. მივლინებით ვარ თბილისიდან, უქიმირიონზე მარანს რომ აშენებენ, იმის კედლები უნდა მოვხატო.

— დაწყებული გაქვს უკვე? — მარჯვნიდან მოესმა ლადოს. მოიხედა, დანარჩენებიც წამომსხდარიყვნენ და ზურგს ხელებშებიჯგებულები მოსულს შესცქეროდნენ.

— ესკიზებს ვაკეთებ, — ლადო ცოტა ხანს გაჩუმდა, — სასტუმროში ვცხოვრობ. გუშინ კინოს წინ ბიჭები გავიცანი. ცუდი ბიჭები როდი ჩანდნენ. დოლომისზე მინდა-მეთქი ასვლა. მარტო ვერ ვბედავ-მეთქი. ჩვენ წამოგყვებითო, ორმა მათგანმა. მაგაზე ადვილი რა არისო, ათჯერ მაინც ავსულვართ. გზებს თვალდახუჭულადაც გავიგნებთო. რვაზე შევთანხმდით წულუკიძის ძეგლთან. ახლა ათის ნახევარია. მომატყუეს. გული დაგწყდება მაინც, ვინ აძალებდათ, ეთქვათ თავიდანვე, ვერ წამოვალთო, გამოვეწყვე ამ დილით. ვდგავარ, ველოდები.

— რა გინდათ დოლომისზე? — სათვალიანი ყმაწვილი კენჭს უკაკუნებდა თეთრ ლოდს. მისი თეთრი პირისკანისა და შეღინღლული ნიკაპის მიხედვით თუ ვიმსჯელებდით, ამ ბიჭებს შორის ყველაზე ახალგაზრდა უნდა ყოფილიყო.

— არაფერი, კაცმა რომ თქვას. ამის ახსნა გამიჭირდება თქვენთვის. საქარიაში პირველად ვარ. ჩამოვედი თუ არა, დოლომისს დავადგი თვალი, თქვენ ჯერ, ალბათ, არ გქონიათ ასეთი გრძნობა, ჯერ პატარები ხართ. ჩვენთან შედარებით, რა თქმა უნდა, — ლადომ დოლომისს გახედა, — თითქოს გულზე მაწევს ეს მთა. მაღიზიანებს. ადგილს ვერ ვპოულობ. ესე მგონია, თუ იქ არ ავედი, კაცად აღარ ვივარგებ-მეთქი. სამი დღეა საქმეს გულს ვერ ვუდებ. ასე ვიცი ამოჩემება რაღაც-რაღაცეების.

ბიჭები თეთრად დაღარულ რუხ მთას შესცქეროდნენ, ქალაქს რომ თავზე გადმომხობოდა.

— ძნელი არ უნდა იყოს იქ ასვლა. — წითურმა ამოილაპარაკა.

— არა. დოლომისი მწვერვალთა სიაშიც არ არის შეტანილი, სიმაღლე ორიათას მეტრამდეა. უბრალოდ მინდა, სანამდე შევძლებ, მივიდე, თუ მწვერვალზე ვერ ავალ, იმ პირველ თოვლამდე მაინც მივიდე. თოვლს მოვკიდო ხელი და გამოვბრუნდე.

ბიჭები სდუმდნენ.

— წუხანდელი გაგლეჯილები რომ არ ვიყოთ, ჩვენ წამოგყვებოდით. ერთმანეთს ძლივს ვაყენებდით, ისე დაგვათრო გიას მამამ წუხელის. — მობოდიშებით თქვა ვიღაცამ ლადოს ზურგს უკან.

— რა გაეწყობა. მარტო მომიწევს ასვლა. კარგად ბრძანდებოდეთ, — ლადომ ხელი დაუქნია ბიჭებს და გამოტრიალდა.

ქვიდან ქვაზე ლამაზად ხტოდა, მაღალი იყო, ბეჭებში ოდნავ მოხრილი. საფეთქლებზე შერჩენილი ჭაღარა თმა ასაკს მატებდა, მაგრამ მის ნაბიჯებსა და თვალებს რომ შეხედავდით, მიხვდებოდით, რომ ორმოცამდე წლისა თუ იქნებოდა.

კიბეებთან არც კი იყო მისული, რომ მოესმა:

— ბატონო ლადო!

შეჩერდა და მოიხედა. მისკენ სამნი მოეშურებოდნენ. წინ სათვალიანი მოდიოდა მეომრული ნაბიჯით.

— ჩვენც წამოვალთ. ხასიათს გაგისწორებთ.

— კი მაგრამ... — ლადოს სიხარულის ცრემლი ყელში მოაწვა. მარტო აღარ მოუწევს სიარული.

ჩვენს საქმეს დღეს ისინი გააკეთებენ, — გია ჭიღლაძემ ქვაზე დარჩენილებისაკენ ხელი გაიშვირა.

ხიდზე ამოვიდნენ. ლადომ ზურგჩან-

თა მხარზე მოიგდო. ბიჭები მზრუნველად აათვალიერა. სახლებში ხომ არ შეივლითო, ჰკითხა. ისედაც მსუბუქად გვაცვიაო, უარი უთხრეს. ბოლოს და ბოლოს ევერესტზე ხომ არ მივდივართ, ფეხით გავივლით სანამ დავიღლებოდეთ და მოვბრუნდებითო.

ცაზე ღრუბლის ნასახიც არ ჩანს. ამინდი არ გაფუჭდება, რა უშავს „ჯინსებით“ და „ბოტასებით“ სწორედ რომ სპორტულად არიან მორთულიო. რა კარგი ბიჭები ყოფილან. უცნობ კაცს რა მალე ამიბეს მხარიო, — ფიქრობდა ლადო.

გზად ბაზარში შეიარეს. ლადომ ხილი და ყველ-პური შემატა თავის სანოვაგეს, კამოს სახელობის პარკი გადაჭრეს, ოლასკურას სასაფლაოს მარცხნიდან მოუარეს და დოლომისისკენ მიმავალ ბილიკს დაადგნენ.

* * *

ერთხანს სამანქანო გზას მიჰყვებოდნენ. მერე ბილიკზე გადაუხვიეს. ბილიკი გზას უმოკლებდათ. ნელა მიაბიჯებდნენ. თავიდან ვერ ააწყვეს საუბარი. ერთ საათში გალხვა ყინული უცნობ ადამიანთა შორის უნდობლობის სიცივედ რომ გაწოლილიყო. ბიჭები ისე შეთამამდნენ, რომ ერთმანეთს ლაპარაკს არ აცლიან. ოთხივენი გვერდიგვერდ მიდიან. მთხრობელი ოთხეულს გამოეყოფა, უკანსვლით მოდის და ხელების ქნევით ქაქანებს. ყველაზე ენაწყლიანი სათვალიანი ბიჭი — თემურ ჩალაძე აღმოჩნდა. მხარბეჭიანი, წითური აფხაზი ნოდარ არშბა, პირველი რომ წამოჯდა თეთრ ქვაზე, მოკრძალებული და ჩუმი ყმაწვილი ჩანს. ყველაფერი, რაზეც პრაქტიკანტები კამათობენ, ლადოს ათასჯერ მოუსმენია. პასუხიც ერთხელ და სამუდამოდაა გაცემული იმ კითხვებზე, ბიჭები რომ დიდის ამბით წამოჭრიან ხოლმე. სხვა დროს ლადოს აღიზიანებდა ოცი წლის გულუბრყვილო ბიჭების კამათი, მაგრამ ახლა სიამოვნებით უსმენს. „ღმერთო, რა სუფთა კაცები არიან. რა ლამაზია ცხოვრება ამათი გონების სარკმლიდან. ღმერთო, რა ბინძური მოსახვევები უნდა გაიარონ სანამ ჩემს ასაკამდე მოვლენ. რამდენ სიგლახეს უჩვენებს და გააგონებს წუთისოფელი თვითეულ მათგანს, რა ბედნიერია ადამიანი, რომელმაც ამ წუთისოფლის ტრიალისა ცოტაზე ცოტა რამ იცის“. — ფიქრობდა ლადო და თავისი მხიარული თანამგზავრების გვარებს უსიტყვოდ იმეორებდა, რომ არ დავიწყებოდა.

მჟავე წყალი დალიეს. ნოდარმა და გიამ კვართები გაიხადეს და წელზე შემოიკრეს. თემურ ჩალაძემ ზურგჩანთა მოირგო ბეჭებზე. მძიმეა, გაგაწვალებსო დაუშალა ლადომ. მაგრამ არ დაიშალა.

გია ჭიღლაძეს სიარული აშკარად უჭირს, მაგრამ არაფერს ამბობს. სუნთქვა გაუხშირა და კისერს წამდაუწუმ იწმენდს ცხვირსახოცით. „არა უშავს, მოუხდება, ეტყობა, საერთოდ ცოტას დადის“.

— რამდენს გაივლის ადამიანი ერთ დღეში მაგალითად? — ნოდარ არშბა კითხულობს.

— ადამიანს გააჩნია, — ყველას დაასწრო თემურ ჩალაძემ.

— ალპინისტებს რომ ჰკითხოთ, დღეში ოცდაათ კილომეტრზე მეტი რეკომენდირებული არ არის, — ლადოს თავისი კატეგორიული ტონისა თვითონვე შერცხვა.

— ოცდაათი კი? — არშბა დაეჭვდა.

— ეს სპორტსმენებისთვის, — ჩაერია გია, — თორემ ჩვენისთანა ხალხისათვის ოციც საკმარისზე მეტია.

— გახსოვთ ოსტაპ ბენდერი? „ფეხით მოსიარულენი უნდა გიყვარდეთ“. — თემურმა ლადოს შეხედა.

— დაიწყებს ახლა თავის ოსტაპ ბენდერს, — გია „ჯინსზე“ წკნელს იტაცუნებს.

— უკეთესს რას დავიწყებ. რა გვაქვს საქმე მეტი, — არ იბნევა თემური.

— ეს ოცდაათი კილომეტრი ნორმაა ხომ? — მისებურად, სერიოზულად კითხულობს აფხაზი.

— როგორ ნორმა. ასეთ პირობებში ჩვენ რომ მივდივართ, თუ ოდნავ აღმართზე უწევთ სიარული, რასაკვირველია ოცდაათს გაივლიან, მაგრამ არის შემთხვევები, როცა კედელზე დღეში სამ მეტრზე მეტს ვერ გადიან. ისე, სპორტსმენებს გააჩნია, რა თქმა უნდა.

— თქვენ ალპინისტი ბრძანდებით? — გიამ ადგილი შეიცვალა, თემურსა და ლადოს შორის ჩადგა.

— არა, კაცო. მთაზე საერთოდ მეორედ ვარ. სკოლიდან ერთხელ უძოზე წაგვიყვანეს. ხომ იცით უძო?

— კი — ერთხმად უპასუხეს ბიჭებმა, თუმცა უძოზე სამივეს ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდა.

— სიარული მიყვარს უბრალოდ, ხეტიალი მთაზე, ვაკეზე. ახალი სურათები. სუფთა ჰაერი. ნაკური წყალი. დაღლა. კლდეზე ცოცვა არ მიყვარს, სიმართლე გითხრათ, მე უფრო ტურისტის ტიპი ვარ. ცუდი ვქენით, რომ წამოვედით? მართალია დავიღლებით, მაგრამ დაუვიწყარი იქნება დღევანდელი დღე. რა უნდა გეკეთებინათ რიონისპირას წამოწოლილებს დღეს ამაზე უკეთესი?

— არაფერი, შუადღემდე ბულდოზერის ღრიალისთვის უნდა გვესმინა, საღამოსპირზე აკაკის ბაღში ვიღაცას გადავეყრებოდით და დავლევდით დღესაც, — ნოდარ არშბამ სვანური ქუდი მოიხადა და თითზე დაიტრიალა.

— სმასაც თავისი სილამაზე აქვს. ხანდახან სმაც საჭიროა. ბევრსა სვამთ?

— ხშირად ვსვამთ კი, — თქვა გიამ.

— ვსვამთ, მაგრამ რად გინდა, ადვილად ვთვრებით, — თემურს ხმაში გულდაწყვეტა შეეტყო — ჩვენი თაობა, როგორც ჩანს ღვინოს ვერ იტანს. მამაჩემი, მე რომ მიმეძინება მერე იწყებს სმას.

— ეგ არაფერი. შენს ასაკში მამაშენიც ასე იყო, ალბათ, — დაამშვიდა ლადომ.

ოთხიოდე საათის მერე ტყე ნელნელა გამეჩხერდა, დაჩიავდა და ბოლოს სულ გაქრა. ალპურ მინდორზე გავიდნენ, ფერმას გვერდი აუქციეს და ყვავილებით მოჩითული გორაკი რომ აიარეს, ერთბაშად შედგნენ და მონუსხულებივით გაირინდნენ.

ბიბლიოთეკა

თვალწინ უზარმაზარი ლურჯი დერეფანი გადაეშალათ.

ხეობას შუაში ვერცხლისფერი მდინარე ჩასდგამდა, იქით-აქეთ მოცისფრო კლდეები, შორს პირდაპირ უზარმაზარი მუშტივით აღმართულიყო თოვლიანი დოლომისი. მწვერვალის ძირში თოვლის დიდი მინდორი ანათებდა. თეთრ მინდორს მთვარესავით აჩნდა ლაქები. თოვლი ლურჯი დერეფნის კიდეებზე ჩალაქულიყო ნაპრალებში, ოღონდ ეგ იყო, ნაპრალებში თოვლს ბინდისფერი დაჰკრავდა.

ლურჯი იყო დოლომისი. ლურჯი და გამჭვირვალე.

— რა სილამაზეა! — თემურ ჩალაძეს წამოცდა.

— ქალაქიდან რა ახლო ჩანდა, — გია ქვაზე ჩამოჯდა, — ფეხები აღარ მემორჩილება.

ნაკადულთან ჩამოსხდნენ, შეისვენეს და წაიხემსეს.

— ხომ არ დაიღალეთ, ბიჭებო? — ლადომ გააბოლა და ბალახზე გულაღმა გაიშოტა.

ნოდარი და თემური გიას მიაჩერდნენ.

— რას მომშტერებიხართ? რა შემატყვეთ დაღლის! — გაწყრა გია.

მალე კვლავ ბილიკს მიუყვებოდნენ. თემურს ზურგჩანთა მოჰქონდა. დანარჩენები ზურგზეხელებშემოწყობილები მიდიოდნენ უხმოდ. ზღაპრულმა გრძელმა დერეფანმა თითქოს დაამუნჯა ბიჭები. მიაბიჯებდნენ თავაწეულნი, დაღლილნი. ნოდარს და გიას მზემ ბეჭები აუწვა და პერანგები მხრებზე შემოიხვიეს.

ორი კილომეტრიც არ ჰქონდათ გავლილი, მეწყრისგან გაჩენილ ნაპრალს წაადგნენ. ბილიკი მარცხნივ უხვევდა. მაგრამ ნოდარ არშბამ დაიჯინა, ნაპრალს ძროხები ჩაჰყურებენ, აქ რაღაც ამბავიაო. მართლაც ნამზღვლევზე სამი ჭრელი ძროხა იდგა უძრავად. დროდადრო ერთი მათგანი კისერს წაი-

გრძელებდა და ხრამს ჩაჰბღავლებდა.

ნოდარი დაწინაურდა, ორმოში ჩაიკარგა და სანამ დანარჩენები მიუახლოვდებოდნენ, მწვანე ბალახზე იდგა ახალშობილი ხბოთი ხელში.

თვალი უკეთესს რას ნახავდა. დოლომისის ფონზე გამოცხადებასავით იდგა აფხაზი ჭაბუკი. ხბოს ყელი ჩამოედო ნოდარის მხარზე და თრთოდა.

— ხომ ვთქვი, რაღაც ამბავია-მეთქი, — ნოდარი თეთრ კბილებს აელვებს — ხრამში იყო გადავარდნილი. სულ ერთი საათის წინ დაბადა დედამ. ჯერ გამშრალიც არ არის. რომ არ მოგვესწრო, უსათუოდ დაიღუპებოდა.

ჩალაძემ თავზე გადაუსვა ხბოს ხელი და დრუნჩზე აკოცა.

— ოქროს ხბოა? — ლადომ გაიღიმა.

— ოქროსია, აბა რა არის, — დაუფიქრებლად უპასუხა სტუდენტმა.

— მძიმეა? მომეცი ერთი, — თემურმა ხბო ფრთხილად ჩამოართვა და გულზე მიიკრა, — ოჰო, შენ საკმაოდ მძიმე ყოფილხარ, ძმობილო.

ახალშობილი ბალახზე ფრთხილად დაუშვეს. ხბო მუხლებში მოიკეცა, დაწვა და კისერწაწვდენილმა თვალები დახუჭა.

— თუ მიხვდებით, რომლის შვილია, — ლადომ ძროხებისაკენ გაიხედა. სამივენი ბალახს ძოვდნენ. თითქოს, რაღაცას მიხვდაო, ნაცრისფერხალებიანმა თეთრმა ძროხამ თავი აიღო და დაიზმუვლა. ხბომ სუსტი ზმუილითვე უპასუხა, დედა ადგილს მოსწყდა და გამოიქცა. ბიჭებს არც კი შეეპუა, ხბოს ეცა და გამეტებით სლოქვა დაუწყო. ისე ღონივრად უსვამდა ხაოიან ენას შუბლსა და მუცელზე, რომ მისი ლამაზი პირმშო წამოდგა, ენას როგორმე რომ გაქცეოდა, ცოტაზე გაკუნტრუშდა, მაგრამ წინასწორობა ისევ დაკარგა, ჩაიკეცა და ზედ თემურის ფეხსაცმელებს დაადო თავი.

ნაცარა ძროხამ თავი გააქნია, დაიქშუტუნა და შორიახლო ბალახს დაუწყო ძოვა.

— რა ვუყოთ? — გიამ იკითხა.

— ეგ ძროხა ფერმამდე მაგის ჩამყვანი არ არის, ისევ ხრამში ჩავარდება და დაიღუპება, — ლამის ტირილით ამბობდა ჩალაძემ.

— ასე გავაკეთოთ: მინდორზე გაიყვანეთ ეს ხბო და მზის გულზე დასვით. დედამისი მოუვლის როგორმე. ჩვენ კიდევ კარგა მანძილი გვიდევს, — საათზე დაიხედა, — ოთხი დაიწყო. პირველ თოვლამდე ხომ უნდა მივიდეთ. უკან დაბრუნებას ვეღარ მოვასწრებთ, დაგვაღამდება.

გიამ ხვნეშით აიყვანა ხბო, ოცდაათიოდე ნაბიჯზე აიღმართა და ისე, როგორც ეჭირა, მოკეცილი დასვა ბალახზე. ხბო კარგახანს არ განძრეულა. თრთოდა და ქარვისფერ ჩლიქებს ბალახს ამაოდ უსვამდა.

ბიჭები კარგა მანძილზე გამოერიდნენ ძროხებს, მაგრამ დედაძროხა კვლავინდებურად ბალახს სძოვდა და ხბოსკენ არც მიუხედავს.

— უსათუოდ დაიღუპება. — სიჩუმე თემურ ჩალაძემ დაარღვია.

ნოდარ არშბა ხბოსკენ წავიდა, აიყვანა და ნაპრალთან დარჩენილებს გამოსძახა:

— ნელა იარეთ და დაგეწევით. ფერმაში ჩავიყვან. ამის ცოდვით ღამე ვერ დავიძინებ. არ გეწყინოთ, ბატონო ლადო!

— კეთილი, ამ ბილიკს გამოყევი. — მხატვარი მაშინვე მიხვდა, რომ ახლა დროის დაკარგვაზე წუწუნი ზედმეტი იყო.

არშბას გულზე ატატებული ხბო ფრთხილი და ღონიერი ნაბიჯით მიჰყავდა თავდაღმართში.

* * *

საღამოსკენ ამინდი შეიცვალა.

ჯერ დოლომისის თოვლიან შუბლზე გაჩნდა პატარა, შავი ღრუბელი. სუსხიანმა ქარმა დაჰბერა. მთებზე უზარმაზარი ჩრდილი გაწვა. შავი ღრუბელი გაფუვდა, გაიზარდა და კოკისპირულმა წვიმამ მათრახივით დასცხო ზურგში დოლომისისკენ მიმავალთ.

მარჯვნივ, ფერდობზე გამოქვაბულის პატარა შავი ხახა დალანდეს. იქით გაიქცნენ. სველ ბალახზე ფეხი უსხლტებოდათ, სანამ გამოქვაბულამდე ააღწევდნენ, თავიდან ფეხებამდე გაილუმპნენ.

— „გრაფი მონტე კრისტო ჩემგან არ გამოვიდა, პროფესიის შეცვლა და საბლმმართველად გახდომა მომიწევს“ — თქვა თემურმა.

გიას გაწურული პერანგი ეჭირა ხელში და გამეტებით ირტყამდა ბეჭებზე.

— ამინდმა გვიღალატა, — ლადომ მონადირისა თუ მწყემსისგან დატოვებულ ღადარს დახედა. — ფიჩხი რომ გვქონდეს, ცეცხლს დავანთებდით და ცოტას მაინც შევშრებოდით.

— რომელი საათია? — გიამ იკითხა.

— შვიდია, — ლადოს რეზინის ჩექმები გაეხადა და ზურგით მღვიმეს მიბჯენოდა,—ბილიკისაკენ თვალი გეჭირო ოთ, ნოდარი აქ ვერ მოგვაგნებს. თუმცა რაღას ვუცდით, გავბრუნდეთ, გზაში შეგვხვდება.

სამივენი კარგა ხანს იყვნენ ჩუმად. გაბრუნება არც ერთს არ უნდოდა.

— ვერ შევასრულეთ დანაქადები,— ნაცარს ჩაჰყურებდა თემურ ჩალაძე.

— გვიან გამოვედით. ხბომაც დიდი დრო დაგვაკარგვინა — თავი იმართლა „ექსპედიციის ხელმძღვანელმა“ — ცოტას გადაიღებს და დავეშვათ.

— დილიხორის ამბავია, — გიას ხმა იყო.

— რისი? — ლადოს მსუქანი ბიჭისკენ არც გაუხედავს.

— ჟინის.

— ჟინის კი არა, პრინციპის, — გაუსწორა ჩალაძემ.

მხატვარს სითბოდ ჩაეღვარა გულში ბიჭების დაუოკებელი სურვილი, ასე დაღლილნი, უვარჯიშებელნი, სველი კვართებით და თხელი „ბოტასებით“ ასულიყვნენ თოვლიან მწვერვალზე. „ესენი არიან გულგრილი, მოდუნებული, საზოგადოებრივ აქტიურობას მოკლებული ახალგაზრდები? რა ცოტა ვიცით მათ შესახებ, რა ხშირად ვცდებით ამ გამწლაკული ჯინსიანი ბიჭების პოტენციის შეფასებაში“ — ფიქრობდა ლადო.

— რას ვშვრებით, გაბრუნდეთ? — ჩალაძემ სხვისი ხმით იკითხა.

— უეჭველად. უაზრო რისკი რად გვინდა. გამოვიარეთ, ჰაერი გადავყლაპეთ. დოლომისი სხვა დროს დავლაშქროთ, — ლადოს ხმაში მაინცდამაინც კატეგორიულობა არ ეღერდა.

— ნოდარს დაველოდოთ, ვნახოთ რას იტყვის — გამოსავალი გიამ იპოვა.

წვიმა არ ცხრებოდა. მღვიმეში ციოდა და ნესტის სუნი იდგა. მხატვარი ხელებჩამწყვდეული თვლემდა, გია და თემური ერთმანეთს მიკვროდნენ და წვიმას გასცქეროდნენ.

ნოდარს პერანგი გაეხადა და თავსხმაში დინჯად მოაბიჯებდა. ლონიერ ბეჭებზე წვიმა ხელებს უტყაპუნებდა.

— ნოდარ!

აფხაზი შედგა, ფერდობს ამოხედა და სწრაფად ამოირბინა.

— ჩააბარე ხბო პატრონს? — ლადომ ჰკითხა.

— აბა, რა.

— რაო, რა გითხრეს?

— მადლობაო, რას მეტყოდნენ მეტ-ძროხები შორს მიდიანო საბალახოდ და ხშირად გვეკარგებაო ხბო. ხრამში მაგას ვერავინ იპოვიდა და მგელი შეჭამდაო ამაღამ.

— დედა, კაცო, დედა? მიატოვებდა? — თემურს სასოწარკვეთილის ხმა ჰქონდა.

— ესეც ვიკითხე, სხვათაშორის, — არშბა დინჯად ლაპარაკობდა, — თუ გამოცდილი ძროხაა არ მიატოვებსო. მაგრამ ეს ჩვენი დაქალი პირველი დედა ყოფილა; ჯერ მაგან არც იცის თურმე შვილის ფასი. ცოტა ხანს იტრიალებდაო ხრამთან, რომ ვერაფერს გააწყობდა, მიატოვებდა თურმე შვილს და ნახირს გამოპყვებოდა.

— არ ეტყობა? გახედე, რა არხეინად სძოვს ბალახს, ხბო აღარც კი ახსოვს მაგას, — გიამ ქვევით, ძროხებისკენ გაიშვირა ხელი.

— ახლა საქმე, ჩალაძემ ხელისგულ-

ები ერთმანეთს გაუსვ-გამოუსვა, — ბატონი ლადო ამბობს, რომ თოვლამდე მისვლას ვეღარ მოვასწრებთ და უკან დაბრუნდეთო. მე და გია გზის გაგრძელების მომხრე ვართ. დათქმა დათქმაა. შენ რას იტყვი?

— აბა რა. — ნოდარს მეტი არაფერი უთქვამს.

წვიმამ რომ გადაიღო და გზას დაადგნენ, დოლომისის ნაპრალებში ბინდი წვებოდა.

სიარული უფრო და უფრო გაძნელდა.

ბალახი უკან დარჩა. ბილიკიც გაქრა, შლამსა და ლორღში ფეხი ეფლობოდათ. მიდიოდნენ უხმოდ, ერთხაზად გამწკრივებულნი. წინ ლადო მიაბიჯებდა და დრო და დრო ბიჭებს შეეხმიანებოდა —ე, მანდ ქვას ჩაეჭიდეთ, არ ჩაცურდეთო.

მალე მოიწმინდა და დოლომისს სავსე მთვარე დაადგა. ციოდა. იდუმალი და საშიში ჩანდა მწვერვალი და მის წინ ლომის ხახასავით გაშლილი კლდეები.

უკან, შორს და ქვემოთ, ციცინათელასავით ბჟუტავდა ფერმა.

— თოვლი! — პირველად ლადომ შედგა გაყინულ თოვლზე ფეხი. ოთხივენი ერთბაშად მოწყდნენ და თოვლს ზურგებით დაეცნენ. — ესეც ასე. რა სიცივეა, დასწყევლოს ეშმაკმა,—გიას ყელში უჭერდა ყინვა. სხვისი ხმით ლაპარაკობდა.

სხვები სდუმდნენ.

ირგვლივ სამარისებური, აკლდამური სიჩუმე იდგა.

— ახლა დაბრუნება არ გინდა? — გია აწუწუნდა.

— არა უშავს. სამ საათში ჩავალთ, დასვენება უარესია. ნელა ვიაროთ, აღექით, თორემ გაცივდებით.

ლადომ ზურგჩანთა მხარზე მოიგდო და შეტრიალდა, გია ზლაზვნით წამოდგა და მიჰყვა.

— ბატონო ლადო! — ნოდარ არშბას ხმაა.

თემურ ჩალაძე და ნოდარ არშბა თოვლზე წამომჯდარან.

— რაღას ელოდებით?! — ლადომ მოიხედა და თოვლზე დარჩენილებს ხელი დაუქნია.

— ბატონო ლადო, რაღა დარჩა აწი, დიდი დიდი ერთი საათის სავალი. — არშბა არ ხუმრობდა.

— ნუ სულელობთ, — მხატვარი პანიკურმა შიშმა შეიპყრო. თავისივე ხმა ვერ იცნო და ამან უფრო გააბრაზა.

— თქვენ და გია გაბრუნდით, თუ არ გეწყინებათ. გამოქვაბულში დაგველოდეთ. ჩვენ ავალთ.

— რა დაგემართათ, რა ბზიკმა გიკბინათ. გაგიჟდით? ამ შუალამისაა. რას აპირებთ!

— გემუდარებით, ბატონო ლადო.

— არ გაცვიათ და არ გახურავთ!

— არ გვცივა. — თემურს მაინც რაღა მოუვიდა. საიდან გაჩნდა ეს უაზრო ქინი. დოლომისმა ჭკუიდან ხომ არ შეშალათ.

— მომისმინეთ... მოიცათ... მოვილაპარაკოთ...

მაგრამ ბიჭებს მოლაპარაკება აღარ სურდათ.

...ცოტა ხნის შემდეგ ხრაშუნა მინდორზე ოთხნი მიაბიჯებდნენ.

სადაცაა თოვლი გათავდება და დაიწყება ჭიდილი მწვერვალთან. ჭიდილი კლდესთან. ნაპრალებთან სიკვდილთან

პირველად [illegible]ს სიცოცხლეში ლადო უმწეო იყო. არაფრის შეცვლა აღარ შეეძლო. უკან მარტო ხომ აღარ დაბრუნდებოდა?

და მიჰყვებოდა იგი ბიჭების ჯიუტ ნებას, მათ ძარღვებში აბღავლებულ სისხლს. იმ შორეული წინაპრისა ამ კლდეების ძირში პირველი რომ მოვიდა და ცეცხლი დაანთო.

მიდიოდა და ტიროდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ტაგუ მეგურიშვილი

* * *

ამ ზამთრის დღეში,
ახლა სარკმელს რომ მოსდგომია,
ამ მოიისფრო
და მოწყენილ საღამოს ფერში
კინოკადრივით ცვლის ერთმანეთს წინათ, ოდესღაც
ხილული ლურჯი საღამოები —
ტყუპისცალები ამ დაბინდების...
იმ შეღამებებს ნეტავი რა მამახსოვრებდა
ან ვისი ხელი ურევია ამ სიყვარულში, —
რითაც ერთმანეთს მკერდში ვიკრავთ
მე და წარსული.

როცა სათქმელი გაწვება

—

როცა სათქმელი შემომაკლდება
(ეს მეტწილად ზამთრობით ხდება),
შემოდგომის აზნაურივით (ოღონდ უცხენოდ)
ვეწვევი ჩემსავ მოგონებებს, ვით ნათესავებს
გაღატაკებულთ
ჩემი ეგზომ ხშირი სტუმრობით.

ისე გამიშვი...

ისე გამიშვი,
მეუფეო ხმელთა, ცათანო,
დაუხარჯავი
ჯანის წვეთიც
არ გამატანო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისე გამიშვი,
უეშმაკო და უსატანო
გული — მტრის ჯინით გაძეძგილი
არ გამატანო.
ისე გამიშვი,
საქართველოა ხმას უბატონოდ
ვერავინ სცემდეს.
მისი ჯავრი არ გამატანო.
ისე გამიშვი,
მშობლიური სიტყვის მადანო.
დარდი სათქმელის უთქმელობის
არ გამატანო.
მხოლოდ ერთს გვედრი
ოდეს წავალ,
ჩემი მამულის
ერთი კურცხალი გამატანე
და სინანული.

* * *

ვის ყურს გინდა მისწვდე
ყელში გარდაცვლილო ძახილო,
რომელ ომში გინდა გაცვდე
ხელუხლებო აბჯარო,
ჭაბუკს მაინც ელხინება,
რომც არ ჰქონდეს სალხინო,
მოხუცს მაინც ეჯავრება,
რომც არ ჰქონდეს საჯავრო.
რაა ის, რაც გედარდება,
მეგობარო ხნიერო,
რაა ის, რაც გელხინება
ძმაო ახალუხალო...
მე არ ვიცი,
მაგრამ ღმერთმა
იცის სამაგიეროდ,
რომ ვიცოდე მეც.
ამით რას
დაგიშავებ უფალო.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნოდარ ადეიშვილი

თუ ეს არის...

რახან ქვეყნად ერთხელ გავჩნდი,
ორჯერ ვეღარ შემჭამს მგელი...

სხვამ სხვა გიძღვნას, —
მე და ამ ჩიტს
შენთვის აგვიწურავს ყელი.

იფართქალოს გულმა ობლის,
იწკრიალოს სალამურმა. —

თუ ეს არის
წუთისოფლის,
წყალობა და წალმა ბრუნვა,

შეყვარებული

არც მაჭანკლებით მივსულვარ,
არც მხარზე — გეზელ ქორითა,
უბრალოდ — გულში ჩიტით და
ხელში — იების კონითა...

წამომყვება და წავიყვან,
არა და —
როგორც ენებოს...

დაწუნებულიც
კარგი ვარ,
ჩემო მთებო და ველებო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნუ მკითხავ

ნუ მკითხავ ახლა მოწყენის მიზეზს,
ნურც იმას, ასე რატომ გინატრე...

მოფენილია მინდვრებზე ისევ
ყვავილის სითბო,
თოვლის სინათლე.

მთლად ჩვენებური დარი და დღეა,
მთლად ჩვენებური მზე და მაისი

და
რატომ უნდა მესროლონ ტყვია
და
რატომ უნდა მომკლან, არ ვიცი.

თუ მოვალ კიდევ...

პატარა გოგო ბაძავდა დიდებს,
საღამო იყო,
ყანასა მკიდნენ...

მისი სიმღერა ისმოდა, ვიდრე
ცის მიტოვება უჭირდათ ჩიტებს.

დღეს რომ ვიხსენებ
იმ მწიფე მინდვრებს,
იმ მოკრიალე
გოგოს და ბორანს...

ამქვეყანაზე
თუ მოვალ კიდევ,
რომ ყველა ვიყოთ,
იმისთვის მოვალ.

მგზავრი

სხვებს რომ ჰგონია, არ თოვს და
სხვებს რომ ჰგონია — დარია,
სხვებს რომ ჰგონია, გზა და გზა
კვლავ ზვრებზე საუბარია,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ის გოგოც სხვისი ცოლია,
ის ბიჭიც სხვისი ქმარია...

არ იცის,
ვისკენ გაფრინდეს,
საწყალმა ჭიამარიამ.

მე და შენ

ღვინოს ვსვამ და
გიყურებ და
ვთვრები,
ბრჭყვიალებენ შენი ბეჭდის თვლები.

შენ რომ გესმის —
ჩიტის ხმაა, ლელი,
მე რომ მესმის —
ხმაურია ცელის...

გაყოფილა ჩვენი სიზმარ-ცხადი,
ცოტა მეტი შემხვედრია ცრემლი.

მაგრამ მაინც

რა ვქნა,
ირგვლივ ისევ ქარი ქაქანებს,
ჩემს ბილიკზე ეშმაკს კუდი უდევს...
ვერ ავუნთე ცის სანთელი საყვარელს,
ვერ მოვლობე ერთი ჩიტის ბუდე.

მაგრამ მაინც
წუთისოფლის სავალზე,
თავს არავის არ ვაბეზრებ ხვეწნით...

ობოლ გოგოს
ვეფერები დალალზე
და იპნევა ხმები ძველი ლერწმის.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ელდარ კერძევაძე

* * *

ვერ წარმოიდგენთ
როგორ მეწყინა, —
დილით, შემთხვევით
კალენდარში ამოვიკითხე, —
დღის ხანგრძლივობა
წუთნახევრით შემცირებულა...

* * *

თქვენ ისეთ ლამაზ წერილებს მწერდით.
ისე ამავსეთ ვარდისფერ ნისლით, —
მე თქვენ მეგონეთ ცისფერი ლედი.
უკანასკნელი წყალობა სიზმრის.
მე მივატოვე ღამე და ძილი,
კარზე მომდგარი ცხოვრება ყბედი,
მე მივატოვე ცოლი და შვილი,
რომ ვყოფილიყავ მუდამ თქვენს
გვერდით.
გადაიარა მაისის წვიმამ.
ჩვეულებრივი აღმოჩნდით ქალი,
მეც ახლა ასე თუ ისე მძინავს
და ვარ სიფხიზლით უგონოდ მთვრალი.
მაინც მივტირი დროს, როცა მწერდით,
როცა ამავსეთ ვარდისფერ ნისლით
როცა მეგონეთ ცისფერი ლედი.
უკანასკნელი წყალობა სიზმრის.

პასუხი

რაღა ვიფიქრო,
ან რა ვიღონო, —
გათავდა თითქმის...
აწი განწმენდა
და მზადება
მხოლოდ იმ დღისთვის...

შეკითხვა კარგა ხნის შემდეგ

ესეც შენი ღვინისმა...
დამთავრდა და დასრულდა...
რაც აფსურდი არ იყო, —
გეჩვენება აფსურდად.
რა შეგმატა
უაზრო ღრეობამ და ბოჰემამ, —
ვერსად ჰპოვე ადგილი
მწირმან მეამბოხემან.
ვერ მოჰკლეს,
ვერ ჩაგიქრეს
სული, —
ცხელი საკირე...
არც იქით ხარ,
არც აქეთ, —
მაინც საით აპირებ?...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გივი გუთსუზი

გაცილება

მოთხრობა

ნათიას ფანჯარასთან მიედგა სკამი, იდაყვებით დაყრდნობოდა ალათს და დაფიქრებული იცქირებოდა გარეთ. შემობრუნდა მერე და შეხედა გატეხილ ზურგჩანთას. ალბათ, მალე მოვიდოდა ვახტანგი. ისევ გაიხედა გარეთ. წვიმდა კვლავ. სანაჩხატეებიდან ჩამოქცეული წყალი ნელა მილიკლიკებდა ქვებს შორის. ავდრის ირიბ ქსელში საამოდ მოჩანდა ქარვისფრად დახუნძლული ხეხილი და მტევნებით დამძიმებული ხეივანი. ბახ!.. მოესმა და გუბეში ჩავარდნილმა მსხალმა განზე გაყარა მღვრიე შხეფები.

ხეებ ქვეშ ბლომად მიმოფანტულიყო ხილი. ზედ იდგა ძაღლი და ღორი...

ამ დროს აჭრიალდა კარი და საწვიმარმოსხმულმა ვახტანგმა სწრაფად გამოიარა ეზო, შემოეფარა საჩიხში, მერე ამოირბინა კიბე, აივანზეც გაისმა მისი ფეხის ჩქამი, შემოვიდა შინ და შეიმშრალა პირი, თანაც მიტრიალდა მაგიდისკენ, ამოიღო ფული, დადო წიგნებთან და ახლალა მოუბრუნდა დაღონებულ ნათიას:

— აი, გამოზოგვითა ხარჯე. მალე გამოგიგზავნი იქიდანაც.

კრიჭაშეკრულს უხმოდ მოეძალა ცრემლი.

ვახტანგიც ამოუდგა გვერდით და გახედა ბაღს.

ნათიას უნდოდა რაღაცის თქმა, მაგრამ სიტყვებს აღარ ანებებდა აღელვებული გული. მერე მიეკრა ქმარს, გადახვია ხელი, მიახუტა თავი და ახლა კი ვეღარ შეიოკა ცლუკუნი.

— ჩუ, კარგი, ჩუ! — მიეფერა წყნარად.

ვეღარ ერეოდა თავს, უცახცახებდა მხრები, ტირილისაგან საცოდავად ემანჭებოდა სახე.

— კარგი, სირცხვილია, აგერ, მოვიდნენ!..

ამ სიტყვებზე გაიხედა გზისკენ. ალაყაფის პირდაპირ გაეჩერებინათ მანქანა. ახლა ეზოში შემოდიოდნენ დედა და შვილები. გამოიარეს კედლის ძირას და გაუჩინარდნენ საჩიხში.

ჯერაც არ იცნობდა სახლის პატრონებს. შორიდან ხედავდა მხოლოდ. დილა ბნელშივე გადიოდნენ სამუშაოდ და ბინდისასლა ბრუნდებოდნენ შინ. ორიოდე წუთით იშვიათად მობრუნდებოდნენ შუადღისასაც, შეჭამდნენ რაღაცას და მიეშურებოდნენ კვლავ.

ვიღაცამ დააკაკუნა კარზე.

უმალვე გაუღო ვახტანგმა.

— ჩამოდით, დაგილოცავთ გზას!..

— არა, გმადლობთ!

— რის მადლობთ? არა გრცხვენია? ჩამოდით ცოტა ხანს!

უხმოდ მობრუნდა ვახტანგი და მკლავზე მოჰკიდა ხელი.

ნათიას ახლა მიეცემოდა შემოსვლა, წარსდგომოდა პირისპირ... იქნებ რაღაცნაირი სიახლოვე ეგრძნო ამათთან?

პატარაობიდანვე უპატრონოდ აღზრდილს აუწერელ სიამოვნებას ჰგვრიდა ადამიანებთან სიახლოვე. მაგრამ თითქოს არავის ეცალა მისთვის. აქ, სოფელში, ყველა თავისი საქმით იყო გართული.

ნელა ჩაიარეს კიბე, ჩავიდნენ საჩიხში და უმალვე თვალში მოხვდა სოხანეზე დამჩნეული ნაფეხურები. ბალახეულის სუნი უდიოდა მინდვრიდან მოყოლილ შავ ტალახს... შევიდნენ შინ და უმალვე სახეზე მოელამუნა ახლადგახურებული ღუმელის საამური სითბო. ორივენი უხერხულად როგორღაც გაჩერდნენ საკართანოს.

— შემოდით, შემოდით!.. — მოეგურგურა დიასახლისი და ღუმელის გვერდით წყვილად დაუდგა სკამები.

უფროსი ძმა დოქიდან შუშის ტოლჩაში ასხამდა ღვინოს, საშუალი კი სჭრიდა ფურნის დიდ პურს... მაგიდაზე იდგა ხუფმოხდილი ქილა...

— შენ ესე გაშვება არ გეკუთვნის, შვილო.. — ეუბნებოდა ვახტანგს დიასახლისი და გაწურული ჩვრით სწმენდდა მაგიდას, — მაგრამ გახებესტრებულებივით როგორღაცა ვართ ამოდენა საქმისაგან, მენატრება შინ ფუსფუსი, ყველაფერი დასალაგებელი, გასარეცხი...

შემოვიდა უმცროსი ძმა და ტაშტით შემოიტანა ხილი. მოწითალო ვაშლებსა და ქარვისფერ მსხლებს ზევიდან ეწყო მოყავისფროდ დამკრახული მტევნები. ნათიას უმალვე ზედ დარჩა თვალი. შორიდან გასცქეროდა აქამდის. პანტაპუნტით სცვიოდა ყოველ დღე, კენკავდნენ ქათმები... რა იქნებოდა ეგემა ერთი მაინც? მაგრამ ხათრით ვერ გაბედა ბალში გადასვლა. ახლა კი აი!..

— ინდაური მაინც დაიკვეძლა, დედი! — თქვა უმცროსმა და მაგიდაზე დადგა სავსე ვაზა.

— ეჰ, სად არი, შვილო, იმისი დრო?

— დრო!.. — დიდგულად წამოიძახა მან, — მომბეზრდა ამდენი მუშაობა! თავის მოსაფხანადაც ვერ მოგიცლია კაცს!.. მეც უნდა გავიქცე ქალაქში!..

დიასახლისმა ტაფაზე წამოცალა ქილა, შედგა ღუმელზე და მოურია კოვზით...

მალე ყველანი შემოუსხდნენ ნაუცბათევად მომზადებულ სადილს.

ნათიამ რაღაცნაირი შვება იგრძნო მასპინძლებთან. კარგი ბიჭები ჩანდნენ სამივენი. ალბათ, არ ჰყავდათ მამა, არც — დაი. ეტყობოდა ოჯახს, კოლექტივის საქმეს გადაყოლილნი ველარ იცლიდნენ შინაობისთვის. აშკარად აკლდა ქალის ხელი აქაურობას... დამგელებულნი ილუკმებოდნენ, თვით ვახტანგიც კი. მარტო თვითონ იკიკნებოდა უნდმანდოდ. ხილისკენ უფრო გაურბოდა თვალი, მაგრამ ბოჭავდა ხათრი.

— რას ეპარები გუშინდელი პატარძალივითა? ბარაქიანად მოუქნიე ყბა! — შეუტია დიასახლისმა და თვითონ გადაუღო კერძი.

არ სწყენია მისი დაყვირება. ერთბაშად როგორღაც გაუარა უხერხულობამ, დაავიწყდა წუთით, თუ სად მიდიოდა ვახტანგი და გაიცინა დიასახლისის სიტყვებზე.

მალე უფროსი ძმა მისწვდა სავსე ჭიქას:

— ამით შენ გაგიმარჯოს, ვახტანგ, ძმაო!.. მშვიდობით ჩასულიყვე ბამზე!

ყველამ ადღეგრძელა მდგმური. ბოლოს თავად აიღო ჭიქა ვახტანგმა, თქვა სამადლობელი და განაგრძო მერე:

— წავალ ცოტა ხნით, დავაგროვებ ფულს, დავბრუნდები და ვიყიდი სადმე ერთ კაი გამართულ სახლს.

— რად უნდა იყიდო, მოგცემენ ნაკვეთს და აიშენე თავად! მოგეხმარება მთელი სოფელი!

— ან ეგრე ვიზამ! — უპასუხა და თვალი გააპარა მეუღლისკენ.

ნათიას უმალვე ცხადად წარმოუდგა თავისი მდგომარეობა და თანდათან ისევ დაესევდა გული...

ადგნენ მერე... საშუალო ძმა მიუჯდა საჭეს. კაბინაში ავიდნენ თვითონ და დიასახლისი... მოუშეთებლად წვიმდა კვლავ. გამალებით მუშაობდნენ მინსა-

წმენდები და მოჩანდა, როგორ ირხეოდა მიწიდან ცამდე გაბმული წვიმის ვერცხლისფერი ქსელი. შორს კი ყველაფერი დაებურა ჯანღს.

კარგა ხნის რყევის შემდეგ მივიდნენ სადგურში და გააჩერეს მანქანა. ნათიას რაღაცნაირად დაეზარა წვიმასა და სიცივეში ჩამოსვლა. ძარიდან უკვე ხტებოდნენ ბიჭები. მერე გამოჩნდა უფროსი ძმა. იგი წელში წახრილი მიარბენინებდა ზურგჩანთას. მას მისდევდნენ ვახტანგი და უმცროსი ძმა. ჩავიდა თვითონაც და გაშალა ქოლგა... რანაირი შემოდგომა იყო ეს!... ზამთარში თუ ახსოვს ასეთი სიცივე!.. მიაბიჯებდა ნელა... დიასახლისს ეკიდა ხელი და თითქოს როგორღაც ეხმარებოდა სიარულში. მივიდნენ მოსაცდელი დარბაზია წინ, მაგრამ... ტევა რომ აღარ იყო შიგნით, გარეთაც ირეოდნენ ბლომად. ნასვამი ჩანდა უმეტესობა, სასმლისგან შეხურებულნი არად აგდებდნენ წვრილს. მაგრამ ცივსა და გამჭოლ წვიმას. დადგნენ ერთად. მერე მოვიდნენ ვიღაცები და გამოელაპარაკნენ ვახტანგს. იქვე მოშორებით ერთმანეთისთვის გადაეხვივნათ ხელი ბიჭებს და ჩახლეჩილი ხმით გაჰკიოდნენ სიმღერას... კედლებზე გაკრულ წითელ ნაჭრებზე თეთრად მოჩანდა ლამაზი წარწერები: „კეთილ მგზავრობას გისურვებთ, ახალგაზრდებო!“, „თქვენ გიხმობთ ზღაპრული ტაიგა, აითვისეთ შორეული ციმბირის უღრანი ტყეები!“. ამ სიტყვების ამოკითხვისას უმალვე წარმოუდგა ფილმებში ნანახი წიწვიანი ტყე. აი, სხვა ბიჭებთან ერთად ვახტანგიც შეუპოვრად შებმია მის გაუტეხელ მდუმარებას, ჩეხავს ხეებს, ანგრევს და ასწორებს მიწას. გაჰყავს ლიანდაგი... რომ არ იყოს ფეხმძიმედ, გაჰყვებოდა ძალად მაინც. მაგრამ... მარტო ის ხომ არ... აი, რა ბლომად მიდის ბიჭობა! ვინ იცის, რამდენს რჩება ცოლ-შვილი, რამდენს — შეყვარებული. იქნებ ნათიას ბედში მყოფიც... დაიხედა ტანზე. სცივოდა ძალიან. უჭირდა დგომაც. მიმოიხედა ირგვლივ. არაფერი არ იყო ჩამოსაჯდომი. მერე ხელით მკლავზე დაეყრდნო დიასახლისს და ოდნავ შეიკეცა ცალი ფეხი, რათა დაესვენებინა ცოტა ხნით. თანდათან ღიზიანდებოდა ცუდი ამინდის გამო. მოუშეთებლად წვიმდა კვლავ. მატარებლის მოლოდინში მრავლად იყვნენ ქოლგიანები და საწვიმარმოხვეულნი... უმეტესობას აჟივებდა ავდარი. სველდებოდა ვახტანგიც. თუმცა მაღლა აწეული ხელებით ეჭირათ გაშლილი გაზეთი, მაგრამ კარგად ვერ იფარავდნენ თავს. თვითონაც არ ჰყოფნიდათ ქოლგა მას და დიასახლისს. ერთიბეწო გოგოდ მოჩანდა ვაუკაცივით ტანმაღალ და ხროხ დედაკაცთან. ეტკინა ერთთავად აწვდილი ხელი და, სულო ცოდვილო, ინატრა გუნებაში. მალე წაასულიყო ვახტანგი. ჯერაც არსად ჩანდა მატარებელი. კვლავ მოინაცვლა ცალი ფეხი. ახლა მეორე ხელში გადაიტანა ქოლგაც და კინაღამ დააპირა ჩაცუცქება. მაგრამ ერთბაშად როგორღაც აჩოჩქოლდა ხალხი. აქა-იქ უკვე იღებდნენ ძირს დაწყობილ ბარგს. მატულობდა ჟრიამული... გაიხედა ზევით და დაინახა უკვე მოახლოებული მატარებელი. უკან იხევდნენ მომლოდინენი. უკუდგა თავადაც და შეხედა ჩავლილი ვაგონებიდან გამომზირალ სახეებს. ელმავალი თანდათან ანელებდა სვლას, გაჩერდა ბოლოს. გაიღო კარები და დამხვდურნი უმალვე მიიჩიხნენ ასასვლელებთან.

ძმებმა აიტანეს ბარგი. ვახტანგი კი მოვიდა მდუმარედ, ჩამოართვა ხელი... ერთხანს მხოლოდ ნაღვლიანად უღიმოდნენ ერთმანეთს... რაღაცნაირი აჩქარება დაეტყო მერე. კარგად იყავით, ეაღა თქვა მხოლოდ, აკოცა და შევარდა ვაგონში.

წამსვლელებს შეძახილებითა და ხელების ქნევით ემშვიდობებოდნენ დამრჩომნი. ამ დროს ჩამოვიდნენ ძმები და მიაშტერდნენ ვაგონს. ნათია კი დაბნეული როგორღაც ათვალიერებდა ფანჯრებს: აბა, სად გამოჩნდებოდა ვახტანგი. მაგრამ აი, ნელ-ნელა დაიძ-

რა მატარებელი. ნათიასაც რაღაცნაირი მოლოდინით აუჩქროლდა გული. დავიწყებოდა საკუთარი თავი. ახლა როდიღა გრძნობდა სიცივესა და დაღლილობას. ათვალიერებდა ფანჯრებს და ფეხად მიჰყვებოდა ვაგონს. მატარებელი თანდათან უმატებდა სვლას. თავადაც აჩქარებდა ნაბიჯს და მერე, როგორც იყო, გამოჩნდა ვახტანგიც. ჩაწეული მინიდან გვერდულად გამოეყო თავი და იძახდა რაღაცას. არ ესმოდა კარგად. ვახტანგმა გამოყო ხელი და კვლავ დაიძახა რაღაც... მისავათებული მისდევდა ნათია. მერე, როცა ჩაუქროლა უკანასკნელმა ვაგონმაც, მაშინღა შეანელა ნაბიჯი, გაჩერდა ბოლოს და გაუშტერა თვალი. თანდათან პატარავდებოდა მატარებელი. როცა მთლად მიეფარა თვალს, მერეღა დაბრუნდა უკან... უკვე დაცარიელებულიყო ბაქანი. მდუმარედ იცქირებოდნენ დედა-შვილნი. ნაღვლიანი ღიმილი შეჰყინვოდათ ძმება. ნათიას რაღაცნაირად ეჩოთირა მათი მზერა. ჩაღუნა თავი და გულაჩუყებულმა განაგრძო სვლა. მაგრამ შერცხვა მათი და გაჩერდა მოშორებით. მალე გაუგო დიასახლისმა, რაღაც უთხრა შვილებს. ისინი უმალვე გაეშურნენ მანქანისკენ, თვითონ კი წამოვიდა დოსტოღრივ, მოჰკიდა ხელი, მიეფერა დედურად და წაიყვანა მანქანისკენ. თვითონვე გამოუღო კარი, აუშვა კაბინაში და მიუჯდა თავადაც.

ნელა მიდიოდა მანქანა, მაგრამ მაინც ირყეოდა ოღროჩოღროდ მოხრეშილ გზაზე. წვიმდა გაბმით. შეუჩერებლივ მუშაობდნენ მინსაწმენდები და ხედავდა დაჯანღულ სერებს, ვერცხლისფერი წვიმის ირიბ ქსელს და ოღროჩოღროებში ჩამდგარ ტბორებზე აცეკვებულ წვეთებს.

— ვაიმე! — წამოიძახა ბიჭმა.

ნათია უცბად გამოერკვა ფიქრებიდან. მინდვრის გზაზე გამოჩენილი „კოლხოზნიკი“ გამოვარდა შარაზე და მანქანას გადაუდგა წინ.

— მამკლავს ეხლა იოსება! — ჩაილაპარაკა ბიჭმა და დააჭირა ფეხი მუხრუჭს.

წუთიც და ბრაზისაგან სახეაჭარხლებული კაცი ჩამოვიდა ძირს, დატუნტურებული მუშტი შემართა მაღლა და აბობოქრდა მრისხანედ.

ბიჭმა გააღო კარი, გადაიხარა წვიმაში, მოუხადა ბოდიში და უთხრა, რომ ვახტანგი გააცილეს სადგურში.

— ჯანდაბას წადით თქვენცა და თქვენი ვახტანგიცა!.. მე აქ ერთადა მაქვს დანა და ყელი, ლამის დამაწყდეს ნერვები, შენ კი დაეთრევი აღმადაღმა! მამაძაღლო შენა!

ნათიას რაღაცნაირად შეეცოდა იგი. ალბათ, ეს იყო თავმჯდომარე. წუთით გადაავიწყდა თავისი მდგომარეობა და ისე როგორღაც წარმოიდგინა თავი, თითქოს თავად იყო დამნაშავე იმაში, რომ მას ერთად ჰქონდა დანა და ყელი...

— ეხლავე წაეთრიე ჭარხლის საზიდად, თორო ჩამოგამტვრიე თავ-პირი! — შესძახა ბოლოს და კვლავ ჩაჯდა მანქანაში.

— არა ტყუის ეგ უბედური. რა ქნას მაგანაცა!.. მე გავგიჟდებოდი მაგის ადგილას, — დაიწყო დიასახლისმა, — კარზეა მოწოლილი ჭირნახული, საქმეს კი აღარა ჰყოფნის გამკეთებელი. რა ვქნათ, ათად ხო არ გავიჭრებით ჩვენაცა!

ბიჭმა მანქანა ნელა გადაიყვანა მინდორში და გაუყვა საბურავებისაგან დაღარულსა და ერთიანად ატალახებულს გზას. მარჯვნივ მოჩანდა დატროიანებული, ტყესავით ტანაყრილი სიმინდის ყანა, მარცხნივ — ღერებჩამჭკნარი კარტოფილის ამობურცული ბუდნები... მერე აღმა ააღევნა თვალი მინდვრებს და დაინახა ნაყოფით დახუნძლული ხეხილის თვალუწვდენელი ბაღები. მართლაც, როდის ეღირსებოდა დაბინავება ამოდენა ჭირნახულს? გავიდნენ მოდიდებულ რუა გაღმა და დაიწყო მთლად ხელუხლებელი ვენახები. შაბიამნით ლურჯად აფორეჯებული ფოთლებიდან თვალწარმტაცად

იყურებოდნენ ქარვისფრად დამკრეხული დიდრონი მტევნები... ვენახების ბოლოში დაჩნდა ჭარხლის ხუჩხუჩა ფოთლებით მწვანედ დაქსელილი მინდვრები. შორს ჯგუფ-ჯგუფად მოჩანდა ხალხი. ამ სიცივესა და წვიმაში მუშაობა!... გააღო კარი დიასახლისმა. ჩავიდა და ნათიამ ახლალა შენიშნა გორად დაყრილი, ფოთლებწაჭრილი და გაწმენდილი ჭარხლის ვეება თეთრი გოხები.

— ეს არ წავიღოთ ჯერა? — შეეკითხა შვილი.

— ქიტესასთან წადი, მერეც მოვასწრებთ ამის წაღებას! — შემოსძახა ჩაწეულ მინასთან მომდგარმა უფროსმა ძმამ.

საშუალმა ნელა დასძრა მანქანა.

„ამ წვიმასა და ტალახში ამოიღე ჭარხალი. გააფხიკე მიწა, წააჭერი ფოთლები... უიმეეე!... ნეტა არა სცივათ? მილიონიც რომ მოეცათ ჩემთვის, ხელსაც არ გავძრავდი ამ... მართლაც ძალიან ძნელია სოფელში მუშაობა. იმიტომ გარბიან გოგო-ბიჭები. ჩემთვის რომ დაეჯერებინა ვახტანგს, რა გვინდოდა აქ, უფრო კარგად ვიქნებოდით ქალაქში. აიხირა წამოსვლა და... დამტოვა უპატრონოდ. გამითავდება თუ არა დეკრეტული, წავალ ისევ..." მოსწავლეთა დანახვაზე გაუწყდა ფიქრი. ჩია კუზიანი მოხუცი ბარით თხრიდა ჭარხალს. მას ეხმარებოდა ორი მოზარდი, ორიც ეზიდებოდა გროვასთან, სადაც დანარჩენები დანებით აფხეკდნენ ტალახს და აჭრიდნენ ფოთლებს. ბავშვებთანვე მუშაობდა მასწავლებელიც — ახალგაზრდა, ლამაზი ქალი. ეცვა გამჭვირვალე, ქუდიანი მოსასხამი და პატარა ხელებით ფხეკდა ჭარხალს. თითქოს სისხლი სდიოდა თითებიდან, შავ ტალახში ეგრე როგორღაც მოუჩანდა წითლად შეღებილი ფრჩხილები. მოშორებითაც ასევე ჯგუფ-ჯგუფად დაქსაქსულიყვნენ მოსწავლეები. ალბათ, კლასების მიხედვით დანაწილებულიყვნენ მინდორში.

— აბა, ქიტეს, შესძახა ჩაწეული მინიდან შოფერმა მოხუცს, ეარ გამატან ჯერა?

— მაშა! — უპასუხა მან და მაშინვე ჩატოვა ბარი მიწაში, წამოვიდა მანქანისკენ და უთხრა მოსწავლეებს: — მოდით, ბალღებო, თქვენაცა, მამეხმარენით დადებაში!

შედარებით უფრო მოზრდილები წამოვიდნენ მანქანისკენ. პატარა ბიჭები და გოგოები კი დარჩნენ მასწავლებელთან. როგორც წიწილები კრუხს, ბავშვები ეგრე ეხვეოდნენ გარს. აგერ, ერთი გოგონა მივიდა ამოთხრილ ჭარხლებთან, ფოთლებში წაავლო ხელი ორს და, რაკი მსუბუქი ეჩვენა წამოსაღებად, აიღო ორიც, მაგრამ გზად რაღაცას ამოსდო ფეხი და პირქვე დაეცა ტალახში.

რაღაცნაირად შეუქანდა გული ნათიას.

შეწუხდა მასწავლებელიც.

— ცოტა წამოიღე, ცოტა! რა ძალა გადგია? წამოიღე რამდენსაც მოერევი! — დაუძახა მასწავლებელმა.

— განა ვერ ვერეოდი და იმიტომ წავიქეცი? — ბავშვმა იუკადრისა შენიშვნა. იქვე ტბორში ჩაიბანა ხელები და მაინც ერთად წამოიღო ოთხივე.

უსინდისობად მიაჩნდა, აქედან რომ უყურებდა მასწავლებელსა და ბავშვებს... ძალიან ეზარებოდა წვიმასა და ტალახში, მაგრამ... გააღო კარი, ჩავიდა და მიესალმა მასწავლებელს.

შემკრთალივით როგორღაც ამოხედა მან. წყნარად უპასუხა და უმალვე თვალი მოაბჯინა მუცელზე.

ნათიამ თავადაც დაიხედა ზედ და რატომღაც იმ დროს იგრძნო მაინცა და მაინც, როგორ ეძრა ბავშვი. აქამდის თითქოს აღარც კი ახსოვდა იგი. ქმარზე ფიქრში დავიწყებოდა როგორღაც. მივიდა ამოთხრილ ჭარხლებთან, მარცხენა ხელით დაიჭირა ქოლგა, მარჯვენით ერთად დააწყო სამი და კარგად მომჯიღა ფოთლები.

— უი!.. როგორ გეკადრებათ თქვენა? ნუუ! — შეწუხდა მასწავლებელი.

— ცოდვა ხართ, არ შეიძლება ფეხმძიმე ქალის მუშაობა!

— არა მიშავს რა!..

— ადით კაბინაში, შეგცივათ აქ!..

— არა, არა ცივა!

— უიმეეე!.. — შეწუხდა მასწავლებელი, — არ გინდათ!.. აბრძანდით მანქანაში და დაჯექით თბილად! ჩვენცა ვკმარვართ ამ!..

— მივდივარ და წამოდით, წაგიყვანოთ შინა! — დაუძახა ბიჭმა.

უკვე დაეტვირთათ მანქანა და აეკეცათ გადმოხსნილი ლარტყა.

— წაჰყევით, რაა, ძალიან გთხოვთ, წაჰყევით!.. — შეეხვეწა მასწავლებელი.

— რა უნდა ვაკეთო შინა? ვიქნები თქვენთან! — უთხრა და განაგრძო ჭარხლის ზიდვა.

— ვაიმეე! რომ გიყურებთ, მე მცივა თქვენს მაგივრად! — უთხრა შეწუხებულმა მასწავლებელმა.

მაინცა და მაინც არა სციოდა ძალიან. ბავშვების ყურება რაღაცნაირად ავიწყებდა საკუთარ ჭირს. შინ მარტობას გაცილებით ერჩია ამათთან ყოფნა. ისე გაერთო საქმით, ვერ გაიგო დაღამება. მაშინღა შენიშნა ბინდი, როცა ვიღაც კაცმა დაუძახა მასწავლებელს. დიდები ეივილხივილით მიეშურებოდნენ სოფლისაკენ, დაინახეს თუ არა პატარებმა, გაიქცნენ ისინიც...

— მიდიან უკვე, წავიდეთ ჩვენც! — თქვა მასწავლებელმა და ჭარხლის სველი ფოთლებით მოისუფთავა ხელები.

გვერდზე მიბჯენილი იდაყვით დაიჭირა ქოლგის ტარი და კოფთის უბეში ჩაიყო დაბუხებული ხელები. უბერავდა ცივი ნიავი და თანდათან იკლებდა წვიმა. თითქოს უკვე დაწრეტილიყვნენ ღრუბლები... გარჩეული ჭარხლის გროვასთან შორიდანვე დალანდა დიასახლისი. მანაც, დაინახა თუ არა, რაღაცნაირად გაათათანა ხელები. თავი კი შეიკავა ჯავრობისაგან, მაგრამ არ დაუშურებია საყვედურები:

— შენ კიდევ აქა ხარ, შვილო? შენ კიდევ აქა ხარ?.. რა გინდა ამ დროს აქა, რაა! რატო არ წაჰყევი ლაზარესა? ვაიმე, შვილო, ვაიმე... აწუწუნდა ბოლოს და მიბედა ჭარხლის გროვას, — ამას ჩემი შვილები მოეპატრონებიან ეხლა! — თქვა ბოლოს და დაემგზავრა თავადაც.

შინ მისვლისთანავე დიასახლისმა გაახურა ღუმელი, მოადუღა ცაცხვის ყვავილი. ჩაადგმევინა ჯინჯიხ წყალში ფეხები, მერე იქვე პატარა ტაბლაკზე გაუშალა სუფრა და თავადაც ააყოლა ყბა.

იცმუცნებოდა და ტკბებოდა ხილის მზერით. მერე აიღო ერთი. ღმერთო!.. რა მიმზიდველი ფერი ჰქონდა ამ დალოცვილს!.. როგორი გადასარევი სუნი!.. დილას რატომღაც შეეხათრა ბიჭებთან. ახლა... უკვე გაშინაურებულიყო დიასახლისთან. რაკი თბილად ეპყრობოდა დედასავით, მიენდო თავადაც.

— აიღე, აიღე! ნუ გერიდება!.. — შეაქეზა და უთხრა მერე: — შენ იყავი აქა! მე კი ავალ და დაგიდგამ ღუმელსა! დაგინთებ ცეცხლსა! რა ვქნა, რომ არ შაგინახო შვილივითა, ასე მგონია, არ მაპატიებს ღმერთი!.. — ხმის თრთოლვით წარმოსთქვა ბოლო ორი სიტყვა და გავიდა გარეთ.

ჰკბეჩდა ხარბად, წუწნიდა მის ტკბილსა და გემრიელ წვენს... გაახსენდა ვახტანგი. ვინ იცის, ახლა სად მიაქროლებდა მატარებელი. „შორეული ციმბირის უღრანი ტყეები...“ გაიფიქრა და ნაყოფით ტოტებდახუნძლული ხეხილის ბაღების წილ წარმოუდგა ტაიგა...

კვლავ შემოვიდა დიასახლისი. რატომღაც ღია დარჩა კარი და უმალვე შემოესმა ქარის სევდიანი ზუზუნი. მწიფე ნაყოფი კვლავ სცვიოდა ხეხილს...

— აბა, წამოდი, შვილო! — უთხრა დიასახლისმა, — გათბა შენი ოთახიცა!

ისე როგორღაც იყო მოთენთილი. ეზარებოდა განძრევა. ნელა გაჰყვა დიასახლისს.

მართლა საამური სითბო დახვდა ოთახში. გაბმით ღუდღუდებდა თუნუ-

ქის ღუმელი. წინ ედგა სილით ძირ-
მომალული ტაშტი, გვერდით ეწყო ზო-
მაზე დაპობილი შეშა... უნდოდა ჩა-
მოჯდომა, მაგრამ, რაკი დაინახა გაშ-
ლილი ლოგინი, მაშინვე მოუნდა წა-
მოწოლა.

— მოისვენე თუ გინდა, არ დაჰკე-
ტო კარი, მეც აქ უნდა ამოვიტანო
ჩემი ლოგინი... არ დაგტოვებ მარტო...
ჩემთვის გოგო არ მოუცია ღმერთს და
შენ უნდა გიწამო შვილად!

მადლიერებით აღსავსე მზერით გა-
აცილა გარეთ. აბა რა უნდა გასჭირვე-
ბოდა ასეთ მზრუნველ ადამიანთან?
მიბრუნდა საწოლისკენ და ნელა დაიწ-
ყო გახდა... ოდნავ ცივი ეჩვენა ლოგი-
ნი, მაგრამ ჩათბა თანდათან. მერე
კვლავ გაახსენდა ვახტანგი... წარმოუ-
დგა ის დღე, როცა გაიცნეს ერთმანე-
თი. რომელიღაც კოლმეურნეობას ეხ-
მარებოდნენ კარტოფილის ამოღებაში.
ელაზღანდარებოდა ყოველ დღე... ბო-
ლოს გამოუტყდა სიყვარულში... მოა-
წერეს ხელი... მერე აიჩემა სოფელში
წამოსვლა. ვიღაც ნაცნობი ეპატიჟე-
ბოდა მდიდარ კოლმეურნეობაში. ავ-
ტომექანიკოსს კარგი ჰქონდა ხელფა-
სი, მაგრამ... მოინდომა ბამზე წასვლა...

შემოვიდა დიასახლისი და უმალვე
მოიმძინარა თავი. ალბათ, კარი იყო ღია.
ესმოდა, როგორ სცვიოდა მწიფე ხილი
ხეებს, სევდიანად ზუზუნებდა ქარი...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კოსტას ვარნალისი

კოსტას ვარნალისი (1884-1974) დაიბადა ბულგარეთის ქალაქ ბურგასში, მეწაღის ოჯახში. დაამთავრა ათენის უნივერსიტეტის ფილოლოგიური ფაკულტეტი, მასწავლებლობდა, შემდეგ სკოლის დირექტორადაც მუშაობდა. 1905 წელს გამოსცა პირველი წიგნი „ჭიქა“.

კოსტა ვარნალისის შემოქმედებას მამხილებელი პათოსით გამოარჩევენ, სიკეთე, ჰუმანიზმი და ნათელი აზროვნება, ბუნებისა და ადამიანის დიდი, ჭეშმარიტი სიყვარული მას ახალი დროის დიდ ბერძენ პოეტთა რიგში აყენებს.

1934 წელს კოსტას ვარნალისი საბჭოთა მწერლების პირველი ყრილობის მუშაობაში მონაწილეობდა. 1954 წელს მას მშვიდობის საერთაშორისო ლენინური პრემია მიენიჭა.

განწირულნი

ღვინოს ვსვამდით
ჩვენ სარდაფში გუშინ,
ქუჩის არღანს აწყდებოდა ხალხი,
ღრიალებდა ამ ცხოვრების ბუში,
აგინებდა ერთად მწყემსს და ნახირს,
ვამბობ გუშინ,
თორემ ყოველ ცისმარ,
ვსვამთ დაღლილნი
ცხოვრებით და ურვით,
თუ გვიჭყავის გროში,
აქვე ვიხმართ
გვწყურია და
ვიკლავთ თრობის წყურვილს,
ერთი სავსე ჭიქას მიესალმება,
აპურჭყებენ იატაკზე სხვები,
არ არსებობს ქვეყნად მეტი წამება,
ვიდრე უკვე გაფრენილი წლები;
ამოქექე შენც ნაგავი წარსულის,
მოიკალი ძებნით გინდა თავი,
არ შეგრჩება არც გული და
არც სული —
დღეს ვერ ნახავ,
რომ არ იყოს შავი!
მზეო,
ზღვაო,
ცისკარო და
აისო,
ცაო, უხვო
მიწა-წყალზე ასწილ,
ეს სამყარო
თქვენი შუქით აივსო,
ჩვენ რა შეგვხვდა?
ჩვენ — ხვიშტი და ბრანწი!
უსასოოდ მოგვიკეტეთ კარი,
ჩვენს გულებში თქვენთვის
ადგილს ვეღარ ნახავთ,
საშოშივე მომხრჩვალნი და მკვდარნი,
ღვინოს ვსვამთ და
აბდა-უბდას ვჩმახავთ,
ერთს — მამა ჰყავს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ათი წელი ლოგინად,
მეორის ცოლს
ჭლექი სჭამს და ახრჩობს,
ციხეში ზის იმ მესამის ვაჟი,
ხოლო გოგონა,
თავსა ჰყიდის
და ყიდულობს სარჩოს.
შვილი უნდა გაისარჯოს, აბა,
პურს ვინ აჭმევს
იოლსა და მუქთას,
ასეთია ეს ცხოვრება, ბაბა,
ზოგს ადნება,
ზოგსაც ცეცხლით თუთქავს.
დამნაშავე?
სამართალი უფლის!
დამნაშავე ვინ?
ვეძებთ და ვოხრავთ,
დამნაშავე ვინ?
და ბედი ქუფრი!
დამნაშავე ვინ?
სულელი გოგრა!
მაინც, მაინც
ვის მიუძღვის ბრალი,
ვინ გვაძალებს
დარდი გავიჩინოთ?!
ყველაფერი არის
არის ამის ბრალი,
ღვინო არის დამნაშავე,
ღვინო!
ვინ მოიტანს
ამ წყვდიადში
ლამპარს?
ვინ დაგვიგდებს წინ
იმედის ნამცეცს?
გამოვაღებთ სარდაფის კარს
დამპალს,
იცის ვინმემ?
პასუხს არვინ გაგცემს!
ბნელ საშოში
ამ წვირიან დუქნის
ვსვამთ და ვთვრებით,
ვსვამთ და ვთვრებით ცისმარ,
ჯოჯოხეთის ანგელოზებს ვჩუქნით
გადაბრეცილ ღიმილსა და სიზმარს.
მშივრებს, ღატაკთ,
აღრენილებს მქისედ,
ღვინო გვინდა,
ღვინო არა გვკმარა,
მალე,
როგორც ჭიაყელებს ისე,
ქუსლით, ქუსლით
მიგვასრესენ შარას!
ვინ გააჩენს
ამ წყვდიადში ნათელს?
არსად არის მშველელი და მხსნელი!
ვსვამთ და ვთვრებით,
ვსვამთ და ღამეს ვათევთ,
ღამეს ვათევთ
და სასწაულს ველით.

„სახალხო განათლება“

ჩვენ ვითხოვდით
მასწავლებელს დიდხანს,
მოგვეგლინა მხსნელად
ჩვენი სულის
არ ვოცნებობთ,
მარტო ქოჩრებს ვიფხანთ,
აღარც ვფიქრობთ,
სიმშვიდეა სრული!
დავეწაფეთ სიცრუის წყლებს
მღვრიეს,
გავიბერეთ,
დავემგვანეთ ტიკებს,
იმ ტყუილებს
ვაჭმევთ ახლა მშიერს,
იმ სიცრუით
ბალღებს ვატიკტიკებთ,
მე აღმოვჩნდი
უტეხი და მტკიცე,
სწავლას მოვრჩი,
დავთმე ცოდნის ბუდე,
აბა სული
ეშმაკს როგორ მივცე,
ხერხემალიც რაში მინდა
მრუდე?!
თუ სიკვდილი გიწერია მალე,

ცოდო ხარ და
ბედისაგან კრული,
მაგრამ მეტად
ბედკრული და ბრალეული
არის იგი,
ვინც გაყიდა სული!

ეროვნული ბიბლიოთეკა

სინდისის ქენჯნა

ვერცხლისფერი
გვირგვინები მთების,
მოლიკლიკე
თავანკარა წყარო,
ყვავილების სუნთქვით
ისევ თბები,
ჩიტებს უნდათ
დილა მოგახარონ.
ნაღველს, წყენას,
აზვირთებულ ვნებას
გაანელებს მყუდროება სრული,
კაცი თავთან
მარტოდ როცა რჩება,
როცა ესმის,
როგორ უცემს გული,
მოვალ,
ბაღში, ათასწლოვან ჩრდილში,
ხსნას დავეძებ,
მსურს გავექცე სინდისს.
საკუთარ თავს მივსდევ
ვაი-ვიშით,
ჯიქურ მივსდევ
ვით სინათლეს — ბინდი.
მკერდს ვიხოკავ,
ვსერავ ბლაგვი დანით,
ჯოჯოხეთის ცეცხლო,
მოდი ერთი,
გამოგონილ ჯურღმულს
ჩამიტანე,
მეშველება,
ხსნა იქნება ჩემთვის.

* * *

დიდებულია
რომ ხარ პირველი!
ამიერიდან
შენით იღებს თურმე სათავეს
უუდიდესი ხელოვნება,
შენ ასე გჯერა,
ეს იმას ნიშნავს,
რომ მართალს ამბობ.
დღითი დღე
უფრო გაიზრდები,
ველარ, ველარ დაეტევი
შენს სამშობლოში.
დადგება დრო და
დედამიწა ჩაგეხუტება,
და ერთ მტკაველსაც
არ გაჩუქებს შენ იგი ზედმეტს.
იმაზე მეტს,
რაც შენს სიგრძეს აღემატება,
თუმცა მერე რა?
ხომ ზომავდი, წლების მანძილზე,
ნაბიჯით მიწას!
მაგრამ არის სულ სხვა ცხოვრებაც,
იგი სულ ცდილობს,
რომ არ იყოს არარაობა,
უპირველესად საკუთარ თვალში,
ცდილობს არავის დასცინოს და
თავიც საცინრად არ გაიხადოს,
ცდილობს, ხოტბა
არ შეასხას წრეგადასულად,
ცდილობს, იცოდეს,
გააშიშვლოს,
არსი იხილოს!
როცა იმას
დედამიწა შემოეხვევა,
ყველა ირწმუნებს
მის სიდიადეს.

ახალბერძნულიდან თარგმნა
იზა ორჯონიკიძემ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ალბერ კამიუ

მოღალატე

მოთხრობა

ეს რამდენიმე წუთია მისავათებული, ციცქნა ბუზი უხმაუროდ დაფრინავდა ფანჯრებდახშულ ავტობუსში. ჟანინმა ერთი პირობა თვალი ვერ მიადევნა ბუზის ფრენას, მერე დაინახა როგორ დაეშვა იგი ქმრის გაშეშებულ ხელზე. ციოდა. ქარი ქვიშას ახლიდა ფანჯრებს და ბუზი ტოკავდა. ზამთრის დილის ბლანტ სინათლეში მანქანა ძლივს იკვლევდა გზას, თუხთუხებდა და ხრჩოლავდა. ჟანინი ქმარს მისჩერებოდა. ვიწრო შუბლზე ჩამოშლილი შეჭაღარავებული თმა, ფართე ცხვირი და მოღრეცილი პირი მარსელს გაბუტულ ფავნს ემსგავსებდა. როდესაც მანქანა თხრილში ვარდებოდა, ჟანინი გრძნობდა როგორ ეხლებოდა ქმრის სხეული. მერე მარსელი ერთბაშად მოეშვებოდა, თითქოსდა სხეულის სიმძიმე გაფარჩხულ ფეხებზე გადაიტანაო და გახევებული, თვალგაშტერებული და საკუთარ ფიქრებში წასული კარგა ხანს რჩებოდა ასე. მხოლოდ ფლანელის მაისურიდან გამოჩრილ, უთმო და კოტიტა თითებს არ ასვენებდა. მთელი ძალით ეჭიდებოდა ნაჭრისაგან შეკერილი ხელჩანთის სახელურს და ბუზის წყვეტილ მოძრაობას აინუნშიც არ აგდებდა.

უეცრად გარკვევით მოისმა ქარის ღრიალი და ქვიშიანი ნისლი, მანქანას გარს რომ ეკრა, კიდევ უფრო შესქელდა. ფანჯრებს ქვიშა ახლა მუჭა-მუჭად ეხლებოდა, იფიქრებდით ვიღაცის უხილავი ხელი ისვრისო. ბუზმა სიფრიფანა ფრთა აიქნია, თათებზე წამოიმართა და აფრინდა. მანქანამ სვლა შეანელა, თითქოს სადაცაა გაჩერდებაო. მერე, ერთბაშად, ქარი ჩადგა, ნისლი გაიფანტა და მანქანამაც სვლას უმატა. მტვრიან გარემოს აქა-იქ ნათელი მოეფინა. ტოტებგაძარცვული და მტვრით გათეთრებული ორი თუ სამი პალმა, ლითონისაგან გამოჭრილი რომ გეგონებოდა, წამით ფანჯრებთან აისვეტა და მყის გაუჩინარდა. „ეგეც თუ ქვეყანაა და...“ — თქვა მარსელმა.

მანქანა გრძელ მოსასხამებში გახვეული, მთვლემარე არაბებით იყო სავსე. ზოგი ფეხმოკეცილი იჯდა სკამზე და მანქანის სვლას აყოლილი, სხვებზე მეტად ირწეოდა. მგზავრების დუმილი და უგრძნობლობა ჟანინს აღიზიანებდა. ასე ეგონა თითქოს საუკუნე იყო, რაც ამ მდუმარე ესკორტის თანხლებით მოგზაურობდა. არა და, ავტობუსი ამ დილით დაადგა გზას, რკინიგზის ბოლო სადგურიდან და აი უკვე ორი საათია ქვიან დაბლობზე მიგორავს. დაბლობი მოწითალო ჰორიზონტისაკენ ეშვებოდა. ყოველ შემთხვევაში, გამომგზავრებისას ასე ჩანდა; მერე ქარმა იმძლავრა და სივრცე ნისლმა შთანთქა. მგზავრები, რომლებიც ვეღარაფერს ხედავდნენ, ერთიმეორის მიყოლებით გაყუჩნდნენ და ახლა მდუ-

მარედ აგრძელებდნენ მგზავრობას ამ თეთრ ღამეში. დრო და დრო თუ გააწკლაპუნებდნენ ქვიშით ამოვსებულ პირს ან აცრემლებულ თვალებს ამოისრესდნენ.

„ჟანინ!" — ქმრის წამოძახილმა ქალი ფიქრებიდან გამოიყვანა. ამ წუთს კიდევ ერთხელ იაზრა, თუ რა სასაცილო სახელი ერქვა; ისეთივე გრძელი და მოუხეშავი, როგორც თავად იყო. „ნიმუშების ჩანთა სად არის?" — იკითხა მარსელმა. ქალმა სკამის ქვეშ ფეხი მოუსვა, რაღაცას წამოედო და „ჩანთა იქნებაო" გაიფიქრა. რომ დახრილიყო, იცოდა სუნთქვა შეეკვრებოდა. კოლეჯში სწავლისას კი პირველ ტანმოვარჯიშედ ითვლებოდა. იმ დროს სუნთქვასაც არ უჩიოდა. ნუთუ ასეთი დიდი დრო გავიდა? მთელი ოცდახუთი წელი. მაგრამ ახლა ეს წლები არაფრად ეჩვენებოდა. თითქოს აგერ, გუშინ იყო, რომ ყოყმანობდა, თავის ნებაზე ცხოვრება ერჩია თუ გათხოვილიყო. იმაზე ბევრჯერ უფიქრია დანაღვლიანებულს, ვაი-თუ მარტოობაში ამომხდა სულიო. ახლა მარტო არ იყო და იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი, ერთ დღეს რომ აეტორღიალა და მერე მოსვენება აღარ მიუცია, აგერ, აქვე, გვერდით ეჯდა. იმდენი უტრიალა, რომ ქალი გატყდა და თანხმობა მისცა, თუმცა კი კაცი ტანდაბალი იყო და ამასთან ერთად არც მისი ავხორცული, მჭახე ხითხითი და გადმოკარკლული შავი თვალები ეპიტნავებოდა დიდად. მაგრამ მარსელის უტეხი ხასიათი და სიცოცხლის ჟინი, აქაურ ფრანგებს რომ ახასიათებს, მართლაც რომ იზიდავდა. ქმრის შეცბუნებული იერიც მოსწონდა, როცა მოვლენათა მსვლელობა ან კიდევ ადამიანები მის მოლოდინს არ ამართლებდნენ. მთავარი მაინც ის იყო, რომ ქმარს უყვარდა. გვერდიდან არ იცილებდა და მუდამჟამს იმას ჩასჩიჩინებდა, უშენოდ სიცოცხლე არ შემიძლიაო. ჰოდა, ქალმაც იწამა საკუთარი არსებობის აუცილებლობა. არა, რაც არ უნდა იყოს, მარტო არ არის...

ავტომანქანა გაბმული საყვირით, რწევა-რწევით უვლიდა გვერდს უჩინარ წინაღობებს. სალონში ძრავინ ეძროდა. უცებ ჟანინმა ვიღაცის დაჟინებული მზერა იგრძნო და თავი სკამის გაყოლებით, გასასვლელის მეორე მხარეს მიაბრუნა. უცნობი არაბი არ იყო და ჟანინს კიდეც გაუკვირდა, აქამდე როგორ ვერ შევამჩნიეო. კაცს საჰარის ფრანგული შენაერთის სამხედრო ფორმა ეცვა. აფთარივით წაგრძელებულ და მზით გარუჯულ სახეზე ხაკისფერი კეპი ჩამოეფხატა. ღია ფერის თვალებით ჯიუტად და უგულოდ მისჩერებოდა ქალს. ჟანინს ლოყები შეუფაკლდა და ქმრისაკენ მიბრუნდა. მარსელს ფანჯრისთვის აეკრა სახე და ნისლს გასცქეროდა. ქალმა პალტოს კალთები შემოიკეცა. თვალწინ ის უცნობი ფრანგი ჯარისკაცი ედგა, წელში გამოყვანილი მაზარა რომ ეცვა და ისეთი მაღალი და გაწვართული იყო, გეგონებოდა, გამომშრალი ხისაგანაა გამოკვეთილი ან არა და ქვიშისა და ძვლების ნაზავიაო. სწორედ ამ დროს იყო, რომ ქალმა მის წინ მჯდარი არაბების გაძვალტყავებულ ხელებსა და მზედაკრულ სახეებს ჰკიდა თვალი. ფართო მოსასხამები კი ემოსათ, მაგრამ ხალვათად ისხდნენ სკამზე, რომელზეც ჟანინი და მისი ქმარი ძლივს ეტეოდნენ. ჟანინი კიდევ უფრო შეიფუთნა პალტოში. ქალი არც თუ ისე ზორბა იყო; ტანადი და ხორცსავსე უფრო ეთქმოდა. მამაკაცების მზერა კი ხშირად იმასაც უმტკიცებდა, რომ ახლაც ვნებისაღმძვრელი იყო. ბავშვური გამომეტყველება და ნათელი, სხივჩამდგარი თვალები სულაც არ ეგუებოდა მის ჩათქვირებულ სხეულს, რაღაცნაირ სითბოს და სიმშვიდეს რომ აფრქვევდა ირგვლივ.

ეს მოგზაურობა ჟანინს სხვაგვარად წარმოედგინა. როდესაც მარსელმა უთხრა, შენც თან უნდა წაგიყვანოო, ქალი უარზე დადგა. ქმარი დიდხანს ელოდა ამ მოგზაურობას. ომი რომ დამთავრდა და ცხოვრება ჩვეულ დინებას დაუბრუნდა, სურვილი კიდევ მეტად გაუმძაფრდა. ომამდე, მშობლებისაგან მემკვიდრეობით მიღებული ქსოვილების მაღა-

ზიით როგორღაც გაჰქონდათ თავი მარსელი ვაჭრობას მას შემდეგ მოეკიდა, რაც სწავლის გაგრძელება ვეღარ შესძლო. ზღვის პირას გატარებული ახალგაზრდული წლები, წესით, ბედნიერებად უნდა იგულვო კაცმა. მაგრამ მარსელს მოძრაობა არ უყვარდა და ზღვასაც იშვიათად თუ ესტუმრებოდა ჟანინთან ერთად. კვირაობით, პატარა მანქანით ქალაქგარეთ გადიოდნენ. ეს იყო და ეს. დანარჩენ დროს მარსელი ნაირფერი ქსოვილებით აჭრელებულ მაღაზიაში ატარებდა. მაღაზია თაღებიანი სახლის პირველ სართულზე გაემართათ, ქალაქის ნახევრად ევროპულ უბანში. მაღაზიის თავზე არაბული შპალერითა და ბარბეს სტილის ავეჯით გაწყობილი, სამთვლიანი ბინა ეკავათ. შვილი არ ჰყავდათ. წლები უღიმღამოდ ენაცვლებოდა ერთმანეთს დარაბებჩარაზულ და ჩაბნელებულ ოთახებში. ზაფხული, პლაჟი, სეირნობა და ლურჯი ზეცა კი შორეულ და მოუხელთებელ ბედნიერებად ეჩვენებოდათ. მარსელს, საქმის გარდა არაფერი არ იზიდავდა. ჟანინი იმასაც კარგად ხვდებოდა, რომ ქმრის ერთაღერთი სწრაფვა ფულის დაგროვება იყო და ეს აღმოჩენა გულს უკლავდა. თუმცა კი, თვითონაც არ იცოდა, რა იყო ამაში ცუდი. სხვა რომ არაფერი, ქმრის ფული მასაც ეკუთვნოდა. მარსელი ძუნწი არ იყო, განსაკუთრებით ცოლის მიმართ იჩენდა გულუხვობას. „მე თუ რაიმე დამემართა, შენ მაინც არ დარჩები მშრალზეო“, — ხშირად უთქვამს ჟანინისათვის. მართალსაც ამბობდა: რაც არ უნდა მომხდარიყო, ქალს თავი ქუდში ექნებოდა. მაგრამ, განა მარტო ფულია საქმე? იმას რაღა უყოს, რაც ყოველდღიურ საჭიროების ფარგლებს ცილდება? ეს ფიქრი, ჟამიჟამ, შეუმჩნევლად მოეძალებოდა და ჭიასავით ღრღნიდა. ისე კი, მუდამ მხარში ედგა ქმარს, დავთრებს აწესრიგებდა და დახლშიც ხშირად შენაცვლებია. ყველაზე მძიმედ ასატანი მაინც ზაფხულის დღეები იყო, როცა მცხუნვარე მზე კაეშნის სათუთ გრძნობასაც ჰკლავდა.

და აი, უცებ, სწორედ გაგანია ზაფხულში, ომი დაიწყო. მარსელი ჯარში გაიწვიეს, მერე შინ გამოაბრუნეს. ქსოვილებისათვის აღარავის ეცალა და საქმეც ერთ ადგილზე გაიყინა. დაცარიელებულ ქუჩებს სიმხურვალე ასდიოდა. ახლა რომ რამე ცუდი ასტეხოდათ, თავს ვეღარაფრით დაიცავდნენ. ამიტომაც იყო, რომ ვაჭრობა გამოცოცხლდა თუ არა, მარსელმა გადაწყვიტა უარი ეთქვა შუამავალზე და პირადად შემოევლო სოფლები, რათა საქონელი ხელიდან ხელში მიეყიდა არაბი ვაჭრებისათვის. მან ცოლის წაყვანაც ისურვა. ჟანინმა იცოდა, რომ წინ დიდი გზა ედოთ და მიმოსვლაც ერთობ ჭირდა. სუნთქვაც აწუხებდა და სახლში დარჩენა ერჩია. მაგრამ მარსელმა თავისი დაიჟინა და ქალიც დაითანხმა. წინააღმდეგობის გაწევის თავიც აღარ ჰქონდა. აი, ახლა უკვე, რა ხანია გზაში არიან და ყველაფერი სხვაგვარადაა, ვინემ ჟანინს წარმოედგინა. მას სიცხე, აურაცხელი ბუზები და სასტუმროს აქოთებული ოთახები აშინებდა. მსუსხავ ქარზე ფიქრი აზრადაც არ მოსვლია. ვერც ამ, თითქმის პოლუსივით გადათეთრებულ პლატოს წარმოიდგენდა. ხრაშუნა ქვიშასა და პალმებზე ოცნებობდა. ახლა კი ხედავდა, რომ უდაბნო სულ სხვა რამ იყო: ქვები, ყველგან, სადაც კი თვალი მიწვდებოდა, მხოლოდ ქვა და სხვა არაფერი. ცაც ქვისა იყო თითქოს, მტვრის ღრუბლებით დაფარული და ცივი. მიწაზეც, ქვებს შორის, აქა-იქ თუ ამოეყო თავი გამხმარ ბალახს.

მანქანა ერთბაშად გაჩერდა. მძღოლმა მგზავრების გასაგონად რამდენიმე სიტყვა წარმოთქვა იმ ენაზე, რომელიც ქალს მთელი თავისი სიცოცხლე ესმოდა და რომლის ინჩი-ბინჩიც არ გაეგებოდა. „რა ხდება? — იკითხა მარსელმა. მძღოლმა ამჯერად უკვე ფრანგულად აუხსნა, რომ ქვიშამ ავზი გაუჭედა და მარსელმაც კიდევ ერთხელ გულიანად შეუკურთხა ამ წყეულ მხარეს. „დიდი არაფერი გასაჭირია — გაიცინა მძღო-

ლმა — აი, ავზს გავწმენდ და გზას გავუდგებით. მძღოლმა კარები გააღო და მანქანაში შემოჭრილმა ქარმა მგზავრებს წვრილი ქვიშა შეაყარა სახეში. არაბებმა ცხვირ-პირი მოსასხამებში ჩარგეს და კიდევ მეტად მოიკუნტნენ. „კარები დახურე“ — იღრიალა მარსელმა. მძღოლი სიცილით გამობრუნდა კარებისკენ, ხელსაწყოები აიღო და ნისლით დაპატარავებული, აუჩქარებლად წავიდა მანქანის კაპოტისაკენ. კარი ღია დარჩა. მარსელმა ამოიოხრა. „მერწმუნე, ამ კაცს თავის დღეში არ უნახავს ძრავა. შეეშვი“— უთხრა ჟანინმა. უეცრად ქალი შეკრთა. ზედ მანქანასთან, მიწაყრილზე უძრავად ატუზული, მოსასხამიანი აჩრდილები დალანდა. მხოლოდ თვალები მოუჩანდათ თავსაბურის ქვეშ და, ვინ იცის საიდან მოსულნი, უხმოდ მისჩერებოდნენ მგზავრებს. „მწყემსები არიან“ — თქვა მარსელმა.

მანქანაში დუმილმა დაისადგურა. თავჩაქინდრული მგზავრები თითქოს გახელებული ქარის ხმას აყურადებდნენ. ჟანინი ბარგის სიმცირემ გააკვირვა. რკინიგზის სადგურზე მძღოლმა მათი ჩემოდანი და რამდენიმე ფუთა შეაგდო მანქანის სახურავზე, სალონის ბადურებში კი კორძიანი ხელჯოხები და ორიოდე დაწნული კალათი ეგდო. ჩანდა, სამხრეთელები ხელცარიელნი მოგზაურობდნენ.

მძღოლი მობრუნდა. შეწუხებული იერი ჰქონდა. მხოლოდ თვალები უღიმოდა წინანდებურად. სახეზე თავსაბური აეფარებინა. „მანქანა რიგზეა, საღაცაა გზას გავუდგებით„— გამოაცხადა მძღოლმა და კარები მიხურა. ქარის ხმაური წამსვე შეწყდა. ახლა უფრო მკაფიოდ ისმოდა ფანჯრის მინებზე ქვიშის წკარუნი. ძრავამ დაიხვნეშა, ერთი დაითუხთუხა და ამუშავდა. მძღოლმა გაზს მოუმატა და ძრავა ყურისწამღებად აღრიალდა. მანქანა შეინჯღრა და ადგილიდან დაიძრა. ერთმა მწყემსმა ხელი ასწია, მაგრამ მალე ისიც მანქანის უკან, ნისლში გაუჩინარდა. მანქანა ხტუნვა-ხტუნვით მიდიოდა ოღრო-ჩოღრო გზაზე. არაბები თავებს აქიცინებდნენ და ბუზღუნებდნენ. ჟანინს ძილი მოეძალა. ის-ის იყო თვალები უნდა მიელულა, რომ ვიღაცამ ცხვირწინ პალმის ნაყოფით სავსე პატარა ყუთი ააფარა. აფთრის სახიანი ჯარისკაცი თავაზიანად იღიმებოდა. ქალი შეყოყმანდა, მერე რამდენიმე ცალი აიღო და ჯარისკაცს მადლობა გადაუხადა. აფთარმა ყუთი ჯიბეში ჩაიდო და ღიმილი სახეზე შეაცივდა. ჟანინმა ქმარს მოხედა. მარსელი ფანჯარაში იცქირებოდა და ქალი მხოლოდ მის კეფას ხედავდა.

კარგა ხანი იმგზავრეს. დაღლილობამ მგზავრებს ხელი დარია. უცებ გარედან ყიჟინი მოისმა. მოსასხამიანი ბავშვები ფეხების ტყაპუნით და ცეკვა-ცეკვით აედევნენ მანქანას; ჩიკორივით ბზრიალებდნენ და ხელებს გამალებით იქნევდნენ. მანქანა დაგვალული სახლებით შემოჯარულ ქუჩას მიუყვებოდა. ოაზისში შედიოდნენ. ქარი კვლავინდებურად უბერავდა, მაგრამ ახლა ქვიშა სახლის კედლებს ჯებირივით ეხლებოდა და არც თუ ისე ბნელოდა. ცა მოქუფრული იყო. მუხრუჭებმა დაიღრჭიალა და ბავშვების გნიასში, მანქანა პატარა სასტუმროს წინ გაჩერდა. სასტუმროს ჭუჭყიანი ფანჯრები ჰქონდა. ჟანინი მანქანიდან გადმოვიდა. თავბრუ ეხვეოდა და ფეხზე ძლივს იდგა. სახლების სახურავების ზემოთ ქალმა ყვითელი, მოხდენილი მინარეთის ქიმს ჰკიდა თვალი. ხელმარცხნივ ოაზისის პალმები მოჩანდა და ჟანინს იქითკენ გაუწია გულმა. შუადღე იდგა, მაგრამ სიცივე ძვალ-რბილში ატანდა. ქარმა დაუქროლა და ქალი აკანკალდა. იგი ქმრისკენ შებრუნდა და დაინახა, რომ ჯარისკაცი უახლოვდებოდა. ჟანინმა ერთი პირობა გაიფიქრა, გამიღიმებს და რაიმეს მეტყვისო, მაგრამ ჯარისკაცმა უბრად აუარა გვერდი და თვალს მიეფარა. მარსელი ბარგს უტრიალებდა. მანქანის სახურავზე ქსოვილების ნიმუშებით დატენილი ჩემოდანი და პატარა შავი სკვირი ეგულებოდა. ბარგის გადმოზიდვა სახუმარო საქმე არ იყო.

მძღოლს არავინ ეხმარებოდა. იგი მანქანის სახურავზე იდგა და ქვემოთ თავმოყრილ არაბებს რაღაცას უხსნიდა. ჟანინსაც არაბები ეხვივნენ გარშემო. გაძვალტყავებული სახეები ჰქონდათ და ხორხისმიერი ხმით ლაპარაკობდნენ. ჟანინმა დაღლილობა იგრძნო. „მაღლა ავალ“ — გასძახა მან ქმარს, რომელიც გაცხარებით ეკამათებოდა მძღოლს.

ქალი სასტუმროში შევიდა. სასტუმროს პატრონი, ჩუმი, გამხდარი ფრანგი მის შესაგებებლად წამოვიდა. და მეორე სართულის ოთახში შეუძღვა. ოთახის აივანი ქუჩას გადაჰყურებდა. ოთახში რკინის საწოლი, თეთრად შეღებილი სკამი და კედლის ღია კარადა იდგა. ბამბუკის ფარდის იქით მომცრო ტუალეტის ოთახი იყო. თეთრი ხელსაბანის ნიჟარას ქვიშის თხელი მტვერი ეფინა. როდესაც პატრონმა კარი გაიხურა, ჟანინმა შიშველი კედლების სიცივე შეიგრძნო. ვერ გადაეწყვიტა ჩანთა სად დაედო. ეს კი არა და, ერთხანს, საკუთარ თავსაც ვერ მოუძებნა ადგილი. რომც დაწოლილიყო, სიცივეს მაინც ვერაფერს მოუხერხებდა. ამიტომაც, ფეხზე დგომა ირჩია. ჩანთას ხელიდან არ უშვებდა და ჭერთან გაჭრილ სარკმელს მისჩერებოდა, რომელშიც ცის ნაგლეჯი მოსჩანდა. რაღაცას ელოდა, მაგრამ თვითონაც არ იცოდა რას. მხოლოდ საკუთარ სიმარტოვეს, სხეულში გამჯდარ სიცივეს და გულზე ანაზდად მოწოლილ სიმძიმეს გრძნობდა. ქალმა ოცნებას მისცა თავი. აღარც ქუჩიდან შემოსული ხმაური ესმოდა და აღარც მარსელის ბრაზიანი შეძახილები. იგი ახლა მდინარის ჩურჩულსა და ქარში მოქანავე პალმების შრიალს უგდებდა ყურს. სარკმლიდან შემოჭრილი ეს ხმები ოთახს ავსებდა და გეგონებოდა, მდინარეც და პალმებიც აგერ აქვე, ხელის ერთ გაწვდენაზეაო. მერე, ერთბაშად, ქარი გაძლიერდა და მდინარის დუდუნს ტალღების ტყლაშუნი შეენაცვლა. ქალმა, კედლების მიღმა, მოქნილი და ცადაზიდული პალმების ზღვა წარმოიდგინა, რომელიც ქარიშხალს ... ეჭიჭრებინა. ასეთს არაფერს ელოდა, ... მაგრამ ... ეს უჩინარი ტალღები სიმშვიდეს ჰგვრიდა და ქვიშისგან დაწითლებულ თვალებს უამებდა. მძიმე, მოუხეშავი და ბეჭებში მოხრილი, ჯერ ისევ ფეხზე იდგა, სიცივე კი ზემოთ და ზემოთ იწევდა და მთელ სხეულში იფანტებოდა. ჟანინს სწორი, დრეკადი პალმები დაუდგა თვალწინ და თავისი ყმაწვილქალობა გაახსენდა.

თავის წესრიგში მოყვანას რომ მორჩნენ, მარსელი და ჟანინი სასადილო ოთახში ჩავიდნენ. კედლებზე აქლემები და პალმები ეხატა. ვარდისფერი და იისფერი ჭარბობდა. თაღოვანი ფანჯრებიდან სინათლე ძლივს აღწევდა. მარსელმა სასტუმროს პატრონს აქაურ ვაჭრებზე ჩამოუგდო სიტყვა. მოხუც არაბს, რომელიც მათ ემსახურებოდა, პერანგზე სამხედრო მედალი ეკიდა. მარსელი უგულოდ ღოღნიდა პურს. ჟანინს წყალი მოუნდა, მაგრამ ქმარმა დაუშალა „აუდუღარი იქნება. გიჯობს ღვინო დალიო“... ქალს ღვინო არ უყვარდა. მოსვამდა თუ არა, თავის ტკივილი ეწყებოდა. რესტორნის მენიუში ღორის ხორციც იყო „ყურანი კი კრძალავს, მაგრამ იმ დროს, აბა, საიდან უნდა სცოდნოდათ, რომ ღორის ხორცი უვნებელია? — თქვა მარსელმა. ადამიანმა კარგად იცის, რისგან რა უნდა მოამზადოს. რას ჩაფიქრებულხარ?“ ჟანინი ... ფეხზე ფიქრობდა, ყველაზე ნაკლებად კი უხსოვარი დროის წინასწარმეტყველზე თანამედროვე მზარეულთა გამარჯვება ადარდებდა. მარსელმა ცოლი ააჩქარა. ხვალ დილით ისევ სამხრეთისკენ უნდა გაეგრძელებინათ გზა. დაღამებამდე ყველა აქაური ვაჭარი უნდა მოენახულებინათ. ამიტომაც იყო, მიმტანს დაუცაცხანა ყავის მოტანა არ დაახანოო. მოხუცმა არაბმა თავი დაუქნია და კარებისკენ წაფრატუნდა. „მოჩქარეს მოუგვიანდესო“ — ჩაიცინა მარსელმა.

როგორც იქნა, ყავაც მოართვეს. სადილს მორჩნენ თუ არა, მტვრიან და ცივ ქუჩაში გავიდნენ. მარსელმა ჩემოდნის წასაღებად ვიღაც ახალგაზრდა არაბი იქირავა, თუმცა კი გასამრჯელოზე ცოტა წაკინკლავდნენ. მარსელი უფრო პრინციპის გამო გაჯიუტდა და ვინ მოსთვლის მერამდენედ შეახსენა საკუთარი მრწამსი ჟანინს: „არაბები მუდამ ორმაგს ითხოვენ, იმ იმედით, ეგების ნახევარს მაინც გამოვრჩეთო“. ჟანინი უხალისოდ აედევნა მამაკაცებს. პალტოს ქვეშ შალის კაბა ეცვა. ღორის ხორცი, თუმცა კარგად შემწვარი კი იყო და ის ერთი ჭიქა ღვინო კუჭს უძმარავდა.

ახლა პატარა ბაღის ბილიკს მიუყვებოდნენ. ხეები მტვერს დაეფარა. არაბები გზას უთმობდნენ, მაგრამ ზედაც არ უყურებდნენ. მოსასხამის კალთები ყველას ერთნაირად აკეცილი ჰქონდა. ამ დაკონკილი არაბების ამაყი იერი ჟანინს აოცებდა. ქალაქელი არაბები სულ სხვაგვარად გამოიყურებიან. ახალგაზრდა არაბის მხარზე შემოდგმული ჩემოდანი ირწეოდა და ჟანინს მეგზურობას უწევდა. გალავნის კარიბჭე გაიარეს და პატარა მოედანზე გავიდნენ. მოედანს ირგვლივ მტვრიანი ხეები აკრავდა. სახლების თაღებიანი მიწისპირა სართული დუქნებს ეკავა. ისინი მოედანზე შეჩერდნენ, უცნაური, ყუმბარასავით თავწაწვეტებული შენობის წინ. სახლი ლურჯად იყო შეღებილი. ერთადერთ ოთახში, რომელსაც კარებიდან შემოსული ... ანათებდა, გაპრიალებული დახლის უკან ოთხწვერა მოხუცი არაბი იდგა და ფინჯნებში ჩაის ასხამდა. ჩაიდნის პირი სამი პატარა ფერადი ფინჯნის თავზე ადი-ჩადიოდა. სანამ სიბნელეს თვალს შეაჩვევდნენ, ცოლ-ქმარს პიტნის ჩაის მძაფრი სურნელი ეცა. მარსელმა ზღურბლს გადააბიჯა, ჩაიდნებით, ნაირ-ნაირი ჭიქებითა და ღია ბარათებით დახუნძლულ თაროებს გვერდი აუარა და პირდაპირ დახლთან მივიდა. ჟანინი კარებთან შეყოვნდა და სინათლეს რომ არ აფარებოდა, განზე მიდგა. სწორედ ამ დროს, მოხუცი დახლიდარის ზურგს უკან, ორ არაბს მოჰკრა თვალი. ისინი ოთახის კუთხეში დახვავებულ სავსე ტომრებზე ისხდნენ და ღიმილით შესცქეროდნენ ქალს. კედლებზე წითელი და შავი ფერებით აჭრელებული ფარდაგები ეკიდა. იატაკზე სურნელოვანი მარცვლებით სავსე ტომრები და ყუთები დაეხორებინათ. დახლზე, პრიალათეფშებიანი სპილენძის სასწორისა და ციფრებგადაცლილი ხის საზომის გაყოლებაზე შაქრის თავები დაემწკირვებინათ. ქაღალდშემოცლილი ერთი შაქრისთვის ვიღაცას თავი წაეკვნიტა. როცა მოხუცმა საქმე მოითავა, სტუმრებს მიესალმა და ჩაიდანი დახლზე შემოდგა. ჩაიდნიდან ამოვარდნილი ოხშივარი შალისა და სანელებლის სუნს შეერია.

მარსელი სწრაფად და ხმადაბლა ლაპარაკობდა. ასე იცოდა, როცა საქმეზე ჩამოუგდებდა ვინმეს სიტყვას. მერე ხელჩანთა გახსნა, სასწორი და საზომი გვერდით მისწია და ქსოვილების ნიმუშები მოხუცს ცხვირწინ დაულაგა. მარსელი ღელავდა, ხმას თანდათან უწევდა და უადგილოდ იცინოდა. ზუსტად იმგვარად იქცეოდა, ვინმე ქალი რომ მამაკაცის გამოჭერას დააპირებს, მაგრამ წარმატების იმედი იმთავითვე გადაწურული აქვს. ახლა ხელებით ლაპარაკობდა. ეტყობა საქმე ყიდვა არ-ყიდვას ეხებოდა. მოხუცმა თავი გადააქნია, იმ ორ არაბს ფინჯნები გადააწოდა და მარსელს რაღაც გადაულაპარაკა. ჩანდა, მარსელს ნირი წაუხდა, ქსოვილები ჩანთაში ჩაყარა და თითქოს ოფლს იწმენდსო, შუბლზე გადაისვა ხელი. მერე მებარგულს გასძახა და სამივენი გარეთ გამოვიდნენ. მეორე დუქანში ბედმა გაუღიმათ, თუმცა თავდაპირველად მედუქნემ ყურიც არ ათხოვა მარსელის ლაქლაქს. „ნეტა მაცოდინა რას იპრანჭებიან? — თქვა მარსელმა — ესენიც ხომ ვაჭრები არიან! ჩვენი არ იყოს, არც ამათ ულხინთ ცხოვრება“.

ჟანინი უბრად მიჰყვებოდა ქმარს. ქარი თითქმის ჩადგა. ცა ოდნავ გადაიწმინდა, სქელი ღრუბლებიც გაიფანტა და ახლა ზემოდან ცივი და ელვარე შუქი ეცემოდა. მოედანს გასცდნენ და ვიწრო ქუჩას შეუყვნენ. სახლების მიწურ კედლებზე დეკემბრის დამზრალი ვარდები და გამხმარი, დაჭიანებული ბროწეულები იყო გამოკიდებული. უბანში მტვრის, ყავის, დამწვარი ხის, ცხვრისა და ქვის სუნი ტრიალებდა. დუქნები ერთმანეთისაგან შორი-შორს იდგა. ჟანინს ფეხები დაუმძიმდა და სიარული უჭირდა. მარსელს გუნება გამოუკეთდა: საქმეს კარგი პირი უჩანდა და ისიც უფრო დამყოლი გახდა. ცოლს „ჩემო პატარაო“ მიმართავდა და უმტკიცებდა ეს ამოდენა გზა ტყუილუბრალოდ არ გამოგვივლიაო. „რა თქმა უნდა — პასუხობდა ჟანინი — პირველი ხელი მაინც სხვაა“.

ცოტა ხანში ისევ ცენტრისკენ იბრუნეს პირი. შუადღე კარგა ხნის გადასული იყო. ცა კიდევ უფრო მოიწმინდა. მოედანზე შეჩერდნენ. მარსელი ხელებს იფშვნეტდა და სიყვარულით დასცქეროდა ხელჩანთას. „შეხე“ — უთხრა ჟანინმა. მოედნის ბოლოდან მათკენ ვიღაც არაბი მოდიოდა. კაცი მაღალი და აღნაგი იყო. ცისფერი მოსასხამი ემოსა და ყვითელი, რბილი წაღები ეცვა. ხელთათმანები ეკეთა და მზედაკრულ, არწივისებურ სახეზე ამაყი და გამომწვევი იერი დასთამაშებდა. თავზე დახვეული თავსაბური რომ არა, ფრანგ ოფიცერს მიამსგავსებდა კაცი, აი, იმათ, ვის ხილვასაც არაერთხელ მოუყვანია ჟანინი აღტაცებაში. არაბი მათკენ მოდიოდა, ცოლ-ქმარს ზედ არ უყურებდა და ზანტად იძრობდა ხელთათმანს. „ერთი ამას დამიხედე! — თქვა მარსელმა, — ეგეც ვითომ დიდი ვინმე გენერალი მყავდეს!“ აქაურებს, უკლებლივ ყველას, სწორედ ასეთი იერი ჰქონდა, მაგრამ ეს მართლაც, რომ მეტისმეტი იყო. უცნობი დაცარიელებულ მოედანზე მოიზლაზნებოდა და ვერც ჩემოდანს ამჩნევდა და ვერც იქვე დაყუდებულ მის პატრონებს. ის იყო ზედ წაადგა ცოლ-ქმარს, რომ მარსელმა ჩემოდანს ხელი სტაცა და ადგილი მოუნაცვლა. არაბს წარბიც არ შერხევია, გვერდი აუარა გახევებულ წყვილს და კედლისკენ წავიდა. ჟანინმა ქმარს შეხედა. მარსელს ბრაზი ახრჩობდა. „თავს გაუვიდათ“ — ჩაიბურტყუნა კაცმა. ჟანინი არ შეპასუხებია. არაბის ბრიყვულმა, ამპარტავნობამ მასაც გუნება მოუშხამა და ერთბაშად უბედურად და უმწეოდ იგრძნო თავი. თვალწინ თავისი პატარა ბინა წარმოუდგა და შინ დაბრუნება მოუნდა. იმის გაფიქრებაც კი ზარავდა, რომ ისევ სასტუმროს გაყინულ ოთახში უნდა მიბრუნებულიყო. უცებ სასტუმროს პატრონის სიტყვები გაახსენდა: „გალავანზე გადით, იქიდან უდაბნო საუცხოოდ მოსჩანსო. ჟანინმა სურვილი ქმარს გაანდო და ჩემოდანის სასტუმროში დატოვება ურჩია. მარსელმა დაღლილობა მოიმიზეზა, თანაც, ჩვეულებისამებრ, ნასადილევს, გამოძინებას აპირებდა. „უარს ნუ მეტყვი“ — შეეკამათა ჟანინი. ქმარმა დაკვირვებით შემოხედა. „თუ ასე ძალიან გსურს...“ — თქვა მან.

ჟანინი სასტუმროს კართან ელოდებოდა ქმარს. თეთრებში გამოწყობილი არაბების ბრბო უფრო და უფრო მატულობდა. ქალები არ სჩანდნენ. „ერთად თავმოყრილი ამდენი მამაკაცი არსად მინახავსო“ — გაიფიქრა ჟანინმა. ქალს არავინ აქცევდა ყურადღებას. ზოგჯერ ვინმე თუ მოაბრუნებდა გამხდარ და შავგვრემან სახეს და მერე მყისვე მოაცილებდა მზერას. ეს იყო და ეს. იფიქრებდით, სიცარიელეს უყურებენ და ქალის დარდი არც ერთს არა აქვსო. ჯარისკაცისა და ხელთათმნიანი არაბისა არ იყოს, ამათაც ცბიერი და ამპარტავანი იერი ედოთ. ერთს კი შემოხედავდნენ ქალს და მსუბუქი ნაბიჯებით, სიტყვის უთქმელად გაეცლებოდნენ. ჟანინს წვივები უხურდა. გუნება ვერ იქნა და ვერ გამოუკეთდა და სახლში დაბრუნების სურვილი კი-

დევ უფრო მოეძალა. „რამ ჩამომიყვანა აქ?" — გაიფიქრა ქალმა. მაგრამ ახლა ამის დრო აღარ იყო: მარსელი მისკენ მოიჩქაროდა.

ციხე-სიმაგრის კიბეს რომ შეუყვნენ, ხუთი საათიც გახდა. ქარი აღარ უბერავდა. მოკრიალებული ზეცა თვალისმომჭრელად ელავდა. სიცივე ლოყებს უკაწრავდათ. კიბის შუაში, კედლის ძირას მხართეძოზე წამოწოლილმა მოხუცმა არაბმა მეგზურობა შესთავაზა სტუმრებს, მაგრამ, ეტყობოდა, იმთავითვე უარს ელოდებოდა და დიდად არ შეუწუხებია თავი. კიბე გრძელი და სწორი იყო, თუმცა, ალაგ-ალაგ ნაყარი მიწისგან ბაქნები ამოეშენებინათ. რაც უფრო მაღლა მიიწევდნენ, მით უფრო იშლებოდა მათ თვალწინ სივრცე. ცივი, მჭახე სინათლე ძალას იკრებდა და ოაზისის უმცირესი ხმაური გარკვევით აღწევდა მათ ყურამდე. ლაპლაპა ჰაერი თითქოს ირწეოდა. რაც უფრო მაღლა ადიოდნენ, მით უფრო შესამჩნევი ხდებოდა ეს რწევა. იფიქრებდით, მათ ნაკვალევზე, ჰაერის ნაწილაკები ხმოვან ტალღებად გარდაიქმნებიანო. იმ წამს, როცა გალავანს თავზე მოექცნენ და მათი მზერა პალმების კენწეროების უკან უსასრულო სივრცეს გადაწვდა, ჟანინს მოეჩვენა, რომ ზეცამ დაიგრგვინა და ექომ სივრცე აახმიანა. მერე ხმა მიწყდა და ჟანინი უკიდეგანო სივრცის პირისპირ აღმოჩნდა.

ჟანინმა ნელა მოავლო თვალი ჰორიზონტს. სწორ რკალზე, მცირე რამ საგანიც არ სჩანდა. ქალის ფერხთით არაბული ქალაქის მოთეთრო-მოცისფრო ეზოები გადაჭიმულიყო. სახლების კედლებზე სისხლივით ღუოდა მზეზე გამოკიდული წითელი წიწაკა. კაცის ჭაჭანება არ იყო, მაგრამ ეზოებიდან ყავის ნაზ სურნელს მხიარული სიცილი და ნაბიჯების ყრუ ხმა მოჰყვებოდა. მოშორებით, თიხის კედლებით უწესო ოთხკუთხედებად დაყოფილი პალმების რიგს ქარი არხევდა. კიდევ უფრო შორს, თვალის გადაწვდენამდე, რუხი, უსიცოცხლო უდაბნო გართხმულიყო. მხოლოდ დამშრალ მდინარესთან, პალმების ძირში შეყუჟულ ოაზისზე მოჩანდა რამდენიმე შავი კარავი. ერთ ადგილზე დაყუდებული აქლემები, აქედან თვალს ძლივს რომ მიატანდი, უცნობი, ძნელადამოსაკითხავი ხელნაწერის ასოებივით გაფანტულიყვნენ ნაცრისფერ მიწაზე. უდაბნოს თავზე მდუმარე სივრცე გამეფებულიყო.

გალავანზე გადაზნექილი ჟანინი თვალს ვერ აშორებდა მის წინ გადაჭიმულ სიცარიელეს. გვერდით მარსელი ფუსფუსებდა. მას სციოდა და ქვევით ჩასვლა უნდოდა. აბა, რა უნდა ენახათ აქ? მაგრამ ჟანინი ჯიუტად მისჩერებოდა ჰორიზონტს და ეჩვენებოდა, რომ იქით, სამხრეთისკენ, სადაც ცა მიწას უერთდებოდა, რაღაც ელოდა, რაღაც ისეთი, რაზეც აქამდე წარმოდგენა არ ჰქონდა და რაც მუდამ ესოდენ აკლდა. საღამო ახლოვდებოდა და დღის ნათელი ნელა ილეოდა. სინათლის კრისტალები წვეთებივით ეცემოდა მიწაზე. ამ ადგილებში შემთხვევით შემოხეტებული ქალის გულში წლების, ჩვევებისა და მოწყენილობის მიერ განასკვული კვანძი თანდათანობით იხსნებოდა. იგი მომთაბარეთა ბანაკს გაჰყურებდა. კარვებს სიცოცხლის ნიშანწყალიც არ ეტყობოდა, მაგრამ ქალი მობანაკეებზე ფიქრობდა, რომელთა არსებობის შესახებ ერთობ ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდა. სამყაროსგან განდგომილი, მიუსაფარი ერთი მუჭა ადამიანები უთავბოლოდ დაეხეტებოდნენ ამ უზარმაზარ სივრცეზე, რომელიც ახლა ქალის თვალწინ გადაშლილიყო. მაგრამ ეს ერთი მცირე ნაწილი იყო, გაცილებით უფრო დიდი არესი, რომლის თავბრუდამხვევი სრბოლა აქედან ათასობით კილომეტრზე წყდებოდა, იქ, სადაც წყალუხვი მდინარის პირას ტყე აზიდულიყო. ამ გამომშრალ, ხრიოკ მიწაზე უხსოვარი დროიდან შეუსვენებლივ დააბიჯებდნენ უპოვარი, მაგრამ თავისუფალი ადამიანები, უცნაური სამეფოს უბადრუკი გამგებლები. ჟანინს ვერ გაეგო, რატომ მოეახლა, ამის გა-

ფიქრებაზე, ნაზი და უზომო სევდა, იმდენად მწველი, რომ ქალმა თვალებიც კი მოხუჭა. მხოლოდ ერთი იცოდა: ეს სამეფო მისი აღთქმული ქვეყანა იყო, რომლისკენაც ისწრაფვოდა და რომელშიც ვერასოდეს შეაღწევდა, გარდა იმ წამისა, როცა ისევ გაახელდა თვალს და უძრავ ზეცას ახედავდა. ქალაქის ხმაური ერთბაშად მიწყდა. ქალს მოეჩვენა, რომ სამყარო გაქვავდა და გაიყინა. ახლა უკვე არვინ არროდეს დაბერდებოდა და არც მოკვდებოდა. თვით სიცოცხლეც წამით შეყოვნდებოდა. მხოლოდ მის გულში, ვიღაც უხილავი აღტყინებისა და სიმწრისგან ხმამაღლა მოსთქვამდა.

ერთბაშად, დღის სინათლე თითქოს შეიძრა, ცივი მზე დასავლეთით გადაიწვერა და ზეცა ვარდისფრად აანთო. აღმოსავლეთით ნაცრისფერი ნისლი აიზიდა და სივრცეს მოედო. სადღაც ძაღლმა დაიყმუვლა და შორით წამოსულმა ხმამ ჰაერი აავსო. აცივდა. ჟანინმა შეამჩნია, რომ კანკალებდა. „გავიყინებით, — თქვა მარსელმა. — ნუ სულელობ, უკან დავბრუნდეთ“. მერე უხერხულად ჩაავლო ქალს ხელი. ჟანინი მორჩილად მიჰყვა ქმარს. მოხუცმა არაბმა ზანტად გაადევნა თვალი კიბეზე ჩამავალ წყვილს. ჟანინი ვერაფერს ამჩნევდა, საშინელი დაღლილობის სიმძიმემ მხრებში მოხარა. ფეხებს ისე მიათრევდა, თითქოს დაოსებული სხეულის ტარება უჭირსო. წამიერმა აღტყინებამ გადაუარა. იგრძნო, რომ იმ სამყაროსთვის, რომელშიც ფეხის შედგმას აპირებდა, მოუხეშავი, დიდი, სქელი და ძალზე თეთრი იყო. ამ მიწაზე მხოლოდ ბავშვს, ყმაწვილ ქალს და კიდევ აფთარს უნდა ეცხოვრა. ჟანინს კი ისღა დარჩენოდა, რომ სიკვდილამდე, ერთხელ და სამუდამოდ გაკვალული გზით ევლო.

როგორც იქნა, რესტორნამდე მიფრატუნდა. მარსელი ან ჩუმად იყო, ან იმას წუწუნებდა, ამ ხეტიალმა არაქათი გამომაცალაო. ჟანინი გრძნობდა, რომ გაცივდა, მაგრამ ციებას არც თუ ისე უძალიანდებოდა. ლასლასით ავიდა ოთახში და ლოგინში ჩაწვა. მარსელიც გვერდით მიუწვა და დაუკითხავად ჩააქრო სინათლე. ოთახში ციოდა. ჟანინს სიცხემ აუწია, მაგრამ სიცივეს მაინც ვერ მოერია. სუნთქვა უჭირდა. სისხლი ახლა უფრო სწრაფად მოძრაობდა ძარღვებში, მაგრამ ესეც ვერაფერი შველა იყო: სიცივე ძვალ-რბილში გაუჯდა. რაღაც უცნაური შიში დაეუფლა. ჟანინმა გვერდი იცვალა და ლოგინმა დაიჭრიალა. არა, ავადმყოფობას არ დაემორჩილება. ქმარს ეძინა, ჰოდა, მანაც უნდა დაიძინოს. ასე აჯობებს. სარკმლიდან ქალაქის ხმაური აღწევდა. მავრიტანული კაფეების მოშლილი პატეფონები რაღაც მელოდიებს უკრავდნენ. ჟანინი ძლივს არჩევდა მუსიკას, რომელიც ადამიანების ყაყანს ერთვოდა. უნდა დაიძინოს. მაგრამ გონებაში ისევ იმ შავ კარვებს ითვლიდა და თვალწინ ის აქლემები ედგა. ჟანინს უსაზღვრო სიცარიელის გრძნობა დაეუფლა. რა ძალამ მოიყვანა აქ? აი, სწორედ ამ კითხვაზე ჩაეძინა.

ცოტა ხანში გამოიღვიძა. ირგვლივ სამარისებური სიჩუმე იდგა. სადღაც, ქალაქის ბოლოში, ხმაწართმეული ძაღლები თავგამოდებით უყეფდნენ ღამეს. ჟანინს შეაკანკალა, გვერდი იბრუნა და ქმრის შეხება იგრძნო. ნახევრად მთვლემარე ქალი ქმარს მიეკრა. ძილის ზედაპირზე მიცურავდა და ქმრის მხარს ეჭიდებოდა, თითქოსდა ერთადერთ მშველელად იგი ეგულებაო. რაღაცას ჩურჩულებდა, მაგრამ თვითონაც არ ესმოდა საკუთარი ხმა. მარსელის სხეულის სითბოს გრძნობდა მხოლოდ. აი, ასე იყო ყოველ ღამე, მთელი ამ ოცი წლის განმავლობაში. მუდამ ერთად იყვნენ, ერთად ავადმყოფობდნენ და ერთად მოგზაურობდნენ. აბა, სახლში მარტოდ დარჩენილს რა უნდა ეკეთებინა? ბავშვებიც არ ჰყავდა მოსავლელი. ვინ იცის, შეიძლება სწორედ ეს აკლდა? ისღა რჩებოდა მარსელს გამობმოდა კუდში. იმის შეგრ-

ძნებაც ჰყოფნიდა, რომ ვიღაცას სჭირდებოდა. მარსელთან სიახლოვე ამ სიხარულს მაინც ანიჭებდა. რა თქმა უნდა, ქმარს არ უყვარდა. სიყვარულს, თუნდაც სიძულვილნარევს, ასეთი კუშტი სახე არა აქვს. ჰო, მართლა, როგორი სახე აქვს მარსელს? ისინი მხოლოდ ღამით, სიბნელეში ეალერსებოდნენ ერთმანეთს. მაგრამ არსებობს კი სხვა სიყვარული, რომელიც სიბნელეს უფრთხის და სინათლეს უხმობს? ესეც არ იცოდა. ერთს კი ცხადად ხედავდა: მარსელს იგი სჭირდებოდა და ეს შეგრძნება ქალს გულს უკეთებდა. დღე და ღამე ამით სულდგმულობდა, განსაკუთრებით ღამით, როცა მარსელი მასთან სიახლოვით სიმარტოვეს, სიბერესა და სიკვდილს გაურბოდა. იმ წუთებში ქმარს გაბუტული ბავშვის იერი ჰქონდა და ეს იერი სხვა მამაკაცებს ამგვანებდა. ამ დამთხვეულ მამაკაცებს, ყველას ერთნაირი გამომეტყველება აქვთ, სანამ გონიერების ნიღაბს ეფარებიან და სანამ, უცნაურ ვნებას აყოლილნი, თავდავიწყებით არ მოისურვებენ ქალის სხეულს, რათა, სურვილებისაგან დაცლილნი, რაც შეიძლება ღრმად ჩაიძირონ მასში და მყისვე დაივიწყონ სიმარტოვისა და ბნელი ღამის საშინელებანი.

მარსელი ძილში შეინძრა, თითქოს გვერდზე გაწევა სურსო. არა, ქმარს იგი არ უყვარდა. უბრალოდ, აფრთხობდა ყოველივე, რაც ჟანინის გარეთ არსებობდა. დიდი ხნის წინ უნდა დაშორებოდნენ ერთმანეთს და ცალ-ცალკე უნდა სძინებოდათ. ასე იქნებოდა ბოლომდე. მაგრამ შეუძლია კი ვინმეს მუდამ სიმარტოვეში ძილი? შეიძლება მხოლოდ იმას, ვინც უბედურებამ ან, ვინ იცის კიდევ რამ, სხვებს ჩამოაცილა და ვინც ყოველ ღამით სიკვდილს უზიარებს სარეცელს. მარსელი ამის კაცი არ იყო. უსუსურ და ღონეგაცლილ ბავშვს მოგაგონებდათ. სულ მცირე ტკივილიც კი აშინებდა. სწორედ რომ ბავშვი იყო, მისი ბავშვი, რომელსაც მოვლა-პატრონობა სჭირდებოდა. მარსელმა ამოიოხრა. ჟანინი კიდევ უფრო მიეკრა ქმარს და მკერდზე ხელი დაადო. მერე ჩუმად წარმოთქვა მისი სასიყვარულო სახელი, ერთ დროს რომ ეძახდა. ახლა უკვე ჟამი ჟამს, ისიც უნებურად და დაუფიქრებლად თუ გაიხსენებდნენ ამ ზედმეტ სახელს.

ჟანინი ქმარს ეძახდა. ეს გულიდან წამოსული ძახილი იყო. ჟანინისაც სჭირდება იგი; სჭირდება მისი ძალა და მისი უცნაური ახირებანი. მასაც აშინებს სიკვდილი. „ეს შიში თუ დავძლიე, ჩემზე ბედნიერი არავინ იქნება“ — ხშირად უფიქრია ქალს. უეცრად კაეშანი მოეძალა. ამ გრძნობისთვის ზუსტი სახელი ვერ მოენახა. მარსელს გაერიდა. არა, შიშის დაძლევას ვერა და ვერ შესძლებს. თუ ასეა, ბედნიერებასაც ვერ ეღირსება. ისე მოკვდება, რომ თავისუფლებას თვალსაც ვერ შეავლებს. ჟანინს გული უღონდებოდა; ვეებერთელა სიმძიმე, რომელიც ამ ოცი წლის მანძილზე ლოდივით აწვა და რომლის ქვეშ ახლაც ილაჯგაწყვეტილი ფართხალებდა, სულს უხუთავდა. განთავისუფლება ეწადა. მერე რა, რომ ვერც მარსელი და ვერც სხვები ვერასოდეს ვერ ეღირსებიან თავისუფლებას. ძილი გაუკრთა, საწოლზე წამოჯდა და ძახილს მიაყურადა, რომელიც სულ ახლოს ისმოდა. ღამეულ სივრცეში მხოლოდ ოაზისის ძაღლების გაბმული და მოუღლელი ყეფა ისმოდა. სუსტი ქარი პალმების ტოტებს ეჩურჩულებოდა. ქარი სამხრეთიდან უბერავდა, იქიდან, სადაც ცა და მიწა ერთ წერტილში გაყინულიყო და სადაც არც არავინ ბერდებოდა და არც კვდებოდა. მერე ქარის ხმაური მიწყდა. ახლა მხოლოდ ის უწინდელი ძახილი ესმოდა. შეეძლო ყური არ ეთხოვა ამ ხმისთვის, მაგრამ ისიც კარგად იცოდა, რომ თუ არა ახლა, თუ არა ამ წუთს, მერე უკვე ვეღარასოდეს ვერ შეიცნობდა ამ ძახილის აზრს. დახანება არ შეიძლებოდა.

ჟანინი უხმაუროდ წამოდგა, საწოლთან შეყოვნდა და ქმრის სუნთქვას

მიაყურა. მარსელს ეძინა. ლოგინის სითბო ცივ ჰაერში გაიფანტა და ჟანინს ერჟოლამ დაუარა. ხელის ფათურით მოძებნა ტანსაცმელი და აუჩქარებლად ჩაიცვა. დარაბების ღრიჭოებიდან ქუჩის მკრთალი სინათლე იღვრებოდა. ქალმა ფეხსაცმელი აიღო და კარებისკენ წავიდა; კიდევ ერთხელ შეჩერდა და ფრთხილად გააღო კარები. ურდულმა დაიხჭრიალა და ჟანინს სუნთქვა შეეკრა. გული გამალებით უძგერდა. სმენა დაძაბა, მერე მხნეობა მოიკრიბა და კიდევ ერთხელ მოსინჯა ურდული. რაზის გაუთავებელი ტრიალი გულს უწვრილებდა. ბოლოს, როგორც იქნა, კარი გაიღო, ჟანინი ღიობში გაძვრა და ისევ ისე ფრთხილად მოიხურა კარი. მერე ლოყით ფიცარს აეკრა და დაელოდა. ოთახიდან მარსელის სუნთქვა ისმოდა. ჟანინი შემობრუნდა და სირბილით გაუყვა დერეფანს. ღამის ცივი ნიავი სახეში სცემდა. სასტუმროს კარები დაკეტილი დაუხვდა. სანამ სახელურს აწვალებდა, დარაჯმაც გაიღვიძა, კიბის თავზე გადმოდგა და ქალს არაბულად გამოელაპარაკა. „ახლავე დავბრუნდები“ — მიაძახა ჟანინმა და სიბნელეს შეერია.

პალმებისა და სახლების თავზე ვარსკვლავები მტევნებად ეკიდა. ჟანინი ციხე-სიმაგრისკენ მიმავალ, უკაცრიელ ქუჩაზე გარბოდა. სიცივე, რომელსაც მზე აღარ უძალიანდებოდა, ღამეს ავსებდა. ცივმა ჰაერმა ჟანინს ფილტვები დაუსუსხა. ქალი მთვარეულივით მირბოდა სიბნელეში. უეცრად, ქუჩის ბოლოს აწრიალებულმა სინათლემ თვალი მოსჭრა. ჟანინი შეჩერდა და სულ უფრო და უფრო მომძლავრებულ სინათლეში არაბული მოსასხამი დალანდა. მერე, მოსასხამის ქვეშ ველოსიპედის ბორბლებიც გაარჩია. მოსასხამის კალთები ქალს წამოედო, სამმა ბრჭყვიალა თვალმა სიბნელე გაჰკვეთა და ზურგს უკან გაუჩინარდა. ჟანინმა ისევ ციხე-სიმაგრისკენ აიღო გეზი. ის იყო კიბე სანახევროდ აიარა, რომ ცივმა ჰაერმა კვლავინდებურად აუწვა გულმუცელი. ცოტაც და ჩაიმუხლებდა. ჟანინმა თავს ძალა დაატანა, კიბე აათავა და გალავანს მიეყრდნობილ-ქლოშინებდა, სუნთქვა ეკვროდა და თვალთ უბრმავდებოდა. რბენამ ვერ უშველა, სიცივე ტანში ჰქონდა გამჯდარი, მაგრამ ცივ ჰაერს, რომელიც აქამდე პირში ეხლებოდა, ახლა სვენა-სვენებით ყლაპავდა და მალე სხეულში სითბო ჩაეღვარა. ჟანინმა თვალები გაახილა და ბნელით მოცულ სივრცეს გახედა.

არავითარი ხმა, არავითარი სუნთქვა არ არღვევდა სიმარტოვესა და სიჩუმეს, რომელიც ქალს გარს ეკრა. სიცივისგან დამსკდარი და მტვრადქცეული ქვების ხრჭიალი ისმოდა მხოლოდ. უცებ ჟანინის თავს ზემოთ ზეცა დატრიალდა. ღამის სქელ სიბნელეში ახალ-ახალი ვარსკვლავები იბადებოდნენ და ნელა, მძიმედ ეშვებოდნენ ჰორიზონტისკენ. ჟანინი თვალს ვერ აშორებდა მოძრავ ნაპერწკლებს. ისიც თითქოს ვარსკვლავთა ბილიკს მიჰყვებოდა. ამ გზას ქალი საკუთარი არსების სიღრმეში მიჰყავდა, სადღაც სიცივე და მხურვალე ვნება ერთმანეთს შესჭიდებოდა. მის თვალწინ, ციურ თაღს მოწყვეტილი ვარსკვლავთა გუნდი უდაბნოს ქვებში უჩინარდებოდა. ჟანინი სულ უფრო და უფრო ეხსნებოდა ღამეს. ყოველივე დავიწყებას მიეცა: — სიცივე, არსებობის სიმძიმე, დუნე თუ გიჟური ცხოვრება და სიკვდილ-სიცოცხლის დაუსრულებელი კაეშანი სადღაც შორს გადაიხვეწა. რამდენი წელია შიშს გაურბის, უმიზნოდ დაეხეტება და აჰა, როგორც იქნა შეჩერდა. ჟანინი იმასაც გრძნობდა, რომ ბოლოს და ბოლოს საკუთარ ფესვებს მიაგნო და მათი მაცოცხლებელი წვენი ახლა ძარღვებში უდუღდა. სიცივეზე აღარ ფიქრობდა. გალავანს მიყრდნობილი, ატორტმანებულ ზეცას მისჩერებოდა და ელოდებოდა, როდის ჩაუდგებოდა გული საგულეს, რომ იქაც იდუმალებას დაესადგურებინა. ციურმა მნათობებმა ვარსკვლავების უკანასკნელი მტევნებიც გადმოაფრქვია უდაბნოს. ზეცა გაქვავდა.

და მაშინ ღამის მდინარემ ენითუთქმელი ნეტარებით აღავსო ჟანინი. უხილავი ტალღა მისი არსების სიღრმეებში იშვა და ოხვრამიყინულ ტუჩებამდე ამოიზიდა. გადმოპირქვავებული ზეცა თავზე გადაეფარა ქალს.

ოთახში რომ დაბრუნდა, ქმარს ისევ ეძინა. მაგრამ გვერდით რომ მიუწვა, მარსელმა რაღაც წაიბურტყუნა და ერთბაშად საწოლზე წამოჯდა. რაღაცას ლაპარაკობდა, მაგრამ ჟანინს არაფერი ესმოდა. ქმარი წამოდგა და სინათლე აანთო. კაშკაშა შუქმა ჟანინს თვალი მოსჭრა. მარსელი პირსაბანთან მივიდა და მინერალური წყლის ბოთლი მოიყუდა. მერე უკან გამობრუნდა, საბანი ასწია, ცალი მუხლით საწოლს დაეყრდნო და ის იყო ლოგინში უნდა შეგორებულიყო, რომ უცებ შეყოვნდა და ცოლს შეხედა. უაზროდ უყურებდა ქალს და ვერაფერს ხვდებოდა. ჟანინი გულამომჯდარი ქვითინებდა, ცრემლი ღვარად სდიოდა და ჩუმად, ძალიან ჩუმად იმეორებდა: „არაფერია, ძვირფასო, არაფერი...“

ფრანგულიდან თარგმნა **გიორგი ეკიზაშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

მირონ ხერგიანი

სადამდე ივლის ქარავანი?..

არც თუ იშვიათად სხვადასხვა სოციალური ფაქტორების გავლენით ახალგაზრდობაში ადრეული ასაკიდანვე თანდათანობით ყალიბდება ამხანაგობები, ხშირად ერთი სკოლის მოსწავლეებიც კი ზნეობრივ-მორალური, ეთიკური და ფილოსოფიური მსოფლმხედველობის თვალსაზრისით იმდენად შორდებიან ერთმანეთს, რომ საერთო ენას კარგავენ. „დედიკოს ბიჭების“ ერთ ნაწილში ფესვებს იდგამს ჩვენთვის მეტად უცხო და საშიში ელიტარული განწყობილებანი, რაზეც, სხვათა შორის, ამ ბოლო დროს ხშირად ამახვილებს ყურადღებას ჩვენი პარტია და მთავრობა. სწორედ ამ ელიტარული, სხვათა ზედა მოყელზეითე და აქედან გამომდინარე ცრუამპარტავნული, უტილიტარულ-ნიჰილისტური განწყობილებიდან იღებს სათავეს ჩვენი საზოგადოების მიერ ათეული წლების მანძილზე სისხლისა და ოფლისღვრის ფასად მოპოვებული სულიერი და მატერიალური ფასეულობებისადმი, სოციალური სიკეთეებისადმი მომხმარებლური დამოკიდებულების მავნე სენი და ასევე სახალხო მეურნეობის დარგებში არსებული მუშახელის მწვავე დეფიციტი, უსაქმურთა თვალში საცემი ხვედრითი წილი ახალგაზრდობაში. ერთი სიტყვით ყველა ის ნეგატიური მოვლენა, რომლის წინააღმდეგაც ასეთ დაუნდობელ ბრძოლას აწარმოებს რესპუბლიკის პარტია და მთავრობა.

ამ ბოლო დროს ბევრი დაიწერა ჩვენთან კადრების აღზრდის საქმეში არსებულ ხარვეზებზე, დაისაჯნენ კიდევაც დამნაშავენი.

ხოლო, რაც შეეხება უმაღლესში მისაღები გამოცდების მიმდინარეობას, ამ სფეროში მართლაც კოლოსალური მუშაობა გასწია რესპუბლიკის ცენტრალურმა კომიტეტმა — სასურველმა შედეგმაც არ დააყოვნა, დღეს ყველამ ირწმუნა, რომ ჭეშმარიტი ცოდნა არ იკარგება, მაგრამ ცხოვრება წინ მიდის და კრიტერიუმებისა და ფორმების დახვეწის პროცესი კვლავაც გრძელდება. ახლა მთავარია აქა-იქ კვლავ არ გაგვეპაროს სადმე ამ, ეგრეთწოდებული, „დედიკოს ბიჭებისადმი“ ლოიალური დამოკიდებულებანი.

ამგვარი შეღავათებით მოწყობილი ახალგაზრდობისაგან საზოგადოებრიობა ბევრ სიკეთეს არ უნდა მოელოდეს. სადაც სარფია იქ ყველაფერი ანგარებასა და ბიზნესს ემორჩილება. ჯანმრთელობის დაცვის სფეროში არსებული მდგომარეობის თაობაზე კრიტიკული სულისკვეთებით განმსჭვალული ვრცე-

---

გაგრძელება. იხ. „მნათობი“, № 3.

8. „მნათობი“, № 4.

ლი მოხსენება გააკეთა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე 1983 წლის 19 ნოემბერს. ამ კრებამდე ერთი წლით ადრე კი ცენტრალური კომიტეტის ბიუროს სხდომაზე ანალოგიურ საკითხებზე იყო აგრეთვე მეტად პრინციპული და საქმიანი საუბარი. ერთი სიტყვით, რესპუბლიკის ხელმძღვანელობა, როგორც ეს ზემოთაც მრავალგზის აღინიშნა, უკომპრომისო ბრძოლას ეწევა ჩვენი ცხოვრების ყველა უბანზე წესრიგის დასამყარებლად, დანარჩენი კი, როგორც იტყვიან, ჩვენს მოქალაქეობრივ შემართებულობასა და პრინციპულობაზე, მამულიშვილურ მოწადინებულობაზეა დამოკიდებული.

რამდენადაც ზემოთ აღნიშნული საკითხების წრე მჭიდროდ არის დაკავშირებული დემოგრაფიულ ვითარებასთან კვლავ და კვლავ ჩვენს წინაშე მთელი სისრულით დგება პრობლემა ახალგაზრდობის ერთი კატეგორიისა, რომელიც ყველაზე ნუგბარ ლუკმას დაჩვეული, ასევე გაუჯელად და ხელის გაუნძრევლად ეტანება ყველა სიკეთეს;

ისინი არც სამხედრო სამსახურით იცხელებენ მაინცდამაინც ქედს, ბოლოს კი რა შედეგი მოაქვს ყოველივე ამას? ძალიან ცუდი! დაუფარავად უნდა ითქვას ამის შესახებ... ეს დაუმსახურებელი ნაირნაირი დივიდენდები მათში მომხმარებლურ ხასიათსა და ეგოისტურ ბუნებას აყალიბებს; შეიძლება ეს კატეგორია სხვებზე ინფორმირებულიც იყოს, სხვებზე განათლებულიც, დახვეწილიც და გარეგნულად წარმოსაჩენიც, მაგრამ თუ კი მათ სულს ასეთი ქვენა ზრახვები, უტილიტარული მისწრაფებანი და მომხმარებლური დამოკიდებულებანი ამოძრავებს ყველა ამ უპირატესობას რა ფასი აქვს საზოგადოებისათვის? სამწუხაროდ, არავითარი.

ასეთ ადამიანებში ეს განათლებულობა და სხვა, ვითომ ინტელიგენტური კომპონენტები, საშიშ მნიშვნელობას იძენენ. აქ შეიძლება გავიხსენოთ ამ რამდენიმე ხნის წინ საქართველოში სტუმრად მყოფი ნობელის პრემიის ლაურეატის ჰაინრიჰ ბიოლის შეფასება გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მაშინდელი ხელმძღვანელის პიროვნებისა. შეკითხვაზე, თუ რა აზრისა იყო იგი გერმანიის იმჟამინდელ კანცლერზე და მის პოლიტიკაზე, ჰაინრიჰ ბიოლმა განაცხადა, რომ იგი გაცილებით არჩევდა ასეთი საშუალო დონის ადამიანური ზომიერებით აღჭურვილ სახელმწიფო მოღვაწეს, რამდენადაც რეაქციონერებსა და „ექსტრავაგანტ ჭკუის კოლოფებს“ გერმანიისათვის არასოდეს არავითარი სიკეთე არ მოუტანიათო, პირიქით, იგი დაღუპვის პირამდე მიიყვანესო.

დაახლოებით იგივე ითქმის ნებისმიერი დარგის სპეციალისტზედაც, რომელსაც სწორედ ეს მრავალმნიშვნელოვანი „ადამიანური ზომიერება“ აკლია. მართლაც ძალიან ცოტას ნიშნავს ერთადერთი განათლება და ინფორმირებულობა, გინდაც იგი ენციკლოპედიური იყოს თუ კი ეს მისი ღვთით ბოძებული ნიჭი და შეძენილი ცოდნა ხალხისა და საზოგადოების სამსახურისთვის არ არის მოწოდებული.

საკითხავია, რა როლს თამაშობს ეს „ადამიანური ზომიერება“ დემოგრაფიასთან მიმართებაში?

რამდენადაც ყველა დებულება და მოსაზრება მტკიცე ფაქტობრივ მონაცემებს უნდა ეყრდნობოდეს, რესპუბლიკაში შობადობისა და დემოგრაფიის ურთიერთმიმართების წარმოსაჩენად მოვიყვან საკავშირო სტატისტიკური სამმართველოს მონაცემებს. ამ მონაცემების მიხედვით საქართველოში ყოველ ათას კაცზე 1981 წელს დაიბადა 18,2 ბავშვი, აზერბაიჯანში — 26,3; სომხეთში — 23,4; ხოლო ყოველ ათას კაცზე ამავე წელს დაიღუპა საქართველოში — 8,61, აზერბაიჯანში — 6,9 სომხეთში კი —

5,3 ადამიანი. აქედან გამომდინარე ჩვენთან მოსახლეობის მატებამ ათას კაცზე შეადგინა 9,6 ადამიანი, აზერბაიჯანსა და სომხეთში კი შესაბამისად 19,4 და 18,1 ადამიანი. ამაზე ზემოთაც გვქონდა საუბარი, მაგრამ ახლა იგივე მონაცემები გვჭირდება სხვა ასპექტის ნათელსაყოფად, კერძოდ, ჩვენს რესპუბლიკაში სიკვდილიანობის მაღალი დონის საილუსტრაციოდ. და მით უფრო მიუტევებლად გვეჩვენება ეს მოვლენა, რომ ექიმების რაოდენობის მიხედვით ორივე რესპუბლიკას ვუსწრებთ!!! რა თქმა უნდა. ამ ფაქტს ერთმნიშვნელოვანი ახსნა არ დაეძებნება და ამას არცა ვცდილობთ, მაგრამ შექმნილი ვითარება, რომ ღრმა გაანალიზებას საჭიროებს ამაზე ორი აზრი არ შეიძლება რომ არსებობდეს. ასეთი გაანალიზება თუ არ წაადგება დაშავებით არაფერს ავნებს ამ მნიშვნელოვან პრობლემას.

უცნაურია, მაგრამ ათას სხვა ობიექტურ თუ არაობიექტურ მიზეზთან ერთად ჩვენი რესპუბლიკის მოსახლეობა, მეტადრე კი ქართველი ქალების ერთი კონტიგენტი რატომღაც „დედობისათვის უკუჩვენების მქონე მძიმე „სამედიცინო მდგომარეობითაც“ გამოირჩევა“. ნათქვამის საილუსტრაციოდ მოვიყვანთ მრავალთაგან ერთ ამონაწერს ჟორდანიას სახელობის ადამიანის გენერაციული ფუნქციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მასალებიდან — „რეპროდუქტოლოგიის“ სოციოლოგიურ-დემოგრაფიული და კლინიკურ-ექსპერიმენტული ასპექტები“:

ერთ-ერთ დიდ რაიონში (რაიონს შეგნებულად არ ვასახელებთ თუნდაც იმიტომ, რომ ქვემოთ აღნიშნული მდგომარეობა, მცირე გამონაკლისის გარდა, ერთნაირია მთელი რესპუბლიკისათვის) „ქალების გამოკვლევისას მარტო ამ, ეგრეთ წოდებული, „სამედიცინო მიზეზებით“ აღინიშნა 5.757 ადამიანის დანაკარგები. თუ გავითვალისწინებთ ბუნებრივი უნაყოფობის წილს, რომელიც მთელი ამ „ზარალის“ 10,3% შეადგენს, მაშინ გამოდის, რომ წმინდა სამედიცინო მიზეზებით დაკარგულ 5.360 ადამიანი. ოცი წლის მანძილზე ანალოგიური დანაკარგები მთელი რაიონის მასშტაბით შეადგენს, დაახლოებით, 45.333 ადამიანს, რაც ამ ადმინისტრაციული ერთეულის მთელი მოსახლეობის 60% გახლავთ“.

ზემოთქმული საშინელ ჭმუნვას აღძრავს ადამიანში და ჩვენის მხრიდან რაიმე დამატებას არ საჭიროებს. მაინც გავუსვამდით ხაზს იმ მდგომარეობას, რომ მთელი ამ უაზრო და გაუმართლებელი ზარალის ძირითად მიზეზთა-მიზეზს ზემოთ ჩვენს მიერ მრავალგზის დაგმობილი — „აბორტმახერობა“ წარმოადგენს.

ზემოთ მოყვანილი რაიონის მაჩვენებლები მთელი რესპუბლიკის მასშტაბით რომ განვავრცოთ ოცი წლის განმავლობაში მთელი ეს დანაკარგები ჩვენი მოსახლეობის სამოც პროცენტს შეადგენს, ესე იგი, დაახლოებით სამ მილიონ ნახევარს!.. 1979 წლის აღწერის მონაცემებით კი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, რესპუბლიკაში ქართველების რაოდენობა არც მეტი არც ნაკლები 3.571 ათას ადამიანს შეადგენდა.

რაღა გამოდის, ჩვენ ამ ოხერტიალი „სამედიცინო მიზეზებით“ ორი ათეული წლის განმავლობაში დავკარგეთ ქართული მოსახლეობის ის კონტიგენტი, ჩვენს ყველა ამჟამინდელ სატკივარს რომ მალამოდ დაედებოდა. აქ გასათვალისწინებელია ის ამბავიც, რომ ჩვენს რესპუბლიკაში მცხოვრებ ზოგიერთ სხვა ეროვნებებში ბავშვის მოცილების იძულებითი შემთხვევები გაცილებით ნაკლებია ქართველებისაზე. ასევე, ხომ ცნობილია, რომ „აბორტმახერების“ რეალური მონაცემები გაცილებით მეტია ფიქსირებულზე;

დემოგრაფიული კრიზისის ზღვარზე შემდგარ რესპუბლიკაში ამ ხნის მანძილზე ორნახევარი, ჰა, ორი მილიონი სიცოცხლის დანაკარგს ეხუმრები?

ჩვენს საქციელს არავითარი გამართლება არ ეძებნება!

ეს ფაქტიც, თუ შეიძლება ასე ითქვას, ჩვენი უცნაური „ხელგაშლილობის“ საოცარი მაგალითია, ღმერთმანი!

მაგრამ ხელგაშლილობა გასაგებია სუფრასთან, რესტორანში...

ხელგაშლილობა ყველგან და ყველაფერში?..

ალბათ ამიტომაც გვჭირს სხვადასხვა საჭირველი. უფრო ხშირად ვანიავებთ „ქონებას“ ვიდრე ვაბევრებთ მას ყოველწლიური ნამატით. არც თუ იშვიათად ძველთაგან მოყოლებული მავანმოშურნეთა მზაკვრული ლიქნითა და თვალთმაქცური ქეზებით გალაღებულნი, კვლავ და კვლავ გავცემდით თამასუქებს და მეზობლებისაგანაც რაიმე ჭკვიანურის გადმოღებას არ ვესწრაფვოდით. არა, და, იყო ბევრი რამ გადმოსაღები, მაგრამ ჩვენივე თავმოყვარეობა არ გვაძლევდა ალბათ ამის საშუალებას...

ასე მგონია. არ ვიცი, შეიძლება ვცდებოდე რამეში...

* * *

— ნაფშირივ ლაგვჰოდენა, ჰო!..

მაგრამ ისევე, როგორც ლოცვა-კურთხევა, განკიცხვა და წყევლა-კრულვაც არსებობს მთათა ქვეყანაში, ოღონდ ერთი თუ მისხის-მისხისა და მოყვარისთვისაა განკუთვნილი, მეორე მტრისად აღევლინება ზეცაში.

— პაიდანშერშალუ ამხვეტელი გუშგვეი ამახვ ი ორგვილ! — პაიდანებივით ამომწყდარაო, ჩვენი მტერი და ორგულიო!... — შერისხავდა ბოროტმოქმედს, ქურდსა თუ ავაზაკს, შინაურსა თუ გარეშეს სოფლის კრებაზე ჭაღაროსანი მახვში და ნათქვამის განსამტკიცებლად რკინისწვეტიან მუჯირას დააბაკუნებდა მიწაზე.

— პაიდანშერშალუ ამხვეტელი, პაიდანშა ვობუ ხაარ!.. — დაიქუხებდა ხალხი. — პაიდანების ბედ-იღბალი დაჰბედებოდესო!

მაინც ვინ იყო ეს პაიდანი, რა ბედი ეწია ასეთი მასა და მის მოდგმას, რომ საუკუნეების მერმეც კი ხალხს ერჟოლად უვლის ტანში მისი გახსენება? რას გვეტყვის პაიდანშერებზე ბიძია ქელეშბი, მრავლისმომსწრე და მრავლისმნახველი მოხუცი, ვინაც უამრავი ძველისძველი გადმოცემა ზეპირად იცის და სოფლის ჩენილობისა და მახვშობის წყალობით საქვეყნო საქმეებშიაც არა ერთხელ და ორჯერ მიუღია მონაწილეობა?

ვისაც პაიდანის ბედიც, სამწუხაროდ, არა ერთხელ უსურვებია მტრისა და დუშმანისათვის, ავაზაკისა და ქვეყნის დამქცევისათვის?

— რას გვეტყვით პაიდანზე, ბიძია ქელეშბი?

მოხუცმა ერთხანს იყუჩა. საკუთარ ფიქრებში ჩაღრმავდა, თითქოს გრძელი და სევდიანი ამბის მოსათხრობად ძალას იკრებდაო, მერმე კი ნაღველშეპარული ხმით დაიწყო:

— ზოგსა, ბუბა ლადაღ სი, პაიდანების ამბავი გასართველი ზღაპარი ჰგონია და მეტი არაფერი, მაგრამ ასე როდია. ეჰ, ნეტავი კი ასე იყოს და მე რაღაზე ვიქნებოდი ვითომ წინააღმდეგი, მაგრამ იმ მწარე ისტორიაში, სამწუხაროდ, უფრო მნიშვნელოვანი და ჭკუისასწავლებელი რამ უნდა იგულისხმებოდეს, მგონია... ჩვენებური ძველი ჩენილები და მახვშებიც, ვისაც კი ვიცნობდი, აცხონოს იმათი ნათელი სული უფალმა, რამდენადაც მახსოვს, ასე ფიქრობდნენ ამ საკითხზე. თუმცა, ჰო, გავეროე. ეგ ოხერი მიეთ-მოეთითა, თქვენ პაიდანის ისტორია გაინტერესებთ, არა? — თითქოს შეცბაო მოხუცი.

— არა, ბიძია ქელეშბი, ამ ამბავთან დაკავშირებით ყველაფერი საინტერესოა. თქვენ ოღონდ მოგვიყევით და... — დავამშვიდე ტკბილმოუბარი მოხუცი.

— იყო დრო, როცა ოჯახი, საძმო თუ გვარი კოშკების სიმრავლით ფასობდა. კოშკი გულისხმობდა საქონელს, დოვლათს, ხვავსა და ბარაქას, სიმტკიცესა და სიძლიერეს. პირველ რიგში

მაინც გვართა და ოჯახთა მრავლობას. მარტოსული ადამიანი კოშკს ვერ ააშენებდა, ვერც მრავალრიცხოვანი გვარი აღმართავდა მურყვამს თუ კი საძმოში მხედრული სიმტკიცე, ნდობა და ერთსულოვნება არ იქნებოდა, თუ კი მახვში ვერ იდგებოდა თავის სიმაღლეზე. ამიტომაც კოშკები გვარების სიძლიერის საბუთი იყო.

მაგრამ მურყვამების მშენებლობა მეათე საუკუნეში დაუწყიათ ჩვენებურებსა, მანამდე კი ადამიანთა შეძლებულობას სხვა საცნობი ნიშნები განსაზღვრავდა. მაგალითად, წისქვილი! წისქვილის დოლაბი ისეთივე ძველია, როგორც აწ ლამის გადაშენებული დოლის პური, მახა და ზანდური. ასე რომ, იყო დრო, როცა ერთგვარად წისქვილიც გვარის სიძლიერეს გამოხატავდა.

ჰქონდათ წისქვილი პაიდანშერებსაც. შრომობდნენ, იღვწოდნენ, მოიპოვებდნენ ალალ ლუკმას, არავის ჰმორჩილებდნენ და არც არავის სჩაგრავდნენ. მიდიოდა დრო ზანტად, ხან დალხინებით, ხანაც გაჭირვებით, მათაც მხნედ გაჰქონდათ თავისი ლელო.

საფრთხის ჟამს ქამარ-ხანჯალს შემოირტყამდნენ, მომხვდურს ეძგერებოდნენ, გვარსა და ოჯახს მეომრები აკლდებოდა, მაგრამ ახლები დგებოდნენ იმათ რიგში და ასე მოიწევდნენ აქეთ და აქეთ. წისქვილის ღარში წყალს ჩქაფანი გაუდიოდა, დოლაბი ცვდებოდა, სარეკელა უკრავდა, რაც მთავარი იყო, საფქვავთან ერთად კეთილი სტუმარიც არ ილეოდა.. მიდიოდა დრო, დროის მსვლელობას ფეხაწყობილები, ჟამთამდინარების კვალობაზე დაფაცურებულნი ბობოქრობდნენ, ფხიზლობდნენ თუ თვლემდნენ პაიდანშერები: ერთი ქალაჩუნა არ ერია იმათ გვარში, ერთი ცვედანი და ქალა-ბიჭა არ ერია იმათ ჯიშ-ჯილაგში. კაცობის მუხტი მარჯვედ ფეთქავდა, ნიშანში ურტყამდა, მრავლდებოდნენ და სოფლიდან სოფელში ვრცელდებოდა მათი ნაშიერი. წისქვილი ჰქონდათ პაიდანშერებს, კაცურ-კაცობის სტუმართმოყვარეობის, გამორჩეულობისა და შეძლებულობის წისქვილი.

მაგრამ ერთხელაც... ჰო, და, მაგრამ ერთხელაც...

პაიდანშერების მახვში შებინდებისას წასულა წისქვილში, საფქვავი წაუღია ჩასამატებლად, რათა ღამე დოლაბებს ცარიელზე არ ეტრიალა. კვარი დაუნთია, როგორც წესი, ლამტვარალზე, საკვარეზე შემოუდვია, და, ის იყო, გოდორს უნდა დასწვდომოდა, რათა ხვიმირში ჩაეცალა, რომ კარებში ბანჯგვლიანი დევი, ავსული შემოძურწულა.

— აქა მშვიდობაო, მისალმებია პაიდანშერების მახვშის.

— მშვიდობა მოგცეს ღმერთმაო... — უთქვამს პაიდანს, არც შეშინებულა, არც შემდრკალა და არც რაიმ ჭოჭმანი შემჩნევია კაჟივით ქორა მახვშის.

— მოგეხმარებიო, — უთქვამს ავსულს და აუწევინებია გოდორი, მერმე ფქვილის ასახვეტად დახრილა პაიდანი, ავსულსაც დაუწყია დახლში ფათური. აუხვეტიათ ფქვილი და ახლა მკლავებიდან იფქლი ჩამოუფერთხია პაიდანს. ავსულს თავისი ბანჯგვლები დაუფერთხია და ერთი ბუქი დაუყენებია წისქვილში.

ახლა წამოსაკიდებლად წასტანებია გოდორს პაიდანი.

ავსულსაც ხელი ჩაუვლია.

გამართულა ძიძგილაობა. ავსული რისი ავსული იქნებოდა, რომ პაიდანისათვის, ძეხორციელისათვის ვერ ეჯობნა ძიძგილაობასა და ღონივრობაში, წაურთმევია ფქვილით დაზეკილი გოდორი და წამოუკიდნია მხარზე.

მეტისმეტი მოუნდომებია ავსულს, ნელ-ნელა შემოეპარა, ჯერ დახმარება შესთავაზა, ვითომ დაუტკბა და სამოყვრო კბილი აჩვენა, ბოლოს როცა საქმე ფქვილზე, არსობის პურზე, მთავარზე მიდგა, წაჰგლიჯა მასპინძელს გოდორი და პატრონს ხვიშტი უჩვენა.

„მეტისმეტი მოინდომა მაგ ურჯულომ“ — გაიფიქრა პაიდანმა, მაგრამ

რა შეეძლო, რას გახდებოდა ამ რეგვენსა და ავაზაკთან, ამ მაცთურსა და ავსულთან?

„უნდა აჯობო, ჭკუით შენ უნდა აჯობო, ეგ არ უნდა წაიღოს მაგან, არ უნდა შეირგოს ურგები მაგ არამკითხემ და დაუპატიჟებელმა სტუმარმა“ — გაიფიქრა პაიდანმა და თვითონაც არ იცოდა, რისი იმედი ჰქონდა იმ წუთში.

* * *

— ბიძია ქელეშბი, თვითონა ბრძანეთ, ძნელი იყოო... მაგრამ მაინც გაზარდეთ დუქინზე მეტი შვილები და მშვენივრადაც. ახლა ისინი თავის მხრივ ამრავლებენ შთამომავლობას. თქვენის აზრით, მაინც რითია ეს მრავალშვილიანობა კარგი?

— აი, მესტიაჭალას გადახედე — ლოდებით მოფენილ რიყისაკენ გაიშვირა ხელი მოხუცმა — ერთი გადაზნექილი მურყანი ეულად დაყუდებულა ფლატეზე და ეგ არი სულ... ახლა გადაბურულ წარაფებსა და შრიალა ტყეებს ააყოლე მზერა, სულ მაღლა, ჰაწვალის მთაზე, ნაწნავიანი არყები როგორ წამოქოჩრილან... რომელია უფრო ლამაზი? ეგ რიყეზე მოღავღავე კუზიანი მურყანი თუ ეს თვალ და გულგასახარისი შრიალა ტყეები? — მრავალმნიშვნელოვნად მომიგო ქელეშბიმ.—ეგრეა მრავალი შვილიც. და გარდა სილამაზისა შვილები იმედიცაა. ჯერ ერთი, რაგინდ რკინიმკვენტელიც არ უნდა იყო, გვერდში მდგომი მაინც გჭირდება ადამიანს, სიბერეში კიდევა, წყლის მომწოდებელი და მიმპატრონებელი, გამპატიოსნებელი...

ცხოვრება ხიფათებითაა აღსავსე. ყოველის მხრიდან საფრთხე გემუქრება, შენ კი ორი თვალიღა გაბადია და ორი ხელი. ყველაფერს ვერ დაინახავ, ვერ მოიგერიებ მარტოსული ადამიანი. შვილები კიდევა კოშკის დუროებია ამ ხიფათზე დამიზნებული, მტრისად დაღერილი...

გაოდა ამისა მიწა მოფერებას ითხოვს.

ერთი კაცი ვერ აუვა მიწის სამსახურს, იგი სულიერივითაა — უნდა დაიცვას და მოუაროს პატრონმა, თორემ სხვა მოვა და ის დაიჩემებს...

ყველაზე უმცროსს მახეს დაუწნავ და ტოროლებზე სანადიროდ გაუშვებ...

მომდევნოს კიდევა სამწყემსურში უკრავ თავსა.

იმის ტყუპისცალს — დუცზედა, წართხლზე ან ბუერაზედა...

სხვებსა — სათიბად, ქვის მოსაგროვებლად, ტყეკაფში—გეგმის შესასრულებლად, ჩრდილო კავკასიაში—სამონაგროდა. ზამთრობით კიდევა კოლხიდაში — ჭაობების ამოსაშრობად, არხების გასაჭრელადა... კიდევ თუ მოგრჩა, გუთანს ჩაუყენებ კვალში... და ასე შემდეგ და ასე შემდეგ... ორნი კი, ჩვენს პირობებში, ვინცობისათვის, მარქაფში უნდა გყავდეს... — მძიმედ დაასრულა მოხუცმა.

— ეგ მარქაფი რაღაა, ბიძია ქელეშბი?

— ხიფათია, შემთხვევაა... ხომ იცი. ჩვენებური შესანდობარი — ცაში, მიწაზე და წყალში დაღუპულებს გაუმარჯოთო... ადრე ომში დაცემულებს მოვიგონებდით ხოლმე. დღეს კი, საბედნიეროდ, მშვიდობიანობაა დედამიწაზე, აშკარა მტერი აღარა გვყავს, მაგრამ სიკვდილ-სიცოცხლეს, ყოფნა-არყოფნას შორის ომი მარადის გრძელდება...

ასე რომ მარქაფი თადარიგია... ჩვენებური „მუქაფია“, „სამაგიეროა“. გამოცდილმა მებაღემ ცოტა მჭიდროდ უნდა დაიჭიროს ნარგავები, იქნებ, რა იცი, ყველა ვერ დაფესვიანდეს, ანდა ზრდაში დაიღუპოს, გადამხმარი ნერგის ადგილას ნორჩმა ხემ უნდა გაიხაროს. წესია ასეთი... მაშა! — მძიმედ ამოიხვნეშა ქელეშბიმ. — ამ წესსა და კანონსა კიდევა, შვილო, ჯერ ვერავინ აღდგომია...

კიდევ იმას ვიტყვი, რომ უმცრუა შვილი ყველაზე საყვარელია. დღესასწაულივით მოევლინება ოჯახს... ჰო და, ბევრი შვილი უსასრულო დღესას-

წაულია მშობლებისა და ქვეყნისათვისაც, რა თქმა უნდა...

„ღმერთმა ქმნას შვილთამრავლობა, ისმინოს თქვენი აჯა, ბიძია ქელეშბი“— გულში ვესიტყვები მოხუცს. რატომღაც მახსენდება ჩვენი ქვეყნის შორეული წარსული, მონღოლების ბატონობის ხანა საქართველოში. 1254 წელს, დაბეგვრის მიზნით, მოსახლეობა აღწერა ყაენმა. ცხრა სრულმამულიანი გლეხის კომლიდან ერთი მოლაშქრის გამოყვანის ანგარიშზე საქართველოს სულ 90.000 მეომარი უნდა შეეშველებინა მონღოლებისათვის, რაც მთელი ქვეყნის მოსახლეობაზე გადაანგარიშებით ხუთ მილიონ ადამიანს მაინც იძლეოდა. ამათ რიცხვში არ შედიოდა თავადაზნაურობა და სამღვდელოება. ჩვენის მხრიდან კი დავუმატებდით, რომ ასევე ამ რიცხვში არ უნდა იყოს ნაგულისხმევი იმჟამინდელი საქართველოს ზოგიერთი /პერიფერიული რეგიონის მოსახლეობაც. პირველ რიგში კი სვანეთის იმ დროისათვის საკმაოდ მრავალრიცხოვანი სამთავრო. ასე, რომ დარბეული და გაჩანაგებული, მრავალრიცხოვან მომხვდურთან უთანასწორო ბრძოლებში დაზარალებული, ქანცგამოცლილი და შეთხელებული ქვეყნის მოსახლეობა ხუთ მილიონს კიდევაც აჭარბებდა.

რა ზნეობრივი ძალა და შინაგანი პოტენცია იყო — ძველთაგან მოყოლებული, მრავლობისა და თვითდამკვიდრების სამომავლო პროგრამებით რომ აღჭურვავდა ქვეყანას?

და შემდგომად ამის, რა კუდიანმა ვარსკვლავმა გადაგვიქროლა, რომ ერთიან მოშალა და გააბეჩავა ეს ნაყოფიერების კომპიუტერი?

„მაგის თქმა როგორ გეკადრებათო...“ — წამოგეტოხებიან მკერდზემჯიღიცემია პატრიოტები — და კიდევ სხვა ჯურის მედღეხვალიენი და საქმის გამაიოლებლები — ეგეთი გაზვიადებაც უკვე მეტისმეტია, უარესი მდგომარეობაც ჰქონია ჩვენს ერს, მაგრამ ღმერთი და განგება ყოველთვის სწყალობდაო, ესაო... ისაო... და გარდა ამისა, აკი თქვენ თვითონა ბრძანებდით, აჭარაო, სვანეთიო...

— მაგრამ სვანეთი და აჭარა უშველიან კი ჩვენს გაჭირვებას? ნეტამც ეგრე იყოს და...

საწინააღმდეგო რა უნდა მქონდეს, ნეტავი... მაგრამ, ივლის კი ქარავანი? მაინც როდემდე ივლის?..

* * *

„უნდა აჯობო...“

და იგი აბრიალებულ კვარს — ფისიან ფიჭვის ნახეჩს გადასწვდა და კოჭთან მიიტანა.

მეორე ნახეჩს გოდრიანი ავსული წაეტანა. დაავიწყდა თავისი ოხრადდასარჩენი ბანჯგვლები. ცეცხლი რომ წაეკიდა და ერთიან მოედო, მერმეღა მოგონიანდა; უკვე გვიანი იყო, გოდორი მხრებიდან დაუცურდა, ძირს დაენარცხა და იქაურობა მტვერში გაეხვია.

ცაზე გაელვებული ავისმომასწავებელი კუდიანი ვარსკვლავივით ბრიალებდა თურმე ავსული, გარბოდა თავქუდმოგლეჯილი ცეცხლის ბულული და ქვეყნის გასაგონად ღრიალებდა. მთელი სოფელი გამოეფინა მის ყვირილზე და ყველამ დაინახა, როგორ გადაეშვა რაღაც უწმინდურობა ხიდიდან ადიდებულ მდინარეში, ხმამაღლა დასწყევლა მან პაიდანშერები, მათი ჯილაგი და მოდგმა უკუნისიდან უკუნისამდე...

ცოფიანმა მდინარემ ტინებზე მიაგლისა ავსული და ფშანებსა და კლდეთა პორებში მილამა და მიჩუმქრა მისი სახსენებელი, მაგრამ აღსრულდა უწმინდურის წყევლა პაიდანშერებისადმი; ავბედითი ძალა მოიცა, ფითრივით შეუჩნდა პატიოსან, კაცთმოყვარე და სტუმართმოყვარე საძმოსა და გვარს სიკვდილის აჩრდილი და ბერპანტასავით გაახმო და განაქარვა მათი სახსენებელი წუთისოფლის ღედეღუდედან. იმათი ნამოსახლარიც აღარ დარჩა, იმათი მისხის მისხიც არსად ბოგინობს ვრცელ დუნიაზე, თითქოს ცუდი რამ მოემოქმედოთ ქვეყნისა და ხალხის წინაშე, ღმერთისა და განგების წინაშე.

— ავსულები, ბიძია ქელეშბი? იმათი სახსენებელიც გაწყდა თუ? — ვკითხე მოხუცს.

— ავსულებს რა გამოლევს, შვილო; მართალია, ის ერთი ჩაძაღლდა იმ ოხერ ქვეყანაში, მაგრამ ერთი სარეველა რომ მოჯეჯგო განა ყანას იმით რამე ეშველება? ავსული იგივე ეშმაკია, ეშმაკობა კიდევა, ეტყობა, ყველა დროში ჭრიდა და იმათ მოხერხებულობასა და ჯადოქრობას, იქნება, არც ამჟამად გასვლია ყავლი...

— ახლა ავსულებისა ისე მაინცდამაინც არავის სჯერა, ბიძია ქელეშბი. ამბობენ, ეგ ყველაფერი ცრურწმენების ბრალიაო. აბა, რატომ ერთი ავსული მაინც არავის უნახავს საკუთარი თვალითო...

— რა გითხრა, ბუბა ლაღად სი; იცი, შვილო, ზოგსა პირდაპირი გაგებით ესმის ეგ ამბავი, არა და ზღაპრებსა და გადმოცემებში რო ავსულები და ეშმაკებია, იმათში ადამიანებიც ხომ იგულისხმებიან ხოლმე, მაშა...—ჩანავლული, მაგრამ მეტყველი, გონიერი კაცის თვალებით შემათვალიერა მოხუცმა, თითქოს აინტერესებდა, რა შთაბეჭდილება მოვახდინეო ჩემი პასუხით. ერთხანს ასე იყუჩა, მერმე კვლავ განაგრძო:

— დღესაც არავინ უწყის, რა ძალამ იავარქმნა პაიდანშერები, რა სამართალმა განაქარვა მათი სახსენებელი. ლამაზები, ახოვნები, პირმშვენიერნი იყვნენ, თავიანთი ფერ-ხორციითა და აღნაგობით განირჩეოდნენ. ყველა მათ სილამაზეს, შრომისმოყვარეობას, მათ ჭკუა-გონებასა და სიალალეს შეჰნატროდა. შორს ჰქონდათ სახელი გავარდნილი და ბრმა შემთხვევას კი ემსხვერპლნენ ასე საბედისწეროდ. — ნაღვლიანად დაამთავრა მოხუცმა მოყოლა. მხარზე ხელი დამადო, თითქოს მაგრძნობინა, შვილო, ახლა ამ ისტორიიდან დასკვნები შენ თვითონ გამოიტანეო.

რა იყო მართლაც ის ძალა, რომელმაც ერთიან მოსრა პაიდანშერები? — მხრებს იჩეჩავდნენ თურმე მათი თანამემამულენი, ისინი გაოგნებამ და შიშმა მოიცვა. ურწმუნობამ დაესადგურა მათ არსებაში, ერთხანს წუთისოფლისადმი უნდობლობამ დარიათ ხელი; ნუთუ შეიძლებოდა ამისი გამართლება, რომ ბოროტება, ავაზაკობა და ყაჩაღობა იმარჯვებდა კაცთმოყვარეობაზე, სათნოებასა და სიკეთეზე? ტაციობა და წამგლეჯობა ჯაბნიდა სტუმართმოყვარეობას, სიალალეს?

* * *

— თქვენაც რო ცოტა მეტად გაისარჯებოდეთ, ბარელი თეთრი ქუდის დამხურავები, კი არაფერი გიშავდათ, რა... ქვეყნის საქმეც უფრო წინ წავიდოდა... — კვლავ მსაყვედურობს ბიძია ქელეშბი, — აბა, მთელი სვანეთი ქალაქელებს შემოგნატრით, ეგ ხომ ნათელია, რო ქალაქი ჯობია სოფელსა, იოლია ყველაფერი ქალაქში, ადვილია თავის რჩენაცა და შვილების აღზრდაცა...ეგრე რომ არ იყოს, ბუბა ლადაღ სი, რაღა თავქუდმოგლეჯილი გაიქცეოდა ჩვენი ახალგაზრდობა ქალაქშია. და არა მარტო ჩვენი, საერთოდაც სხვა სოფლების ჯეილებიცა... ბავშვები სკოლაში გაუშვი, შენა კიდევა სამსახურში იარე, საღამოს მიაკითხე და მოიყვანე შინა, დილას კიდევ ასე...

და არა მარტო ბიძია ქელეშბი, სხვა ახლობელ-ნათესავებიც ამ აზრისა იყვნენ ქალაქზე, იქაურ ცხოვრებაზე. ცალ-ცალკე თუ ერთად ყველანი ქალაქსა და ქალაქელებს შეჰნატროდნენ — დაჯდები საღამოისჟამს ტელევიზორთან და თოქალთოზე თავმიდებული უყურებ ათას საოცრებას... არც ფული გინდა რო კინოში წახვიდე და არაფერი...

— ნეტავი ეგრე იყოს და... უარზე ვინ დადგება, — ბორძიკით ვიმართლებ თავს უფროსების წინაშე, —კაცმა რომ თქვას, ვერც ვიმართლებ, ამ წუთში მეცა მგონია, რომ ქალაქელებმა უსაქმურობისაგან აღარ იციან, რა ქნან. უდარდელად და ნებივრობით ატარებენ დროებას და სიზანტითა და სიზარმაცი-

თაა, რომ შვილები ცოტა ჰყავთ, ეგოიზმი უშლით ხელსა და მეტი არაფერი — ეშინიათ ბევრი შვილების გადამკიდეთ დროსტარებაში შეგვეშლებაო ხელი, ზედმეტ ტვირთად გაგვიხდებიანო და მისთანანი... იქნება მართლაც ეგრეა? ამ წუთში მეც ასე მგონია, რომ მთავარი მიზეზი მაინც ეგოიზმია, მერე კი სხვა დანარჩენიცა... ეგოიზმი რომაა ეს მარტივად დასტურდება თუნდაც იქიდან, რომ ყველაზე ნაკლები შვილები მდიდრებსა და დალხინებულ ოჯახებსა ჰყავთ მაინცდამაინც... იქ არც სიღატაკის შიშია რაიმე შუაში და არც უდროობისა... ქალი ტანსა და ნერვებს უფრთხილდება, სულიერი ტკბობისათვის განკუთვნილ დროის მარაგს გადაფოფრილი, აღარაფრად დაგიდევს შვილებსაცა და ქვეყნის გასაჭირსაცა; დაახლოებით კაცის ამბავიც ასეა, ფულიან კაცს მრავალი სიამოვნება ელოდება, ნაირნაირი სიამოვნება — სულიერიცა და ფიზიკურიცა, ქეიფები, დროსტარებანი ხომ ფულს ასხია პანტასავითა. მაშ, რა ბედენაა ბევრი შვილები...

მაგრამ არის ოჯახების სხვა კატეგორიაცა, იმათ კიდევა, სხვა მიზეზები გასჩენიათ მცირეშვილიანობის გასამართლებლადა—სივიწროვე ანდა უბინაობა, მაგრამ კვლავ იტყვის ქელეშში, განა სხვები ყველანი სასახლეებში დაიბადნენ, რო... განა უბინაობა მარტო ჩვენ გვაწუხებს, რო... აქ სხვა რაღაცაშია საქმე... აბა, კარგად დაჰკვლიე...

ამ საკითხთან დაკავშირებით მახსენდება ნოდარ დუმბაძის საახალწლო მილოცვაში გამოთქმული მრავალმხრივ ყურადსაღები მოსაზრება, რომელშიც ნათლად ირეკლება ქართველი ერის სადღეისო დემოგრაფიული ამოცანები. აი, ის სიტყვებიც: „ვერავინ დამარწმუნებს, სადმე სხვაგან, იქ სადაც ჩვენზე მეტად მრავლდებიან, ახალდაქორწინებულთათვის უკეთესი პირობები იყოს, ვიდრე ჩვენთან...“

მართლაც საოცარია, ჩვენი სახელოვანი მწერლის სადარდელ-საფიქრალი როგორ ეხმაურება ქართველი ხალხის რჩეულთა, ბიძია ქელეშბისფერთა გულსატკივარს.

მესამენი კიდევა, ბიძია ქელეშბი, უდროობას, მოუცლელობას იმიზეზებენ, და მეც იმათ მივეტმასნები. თქვენ რომ ბრძანებთ, ბიძია ქელეშბი, წამოწვებით საღამოისჟამს ეგ ქალაქელები და თოქალთოზე თავმისვენებულნი ტელევიზორის უფასო ცქერით გაერთობითო... აბა, ქალაქად წვრილშვილის პატრონი, მშობლებისა და შეძლებული ნათესაობის მხარში დგომასა თუ დახმარებას მოკლებული, უმფარველო ადამიანი — ქალი თუ კაცი მაგას ასე ადვილად მოახერხებს? სხვა ათას მსხვილმანსა და წვრილმანს რომ შევეშვათ, დავალებები ვიღამ დაუწეროს შვილებსა?

დაწერით თუ ვერა, მიხმარებით მაინც ხომ უნდა მიეხმარო, გზა ასწავლო. თუ კი შენაც ერკვეკი იმ რთულ ამოცანებში და ცოტა მაინც გაგეგება ფიზიკისა და ქიმიის კანონებისა, უცხო ენისა და სხვა საგნებისა. რაიმე წრეებშიც ხო უნდა ატარო ბავშვები, მაგალითად, ცეკვისა, ანდა მუსიკისა, ცურვაზედაც უნდა ატარო და კარატეზედაცა; რა აუცილებელიაო, იტყვით და მეც დაგეთანხმებით, მაგრამ ყველას რომ დაჰყავს, და ახლა მოდაშია ეგეთი რამეები ჩვენთან? ისედაც ათას რამეს მოკლებულებს ახლა ეგეც რომ მოაკლო, მერმე რას გეტყვიან შენივე შვილები? მეორე დღეს კიდევა, შენ რომ სამსახურში დაზგასთან ხვითქი გაგდის, ანდა ნარკვევისათვის რომელიმე რაიონში მასალებს „კრეფავ“ რის ვაინაჩრობითა, წვალებითა და რესპოდენტების კუდში დევნითა და ხვეწნა-მუდარითა, ხანაც კიდევა, ამ მანქანიზაციის ხანაში, მოსწავლეებიც რო საკუთარი „ჟიგულებით“ დადიან სკოლაში“ (გივი წითლიძის სიტყვებია), შენ კი ტრიალ მინდვრებში უგანრიგო ბრიგადების ძებნაში ფეხით აჯერებ მინდვრებს ტალახსა და სიცივეში, წვიმასა თუ თაკარა მზეში, ამ დროს რომ ზოგიერთი შენი შვილების თანაკლასელების

მშობლები სკოლაში არიან აკრედიტებულნი და თვალებში შესციცინებენ დირექტორსა და დამრიგებელს, ლამისაა მხევლებად დაუდგნენ, დაბადების დღეებსა თუ რვა მარტის დღესასწაულებში ძვირფასი საჩუქრებით აღავსებენ, ქეიფებს უმართავენ, ზაფხულობით თავიანთ აგარაკებს უთმობენ დასასვენებლადა, ძვირფასი ფარდებით, ცემენტით, აგურითა და არმატურით, საკანალიზაციო მილებით, მავთულღობეებითა და სხვა სამშენებლო მასალებით ამარაგებენ სკოლასა, სასურსათო პროგრამას უწარმოებენ და კიდევ, ვინ მოთვლის, რა, შენ კი ამ დროს ვერაფერში ვერ ღებულობ მონაწილეობას, საბანი მეტზე ველარ გაგიწვდენია ისედაც, წელზე ფეხებს იდგამ. ჰოდა, ამ დროს, როგორა ფიქრობთ, ბიძია ქელეშბი, შენს შვილს იმ სკოლაში კარგი დღე დაადგება? მითუმეტეს, რომ ყველა იმ ხელგაშლილი, თავაზიან-ლიმილიანი უშურველი, შვილებისათვის თავგადადებული მშობლების ქება-დიდებაშია, ყველა იმათ საქციელს ამართლებს, ვინღა გამოესარჩლება შენს შვილსა? განათლების განყოფილების გამგე? ე. წ. „რონოს“ თუ ქალაქის განათლების მესვეურები არც ერთი და არც მეორე, რამდენადაც ეს მოვლენა—შეძლებული მშობლების ხარჯზე სკოლების მორთვა და მოკაზმვა, რაც სინამდვილეში კულისებში მიმდინარე ანგარებიან გარიგებათა ერთგვარ შირმას წარმოადგენს, მავანი დირექტორებისა და გამგეების დანერგილი გახლავთ. სწორედ, აბა, ვინ მოვა და თავზე ალერსიანად გადაუსვამს ხელს შენს უპატრონოდ მიტოვებულ ყურუმსაღს, თუნდაც იგი ამას თავისი სწავლითა და ყოფაქცევით მართლაც იმსახურებდეს? არავინ, დედამიწის ზურგზე.

ხმა რომ აღიმაღლოს ვინმემ, ანდა ზემოდან სცადონ ჩარევა, რაც არც თუ იშვიათია კიდევაც, ისე აქვთ მთელი ეს უგვანობა ლამაზად გაფორმებული და შენიღბული, არგუმენტირებული და დახვეწილი, მოსაჩვენებლად გამოფენილი, მაინც ვერავინ ვერაფერს ვერ გახდება, სამწუხაროდ, აქაც, იგივე კანონი მოქმედებს „თუ არ დაიჭირეო“... ჰო და, აქ კიდევ ყველაფერი ისეა კუდგადაფსკვნილი, შენიღბული, რომ ძნელია, ის კი არა, შეუძლებელია ფაქტზე წასწრებაც კი... ეგ მშვენივრად უწყიან თვითონაც და ამიტომაც კიდევ უფრო ხვეწენ და ყოველდღიურად ანვითარებენ თავიანთ ანგარებიან პოლიტიკას ზოგ-ზოგი დირექტორები და დამრიგებლები სკოლებში. ამ ბოლო დროს ისინი თითქოს გრძნობენო, რომ ასე დიდხანს არ შეიძლება გაგრძელდეს, უბრალოდ, სხვას ყველაფერს რომ შევეშვათ, ხალხს ნერვები არ ეყოფა, „ზემოთაც“ რაღაც მათთვის არასასურველი სამზადისი მიმდინარეობს, რადიკალური ცვლილებებისათვის ემზადებიანო თითქოს, და ვიდრე მომხვეჭელობისა და უზნეობის ტახტიდან არ ჩამოუგდიათ ცდილობენ მაქსიმალურად ამოქაჩონ შვილებზე გადაფოფრილი დედიკოებიდან და მამიკოებიდან ამოსაღები.

ვინა, ვინ დაუფასებს მშობლისგან უყურადღებოდ მიტოვებულ მავან მოსწავლეს ნიჭსა და ცოდნას? როდის იყო, რომ „გერებს“ მაინცდამაინც დიდად თავს ევლებოდნენ? რომელ ზღაპარშია ამაზე მოთხრობილი? და ახლა, თუ კი ორი შვილი დაგიდის სკოლაში? და ახლა, წარმოიდგინეთ, სამი შვილის მამა ხარ, მერმე სულ რაღას შვრები? მარტო საბუთების დევნას ვერ ეყოფა შენი შვებულება, იმათ სავალდებულო ჩაცმა-დახურვაზე, ათასი საღამოებისა და გამოჩენილ ადამიანებთან შეხვედრებისათვის ტორტისა და ნამცხვრის ცხობას ვერ აუვა სამსახურიდან შინ მოფარფატებული დაღლილ-დაქანცული ბავშვების დედა...

* * *

სადაური ლოგიკა და სამართალი იყო ეგ ამბავი?

ნუთუ რა დააშავა ასეთი პაიდანმა,

საკუთარ წისქვილში ხმა თუ აღიმაღლა ურწმუნოზე და მტაცებელზე, განა რა იყო მის საქციელში ისეთი, რომ მთელი ნაგრამით გადაშენებულიყო წუთისოფლიდან?

აირ-დაირია ყველაფერი. თუ კი ბოროტებამ უნდა სძლიოს სიკეთეს, ძალადობამ — სათნოებას, უმადურობამ — გულისხმიერებას, მზაკვრობამ — სიყვარულსა და პატივისცემას, რაღა აზრი აქვს მაშინ არსებობას? — ფიქრობდნენ პაიდანის თანასოფლელები, ყველანი, ვინაც ეგ ამბავი გაიგო მთათა ქვეყანაში. კავკასიონს გაღმითა სვანეთში თუ გამოღმითა სოფლებში, ჰკვირვობდნენ და შინაგანად არ ეთანხმებოდნენ არსთაგანმრიგეს.

პირველად გაუჩნდათ მაშინ ადამიანებს ეჭვი, რომ ღვთისაგან უპატრონოდ იყვნენ ისინი მიტოვებულნი ამ ცოდვილ დედამიწაზე, უმფარველოდ ეყარნენ და მარტოოდენ საკუთარი თავის იმედი უნდა ჰქონოდათ.

უარესი მოსალოდნელი იანდევეს წიგნებით მკითხავებმა და მაშინ გადაწყვიტეს, რომ კოშკები — მურყვამები აეშენებინათ, იქ შეაფარებდნენ თავს გაჭირვების ჟამს; მურყვამები დაიცავდა მათ ქვეყანას ავსულებისაგან.

და გაჩაღდა სამზადისი. მაგრამ მურყვამები გვართამრავლობას, ბლომად ვაჟკაცებს ითხოვდნენ. და მოდის იმ ჟამიდან მოყოლებული გვართამრავლობა მთათა ქვეყანაში. ქვეშეცნეულად, ინსტინქტურად, დიდ სვანეთზე, იგივე საქართველოზე ოცნება, მტრისადმი შურისგების გრძნობა და ავსულთა სიძულვილი გადასწვნია და შერწყმია ერთმანეთს მთიელთა არსობაში და ასე მოგორავს ღედღუდეზე სამომავლო იმედებით დაზეკილი ურემი...

ნაყოფიერების მუხტებს ტკაცატკუცი გაუდით ისევაც, როგორც ელექტროდენის მავთულებს უეცარი შეერთებისას. ტკაცუნობენ მავთულები. ეხლართებიან ერთმანეთს, ტყვრებიან მუხტები და ირგვლივ ნაპერწკლები აცვივა მთათა ფერცხალებს, მურყვამებსა და სვანურ მაჩუბებს, ბდინარეთა ზათქით გახმოვანებულ სოფლებს.

როგორ სჭირდება საქართველოს ასეთი ომახიანი სამომავლო შემოძახება, მუხტების სკდომა და გრიალი... სჭირდება, რათა შინაურმა მამალმა უცხო ყივილი მიჩუმქროს, გადამთიელის მამალს დაასწროს ყიყლიყოს შემოძახება. საკუთარ ეზოში, თუ კი შნო და მარიფათი აქვს, სხვისი მამალი არც უნდა გაეპეპანოს, ამისი უფლება ღვთისაგან აქვს მონიჭებული. ყველამ თავის ეზოში უნდა იბობოქროს, თავის ეზოში იბუღრაოს, ჩინჩლოს დასაჩინჩლი...

ასეა, სამწუხაროდ, ძველთაგან მომდინარე საშინელი წყევლაც არსებობს სვანეთში. და ეს არცაა გასაკვირი — სადაც ღღეა, იქაც ღამეა, სადაც აღმართია, იქ დაღმართია, სადაც სიყვარულია, იქ სიძულვილია, სადაც ლოცვაა, იქ წყევლაცაა.

— ნაფშირივ ლაჯჰოდენა ჰო!.. „გამრავლდი და გახაჩხაჩდიო, შეგემატოს ღღე და ჯანიო“ — იმძლავრე და იბობოქრეო, იხარე და იგუგუნეო!.. — ყველაფერს შეიცავს სვანური ლოცვა. მისი შებრუნებულია — პაიდანშერაშალუ ამხვეტლი!.. პაიდანშერებივით ამომწყდარაო ჩვენი დუშმანი!..

ჩვენს მტერს მიერგოს იგი!

ჩვენს მტერს მიერგოს პაიდანშერების ბედი!

ვერავინ დედამიწის ზურგზე ვერ გეტყვით, სად, რომელ მხარეში, გაღმით თუ გამოღმით ბინადრობდნენ ეს პაიდანშერები, მართლა იყვნენ თუ ხალხმა ყველაფერი ეს მოიგონა, ისევე, როგორც ნადირთმფარველი ღალები დაასახლა მან მიუვალ მთებსა და მწვერვალებზე, რათა ბუნებასა და ადამიანებს შორის ოდითგან მომდინარე ჰარმონია და წონასწორობა შეენარჩუნებინა, ასევე, იქნება, პაიდანის ამბავიც რაღაც უფრო მაღალი მიზნისათვის დასჭირდა ბრძენთა-ბრძენ წინაპარს? იქნება იგი ერთგვარი გაფრთხილებაა თაობებისადმი გადმოცემული და რა-

ლაცით ჩვენი ქვეყნის მწარე ისტორიულ წილ-ხვედრს ეხმაურება? უშურველი, ბოლო ლუკმის გამღები, სტუმართმოყვარე, გაჭირვებულთა შემფარებელი, სიკეთით აღვსილი, შესაძლოა, მეტისმეტად მიამიტი და ხელგაშლილი ჩვენებური კაცის ხვედრი და იღბალიც ირეკლება ამ გადმოცემაში?

გავიხსენოთ გურამ პატარაიას დოკუმენტური ფილმიდან ბანელი ჩვენებური კაცის სევდიანი ღიღინი: „ეგ ლომაზი ბაჩუჩები ვინ მოგიტანაო, ჩემმა დედემ, ჩემმა ბაბამ... მან მოიტანაო...“ — ალბათ ყელში მოწოლილი ნოსტალგიისაგან მისი სიმღერა თუ მოთქმა ლუღლუღში გადადის და სიტყვები თავის გამომსახველობასა და მნიშვნელობას კარგავენ... ინტონაციაც ასეთია, გაურკვეველი, სიმღერისა და ტირილის ზღვარზე განფენილი. და აღარც კი იცი კაცმა, რა უწოდო ამ ღიღინს — სიმღერა თუ მოთქმა.

იქნება, პაიდანის ამბავში ბანასა და იშხანის, გადაღმა სვანეთისა და მაღრიბ-მაშრიყით შემოქინცულ და იავარქმნილ სხვათა მრავალთა ქართველთა ნაკოშკარ-ნასოფლართა ხვედრიც არის დამალული და ნაგულისხმევი? მთელი ის ძველთაგან მომდინარე უსამართლობა არის ზღაპარში შორეული მგზავრის აბედ-კვესივით საგულდაგულოდ შეფუთვნული და გამოხვეული?

მართლაც ხომ საოცარია და გაუგებარია — რატომ, რატომ მოხდა ასე ყველაფერი?

კვლავ და კვლავ გვეკითხება მწარე ამბავი დუნიაზე თავისი სილამაზით, სტუმართმოყვარეობითა და ვაჟკაცობით გამორჩეული პაიდანისა:

რატომ, რატომ, რატომ?..

* * *

შენ კი, შვილების მამას ადრე თუ გვიან საკუთარი უმწეობა თავადაც შეგაშფოთებს, პატიოსანი ცხოვრების მიმართაც წამიერად მდურვით განიმსჭვალები. მართალია, მხოლოდ წამიერად, რადგანაც ჟამიდან ჟამად იმ გაჭსუებულთაგან რომელიმეს მაინც წაუცდება სიპებზე ფეხი, ასუნს მოსთხოვენ და მაშინ შენს რწმენას შინაგანი ცეცხლი შემოეგზნება. მაგრამ ყველაფერი ისევ თავისი წესით და რიგით წარიმართება, ვიდრე ერთ დღეს მავანნი კვლავ არ წაფორხილდებიან...

მაგრამ ჩვენთვისა ვთქვათ, ვინ არის დღეს ამ წაფორხილებისაგან დაზღვეული? პატიოსან კაცს ასეთები ცოტა სიავეს შეამთხვევენ, თუ კი თვალში არ მოუვიდათ? და თანაც, განა ამ „წაცდენა-არწაცდენაში“ მდგომარეობს გამოსავალი? განა მართლა ასე მარტივად აიხსნება ჩვენი ახალგაზრდობის გნებავთ, ერთი მცირე ნაწილის, უცნაური მეტამორფოზა... აი, ვთქვათ, ნატანებელი ბიჭების უგვანო საქციელი? ან იმ გადაცემაში ყველა რომ მხრებს იჩეჩავდა და გაოცებული კითხულობდა, ეხებოდა თუ არ ეხებოდა მას ეს ამბავი, ეგეთი რამ როგორ ჩაიდინეს ამ ჩინებულმა მოსწავლეებმა, სკოლის მერხიდან ციხის საკანში როგორ გადაინაცვლესო, ჩვენთვის ყოვლად გაუგებარიაო.

ნუთუ მართლაც ასე გაუგებარია ეგ ყველაფერი? სადაც ფული და გამორჩენა მოზარდის თვალწინ სასწაულებს ახდენს განა იქ უარესს არ უნდა ველოდოთ მათგან? ნატანებისა და სხვა შემთხვევა სწორედ როგორც ერთგვარი ავბედითი სიგნალი, საზოგადოებრიობის წიაღში ჯერ კიდევ აქაიქ მიმდინარე მორალურ-ზნეობრივი დეგრადაციის მწვავე პროცესზე მიგვანიშნებს, ისევე, როგორც ტემპერატურა, ორგანიზმის ავადობის უტყუარი სიმპტომი, ოპერატიული მკურნალობის აუცილებლობაზე.

გულთან თუ კი მიიტანს ადამიანი ყოველივე ამას განა შეიძლება ტახტზე წამოგორებულმა უდრტვინველად უცქიროს ტელევიზორს, სადაც კვლავ ახალგაზრდობის და არა მარტო ახალგაზრდობის, ახალ და ახალ „საგმირო საქმეებზე“ გვიყვებიან?

უმაღლესი განათლებისადმი წრეს-გადასული, ხშირად ბრმა ლტოლვა, მეტადრე კი ჩვენს მიერ ზემოთ ფრაგმენტულად დახასიათებული ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაც, ამჟამად ქვეყანაში მიმდინარე რეფორმის დროს აუცილებლად გასათვალისწინებელი თავისი ზოგიერთი ჩრდილოვანი ასპექტის გამო, ერთ-ერთი უბანია, მე ვიტყოდი, მეტად რთული და დანაღმული უბანთაგანი, შეიძლება პირდაპირ ითქვას, ერთგვარი მკვდარი მუხრუჭი ჩვენი დემოგრაფიული პოლიტიკის განვითარებისა და სასურველ დროზე წარმართვისათვის. ეს ათი წელი შიშის ზარისმცემელია იმ „მწარმოებელი" კატეგორიის მშობლებისათვის, ზემოთ რომ გვქონდა საუბარი — ეს არის მარტოხელა ცოლქმარი, ბებიებისა და ბაბუების მსუყე ლანატოვარსა და მფარველებს მოკლებული პატიოსანი და გამრჯე ადამიანთა კატეგორია, რომელიც ჩვენი საზოგადოების უმთავრეს ნაწილს წარმოადგენს, მაგრამ ტონს მაინც რატომღაც სხვები, ის პირველები აძლევენ ზოგადსაგანმანათლებლო თუ სხვა რომელიც გნებავთ, სფეროში არსებულ ვითარებას.

სწორედ ეს მომენტი — საშუალო სკოლაში სწავლების 10 წელი, ემთხვევა ახალგაზრდა ოჯახის მრავლობისა და ნაყოფიერების ოქროს ხანას, ფიზიკური და შინაგანი ძალების გაფურჩქვნის ოპტიმალურ პერიოდს. და სწორედ მათს წინაშე ერთბაშად ჯებირივით აღმართული სასკოლო პრობლემები შეუბრალებლად თქერავს მრავალშვილიანობაზე ახალგაზრდულ ოცნებებს. აქიდან იწყება აბორტმახერობა — დედობისათვის საშიში სამედიცინო მდგომარეობა, საბოლოო ჯამში კი ვღებულობთ ზემოთ ჩვენს მიერ მოყვანილ მოსახლეობის რეპროდუქციულობის შემაშფოთებელ მოზაიკას — სამი მილიონი ადამიანის დანაკარგს ოც წელიწადში!

ისე არავინ იფიქროს, თითქოს ყველა ეს სიავე ერთად-ერთი განათლების სფეროდან მომდინარეობდეს, ოღონდ, ჩვენის აზრით, ჯანმრთელობის დაცვისა და მართლწესრიგის სფეროში შექმნილ ვითარებასთან, დღევანდელი სკოლაც ყველაზე უშუალო კავშირშია დემოგრაფიულ ზიგზაგებთან.

მესამეზე, მეოთხეზე, და მეიმდენეზე, რამდენი უბანიც გააჩნია ჩვენს ყოფიერებას, ამჟამად აღარ გავაგრძელებთ საუბარს. ალბათ ამიტომაც არის, რომ ძალიანა ჭირს სიბერწისა და ცვედანობის (აღარც კი ვიცი, სხვა რა შეიძლება უწოდოს კაცმა მცირეშვილიანობის ავადსახსენებელ სენს) გამთოშავი ყინულის დაძვრა, არა და საყოველთაო სამომავლო ლაშქრობაში როდემდე უნდა ვზეკოთ დემოგრაფიული არიერგარდი, მითუმეტეს, რომ უკანდასახევი ყველა გზა მოჭრილია. იქ უფსკრული და სიცარიელეა! პირველ რიგში კი თავის გამოჩენა მართებთ შეძლებულ ოჯახებს, ამჟამად მცირეშვილიანობის მოდას აყოლილთ. მაგრამ წუთით დავფიქრდეთ და ვთქვათ, ვინ დაამკვიდრა ეს მოდა ჩვენში? და რა მოდაზეა საერთოდ აქ ლაპარაკი?იქნებ, როგორც ეს ჩვეულებრივად ხდება ხოლმე, საზღვარგარეთიდან შემოღწეული რაღაც მოდა იგულისხმება ამ შემთხვევაშიც? ვიყოთ რეალისტები და ვაღიაროთ, განა კენედების საძმოს თავიანთი მრავალშვილიანი ოჯახებით არ მოჰქონდა თავი? იმათგან ერთნი მოკლეს, მაგრამ კი არ ამომწყდარან, სხვები დარჩნენ და მოდიან. ამ შემთხვევაში, მკვლელობისა და ძალმომრეობათა კაპიტალისტური სამყაროს აღრეული ცხოვრების წესიდან აბსტრაქტულად მინდა გამოვყო ერთადერთი — მრავალშვილიანობის მომენტი!

ეს იგივეა, ბიძია ქელეშში და საერთოდაც, მთიელნი რომ იტყვიან ხოლმე — „მედგარდი ჩუვ ლარიდ ი მერდადიი!" — საჭიროების ჟამს დავიხოცნოთ, მაგრამ არ ამოვწყდეთო... მაშ, რომელი მოდაა ეს ერთ და ორშვილიანობა? არაფერი და არა-

ვისი თავსმოხვეული მოდა არ გახლავთ, ვერც ერთ საზღვარგარეთულ თუ ჩვენებურ ჟურნალში ვერ აღმოაჩენს მას ადამიანი. ეს არის ეგოცენტრიზმის ყველაზე მავნე გამოვლინება, მოდად ქცეული ჩვენსავე მიერ, მაგრამ იმდენად უსახური და განწირული, იმდენად თვალთმაქცური და თავისი არსითა და მნიშვნელობით კაცთმოძულე და ქვეყნისა და მერმისის აბუჩად ამგდები, რომ ამ მოდის გაგონება მხოლოდღა ღიმილის მომგვრელია ჩვენი მეზობლებისათვის. ამიტომაა, რომ არც ერთ მათგანს იგი სათავისოდ არ გადაუღია, ისინი არჩევენ სხვა მოდას — გამრავლებისა და ნაყოფიერების, ქვეყნად სიცოცხლისა და ერიამულის დამკვიდრების მოდას და ამაში ვერავინ, ვერავინ ვერ შეედავება მათ დედამიწის ზურგზე! და ჩვენთვის კარგად ნაცნობი რიცხვებიც ღაღადებენ ამას — 8,5 ერთის მხრივ და 19,1 მეორეს მხრივ. აქ უკვე კომენტარი ზედმეტია!

დღეს ჩვენი არსობის წესი რადიკალურად შეიცვალა. ძველთაძველი საზღვრები და სამანები ფორმალური გახდა. გავერთიანდით და შეეკავშირდით, დავძმობილდით. კანონებიც შესაბამისად იცვალნენ. ადამიანი რომ მოევლინება ქვეყანას, ბინა უნდა მისცე და საკარმიდამო ნაკვეთი მიუზომო! ასეა წესი!

და რაღა თქმა უნდა, — ბავშვი რომ გაჩნდება ქვეყანაზე, ასე ვთქვათ, დედამიწას უკვე შვიდი მეასედი თავისუფალი ფართობი „აკლდება". ჩვენს ქვეყანაში ამ შვიდი მეასედისათვის ძველებურად ხმლის ტრიალი და თოფის ბათქაბუთქი უკვე არავის სჭირდება. თავისით, მექანიკურად ხდება მიწების და ბინების განაწილება თუ გადანაწილება ახლადმოვლენილ მოქალაქეებზე. ასე უდრტვინველად გვარდება ის, რასაც ძველ დროში არმიები და დივიზიები ეწირებოდნენ. მაშ, რაღა გვიშლის ხელს, ჩვენაც დავიკავოთ ეს თავისუფალი, ჩვენივ, მამა-პაპის სისხლით მორწყული, მადლიანი სამეკვიდრონი, რომელიც ამ დუნიაზე ყველასათვის სანუკვარია? ყოველ შემთხვევაში, განა სადამდე უნდა ჩაიჩოჩო ამ წუთისოფლის საფიხვნო მორზე, ვიდრე უფსკრულში არ გადაეშვები? მართლაც და, გაგონილა ამდენი „თავთუხის", „ხოხბის ხორცისა" და „ბადაგის" რჩევა?

შემომეყარა ყივჩაღი,
სამძღვარს მუხრანის გზისასა,
პური მთხოვა და ვაჭმიე,
ვურჩევდი თავთუხისასა;
ხორცი მთხოვა და ვაჭმიე,
ვურჩევდი ხოხობისასა;
ღვინო მთხოვა და ვასმიე,
ვურჩევდი ბადაგისასა...

ლექსის ბოლო ნაწილს ამჯერად აღარ მოვიყვანთ. ჩვენი არსობის წესი, სტუმართმოყვარეობა, ხელგაშლილობა, უკიდურესობამდე მისული თავაზიანობა, ანგარიშმიუცემელი უშუალობა და უაზრობაში გადასული სიალალე ნათლად არის გამოხატული ამ სტრიქონებში...

და მით უფრო უცნაურია ლირიკული გმირის საქციელი, რომ მისი მიმართების საგანს ამჯერად მომხდური, ჩვენი დუშმანი წარმოადგენს. ახლა კი წუთიერად ლექსის დედააზრი შინაურ მაოხრებლებსა და დამაქცევრებზედაც განვავრცოთ — განა ცოტა მოგვეძებნება ასეთი? აქ ერთი შეკითხვა აღიძვრის ძალაუნებურად: არსებითისა და მთავარის ხარჯზე მეტის-მეტი დრო და ენერგია ხომ არ მივახარჯერ „არა შვილების" ფუთვნას, მათთვის ნუგბარი ლუკმის რჩევასა და მეტისმეტ ლოლიავს?

უკიდეგანო ინდიფერენტიზმის ოკეანეში მოდგაფუნეებმა წუთისოფლის ღედეღუდეზე გლებისას სადღაც ხომ არ დავკარგეთ ის უმთავრესი, ყველაზე მნიშვნელოვანი, შორეული, ომახიანი ნაოსნობისათვის უცილობელი, ჩვენი კარის მეზობლებისათვის ასე ნიშანდობლივი რაციონალიზმის გრძნობა? მოვლენებისადმი ფხიზლად თვალის

ეროვნული ბიბლიოთეკა

სწორებისა და შექმნილი დემოგრაფიული ვითარების შესაბამისად „თამაშის გარდაქმნის“ ღვთით ბოძებული უნარი?

სადღაც გულის სიღრმეში გულვება და მოანდევება იმისა, რომ ადამიანთა მიწაზე „ბუნებრივი შერჩევისმაგვარი“ ულმობელი კანონები მოქმედებენ, კანონები, რომელთანაც პურ-მარილითა და „ჩაწყობით“ ჯერ ვერავინ ვერაფერს ვერ გამხდარა და ერთადერთი გამოსავალი ცხოვრებისეულ აქტიურობასა და საზოგადოებრივ ცხოველმყოფელობაში მდგომარეობს?

ამასობაში ერის საარსებო ენერგიის რაღაც ნაწილიც ხომ არ გაილია წუთისოფლის მღელვარე ტალღების წაღმა-უკუღმა ცემისა და გლესვა-ხეთქებისაგან სალესავ ქვასავით? არა და, საცა სამართალია, პირიქით კი უნდა მომხდარიყო, ნათქვამისა არ იყოს, კაი კაცობის მადლი წინ უნდა დაგვხვედროდა. პარადოქსია, მაგრამ ფაქტები სხვას მეტყველებენ — ჩვენსავ უსუსურობაზე ღაღადებენ.

და კვლავ ჩამოჰკრავს განგაშის ზარი: 8,5 — 19,1 !!!

მართლაც, ნუთუ ამ ფუთვნასა და „რჩევა-რჩევაში“ განილივნენ ნაყოფიერების, თვითდამკვიდრებისა და სამომავლო სამზადისისათვის ყოველდღიურ ფიქრსა და მოქმედებაში ქვეშეცნეულად განივთებული ცხოველმყოფელი ძალები?

„განილევიან და ირყევიან, ვითარცა ლერწამნი ქართაგან ძლიერთა!?“ — სარკინოზთაგან შევიწროებულ მორწმუნეებზე იტყოდა იოვანე საბანისძე. სულხან-საბას მიხედვით კი ეს ავბედითი — „განლევა არს მყოფობისაგან არამყოფობისად მიდრეკა სხეულთა“.

ეშმაკსაც თვალი დასდგომია!

არა, ოღონდ არა განლევად ჩვენდა!..

ბოლოში მინაწერი:

როგორც ყველა საქმეში, მწერლობაშიაც, ალბათ, პირადი მაგალითის ძალას გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება, მითუმეტეს, როცა ნაწარმოები თავისი ხასიათით დიდაქტიკურ-მომწოდებლურია და მას საკითხების აღძვრის პრეტენზია გააჩნია. მართლაცდა, სხვათა ყიჟინასა თუ ჭკუის სწავლებაზე ადვილი, ალბათ, არაფერია ამ ქვეყანაზე, უფრო ძნელია საამისოდ მორალური უფლების მოპოვება. არ ვიცი, ამ მხრივ, ჩემი, როგორც მშობლის მდგომარეობა მაძლევს თუ არა ისეთ მნიშვნელოვან ცხოვრებისეულ პრობლემაზე კრიტიკული და ვრცელი საუბრის საფუძველს, როგორიც დემოგრაფია და პოპულაციის საკითხები გახლავთ, მაგრამ რამდენადაც სათქმელი ასე თუ ისე, უკვე ითქვა, ჩვენი, ამ შემთხვევაში ავტორის, ეგრეთ წოდებული, მორალური პოზიციის განსამტკიცებლად ზემოთქმულს ბოლოში ერთსაც დავუმატებდი, რომ ბიძია ქელეშბის ჩაგონებამ უკვალოდ როდი ჩაიარა, მოხუცის კეთილმა რჩევამ თავისი შედეგი გამოიღო — „ვითომ შვილის“ ჩინოსანი მამა „კიდევ შვილის“ რანგში გადავბარგდი. ამიერიდან არც ჩვენებურების ძრახვისა მეშინია და სვანეთშიაც თავისუფლად ჩამესვლება, ვერც ბიძია ქელეშბი მისაყვედურებს — იმ გაჭირვებაში თქვენებმა ხუთნი გაგზარდეს, შენ კი რა დაგემართა ეგეთი — კუსავით ნახირ-ნახირ რო შესდგომიხარ ცხოვრების გასადევარსო. სხვა თუ არაფერი, „კვიცმა გვარზე ხომ უნდა იხტუნოსო“, ისაო, ესაო...

მეც მანდა ვარ უკვე, თქვენთანა ვარ, ბიძია ქელეშბი — იხტუნოს, მაშა, უნდა იხტუნოს!

და ეს იქნება ნანატრი გამოღვიძება სადღაც სულის სიღრმეში ზანტად მოძილქუშე ჩვენი არსობის მამაპაპური დვრიტისა...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ელვირა გორიუხინა

ბედნიერი მგზავროობა ჯერ თბილისში, შემდეგ კი ნოვოსიბირსკში

მცირეოდენი ქრონიკა

ოთარ ჭილაძის რომანი — „ყოველმან ჩემმან მპოვნელმან“ გამოქვეყნდა ჟურნალ „დრუჟბა ნაროდნოვში“, 1980 წლის მე-6-7-8 ნომრებში.

მე იგი წავიკითხე 1980 წლის ოქტომბერში. მშვენივრად მესმოდა, რომ მეათე კლასში მოსწავლეებს „ზედმეტი“ ლიტერატურის თავი ნამდვილად არა ჰქონდათ, მაგრამ მიუხედავად ამისა, მე მაინც გავბედე და ჩემს ბავშვებს შევაპარე ეს რომანი. ახლა ძნელია იმისი თქმა, თუ რა მამოძრავებდა იმ წუთში — მახსოვს მხოლოდ ერთი, ყველაფერი უნდა მეღონა იმისათვის, რომ მათ იგი წაეკითხათ. აუცილებლად უნდა წაეკითხათ და თანაც ერთბაშად. ასე დაიწერა გამოხმაურებანი რომანზე. ისეთი შეგრძნება იყო, თითქოს ჩემი ბავშვების ცხოვრებაში რაღაც მნიშვნელოვანი უნდა მომხდარიყო, ისევე, როგორც ეს მოხდა ჩემში. ორივე მეათეკლასელები ჟურნალების ძებნას შეუდგნენ. რომანის გაცნობის პარალელურად ყველა ზემდგომ ინსტანციაშიც მიდიოდა საჩივრების მძლავრი ნაკადი. მეათე კლასი... გამოცდები... ბილეთები... განვლილი მასალის განმეორება... და ახლა კიდევ ეს ზედმეტი ლიტერატურა!.. და ისიც რაღა მაინცდამაინც ქართული?!.

— კი მაგრამ, თქვენ რაიმე საწინააღმდეგო გაქვთ ინგლისელი შექსპირისა, ანდა ფრანგი ბალზაკისა? — მე ვგრძნობდი, რომ ეს არ იყო არგუმენტი. სკოლის ადმინისტრაცია აცხრობდა უკმაყოფილო მშობლების გამოხდომებს. სკოლის დირექტორი ითხოვდა ამ რომანის თაობაზე ერთი რეცენზია მაინც მეჩვენებინა, მაგრამ საიდან მოვუტანდი, როცა პირველად იგი მხოლოდ 1981 წლის იანვარში გაიხსენეს კრიტიკოსებმა.

ოქტომბერში ჩემს მაგიდაზე იდო 70 თხზულება. 70 აღფრთოვანება. ერთიმეორეზე ამაღელვებელი. ყველაფერი დანარჩენი კი ანგარიშში არცაა ჩასაგდები. აი, იგი, ჩემი მთავარი არგუმენტი — ჩემი ბავშვები. მწვალებლური აღქმისა და ტექსტთან და საკუთარ თავთან სასოწარკვეთილი ბრძოლის პროცესში იკვეთებოდა აზრი ავტორზე. ჩვენს თანამედროვეზე, ადამიანზე, ჩვენთან ერთად და ჩვენს გვერდით რომ ცხოვრობდა. მოძმე რესპუბლიკის წა-

რმომადგენელზე. უმშვენიერესი თბილისის მოქალაქეზე.

ჩემი ბავშვები მოურიდებლად ჩაებნენ ჭილაძესთან დიალოგში. ტექსტობრივი მასალა ავტორთან ან ავტორისათვის ბრძოლის ველად იქცა. სურვილი ავტორის გვერდით ჩამოჯდომისა, ხელის ჩამორთმევისა, პირისპირ თვალებში ჩახედვისა და შეკითხვის მიცემისა, დიახ, ეს გრძნობა იმდენად ძლიერი იყო, რომ რაღაც „საქმე" მოვიგონე და ოთარ ჭილაძეს რომ შევხვედროდი 1980 წლის ნოემბერში თბილისში გადმოვფრინდი. იგი ავად იყო. ველაპარაკე ტელეფონით. გამგზავრების წინ მოულოდნელად დავინახე ახალგაზრდა კაცი. თანამედროვე, დადინჯებული, მშვიდი და ვერაფრით ვერ შევძელი მიმესადაგებინა მისთვის ის სახე, ბავშვების თხზულებებიდან რომ იკვეთებოდა.

უცნაური იყო, რომანი გამოვიდა, ჭილაძემ კი რატომღაც გაიოცა, რომ ციმბირის ერთ-ერთი საშუალო სკოლის მოსწავლეებმა, არა მარტო წაიკითხეს იგი, არამედ თხზულებაც კი დაწერეს. მსგავს გაოცებას ცხოვრებაში ადრეც შევხვედრივარ. ერთ-ერთ თავის წერილში იური ტრიფონოვმა, ჩემი ბავშვებისათვის რომ ნომერ პირველი მწერალი გახდა, სწორედ ასე მოგვწერა: „არასოდეს არ მიფიქრია მეათეკლასელზე, როგორც ჩემს მკითხველზე". ესე იგი, მწერალს თავისი მკითხველები ასე თუ ისე დაყოფილი ჰყავს ასაკობრივი და სხვადასხვა თვალსაზრისით განსხვავებულ კატეგორიებად.

...დისკომფორტის გრძნობა ოთარ ჭილაძესთან დამოკიდებულებისას მეტად ძლიერი იყო. და მე მომეჩვენა, თითქოს რაღაც ძალადობას მივმართავდი მწერლის მიმართ. იმ პირველ ჩამოსვლაზე ქვეცნობიერ ზრახვათაგან განთავისუფლება ნამდვილად ვერ შევძელი. ჭილაძესთან ჩემს დამოკიდებულებაში დიდაქტიკა და რომანის სასკოლო თხზულებებთან მისადაგების სურვილი სჭარბობდა. მწერალმა გამოავლინა მოთმინება. მაგრამ იყო ერთი შეგრძნება, რომელმაც შემარცხვა ავტორთან, — ეს იყო განცდა დაღლილობისა, რომელიც გამოკრთოდა ოთარ ჭილაძის სხეულიდან. ეს ის დაღლილობის გრძნობა გახლდათ, რომელიც „მატერიალურად" განიცადეს ჩემმა მოსწავლეებმაც: „...ავტორმა თავადაც მძიმედ განიცადა ყველაფერი ის, რასაც თვითონ წერს". ყურადსაღებია ის გარემოებაც, რომ ასეთი შეფასება მთლიანდებოდა პირადი თვალსაზრისითაც, რომელიც კიდევ უფრო განამტკიცებდა რწმენას, რომ ოთარ ჭილაძის დაწერილი ყოველი სიტყვა, ოფლისა და სისხლის ფასად იყო მოპოვებული.

„...ყოვლად შეუძლებელია წარმოდგენა იმისა, რომ ადამიანმა მსგავსი ქმნილება მყარზე უმყარესი და ძირის-ძირამდე შესწავლილ-გათავისებული საფუძვლის გარეშე შეთხზას" (მარინა ჩირკოვა). დამახასიათებელია ისიც, რომ ჭილაძის მთელი განცდები მოზარდთა შემეცნებაში აღიქმება არა როგორც დროში მიმდინარე პროცესი, ისეთი მოვლენა, რომელსაც დასაწყისი და დასასრული გააჩნია, არამედ როგორც საფუძველი, უსასრულო ყოფიერება, რომელშიაც შემოქმედება და ცხოვრება თითქოს ერთმანეთშიაო შერწყმული. იმ მოსწავლეებსაც კი, რომლებსაც მშვენივრად ესმოდათ, რომ ნაწარმოების სპეციფიკა მწერლის მხატვრული აზროვნების თავისებურებიდან მომდინარეობდა, ვერაფრით ვერ წარმოედგინათ, რომ მახსოვრობაში ჩაჭედილი რომელიღაც დეტალი, შედარება, სახე ერთადერთი — მწერლური შემოქმედებითი პროცესის ნაყოფს წარმოადგენდა. ვალოდია სომოვმა ასეც დაწერა: „მე მგონია, რომ ავტორი სახეებს ჯერ კიდევ რომანის დაწერამდე „აგროვებდა". მრავალი მათგანის გახსნისათვის ერთადერთი ორიგინალურობა და ნათელი აზროვნება არაა საკმარისი. ამ სახეების აღმოჩენა მხოლოდ ცხოვრების შუაგულშია შესაძ-

ლებელი და ისიც ნათელხილვის ჟამს".

თბილისიდან დაბრუნების შემდეგ ჩემს ბავშვებს რომ განვუცხადე — ოთარ ჭილაძე მეტად გადაღლილია-მეთქი, ისინი ფრიად კმაყოფილნი დარჩნენ ჩემი მივლინების „შედეგებით". ასეთი შეფასება მთლიანად შეესაბამებოდა მოზარდების წარმოდგენას რომანის საზღაურის თაობაზე.

წიგნი კი კვლავაც ძველებურად განაგრძობს თავის არსებობას ჩვენს შორის. ის კი არა, მან მრავალი მშობელიც კი ჩაითრია ამასობაში. და აი, უცნაურობა: წიგნმა აიძულა მშობლები სხვა თვალით შეეხედათ თავიანთი შვილებისათვის. ერთნი შეარიგა მათთან, მეორენი განახლებული და ამაღლებული სულიერი გრძნობით დააკავშირა, მესამენი კი, ცოდვა გამხელილი სჯობია, შეაშინა. შეაშინა, იმიტომ, რომ გამოავლინა ბავშვების შესაძლებლობანი ცხოვრებისეულ სიღრმეებსა და ადამიანების სულში ჩახედვისა, მათი ავტონომიურობის დონე და უაზრობა მშობლების მცდელობისა, როგორმე დაებრუნებინათ თავიანთი შვილები ჩვეულებრივი, მათთვის ხელსაყრელი მშობლიური თვალთახედვის კალაპოტში. ჭილაძის რომანი ჩვენთვის კარგი გაკვეთილი და გამოცდა გამოდგა. ლარისა კრავჩენკოს თქმისა არ იყოს, იგი ერთდროულად წარმოადგენდა მეგზურს ადამიანთა სამყაროში და ასევე ჩვენს მთავარ სიმწიფის ატესტატსაც. მშობლების შოკმა დიდხანს გასტანა. წიგნი ზემოქმედებდა ცხოვრებაზე თავისი არსებობის ფაქტით. თვით ტექსტში წვდომის დონე იმაზე მეტს გამოხატავდა, ვიდრე ეს იყო ხელოვნებასთან ჩვეულებრივი ურთიერთობა.

გამოსაშვებ საღამოზე, 1981 წლის ივნისში, ჩემთან მოვიდა რომან კიშინცევის მამა, ერთ-ერთი ქარხნის ინჟინერი და ჟურნალ „დრუჟბა ნაროდოვის" სამი ნომერი გამომიწოდა. მივლინებაში ყოფნის დროს, ბუკინისტურ მაღაზიებში „ქექვისას" კიშინცევის მამამ, ეტყობა, როგორღაც მოიგდო ხელში ამ ჟურნალის ის ეგზემპლარები, სადაც ოთარ ჭილაძის რომანი იყო დაბეჭდილი — და ჩემს გარდა სხვაც ბევრი ვინმე მოამარაგა.

„დიდი მადლობა, ელვირა ნიკოლაევნა, ჭილაძის გამო" — მითხრა მე რომანის მამამ. „დიდი მადლობა ჭილაძისათვის", — თავიანთი მადლიერების გრძნობა გამოხატეს სხვა მშობლებმაც. აზრობრივი სისავსე ამ ფრაზისა უნდა შევაფასოთ ოთარ ჭილაძის რომანისადმი მოზარდის მიმართების კონტექსტში. „გმადლობთ, ჭილაძისათვის" — მითხრეს ჩემმა ახალმა მეათეკლასელებმა. კარგი, ვთქვათ, რომ ის შარშანდელი გამოსაშვები კლასი სისხლხორცეულად ჩემი იყო, მათზე გარკვეულად ზემოქმედებდა ჩემი შეხედულებანი, ჩემი დამოკიდებულება რომანისადმი, მაგრამ ესენი? ეს ახლები, ძნელად დასამორჩილებელნი, თავისწვერანი, რას ნიშნავდა მათთვის ეს პირველი შეხვედრა ქართულ რომანთან? როცა ჩემს ხელში მოხვდა კიდევ ოცდაათი თხზულება, რომელთა მეშვეობითაც მე ძალმიძდა თვალი გამედევნებინა ქვეყნად მოვლენებისა და საგნების განსაცვიფრებელი აღმოჩენებისათვის, მე კვლავ გადმოვფრინდი თბილისში. 1982 წლის იანვარი იდგა. ამჯერად ჩემი მიზანი იყო ოთარ ჭილაძისათვის გამეცნო ყველა თხზულება. მე მსურდა ბოლომდე ჩავწვდომოდი ქართველი მწერლისადმი ბავშვების დამოკიდებულებაში გამოვლენილ კანონზომიერებებს და საბოლოოდ განვთავისუფლებულვიყავი შემთხვევითობისაგან. და აი, სასწაული! — ამჯერად ჩვენი შეხვედრა შესდგა.

ოთარ ჭილაძის ბინა ერთობ ნაცნობი აღმოჩნდა. უბრალო ხის კიბე, მეორე სართულამდე რომ მიგყვებოდათ, თითქოს უსასრულობაში იკარგებოდაო. ძნელი დასაჯერებელი იყო, რომ ჩვეულებრივი, თანამედროვე საცხოვრებელი ბინის ოთახში ვიმყოფებოდი. მაშინ მე გამახსენდა ლიოშა ბურდუკო-

ვას თხზულების პირველი სტრიქონები: „ჭილაძის რომანი ძნელად იკითხება. იგი უსასრულოდ გეჩვენება ადამიანს. იგი უსასრულოა, როგორც ცხოვრება. მას თითქოს არა აქვს დასაწყისი და დასასრული. იგი იწყება კაცობრიობის დასაბამთან და დამთავრდება მხოლოდ მისი გადაშენების შემთხვევაში. ჭილაძის რომანი — ეს არის დაუსაბამო ცხოვრებისეული ფირის ერთი ნაჭერი“.

სწორედ ჭილაძის სახლში კანითა გრძნობ, რომ შენ ციმბირელი ხარ სისხლის უკანასკნელ წვეთამდე. შენ იმ კუთხის შვილი ხარ, სადაც წავიდა ნიკო. ციმბირელი, სადაც მაკაბელების გვარს შეეძინათ მართა.

ამ წუთში სხვა მნიშვნელობა შეიძინესო თითქოს იგივე ლიოშა ბურდუკოვას თხზულების სიტყვებმა: „ნიკო მოკვდა, მაგრამ დატოვა პასუხი შეკითხვაზე. დატოვა ქალიშვილი. ნიკოს ქალიშვილი ცოცხლობდა, იმიტომ რომ იგი მიატოვეს ადამიანებმა, რომლებიც ერთიანად, შეთანხმებულად მოქმედებდნენ. როცა ადამიანები ერთად არიან, მათ ვერავინ დაამარცხებს. მათ არაფერი არ ემუქრებათ. ალექსანდრემ შეიცნო ცხოვრების უმთავრესი კანონი — „ადამიანი ადამიანისათვის ძმაა“. ადამიანები უნდა ცხოვრობდნენ ერთიან ოჯახად. არსობის ფორმულა გამოყენებულია. ძიება დამთავრებულია. ცხოვრებისეული ფირი უსასრულობაში უჩინარდება“...

მხოლოდ მაშინ, იმ გრძელ, და იდილიურ საღამოს, ახალგაზრდების თხზულებათა კითხვის ჟამს, როცა ყოველი სტრიქონი ნოვოსიბირსკელი ჩვიდმეტი წლის ყმაწვილისა ჰარმონიულად საცნაურდებოდა და ნივთდებოდა რაღაცნაირ ინტიმში, მთელი ეს ყოფიერება თავისებურად აირეკლებოდა მწერლის ოჯახში მობინადრეთა სულიერ სამყაროშიაც; და აი, სწორედ აქ შეიქნა ჩემთვის ყველაზე საცნაური ჭილაძის რომანთან ურთიერთობის ფენომენი — თანამოძმე საქართველოს კულტურასთან თანაზიარობისა. როგორც არასდროს, ნათელი გახდა, რომ კულტურის სფეროში ზოგადსაკაცობრიო გამოცდილების თანაზიარობა შესაძლებელია მხოლოდ ეროვნულის სიღრმეებში წვდომის მეშვეობით. არა და, რა დიდებულია ჩასწვდე ზოგადისა და კონკრეტულის ურთიერთმიმართების ამ ურთულესი დიალექტიკის საიდუმლოებას. რა ძნელია კულტურათა დიალოგში კარის შეღება. როგორ ისახება ეს დიალოგი, ერთი კულტურის წარმომადგენელი მკითხველი რა უცნაური ბილიკებით აღწევს სხვა კულტურის წმიდათა-წმიდა სამყაროში? როგორ წარიმართება შემდგომად ზოგადსაკაცობრიო გამოცდილებათა ათვისება?

და ბოლოს, როგორღა მოხდა, რომ ქართულ თემაზე შექმნილი რომანი ჩემი მოსწავლეებისათვის გახდა გზათამკვლევი კაცობრიობის სამყაროში?

ეს ჩემთვის მით უფრო საინტერესოა, რომ მე წავაწყდი მრავალ მკითხველს, რომელნიც ჯერ კიდევ ურუქის ფარგლებს არ გასცილებოდნენ. შემდგომში, კრიტიკოსების რომელიღაც ნააზრევში მე წავიკითხე, რომ „ნაწარმოებს არ ჰყოფნის ჰაერი“. მე არ მესმის, რა იგულისხმება ამ ბუნდოვან მეტაფორაში. მრავალთაგან ერთ-ერთი საუბრის დროს ნოვოსიბირსკელმა ფილოსოფოსმა თქვა: „რაც არ უნდა იყოს, რომანი, მეტისმეტად ქართულია. ყველა თვალსაზრისი, რომელიც რომანშია განვითარებული, გინდა თუ არ გინდა, ქართულია. ავტორს რომ ჰყოფნოდა სურვილი და ოსტატობა არა მხოლოდ უმნიშვნელოვანესი ქართული თვალსაზრისებისათვის ეზიარებინა თავისი მკითხველი?..“—მშვენივრად ვგრძნობ, რომ აქ წამოჭრილ კითხვებზე პასუხის გაცემა ჩემთვის ძნელზე ძნელია, მაგრამ, სიმართლე გითხრათ, ამ პასუხებთან მიახლოების ძალიან დიდი სურვილი კი მაქვს.

დიდი სურვილი გამაჩნია, მაგრამ, ამავე დროს მეშინია კიდევაც. ჩემს ცხოვრებაში არასოდეს ასე არ განმი-

ცდია პასუხისმგებლობის გრძნობა. ჩემთვის მტანჯველი გამოდგა არა მხოლოდ რომანის გაცნობა, ასევე ბოლომდე გაცნობიერება რომანისადმი ყმაწვილკაცური დამოკიდებულებისა და აღქმისა. დიახ, მე მასწავლებელი ვარ. მეშინია ამ სასკოლო ნაშრომებისა. მიყვარს და მეშინია. მაგრამ გასაგებია. ჩემი პედაგოგიური იღბალი მჭიდროდ არის დაკავშირებული ამ წიგნთან. მე გადავშლი ხოლმე ოთარ ჭილაძის რომანს ერთად-ერთი აღმზრდელობითი თვალსაზრისით — ამ ნაწარმოებისადმი ახალგაზრდების შინაგანი დამოკიდებულებიდან გამომდინარე. აქ, პიროვნებათა ხასიათის ჩამოყალიბებისა და ოთარ ჭილაძის გმირების გამოცდილებათა შეხლა-შემოხლის მოედანზე გადავშლი მე ჩემს ჭილაძეს. ჩემს ამ წიგნს არ ექნება დასასრული, იმიტომ რომ არა აქვს დასასრული ოთარ ჭილაძის რომანს. მარადისობის რომანი უწოდა მას მარინა ჩირკოვამ და ეს არ გახლავთ უპასუხისმგებლოდ მოხმობილი მეტაფორა, ეს არის ზუსტი განსაზღვრება, კითხვის მეტად მტკივნეულ პროცესში აღმოცენებული. შეფასება, რომელშიც დაფიქსირებულია შეცნობა იმ უთვალავი ძაფების არსებობისა, რომელნიც არა მარტო გმირებს აკავშირებენ ერთმანეთთან, არამედ წიგნსაც ცხოვრებასთან. შეცნობა მოვლენებისადმი ერთადერთი ამოსავალი წერტილის მისადაგების შეუძლებლობისა, რაც საგრძნობლად შეამსუბუქებდა ტექსტის აღქმასა და შესისხლხორცებას.

როგორ ვკითხულობდით...

ძალიან ძნელი იყო, ყველას ძალიან უჭირდა. და მე მაინც დავყოფდი ჩემს მკითხველებს სამ კატეგორიად:

1) ისინი, რომლებიც უცბად დაატყვევა წიგნმა, რომელთაც ეს სულიერი აღვსება განიცადეს, როგორც უზარმაზარი სიხარული. ბევრი რამეც ვერ გაიგეს ბოლომდე, მაგრამ ეს გაუგებრობა მათთვის იყო რაღაც მომჯადოებელი მოვლენა, მსგავსი რამ საიდუმლოს განცდისა. რომანმა მკითხველი მოინადირა და იგი სხვა სინამდვილეში, უცხო სამყაროში გაიტაცა. ქვეყნიერება გაფართოვდა, გადიდდა.

2) ისინი, რომელნიც მოდრიკა რომანის მეტისმეტმა სიმძიმემ, რომელთაც მტანჯველად განიცადეს წიგნის საიდუმლოებაში ჩაწვდომის შეუძლებლობა. მათი თხზულებანი — ეს არის აღმსარებლობითი მოთხრობები მკითხველთა მწვალებლობის თაობაზე;

3) და ბოლოს ისინი, უფრო სწორად, ის ერთი, იულოჩკა შჩედროვა, რომელმაც როგორც კი იგრძნო, რომ რომანს ვერაფერს გაუგებდა, ბუნებით ჭირვეულმა და მეტისმეტად სუსტმა, მძიმე საყვედურებით აღავსო მწერალი. მის არსებაში ჩაირთო კომპენსაციის ქვეშეცნეული მექანიზმი: სხვა ყველაფერი გამორიცხულია. მე, დიდი ხანია, მიტაცებს მკითხველის მწერლისადმი პროტესტის გენეტიკა: ამაში ჩვეულებრივად იგულისხმება როგორც მხატვრული უმეცრება, ასევე პიროვნული მახასიათებლებიც.

იყვნენ აგრეთვე უფროსებიც: მშობლები, ჩვენი ინსტიტუტის მასწავლებლები, რომანთან დაკავშირებით ჭიქა ჩაიზე ჩემთან რომ იყრიდნენ ხოლმე თავს. მათი შეფასებანი რამდენადმე მკრთალია, გაცრეცილი, იმდენად გამოკვეთილი არ არის, როგორც მოსწავლეებისა, მაგრამ შეიძლება ისინიც ერთ-ერთ რომელიმე კატეგორიას მიაკუთვნო. როგორც შემდგომში აღმოჩნდება, მკითხველთა აღმქმელობის ტიპიზაცია მეტისმეტად პირობითია. თუ კი წიგნი იტაცებს პიროვნებას, ჩვენ საქმე გვაქვს ისეთი ვარიანტის ტიპთან, რომელშიც ინდივიდუალური დომინირებს ტიპოლოგიურზე.

მაინც იყო რაღაც საერთო, უფრო სწორად, მთელი ამ ჯგუფების გამაერთიანებელი: ნათლად ავლენს თავის სახეს რეფლექსიის უმაღლესი წესრიგიანობის ფსიქოლოგიური თვისება, რომელსაც ძალუძს განსჯის საგნად აქციოს საკუთარი მკითხველური საქმიანო-

ბა. წიგნი აღიქმება, როგორც აბსოლუტურად ახალი ესთეტიკური გამღიზიანებელი, რომელსაც მკითხველის პრაქტიკაში პრეცენდენტი არ დაეძებნება. მართალია, მახსოვრობა მზრუნველურად გაჩრის გვაროვნულ ურთიერთობათა რღვევისადმი მიძღვნილ არაერთ რომანს, არა ერთ მხატვრულ ანალოგიას, და მიუხედავად იმისა, რომ შენ სკრუპულოზურად ადგენ გენეალოგიათა გრაფიკებს ჭილაძისა და მარკესის მიხედვით, მათი მსგავსებით განცვიფრებული, მაინც გრძნობ უცნაურ დამაჯერებლობას, რომ ჭილაძის რომანი პირველთაგანია! ამ გარემოებამ თავდაპირველად რამდენადმე თავბრუც კი დამახვია.

ჩემი პედაგოგიური ეგოიზმი ცდილობდა თხზულებებში აღმოეჩინა მეტისმეტად აშკარა დიდაქტიკური ფენები, უცილობელი მიმანიშნებელი იმ ღირებულებებისა, რასაც ადრე მკითხველის გამოცდილება გულისხმობდა, მაგრამ ყველა თხზულებიდან ისე მკაფიოდ იგრძნობოდა წიგნის პირველაღმომჩენისათვის დამახასიათებელი აღფრთოვანება, რომ უეჭველად, ასკვნიდი — იგი იყო მართლაც ერთ-ერთი პირველთაგანი!

შემდგომ, მოგვიანებით მე მივხვდები, რომ ყველაფერი ეს მომდინარეობდა მთელ არსებულ კულტურასთან პიროვნების თვალთუხილავი, სიღრმისეული კავშირებიდან, მაგრამ საზომი, რომელიც ოთარ ჭილაძის რომანმა დატოვა მკითხველის აზროვნებაში აღიქმებოდა, როგორც წყვეტილი ნიშანი.

ასე და ამგვარად რეფლექსიაზე! თვით მისი გამოვლინებაც კი, როგორც გონიერების მაუწყებელი მნიშვნელოვანი ნიშან-თვისებისა, და არა გონიერებისა, მეტყველებს იმაზე, რომ ტექსტის სტრუქტურის სიღრმეში შეღწეული პიროვნება უმალვე განიცდის ესთეტიკური ველის მაღალ დაძაბულობასა და კითხვის პროცესუალური მხარის შეგრძნების უპირველეს რეაქციას. ოთარ ჭილაძის რომანთან დაკავშირებული რეაქციის ტიპში არის ის, რასაც ჰქვია ქართული კულტურის შემეცნების ფენომენი ზოგადად, რომლის ფსიქოლოგიური ახსნაც შეიძლება სცადოს კაცმა დიმიტრი უზნაძის მიერ შემუშავებული თეორიული დებულებების შუქზე. საქმე იმაშია, რომ მკითხველის თუ მხილველის უპირველესი რეაქცია სხვა არაფერია, თუ არა ფიქსირებული დებულების კრიზისი. ამ დროს მთელი ადრინდელი გამოცდილება განიცდის ნგრევას. აი, სწორედ აქ ყალიბდება წყალგამყოფი ქედი მკითხველთა ტიპებს შორის. ამ დახარისხების საფუძველს წარმოადგენს დებულების ხასიათი, პიროვნების მიზანსწრაფული მოქმედების მექანიზმები. ამიტომაც დებულებათა გარდაქმნადობაზე დაკვირვებანი მკითხველისა და პიროვნების დახასიათებისათვის ერთდროულად გვაძლევს გასაღებს.

შეიძლება უცნაურად მოგეჩვენოთ, მაგრამ მეორე კატეგორიაში მოხვდნენ „ხელოვნებისადმი მიდრეკილი“ მოსწავლეები. მათმა ინტუიციამ, რომანის მრავალფეროვანი მხატვრული სიგნალების შთანთქმის უნარმა ტექსტი ერთგვარად დაამძიმა. ასეთი „მხატვრული სულის“ არსება ყოველთვის ესწრაფვის მონოლოგისაკენ. იგი ეძებს რომანში ხელშესახებ ჯაჭვის რგოლებს, რომელთა მეშვეობითაც ცდილობს რომანის ურთულესი კონსტრუქციის შენარჩუნებას. და იგივე მხატვრული ალღო ჰკარნახობს მას, რომ ეს რგოლი სხვაა, არის კიდევ მეორე, ზუსტად ასეთი და ასე შემდეგ, და ასე შემდეგ...

მარინა ჩირკოვას სწორედ ეს ჰქონდა მხედველობაში, როცა წიგნს მარადიული რომანი უწოდა: „ბორჩალოელი — მაიორი — ანა — გიორგა... გაიჭიმა ძაფი, არა მხოლოდ ოჯახის წევრების გამაერთიანებელი, არამედ სადღაც უსასრულობაში გარდამავალი... გნებავს ახლა სხვა ძაფი გაიბი: მაიორი — ნიკო — პეტრე — ალექსანდრე... ანვითარებ მსჯელობას და კვლავ აწყდები ათას სხვა გორგალს. მერე კი შლი,

ში მას და გამოდის, რომ, ყოველი, ვინაც შეგხვდება, არაფერ სასიკეთოს, რაიმე არსებითს არ უნდა მოელოდეს... „აი, ისიც მოკლეზე გადასასვლელი: მხატვრული შემეცნების ანალოგიიდან — პიროვნულისაკენ. გამოსავალი, თვით მკითხველის მიერ მიგნებული. რომანი პიროვნებაზე ზემოქმედების თვალსაზრისით მტკიცე და შეკრულია: ფსიქიკა ერთდროულად ყველა სართულზე მოქმედებს. რომანში ისე ღრმად ირთვება ადამიანი, რომ ზოგიერთი (გაუგებრობანი აღიქმება, როგორც დიდი პიროვნული დანაკარგები. რომანი ფსიქოლოგიური შესაძლებლობების პოლიგონივითაა“.

„...იგი ფიზიკურად ზემოქმედებდა ჩემზე, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. თავი მიბრუოდა ხოლმე და თვალები მიბნელდებოდა, თითქოს მანჯღრევდა. ადრე არასოდეს არ დავიჯერებდი, რომ სიტყვას — არამატერიალურ საგანს — მატერიალური და თანაც ასეთი ძლიერი ზემოქმედება ძალუძდა. მთავარი კი ისაა, რომ მე არ მესმის, რატომ ხდება ასე“ (რეგინა დიომინა). ნაცადი საშუალებების კრიზისი რომ დაგიდგება და რომანის სტრუქტურის ადექვატურ ახალ ფორმულებსაც ვერ ჩამოაყალიბებ, პიროვნება, უბრალოდ, იკარგება.

„გრძნობების ამ ოკეანემ, უამრავი და თანაც სხვადასხვა თაობების ადამიანთა შეხედულებებმა, რომელთა არსშიაც მე უნდა ჩავწვდე და გავერკვე, ერთიან გამანადგურეს. ხშირად ფიქრებში გადავერთვებოდი ხოლმე, გმირთან ერთად გავუყვებოდი ოცნების გზას. ადამიანის შინაგანი სამყარო ასე ფართოდ ჯერ არ გახსნილა ჩემს წინაშე. თითქოს ბნელით მოცულ ტყეში მოხვდი, თითოეული ადამიანისათვის ყველაზე საოცნებო სამყაროში. ეს სერიოზული ამბავი გახლავთ და აღსაქმელად არც ისე ადვილია“ (ტანია კოლესნიკოვა).

მხატვრულმა მგრძნობელობამ, როგორი პარადოქსალურიც არ უნდა იყოს ეს, საწინააღმდეგო შედეგი გამოიღო მეორე კატეგორიის მკითხველებისათვის. ისინი, უბრალოდ, ჩაეფლნენ რომანში. სხვა სიტყვა ვერც მომიძებნია. ტანია გაიხსენებს, რომ მას შიგადაშიგ ამუხრუჭებენ ძლიერი მხატვრული შთაბეჭდილებანი.

აი, მაგალითად, ჩონჩხი, რომელიც მიაქვთ ნიკოსა და ალექსანდრეს, ზოგიერთი ვინმესათვის ეს სიმბოლოა, მეტაფორაა, აზრის შემეცნების გამაიოლებელი, ტანია კი ამ სახეს ორმაგად განიცდის. იგი წინ წამოსწევს ჩონჩხისა და მისი მზიდველი ბავშვების სახეებს. ჩონჩხი და ბავშვები! ეს შერწყმულობა აღაშფოთებს მის აზროვნებას. მაგრამ ეს აფეთქება უნაყოფოა. შეიგრძნობა მწვალებლური სიცარიელე. მხატვრული სახის ემოციური ძალისხმევა ყოველგვარ საზღვარს სცილდება. იგი არა თუ გვეხმარება ტექსტთან მიმართებისას ორიენტაციაში, არამედ შუასაუკუნეებრივი ურდულივით კეტავს გზას შემდგომი წინსვლისათვის. ის, რაც მარტოოდენ საშუალებად უნდა ყოფილიყო გამოყენებული, მიზნად იქცა. საოცრად ფაქიზი და გრძნობიერი ტანია აღმოაჩენს, რომ ყველა ტრაგიკულ სიტუაციას რომანში უეჭველად გააჩნია გამოსავალი. ამ გამოსავალს იგი ბიძგად მონათლავს. აი, გიორგას სიკვდილი. მამალი, გიორგას სხეულს რომ ჩაასობს კლანჭებს. გეორგა — მსხვერპლია, მაგრამ სიკვდილი — განწმენდაა. ეს ბიძგია რომელიღაც უფრო მნიშვნელოვანისკენ. ოპტიმისტურ ფინალში ტანიასთვის გასაგებია გიორგას სახე; შემდეგ ტანია მიადგება ანას სახეს, რომელსაც ხელში ბორჩალოელის ხმალი აღმოაჩნდება, განმგმირველი იმისა, რისი გულისთვისაც ცხოვრობდა ანა, — შვილისა, მისი ერთადერთი სიყვარულის სისხლისმიერი ნაყოფისა. კვლავ ბიძგი მომავლისაკენ. მაგრამ, რას იზამ, თუ კი გიორგას სხეულში ჩაფრენილი დეზები განწმენდის საფუძველს ვერ გიქმნის? და როგორც არ არწმუნებდა საკუთარ

თავს ტანია, როგორადაც არ ეცადა ყველა ამ ტრაგიკული სიტუაციიდან რაღაც მარადისობის კანონის მსგავსი რამ გამოეყვანა, ვერაფრით ვერ მოახერხა, იგი განადგურებულია. მანაც ისევე, როგორც მარინა ჩირკოვამ, ირწმუნა იმედი, მაგრამ მაინც ვერ შესძლო ჩასწვდომოდა: „...რად იყო საჭირო ამდენი მსხვერპლი". დროდადრო, კითხვის პროცესში ისეთი მტანჯველი განცდა ეუფლებოდა, რომ ეჩვენებოდა: „ცხოვრებაზე უარესი არაფერია ამ ქვეყნად". და ამ დროს მე, მასწავლებელს მებადება კითხვა: აქვს კი აზრი ასეთ მწვალებლურ კითხვას? იყო კი გამართლებული მოზარდის წარმართვა ამ მეტად საძნელო საქმისკენ?

მე თანდათან ვხვდები, რომ ყველანაირი მწვალებლობა თავის თავში შეიცავს ნუგეშს, სიხარულს, იმიტომ, რომ მასში მთავარია ქვეყნიერებისადმი პიროვნების გულგახსნილობა, ახალგაზრდობის შეუდრეკელობა — ჩასწვდეს, მიაღწიოს მიუღწეველს, უკანმოუხედველი, მერკანტილურ ანგარიშობანას მოკლებული წყურვილი საკუთარი თავის ბოლომდე გახარჯვისა. ახალგაზრდობის გულშემატკივრული დამოკიდებულება ზოგადსაკაცობრიო სიტყვიერებისადმი. ამ ნამუშევრებში არის აგრეთვე მაგიაც; ტკივილის სიშიშვლე — შველას რომ ითხოვს. მასში ჩაკეტილობა კი არ იგრძნობა, ემოციების დაჩაჩანაკებისაკენ რომ მივყავართ, არამედ — მიმზიდველობა და ძლიერება გრძნობებისა. ისევე, როგორც ფსიქოლოგიური სტრესის დროს, რომელიც არა მარტო გვაცლის უკანასკნელ ძალას, არამედ აზანზარებს რა ორგანიზმს, რთავს მასში ენერგეტიკული შესაძლებლობების ახალ საშუალებებს. მაშინ ეს ჯანჯღარი გადაიქცევა თავისებურ ემოციურ წრთობად, გრძნობათა იმ ერთგვარი აღზრდის სკოლად, რომელსაც მივყავართ მოქალაქეობრივ გამბედაობამდე, რამდენადაც ამ გამოგონილ სამყაროში შობილი გრძნობები ნაღდი და რეალურია, ესე იგი, ყველა ისინი პიროვნების მონაპოვარია, მისი სულიერი საგანძურია.

ტრაგიკული შეჯანჯღარება, როგორც ამას იტყოდა პრიშვინი, აღრმავებს თვალთახედვას სულიერ სამყაროში. ხელოვნების სამყაროში შეღწევისათვის, ჰეშმარიტი მშვენიერების ზიარებისათვის ახალგაზრდა საზღაურს იღებს საკუთარი სულიერი სამყაროს საუნჯიდან. და ეს უკვე საზღაური კი არაა, ეს ჯილდოა. ასე შეიძლება ვუპასუხოთ ზემოთ წამოჭრილ კითხვას — კი, მაგრამ არის კი აუცილებელი ამდენი მწვალებლობა? ხანდახან რომანის შესახებ თხზულებების ნაცვლად მე ვკითხულობდი თავისებურ ესეებს, აღვსილებს ტკივილითა და საშინელებით: მკითხველის აზრი მომდევნო მხატვრულ მარყუჟს ენასკვებოდა, მაგრამ თავისთავად ფაქტი მეტისმეტად გრძელი (მთელ რვეულზე — ან ორ რვეულზე), გაწელილი ფილოსოფიური ნააზრევის რეალობისა, რაღაც იმედს სახავდა. აზრი ამ გადაცდენილთა გადარჩენის იმედის პათოსით იყო აღძრული, ცოდვა გამხელილი სჯობია: ტვინის ჭყლეტა გამოსავლის ილუზიასა ჰქმნის ხოლმე.

აი, ტიპიური მაგალითი პირველ კატეგორიაში გარდამავალი მკითხველისა, „ჩვენ ვამბობთ, რომ ყველაფერი ადამიანზეა დამოკიდებული, იგი განაგებს საკუთარ ბედს, მაგრამ მას ხომ ამავე დროს ძალუძს დაამკვიდროს ჯოჯოხეთი? და ჩვენ, ადამიანებს, ერთგვაროვნად მოაზროვნე არსებებს სამყაროში, რაღატომ არ ძალგვიძს წარვმართოთ ჩვენი ცხოვრება ისე, რომ ყოველი გარდასული წამის [illegible]ენება ჭმუნვას არ აღგვიძრავდეს ხოლმე? მაგრამ მაშინ რა მაგიაა მართლაც და მართლაც ეგ ცხოვრება, რომ ასე გვეშინია მასთან განშორებისა? რატომ სწამს ასე მტკიცედ ადამიანს საკუთარი თავისა? იმ საბედისწერო ღამეს რატომ არ მიემხრო ბორჩალოელს ანა? იგი მზად იყო, მთელი გასული წლების სიმძიმილი თუნდაც წამიერად მოეხსნა მხრებიდან. მაგრამ ანასთვის ხომ თავიდანვე ცნობი-

ლი იყო მაიორის ჩანაფიქრი? ნუთუ ადამიანი ასეა სხვაზე დამოკიდებული, რომ სიკვდილმა ამ სხვა ადამიანისა, ამ შემთხვევაში კი ანას მეუღლისა, საბოლოოდ განაქარვა მასში ყოველი ადამიანური?

ერთი და იმავე შემთხვევასთან დაკავშირებით სრულიად საწინააღმდეგო შეხედულებანი! თითქოსდა აფასებ ერთ რომელიმე საგანს ათვლის სხვადასხვა სისტემის მეშვეობით. მაგრამ რომელი სისტემაა უკეთესი?"... აი, იგიც, წყურვილი ქვეყნიერებისადმი მონოლოგიური დამოკიდებულებისა.

ახლა კი დროა, პირველი კატეგორიის მკითხველებს მივუტრიალდეთ. ამ კატეგორიაში პირველ რიგში მოხვდნენ განსჯისმოყვარული ბავშვები, ფიზიკა-მათემატიკური ორიენტაციის მოსწავლეები. მათაც უჭირდათ რომანის კითხვა. კითხვის ხასიათი სხვადასხვა ეტაპზე მეტისმეტად განსხვავებული იყო. გაცნობის ეს პროცესი მოიცავდა რამდენიმე ფაზას. პირველს, პირობითად შეიძლება ეწოდოს ორიენტირული. იგი ფსიქოლოგიური დაძაბულობის ინტენსიურობის თვალსაზრისით და ასევე კითხვის ტემპის მიხედვით ყველასთან ინდივიდუალურია. ეს პერიოდი ზოგიერთთან მთელი კვირაც კი გრძელდებოდა. მაგალითად, ალა ნიკოლაენკოვამ, როგორც ეს თვითონ აღიარა, კვირაში ათიოდე გვერდი ძლივს „ჩააბულბულა". ნატაშა დვორკინამ ოცი დღის განმავლობაში ჟურნალ „დრუჟბა ნაროდოვის" ერთი ნომერი წაიკითხა. „ადრინდელივით რომ მეკითხა, ამასობაში მთელ რომანს ჩავამთავრებდი, მაგრამ ვგრძნობდი, რომ ძველებურად არ გამომდიოდა. რომანი შოკის შთაბეჭდილებას ახდენს. ჩემთვის მისი კითხვა იგივეა, რაც ბობოქარ მდინარეში ბანაობა. აქ შეუძლებელია ცურვა, მხოლოდ საკუთარ ბედს უნდა დაემორჩილო. საერთოდ, შეუძლებელია სტიქიას დაუპირისპირდე, უბრალოდ, საჭიროა, რომ ამ სტიქიას ალღო აუღო, ჩაერთო მასში — მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი რაიმეს ჩახვდე, ყოველი გვერდი, საშუალოდ, ორნახევარჯერ მაინც უნდა გადამეკითხა".

ფსიქოლოგიური განვითარების სხვა ტემპის მქონეებელთ შესანიშნავად ესმოდათ, რომ ტექსტის ჩქარი დაუფლება ზოგიერთ საზღაურს ითხოვდა... „ცალკეულ მომენტებზე, სერიოზული დაფიქრება იყო საჭირო, მაგრამ ამის საშუალებას არ იძლეოდა მოვლენათა საერთო მსვლელობა.

და ასე, თითქოს წამიერად, შეყოვნებული ისევ კითხულობ ბოლომდე გაუაზრებლად, რამდენადმე თავბრუდახვეული და ცდილობ ზოგადი აზრი არ გაგექცეს ხელიდან".

როგორია ფსიქოლოგიური არსი ამ ორიენტირული საქმიანობისა? — მიმდინარეობს ფიქსირებული დებულებების გადაფასება და ახლით შეცვლა. აი, აქ კი ნათლად ჩანს პიროვნების ზოგიერთი კარდინალური თვისების დამოკიდებულება ჩვენეული დებულების პლასტიკურობაზე.

და პირველ ყოვლისა, აქ უნდა ითქვას შემოქმედებით შესაძლებლობებზე. შემოქმედებითი აზროვნება მყისიერად აღმოაჩენს რომანში მიმდინარე მოვლენების შეფასების რამდენიმე სისტემას და ეს თავბრუს კი არ გვახვევს, პირიქით, იგი ჩვენში ერთგვარ ცნობისმოყვარეობასაც კი აღძრავს. ტექსტის რეალური მიმდინარეობის პროგნოზთან შეუთავსებლობა აიძულებს მკითხველს, გადასინჯოს თავისი — მკითხველის „შეიარაღება", წარმოიქმნება დაძაბული ინტელექტუალური ძიების ატმოსფერო.

ლარისა კრავჩენკო ამ მოვლენას უწოდებს, წკიპურტებს ცხვირზე. და მართლაც, ტრადიციული კითხვისათვის განწყობილი მკითხველი უცბად აღმოაჩენს, რომ დრო რომანში ორ ჰიპოსტასში: აბსოლუტურ და შეფარდებით განზომილებაში გვევლინება, რამდენადაც ყოველი მონაკვეთი დროისა სხვა ადამიანების მეშვეობით ახლა ხელახლა მეორდება მათი შემეცნების პრიზმაში.

„პირველ ხანებში ეს მოვლენა თითქოს დაბნეულობას იწვევს, მახსოვს, პირველი წკიპურტი ცხვირზე მაშინ დავიმსახურე ქაიხოსროს რომ ნაადრევად მივაწებე „დამთავრებულის“ იარლიყი, მაგრამ ყოველი სახე „დამთავრებულად“ არ გეძლევა“ (ლარისა კრავჩენკო“). „დრო, როგორც შეუვალი რაღაც შკალა, რომელზედაც განიზომება დანარჩენი ყველაფერი, განისაზღვრება და ინგრევა კიდევაც, იძერწება ნაკუწებისაგან, მწყობრში დგება შემეცნების ლოგიკის საფუძველზე“ (ნატაშა დვორკინა).

უცხო ადამიანის ცნობიერების მეოხებით აღქმული მოქმედება უეცრად სხვა აღმოჩნდებოდა ხოლმე. როგორია ის სინამდვილეში? — რომანი განსაკუთრებულ მოთხოვნებს უყენებს მხატვრული აზროვნების მექანიზმს — არაა საკმარისი დაადგინო „უკეთესი“ ან „უარესი“ ათვლის წერტილი, საჭიროა მიაგნო ნაღდსა და უტყუარ შეფასებას, რომელიც არასოდეს არ განსხეულდება რომელიღაც ერთადერთ პოზიციაში. საჭიროა ამ განხსვავებული პოზიციების შეთანაწყობა. ჰეშმარიტება მიიღწევა ყველა შესაძლო ათვლის წერტილის შეჯერების საფუძველზე. ასეთი ცხოველმყოფელობა მხატვრული აზრისა მეცნიერულს უნათესავდება, შესაძლოა, უტოლდება კიდევაც მას. სხვაგან კიდევ სად ვლინდება ასე ნათლად ეს ფენომენი? სადა? გამახსენდა!... კინემატოგრაფიაში, „ქართულ ფილმში.

შეეცადეთ იოსელიანის „იყო შაშვი მგალობელის“ შინაარსის გადმოცემას.

გნებავთ, სცადეთ თუნდაც მოყოლა ამ ფილმისაგან მიღებული საკუთარი შთაბეჭდილებებისა, რათა ახლა სხვაც „დაავადდეს“ ამ ლენტის სიყვარულით. თქვენ საკუთარ შეგრძნებებში ჩაიძირებით. მართალია, ამ დონეზეც იქნება იმდენი იმედგაცრუება და იმდენი წინასწარშეგრძნება სინამდვილისა, რომ ყოველივე ამან, შესაძლოა, სხვაზე მეტიც კი გვითხრას (აი, მაგალითად, სისტემურ-სტრუქტურული ანალიზი ავიღოთ) ოთარ იოსელიანისა. და მისი სამი განსაცვიფრებელი ფილმის თაობაზე, მაგრამ ყოველთვის (წარმატებისა თუ წარუმატებლობის მიუხედავად) თქვენ მთელი არსებით განიმსჭვალებით აუცილებლობის სურვილით, რომ რაღაც შეცვალოთ საკუთარ თავში, საკუთარი პიროვნების სტრუქტურაში, იმ ჩვეულ პოზიციაში, რომელიც გიჭირავთ. დიახ, საჭიროა თავადვე დაძებნოთ სხვა ათვლის წერტილი მოვლენებისადმი, რათა სხვა კულტურის სტიქიაში შეიჭრათ. იქნება სულაც ეს არის ყველაზე მნიშვნელოვანი გაკვეთილი კულტურათა ურთიერთობის თვალსაზრისით, თუ კი მხედველობაში მივიღებთ მის ფსიქოლოგიურ-პიროვნულ დონეს?

ასე და ამრიგად: მეორე ათწლეულია, რაც 7 წლიდან 22 წლამდე (უმაღლესის დამთავრების წელი) მაყურებლის მიერ ქართული კინომატოგრაფის აღქმის პროცესს ვაკვირდები. ბოლო ორი წლის მანძილზე კი სტუდენტებთან ერთად ვუჩვენეთ ფილმები ხნიერ ადამიანებს (60 წლიდან 90 წლამდე).

შეიძლება დანამდვილებით ითქვას, იმის შესახებ, რომ ქართულ მხატვრულ კულტურაში ძალიან შთამბეჭდავად არის მოცემული „თავშესაქცევი“ საწყისი, რომლის საფუძველსაც წარმოადგენს განსხვავებული ათვლის წერტილების ბალანსირება. ხომ არ გვევლინება ეს „წკიპურტები ცხვირზე“, ეს „თავშესაქცევი“ საწყისი ერთგვარ წარმმართველ ნიშან-[illegible] ქართული ხელოვნებისა? [illegible] ამიტომაცაა, რომ ქართულ ფილმებს, მათ შორის რთულ ფილმებსაც, ასეთი სიამოვნებით უყურებენ ბავშვები, ჯერაც რომ არ დაუკარგავთ თამაშისა და ანცობის განწყობილება? და როგორ აღიზიანებთ ეს ფილმები ზოგიერთ უფროსებს თავიანთი ძველმოდური ჩამორჩენილი დებულებებიდან გამომდინარე, რომელთაც არ ძალუძთ აზრობრივად, შემეცნებითად შეიცვალონ თავიანთი პოზიცია. თუ კი შევეცდებით და ჭილაძის რომანს „გენეტიკური“ თვალსაზრისით შევხედავთ,

უწინარეს ყოვლისა სწორედ ამ თავშესაქცევ საწყისს აღმოაჩენ მასში, რაც რომანს განსაზღვრული ტიპის კულტურას მიაკუთვნებს.

სინამდვილეში კი, ადვილი იქნებოდა ნაწარმოების სივრცობრიობა წარმოგვედგინა მრავალწახნაგოვანი სახით, მაგრამ რამდენადაც მოქმედება დროში არაერთდროულად მიმდინარეობს, შენ ვერაფრით ვერ შემოსაზღვრავ ამ მრავალწახნაგოვნებას. ხშირად ხდება ხოლმე, რომ შენ უკვე წაიკითხე მომხდარი ამბის შედეგების თაობაზე და აღიქვი იგი კიდევაც ცნობიერებაში, აი, მაგალითად, ანას ამბავი, და შემდეგ კი გებულობ მასთან დაკავშირებულ წინამდებარე ისტორიას, გამოხატულს უკვე სხვა გმირის შემეცნების მეშვეობით. ასე და ამგვარად წარმოიქმნება საკმარისად „რთული, რაღაც განსაზღვრული სახით ორიენტირებული და ერთიმეორესთან შეფარდებული მრავალწახნაგოვანი სისტემა“ (ნატაშა დვორკინა). აი, ასეთი მძაფრი შეგრძნება მკითხველის მიერ ორიენტირებულობისა იძლევა საშუალებას ნებისმიერი, გნებავთ, „ერთობ პირადული, ნამდვილპიროვნული ბედის თანაზიარობისა ისტორიის ულმობელ მდინარებასთან“ (ვალოდია სომოვი).

ასეთი დამოკიდებულება რომანისადმი უფრო გამართლებულად მესახება, ვიდრე ნაწარმოებში პოლიფონიურობის ძიებანი, რომელიც აქ როგორღაც სულ სხვანაირი[illegible] [illegible]ში-მთხვევაში, არა ისეთი, როგორც ეს [illegible]ათებს დოსტოევსკის: „მსურდა გავრ[illegible]ლიყავი პოლიფონიურობის თავისებურებებში: მე აღვიქვამ სამყაროს ანას, გიორგას, ხანაც მაიორისა და ბორჩალოელის თვალთახედვით, მაგრამ ესენი ჯერ კიდევ მაკარი დევუშკინები როდია: ყოველი გმირი ჩაკეტილია საკუთარ თვალსაწიერში“ (ფილოსოფოსი ვ. პ. ტიშჩენკო).

მოაზროვნე ტიპის უნარი — ერთმანეთთან დააკავშიროს ათვლის განსხვავებული სისტემები, წინ წასწიოს ერთიმეორისაგან განყენებული ეპიზოდები „...ალექსანდრეს მიერ რომანის ბოლოში თქმული სიტყვების სათავე უნდა ვეძებოთ რომანის დასაწყისში“... (ვალოდია სომოვი), თავისთავად მით უფრო არ უზრუნველჰყოფს ნაწარმოების აღქმის სიღრმისეულობას. ნუთუ აუცილებელია კიდევ სხვა მომენტებიც? მაინც რა?

მოსწავლეთა თხზულებების უკვე მერამდენედ ფურცვლამ, მაგნიფოტონზე ჩანაწერების გაცნობამ და ბავშვებზე დაკვირვებამ, ორი წლის მანძილზე რომ ეცნობოდნენ რომანს, იმ დასკვნამდე მიმიყვანა, რომ წიგნი არ ჰმორჩილდება ცალ-ცალკე არც მოაზროვნეს, არც ხელოვანს. აუცილებელია მათ შორის შედგეს ერთგვარი შემაჯამებელი დიალოგი.

დიალოგი თეორეტიკოსისა და პოეტისა

დიახ, ერთი ტიპის აზროვნების რამკებში უნდა შედგეს დიალოგი. შემოქმედი მოაზროვნესთან დიალოგის გარეშე რომანის მხატვრულ ქსოვილში იხლართება. იგი განიცდის ჰაერის უკმარისობას, იგი ელოდება სასურველ „არაჩვეულებრივ უბრალოებას, სისადავეს“. მოაზროვნე ხელოვანის გარეშე ვერ ღრმავდება რომანის სპეციფიკაში, მის დანიშნულებასა და არსში. მხოლოდ მათ შორის დიალოგი იძლევა არსში წვდომის ეფექტს.

და ათასგზის მართალია ს. რასსადინი, როცა ლაპარაკობს ოთარ ჭილაძის პროზის არაკონცეფტუალობაზე, რამდენადაც თვით ბუნებაა არაკონცეფტუალური. მასში ყოველთვის არის რაღაც ისეთი, თვით აზრზე მაღალი. აი, რა ძალის შეგრძნებებს აღძრავს რომანი: „ყველაზე ძვირფასი რაც გაგვაჩნია ეს არის სამყარო. ხელოვნება თავდება იქ, სადაც ადამიანი ბუნებას უტოლდება, ამ დროს ჩვენს წინაშე იშლება ყოფიერება, სადაც ხელოვნება მხოლოდღა ნაწილია მისი“.

ეს სრულებით არ ნიშნავს, რომ შეუძლებელია კონცეფციის ფორმულირე-

ბა. რატომაც არა? შეიძლება! და მე სრულებითაც არ მიძნელდება ვაჩვენო, რომ ახალგაზრდული მოთხოვნილება სამყაროს კონცეფციის ჩამოყალიბებისა ნოყიერ ნიადაგს ჰპოვებს ჭილაძის რომანში. მაგრამ—და ამაშია მთელი არსი! — არც ერთ მოსწავლეს არ მოუვა თავში აზრად წარმოიდგინოს, რომ ამ კონცეფციით ამოიწურება მთელი რომანი. არის მკაცრი შეგრძნება პროზის „მოჭარბებულობისა“ და იმდენად მნიშვნელოვანისა, რომ გეჩვენება, თითქოს ვერბალიზაციას ექვემდებარება რომელიღაც მცირე, უმნიშვნელო ნაწილი ტექსტისა.

მთავარი, არსობრივი კი კონცენტრირებულია რომანის მხატვრულ ქსოვილში. არსობრივისა და მხატვრული ხორცშესხმის გათიშვა კი არ შეიძლება. არც თუ ხშირად გვხვდება ხელოვნებაში, როცა მხატვრული სახე ასეთი შემეცნებითი ძალისხმევის შემცველია.

შემთხვევითი როდია, რომ ნატაშა დვორკინამ ჩემს შეკითხვაზე — თუ რას ეხებოდა რომანი, პოლემიკურად მიპასუხა:

„იმაზე ღრმა განზოგადებანი, ვიდრე თითონ ტექსტია, უკვე აღარ გვხვდება, არა აქვს აზრი კიდევ რთხელ გადაწერო ის, რაც უკვე თქვა ოთარ ჭილაძემ რომანში“.

და, მართლაც, ერთმა მოსწავლემ ვალოდია კრიუჩკოვმა ასეც გააკეთა: მან პრაქტიკულად გადაწერა რომანი, და ამით თავისი დამოკიდებულება გამოხატა ამ მტკიცედ ნაძერწი ტექსტისადმი. თავდაპირველად შევცბუნდი, ეს რა კადნიერებაა-მეთქი. მერე მივხვდი, რომ ვალოდია მართალი იყო.

მაშ, რა თავისებურებებით ხასიათდება ჭილაძისეული განზოგადებანი? ერთის მხრივ ჭილაძე გვანცვიფრებს ფორმულირებათა დახვეწილობით, რომელნიც ახალგაზრდების გულსა და გრძნობას აღძრავენ, ახალგაზრდა კაცი, ცხოვრებისეულ მრავალფეროვნებას რომ შეისრუტავს, ფორმულებს საჭიროებს. ისინი აადვილებენ ცხოვრების ოკეანეში ორიენტაციას. თხზულებანი აჭრელებულია ჭილაძისეული აფორიზმებით, ისინი აცხოველებენ აღმქმელობას და განსჯათა უზარმაზარ ჯაჭვში გამშვები მექანიზმებივით მოქმედებენ.

„აი, ზოგიერთი მათგანი, მახსოვრობას რომ შემორჩა:

1. „დავიწყება დამარცხებას ნიშნავს“.

2. „რითი უდგას სული სიკეთეს, რატომ გაიელვებს ხოლმე და რატომ არ ჩანს მთლიანად, საძებარი და ამოსაცნობი რომ არ იყოს ყოველთვის“.

3. „სამუდამოდ აღიბეჭდა მის მეხსიერებაში (დედის) პირმოკუმული, უმწეოდ შეშფოთებული სახე — შემაწუხებლად უსასრულო სითეთრეში ჩაკარგული, როგორც მკვდარი ჩიტი თოვლში“.

4. „...და ანას თათარი შეეჩვია, როგორც უპატრონო ძროხას გველი“.

5. „ადამიანი მხოლოდ სიცოცხლე, მხოლოდ სიკვდილი კი არ იყო, არამედ ორივე ერთად — სიკვდილიცა და სიცოცხლეც“.

6. „რაც არ ცოცხლობდა, არც კვდებოდა“.

7. „მოწყალების მიღება საკუთარი უმწეობის აღიარებაა, ხოლო მოწყალების გაღება საკუთარი უპირატესობის დასამტკიცებლად სჭირდება ადამიანს“

8. „დაწოლილი ქალი ღვთაებაა, ის ქმნის რადგან უყვარს და უყვარს რადგან ქმნის“.

9. „ცოლს კაცი ირჩევს და ამ არჩევანში გამოჩნდება ხოლმე კაცის გემოვნებაცა და ღირსებაც“.

10. „სიმახინჯე სილამაზის ხვალინდელი დღეა“.

11. „კაცს ქალი რყვნის“.

12. „ადამიანიც ნებიერი ცხოველივით საშიშია, სანამ არ დაინახავ, სანამ სახეში არ შეხედავ“.

13. „ასე იცის დიდმა სიყვარულმა, არც გზა არსებობს მისთვის და არც კედელი, ცაში ჰკიდია ვარსკვლავივით, ციდან ატყობინებს შეყვარებულებს ერთმანეთის ამბავს“.

14. „უზრდელობაც თავისებური თავისუფლებაა“.

რა არის ეს? მეტაფორებია? ცოტა მოჭარბებულად ხომ არ გვხვდება ისინი ტექსტში? ყოველგვარი მეტაფორა საშიშია, რამდენადაც ერთი საგნის მეშვეობით მეორის შეფასება თავისთავად მოიცავს განსასაზღვრი სახის თუ მოვლენის მოიარებითი დახასიათების საშიშროებას. ამ დროს ესთეტიკური შთაბეჭდილება შეიძლება ძლიერი აღმოჩნდეს, მაგრამ, საკითხავია, რამდენად ზუსტი იქნება იგი?

ძალიან ადვილილა წამოიძახო: ეს ხომ პოეტის პროზაა?: მაგრამ რას ნიშნავს ეს? განა იგი გვეხმარება. პროზაული ტექსტის შემეცნებაში? ჩემი მოსწავლეებიდან განა რამდენმა უწყოდა, ოთარ ჭილაძე რომ პოეტი იყო?

და აქ მე კვლავ დამეხმარა ახალგაზრდული რეფლექსია. აღმოჩნდა, რომ იმის პარალელურად, რასაც სვეტა კონნოვა საერთო აზრის დაუფლებას ეძახის, რომანის კითხვისას შეინიშნება მეტად თავისებური წიაღსვლა სიღრმეში.

ვერტკალურად და — ქვემოთ.

დავუბრუნდეთ თბილისური კარნავალის შაჰს. იგი არა მხოლოდ და არა იმდენად გამოხატავს განსხვავებულობას შვილსა და ბატონს შორის, რამდენადაც რეალურობასა სძენს საკარნავალო თბილისს.

იბადება კიდევ მრავალი სხვა მოსაზრება, რომელთაც უკვე ყაფლანის მამასთან არავითარი დამოკიდებულება არ გააჩნიათ. როგორც წესი, ის სახე, რომლის მეშვეობითაც მოვლენა ფასდება, გამოირჩევა კოლოსალური სენსორული ძალით: ხმები, საღებავები, შეხების შეგრძნება, სუნი ყველაფერი მამობილიზებელია. მაგრამ შემეცნებითობის პერიფერიებთან მიახლოებულთათვის, ანდა შემეცნების ზღურბლს მიღმა მყოფთათვის მთელ ამ ლიტერატურულ სენსორიზმს მხატვრული ზემოქმედების ტენდენცია ახასიათებს. უწინარეს ყოვლისა, ეს არის პიროვნების თავისებური მხატვრული სამყაროს საწყობი, საიდანაც შემდგომად ახალი სახე კონსტრუირდება.

აქედან არის შეგრძნება სასწაულთმოქმედებისა, მაგიისა. ვალოდია სომოვმა, ვისი დაკვირვებანიც დაედო საფუძვლად აქ მოცემულ მსჯელობებს, გენიალურად შენიშნა, რომ ნაწარმოების კითხვისას ადამიანი იძირება მრავალმხრივ განცდათა ზღვაში. ქვეშემეცნება უპირველესად აფიქსირებს არა აზრს, არამედ მხატვრული სახის განუმეორებლობას, სიმწვავეს, თავისთავადობას, გამორჩეულობას (ე. ი. სანსორიზმს), და მხოლოდ გვიან ხვდები, რომ ამასობაში რაღაც ისეთი რამ გაიგე და შეიმეცნე, რაც ტექსტში საერთოდ არ არის მოცემული.

დროდადრო ჭილაძე თვითონ ახდენს ამ სასწაულის მექანიზმის დემონსტრაციას. „... შუქი მაშინვე ჩაქრა, მაგრამ აბოლებულ პატრუქზე კიდევ დიდხანს დახტოდნენ პაწაწინა, ბრჭყვიალა ნაპერწკლები“.

ჭილაძის პროზა აღძრავს სიღრმისეულ ფენებს ჩვენი ფსიქიკისა, უპირველეს ყოვლისა კი ჩვენს ქვეცნობიერებას. აი, როგორ იქსოვებოდა მხატვრული სახეების მთელი ჯაჭვი. ეს მოვლენა რომ არა ერთი დონის შემეცნებითობიდან მეორე დონისაში და ასევე შეუცნობლობიდან ცნობიერებაში გადასვლის პროცესში ასეთი მოქნილობა ვერ მიიღწეოდა. „...ერთი შეხედვით უმნიშვნელო დეტალები ცოცხლდებიან, იძენენ მოულოდნელ ფერადოვნებას და ჩვენთვის საცნაური ხდება შინაგანი ხმა მოქმედი გმირისა, მისი ფიქრები და წინასწარ გრძნობებიც კი!“

მართალი ხარ, ვალოდია, მართალი! და მართლაც, რა გვესაქმება ჩვენ ყაფლანის მამასთან, რომელიც ტექსტში მეტად არც შეგვხვდება. მაგრამ, როცა მრავალი, მრავალი გვერდის შემდეგ მსჯელობის ცენტრში ნამდვილი და მოჩვენებითი შაჰის სახე აღმოჩნდება, რომელიც ალექსანდრეს შინაგან სიმახინჯესა და გადაგვარებულობას გვაუწყებს,

ჩვენთვის გასაგები ხდება ალექსანდრეს სწორედ ეს შინაგანი ხმა. აი, რატომ არ სჭირდება ჭილაძეს დიალოგები და მონოლოგები მათი ჩვეულებრივი მნიშვნელობით, მან მიაგნო სხვა საშუალებას შინაგანი ხმის გადმოსაცემად, ეს არის ისეთი შემოვლითი გზა, როცა ამ ხმის პირდაპირი აღწერა არაა აუცილებელი. ჩვენ გვესმის ეს ხმა უკვე მანამდე, ვიდრე იგი სინამდვილეში აღმოხდება ალექსანდრეს, გამღიზიანებლური სიმახინჯის ფიზიკური შეგრძნების საწყისები გვხვდება უკვე იმ გვერდზე, სადაც მოიარებითაა ლაპარაკი თბილისური კარნავალის მოჩვენებით შაჰზე. რა მოულოდნელი ესთეტიკური ძალისხმევის შემცველია რომანი და რა უცნაური ფსიქიკური მუშაობა უნდა წარმართოს მკითხველმა!

როცა ვცდილობ ხოლმე ჩვენი მეათეკლასელების მიერ ტექსტის ათვისებისა და დაძლევის საზღვრების მონიშვნას, მე გარკვევით ვგრძნობ, რომ ესთეტიკური გამოცდილების თვალსაზრისით ჩემს ბავშვებს მნიშვნელოვნად წაადგათ ბრწყინვალე პრეცენდენტი ქართულ კინოსთან თანაზიარობისა. ახალი სახის კონსტრუირების ფენომენმა („პაწაწინა, ბრჭყვიალა ნაპერწკლები") და ასევე ახალი ნაწარმოების შექმნის ფენომენმა, თუ გნებავთ, ჩვენ ჯერ კიდევ თენგიზ აბულაძის — „ნატვრის ხის" გაცნობისას მოგვაჯადოვა. თავდაპირველად სტუდენტებმა და მოსწავლეებმა ყურადღება მიაქციეს, რომ შემდგომ, მისი ხელახლა გახსენების დროს, ეს ფილმი კიდევ უფრო მეტის ცხოველმყოფელ[illegible]ქედებდა მათზე. დროთა განმავლობაში კი ეს აღმაფრთოვანებელი ეფექტი თანდათან ძლიერდებოდა. მახსოვრობაში ეს სახეები გამოირჩეოდნენ ემოციური ზემოქმედებით, შთამბეჭდაობით, თავისთავადობით, რაც შემეცნების პროცესში ერთგვარ პრივილეგიად გვევლინება. უფრო მეტიც. ამ პრივილეგიაზე მაღლაც კი დგას. აი, სწორედ მაშინ მეორე კურსის სტუდენტმა ირინა შევკუნოვამ აბულაძის ფილმის ზემოქმედებითი ეფექტის თვით პრინციპში გათვითცნობიერების თვალსაზრისით უზნაძის თეორიები მოიშველია..

მაგრამ ეს როდია ყველაფერი... „ფერების სიუხვე წაკითხულის სიღრმისეულად გაცნობიერების ილუზიას წარმოქმნის, მაგრამ ამ სიღრმეებში მოხვედრილი მოუცილებლად გრძნობ ლაკონიზმსა და ბოლომდე უთქმელობას. „მართლაც შესანიშნავია ასე შეიგრძნობდე, განიცდიდე და გამოხატავდე 16 წლის ასაკში!

ვალოდიასთან ერთად მივმართოთ ქრესთომატიულ მაგალითს: ანას დახასიათების სურათს, როცა იგი ზის ვენახში. ანა, რომლის სახეც ჩვენს წინაშე ყოვლისმომცველ განზოგადებას პოულობს. ჭილაძის მხატვრული სისტემა განირჩევა თავისი სიცხადით: ამ შემთხვევაში ნაჩვენებია თვით განზოგადების პროცესის მიმდინარეობა და ნაჩვენებია იგი მთელის თანამიმდევრობით — ოპერაციას მოჰყვება ოპერაცია. მაგრამ აი, ყველაზე მნიშვნელოვან მომენტში უცაბედად ამოყოფ თავს სწორედ იმ სიღრმისეულ ფენებში, სადაც ვალოდიას სიტყვებით რომ ვთქვათ, ლაკონიზმისა და ბოლომდე უთქმელობის შეგრძნება გეუფლება.

„...ფიქრობდა თავისთვის მედეასა და ამირანის გამჩენი და ამავე დროს მედეასა და ამირანის ქალიშვილი" — ეს აღმაფრენაა! და ეს საწყისი არის განზოგადებათა ახალი ჯაჭვისა, რომელიც უნდა განვითარდეს ჩვენსავე შემეცნებაში. და ასევე ჩვენსავე მარაგზე, შინაგან გამოცდილებაზე იქნება დამოკიდებული. ამ განზოგადებათა ჯაჭვის ფინალიც. ეს აღმაფრენები, ასე ზუსტად რომ აღიქმება ახალგაზრდობის მიერ, ავტორისაგან დამოუკიდებლობის იშვიათ განცდას აღძრავენ კითხვის პროცესში. განცდას ურთულესი ყოფიერების სფეროსთან პირადი თანაზიარობისა. ამასთანავე ეს აღმაფრენანი ერთგვარ საათადარიგო გამოსავალს, რომანთან დაშორების, საკუთარი ცხოვრებისადმი მი-

ბუნების საშუალებასაც წარმოადგენენ. ვფიქრობ, რომ სწორედ ამიტომაც, საქართველოს წარსულისადმი მიმართული რომანი აღიქმება როგორც თანამედროვეობისადმი მიძღვნილი ნაწარმოები. საგამოცდო თხზულებებიც კი ყოველდღიური ყოფის ავ-კარგს რომ ეძღვნებოდა, ბავშვებმა, მიუხედავად ყოველივესი და ყველაფრისა, ოთარ ჭილაძის რომანზე დაწერეს.

კიდევ რას იძლეოდა ნაწარმოების სიღრმისეული წაკითხვა? მეტაფორისტული აზროვნების კვალდაკვალ მთელი გამომსახველობითი სისტემა რომანის ეროვნული რეალიებისადმი ჩვენი ფსიქიკური განწყობილების მისადაგების ფუნქციასაც მოიცავს, რომლის წმინდა გარეგნულ დეტალებამდე დაყვანა არ შეიძლება, რამდენადაც ეროვნული საწყისი, ეს უმნიშვნელოვანესი ფენომენი, რომანის საფუძველთა-საფუძველი, მისი სული გახლავთ. ასევე ეროვნულიდან მომდინარეობს თვით აზროვნებისა და შეგრძნებადობის ხასიათიც. იმ სითამამის წყალობით, რომლითაც ჭილაძე ჩვეულებისამებრ წამოსწევს ხოლმე, ერთი შეხედვით, ჩვენი ყოფიერების სხვადასხვა სფეროში არსებულ მდგრად, განყენებულ მოვლენებს, ჩვენ ვცნობიერდებით ქართული კულტურის შესანიშნავი წარმომადგენლის ფილოსოფიაში. ეს არის სამყარო, სადაც ცოცხალსა და არაცოცხალს, ზოგადსა და კონკრეტულს შორის სამანები გაუქმებულია. რად ღირს, მაგალითად, ჭილაძისეული: „...სადღაც შორს, ამ ყიამეთს იქით ჯერ, ისევ ყეფდნენ მოულოდნელი სროლით დამფრთხალი და გაღიზიანებული ძაღლები“. თვით ცნება — „სადღაც შორს“ ღრმა პოეტური ჟღერადობის კვალობაზე, განმსჭვალულია პროზაიკოს ოთარ ჭილაძისეული ცნობიერებით.

ჭილაძისეული სამყარო ფორმალური ლოგიკის კანონებით როდია აგებული. იგი როდი განეკრძალვის ე. წ. „მდაბალ საგნებს“. მასში შესანიშნავად თანაარსებობენ, ეგრეთ წოდებული, რომანტიკული იდეები და ცხვრის ფარები. და თუ კი მარადიული ქალის აღწერისას ჩვენ განგვაცვიფრებს ცხენის კუდის გახსენება („...ცხენის კუდივით აქა-იქ გამორეოდა ჭაღარა“), ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ ჭილაძისეული მხატვრული აზროვნების სისტემას ვერაფერი გავუგეთ.

„...ანას თვალებიდან ფარეხის კედლებისგან განთავისუფლებულ ფარასავით ცრემლი არ გადმოიღვარა“. თუ ჩვენი აზროვნება, ჩვეულებისამებრ შეამუხრუჭა ამ განსაზღვრებამ, როცა მწერალმა ცხვრის ფარა რაღაც დამხმარე კომპონენტად გამოიყენა, თუ კი ჩვენ ვერ შევაჩერეთ მასზე ჩვენი შინაგანი ხედვა, თუ კი ჩვენ ვერ დავინახეთ მის პირველყოფილ საგნობრივ მნიშვნელობაში მოვლენა, მთელი რომანი გადაიქცევა მეტაფორების გროვად, როგორც ეს შენიშნა ერთ-ერთმა რომელიღაც კრიტიკოსთაგანმა: „ჭრაქის შუქი იკლაკნებოდა და იბრძოდა მოტაცებულ გოგოსავით, რომ მიჰყავთ მომტაცებლებს მისთვის უცხო, მისთვის სახიფათო ქვეყანაში“. ნუთუ ქალიშვილების სახეები იმიტომ გამოჩნდა ტექსტში, რომ ჭილაძე ადაპტაციისაგან დაბნევის „შიშმა შეიპყრო“. ან „აჩრდილების დაკარგვისა შეეშინდა?“ (ე. სიდოროვი, „ლიტგაზეთი“, № 27).

მაგრამ რა აჩრდილებზეა აქ ლაპარაკი; ჭილაძისეულ სამყაროში მისი სახეების ერთ-ერთ ფუნდამენტურ თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ ერთ მათგანს ძალუძს წარმოშვას მეორე სახე. ეს ესტაპეტურობა სახეებისა მართლაც რომ უნიკალური მოვლენაა. და ეს არ გახლავთ თავშესაქცევი ფანტაზიის ნაყოფი. გულმოდგინედ დააკვირდით იმ წარმოქმნილ მეორად სახეებს და თქვენ მიხვდებით, რომ კანონები, რომელთა მიხედვითაც ისინი გვევლინებიან ხალხის ეროვნულ მახსოვრობასა და საზოგადოების თვითშეგნების სტრუქტურას ეფუძნებიან. ასეთი გახლავთ ნამდვილი დიდი შემოქმედის აზროვნების საწყი-

სები. თუ კი ჩვენ „ჭრაქის დაკლაკნილი შუქის“ სახეობრივ მნიშვნელობას განვსაზღვრავთ მარტოოდენ მეტაფორის კონტექსტში და მთელი სისრულით ვერ აღვიქვამთ ხალხის საერთო სატკივარს, მოვიშვიშე, ტანჯული ხალხისა, რომელსაც მტერმა, საკუთარი შვილები წაჰგვარა და შორეულ, უცხო მხარეში წაასხა, ჩვენ აღარაფერი გვრჩება უკვე გარდა იმისა, რომ ჭილაძის აზროვნების ექსცენტრიულობაში შევიტანოთ ეჭვი. მართალია, ჭილაძის რომანი ისტორიულია და ისტორიულია იგი არა მხოლოდ წარსულთან, თავისი ხალხის ისტორიასთან მიმართების წყალობით, არამედ ისტორიულია იგი სახეობრივი სისტემის შინაგანი არსისა და აზროვნების ქვეცნობიერი ლოგიკის მიხედვითაც.

გულწრფელად რომ ვთქვათ, ჭილაძე სულაც არ გახლავთ მეტაფორისტული, რამდენადაც მისი საგანი, რომელიც რაღაცის მაუწყებელ ნიშანს წარმოადგენს, ამავე დროს ნაწარმოების ტექსტში თვით საგნის პირდაპირი მნიშვნელობითაც გვევლინება.

გაიხსენეთ ქართული კინოს საუკეთესო ფილმები და თქვენ დარწმუნდებით, რომ ეს თავისებურება ზოგადად ახასიათებს საერთოდ ქართულ კულტურას.

შეიძლება, რამდენიც გნებავთ, შევადაროთ ფოლკნერის, მარკესის, ჭილაძის მეტაფორები და შესაძლებლობის კვალობაზე ავწონ-დავწონოთ ერთის, მეორისა თუ მესამის მხატვრული არსი, მაგრამ ოთარ ჭილაძის პროზის საწყისის ბუნების, მისი გენეტიკური უჯრედის გაგება შეიძლება მხოლოდ და მხოლოდ ქართული კულტურის სიღრმისეული ანალიზიდან გამომდინარე. აი, რატომ არის, რომ მაროსა და დასახიჩრებულთა მონასტერთან დაკავშირებული სცენების კითხვისას ჩემი მოწაფეები იხსენებდნენ ვაჟა-ფშაველას პოემების მიხედვით გადაღებულ აბულაძის ფილმს — „ვედრებას“. მე ასე გაცხარებით იმიტომ ვლაპარაკობ ამაზე, რომ ეროვნული სპეციფიურობის უგულვებელყოფა, ანდა საუბარი ეროვნულზე, ისე, სხვათაშორის, სიტყვის მასალად, ცდა მარკესისა და ჭილაძისათვის უნივერსალური ნიშნულის დაძებვნისა, ყოველივე ეს, ბინის გატეხვის ოპერაციას ემსგავსება.

კინორეჟისორ სერგეი გერასიმოვის წერილს ვკითხულობ, სადაც აბულაძის „ვედრებაზეცაა“ ლაპარაკი და აქაც კვლავ საყვედურია გამოთქმული იმის თაობაზე თითქოს რეჟისორმა არაკრიტიკულად გამოიყენა ფელინისა და ბერგმანის მხატვრული სტილისტიკა. საკმარისია მიმართო ვაჟა-ფშაველას მხატვრული აზროვნების თავისებურებას, რათა მყისვე დარწმუნდე, რბილად რომ ვთქვათ, ამგვარი შენიშვნების გულუბრყვილობაში. შევეცადოთ ღრმად ჩავწვდეთ დიდი ქართველი პოეტის მიერ მსოფლიოს აღქმისა და შეცნობის უნიკალურობას, რომლის სირთულესაც ანალოგია ვერ დაეძებნება ფელინისა და ბერგმანის კინოპოეტიკაში, ასევე კარგად მოვიძიოთ აბულაძის მხატვრული ენის საწყისები, რა ექსცენტრიკულადაც არ უნდა გვეჩვენებოდეს იგი და ზემოთქმული შენიშვნის უსუსურობა კიდევ უფრო ნათელი გახდება ჩვენთვის.

არ შეიძლება აჩქარება იარლიყების მიწებებისას, და ასევე შეუწყნარებელია ანალოგიების დაძებვნის ამგვარი არასერიოზული მცდელობა — ეს გახლავთ ერთობ საშიში, არასაიმედო ფორმა აზროვნებისა. განა ადვილი იქნება ლენოჩკა კოლესოვასათვის ჭილაძის გაგება, როცა იგი თავის თხზულებაში ასეთ ფრაზას გვიწერს „...ადამიანი ერთადერთი მოაზროვნე არსებაა ბუნებაში“ — ესე იგი, ვერ ჩასწვდა ეროვნული აზროვნების სპეციფიკაში. ახლა უკვე, როგორც არასდროს, მესმის ნოდარ დუმბაძის მიერ ერთგვარი მდურვით ნათქვამი სიტყვებისა, რომელიც ჰყვებოდა, კარგად არ მახსოვს, მკითხველზე თუ კრიტიკაზე, სრულ უვიცობას რომ ამჟღავნებდა, როცა ამტკიცებდა:

კი მაგრამ მთელი წლების განმავლობაში ყაჩაღის დაჭერა რა გახდა ასეთი, საქართველო ტერიტორიულად ხომ ერთი ხელის დადება ძლივსაო?

„მათ არ ესმით, ელვირა, მათ არ ძალუძთ გაიგონ, რომ ირგვლივ მთებია. მათ არ იციან, რა არის მთები...“ მართლაც და როგორ უნდა გაიგონ, რომ მთები არა მხოლოდ გეოგრაფიული რეალიებია, რომ ეს არის გეოგრაფიას მიმატებული კიდევ სხვა რაღაცა... მართლაც და, სად უნდა გაიგონ...

ასე, რომ: იქ, სადაც შესდგა დიალოგი მოაზროვნესა და ხელოვანს შორის, სადაც მკითხველმა „დაიჭირა“ ეროვნული აზროვნების სპეციფიკა — რომანთან ჭიდილი იძენდა აზრისა და სულის დღესასწაულის ხასიათს. დიახ, დღესასწაულისა! ამ ჭიდილის პროცესი არც ისეთი სწორხაზოვანი აღმოჩნდა. ის, რამაც მე საორიენტაციო ფაზა ვუწოდე, არის სწორედ რომანის სიღრმეებში წვდომის ადეკვატურ საშუალებათა მიღწევისა და გამომუშავების, მისი დაუფლების პერიოდი. დროის მონაკვეთი მოაზროვნესა და ხელოვანს, შემოქმედს შორის დიალოგის წარმართვისათვის.

ხოლო, შემდეგ? შემდეგ კი ის არის, რასაც ნატაშა დვორკინამ „სტიქიისათვის თავის მიცემა“ უწოდა. რომანის კითხვისას ყოველგვარი გაუგებრობისა და გართულების გარეშე ამბების მსვლელობის შუაგულ სტიქიაში მოხვედრა („ჯერ ძნელად ვკითხულობდი, მერე და მერე კი კითხვის პროცესი გამოიზიანებლად ზემოქმედებდა, ბოლოს კი ერთ სულზე ვიყავი წიგნს მივბრუნებოდი“. ვალოდია მიკინი) შესაძლებელი გახდა იმის წყალობით, რომ რომანი გარკვეულ წილად გოლოგრაფიულია. გოლოგრაფიულობა სიტყვიერი ქსოვილის სიმკვრივის შთაბეჭდილებას წარმოშობს, მაგრამ ამავე დროს სწორედ იგი, თავის მხრივ, ტექსტს ერთგვარ ცხოველუნარიანობასაც ანიჭებს, რამდენადაც რომანის ყოველ უჯრედში წარმოდგენილია ავტორის მხატვრული აზროვნების ყველა ელემენტი. თუ კი შენ იმაზე დახარჯე ძალები, რომ უკეთ გაიგო ახალი მხატვრული ენა, თუ კი შენ შეეწყვე ავტორისეულ აზროვნებას, უკვე თამამად შეგიძლია განაგრძო კითხვა. პროფესორმა ვ. პ. ტიშჩენკომ თქვა: „რომანი ტოვებს საიმედოობის შეგრძნებას“. გოლოგრაფიულობა ბადებს რომანის მხატვრულ საიმედოობას. ეს ის შემთხვევაა, შენ რომ ენდე მწერალს და თავის მხრივ მანაც გაგიმართლა. სცადეთ ერთი წაიკითხოთ რომანი თქვენი ცხოვრების იმ მონაკვეთში, როცა ავტორის აზროვნების სტრუქტურა თქვენს მიერ უკვე ათვისებულია, ასევე მისი მსოფლგანცდა ახლობელი გამხდარა უკვე და თქვენ აღმოაჩენთ სწორედ იმ წარმოუდგენელ უბრალოებასა და სიმარტივეს რომანში, რომელიც ასე გაკლდათ მისი პირველი წაკითხვისას.

სასაცილოა ალბათ, მაგრამ ჭილაძის რომანის ირგვლივ ბჭობამ ახალი ძალით იფეთქა... ციმბირის ერთ-ერთ სოფელში, სადაც ჩვენ სტუდენტებთან ერთად პრაქტიკაზე ვიყავით ჩასული. ჩვენ წავუკითხეთ გასულ საუკუნეში დაბადებულ მოხუცებს შუკშინის, დუმბაძის ნაწარმოებები, ბარათაშვილის გენიალური „ცისა ფერს“ და ჟუკოვსკის „ლიუდმილა“. ჩვენ ვიხსენებდით მხატვრულ სახეებს რომანიდან სწორედ იმ მომენტში, როცა ეს მოხუცები ცდილობდნენ მოვლენათა ერთი წყება აეხსნათ მეორის მეშვეობით... „თქვენ შენიშნეთ, ელვირა ნიკოლაევნა, ამ მოხუცებს ჭილაძესავით მოსდით: გედები არა მხოლოდ ახასიათებენ ქალიშვილებს; ეს დედაბერი თითქოს აღიქვამს კიდევაც ამ გედებს. მისთვის ისინი მეტად ძვირფასი რამეა“. — ეს სიტყვები ჩვენი ინსტიტუტის კურსდამთავრებულს მარინა ტუშლეკოვას ეკუთვნის. მხატვრული სახეები შინაარსით ეროვნულია, ხოლო მათი წარმოქმნისა და ფუნქციონირების პრინციპები ჩვენი ხალხური შემოქმე-

დებისათვის ნიშანდობლივის ანალოგიურია.

...ახლა კი სამართლის სასწაულმოქმედებაზე

— ელვირა, ვისია ეს ნახატები? ნუთუ რუსმა ბავშვებმა დახატეს? შეუძლებელია!

ეს თენგიზ აბულაძე ათვალიერებს ჩემთან სახლში ჭაბუა ამირეჯიბის რომანის მიხედვით შექმნილ ტელეფილმ „დათა თუთაშხიას“ მოტივებზე მეოთხეკლასელი მოსწავლეების მიერ შესრულებულ ნახატებს. რამ განაცვიფრა აბულაძე?

ჩვენი ბავშვები ხატავდნენ ქართულ მანერაზე! ქართული ფერწერის მანერის მიხედვით.

— ეს ხომ ნამდვილი ფიროსმანია, — ვეღარ მალავდა თავის განცვიფრებას თენგიზი.

ბავშვებს კი არც ფიროსმანზე გადაღებული ფილმი ენახათ და არც თვით ამ გენიალური მხატვრის ნახატები. დიახ, ისინი ხატავდნენ თავიანთი ბავშვური ფანტაზიით წარმოდგენილ დათა თუთაშხიას წმინდა ქართული ფერწერული მანერის სტილში. მაშა ფუგენფიროვას მიერ შესრულებული დათა თუთაშხიას ცამეტი პორტრეტიდან ნათლად ჩანდა, თუ ეს ნორჩი მხატვარი როგორ თანდათან უახლოვდებოდა ფერწერის ქართულ სკოლას. მე ვაჩვენე მაშასი და მრავალი მისი თანატოლის ნახატები საქართველოს ტელევიზიით, აქ, დიდი ფიროსმანის სამშობლოში... მე ვაკვირდებოდი ქართველების სახეებს, ხელში რომ მაშას ნახატი ეჭირათ. ფიროსმანი ბრუნდებოდა მათთან ნორჩი ციმბირელი გოგონას შემოქმედებიდან. ჭეშმარიტად შეუცნობელია სხვადასხვა ხალხების კულტურების ურთიერთშეყრათა გზები... უშველებელმა გამოფენამ, სახელწოდებით — „გამარჯობათ, რევაზ დავითის ძე ჩხეიძეო“, რომელიც ჩვენი მეათე კლასელი ბავშვების ასობითი ნახატისაგან შედგებოდა, უკვე იმოგზაურა თბილისში. შეხედეთ, რა ზუსტადაა დაჭერილი ხასიათი, ეს ტიპიური ქართულია... საოცარია, როგორ შესძლეს!..“ — ამას ჩხეიძე ამბობს, ერთ-ერთი ბრწყინვალე ოსტატთაგანი ეროვნული ხასიათის ასახვისა კინოში. სხვა კულტურის სფეროსთან თანაზიარობა შემოქმედებით ნაყოფს იძლევა, რომელიც ეროვნული ფსიქოლოგიისა და ხასიათის ნათელმოსილებით არის აღბეჭდილი.

...ჭილაძის პროზამ თხზულებათა განსაკუთრებული ინტონაციურობა განაპირობა, მინდოდა ხმამაღლა მეკითხა ხოლმე. ნამუშევრებში მელოდია და რიტმი იგრძნობოდა, რაღაცით რომანს მიმსგავსებული, რაც მთავარია, მათში იყო ჭილაძისეული არგუმენტაცია, მწვალებლურ კითხვებზე მისეული პასუხების მიგნების ცდები. აქედან გამომდინარე კი ცხოველი ინტერესი საკუთარი კულტურისადმი. შენ უბრუნდები საკუთარ თავს მყოფადისა და კონკრეტულის შეჯერებით გამდიდრებული.

ჭილაძის პროზა აღგვძრავდა ჩვენი ეროვნული კულტურის საწყისების მოსაძიებლად. „რა ბედნიერებაა შინ გამდიდრებული, გაკეთილშობილებული დაბრუნდე,“ — ეს თქვა ალიოშა პეტროვმა ალექსანდრეზე. და ეს ნათქვამი ასევე თანაბრად გვეხებოდა ჩვენცა და ჩვენსავე კულტურასაც.

მოგზაურობა მახსოვრობაში

ასეა, რომანში „შესვლა“ განმსჯელი განწყობილებით შეუძლებელია. არა და ყოველივე ეს მეტისმეტად რთული ხომ არ არის? მაგრამ, ცხოვრება კი მარტივია? საღი გონება, „ასეც ხდება — ისეც ხდებას“ პრინციპით რომ მოქმედებს, განა როდემდე გვეყოფა ცხოვრებაში?

ოთარ ჭილაძის რომანული პროზის თანამედროულობას ვხედავ იმაში, რომ იგი თვით კითხვის პროცესში აწესრიგებს ცხოვრებაში გათვითცნობიერების ფორმებს. საქმე იმაში როდია, რომ

ლიტერატურული გმირის გამოცდილებას შენ აღიქვამ როგორც საკუთარ თვისებას. როცა კითხულობ ყველაზე საშინელ, დაუჯერებელ ამბებზეც კი, აი, როგორიცაა, მაგალითად, გონჯების მსვლელობა, შენ ხვდები, რომ ეს შეუმჩნეველი საშინელება, რომელიც მოგიცავს კითხვის პროცესში, მომდინარეობს იქიდან, რომ „მსგავსი რამ უკვე შეგხვედრია ცხოვრებაში, ოღონდ იგი მიმქრალი იყო სადღაც უსახურ რიგებს მიღმა. გამოხატვის ერთი შეხედვით ექსტრავაგანტური საშუალებანი უზადო ბუნებრიობით გვაშორებენ რაღაც მნიშვნელოვანსა და არსებითს, რაც, როგორც ცნობილია, შიშველი ხელებით არ მიიღწევა. მიმდინარეობს ცხოვრების შეცნობა მთელი მისი სირთულითა და მრავალფეროვნებით, გამოუცნობლობით.

მოვლენათა შეფასება სხვადასხვა წერტილიდან? ეს როგორღა? ცხოვრებაში კი როგორაა ამ მხრივ საქმე? „ზოგიერთ ამბავს ჩვენ რამდენჯერმე განვიცდით სხვადასხვა გმირებთან ერთად. ყოველივე ეს არ გვაძლევს ჩვენ უფლებას ზედაპირული, ნაჩქარევი გადაწყვეტილება გამოვიტანოთ. ერთი შეხედვით სრულიად გასაგები და ნათელი საქციელი ადამიანებისა ხშირად მეტად რთული შინაგანი განცდების შედეგია“ (ალიოშა პეტროვი, ვისი თხზულებაც თავიდან ბოლომდე, სხვებისამებრ ოთარ ჭილაძის რომანისადმი როდი გახლავთ მიძღვნილი, ეს არის ჭილაძესთან ერთად ადამიანთა ფსიქიკის საიდუმლოებებში მოგზაურობა).

რომანი — გაფრთხილებაცაა! ახალგაზრდა კაცს, რომელიც ეს-ესაა ახლა იწყებს დამოუკიდებელ ცხოვრებას და შეიგრძნობს დიალოგის წყურვილის განცდას არა მხოლოდ სკოლის მერხის ამხანაგებთან, არამედ ასევე მთელ კაცობრიობასთანაც, ამ ქვეყნად ყველაზე მეტად ის ედარდება, მას გაუგებენ თუ ვერა. რამდენადაც მოზარდთა ურთულესი განცდების ფსიქოლოგიურ დომინანტად მეტწილ შემთხვევაში თვითგამორკვევის ფაქტორი გვევლინება, გაგების, თანაზიარობის პრობლემას ხშირად ერთმნიშვნელოვანი ხასიათი ეძლევა ხოლმე: „ბედნიერება ისაა, როცა შენ გიგებენ, შენი ესმით“. როგორ უნდა ისწავლო სხვათა თანაგრძნობა, რომ ამ მომენტში იგრძნო მწველი ბედნიერების განცდა იმისათვის, რომ შენ სხვას გაუგე. იგი აღიქვი ისეთად, როგორიც არის სინამდვილეში, უანგაროდ და რაიმე ქვენა გრძნობების გარეშე. „ერთად-ერთი, რასაც ადამიანები ერთმანეთთან შეთანხმებით, თანაგრძნობით მოიმოქმედებენ ეს ის არის, რომ ისინი რომელიღაც პრინციპებიდან თუ ჩვევებიდან გამომდინარე, ამართლებენ თავ-თავიანთ საქციელს“ (ალიოშა პეტროვი).

ახალგაზრდული მაქსიმალიზმი, სწორედ იმაშიაც ვლინდება, რომ ცნობიერად თუ არაცნობიერად ახალგაზრდა საკუთარ თავზე მსჯელობისას თავის საქციელსა და მოქმედებას საკუთარ განზრახულობათა ურთულესი სტრუქტურიდან გამომდინარე აფასებს, ხოლო სხვათა საქციელს იგი მომხდარი ფაქტის მიხედვით სჯის. სწორედ აქედან მომდინარეობს მკაცრი, ულმობელი შეფასება საკუთარი ახლობლებისა და გნებავთ, მშობლების საქციელისა.

აბა, ჩაუფიქრდით, რაოდენ რთულია ადამიანთა ურთიერთობანი. გამორიცხული როდია, რომ ის დაფარული აზრი ადამიანისა, მავანთა მზერისათვის რომ შეუმჩნეველია, შესაძლოა შენი დიადი გარდაქმნის მიზეზთა-მიზეზი გახდეს. შეაჩერე ხელი შენი, რომელშიც მსახვრალი მახვილი ჩაგიბღუჯავს: „...ბორჩალოელმა მოკლა ადამიანი, ერთად-ერთს, ვისაც, შესაძლოა, ახსოვდა იგი. მისი ჩურჩული უმძიმესია ყველა ხმაურზე. არა და, მან ხომ შურისძიების მეშვეობით საკუთარი სულის განწმენდის ნაცვლად უმძიმესი დანაშაული ჩაიდინა“ (მარინა კოტი).

„...ფაქტიურად, სიუჟეტის მიხედვით, გმირების მხრიდან არც ერთ მათგანს არა აქვს საშუალება, რომ ქაიხოსროს

დანაშაულობანი შეიტყოს. მაგრამ ისინი ყოველივე ამას შინაგანად შეიგრძნობენ, რამდენადაც ჭილაძის მიხედვით შვილები არა მხოლოდ სხეულისმიერი, არამედ სულიერი მემკვიდრენიც არიან თავიანთი მშობლებისა. ისინი არიან მშობელთა მთელი ცოდო-ბრალის მატარებელნი. და მათი ხვედრია ან გამოსყიდვა დანაშაულისა, ანდა მისი კიდევ უფრო დამძიმება", — ეს კი რეგინა დიომინა გახლავთ. მივყვეთ ნაწერს: „ქაიხოსროს დანაშაული იმაში მდგომარეობს, რომ მან გაყიდა მთელი გვარი, ერთი გადარჩა, მაგრამ არ მოისურვა თავისი კეთილისმყოფელების, მხსნელების საქმე გაეგრძელებინა. მაგრამ ძალგვიძს კი ჩვენ იგი დავადანაშაულოთ ამისათვის?.. მე ყველა ისინი მეტისმეტად მეცოდებიან, მე არ შემიძლია რომელიმე მათგანი განვკიცხო, რამდენადაც ამისათვის იმათზე მაღლა უნდა ვიდგე, არა და მგონია, რომ პირიქით არის. მათ ყველას აღმოაჩნდათ ნებისყოფა მოთმინებისა. მე კი საამისოდ ვაჟკაცობა არ მეყოფოდა"...

სწორედ აქ ხომ არ იწყება ქართულ ლიტერატურასთან ჭეშმარიტი მიახლოება? ახალგაზრდა, რომელიც ასე ესწრაფვის ნებისმიერ ავტონომიურობას, თვითდაჯერებული, რომ მას ევალება რაღაც განსაკუთრებულისა და მნიშვნელოვანის თქმა, თანდათან მიდის იმ დასკვნამდე, რომ ამ ქვეყნად ყველაფერი ერთმანეთზეა დამოკიდებული: „...არც ერთი ადამიანი გვარიდან უკვალოდ არ მიდის" (მ. კოტი). არსებობენ ეს ხილული და უხილავი კავშირები, საუკუნეთა წიაღიდან მომდინარენი. შენს არსებაში წინაპართა ისტორიაა განივთებული. შენი ბედი განუყოფელია იმათი ბედისაგან. თუ კი შენ გგონია, რომ ცხოვრება, ეს მხოლოდ ერთი რაღაც მონაკვეთია დაბადებასა და სიკვდილს შორის ძალიან ცდები. შენ პასუხს აგებ ყველაფრისათვის, ყოველი განვლილი წამისათვის. არაფერი უკვალოდ არ ქრება. არა უშავს, ჩემო ძვირფასო ახალგაზრდა მეგობარო, რა ვუყოთ, თუ კი ადამიანურად საგონებელში ჩაგაგდებს ხოლმე მუხთალი განჩინება: „ადამიანი ჯერ არ დაბადებულა, მაგრამ მასში ჩადებული აზრი უკვე არსებობს?" (ლარისა კრავჩენკო). არა უშავს! განა შიშისმომგვრელი არ არის, რომ ჩვენ უკანმოუხედავად მივქრივართ სადღაც? რა იცი შენ ბებიაზე, ბაბუაზე, წინაპრებზე, საერთოდ? სივრცეში ხარ განფენილი და ჟურნალ „დრუჟბა ნაროდოვის" გარეკანი, როგორც საკუთარი ბედის რენტგენული სურათი, გაუწყებს: შენი ცხოვრების ხე ფესვებდაგლეჯილი იწმაწნება, მაგრამ ვიღაცის მზრუნველი ხელი სათუთად უალერსებს ჭრილობებზე და მოსაშუშებლად ზედ მიწას აყრის. ოთარ ჭილაძის ხელისგულებმა, ელვასავით დაუარა ჩვენს აზროვნებას: დაივიწყებ? — ეს ნიშნავს, რომ შენ დამარცხდი.

რამდენი ეტიუდი და ესე დაიწერება ამ თემაზე?

რა ვიცით ჩვენ ჩვენს წინამორბედებზე, ხასიათის რა თვისებებით, ბედის რა ზიგზაგებით გამოეხმაურება იმათი ცხოვრება ჩვენსას? ის, რასაც შენ აკეთებ ამჟამად ისტორიისათვის ერთი გაელვებაა, შენ გეცინებოდა გაკვეთილზე, როცა მასწავლებელი ლაპარაკობდა, რომ ჩვენ ყველანი ისტორიული მოღვაწეები ვართ. ჭილაძემ ეს მაღალფარდოვანი ფრაზა თავისი გმირების სისხლით და ოფლით გააპოხიერა, და ახლა შენც გრძნობ, რომ ეს სისხლი შენს ძარღვებშიაც მოდგაფუნობს. და აღარც მსგავსი კითხვები გაწვალებენ: რისთვისაა საჭირო ამდენი მსხვერპლი? და თუ მაინც დაგებადა იგი, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ საკუთარი არსებობისა და დანიშნულების არსში გაერკვიო. „ნუთუ იმისათვის, რომ კარგი ადამიანი მოევლინოს ქვეყნიერებას, აუცილებელია იცხოვროს და იტანჯოს ამდენმა თაობებმა? მე თავს დავინუგეშებ იმით, რომ როდესმე, სადმე კარგი ადამიანი გაჩნდება, პირადად კი ყველანაირად ვეცდები, მის

თანაზიარობას, მასთან სიახლოვეს“ (მარინა კოტი).

რა შეიძლება ითქვას ჭილაძის რომანზე თუ კი მას ძალუძს ადამიანის სულიერ სამყაროს ასეთი მღელვარება განაცდევინოს? ადამიანისა, რომელიც ეს-ესაა, ახლა „შედის“ ცხოვრებაში?

აქეთკენ ხომ არ მივყავართ ჩვენ ქართული კულტურისადმი ასეთი ცხოველი მიზიდულობის საიდუმლოებებს? პიროვნული თვითშეგნების წარმოქმნა შეუძლებელია გვაროვნული მეხსიერების გარეშე. შესაძლოა გვართან ათასგვარი დრამატული კოლიზიები იყოს დაკავშირებული, მაგრამ წარსულის დავიწყებას მივყავართ ყველაზე საშინელ სიკვდილთან — სულიერ გადაშენებასთან. შენ ძალგიძს ფიზიკურად არსებობდე, მაგრამ თუ კი მახსოვრობაში მოკვდი, ეს იმას ნიშნავს, რომ მოკვდი სამუდამოდ. ქართული ხელოვნების სტრუქტურაში ყოველთვის არის შემონახული ადგილი მოხუცებისათვის, გვარის მახსოვრობის ამ მტკიცე ბურჯებისათვის.

„ოი, რამდენი მოხუცებია, მანდა, გენაცვალე — ამბობს ქართულ ფილმებზე სოფელ კირზიდან ერთი ქალი— იმათი ყურებით თვალი ტკბება. სურათი გაზაფხულივით ჰყვავის“... სურათი „ჰყვავის“ სწორედ იმიტომ, რომ იქ მტკიცე ფესვებია მოცემული...

„მე, საერთოდ, რომანს აღვიქვამ როგორც არაისტორიულს, — მითხრა სერიოჟა პავლენკომ, ჩვენმა სკოლადამთავრებულმა — ყველაფერი რაც გადახდება თაობებს, ერთი ადამიანის მემეცნებაშია ასახული. ჭილაძის რომანი — ეს არის პიროვნების სრულყოფისადმი მიძღვნილი ნაწარმოები, რომლის მიღწევაც შესაძლებელია მხოლოდ მთელი მოდგმის ისტორიის გამოვლის გზით“.

მე ვუყვები ამ იდეის თაობაზე ოთარ ჭილაძეს. „საინტერესოა“ — როგორღაც აუჩქარებლად მპასუხობს იგი. მერმე კი ნაძალადევად ამატებს: „ალბათ, ასეც არის“.

ვგრძნობ, რომ მეტისმეტად რთული მიზანი დავისახე — მოგიყვეთ ჩემი მოსწავლეების ცხოვრებისეულ ავ-კარგის რომანთან ურთიერთკავშირის თაობაზე. საშუალება რომ მომცემოდა ასევე თხზულება გამეანალიზებინა, მე უნდა მესაუბრა ას ხასიათზე, ას ადამიანურ ბედზე. რომანი თვითაღსარებისაკენ როდი გვიბიძგებს. იგი თვითონ იძლეოდა თვითაღსარების მაგალითს. ამ მაგალითით გვმუხტავდა. მე წარმოდგენილი მაქვს ამ ჩანაფიქრთან დაკავშირებით არა მარტო უდიდესი პასუხისმგებლობის გრძნობა, არამედ ნათლად გამოხატული მისი ზნეობრივი ასპექტიც. ამიტომაც ჩემთვის უმჯობესია შევეხო რომანის იმ განსაკუთრებულ მხარეს, რომელმაც საყოველთაო აღფრთოვანება გამოიწვია მკითხველებში საერთოდ.

მხედველობაში მაქვს დრო რომანში. განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ახალგაზრდა კაცის დამოკიდებულება დროისადმი. ნორჩების საათებს ახასიათებთ სვლა, რომელიც ცხოვრებისეულ სხვა რომელიმე წრედზე არ აღირიცხება. ამ მომენტში ბუნებრივი ეამთამდინარება (ე. ი. ობიექტურად არსებული) არ შეესაბამება შინაგანს, რომელიც ფსიქოლოგიურად განიცდება ახალგაზრდა კაცის მიერ.

ბუნებამ ბრძნულად მოაწყო ისე, რომ ყმაწვილკაცობის ხანაში მან კომპენსაციის საშუალება მოგვცა. დროს ძალუძს ისეთი ფსიქოლოგიური აჩქარებით ჩაიქროლოს, რომ ყველაფერი ის, რისი აღქმა და შემეცნება გარდასულ დროში ვერ მოასწრო ახალგაზრდამ, შეუძლია აინაზღაუროს ახლა. აქედან გამომდინარეობს ჩვენთვის, მოზრდილებისათვის გაუგებრობა, რომელიც გამოწვეულია მეტისმეტად არათანაბარზომიერი, ზიგზაგური ხასიათის ფსიქიკური განვითარების ტემპებით.

ახალგაზრდა ერთ ღამეში შეიძლება დაბრძენკაცდეს. ამასთანავე ახალგაზრდობას, როგორც არავის ამ ქვეყნად,

მონიჭებული აქვს უნარი ჩვენგან დამოუკიდებლად მიმდინარე დროის ცხოველი შეგრძნებისა. ეს ორმაგი დამოკიდებულება დროისადმი ახალგაზრდის მიერ განიცდება ერთობ მწვალებლურად, რთულად. რომ ვიცოდეთ, როგორ დავეხმაროთ მას... რომ ძალგვიძდეს დახმარება?! დროებით კატაკლიზმებს ჩვენ აღვიქვამთ მეტისმეტად ზედაპირული დეტალების მეშვეობით. ხოლო მისი იდუმალებით მოცული სამყაროს წარმოსახვა მოანდევებითღა თუ ძალგვიძს. მხოლოდ ხელოვნებას შეუძლია შეაღწიოს მოზარდის ამ ხელშეუვალ ლაბორატორიაში, ხელოვნებას, რომელიც აქ მიმდინარე ულმობელი ჟამთამდინარების პირისპირ მარტო რჩება. მე არ ვიცი, როგორ გამოიყურება რომანში დრო დიდი ლიტერატურათმცოდნეობის ანგარიშით, მაგრამ როგორც ფსიქოლოგმა, კარგად ვიცი: დროის თვალსაზრისით რომანის ორგანიზაცია სრულად შეესატყვისება მოზარდისეულ დროის გაგებას, ანუ მკაცრი მეცნიერული ენით რომ ვთქვათ, ამ გაგების იზომორფულია. ის, რაც დროსთან მიმართებაში ჭილაძისეულ ექსპერიმენტად გვესახება (ე. ელიგულაშვილი), სინამდვილეში ჭეშმარიტ ფსიქოლოგიურ რეალობას წარმოადგენს, რის გაცნობიერებაშიც ჩვენ გვეხმარება რომანი. რეგინა დიომინამ შენიშნა, რომ რამდენადაც მეტად მჭიდროვდება, იკუმშება გარეგნულად დრო, მით უფრო მძაფრდება შინაგანი ცხოველმყოფელობა ჟამთასვლის მდინარებისა.

იგი ერთ ეპიზოდს იხსენებს ალექსანდრესა და ყვავთან დაკავშირებით. „ფიზიკურად მოქმედების დრო ალბათ წუთებამდე დაიყვანება, სამაგიეროდ როგორ მჭიდროვდება შინაგანი დრო, როგორი განცდები აღიძვრება ალექსანდრეს სულში, რამდენი რამის გადაფიქრებასა და გახსენებას ასწრებს იგი“. გარეგნულად დრო ყოვლისმომცველია, განფენილია. მისი გახანგრძლივება ან შეყოვნება შეუძლებელია. როგორც ერთმა მოსწავლემ თქვა — ერთადერთი ვალდებულება ადამიანისა, თუ კი მას ადამიანად დარჩენა სურს ის გახლავთ, რომ შეესაბამებოდეს დროს, მის მსვლელობას!

ამასთანავე, რომანში არის ერთი მიუღწეველი რამ, მოზარდის ცნობისმოყვარე მზერაში არეკლილი — მარადისობის შეგრძნება. როგორ აღიძვრება იგი? ყველა დროებით მეტამორფოზებისადმი არაჩვეულებრივად მგრძნობიარე ახალგაზრდა კაცი რომანში საოცარ უძრაობას აღმოაჩენს. მარადიული ქალი არა მხოლოდ პოეტური ფიგურა გახლავთ, მეტაფორა, მარადიული ქალის სახე, რომანს რომ გასდევს თავიდან ბოლომდე, ცხოველმყოფელობას იძენს მხოლოდ ამ უძრაობის ძალით, მხოლოდ ასეთ პირობებში. „ყველაფერი ეს უკვე იყო — ამბობს იგი თავისი არსებობით — ყველაფერი ეს კიდევ იქნება“ — ეხმაურება ექო. რომანში შემოდის მარადიულობა. რომანში არის ერთი ნოტა — გარდუვალობის, უცვლელობის მაუწყებელი. უძრაობაში, რომელიც თავისთავად ცხოვრებისეული მარადისობის სიმბოლოს წარმოადგენს, მრავალჯერ იბადება და კვდება ადამიანი. გიორგაში ხელახლა იბადება მამა. ანაში — შვილი. „დედა... ბებო...“ — ჩასძახის აღათის საფლავს ანეტა. აღათისა, ცხოვრებისეული ძაფით რომ კრავდა გვარს. იგი თვითონ იყო თითქოს მეორე სიცოცხლე ამ ქალებისა. ისინი ცხოვრობდნენ მასში, ხოლო იგი რომ მოკვდა თითქოს ისინიც ხელახლა გარდაიცვალნენო.

მარადისობის მოტივი რომანში მოცემულია არა როგორც ფონი, არა როგორც რაღაც გასართობი საგანი. მარადიულობა მატერიალიზებულია ჩვეულებრივ ადამიანებში, მთელი სიმკაცრით რომ ზღვეს საკუთარი და სხვათა ცოდვების გამო. ამიტომ ხომ არაა, რომანის ფურცლებზე რომ მარად ახალგაზრდად რჩებიან ანა, განსაკუთრებით კი გიორგა, მით უმეტეს, რომ მისი უმცროსი ძმა უკვე დაოჯახებულია. მარადისობის მოტივს ახალგაზრდა უკავში-

რებს ერთ მეტად ამაღელვებელ პრობლემას — უკვდავების პრობლემას. არსობისა და ყოფიერების ასავალ-დასავლის პრობლემას. ყველაზე უფრო ახალგაზრდას ადარდებს, აშინებს უძრაობის ფაქტორი, რამდენადაც მოძრაობა ახალგაზრდობის ცხოვრების უსასრულობის სიმბოლოდ გვევლინება. მაგრამ, ჩვენ, ყველანი, მეტ-ნაკლებად, როგორც ეს თქვა ლარისა კრავჩენკომ, ასკლეპიოდოტები ვართ, ის თოჯინები, რომელიც ექიმმა ჯანდიერმა აჩუქა ანეტას. დიახ, ჩვენ ყველანი, ცოტათი მაინც ასკლეპიოდოტები ვართ, რამდენადაც, იმავე დროს მოძრაობაც გვაშინებს ჩვენ: „...გაცილებით სასიამოვნოა თოჯინების ცქერა, მარადიული, ქათქათა თოჯინებისა“ (ლარისა კრავჩენკო). როგორ არ გავიხსენოთ აქ გენიალური გოგოლი, ულმობლად რომ სთავაზობს ახალგაზრდა კაცს მიხრწნილი სიბერისდროინდელ მისსავე პორტრეტს, რა არის ეს? ისევე ექსპერიმენტი დროსთან მიმართებაში? ეს არის ცხოვრების გრიმასები, იმაზე უფრო საშიში რამ კიდევ.

რომანში მოცემულია დროის მყოფადობა მისი თავდაპირველი და უმაღლესი გამოვლინებებითურთ. თანდათანობით ხვდები: ცხოვრებას სიბრძნეში ვერ აჯობებ. მარადისობის თემის პარალელურად აღიძვრის ბედის პრობლემაც, ასევე ყოველივე ზეგარდმო გარდასახდელის გარდუვალობა. ამას შემოაქვს რომანში ტრაგიკული ნოტი, რომელიც უჩვეულოდ ამძაფრებს მას, რადგანაც ნამდვილ ტრაგიკულს ახასიათებს კათარზისის თვისება.

როგორია ეს სასაუბროდ მეტისმეტად რთული ფსიქოლოგიური ბუნება კათარზისისა ჭილაძის პროზაში?

„...სწორედ ეს კათარზისი, ანდა ნათელგრძნობა ისე მოულოდნელად გეუფლება, რომ გეჩვენება, თითქოს შემოქმედებითი მადლის წყალობა კი არ იყოს, არამედ უბრალოდ, ავტორის ნებასურვილით მოვლენილი“ (ი. ბოლდირევი, „ლიტერატურნაია გაზეტა“ № 21).

რეგინა დიომინას შავ ჯურღმულს აგონებს რომანის სივრცე. „მთელი ამბები რაღაც გიგანტური ძალით იყრის თავს ერთ წერტილში, და ეს წერტილი კოლოსალური ენერგიითა და დაძაბულობით ზემოქმედებს ჩვენზე. ეს წერტილი გახლავთ მაკაბელთა სახლი. დაძაბულობა დაკავშირებულია ქაიხოსროსთან, რომელმაც უკანონოდ მიითვისა სხვისი გვარი, სანათესაო. მაგრამ როცა გმირებიდან ვინმე თავს აღწევს ამ თვალსაწიერს, უკვე თავისუფლად სუნთქავს ადამიანი. ანა გარბის გიორგასთან ვენახში. რა დაბურული, ჩამოქუფრული იყო ცისკიდური და ამ სირბილის ჟამს როგორ მოსინათდა, გაცისკროვნდა ირგვლივ ყოველივე... რაც არ უნდა უზარმაზარი იყოს ენერგია შავი ჯურღმულისა, გმირები მაინც ახერხებენ მისგან თავის დაღწევას. თანაც, დროთა მსვლელობის კვალობაზე, მასშტაბები ამ თავისუფლების ნახტომებისა უფრო და უფრო მატულობს. ანა გარბის გიორგასთან ვენახში. გიორგა ქარავანს მიჰყვება შორეულ მხარეში. ნიკო თბილისში მიემგზავრება, ანეტა წნორში გაიქცა. ალექსანდრე მონასტერში წავიდა, შემდეგ კი ციმბირში ამოყო თავი. მაკაბელების ოჯახის მთლიანობას სხვადასხვა მხრით გაუჩნდა ნაბზარი. იგი ინგრევა ერთად-ერთი, რასაც მე ვერ ჩავწვდი, ეს არის მძლეთა-მძლე რკინიგზის როლი თუ მნიშვნელობა ამ შავი ჯურღმულის ნგრევის პროცესში.

მძიმე ტრაგიკული ვითარება, რომელიც რომანის დასაწყისში გვხვდება, უნდა გაწოვილიყო და ახალ ცხოვრებად გარდასახულიყო“ (რეგინა დიომინა). განსაცვიფრებელია ოთარ ჭილაძის მხატვრული შესაძლებლობანი, რომელთა მეშვეობითაც იგი განმუხტავს უმძაფრეს ტრაგიკულ ვითარებას, მახსენდება ერთი ასეთი დეტალი: მაიორის სახლში დაიდო ბინა ანაანთ კატამ.

„როგორადაც მჭიდროდ არ უნდა იყოს უჰაერო არტერია დახუფული, ჰაერი მაინც მოძრაობს მასში. რომანის

ბოლოში კი საცობი მთლიანად ძვრება მილიდან. მთელი არემარე ივსება ჰაერითა და სინათლით“ (რეგინა დიომინა).

ჭილაძეს ძალუძს უშველებელი ტრაგედიის მოცემა, და ეს იმიტომ, რომ იგი ფლობს სიღრმისეული ხედვის უნარს, მას ძალუძს აჩვენოს, რომ მარცხი მარტოოდენ უბედურების კი არა, „განათლების“ წყაროდაც იქცეს (დიომინა), ეს იმიტომ, რომ სიკვდილის აღწერამ შეიძლება მოგანიჭოს სიცოცხლის შეგრძნება, რამეთუ კარგად უწყის ჭილაძემ (და მასთან ერთად ჩვენაც): კვდება მხოლოდ ის, რაც ცოცხალია. აი, რატომაა, რომ: „...სიკვდილი, სიკვდილი, სიკვდილი, ხოლო ჩვენში კი ისადგურებს სიცოცხლის ისეთი ჟინი, რომ პირველ ხანებში ეს მოზღვავებული ენერგია თავბრუს გასხამს, მაგრამ იგივე ძალა გაიძულებს დამშვიდდე და იარო წინ“ (ლარისა კრავჩენკო).

კათარზისის ფესვები დიდად არიან დაშორებული ფინალში მართას გამოცხადების მომენტისაგან. ეს ფესვები ყველგან შეიგრძნობა — გმირების მწვალებლობასა და მაძიებლობაში, გმირებისა, რომელთაც შეიგნეს, რომ ადამიანი ადამიანისათვის ძმა და მეგობარია, იმ უჩინარი ძალის შეგრძნებაში, რომელიც აღიძვრება ჩვენში, როცა მარტონი არა ვართ, კათარზისია — ჩვენივე მრწამსის სიბრძნეში, რომ ყოველივე ამაო როდია და თვით სიკვდილიც კი შეიძლება სიცოცხლის გამართლება იყოს. კათარზისია იმის შეგნებაში, რომ „ჩვენ ყველანი შედუღაბებულნი, ერთნი ვართ, ყველანი ამ ქვეყნად — გარდაცვლილნი, ცოცხალნი და ისინიც, ვინც მომავალში იქნებიან“ (ლარისა კრავჩენკო). სინათლის შეგრძნება აღიძვრის იმიტომ, რომ იმ ცხოვრების მიღმა, რომლითაც ცხოვრობენ რომანის გმირები და იმ ბედის ვარსკვლავის მიღმა, რომელზედაც დაიბადნენ ისინი, ჭილაძე ჩვენ გვაგრძნობინებს კიდევ რეალურ განცდას იმ სხვა ბედის ვარსკვლავისა, მეორე ცხოვრებისა, რომელიც რომანშია მოცემული, როგორც განსახორციელებელი მიზანი ჩვენი მოწადინებულობისა შემოხვევაში. რა მოხდა მერე, რომ იმ „მიღმიურ“ ცხოვრებას ახდენა არ უწერია? თითოეულ გმირს ჭილაძე უნერგავს რწმენას ასეთი შესაძლებლობებისა. ადამიანშია მოცემულ ყოვლისშემძლეობა. თვით სხვა ცხოვრების არსებობის ფაქტი, თუნდაც თეორიულ პლანში მისი წარმოდგენა, ცხოვრებისეული გზების ვარიანტთა შეჯერებისა და არჩევის შესაძლებლობა, ჩვენში, მკითხველში ასახლებს რწმენას.

კიდევ რა გვინერგავს ამ რწმენას?

„რომანში მთელი ჩვენი ცხოვრებაა ჩატეული. იგი დაწერილია ჩვენზე, ზუსტად ისევე, როგორც გასული ასწლეულის სამოციან წლებზე. ცხოვრება კი წინ მიდის, ბედის ბორბალი ტრიალებს, ბრუნავს, როგორც საათის ისარი.

მაშ, რის ხარჯზე ტრიალებს იგი? რა ძალა აბრუნებს მას?

იდუმალი ძალების ხარჯზე. ჩვენ არ ვიცნობთ ადამიანს ბოლომდე, ამიტომაც ნაგვით დაზეკილი ტყავის ხალთა შეიძლება დავიძმობილოთ, და, ისიც შეიძლება აღდგეს, განიწმინდოს, ოღონდ სხვა ადამიანის ზეგავლენით. ჩვენ საკუთარი თავი არ ამოგვიწურავს — აი, სად არის იმედი!“ (ნატაშა დვორიკინა).

ჭილაძე სიცოცხლის მოყვარულია, ისევე როგორც საქართველო. არის იგი, ეს შეგრძნება ცხოვრებისა — ყველაზე ცხოველმყოფელი წყარო სინათლისა, რომელიც აღიძვრება ჯერ კიდევ რომანის დაწყებამდე და ასე გრძელდება მის ფარგლებს გარეთ მისი დამთავრების შემდეგაც. „სიცოცხლის შეგრძნება, ნათელი სხივივით უსასრულობაში გადადის, მაგრამ ამ უსასრულო გზაზე ღრმად გებეჭდება სულში ის წამი, როცა კაცობრიობამ აღმოაჩინა თანაარსებობის ახალი ფორმულა. ეს არის ოთარ ჭილაძის მიერ დაფიქსირებული წამი“ (ლიოშა ბურდუკოვი). წიგნი და ცხოვრება განუყრელია, ერთი მთლიანი სამყაროა.

ერთი ფსიქოლოგიური ექსპერიმენტის მარცხი

თითქოს ყველაფერი დალაგებულად გამოვიდა: საჭიროა თეორეტიკოსის დიალოგი პოეტთან. ყველაფერი სწორია. მაგრამ მე მოსვენებას არ მაძლევს რამდენიმე ნამუშევარი, რომლებიც ვერც ერთ კლასიფიკაციაში ვერ თავსდება, ჩვენ მიერ მიგნებულ კანონზომიერებებს არ ექვემდებარებიან. არ მაძლევს მოსვენებას მეათეკლასელ ყმაწვილებზე ფიქრი, რომელთაც დიდის რუდუნებით დალაგებული მთელი ეს კონცეფციები სულ უარყვეს და ამირ-დამირიეს.

შესაძლოა ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნას, თითქოს მე რომ კლასებზე მაქვს საუბარი სულ გამორჩეული, ნიჭიერი ბავშვებით იყოს დაკომპლექტებული, რომელთაც საკონკურსო შერჩევა გაიარეს. ჩემს მეათე კლასში კი ასეთები, დიდი ხანია, არ არიან, თუ კი მე ვლაპარაკობ ფიზიკა-მათემატიკური ორიენტაციის ბავშვებზე, მხედველობაში მაქვს ჩვულებრივი კლასი, სადაც ისეთივე ჩვეულებრივი მოსწავლეები არიან, როგორც ნებისმიერ სხვა კლასებში, სადაც ყველა საგანი თანაბარ დონეზე ისწავლება.

სამი კლასიდან, რომელთა ნამუშევრებსაც ამ წერილში ვეხები, ერთ-ერთი სულაც სპორტული მიმართულებისა გახლავთ. იგი ასეთად ჯერ კიდევ მეოთხე კლასში ჩამოყალიბდა. მე არასოდეს არ მიმუშავნია სპორტულ კლასებში და თავიდან მეტისმეტად მიჭირდა ბევრ რამესთან შეგუება, მთავარი კი მათში ე. წ. მტკივნეული წერტილების არარსებობა იყო. არა და როგორღა იქნებოდა ამ წერტილების გარეშე ლიტერატურაში? საკუთარ თავში დაიმედებულნი რაღაც განსაცვიფრებლად შეიგრძნობდნენ ისინი ცხოვრებისეულ ბედნიერებას. შეეძლოთ, მაგალითად, 15 წუთი დაეგვიანებინათ გაკვეთილზე და თავმომწონედ განეცხადებინათ: „მასწავლებელო, „საგანგებო კვებაზე“ შემაგვიანდა!“ მე უკვე ვიცოდი, ისინი დამატებით მიირთმევდნენ [illegible] განკუთვნილი ლიმონის ულტფას, რომელიც მე არ მერგებოდა. უკომპლექსურობა იმდენად აშკარა იყო, რომ მე ვიბნეოდი კიდევაც. მათი ეს ფიზიკურ-კუნთური აღტკინება შორ მანძილზე ვრცელდებოდა. როცა რომელიმე მათგანი გაკვეთილებს არ ისწავლიდა შეჯიბრების ან სხვა რამ მიზეზით თუ სულაც ყოველგვარი მიზეზის გარეშე, ყოველთვის აღმოაჩნდებოდა ხოლმე დამცველი და არა მარტო მწვრთნელთა ბანაკიდან.

ჩემს წვალებას რომ აკვირდებოდა საწყალი ჩემი კოლეგა, მამშვიდებდა ხოლმე: „აი, შეხედე, როგორ მძლედ, რა ლამაზად დგას, ხედავ, როგორ გარბის, თანაც როგორი ბედნიერია!.. შეეშვი, გაანებე თავი“. იყო ერთი სერიოზული არგუმენტი, რომელსაც ვერსად ვერ წაუხვიდოდი, იგი მამცნო, ჩემმა და-ქალმა და შეეხებოდა ოლია კოზლოვას — მთელს ოლქში სახელგანთქმულ მოციგავეს: „მტკივნეული წერტილები? შენ იცი, რა სიჩქარეს ანვითარებს მოციგავე? არ იცი, არაა? მაშინ დაიმახსოვრე: მას რომ რეფლექსის ანდა მტკივნეული წერტილის მაგვარი რამ ჰქონოდა ამ ციგას სათოფედ არ გაეკარებოდა“. მაგრამ ოცდაცხრა წლის მუშაობის მანძილზე, მე ყველას ასე ვარწმუნებდი, რომ დოსტოევსკი ყველას სჭირდება-მეთქი და ასეც ვიცოდი, რომ იგი ყველასათვის აუცილებელი იყო, და ამისი ჩიჩინით მოსვენებას არ ვაძლევდი ადამიანებს. ასე და ამგვარად: იგი, ვისზეც თავში დავიწყე ლაპარაკი, უფრო სწორად ერთი მათგანი, რუბიკ მიქაელიანი საოცრად ჰარმონიული ყმაწვილი გახლდათ. ჰარმონიული იმდენად, რამდენადაც სპორტული ასპექტით ამ ჰარმონიაში შინაგანი წესრიგი, შინაგანი თანხმიერობა და სრულყოფილება იგულისხმებოდა. რუბენი მოჭიდავე იყო. თანაც საოცრად ლამაზი გარეგნობისა. ადვილად ვერაფერში ვერ აწყენინებდი. ლიდერობას არასოდეს ესწრაფვოდა. საოც-

რად ამოუხსნელი უდარდელობა ახასიათებდა, გულკეთილობასთან შერწყმული უდარდელობა. ცხოვრებაში არაფერს არ გაგირთულებდა. მე ხშირად მიხდებოდა მისთვის რომანის თაობაზე შეხსენება. იგი წამწამებს დაახამხამებდა ხოლმე, თითქოს ძილიდან ახლა გამოერკვაო და პირველყოფილი სიწრფელით მპირდებოდა: „დიახ, მასწავლებელო, აუცილებლად წავიკითხავ". ბავშვები ხუმრობდნენ: „არა, არ წაიკითხავს იგი ქართულ ლიტერატურას".

მან წაიკითხა რომანი ლიტერატურაში ორიანის მიღების შიშით. მან უწყოდა, რომ ჭილაძის გამო სემესტრში ორიანის დაწერის უფლება არა მქონდა, მაგრამ ესმოდა მისი წაკითხვით რა კაპიტალის დაგროვება ძალუძდა ჩემს თვალში. ასე რომ წაიკითხა რომანი მერკანტილური მოსაზრებით და უნდა ითქვას, რომ ერთი ამოსუნთქვით. რუბიკის ხასიათიდან გამომდინარე ველოდი, რომ სტანდარტულ შედეგს მივიღებდი. თხზულებაც საკმაოდ სწრაფად მოათავა და ეს არც თუ გამოუცდელი მასწავლებელი, ერთ ხათაბალაშიც ჩამაგდო. დიდხანს მართლაც ვერაფერი დასკვნა გამომქონდა მისი ნააზრევიდან.

იგი რომანს კითხულობდა განსაცვიფრებლად თავისუფლად, ტექსტის სტიქიას მიცემული, გაოცებული იყო იმ სირთულეებით, რასაც ჩვენ გზადაგზა ვაწყდებით და ვფერხდებოდით კიდევაც. აოცებდა ეს გაუგებრობანი რუბენს. მე კი მიმაჩნდა, რომ ასეთი თავაუღებელი კითხვისას მრავალი მნიშვნელოვანი რამ იკარგებოდა. მე შევეცადე მიქაელიანი სოციალური მიდგომის მცდარობაში დამერწმუნებინა, მაგრამ საბოლოოდ ისიც ჩვენს მიერ მიღებულ შედეგებამდე მიდიოდა. რუბენს მშვენივრად ესმოდა გმირთა ძიებების საზოგადოებრივი მნიშვნელობა. უცნაური იყო, რომ ურეფლექსოდაც იგი მშვენივრად აღწევდა ტექსტის სიღრმისეულ ფენებამდე. გმირში ხედავდა ცხოვრებისადმი ფილოსოფიური დამოკიდებულების ხორცშესხმას; ამავე დროს იგი მოვლენას არსს კი არ აცლიდა, ამ არსის პრიზმაში აღიქვამდა მას. იგი პირდაპირ, ყოყმანის გარეშე წერდა: „ქაიხოსრო არა მარტო რეალური სამყაროს წარმომადგენელია, იგი უფრო მეტის შემცველია. იგი — ბუნებაა. არსებობა არსებობისათვის, სიცოცხლის გულისათვის... საბოლოო მიზანია ყველა სულდგმულისათვის. აი, რატომაც იყო მისი ღმერთი ნოე..."

რუბენის წარმოსახვაში ეს გმირები უცნაურად გარდაიქმნებოდნენ ხოლმე. განსხვავებით სხვებისაგან მან წიგნში ცხოვრება ამოიკითხა. იმ ღრმადმოხუცებული სოფლელების მსგავსად, რომელთაც მე შევხვედრივარ სადღაც, სწორედ ეს მოხუცები ლაპარაკობდნენ როგორც რაღაც იდუმალ მოვლენაზე, რომელსაც საკუთარი, თუნდაც ჩვენთვის შეუცნობელი, კანონები გააჩნდა, რუბენი ხომ ასე შორს იდგა თავისი ცხოვრებისეული გამოცდილებით ამ მოხუცებისაგან. მის შემეცნებაში ამ გმირების ყოფიერება აღიქმებოდა აგრეთვე როგორც პლანეტა სოლიარისის ოკეანე: ყოველი ნივთი თუ საგანი, რომელიც ამ ოკეანეში ხვდებოდა განიცდიდა წარმოუდგენელ გადამუშავებას, გარდაქმნას, რამდენადაც იგი სხვა სამყაროში იყო მოხვედრილი.

იგი გმირს აღიქვამდა მისი კონკრეტული მრავალფეროვანი თვისებებიდან გამომდინარე, და ამავე დროს შეეძლო ეთქვა: „ელვირა ნიკოლაევნა, ეს ხომ ჩვეულებრივი ადამიანი არ გახლავთ, ეს მესიაა!"

აქედან გამომდინარე კი: „მაკაბელის სახლი — ეს პლანეტაა. ურუქი — გალაქტიკა. ყველაფერი დანარჩენი კი სამყაროა.

ადამიანებს ძალუძთ გამოიგონონ და იცხოვრონ თავიანთი კანონებით. მაგრამ არსებობს ცხოვრებისეული კანონები. ყველაფერი ეს კი ბრძოლით არის მოპოვებული. სიყვარულიც — ბრძოლაა. და ვერც ერთი იდეა ვერ დამკვიდრდება ცხოვრებაში თუ კი თვით ცხოვრების

ლოგიკურ და ბუნებრივ ნაყოფს არ წარმოადგენს იგი, რომელიც საბოლოო ჯამში მაინც იმარჯვებს, თუმცაღა ადამიანები ამას შეიძლება ვერც ამჩნევდნენ".

ნარეკაცისა და საროიანის შემოქმედებაზე აღზრდილ რუბენს განსაკუთრებული დამოკიდებულება გააჩნდა ენებისადმი. არც განათლებითა და არც პირადი ბუნებით მას ეროვნული კარჩაკეტილობა არ ახასიათებდა. კარგად იცოდა ფრანგული, თავისი მშობლიური — სომხური, უყვარდა და იცოდა რუსული. შესაძლოა სწორედ მის ამ მრავალენოვნებაშიც მარხია რომანისათვის დამახასიათებელი სიტყვიერი ძიებების ხლართებში სწრაფი ორიენტირების საიდუმლო? როცა ადამიანი თავის მშობლიურ და ასევე უცხო ენებზე წერს, სწორედ ასეთი შემთხვევისათვის დამახასიათებელი მხატვრული აზროვნების დამატებით რესურსებზე არ წერდა ჩინგიზ აიტმატოვი? ხომ არ ვრცელდება იგივე თეზა მხატვრული აზროვნების სხვადასხვა სისტემების მფლობელ მკითხველებზედაც?

რუბენის მამა ჰყვებოდა, რომ შვილს უცხო ენაზე საუბრისათვის მიყურადება უყვარდა ხოლმე, თითქოს აზრის გარდა ამ საუბარში იყო კიდევ სხვა რაღაცა. გარდა ამისა რუბენი, მრავალი მისი თანატოლის მსგავსად, ზარმაციც იყო. მას ახასიათებდა, ეგრეთ წოდებული, ფსიქოლოგიური სიზარმაცე ვითომდა „ძალების დასაზოგავად" და აი, მართლაც გამოადგა ეს ძალები ოთარ ჭილაძის ხელოვნებასთან შეხვედრისას. ჩემსავე დიდი სურვილის საწინააღმდეგოდ, მაინც ვგრძნობდი რუბენის თხზულებაში რომანის გამომსახველობითი ტრანსფორმაციის მოამჯადოებელი ძალების ზეგარდმოვლენას. და ყოველივე ეს ხდებოდა რაღაც საოცარი ძალდაუტანებლობით, თითქოს მიქაელიანს ყველა ჩვენგანისაგან განსხვავებით კიდევ რომელიღაც დამატებითი აღქმის ორგანო გააჩნდა ჭილაძის პროზის შესამეცნებლად.

— მერედა რაა აქ გასაკვირი, ყველაფერი უბრალოდ აიხსნება: მიქაელიანი — აღმოსავლელია. საქართველოც აღმოსავლეთში...

— საქართველო აღმოსავლეთში კი არა, დასავლეთშია...

— ???

— საქართველო აღმოსავლეთი როდია, ეს არის დასავლეთი, რამდენადაც დასავლეთია ყველგან იქ, სადაც მხატვრულ-ფილოსოფიური შემეცნების საწყის-სათავეს ბერძნული და გნოსტიკური ლოგოსი წარმოადგენს.

— საქართველო არც აღმოსავლეთია და არც დასავლეთი, ეს არის კულტურათა გადასაყარი გზაჯვარედინი, აქედან გამომდინარეობს მისი საყოველთაო აღიარება...

— საიათნოვა? რომელია იგი, აღმოსავლელი თუ დასავლელი?.. მისი გამოცდილება რომელს ეყრდნობა?

... და ასე შემდეგ... და ასე შემდეგ... მე ვიცი მხოლოდ ერთი რამ, რომ საიათნოვას ფენომენი განმეორებადია ცალკეული ადამიანის კულტურაში... არაერთხელ დავფიქრებულვარ ამ საკითხზე, როცა მიქაელიანს ვუსმენდი ან მის თხზულებას ვკითხულობდი. დიდი მადლობა რუბენს, მისმა ნამუშევარმა მიმაბრუნა მე ათობით სხვა თხზულებასთან, რომლებშიც „მიქაელიანისეული" მოტივები და რომანის ინტერპრეტაციის მაგალითები აღმოვაჩინე. „...მე ვერ ვგრძნობ რომანში გამოსახულებებს, მე აღვიქვამ მასში ბუნების წარმოქმნის პროცესს. ადამიანი კი არ მიისწრაფვის მისკენ, როგორც ეტალონისაკენ, იგი ქმნის სრულიად თავისუფლად, მასთან ერთიანობაში, და ძერწავს ბუნების დონეზე ფიგურას. შეჯიბრება დამთავრებულია. ადამიანი განვითარდა. სამყარო მისთვის ერთ მრავალფეროვან ტილოში განსხეულდა. ეს იმიტომ, რომ ქვეყნიერების გულში როგორც ქაღალდის მანეთიანი მუჭში, ისეა გამომწყვდეული ადამიანის სული" (ნატაშა დვორიკინა). რუბენი მხოლოდ ერთ ფრაზაში არ დათანხმდებოდა: „შეჯიბ-

რება დამთავრებულიაო“. იგი, უბრალოდ არ დაუშვებდა ამის გაფიქრებასაც კი. და მეჩვენება, რომ რომელიღაც ერთი მხარე ოთარ ჭილაძის ტალანტისა მან აღმოაჩინა, ამოიცნო თავისი გულით... შესაძლოა, ეს სწორედ ის არის, რაზეც დაწერა ნატაშამ: სახეების ძერწვა ყოველი სულდგმულისათვის ნიშანდობლივი ცხოვრებისეული კანონებით.

...ისინი ორნი იყვნენ. სასოწარკვეთილი ოროსნები, რომლებთანაც მე ვერაფერს ვერ გავხდი. ვერაფერს აგეიკინი და მიკინი. მეცხრე კლასი დაამთავრეს იმ „ჩვენებურ“ „სამიანებზე“, „ორიანებისაგან“ რომ არაფრით განსხვავდებიან. მე ჩემი თხზულებით დავბრუნდი თბილისიდან, ისინი კი ჯერ არც შესდგომოდნენ რომანის კითხვას. პირველ სემესტრში მათ ორიანებით გავუმასპინძლდი, ოღონდ ჭილაძე აქ არაფერ შუაში იყო. ეს ორნი არ სწავლობდნენ ლიტერატურას. არ კითხულობდნენ წიგნებს. არაფერი იმათზე არ ზემოქმედებდა, არც სკოლაში რომანის გარშემო ატეხილი აჟიოტაჟი, არც ჩემი ნაამბობი საქართველოზე და ჭილაძეზე. იქმნება ხოლმე ისეთი პედაგოგიური სიტუაციები, როცა სხეულითა გრძნობ, შემდგომი ზემოქმედების უაზრობას. ეს ის შემთხვევაა, როცა გეჩვენება, რომ ბუნებამ ამოწურა თავისი თავი. ერთი სიტყვით, არაფერი არ გამოდის და მორჩა, გათავდა. არასოდეს აქედან არაფერი არ გამოვა. როცა საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ ისინი არ წაიკითხავდნენ „მუმუსაც“ კი, მე უკვე ორიანებით გამასპინძლების შემდეგ, ვთხოვე ორთავეს, რომ საღამოს ჩემთან შემოეკლოთ. ახლა უკვე თქვენთვის სულერთია, მაგრამ იქნებ ერთხელ კიდევ სცადოთ, აიღოთ წიგნი და ჩაუჯდეთ-მეთქი.

„თქვენ ჭკუაზე ხომ არ შეიშალეთ,— მითხრა მე მათმა კლასხელმძღვანელმა — მიეცით რაიმე პაწაწკინტელა მოთხრობა, უბრალოდ, წესის დასაყენებლად. მაინც არ წაიკითხავენ. ეს ხომ დღესავით ნათელია. თქვენ ერთად-ერთი შანსი გრჩებათ — რატომ უნდა ფანტოთ სიტყვები ქარში?“ რა შემეძლო მეთქვა ნორჩი ბიოლოგისათვის, — რომელიც მე შვილად შემეფერებოდა? ისინი უკვე, დიდი ხანია, მომიწოდებენ მე გონიერებისაკენ, საკუთარი ენერგიისა და ძალების გაფრთხილებისაკენ. მოგვიანებით კი მან მითხრა, რომ ჩემს გამო შეეშინდა: მე რომანზე არაბუნებრივად მშრალად ვილაპარაკე. ეს სიზმარსა ჰგავდა, როცა რომელიღაც საგანს უნდა დაარტყა მუშტი და გრძნობ, რომ მარტო ხელს იქნევ—ძალა კი არ გყოფნის. რას ამბობთ, მე მიყვარდა ეს რომანი რაღაც სასოწარკვეთილებამდეც კი, თითქოს ეს წიგნი კი არა მთელი საქართველო იყო, საქართველო თავისი ხალხით, ისტორიით, კულტურით, ზეცით, მზითა და მთვარით. მე ვსულდგმულობდი ამ წიგნით, როგორც სულდგმულობენ ხოლმე ოცნებით, მალული იმედით, რომ მას განახორციელებენ, აისრულებენ.

...ისინი ჩემს მოსვლას ვერ დაელოდნენ. საფოსტო ყუთში ორი რვეული იყო ჩაჩრილი, წელიწადნახევრის მანძილზე მათი პირველი ნაშრომი. თითო ათ-ათი ფურცლისაგან შედგებოდა. ეს ხომ მას, მიკინს ეკუთვნის დროის შესახებ სიტყვები — დროისა, რომელსაც უნდა შეესაბამებოდეს ყველაფერი ამ ქვეყნად. როგორ მსურდა ბევრი რამ შემეცვალა კითხვისას... რომანი მართლაც ცხოვრებასავითაა, მაგრამ გადაკეთება არაფრის არ შეიძლება. იგრძნობოდა ავტორი, რომელიც საკუთარი კი არა ცხოვრებისეულ ლოგიკას მინდობილი მოქმედებდა. მიკინი... იცავდა ჭილაძეს. ვისგან? გუშინდელი მიკინისაგან, რომელიც რთულ წიგნებს სასაცილოდ იგდებდა, უფრო სწორად, არ კითხულობდა მათ.

„...დასანანია, რომ მხოლოდ სიკვდილის წინ გაიგო გიორგამ, რითი სულდგმულობდა მთელი სიცოცხლე და რა სურვილი ამოძრავებდა დედამისს. ეს აღმოჩენა მასში იმედს ბადებს, მაგრამ, სამწუხაროდ, უკვე ძალიან დაგვიანებულია. მინც გგონია, რომ აქ ავტორს, მიუხედავად დიდი სურვილისა, არაფრის

შეცვლა არ ძალუძდა, და ისეც რომ მომხდარიყო, ოთარ ჭილაძე მართალი არ იქნებოდა". ყოჩაღ! ერთ წიგნს შეუძლია გარდატეხა მოახდინოს ადამიანის შემეცნებაში. ერთი წიგნი!.. კინაღამ სიცილი ამივარდა, ვალოდიას ბოლო წინადადება რომ ამოვიკითხე მის თხზულებაში: „...დღემდე მსგავსი რამ ლიტერატურაში არ შემხვედრია". მაგრამ თავი შევიკავე. რვეული ჭილაძისადმი მიძღვნილი ჰიმნი და ჩემდამი მომართული საყვედური გახლდათ, ჩემდამი, როგორც ლიტერატურის მასწავლებლისადმი. ჭილაძით დაიწყო ვლადიმერ მიკინის ლიტერატურული განათლება. იგი, იყო მიზანმიმართული და აუხსნელი. ხანდახან, რომ დავრწმუნებულიყავი, ცხადი იყო ყოველივე თუ სიზმარი, მე გამოსაცდელად დამატებით დავალებებს ვაძლევდი ხოლმე მიკინს. იგი, ყოველმიზეზგარეშე ასრულებდა მათ. ატესტატში ვალოდიას ყოველგვარი არსებული ინსტრუქციის საწინააღმდეგოდ „ხუთიანი" ჩავუწერე. წიგნით გატაცებისა და მისი გავლენის ეფექტი იმდენად თვალში საცემი და მოულოდნელი იყო, მსგავსი რამ არავისთვის შემინიშნავს, თუ არ ჩავთვლით მარიკა აგეიკინას ქარაგმულ გამონათქვამებს გმირების დამრიგებლურ თვისებებზე... „აი, თვალწინ მიდგას მაკაბელების მთელი ოჯახი. ასე მგონია, თითქოს საკმაო ხანი ვიცხოვრე მათთან. გმირები ისეთი ხელშესახებნი და სიცოცხლით აღსავსენი არიან რომ ახლაც თავზე მადგანან, მირჩევენ, თავიანთ შეხედულებებს გამოთქვამენ ჩვენს საქციელზე, ჩვენს ცხოვრებაზე, ისევე, როგორც ჩვენ განვსჯით მათ საქციელს, მათ ყოველ მოქმედებას"..

მიაქციეთ ყურადღება! ჯერ ისინი განსჯიან ჩვენს საქციელს, და მხოლოდ მერმე — ჩვენ მათსას. და ამ მომენტში მე, როგორც მასწავლებელს, მეუფლება სირცხვილის გრძნობა საკუთარი უმწეობის გამო. ჭილაძემ კი აი, რა შეუძლებელი რამ მოიმოქმედა. როგორც ფსიქოლოგს, მშვენივრად მესმის, სწავლებისა და შემეცნებისა რა კოლოსალური ძალის ეფექტს წარმოქმნის კითხვის პროცესი. ლიტერატურაში წვდომის ტემპი საოცრად დაჩქარდა.

ამიტომაც ჩაფლავდა ჩემი ჩაფიქრებული ექსპერიმენტი. რამდენადაც ავტორის შეგრძნება საკმარისად ძლიერი იყო, მე სურვილი დამებადა გამომერკვია, იცნობდნენ თუ ვერა ჩემი მოსწავლეები ჭილაძეს მისი ლექსებით? ოთარს ჩემი ეს ჩანაფიქრი მეტად საინტერესოდ მოეჩვენა, თუმცა ახლა, ორი წლის მერმე, მე ნათლად მაგონდება როგორ არა ერთხელ შეაკრთო იგი ჩემმა ნაამბობმა ექსპერიმენტის მეცნიერულ სტრუქტურაზე. მაშინ იყო, მე რომ თავმომწონედ გავაცანი ჩემს თანამოსაუბრეს უნგრელი მეცნიერის ერნე გონდოშის ტექსტის მოდიფიკაცია, რომელთანაც მე დიდი ხნის სამეცნიერო ურთიერთობანი მაკავშირებდა. დიახ, იგი სწორეთ რომ შეკრთა, თითქოს და დანით გადაუსერესო სხეული, როცა ჭილაძე—პოეტსა და ჭილაძე — პროზაიკოსს შორის დამაკავშირებელი ძაფებს ვეძებდი. ორგანიზმი განუყოფელია. შემოქმედებითი კი განსაკუთრებით, მაგრამ მე ეს გავიგე ჩვენი მოსწავლეების მთლიანი აღქმის მეშვეობით. ჯერ კი ლექსების მოლოდინში მე ვემზადები ექსპერიმენტისათვის, ლექსებისა, ნოვოსიბირსკის არც ერთ ბიბლიოთეკაში რომ არ აღმოჩნდა. მე ვთხოვ ოთარ ჭილაძეს შეარჩიოს მისი მსოფლმხედველობის შედარებით სრულად გამომხატველი საკუთარი ლექსები. ჭილაძე მპირდება მოსკოვის მეშვეობით შემირჩიოს თავისი ლექსები. თბილისში მისი ლექსების თარგმანებს ვერ ნახავ. არ ვიცი, რითი დამთავრდებოდა ეს ექსპერიმენტი და აი, აცბად... სხვადასხვა მიზეზთა გამო, ბლოკის კითხვისას, ესენინის სწავლებისა თუ, დოსტოევსკის განმეორების დროს, ქართული თუ უნგრული ფილმების ნახვისას (სიტყვაზ მოიტანა და ესენი იყო ფაბრის ლენტები — „უნგრელები" და „მეხუთე ბეჭედი") მესმის ოთარ ჭილაძის სტრიქონე-

ბი. საიდან? ვინ მიმიყვანა ჭილაძესთან, როგორც პოეტთან? და რაც მთავარია —სად წააწყდნენ ლექსებს? ყველაფერი კი მარტივად აიხსნებოდა: ბავშვები იქექებოდნენ ბუკინისტურ მაღაზიებში, ეძებდნენ ლექსებს სხვადასხვა ჟურნალებში, იზეპირებდნენ მათ. თვითონვე, ყოველგვარი დაძალების გარეშე ეძებდნენ ჭილაძეს.

„თქვენ წარმოიდგინეთ, —მეუბნებოდა მე მიკინი — ვიღაც სულელებმა ჟურნალები მოიტანეს, ოთარ ჭილაძის რომანი რომ იყო დაბეჭდილი. იქნებ არ იცოდნენ, ვინ იყო ჭილაძე? სხვებმა კიდევ ჭილაძის ლექსები დააძვრეს საიდანღაც“... ამ „სულელებს“ რომ წარმოსთქვამდნენ, მათ ინტონაციაში იგულისხმებოდა სიხარულიც, რომ მათ შეხვდათ ჟურნალები, და წყენაც იმათ გამო, რომანი რომ ვერ შეაფასეს ჯეროვნად და ასე გაიმეტეს. მიკინს ისინი ეცოდებოდა. ახლა ვალოდიას უკვე ესმოდა ჩემი. შემთხვევით როდი უთხრა დედამისს ჩემზე: „იგი მართალი იყო“. ამ გაორებულობაზე ხომ არ წერდა ლარისა კრავჩენკო თავის თხზულებაში, ჯერ იმას თაობაზე, თუ როგორ იყო ეს განცდა წიგნში მოცემული, მერე კი იმაზე, „რაც მერმე გულში რჩებოდა. ერთის, ორის, მილიონის გულში... რჩებოდა სამუდამოდ და ვერავინ დედამიწის ზურგზე მას ვერ ამოშანთავდა, დრო აქ უკვე უძლური იყო“. მხოლოდ ასე! ასეც იყო.

მაინც რა შეიძლება ითქვას ჭილაძის მთლიანობაზე? მეათე კლასელები სულ არ განცვიფრებულან, როცა აღმოჩნდა, რომ პროზაიკოსი ამასვე დროს თურმე ლექსებსაც წერდა: თუ კი კრიტიკოსები ოთარ ჭილაძის პროზის შეფასებისას იყენებდნენ „პოეტურსა“ და „მეტაფორულ“ განსაზღვრებებს, ჩემი მოსწავლეებისათვის მისი პოეზიის შეფასებისას მთავარ არგუმენტს წარმოადგენდა მისი პროზა, რომელიც ყველაფერს მოიცავდა. რომც წაწყდომოდნენ ისინი ჭილაძის პიესას, ჭილაძის ფილმს, ჭილაძის სიმფონიას, ჭილაძის პანტომიმას — ყველაფერი ეს მშვენივრად მოთავსდებოდა ჭილაძის შესაძლებლობათა მათეულ მოდელში, რომელიც მათ შეიქმნეს რომანის კითხვის პროცესში. რომანში ხელშესახებად გამოკვეთილი გამომხატველობითი სისტემა ჭილაძისა, იშვიათად უნივერსალური აღმოჩნდა; ჭილაძის პროზა, მარქსის სიტყვებით რომ ვთქვათ, ხელოვნების სხვა დარგისადმი, თეატრისადმი რომ იყო მიმართული — მიპყრობილია მთელი კაცობრიობისადმი“ (განა არ შეგიტოკდათ გული ჭილაძის ახალი ნაწარმოების სახელწოდებისაგან—„რკინის თეატრი?“). სწორედ ამაში ვხედავ მიკინებზე და აგეიკინებზე რომანის ზემოქმედების საიდუმლოს. არც თუ იშვიათად ამიტომაც წვალობდნენ საუკეთესონი — მათი აღქმის მექანიზმები უძლურნი იყვნენ მხატვრულ სტიქიას გამკლავებოდნენ. „...იგრძნობა ჰაერის უკმარისობა, ასე გგონია, რომ მაძიებელი ავტორი ერთ წვალებაშია, რათა ცხოვრებისეულ სიმართლეს როგორღაც მაქსიმალურად მიუახლოვდეს“ (ე. სიდოროვი. „ლიტგაზეთი“ №27). „...არ გყოფნის თვალები, ყურები, განიცდი ნერვების უკმარისობას, რომ ყველაფერ ამას თავი მოუყარო და გადაამუშაო“, — იტყვის ლარისა კრავჩენკო.

ნუთუ შეუძლებელია ჭილაძის პროზასთან მიმართების მექანიზმის საშვალებით ვცადოთ ავტორის მხატვრული აზროვნების თავისებურებაში გარკვევა? აქედან კი ერთის ხელის გაწვდენაზეა რომანისათვის ნიშანდობლივ პრინციპულ სიახლეებთან თანაზიარობა. არა და ჩვენ რომ სწორედ ამ ახალი ტიპის რომანთან გვაქვს საქმე ამაში ეჭვი არა მგონია, რომ ვინმეს შეეპაროს, მხედველობაში მყავს ისინი, ვინც რომანის წაკითხვის ბედნიერება განიცადეს.

მე ვწერ სექტემბრის ბოლოს, ჩემს სკოლაში პირველი წელია, რაც პედაგოგად მუშაობს ლიტერატურის მასწავლებელი მარინა ტუპიჩეკოვა. ჩემი ყო-

ფილი მოსწავლე. წუხელ, მან იდუმალი ღიმილით მამცნო:

— საშინაო დავალებად ჭილაძე მივეცი.

— მერმე, როგორაა საქმე?

— ჟურნალებს სტაცებენ ერთმანეთს ხელიდან.

ესე იგი, ყველაფერი რიგზეა.

მიპასუხეთ შეკითხვაზე...

მიპასუხეთ ერთ ბანალურ შეკითხვაზე — რითი მთავრდება რომანი? იმით, რომ ჩვენს ცხვირწინ იხურება მაკაბელების სახლის ჭიშკარი. იხურება, რათა ჩვენ ვერასოდეს ვერ გავიგოთ, მაინც რა ბედი ეწიათ მათ? ესე იგი, არაფერი არ დამთავრებულა, ისევე როგორც არაფერი არ დაწყებულა. ჩვენ, უბრალოდ, დავკარგეთ ჩვენი მეგზური ავტორი, ურომლისოდაც დავიბნეოდით, ანდა ვერც გავბედავდით კაცობრიობის ტვინის ლაბირინთთა ხვეულებში გადავმძვრალიყავით. მან მიგვატოვა ჩვენ ისევე უეცრად, როგორც გამოგვეცხადა. და ჩნდება სასოწარკვეთილი ნაღველი ავტორთან განშორებისა, ავტორთან, რომელმაც ტექსტში დამოუკიდებელი, თავისთავადი არსებობის ილუზია შეგვიქმნა. თავს უფლებას მივცემ და ვიტყვი, რომ ცოტათი მაინც ვიცნობ ჩემს მეათეკლასელებს, ვიცი, როგორ ვერ იტანენ ისინი სწორხაზოვნებას, მშრალ მითითებებს, ვიცი მათი ავტონომიურობისადმი მიდრეკილების ამბავიც. მაგრამ არც ერთხელ არ ყოფილა ჯერ შემთხვევა, რომ თხზულებებში ასე სრულყოფილად გამოვლენილიყო ავტორთან თანხმიერების სურვილი. ერთი სიტყვით, მათ თავში არ მოსვლიათ აზრად, რომ ნაწარმოებზე სუვერენული შეხედულებანი ჰქონოდათ.

მე უკვე აღარაფერს ვამბობ ნატაშასეულ შედარებაზე, ჭილაძის მეგზურობის შესახებ (რაც ერთობ ბანალურად ჟღერს მისი მხრიდან). რამდენჯერაც გამახსენდება ის მოკრძალებული იმედი („დიდი სურვილი მაქვს რომ არ შევცდე" — სემიონ პოკრასსი); ის თამამი რწმენა შეხედულებათა ერთიანობისა („მე არ მეპარება ეჭვი. ისევე როგორც არ ეპარება ეჭვი თვითონ ჭილაძეს" — კოსტია ოსიტი); ის სასოწარკვეთილება და ტკივილი („მინდა ვთხოვო იულიას, რომ ასეთი გადამწყვეტი შეკითხვებით ნუ შეაწუხებს ოთარ ჭილაძეს" — მარინა ჩირკოვა); ის დამოკიდებულება ავტორისადმი, როგორც მთავარი არგუმენტისადმი („...არა და ხომ არ დაუდანაშაულებია ჭილაძეს მაიორი" — რუბენ მიქაელიანი); და ბოლოს კი ის ეჭვშეუვალი დასკვნა, რომ „ჭეშმარიტების კრიტერიუმი თვით ოთარ ჭილაძეა. იგი დგას თავისი გმირების მსოფლმხედველობისა და იდეების ზურგს უკან და გამოაქვს განაჩენი: ასამართლებს, ამართლებს, აგულიანებს გადაარჩენს ან ღუპავს" (ვერა დმიტრიევა). უნდა ბოლომდე გაიგო ავტორისადმი ნდობის ზნეობრივი მნიშვნელობა და ცხოველი მისწრაფება მასთან მიახლოვებისა. ყოველივე ამის არსი კი ალბათ იმაში მდგომარეობს, რომ რომანი მკითხველთან მიმართების თვალსაზრისით, თვისი სირთულის მიუხედავად, ერთობ დემოკრატიულია (ისევე, როგორი დემოკრატიულიცაა საერთოდ ყოველი ჭეშმარიტი კულტურა, განსაკუთრებით კი ქართული). ავტორისეული ინტონაცია მასში ზუსტად შეესატყვისება ახალგაზრდა კაცთან საუბრის თანამედროვე მანერას, ახალგაზრდასთან, რომელიც ეჭვნარევად უფრთხილდება თავის საკუთარ თავმოყვარეობას და ამავე დროს მთელი არსებითა და მოწადინებულობით ესწრაფვის უფროსებთან საუბარს, იქამდეც კი, რომ მზად არის ყურმოჭრილ მონად დაუდგეს მას, უფროსს, როგორც ჭეშმარიტების განსახიერების საბოლოო ინსტანციას.

ოთარ ჭილაძემ გაიღიმა, როცა ვუთხარი, რომ მის შემოქმედებასთან მოსწავლეების თანაზიარობამ ბევრ რამეს მოჰფინა ნათელი ჩემს პედაგოგიურ სარბიელზე. რა კარგი იქნებოდა ნორჩებთან ასეთი დამოკიდებულებისა და

მათ მსოფლმხედველობაზე ზემოქმედების საიდუმლოებათა შემეცნება და ათვისება...

ჩემი მოსწავლეების ოთარ ჭილაძისადმი დამოკიდებულების საზომი ერთგვარ პედაგოგიურ კამერტონად იქცა, რის მიხედვითაც ახლაც ვხელმძღვანელობ ხოლმე — ვაფასებ გაკვეთილზე შექმნილ ვითარებას — მიღწეულია თუ არა თანხმიერება ჩემსა და ბავშვებს შორის, თუ ჩემი საუბარი რჩება აღუქმელი — „ხმად მაღაღადებლისა უდაბნოსა შინა“.

დიახ, ავტორმა გვაგრძნობინა დამოუკიდებლობის განცდა და საკუთარი პიროვნული ძლევამოსილებაც ამასთანავე, როგორც ეს აღნიშნა ვერა დმიტრიევამ. ალბათ აქიდანაც მომდინარეობს კიდევაც ასეთი მრავალმხრივი და ვრცელი საუბრები ავტორსა და მის ცხოვრებაზე, რომანის მიღმა მდგარ მოვლენებზე. რომელიღაც დროიდან მე დიდად გამიტაცა ავტორის შემეცნებითობის არსში წვდომის იდეამ.

...ყველაფერი კი დაიწყო საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტის რეზო ჩხეიძის საოცარ ხელოვნებასთან გაცნობით. ჩემს №10-ე სკოლაში, სადაც უკვე, ეს რამდენიმე წელია, ქართულ ხელოვნებას სწავლობენ, შედგა მესამე „ბ“ კლასელების შეხვედრა ცნობილ კინოხელოვანთან, სწორედ ეს ბავშვები სამი წლის განმავლობაში ეცნობოდნენ ქართულ ფილმებს, ხატავდნენ ამ კინოსურათების მოტივების მიხედვით.

ფრიად დასანანია, რომ არც ერთი ჩვენთაგანი არ დაფიქრებულა იმაზე, როგორ და როდის ჩაისახა ბავშვთა წარმოსახვაში ამ ფილმების ავტორის, პიროვნული ადამიანური სახე. ჩვენ ვფიქრობდით მხოლოდ ხელოვნებაზე და ბავშვებზე. და აი, ჩხეიძე ჩამოვიდა მათ გაიცნეს იგი! მისცვივდნენ სტუმარს, მოუალერსეს, მხრებზე შეასხდნენ, ხელი მოუთათუნეს... რაოდენ დიდი იყო მათი სურვილი უფროს ადამიანთან ურთიერთობისა, მასთან სიახლოვისა უბრალო შეხებისა, რომელშიაც იგულისხმება კონტაქტის ემოციური ეფექტურობა... უფროსებს რომ შესწევდეთ უნარი ამ საიდუმლოებებში გარკვევისა... ჩხეიძეს კი შესწევდა. მის განცვიფრებას საზღვარი არა ჰქონდა. ყველამ, ვინც ამ მოგზაურობისას თან ახლდა რეჟისორს (მწერლები, რეჟისორები), აღნიშნა ეს ფსიქოლოგიური ფენომენი ფილმების ავტორის შეცნობისა. დიახ, ეს იყო რეზო ჩხეიძე. სწორედაც იმ ფილმების მთავარი მოქმედი გმირის. იგი იყო ის ვირუკა „მაგდანას ლურჯადან“ და ჯარისკაცის მამაც, ბაბუა ლუკა — „ნერგებიდან“ და ასევე სხვა ფილმების გმირებიც. და მათ იგი იცნეს. მახსოვს შემთხვევა, იგივე კლასელები უნდა შეხვედროდნენ საბავშვო კინოს ერთ მეტად პოპულარულ მსახიობს. გულისფანცქალით ელოდნენ ისინი ძვირფას სტუმარს, მაგრამ ნაცნობობა მეტად ჩვეულებრივი, გარეგნული აღმოჩნდა ორიენტაციული ცნობისმოყვარეობის რეაქცია მყისიერად ჩანავლდა... და მათ წინაშე აღმოჩნდა სულ მთლად უცნობი ადამიანი.

შემდეგში, ჩვენს მოსწავლეებთან ამ შეხვედრების შესახებ რომ უყვებოდა თავის მეგობრებს რეზო ჩხეიძე, იგი გაოცებული იყო: „უცნაურია, რაიმე დაბრკოლების ნატამალიც კი არ ყოფილა! სხვა რომ არა იყოს რა, მე ხომ ქართველი ვარ, რაღაცას მაინც ხომ უნდა შეეყოვნებინა ისინი, თუნდაც, მაგალითად, აქცენტს, ან სხვა რამეს“...

ჩხეიძე შემდეგ მიხვდება, რომ მათ იგი იცნეს, ეს იმიტომ, რომ მთელი სამი წლის მანძილზე აკვირდებოდნენ მას, როგორც ქართველს, თავისი კულტურის წარმომადგენელ ადამიანს. ამ პატარებმა გულით იწამეს, რომ არსებობს საქართველოს რესპუბლიკა, თავისი დამახასიათებელი ტემპერამენტით, სტუმართმოყვარე ხალხით, უნიკალური ჩვეულებებით, ჩვენებურისაგან განსხვავებული ხასიათითა და თვისებებით, ენით, თავისებური გეოგრაფიით. თუ კი, ჯერ კიდევ პირველ კლასში, გიორგი შენგე-

ლაიას ფილმის ნახვის შემდეგ ისინი ამბობდნენ—„ფიროსმანი რუსია, ჩვენიაო“, შემდგომში, მეორე კლასის მოსწავლეებს უკვე ხშირად აღეძვრებოდათ ხოლმე ეჭვები: როგორაა მათთან საქმე? რატომ იქცევიან ასე? რატომ მიმართავენ პოლიციელს „ბატონოთი“, რატომ ჩანს ყველა ფილმში ვენახი? „ნუთუ მხოლოდ იმიტომ, რომ მათ ძალიან უყვართ ყურძენი თუ კიდევ სხვა რამესაც გამოხატავს იგი?“ — კითხულობდა შვიდი წლის გოგონა ალიონა ველიუხანოვა.

აი, თუ გნებავთ, დიალექტიკა ეროვნულისა და ზოგადკაცობრიულისა! სხვათა კულტურის თანაზიარობისა. ეროვნულის სპეციფიკაში წვდომას ყველაზე უმოკლესი გზით მიჰყავს ადამიანი ზოგადთან. დიალოგი შესაძლებელია მხოლოდ ერთი პირობით — იმ ენის ცოდნის წყალობით, რა ენაზედაც შენი ინტერვიუერი ლაპარაკობს. ერთხელ, როცა ღრმად ჩავეძიე, თუ რატომ უყურებდნენ მეოთხეკლასელები ასეთი ინტერესით თენგიზ აბულაძის ფილმს „ნატვრის ხეს“, ისიც რევოლუციამდელი სოფლის ყოფისადმი მიძღვნილ კინოსურათს, თანაც მაინცდამაინც ქართულს, მაქსიმე კანდიბინმა ლამის წამოიყვირა: „ელვირა ნიკოლაევნა, ჩვენ ხომ ყველანი ერთი მოლეკულიდან გავჩნდით!“ — აი, რატომაც ვერ იგრძნო ჩხეიძემ რაიმე ფსიქოლოგიური, ეროვნული და სხვა დაბრკოლებანი ჩვენს ბავშვებთან ურთიერთობისას. „დედიკო, ნეტავი ერთი დაგანახვა, როგორი ლამაზი კაცია“ — ეუბნება რეზო ჩხეიძეზე ერთ-ერთი მოსწავლე გოგონა დედამისს, იმან კი, როცა თვალი მოჰკრა ჭაღარა მოძალებულ, არც თუ ახალგაზრდა დაღლილ-დაქანცულ მამაკაცს, მხრებიღა აიჩეჩა. ეს იყო ბავშვური წარმოსახვა სილამაზისა, რომელიც შინაგანი სამყაროს ჰარმონიულობასა და თანხმიერებას გამოხატავდა, იმ სრულყოფილებას ასახავდა, რაც არსებობს და რაც უნდა ყოფილიყო ცხოვრებისეულისა და ოცნებისეული სინამდვილის გაუმიჯნავად, ასე, მთლიანობაში...

„მე გელოდით თქვენ, როგორც ჩემი ცხოვრების პირველ დღეს“ — მისწერა თავის წერილში ჩხეიძეს [illegible] ბატონოვამ. რევაზის სტუმრობიდან ნახევარი წლის შემდეგ მან სევდიანად თქვა: „იგი მესიზმრება ხოლმე“. — „მე მინდა საქართველოს ნახვა“, — ეს სიტყვები კი ათი წლის სუბოტინას ეკუთვნის, ვისთვისაც საქართველო მარტოოდენ შავიზღვისპირეთის ერთფეროვანი კურორტები როდია, ეს ქვეყანა მისთვის არის რუსთაველისა და ფიროსმანის, ძმები შენგელაიებისა და რევაზ ჩხეიძის სამშობლო მხარე.

ჩვენი მოსწავლეების მშობლები დღესაც კი აგრძელებენ მიმოწერას რეზო ჩხეიძესთან — მათ შვილებს ძილში ესიზმრებათ საქართველო. ასე რომ ეს სიზმრები სხვათა ქვეყანაზე, სხვა ხალხზე მეტაფორა კი არ არის — სინამდვილეა. და ეს დახვეწილი პოეტური სულის ადამიანთა პრივილეგია როდია, იგი ფსიქოლოგიური ნორმაა ნებისმიერი ადამიანისათვის, ვინც კი მოახერხა სხვა ხალხების კულტურის საგანძურის წმინდა-წმინდა ზღურბლზე გადაბიჯება. მართლაც და ყველას რომ ძალუძდეს ერთი ეროვნების ადამიანის სხვა ხალხის კულტურასთან ამგვარი ჰეშმარიტი თანაზრობისას არსში წვდომა...

ერთი რამისა კი ღრმად შეჯერა: ჩემი მოსწავლეები ასევე იცნობენ ჭილაძესაც. წლევანდელი სასწავლო წლის დასაწყისში მოსკოვის მთავარ ტელეგრაფში მე მივიღე მთელი რვეული — ეს იყო ნატაშა დვორიკინას ახალი თხზულება. იგი იმჟამად უკვე ჩემი მოსწავლე როდი იყო, ნატაშა ნოვოსიბირსკის უნივერსიტეტის სტუდენტი გახლდათ. ეს თხზულება მან დაწერა მისაღები გამოცდების ჩაბარების შემდეგ და იგი კვლავ ეძღვნება ჭილაძის რომანს. მერამდენეა იგი? თხზულებას მინაწერი აქვს დართული: „შეიძლება, რომ ოთარ ჭილაძე მოვიპატიჟოთ ჩვენთან, ნოვოსიბირსკში? რომ ვიცოდე ჩემი მცდელობა გაჭრის?...

ბედნიერი მგზავრობა თბილისში, მერე კი ნოვოსიბირსკში. ნატაშეჩკა. ასე

მოფერებით მე მივმართავდი მას. მე ნოვოსიბირსკში გავემგზავრე, რითაც არანაკლებ განვაცვიფრე ჩემი ბავშვები („ჩვენი ელევირა ნიკოლაევნა ტურგენევივით მოიქცა, პეტერბურგიდან სპასკოე-ლუტოვინოვოში პარიზის გამოვლით რომ ჩავიდა. ელვირაც ასევე — მოსკოვიდან ნოვოსიბირსკში თბილისის გამოვლით ჩამოვიდა!"). რა ბედნიერებაა იმისი შეგრძნება, რომ ამ რომანის ავტორი არა მარტო ჩვენი უბრალო თანამემამულეა, იგი წარმომადგენელია ერისა, ერთიან საზოგადოებას — საბჭოთა ხალხს რომ შეადგენს. იგი წარმომადგენელია გულგახსნილი და საკუთარივით ახლობელი კულტურისა... და არ ჰყოფს ერთმანეთისაგან ჩვენს რესპუბლიკებს ზოლებიანი შლაგბაუმები, არ გვჭირდება სამიმოსვლო ვიზები, უბრალოდ, შეგიძლია წიგნის თაროდან ჩამოიღო რომანი, ჩაიტვირთო შიგ, შენთვის ასე ახლობელ და ნაცნობ სამყაროში, და როცა უცებ გული შეგიტოკდება ტკივილებისა თუ ნაღველისაგან, შორეულის მონატრებისაგან, ძალგიძს საავიაციო ბილეთების სალაროს მიადგე და სულ რაღაც ხუთიოდე საათში ძველი თბილისის მიხვეულ-მოხვეულ ქუჩებში ამოჰყო თავი, სადაც ამ ოცდაათი წლის წინ მოჯადოებულმა პირველად დადგი ფეხი. შეგიძლია შეიხედო გორგასლის ქუჩაზე მდებარე პურსაცხობში, ანდა მიაშურო მეორეს — სასტუმრო „საქართველოს" ეზოში რომ მდებარეობს, და თვალების აჭრელებამდე უყურო, როგორ საქმიანობენ განთქმული ქართული პურის — „თონის პურის" ცხობის ხელმარჯვე ოსტატები, ქართული პურისა, რომელსაც ყოველთვის ელოდებიან ჩემი ნოვოსიბირსკელები („არ დაგავიწყდეს ჩვენი ქართული პურის წამოღება„). შეიძლება მტკვრის სანაპიროს მიაშურო, ხიდი გადაიარო, პლეხანოვის პროსპექტზე გახვიდე, შეუხვიო ხელმარცხნივ და კინოსტუდია „ქართული ფილმის" ძველებური სახლის პირდაპირ დაძებნო კიბიანი სახლი, რომელსაც მეორე სართულზე კი არა სადღაც მეცხრე ცაში, უსასრულობაში ავყავართ. შენ ეს ისევე კარგად იცი, როგორც საკუთარი ბავშვები. სახლი, რომელშიც ცხოვრობს მწერალი ოთარ ჭილაძე. მეგზური შენი მოსწავლეებისა საქართველოს ისტორიის ლაბირინთებში, კაცობრიობის ისტორიის რეალიებში.

შეგიძლია, უბრალოდ, დარეკო და თუ კი ოთარი არ დაგხვდა სახლში, უთხრა: „თუ შეიძლება, გადაეცით, რომ ნოვოსიბირსკიდან რეკავდნენ" — და მაშინ (შენ ამაში დარწმუნებული ხარ) ელსმენის მავთულის მეორე ბოლოში უსათუოდ შეკრთება ქალის ხმა, ეს იმიტომ, რომ რადგანაც ნოვოსიბირსკიდან რეკავენ, მაშასადამე, ვიღაცას აუცილებლად სჭირდება.

— დიახ, დიახ, აუცილებლად გადავცემ, ოღონდ თქვენ სად გნახოთ? თქვენ კვლავ დაიკარგებით...

ჩვენ გვჯერა, რომ ოთარ ჭილაძეც ასევე ფიქრობს.

როცა გასული საუკუნის 60-იან წლებში რკინიგზამ ურუქის მყუდროება შეაშფოთა და სიტყვა „ციმბირი" თავზარს სცემდა არა მარტო მაკაბელების სახლის მობინადრეებს, ალბათ ყოველად წარმოუდგენელი იყო წამიერი წარმოსახვაც კი ქართული კულტურის ასეთი ზემოქმედებისა ციმბირელ ბავშვებზე, მათ შემეცნებაზე, რომლებიც საშუალო სკოლის დამთავრებისას აუცილებლად იტყვიან: „დიდი მადლობა, საქართველოსთვის!"

ამ „მადლობაში" ყველაფერია, მშვენიერი, სიცოცხლით აღსავსე ხალხის კულტურასთან თანაზიარობით გამოწვეული აღმაფრენაც და სიამაყეც იმისი შეგრძნებისა, რომ იმ ერთიან, განუყოფელ სამშობლოს ეკუთვნი, რომელსაც საბჭოთა კავშირი ჰქვია.

ამაშია აგრეთვე გამოხატული განცდა საერთო ბედ-იღბლისა, საერთო სიხარულ-სადარდებლისა.

თარგმნა მირონ ხერბიანმა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დავით კაციტაძე

ვახუშტი ბაგრატიონის ნაკვალევზე

მოსკოვის ქართული კოლონიის ერთ-ერთი თვალსაჩინო ფიგურაა გამოჩენილი ქართველი ისტორიკოსი, გეოგრაფი და პოლიტიკური მოღვაწე ვახუშტი ვახტანგის ძე ბაგრატიონი, რომელიც რუსეთშიც აგრძელებდა საქართველოში დაწყებულ მეტად დიდსა და ნაყოფიერ სამეცნიერო საქმიანობას. მას კავშირი ჰქონდა რუსულ სამეცნიერო წრეებსა და ცალკეულ მეცნიერებთანაც. იგი პირადად იცნობდა პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის დირექტორ ასტრონომ ჟოზეფ დე-ლილს, რომელიც აღტაცებაში მოიყვანა ქართველი მეცნიერის კარტოგრაფიულმა ნაშრომებმა, რუსეთის არმიის შტაბის თანამშრომლებს, ცნობილ რუს ისტორიკოს ვ. ნ. ტატიშჩევს, სავარაუდებელია მისი ნაცნობობა მ. ვ. ლომონოსოვთანაც.

ვახუშტი ბაგრატიონის მოღვაწეობის ამ მხარეს ყურადღება მიაქციეს მკვლევარებმა (ალ. ჯავახიშვილმა, ვ. გაბაშვილმა, ლ. მარუაშვილმა, გრ. ზარდალიშვილმა, გიორგი ლეონიძემ, ი. გ. საუშკინმა...), რომელნიც ქართველ მეცნიერს მოსკოვის უნივერსიტეტის ერთ-ერთ დამაარსებლადაც მიიჩნევენ (ცნობილი საბჭოთა გეოგრაფი ი. გ. საუშკინი წერს: „ვახუშტი იყო, ლომონოსოვთან ერთად, ერთ-ერთი დამაარსებელი მოსკოვის უნივერსიტეტისა 1755 წ.“). ამასთანავე, ზემოხსენებულ ცნობილ მკვლევართა ნაშრომებში ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ ვახუშტი ბაგრატიონის ღვაწლი მოსკოვის უნივერსიტეტის დაარსების საქმეში აღნიშნული იყო მარმარილოს დაფაზე ამოტვიფრულ წარწერაში. ვახუშტი მოხსენიებული ყოფილა მოსკოვის უნივერსიტეტის ოთხ დამფუძნებელს შორის. ეს დაფა მდგარა უნივერსიტეტის საქტო დარბაზში. მეორე ასეთივე დაფა ყოფილა მიკრული 1917 წლამდე „ძველი უნივერსიტეტის“ ანატომიურ მუზეუმში (ნიკიტსკის კუთხე).

სწორედ ამ მემორიალურ დაფაზე ვამახვილებ ამჟამად მკითხველის ყურადღებას, რადგან ამ ბოლო წლებში ზოგიერთმა ქართველმა ისტორიკოსმა ეჭვქვეშ დააყენა მისი არსებობა და მოსკოვის უნივერსიტეტის დაარსებაში ვახუშტის მონაწილეობის ფაქტის სიზუსტეც.

ამ მემორიალური დაფის შესახებ. ჩვენთვის ხელმისაწვდომი მასალების მიხედვით, ქრონოლოგიურად პირველი ცნობა ეკუთვნის ცნობილ ქართველ გეოგრაფს აკად. ალექსანდრე ჯავახიშვილს. იგი წერს: „პირველ კურსზე (XIX ს-ის 90-იანი წლები, დ. კ.) ღვთისმეტყველებაში ლექციები გვეკითხებოდა უნივერსიტეტის ძველი მთავარი შენობის საქტო დარბაზში (მოხოვაიას ქუჩაზე, მანეჟის პირდაპირ). ოქროს ვენზელზე აღნიშნული იყო მოსკოვის უნივერსიტეტის დამაარსებელთა ვინაობა: Учредители Императорского Московского Университета Ее Величество Императрица Елизавета Петровна, Граф Шувалов, Михайло Ломоносов, Царевич Вахушти (მისი უდიდებულესობა იმპერატრიცა ელისაბედ პეტრეს ასული, გრაფი შუვალოვი, მიხეილ ლომონოსოვი, მეფისწული ვახუშტი).

ზემოხსენებული მემორიალური დაფა 1906 წ. უნახავს აწ განსვენებულ ვლადიმერ (ლადო) ჯაფარიძეს, რომელიც, მის ტუუპისცალ ძმასთან, გრიგოლთან ერთად, იმ დროს მოსკოვის უნივერსიტეტში სწავლობდა.

ლადო ჯაფარიძემ ვახუშტის მემორიალურ დაფასთან დაკავშირებული მოგონება 30-იანი წლების ბოლოს გადასცა ლიტერატურულ მუზეუმს, ხოლო 1979 წლის 18 მაისის გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ დაბეჭდა წერილი ასეთი სათაურით „უეჭველი ფაქტის გამო“, სადაც მოგვითხრობს ზემოხსენებული დაფის ოაობაზე. მკითხველს ვთავაზობთ ნაწყვეტს ამ მოგონებიდან: „ახლა კი იმასაც მოგახსენებთ, რა ვითარებაში ვნახე მემორიალური დაფა, თუმცა ამ საკითხზე პირველად

როდი ვწერ. ეს მოხსენებული მაქვს რამდენიმე წლის წინათ გამოქვეყნებულ ერთ-ერთ მოგონებაშიც.

1906 წლის სექტემბერი იყო. მე და ჩემი ძმა გრიგოლი ახალი ჩასულები ვიყავით მოსკოვის უნივერსიტეტში და ერთ პირად საქმეზე მისვლა დაგვჭირდა რექტორთან. რექტორი სტუდენტებს საქტო დარბაზში ღებულობდა (უნივერსიტეტის ძველ შენობაში მოხოვაიას ქუჩაზე).

დარბაზში რომ შევედით, რექტორი ჩვენზე ადრე მისულ სტუდენტებს ესაუბრებოდა, მე და ჩემი ძმა ვრცელი დარბაზის მდიდრული-მოწყობილობის თვალიერებით გავერთეთ. ერთ კედელთან, საპატიო ადგილზე თვალში მეცა მყარ პოსტამენტზე დადგმული დაფა, ზომით დაახლოებით ერთი კვადრატული მეტრი (შეიძლება ოდნავ მეტიც). ლამაზად გაფორმებული. დაფაზე ტექსტი იყო. სათაური ალარ მახსოვს, მაგრამ. რალა თქმა უნდა, უნივერსიტეტს ეხებოდა: დამაარსებელთა სია იყო.

დაფაზე საკმაოდ მოზრდილი ასოები ღრმად იყო ამოჭრილი და მარმარილოზე ოქროსფერი ვარაყი სასიამოვნოდ ბრჭყვიალებდა. უეცრად თვალი მომტაცა ერთმა პწკარმა Грузинский царевич Вахушти Вахтангеевич.

ამან უცბად იმდენად ამაღელვა, რომ მთლად დავიბენი და სხვა ნაჩქარევად გადათვალიერებული სახელები ველარ დავიმახსოვრე ისე მკვეთრად და ჩემს მხედველობითს მეხსიერებას ამიტომ შემორჩა ბუნდოვნად — იმპერატრიცა... შუვალოვ... შუვალოვი ბოლოში ეწერა ვახუშტის შემდეგ. ის უცნობ და უმნიშვნელო გვარად მომეჩვენა და კიდეც გამიკვირდა — ვინ უნდა იყოს ეს გრაფი შუვალოვი, რომ ამხელა ადამიანებთანაა დასახელებული-მეთქი.

ქართველი მოღვაწის სახელის და ისიც ვახუშტი ბაგრატიონის სახელის ამ მოულოდნელმა აღმოჩენამ მოსკოვის უნივერსიტეტის კედლებს შორის, ვიმეორებ, იმდენად ამაღელვა, რომ მეხსიერებაში მხოლოდ მისი სახელი ჩამრჩა გამოკვეთილად. მახსოვს დღესაც — 72 წლის შემდეგ და არც არასოდეს დამავიწყდება: თვალწინ მიდგას ცხადად — Грузинский царевич Вахушти Вахтангеевич!..

ხედავ, ლადო? — წამოიძახა უცბად გრიგოლმა, — ვახუშტი ვახტანგეევიჩ, ვახუშტი ბატონიშვილი! მაგრამ რატომ „ვახტანგეევიჩ?" ხომ აჯობებდა „ვახტანგოვიჩ?"

„ვახტანგეევიჩ" მეც ძალიან მეუცხოვა. ამნაირად ნაწარმოებ ფორმას ისეთი პოპულარული სახელიდან, როგორიცაა „ვახტანგ" პირველად ვხვდებოდი და მეც მეხამუშა.

ეს შემთხვევა ჩვენ იმავე დღეს ბევრ ქართველ სტუდენტს ვუამბეთ. მაგრამ უმრავლესობისათვის ეს ცნობილი და „ძველი ამბავი" აღმოჩნდა".

1912 წელს გაზეთ „თემის" №98-ში დაიბეჭდა მოსკოველი კორესპონდენტის „ოლის წერილი „მივხედოთ ვახუშტის ...ძვირფას საფლავს". ავტორი მოუწოდებს ქართველ საზოგადოებრიობას მიხედონ ვახუშტის საფლავს დონის მონასტერში და მოითხოვს თითბირის დაფა დაადონ სათანადო წარწერით. ამასთანავე, იგი წერს: „დღესაც უნივერსიტეტის საქტო დარბაზში რამდენიმე მარმარილოს დაფებში, რომელზედაც აღწერილია უნივერსიტეტის საკეთილდღეოდ მომუშავეთა სახელები, ვახუშტის დაფას უკანასკნელი ადგილი არ უჭირავს" (ლიტ. საქართველო, 1979 წ №89).

1912 წელსვე გაზეთ „სახალხო გაზეთის" მოსკოველი კორესპონდენტი ი. ტ. (იოსებ ტატიშვილი, დ. კ.) წერდა: „ვახუშტი მოსკოვის უნივერსიტეტის ერთი დამაარსებელთაგანია და მისი ბიუსტი უნივერსიტეტის საქტო დარბაზში დგას" („სახალხო გაზეთი", 1912 წ. №600).

როგორც ჩანს, ზემოთქმული ეროგონებების საფუძველზე, ცნობამ უნივერსიტეტში ვახუშტის მემორიალური დაფის არსებობის შესახებ გადაინაცვლა ვ. გაბაშვილის, გ. ლეონიძის, ლ. მარუაშვილის. გრ. ზარდალიშვილის და სხვ. სამეცნიერო ნაშრომებში. კიდევ მეტი, აკად. ს. ლურმიშიძის მოგონების მიხედვით, ცნობილ რუს მეცნიერს აკად. ა. ოპარინს განცხადებით მიუმართავს მოსკოვის უნივერსიტეტის რექტორისათვის, რათა „მოსკოვის უნივერსიტეტის ძველი შენობის კედელზე კვლავ აღედგინათ მემორიალური დაფა, რომელზეც სხვა მოღვაწეთა შორის ვახუშტი ბატონიშვილიც იყო მოხსენებული".

ასე იყო ამ უკანასკნელ ხანამდე! ამის თაობაზე არავინ არ დაობდა! მართლაცდა, რამდენიმე კაცის მოწოდებული თითქმის ერთნაირი ცნობის სანდოობაში დაეჭვება გამორიცხული უნდა ყოფილიყო (თანაც ეს ცნობები სხვადასხვა დროისაა!).

მაგრამ, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ქართველ მეცნიერთა შორის ყველამ არ გაიზიარა მოსაზრება მოსკოვის უნივერსიტეტში ვახუშტი ბაგრატიონის მემორიალური დაფის არსებობის, და, მაშასადამე, უნივერსიტეტის დაარსებაში მისი მონაწილეობის შესახებ.

1977 წლის ჟურნალ „ცისკრის" № — 7-ში პროფ. ვ. მაჭარაძემ დაბეჭდა სტატია „მოსკოვის უნივერსიტეტის დაარსებაში ქართველთა მონაწილეობის საკითხისათვის". ამ წერილში პატივცემული ავტორი უარყოფს მოსკოვის უნივერსიტეტის დაარსებაში ვახუშტი ბაგრატიონის მონაწილეობას და აქედან გამომდინარე მემორიალური დაფის არსებობასაც.

ძირითადი არგუმენტი ვახუშტის მემორიალური დაფის არარსებობის შესახებ ისაა, რომ „მოსკოვის უნივერსიტეტის დამაარსებელთა და „საკეთილდღეოდ მომუშავეთა" პატივისცემად გაკეთებულ მემორიალურ დაფაზე, რომე-

ლიც 1855 წლამდე გააკეთეს და უნივერსიტეტის 100 წლისთავზე არსებობდა) ვახუშტი ბაგრატიონის სახელი არსად არ იხსენიება".

შემდეგ პროფ. ვ. მაჭარაძეს მოაქვს ორ მემორიალურ დაფაზე მოხსენიებულ პირთა სია, სადაც ვახუშტი ბაგრატიონის სახელი მართლაც არაა. მაგრამ, პროფ. ს. შევირიოვის წიგნში მოტანილ მემორიალური დაფების აღწერაში არც მ. ვ. ლომონოსოვია მოხსენებული?! აქედან გამომდინარე, ვფიქრობთ ალ. ჯავახიშვილი, ვლ. ჯაფარიძე და 10-იანი წლების მოსკოველი კორესპონდენტი სხვა მემორიალურ დაფას იხსენიებენ, რომელზეც ამოტვიფრული იყო იმპერატრიცა ელიზავეტა პეტროვნას, გრაფ შუვალოვის, ვახუშტი ვახტანგის ძის და მ. ვ. ლომონოსოვის სახელები. ეს დაფა, როგორც ჩანს, 1855 წლის შემდეგ იყო გაკეთებული (ამიტომაც ვერ მოხვდა მისი აღწერილობა პროფ. ს. შევირიოვის ნაშრომში!), თუმცა აქვე, ისიც უნდა ითქვას, რომ პროფ. ვ. მაჭარაძე ამასაც უარყოფს („რა თქმა უნდა, ასეთი რამ მოსალოდნელი არაა", წერს იგი).

პროფ. ს. შევირიოვის წიგნში მოხსენებულ ერთ-ერთ დაფაზე ფიგურირებს გენერალ-ანშეფი გიორგი ვახტანგის ძე, ვახუშტის ძმა, რომელსაც, როგორც ეს პროფ. ს. შევირიოვის წიგნიდან ჩანს, უნივერსიტეტისათვის საკმაოდ სოლიდური თანხა (10000 მან.) შეუწირავს. პროფ. ვ. მაჭარაძის აზრით მოსკოვში მოსწავლე ქართველ სტუდენტებს გიორგი ბატონიშვილი აერიათ ვახუშტი, რადგან „გიორგი ბატონიშვილი, როგორც პროფ. ა. ფირცხალაიშვილის ნარკვევიდან ჩანს, რუსეთში საკმაოდ ცნობილი და დაფასებული სამხედრო მოღვაწე ყოფილა. მის დაკრძალვას იმდროინდელი რუსული პრესა საკმაოდ თბილად გამოხმაურებია. მაგრამ მას ჩვენში ნაკლებად იცნობდნენ, რადგან ქართული საქმეებისა და ქართული კულტურის სარბიელზე არ ჩანდა. ამიტომ გასაკვირი არაა, თუ XX საუკუნის დასაწყისის ქართველმა კორესპონდენტმა და მოსკოვის უნივერსიტეტის ქართველმა სტუდენტებმა დაფაზე მოხსენებული გიორგი პოპულარული ქართველი მეცნიერის ვახუშტის სახელის „რუსულ ვარიანტად" მიიჩნიეს (ქართული სახელების რუსულზე გადაკეთების არა ერთი მაგალითია ცნობილი)".

არა გვგონია, რომ ეს ასე იყოს!

ალ. ჯავახიშვილი სპეციალურად ეძებდა ვახუშტის საფლავს, თითქოს იპოვა კიდეც და ამის თაობაზე აცნობა საქართველოში ექვთიმე თაყაიშვილს. ჩვენთვის პირადად ძნელი დასაჯერებელია, რომ მას ვახუშტი ბაგრატიონი და მისი ძმა გიორგი ბაგრატიონი ერთმანეთში არეოდა. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, გიორგი ვახტანგის ძე მემორიალურ დაფაზე გენერალ-ანშეფობითაა მოხსენებული. ვფიქრობთ, ალ. ჯავახიშვილს კარგად ეცოდინებოდა, რომ ვახუშტის ასეთი ხარისხი არ ჰქონდა.

ასევე ეძებენ, შემდეგ აღწერენ ვახუშტის საფლავს და მოითხოვენ მის მოვლას ქართული გაზეთების მოსკოველი კორესპონდენტები (იხ. ზევით!)

ძალზე გვიკვირს იმის დაჯერება, რომ ვახუშტი და გენერალ-ანშეფი გიორგი ბაგრატიონი ერთმანეთში არეოდათ იმ პირებს, რომელნიც სპეციალურად ეძებდნენ ვახუშტის საფლავს და იცნობდნენ მის მოღვაწეობას!

ასე ყველას როგორ შეეშალა და ყველას როგორ აერია?!

ჩვენი ღრმა რწმენით მემორიალური დაფა, რომელზედაც ამოტვიფრული იყო ვახუშტის სახელი, მართლაც არსებობდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვახტანგ გოილაძე

ვიკინგები საქართველოში

VIII ს-ის დასასრულიდან სკანდინავიის ქვეყნებიდან გამოსული კარგად შეიარაღებული უშიშარი მეომრები, განთქმული ბელადების ხელმძღვანელობით, თითქმის სამი საუკუნის განმავლობაში, შიშის ზარს სცემდნენ დასავლეთ ევროპის მოსახლეობას. სკანდინავიურ ისტორიოგრაფიაში ეს ხანა „ვიკინგთა ეპოქის" სახელითაა ცნობილი.

ევროპის ქვეყნების მოსახლეობა ჩრდილოელთა თავდასხმებში თავიანთი ცოდვების გამო ღვთის რისხვის გამოვლენას ხედავდა. „კაროლინგური აღორძინების" ერთ-ერთმა თვალსაჩინო წარმომადგენელმა ალკუინმა (დაახლ. 735-804) სკანდინავიელ წარმართთა თავდასხმებში ბიბლიური წინასწარმეტყველის იერემიას სიტყვების — ჩრდილოეთიდან მოევლინებიან „ბოროტნი ყოველთა ზედა დამკვდრებულთა ქუეყანისათა" — აღსრულება დაინახა.

იმ ქვეყნების მცხოვრებთა თვალში, რომლებიც სკანდინავიელთა თავდასხმებს განიცდიდნენ, თითქოს მართლდებოდა იერემიას წინასწარმეტყველება. VIII-IX სს-ში სკანდინავიელები დასახლდნენ ორკნეის, ფარერის, ჰებრიდის, შეტლანდისა და ისლანდიის კუნძულებზე. მათი რაზმები და ახალმოშენენი გამოჩნდნენ რუსეთში. 911 წ. ჩრდ. საფრანგეთში შექმნეს ნორმანდიის საჰერცოგო, აქედან კი 1066 წ. მათ ინგლისი დაიმორჩილეს. სკანდინავიელები დამკვიდრდნენ ირლანდიის სანაპირო რაიონებში, ჩრდ. და ჩრდ-აღმოსავლეთ ინგლისში. დაიწყეს თავდასხმები ესპანეთზე, 1071 წ. დაიპყრეს კუნძული სიცილია, დაახლოებით 1130 წ. სამხრეთი იტალია, სადაც მათ თავიანთი სამეფო შექმნეს.

XI ს-იდან სამეფო ხელისუფლების გამყარებამ საშუალება მისცა დასავლეთ ევროპის ქვეყნებს სკანდინავიელთა თავდასხმები მოეგერიებინათ. მეორე მხრივ კი, მიუხედავად იმისა, რომ თვით სკანდინავიის ქვეყნებში ფეოდალიზმის წანამძღვრებმა იწყო ჩამოყალიბება, მოსახლეობის ძირითად მასას ისევ თავისუფალი მეთემენი შეადგენდნენ, რომელნიც ყოველთვის მზად იყვნენ ახლო თუ შორეულ ქვეყნებში სალაშქროდ. სწორედ თავისუფალი მეთემეებიდან დგებოდა (XI ს-ის დამდეგიდან) სკანდინავიიდან გამოსული დაქირავებული რაზმების ძირითადი ბირთვი.

სკანდინავიელ მებრძოლებს ფრანგები „ნორმანებად" (სკანდ. „ჩრდილოელი ხალხი") იცნობდნენ. ინგლისში მათ (სკანდინავიის რომელ ქვეყნიდანაც არ უნდა ყოფილიყვნენ მისულნი) დანელებს, ირლანდიაში — „ფინგალს" („ჭერა უცხოელი" — ნორვეგიელი) და „დუბგალს" („შავგვრემანი უცხოელი" — დანელი), გერმანიაში — ასკემანებს, რუსეთში — ვარიაგებს, ბიზანტიაში — ვარანგებს, თვით სკანდინავიელები თავიანთ თავს ვიკინგებს უწოდებდნენ.

სკანდინავიელთა წარმოდგენით ვიკინგი იყო შორეულ ქვეყნებში „ვიკინგური ლაშქრობის" მონაწილე ოქროსა და დიდების მაძიებელი, ვაჭარი, უცნობი მიწების აღმომჩენი ზღვაოსანი, პირატი. მეომარი, რომლის ხმლით დახოცილი მტრის გვამებით „არწივებს უნდა ესაზრდოვა". ვიკინგი იყო მოახალშენეც, რომელიც ხელსაყრელ პირობებში მშვიდობიან შრომაზე გადადიოდა.

„ვიკინგთა ეპოქის" გმირული შემართების თითქმის სამი საუკუნის განმავლობაში ვიკინგთა ერთ-ერთი დიდი რაზმი საქართველოშიც მოხვდა. XI ს-ის ქართველი ანონიმი ავტორი თავის თხზულებაში — „მატიანე ქართლისა" — ვიკინგებს ბიზანტიური სახელით „ვარანგებად" იხსენიებს.

ვიკინგები დაქირავებული რაზმის სახით შემოვიდნენ საქართველოში და სახირეთის ჭა-

ლის თავს (ახლანდ. კასპის რაიონი) საქართველოს მეფე ბაგრატ IV (1027-72) და კლდეკარის ერისთავს — ლიპარიტ IV ბაღვაშს შორის მომხდარ ბრძოლაში მიიღეს მონაწილეობა.

საქართველოში ვიკინგების მოსვლისა და ბრძოლის შესახებ ქართველი ავტორის ცნობამ ადრევე მიიქცია მკვლევართა ყურადღება. ვახუშტი ბაგრატიონიდან მოკიდებული დღემდე საკამათოა — ლიპარიტის მხარეზე იბრძოდნენ ვიკინგები თუ ბაგრატ IV-ისა. მკვლევართა შორის აზრთა სხვადასხვაობაა, ქართლში მებრძოლი ვიკინგები დამარცხდნენ თუ გაიმარჯვეს. საკამათოა საიდან მოვიდნენ ვიკინგები საქართველოში და სად წავიდნენ ბრძოლის შემდეგ. მაგრამ, დღემდე არ დასმულა საკითხი, ვინ უნდა ყოფილიყვნენ ეს ვიკინგები.

მოკამათე მხარეთა შეხედულებების გადმოცემამდე, მკითხველს გავაცნობთ მემატიანის ცნობას: „და მოვიდეს ვარანგნი სამი ათასი კაცი, — წერს მემატიანე, — და დაიყენა ბაშს1; გარდამოიტანა თანა შვიდასი კაცი. და მოვიდა ბაგრატ შიდათ ლაშქრითა; და ამათ ვარანგთა მესხნი ვერღარა მოილოდინნეს, მივიდეს, და შეიბნეს თავსა სასირეთის ჭალისასა; გაიქცა შიდა ლაშქარი. და ომსა ამასვე შეიპყრეს აბუსერი და სხუანიცა დიდებულნი მის თანა, ვერღარა უძლეს ბრძოლად ვარანგთა; მისცნა ლიპარიტ პაშტნი და წინა მათსა პურსა უკაზმიდეს; და ეგრეთ ლიხნი გარდავლეს“ (ქართ. ცხოვრება, I, გვ. 301).

ზემომოყვანილ ცნობას, როგორც აღვნიშნეთ, პირველად ვახუშტი ბაგრატიონი შეეხო. მან ვარანგები ბაგრატ IV-ის მხარეზე მებრძოლებად მიიჩნია. ვახუშტის კვალდაკვალ, ვარანგებს ბაგრატის მხარეზე მებრძოლებად თვლიდნენ: მ. ბროსე, მ. ჯანაშვილი, დ. ბაქრაძე, აკად. ვ. ვასილევსკი. ვარანგთა საკითხს ვრცლად შეეხო პროფ. ი. ცინცაძე. მანაც „მემატიანის“ ცნობის ვახუშტისეული ინტერპრეტაცია გაიზიარა და დაასკვნა: ვარანგები იმთავითვე ბაგრატის მხარეზე იყვნენ, როცა ბაგრატის ძირითადი ლაშქარი გაიქცა ბრძოლის დაწყებისთანავე, ვარანგები არ გაქცეულან, მაგრამ ბრძოლისთვის თავი დაუნებებიათ.

აკად. ნ. ბერძენიშვილმა ი. ცინცაძის ნაშრომის რეცენზიაში, სასირეთის ბრძოლაში ვიკინგების ლიპარიტის მხარეზე მონაწილეობა შემდეგნაირად დაასაბუთა: „ვარანგები რომ ლიპარიტის მხარეზე იბრძოდნენ, წერს იგი, — ამის საფუძველია, არა სხვა ისტორიული მონაცემები იმდენად, არამედ სწორედ ეს ტექსტი. „ვერღარა უძლეს ბრძოლად ვარანგთა“ იმას კი არ ნიშნავს, თითქოს ვარანგებმა ვერ შეძლეს ბრძოლა (როგორც ამას ი. ცინცაძე ფიქრობს), არამედ იმას, რომ „იმათ“ ვერ გაუძლეს ვარანგებთან ბრძოლას. ავტორს რომ იმისი თქმა სურვებოდა, რასაც ი. ცინცაძე გულისხმობს, ის იტყოდა „ვარანგთა ვერღარა უძლეს ბრძოლა“.

ვიკინგები რომ დას. საქართველოზე გავლით მოვიდნენ და შემდეგ იმავე გზით წავიდნენ, ნ. ბერძენიშვილი ამას იმით ხსნის, რომ მემატიანის ცნობით, ლიპარიტმა „განხეთქნა ამის სამეფოსა კაცნი“ და, აქედან გამომდინარე, ლიპარიტს მომხრეები დას. საქართველოშიც უნდა ჰყოლოდა. რაც შეეხება საკითხს, სასირეთის ბრძოლაში რატომ მონაწილეობდა მხოლოდ 700 ვიკინგი და რატომ ჩანან ისინი ბრძოლის დაწყების ინიციატორებად, ნ. ბერძენიშვილის თანახმად, ვარანგთა დაქირავება იყო საჭირო და მათ დაქირავებასთან კავშირი უნდა ჰქონდეს მემატიანის ცნობას — „ბერძენთა მეფისა განძი შემწე იყო“ ლიპარიტისა. ლიპარიტის მიერ მოყვანილი ვარანგები იძულებულნი იყვნენ შებმოდნენ ბაგრატის შიდა-ლაშქარს, რომელიც ბაშიდან მოსულ ვარანგებს თავს წამოადგა. ვარანგები, — განაგრძობს ნ. ბერძენიშვილი, — ბიზანტიაში არ დაბრუნებულან, თუნდაც რომ იქიდან მოსულნი ყოფილიყვნენ, ბერძნული წყაროები ასეთ მოსაზრებას უპერენ მხარსო. რაც შეეხება „შიდა-ლაშქარს“, ნ. ბერძენიშვილის თანახმად, იგი „სრულიადაც არ ნიშნავს მაინც და მაინც „შიდა ქართველს“, იგი შეიძლება ლიხთ იქითის ლაშქარსაც ნიშნავდეს, რადგან ანასეულ „ქართლის ცხოვრებაში“ „შიდა სპა“ სწორედ ლიხთიმერეთის სპას ნიშნავს.

ქართველი მემატიანის ტექსტის ნ. ბერძენიშვილისეული გაგება გაიზიარეს აკად. ს. ყაუხჩიშვილმა, პროფ. მ. ლორთქიფანიძემ, პროფ. კ. გრიგოლიამ, დოც. ვ. კოპალიანმა, დოც. ქ. ჩხატარაიშვილმა. უფრო ადრე, აკად. ვ. ვასილევსკის შრომების I ტომის კომენტარში ვიკინგები ლიპარიტის მხარეზე მებრძოლებად მიიჩნია აკად. ნ. მარმა.

ვიკინგების საქართველოში მოსვლის საკითხს ამ ბოლო ხანებში შეეხო ზ. პაპასკირი. მისი მტკიცებით, ვიკინგები სწორედ ბაგრატ IV-ის მხარეზე იბრძოდნენ და ისინი ბიზანტიის წინააღმდეგ მებრძოლ საქართველოს მეფეს, იმ ხანად ბიზანტიის იმპერიასთან საომარ მდგომარეობაში მყოფმა, კიევის დიდმა მთავარმა იაროსლავ ბრძენმა გამოუგზავნა. ეს ამბავი, მისი აზრით, კიევის მთავარსა და საქართველოს მეფეს შორის სამხედრო-პოლიტიკური ხასიათის კონტაქტის არსებობაზე მიუთითებს.

სომეხი მკვლევარი ს. მარქარიანი ვარაუდობს, რომ სასირეთთან მებრძოლი 700 ვიკინგი, შემდეგშიც საქართველოში დარჩა და 1049

---

1 იგულისხმება ახლანდელი სამტრედიის რაიონის სოფ. ბაში, მდ. რიონის სანაპიროზე. შუა საუკუნეებში ერთ-ერთი სავაჭრო პუნქტი იყო.

წელს ისინი იბრძოდნენ ლიპარიტ ბალვაშის მხარეზე თურქ-სელჩუკების წინააღმდეგ.

როგორც ვხედავთ, დღემდე საკამათოა თუ ვის მხარეზე იბრძოდნენ საქართველოში შემოსული ვიკინგები. ის მკვლევარები, რომლებიც ვიკინგებს ბაგრატ IV-ის მხარეზე მებრძოლებად თვლიან, მათ ბიზანტიიდან მოსვლას უარყოფენ. მართლაც გამორიცხული იყო იმპერატორს თავისი მოწინააღმდეგისათვის დამხმარე ძალა გამოეგზავნა. პროფ. ი. ცინცაძის თანახმად, მაშინ შავი ზღვა ათეულობით ასეთ რაზმს არჩენდა და მათი დაქირავება ყოველთვის შეიძლებოდა. ის მკვლევარები კი, რომლებიც ვიკინგებს ლიპარიტის მხარეზე მებრძოლებად თვლიან, თავიანთ თვალსაზრისს, სხვა არგუმენტებთან ერთად, ქართველი მემატიანის სიტყვებითაც — „ბერძენთა მეფისა განძი შემწე იყო' ლიპარიტისა — ასაბუთებენ. მართლაც, უფრო მოსალოდნელი იყო, ლიპარიტისა და საქართველოს ტახტის პრეტენდენტ დემეტრესათვის, იმპერატორ კონსტანტინე IX მონომახს (1042-55), იმპერიის ჯართან (ბიზანტიელთა კონტინგენტი ადრეც ჩანს ლიპარიტის მხარეზე) ერთად, ვიკინგთა რაზმიც გამოეყოლებინა. ასეთი მოსაზრების დასამტკიცებლად ჯერ უნდა გაირკვეს სახირეთის ბრძოლის წინა ხანებში იყო თუ არა ბიზანტიის იმპერიის ტერიტორიაზე ვიკინგთა სამიათასიანი რაზმი.

ვიკინგთა რაზმს კონსტანტინოპოლში საისტორიო წყაროები XI ს-ის 30-იანი წწ. ბოლოდან იხსენიებენ. რუსული და ბიზანტიური წყაროები ასევე ერთხმად მიუთითებენ 1043 წ., ბიზანტიის წინააღმდეგ მოწყობილი ლაშქრობის დროს, რუსთა ჯარში ვიკინგთა რაზმის ყოფნის შესახებ.

ბიზანტიის წინააღმდეგ რუსთა 1043 წ. ლაშქრობამდე იმპერიაში უკვე იმყოფებოდა ვიკინგთა რაზმი ნორვეგიელი პრინცის ჰარალდის მეთაურობით. ჰარალდი XI ს-ის 30-იანი წწ. დამდეგიდან კიევში იყო, 1034 ან 1035 წ. 500-კაციანი რაზმით კონსტანტინოპოლში ჩავიდა და ბიზანტიელთა სამხედრო ექსპედიციებში იღებდა მონაწილეობას. ერთ-ერთი ლაშქრობიდან დაბრუნებულ ჰარალდს ნადავლის მითვისება დააბრალეს და დაუპატიმრეს (მეორე ვერსიით ჰარალდის დაპატიმრების მიზეზი მისი რომანტიკული ისტორია იყო). საიმპერატორო ტახტზე კონსტანტინე მონომახის ასვლის შემდეგ, 1042 წ. შემოდგომაზე, ჰარალდი პატიმრობიდან გაიქცა და 1042-43 წ. ზამთარი კიევში გაატარა. მკვლევართა ვარაუდით, მისმა მონათხრობმა კიევში გარკვეული როლი შეასრულა იმპერიის წინააღმდეგ რუსთა ლაშქრობის დაჩქარებაში. კიევში ჰარალდმა იაროსლავ ბრძენის ასული შეირთო ცოლად და 1044 წ. უკვე ნორვეგიაში იყო, 1047 წ. სამეფო ტახტი დაიკავა.

ამ ბოლო ხანებამდე გაზიარებული იყო აკად. ვ. ვასილევსკის მოსაზრება — ბიზანტიის წინააღმდეგ რუსთა 1043 წ. ლაშქრობაში ჰარალდის, როგორც იაროსლავის სიძის ან სასიძოს, მონაწილეობის შესახებ. მაგრამ, როგორც ვნახეთ, ამ ლაშქრობის დროს იგი სამშობლოში გაემგზავრა. რუსული და ბიზანტიური წყაროები რადგან დაბეჯითებით მიუთითებენ ამ ლაშქრობაში ვიკინგთა მონაწილეობის შესახებ, გამოითქვა მოსაზრება (ე. მელნიკოვა), რომ 1043 წ. ლაშქრობაში მონაწილეობა უნდა მიეღო შვედი ვიკინგების რაზმს ინგვარის მეთაურობით.

ინგვარი (იგი მის სახელზე შექმნილ ისლანდიურ საგაში „ინგვარ მოგზაურად" იწოდება) ვიკინგთა შორის ერთ-ერთი კოლორიტული ფიგურაა. ის შვედეთის სამეფო დინასტიის შთამომავალია. მისი ბებია (მამის დედა) შვედეთის მეფის ერიკ ძლევამოსილის ქალიშვილი და ოლაფ შოტკონუნგის და იყო. ინგვარი რუსეთის სამთავრო კარსაც ენათესავებოდა. იაროსლავ ბრძენის მეუღლე ინგიგერდა ოლაფის ქალიშვილი იყო, იაროსლავის დედა — როგნედა ნორმანი პრინცესა, ამიტომ იაროსლავი ხშირად იწვევდა რუსეთში სამსახურისათვის თავის სკანდინავიელ ნათესავებს.

შვედი ისტორიკოსის ი. ანდერსენის თანახმად, შვედეთის სხვადასხვა ადგილას შეკრებილი დიდი რაზმით, ინგვარი დაახლ. 1040 წ. გამოემგზავრა აღმოსავლეთისაკენ, რასაც მოწმობს ლაშქრობაში დალუპული ინგვარისა და მის რაზმელთა მოსაგონრად აღმართული ქვების წარწერები. ეს ქვები ძირითადად შუა შვედეთში, მელარენის ტბის ნაპირებზეა. ინგვარის ლაშქრობასთან დაკავშირებული ყველა ძეგლის წარწერა, პალეოგრაფიული და ენობრივი მონაცემების მიხედვით, XI ს-ის შუახანებით თარიღდება. წარწერებში ინგვარი „კონუნგად" იხსენიება, რაც, მეფის გარდა, ბელადს, სამხედრო რაზმის მეთაურსაც ნიშნავს.

შვედმა მეცნიერმა კ. გრინბერგმა, 1938 წ. გამოქვეყნებულ ნაშრომში (ამავე წელს მიუნხენში გამოიცა ამ ნაშრომის გერმანული თარგმანი), წარწერებში მოხსენიებული ინგვარი და ისლანდიური საგას მთავარი გმირი სხვადასხვა პირებად მიიჩნია. წარწერებში მოხსენიებული ინგვარის აღმოსავლეთში ლაშქრობა მან დაახლ. 1000 წლით დაათარიღა. ისლანდიური საგას მთავარი გმირი კი XII ს-ში მცხოვრებად ჩათვალა და მიუთითა, რომ, საგას თანახმად, ინგვარი აზიაში ძლიერი ქრისტიანი დედოფლის სამფლობელოში გაემგზავრა, ცოლად შეირთო იგი და სამეათასიანი რაზმით მის სამსახურში ჩადგა. „კავკასიის სამხრეთით, — წერს კ. გრინბერგი, — მართლაც მდებარეობდა ქართველთა ძლიერი სახელმწიფო, რომელსაც სახელგანთქმული მეფე თამარი განაგებდა".

კ. გრინბერგის ნაშრომიდან ეს ცნობა გერმანელმა მეცნიერმა რ. ჰენინგმა შეიტანა თავის

4-ტომიანი „უცნობი მიწების“ მეორე ტომში. რ.ჰენინგის თანახმად, დაახლ. 1200 წ. 3000 ვიკინგი იყო თამარის სამსახურში.

ცნობამ 3000-იანი რაზმით ინგვარის თამარის კარზე სამსახურის შესახებ ქართულ ისტორიოგრაფიაშიც შემოაღწია. „ნორმანული გადმოცემები (კ. გრინბერგის მიხედვით), — წერს ჭ. ჩხატარაიშვილი, — საკმაო საფუძველს გვაძლევს ნორმანთა ყოფნა ამიერკავკასიაში და კერძოდ საქართველოში, ვივარაუდოთ არა მარტო XI, არამედ XII საუკუნეშიც — თამარის ეპოქაში“. ჭ. ჩხატარაიშვილმა სამართლიანად შეიტანა ეჭვი (ინგვარის ვინაობის შესახებ სპეციალური გამოკვლევის ავტორის — ფ. ბრაუნის მონაცემებზე დაყრდნობით) ცნობაში, თითქოს ინგვარს ქრისტიანი დედოფალი შეერთოს ცოლად. მისი დასკვნით, ინგვარის საგის შემქმნელებმა, როგორც ჩანს, ერთმანეთს ჩააქსოვეს XI ს-ის I ნახევარში მცხოვრები რეალური პიროვნების — ინგვარისა და რიურიკელთა დინასტიის წარმომადგენლის გიორგი რუსის თავგადასავალი. ფ. ბრაუნის თანახმად, — წერს იგი, — ნორმანი (ინგვარი, როგორც ზემოთ ვნახეთ, შვედი იყო, ვ. გ.), რომელიც ქრისტიან დედოფალზე, დაქორწინდა, ინგვარის ძე — სვენი უნდა ყოფილიყო, რომელმაც მამის სიკვდილის შემდეგ აღმოსავლეთში იმოგზაურა.

პროფ. შ. ბადრიძის აზრით, ისლანდიური საგას ცნობას 3000-იანი რაზმით ინგვარის ქრისტიანი ხელმწიფე ქალის სამსახურში ყოფნის შესახებ XII-XIII სს. მიჯნაზე ჯვაროსანთა შორის თამარის დიდი პოპულარობა უნდა დასდებოდა საფუძვლად.

ინგვარისა და მის რაზმელთა შესახებ ყველაზე საინტერესო მასალა საგაშია. ინგვარის საგას უძველეს რედაქციას XIV ს-ის მეორე ნახევარს აკუთვნებენ. მას უფრო ძველი ზეპირი გადმოცემა ან წერილობითი წყარო უნდა ედოს საფუძვლად. ე. მელნიკოვას დასკვნით, მართალია, საგა ძირითადად ფანტასტიკურ-მითოლოგიური ხასიათისაა, მაგრამ საგას ზოგიერთი დეტალიდან აშკარად ჩანს, რომ მას ინგვარის ბრძოლების თვითმხილველისა და მონაწილის თხრობა უდევს საფუძვლად.

საგას I-IV თავში (ნაწ. I) აღწერილია ინგვარის ბავშვობა და ყრმობა, მისი რუსეთში ლაშქრობა. ინგიგერდასი და იაროსლავის ქორწილი და სხვა. V-VIII თავში (ნაწ. II) მოთხრობილია ინგვარის აღმოსავლეთში ლაშქრობის შესახებ, ხოლო მესამე ნაწილში (თავები IX-XIV) ინგვარის ძის — სვენის მოგზაურობა აღმოსავლეთში. ისე რომ, ჩვენთვის, უველაზე მეტად, საგას მეორე ნაწილია საინტერესო. ამ ნაწილში ინგვარის ლაშქრობის შესახებ მრავალი რეალური ელემენტის შენიშვნა შეიძლება. საგას ცნობით, ინგვარი 30 ხომალდით (სამ წარწერაში — № 56, 62, 75 ხომალდი არის ნახსენები. კ. გრინბერგი ინგვარის რაზმის რაოდენობას 3000-ით განსაზღვრავს. თითოეული ხომალდის ეკიპაჟს თუ 100 კაცს ვიანგარიშებთ, მაშინ საგას ცნობა სწორი უნდა იყოს) „აღმოსავლეთის გზით“ (ბალტიის ზღვიდან ეს გზა მდ. დას. დვინას აუყვებოდა, შემდეგ დნეპრის სათავეებიდან კიევსა და კონსტანტინოპოლისაკენ მიემართებოდა) შვედეთიდან რუსეთში ჩახულა. იაროსლავ ბრძენს ინგვარი და მისი რაზმელები კარგად მიუღია. შვედებს სამი ზამთარი დიდი მთავრის კარზე გაუტარებიათ. შემდეგ გამგზავრებულა ინგვარი დიდი მდინარის საძებნელად. ინგვარის რაზმელთა სახელზე აღმართულ ქვებზე კი მითითებულია, რომ ისინი „გაბედულად გაემგზავრნენ შორს ოქროსათვის“.

ინგვარის მეთაურობით შვედი ვიკინგების კიევში ყოფნა დაემთხვა 1043 წ-ის გაზაფხულზე იაროსლავ ბრძენის მიერ ბიზანტიის წინააღმდეგ მოწყობილ ლაშქრობას. იაროსლავმა ვიკინგთა რაზმი, ინგვარის მეთაურობით, რუსთა ლაშქარში (რომელსაც იაროსლავის ძე ვლადიმირი სარდლობდა) ჩართო.

ისლანდიური საგა ლაშქრობაში მონაწილე ინგვარის რაზმელებიდან მხოლოდ ოთხ პიროვნებას: ჰიალმივიგს, სოტის, კეტილს (იგი ისლანდიელი იყო და რუსეთში ყოფნის გამო გარდაკეტილს ეძახდნენ) და ვალდიმარს ასახელებს. პირველი სამი სახელი ხშირად გვხვდება ისლანდიურ ძეგლებში. მეოთხე კი უცნობია როგორც შვედური, ისე ისლანდიური წყაროებისათვის. ეს სახელი პირველად დანიაში გათხოვილმა რუსმა პრინცესამ დაარქვა თავის ძეს — ვალდიმარს (გარდ. 1182 წ.).

საგაში მოხსენიებული ვალდიმარი, ე. მელნიკოვას მიხედვით, ვლადიმირ იაროსლავის ძე უნდა იყოს, რომელიც ფაქტიურად გაერთიანებული ლაშქრის სარდალი იყო. საგაში რომ ლაშქრობის ხელმძღვანელი ინგვარია, ეს ჩვეულებრივი მოვლენაა. სხვა მხრივ, იგი საგას გმირი ვერ გახდებოდა. საგაში ვლადიმირ იაროსლავის ძის ვალდიმართან იდენტურობის შესახებ მიუთითებს: მათი სახელების მსგავსება, ვალდიმარის შესახებ საგაში ცნობების სიმწირე, ლაშქრობისას ვალდიმარის დამოუკიდებლობა. მაგ., როცა ინგვარმა მეომრებს აუკრძალა ნაპირზე გადასვლა და ეს ბრძანება ერთმა მეომარმა დაარღვია, ის მეომარი სათანადოდ დაისაჯა. სამაგიეროდ, როცა ვალდიმარი ნაპირზე გადავიდა და ამით ინგვარის ხომალდზე მფრინავი დრაკონის თავდასხმა გამოიწვია, საერთოდ არ დასმულა საკითხი მის დასასჯელად. ასევე, დამოუკიდებლად გაემგზავრა, საგას ცნობით, ვალდიმარი, ლაშქრობის შემდეგ, კონსტანტინოპოლისაკენ.

ახლა რაც შეეხება 1043 წ. ბიზანტიის წინააღმდეგ რუსთა ლაშქრობის თაობაზე რუსულ და ბიზანტიურ მასალებს — გარდა იმისა, რომ

რუსულ მატიანეთა მონაცემები განსხვავდება ამ ბრძოლის შესახებ არსებული ბიზანტიელ ავტორთა ცნობებისაგან, თვით რუსულ მატიანეთა რედაქციებში ერთმანეთისაგან განსხვავებული ცნობებია. რადგან 1043 წ. ლაშქრობის შესახებ ვოსკრესენსკის მატიანე უფრო სრულ ცნობებს იძლევა, ამიტომ ცნობებს ამ მატიანიდან მოვიყვანთ.

1043 წ. გაზაფხულზე, — წერს მემატიანე, — დიდმა მთავარმა იაროსლავმა გაგზავნა თავისი ძე — ვლადიმარი ბერძენთა წინააღმდეგ. მისცა მრავალი მეომარი ვარიაგი და რუსი. როცა მდ. დუნაიმდე მიცურდნენ, ვლადიმირმა გაჩერება მოინდომა, მაგრამ ვარიაგთა მოთხოვნით გაილაშქრა კონსტანტინოპოლზე. ბერძნებმა მტრის დანახვაზე წმინდანთა ნაწილები, ქრისტეს არტახებით, ზღვაში ჩაუშვეს. ღვთის რისხვით ამოვარდნილმა ქარიშხალმა დაამსხვრია ხომალდები და ვარიაგები გაიქცნენ. დაიმსხვრა ვლადიმირის ხომალდიც და იგი ივან ტვირიმირჩამ აიყვანა თავის ხომალდზე. ვლადიმირის სხვა მებრძოლები, 6 000 კაცი, ქარიშხალმა ნაპირზე გარიყა. მათ მოინდომეს ხმელეთით რუსეთში დაბრუნება. რუსმა ვოევოდა ვიშატამ გამოთქვა მათთან ერთად დაბრუნების სურვილი. როცა ბერძენთა მეფე მონომახმა გაიგო ზღვაზე რუსთა ფლოტის დაღუპვის ამბავი, რუსთა წინააღმდეგ 14 ხომალდი გამოგზავნა. ვლადიმირი მიბრუნდა, გაფანტა ბერძენთა ხომალდები, შემდეგ რუსეთში დაბრუნდა. ვოევოდა ვიშატა, ხმელეთზე მყოფ მეომრებთან ერთად, ბერძნებმა დაატყვევეს. კონსტანტინოპოლში მრავალ მათგანს თვალები დასთხარეს. 8 წლის შემდეგ, როცა ზავი დაიდო, ვიშატა რუსეთში გამოუშვეს იაროსლავთან.

ბიზანტიელი ისტორიკოსის პსელოსის ცნობით, ბიზანტიელებმა საბრძოლველად რამდენიმე ტრირემი მოამზადეს. მოამარაგეს ისინი დიდი რაოდენობის ბერძნული ცეცხლით. როცა ბერძენთა გემებიდან ცეცხლის ფრქვევა დაიწყო, რუსებს თვალთ დაუბნელდათ. ზოგი მათგანი ზღვაში გადახტა, სხვებმა კი არ იცოდნენ რა გაეკეთებინათ და სასოწარკვეთილნი ხსნის უოველგვარ საშუალებაზე უარს ამბობდნენ. რუსთა ნავები, ერთის გარდა, ყველა უკან გაბრუნდა. ამასობაში მზიანი დარი შეიცვალა, ძლიერმა ქარიშხალმა ზღვის ტალღები ბარბაროსთა გემებისაკენ გააქანა და ერთი გემი იქვე ჩაიძირა. ნაწილი ზღვაში გაფანტა, კლდეებსა და ციცაბო სანაპიროს შორის. ზოგ მათგანს ტრირემი დაეწია და მორეულში ჩაიძირა. ბარბაროსთა დიდი ულეტა მოხდა.

როგორც ვხედავთ, რუსულ მატიანეში ბიზანტიელთა მიერ „ბერძნული ცეცხლის" გამოყენების შესახებ არაფერია ნათქვამი. ასევე რუსული მატიანე ჯერ ქარიშხლის ამოვარდნაზე წერს, შემდეგ ბრძოლაზე. ბიზანტიელი ავტორის ცნობით, კი ჯერ ბრძოლა მოხდა, შემდეგ ამოვარდა ქარიშხალი. ამ ბრძოლაში „ბერძნული ცეცხლის" გამოყენების შესახებ ბიზანტიელი ავტორის ცნობა ინგვარის საგით დასტურდება. მართალია, საგანში მითითებული არ არის ვიკინგებს ვისთან ჰქონდათ ეს ბრძოლა, მაგრამ ვლადიმირის ჯარში, რადგანაც ინგვარის რაზმიც იყო, საგაში სწორედ ეს ბრძოლა უნდა იყოს აღწერილი. რაც მთავარია, საგაში (მასშიც ერთი გემის დაწვაზეა ცნობა) ისე დეტალურადაა აღწერილი ბერძნული ცეცხლის მოქმედება, რომ უეჭველია თვითმხილველის ცნობა უდევს საფუძვლად.

კონსტანტინოპოლთან მარცხის შემდეგ ინგვარის რაზმელთა შემდგომი ბედის შესახებ რუსული მატიანის ცნობები უნდა გავითვალისწინოთ. ამ მარცხის შემდეგ ვლადიმირი, როგორც მატიანეშია მითითებული, გადარჩენილი რუსთა ჯარით კიევში დაბრუნდა. რაც შეეხება ვიკინგებს, ინგვარის რაზმელებიდან ნაწილი ბრძოლაში დაიღუპებოდა. ნაწილი, ალბათ, რუსებთან ერთად ბიზანტიელებმა დაატყვევეს. ბრძოლაში დაიღუპებოდა ინგვარის ხომალდების (სულ 80 იყო) ნაწილიც. ზემოაღნიშნული ცნობების მიხედვით — რუსეთთან 1046 წ. ზავის დადებამდე, ინგვარი და ცოცხლად დარჩენილი მისი რაზმელები (ისევე როგორც რუსები და მათი ვოევოდა ვიშატა), როგორც ჩანს, კონსტანტინოპოლში იმყოფებოდნენ.

რუსებსა და ბიზანტიას შორის 1046 წ. დადებულ ზავს, როცა ინგვარს და მის რაზმელებს სამშობლოში დაბრუნების საშუალება მიეცათ, დაემთხვა იმპერატორ კონსტანტინე მონომახის მიერ ლიპარიტ ბაღვაშისათვის დამხმარე ჯარის გამოგზავნა. სამშობლოში მიმავალი ვიკინგები, საქართველოსაკენ იმპერატორისაგან მიღებული „განძის" საზღაურად (ქართველი მემატიანეს სიტყვები „ბერძენთა მეფისა განძი შემწე იყო" ლიპარიტისა, სწორედ ამაზე უნდა მიგვითითებდეს), რომ გამოემგზავრნენ, ეს იქიდან ჩანს, რომ სასირეთიდან გაბრუნებულ ვიკინგებს ლიპარიტმა მხოლოდ მსახურები გააყოლა.

სამშობლოდან ხანგრძლივი დაშორების შემდეგ აშკარაა ვიკინგებს სახლში დაბრუნება ეჩქარებოდათ, ამიტომ იყო, რომ „მათ მესაბნი ვერღარა მოილოდინეს". როგორც ნ. ბერძენიშვილი წერს, ბრძოლისათვის, მართალია, ვიკინგთა დაქირავება იყო საჭირო, მაგრამ კონსტანტინოპოლთან მომხდარი ბრძოლის შემდეგ, ინგვარის რაზმს მხოლოდ სახელი შერჩა ძველი, რა თქმა უნდა, ბაშში ისინი 8 000 აღარ იქნებოდნენ. მეორე მხრივ, ქართლში გადმოსული ვიკინგები, მეომრების ნაწილს ბაშში ხომალდების მცველებად დატოვებდნენ, ზოგს, ალბათ, ბრძოლა არ შეეძლო. ამიტომ გადმოვიდა ქართლში საბრძოლველად მხოლოდ 700 ვიკინგი. ჩვენს ასეთ მოსაზრებას მხარს უჭერს საგას

შემდეგი ცნობა: ინგვარის დაღუპვის შემდეგ, ვიკინგები 12 ხომალდით დაეშვნენ მდინარეზე. მგზავრობის დაწყებიდან რამდენიმე ხნის შემდეგ მდინარე გაიყო! და რადგან არც ერთს არ სურდა მეორის ხელქვეითი ყოფილიყო, ვიკინგთა ხომალდებიც ორად გაიყვნენ. ერთი ხომალდთი ვიკინგთა ნაწილი კონსტანტინოპოლისაკენ გაემართა. ჩანს, ვიკინგთა ამ ნაწილმა არ მოინდომა სამშობლოში დაბრუნება. შესაძლოა ისინი ბარალდის ყოფილი რაზმელები იყვნენ. ვიკინგთა მეორე ნაწილი, ახალი მეთაურის, ისლანდიელი გარდაკეტილის მეთაურობით, 11 ხომალდით, ჯერ რუსეთში დაბრუნდა, შემდეგ კი — შვედეთში. საგა 30-ის ნაცვლად ამჯერად მხოლოდ 12 ხომალდს ახახელებს. ისე რომ, კონსტანტინოპოლიდან ბაშში დაახლ. 1 200 ვიკინგი უნდა მოსულიყო.

საგას ცნობა, შავი ზღვიდან ერთი გემის ისევ კონსტანტინოპოლში დაბრუნების შესახებ, იმაზე მიგვითითებს, რომ ვიკინგები სწორედ კონსტანტინოპოლიდან იყვნენ მოსული. საგას ცნობით, იმ ხომალდს, რომელიც კონსტანტინოპოლისაკენ გაემართა, ვალდიმარი მეთაურობდა. ვალდიმარი, როგორც ზემოთ ვაჩვენეთ, იგივე ვლადიმირ იაროსლავის ძე უნდა იყოს და საგას ამ ცნობაში თხრობაა არეული.

საგაში არსებული ზოგიერთი ცნობა, ვფიქრობთ, კარგად ახახავს იმ ხანად საქართველოში არსებულ ვითარებას. ამ მხრივ მნიშვნელოვანია საგაში აღწერილი ამბავი ინგვარის რაზმის ერთ ქალაქში გაჩერების, ამ ქალაქში მმართველთა შორის ამტყდარი შინაომისა და ინგვარის რაზმელთა ადგილობრივ მოსახლეობასთან ბრძოლის შესახებ. საგას ეს დეტალები კარგად ესადაგება „მატიანე ქართლისაის" ცნობას — ვიკინგთა ბაშში მოსვლისა და გაჩერების, ქართლში ბაგრატ IV-ისა და ლიპარიტის შინაომისა და ვიკინგების ადგილობრივ მოსახლეობასთან ბრძოლის შესახებ.

ისლანდიური საგას ზემომოტანილი ცნობების ისტორიული რეალობა იქნებ იმის მაჩვენებელია, რომ საგას სწორედ ამ ექსპედიციის ერთ-ერთი მონაწილისა და მეთაურის — ისლანდიელი გარდაკეტილის თხრობა უდევს საფუძვლად.

ისლანდიური საგა ინგვარისა და მისი რაზმელების დაღუპვას ეპიდემიას მიაწერს (იქნებ გარდაკეტილმა სამშობლოში დამალა თანამებრძოლთა დაღუპვის ნამდვილი გარემოება?!). წარწერების მიხედვით კი, ინგვარი და მისი რაზმელები სამხრეთში — სერკლანდში დაიღუპნენ. წაკითხვის პრობლემატურობისა და ლაკონურობის მიუხედავად, წარწერები თითქმის დაღუპულთა თანადროულია. ინგვარისა და მის რაზმელთა შესახებ მოღწეული 28 წარწერიდან, უმეტეს შემთხვევაში, სერკლანდი ინგვარის ლაშქრობასთან დაკავშირებით არის დასახელებული. იგი ის ადგილია, სადაც ექსპედიცია დამთავრდა.

სამეცნიერო ლიტერატურაში სერკლანდს ჩვეულებრივ „სარაცინთა მიწად" ხსნიან. იყო ცდა სერკლანდი აბრეშუმის ლათინური სახელიდან „სერიკუმ"-იდან გამოეყვანათ (ქ. ჩხატარაიშვილმა სერკლანდი კახეთად მიიჩნია). ე. მელნიკოვას თანახმად, სერკლანდის ლოკალიზაცია ძირითადად ინგვარის ლაშქრობის მარშრუტთანაა დაკავშირებული და კასპიისპირეთსა ან ვოლგისპირეთში მისი ძებნა არ შეიძლება. ინგვარი შავ ზღვაში ცურავდა, ამის შესახებ, სხვა მომენტებთან ერთად, ის მიუთითებს, რომ ინგვარის დაღუპვის შემდეგ ინგვარის ფლოტის ერთი ხომალდი კონსტანტინოპოლისაკენ გაემართა. ინგვარის ლაშქრობის გზის გაანალიზებით, — ასკვნის ე. მელნიკოვა, — სერკლანდი უნდა იყოს შავიზღვისპირეთის ოლქი, საიდანაც სკანდინაველთა ხომალდები უკან გამობრუნდნენ.

სერკლანდში რომ ნამდვილად საქართველო და კერძოდ ქართლი იგულისხმება, ზემოაღნიშნულთან ერთად, ამას ისიც მოწმობს, რომ, მიღებული გაგებით, სერკლანდი არის სახალიფო ან სახალიფოს ხელქვეით მყოფი ოლქი. ქართლის სერკლანდად მიჩნევას სკანდინავიელ ვიკინგთა თვალში იქნებ იმანაც შეუწყო ხელი, რომ ქართლის ნაწილი იმ ხანად არაბთა ხელში იყო. ქართლის სერკლანდად გაგებას „სერკლანდში" აბრეშუმის მწარმოებელი ქვეყნის დანახვაც არ ეწინააღმდეგება.

დაბოლოს, ინგვარისა და მის რაზმელთა დაღუპვის თარიღის თაობაზე: ისლანდიურ საგასა და ანალებში (ინგვარი ორ ისლანდიურ ანალში იხსენიება) ინგვარის დაღუპვის თარიღად 1041 წელია მითითებული, მაგრამ ეს თარიღები და ინგვარის სიკვდილის თარიღიც შეცდომითაა მოცემული. რადგან, ჩვენი მტკიცებით, ინგვარი და მისი რაზმელები სასირეთში დაიღუპნენ, ეს ბრძოლა კი ქართულ ისტორიოგრაფიაში 1046-47 წლებით არის დათარიღებული, ინგვარის დაღუპვის თარიღადაც 1046 წელი უნდა მივიჩნიოთ, რაც ეთანხმება რუსული მატიანის ცნობას რუსეთსა და ბიზანტიას შორის 1046 წელს ზავის დადების შესახებ. ქართლიდან წასულმა ვიკინგებმა 1046-47 წ. ზამთარი კიევში გაატარეს და 1047 წლის გაზაფხულზე სამშობლოში დაბრუნდნენ და თან ჩაიტანეს სერკლანდში თავიანთი ბელადისა და თანამებრძოლთა დაღუპვის ამბავი.

---

[1] საგას ამ ცნობაში, რომ მდ. რიონი იგულისხმება, იქიდანაც ჩანს, რომ შესართავიდან რამდენიმე კილომეტრის დაშორებით რიონიც ორად იყოფოდა და კუნძულს ქმნიდა (ქ. ფოთთან). მდინარის ორივე ტოტი სანაოსნოდ გამოიყენებოდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

წათე ბაწაში

ეთნონიმ „ლაზი“-ს გაგებისათვის თურქულ ისტორიოგრაფიაში

თანამედროვე ლაზეთი, რომელსაც თურქეთში ლაზისტანს, ე. ი. ლაზთა ქვეყანას უწოდებენ, ოსმალეთის იმპერიის ხანაში შეადგენდა ცალკე პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ ერთეულს — ტრაპიზონის ვილაიეთს. VIII საუკუნის ცნობილი თურქი ისტორიკოსი ქათიბ ჩელები წერდა: „ამ ვილაიეთის მთავარი ქალაქი ტრაპიზონია — შავი ზღვის მახლობლად, აღმოსავლეთ კუთხესთან, ქალაქი და ციხე. მოსახლეობის ძირითადი ნაწილი ლაზების ტომია, რომლებსაც ხალხი ლაზებს უწოდებს... ტრაპიზონის მახლობლად მცხოვრებთ ლაზებს უწოდებენ“.[1] იმავე პერიოდის ავტორი ევლია ჩელებიც აღნიშნავს, რომ ტრაპიზონისა და მისი სანახების მოსახლეობის უმეტესობა იმ დროს ლაზები იყვნენ.[2] ჩელებისავე თქმით, ქალაქ ტრაპიზონის ერთ-ერთი სახელია ლაზიკის ქალაქი,[3] ტრაპიზონელ ლაზებში ჩაწერილ ერთ ლექსში ნათქვამია: „ტრაპიზონია ჩვენი მიწა-წყალი“.[4]

ოსმალებმა ტრაპიზონი დაიპყრეს 1461 წელს, მაგრამ „ლაზების დამოუკიდებლობას ვერაფერი დააკლეს, ვერც პასკევიჩი აღმოჩნდა 1828 წლის ომის დროს პონტოს მთების მიდამოებში სხვებზე უფრო ბედნიერი... მართალია, ლაზისტანი თურქეთის პროვინციად ითვლებოდა, მაგრამ სულთნის ბატონობა აქ, როგორც წესი, მხოლოდ ნომინალური იყო, თავისი ძალაუფლების შენარჩუნებას თურქეთი დიდი გაჭირვებით ახერხებდა მხოლოდ ზღვის სანაპიროზე“.[5]

როგორც ცნობილია, ახლანდელი ლაზისტანის ტერიტორია საუკუნეების განმავლობაში შედიოდა რომისა და ბიზანტიის იმპერიის შემადგენლობაში და განიცადა ბერძნულ-ბიზანტიური კულტურის დიდი გავლენა. მაგრამ, უცხოელთა ხანგრძლივი ბატონობის მიუხედავად, „აქ მაინც ლაზურ-ჭანური ლაპარაკი ეხლაც ისმის. ეს მხოლოდ იმის დამამტკიცებელი და მომასწავებელი საბუთია, რომ ლაზურ-ჭანური აქ იმთავითვე სუფევდა, რომ ხალიბები, ტიბარენნი, მოსსინიკები, დრილები და სხვანი სწორედ ლაზურ-ჭანურს ლაპარაკობდნენ, რომ ყველანი ისინი ქართველ ეროვნებას ეკუთვნოდნენ“.[6] ეს ის ლაზ-ჭანები არიან, ვინც ადრე ტრაპიზონის იმპერიის ძირითად მოსახლეობას შეადგენდნენ. ტრაპიზონის იმპერიაში „ბიზანტიის პოლიტიკის გატარების მოწინააღმდეგენი პირველ რიგში იყვნენ ლაზები“,[7] —სინანულითა და საყვედურით წერდა იოანნიდისი. ბერძნულ ისტორიოგრაფიაში მიღებული ტენდენციით იგი აცხადებდა, რომ „ბერძნები (ქრისტიანები), რომელთაც ჩვენ ვუწოდებთ ჭანებს, თანდათანობით გათურქდნენ (გამაჰმადიანდნენ, წ. ბ.). ჩარშამბაში 1400 ქრისტიანული ჭანური ოჯახიდან ბერძნებად დარჩა მხოლოდ 300 კომლი“.[8] იოანნიდისი იქვე განაგრძობს: „ნეოკესარიასა და უნიეს შორის ცხოვრობენ თურქები (მუსლიმანები, წ. ბ.) და ჭანები, ე. ი. ბერძნები“.[9] მხოლოდ „ჩეფნები ძველი მოსინიკები არიან და საერთოდ მთელი მუსლიმური დასახლება შედგება უძველესი ადგილობრივი მოსახლეობისაგან — ჭანებისაგან. მართალია, ისინი მუსლიმები არიან, მაგრამ სრულიად არ გვანან თურქ-ყიზილბაშებს“.[10] საინტერესოა ის ფაქტი, რომ თანამედროვე საბერძნეთში წარმომავლობით სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთელ ყველა ბერძენს ამჟამადაც ლაზებს უწოდებენ. ამგვარი ტენდენცია შეინიშნება საბჭოთა კავშირში მცხოვრებ ბერძნებშიც. მათი შეხედულებით, აქაური ბერძნები იყოფიან ორ ჯგუფად — „ლაზებად და ურუმებად“. მაგალითად, ნალკის, ბოლნისის, ბორჯომის, დო-

ნეცკისა და კრასნოდარის ბერძენთა ნაწილი თავის თავს ლაზად თვლის.

ბევრი მკვლევარი ლაზისტანთან დაკავშირებით მიუთითებს, რომ ტრაპიზონში, გიუმუშხანეში, პლატანასა და სხვა ადგილებში მცხოვრები ქრისტიანი ლაზები ექვემდებარებიან კონსტანტინოპოლის პატრიარქს და ლაპარაკობენ ბერძნულად. რიზეს, იომურეს, ოფის, სურმენესა და სხვა რაიონებში მცხოვრები მუსლიმი ლაზები კი ლაპარაკობენ თურქულად.[11] ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ ბერძნული ენის ე. წ. პონტოური მეტყველება უმთავრესად წარმოადგენს ზანური დიალექტის ან, უფრო სწორად, მიხი კილოების კალკას და ინარჩუნებს იბერიულ-კავკასიური ენებისათვის დამახასიათებელ ყველა აფრიკატს, რომლებიც ამ მეტყველებაში ისე ეღერს, როგორც ქართველურ ენებში. მის ლექსიკაში საკმაოდ ბევრია ქართველური ძირის სიტყვები. საინტერესოა ის ფაქტიც, რომ სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ბერძნები, რომლებიც ლაპარაკობენ ბერძნული ენის ე. წ. „პონტოურ-ლაზურ" — დიალექტებზე, ეთნონიმების გასაფორმებლად ხმარობენ ქართველური ენებისათვის დამახასიათებელ სუფიქსებს. ესენია კუთვნილებითი „იან" და მრავლობითი რიცხვის მაწარმოებელი „თ" სუფიქსები. მაგალითად: ლაზოს — ლაზი, ლაზანთ — ლაზები; არმენოს — სომეხი, არმენანთ — სომხები; რუსოს — რუსი, რუსანთ — რუსები; თურქოს — თურქი, თურქანთ — თურქები. იგივე შეიძლება ითქვას სამსუნის, გირესუნის, ორდუს, ტრაპიზონისა და ზოგიერთი სხვა ვილაიეთის მოსახლეობის შესახებ, სადაც ლაზური მეტყველების გავლენით შეიქმნა ე. წ. „თურქული ენის ლაზური დიალექტი".[12] ამიტომ არ არის გასაკვირი, რომ ამ მხარის მთელი ავტოქტონური მოსახლეობა, ბერძნებისა და თურქების შეხედულებით, ლაზური წარმომავლობისაა. ნ. მარის თქმით, „კონსტანტინოპოლში ლაზებს ეძახიან თურქეთის ყველა შავიზღვისპირელს, სამსუნელებს და სინოპელებსაც კი".[13] ასეა მთელ თურქ ხალხში დღესაც, მაგრამ ოფიციალურ წრეებსა და დოკუმენტებში არის ცდა ეთნონიმი ლაზი შეიცვალოს უფრო ფართო ტერმინით karadenizli — „შავიზღვისპირელი". ამ მიზნით ტარდება სხვადასხვა ღონისძიება, რომლებიც შეეხება ლაზისტანის ტოპონიმიასაც; მაგალითად, ოსმალეთის იმპერიის პერიოდში სამსუნი იწოდებოდა ჯანეთად, ჯანითად, ჯანიკად (ე. ი. ჰქონდა თავისი ისტორიული ქართული სახელი, წ. ბ.), ხოლო ვილაიეთის სტატუსის მიღების შემდეგ, მას სამსუნი ეწოდა.[14]

ცნობილია, რომ ოსმალეთის იმპერიაში, რომლის შემადგენლობაშიც შედიოდნენ სხვადასხვა ტომები და ხალხები, მათ შემაკავშირებელ მთავარ იდეურ-პოლიტიკურ ღერძს წარმოადგენდა მუსლიმანური სარწმუნოება, რომელიც აერთიანებდა ყველა მუსლიმს საერთო სახელით — ოსმალნი. ნამდვილ თურქებსაც კი სცხვენოდათ და თავის თავს — არ უწოდებდნენ თურქს: „თურქებად მიიჩნევდნენ მხოლოდ თურქ გლეხებს, ქალაქელები კი თავის თავს უწოდებდნენ მუსლიმანებს".[15] მაგრამ საყოველთაოდ ცნობილია, რომ სულთნის „ქვეშევრდომნი" თავის თავს მკვეთრად განასხვავებდნენ ეთნიკური გაგებით. ბუნებრივია, ქართველები (ლაზები), ალბანელები, არაბები და სხვა ეროვნების წარმომადგენლები არასოდეს უწოდებდნენ თავის თავს თურქებს. ამასთან ერთად, ლაზეთის მთავრები, რამდენადაც ეს შესაძლო იყო, ინარჩუნებდნენ ერთგვარ დამოუკიდებლობას. ამას ისინი ახერხებდნენ XIX საუკუნის შუა წლებამდე, თუმცა ევალებოდათ ომის შემთხვევაში გამოეყვანათ ლაშქარი ოსმალეთის დასახმარებლად, მაგრამ ლაზთა რაზმები თურქული ჯარისაგან ყოველთვის განცალკევებით იდგნენ და მასთან არასოდეს არ ჰქონდათ ურთიერთობა.[16] შემდგომ კი ოსმან-ფაშამ, მაშინდელი ტრაპიზონის ვალიმ:

«Посредством совершенно преданных ему людей, кои были в Лазистан разосланы, умел приобрести себе между жителями значительную партию, распуская при этом слух, что правительство наше соглашается действовать совокупно с турецким к покорению их власти султана»[17].

1834 წელს ოსმალეთის მთავრობამ ლაზეთში ჩაატარა ექსპედიცია, რის შედეგადაც ლაზების ნაწილი გადასახლებულ იქნა ბალკანეთსა და დასავლეთ ანატოლიაში.

«Малое число деребеев, кои еще там остались, уже не в силах предпринять что-либо против правительства по причине расстройства их состояний и потерянного в народе величия; с другой, боязнь, что русское войско всегда готово поддержать Осман-пашу, и кроме того, еще, строгость, с какою действуют присланные сераскиром начальники, наблюдая общую в Турции политику, приводить всеми средствами жителей в такое бедственное и угнетенное положение, что все моральные и физические силы уничтожаются... Места, лежащие по берегу Черного моря, как-то: Батум и проч., прежде весьма населенные, ныне совершенного опустели, дома и лавки никем не заняты. Большая часть Лазов, будучи не в состоянии разбойничать, продают оружие и начинают заниматься хлебопашеством»[18].

მიუხედავად ამისა, ლაზები შემდგომ წლებშიც „გრძნობდნენ თავს დამოუკიდებელ ძალად და არაიშვიათად მტრობდნენ თურქებს".[19] ე. ი. ლაზები, როგორც ეთნიკური ერთეული,

აუტანელ მდგომარეობაში მყოფნიც კი, უპირისპირდებოდნენ თურქებს.

ქემალისტური რევოლუციისა და თურქეთის ნაციონალური ბურჟუაზიის სახელმწიფოს საოთვეში მოქცევის შემდეგ, თურქეთში დადგა ნაციონალური უმცირესობების საკითხიც. თურქეთის დიდმა ეროვნულმა კრებამ 1920 წ. მიიღო დადგენილება:

«Предоставить турецкой Армении, Курдистану, Лазистану, Батумской области, восточной Фракии и населению в пределах территорий со смешанным турецко-арабским элементом высказаться самим о своей собственной судьбе. Само собой разумеется, что свободный референдум будет произведен в этих местностях при участии беженцев и эмигрантов, вынужденных в свое время оставить свою родину по причинам, от них независящим, и по их возвращении на родину.

Признание за национальными меньшинствами в пределах нового турецкого государства, возглавляемого большим национальным собранием всех прав, предоставляемых национальным меньшинством государств Европы с наиболее свободным строем»[20].

მაგრამ თურქეთის მთავრობამ არ შეასრულა ეს დაპირებები. პირიქით, მმართველი წრეები ყველანაირად ცდილობენ დაამტკიცონ ლაზებისა და სხვა ხალხების, რომლებიც დარჩნენ თურქეთის ფარგლებში, თურქული წარმოშობა, ქემალ ათათურქი თურქეთის მეჯლისში წარმოთქმულ ერთ-ერთ სიტყვაში მეჯლისის წევრებს ასე მიმართავდა: „აქ მყოფი დარბაისლები, თურქეთის დიდი ეროვნული საკრებულოს წარმომადგენლები, არიან არა მხოლოდ თურქები, ქურთები და ლაზები, არამედ ისინი არსებითად ყველა მუსლიმია“.21

თურქეთის რესპუბლიკის კონსტიტუციაში პირდაპირაა ნათქვამი, რომ „თურქეთის მოქალაქე არის თურქი“.[22] თურქეთის ერთ-ერთი სახელმწიფო მოღვაწე რეჯებ ფეიქერი 1936 წელს ამბობდა: „თანამემამულეებს, რომლებიც თავის თავს უწოდებენ ქურთებს, ჩერქეზებს, ლაზებს და პომაკებსაც კი, ჩვენ ვთვლით თანამედროვე თურქი ხალხის რიცხვში და მათ თურქებს მივაკუთვნებთ“.[23] მაგრამ, მიუხედავად დიდი ხურვილისა, რომ წაშალონ ყველაფერი, რაც მიუთითებს ლაზების (ქართველების) არათურქულ წარმოშობაზე, მმართველი ნაციონალისტური წრეები იძულებული არიან აღიარონ, რომ ლაზები მიეკუთვნებიან კავკასიური ჯგუფის ხალხებს და წარმოადგენენ ერთ-ერთ ქართველ ტომს. ამასთან, ცდილობენ ეს პრობლემა მოაქციონ წმინდა ლინგვისტურ ჩარჩოებში. ყველა თურქული ლექსიკონი ერთხმად ამტკიცებს, რომ „ლაზები არიან ლაზურად მოლაპარაკე, პატარა კავკასიური ტომის წარმომადგენლები, ხოლო სტამბოლში მიღებული აზრი, აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ყველა მცხოვრებს ეწოდოს ლაზი, მცდარია“.[24] ოფიციალურ თურქულ ისტორიოგრაფიაში ლაზი მოღვაწის ლაზად ხსენება მიღებული არ არის და თურქი ერისათვის მავნედ არის მიჩნეული. როგორც დანიშშენდი წერს, „სახელწოდება“ „ლაზ“-ს აკუთვნებდნენ ტრაპიზონელებს. იქაური მოსახლეობა ამაყად იჩემებდა ლაზობას. ამ ცუდი ჩვეის ბევრი მაგალითი გვაქვს“.[25] მაგრამ იმავე ისტორიკოსს რატომღაც ავიწყდება იმის თქმა, თუ რატომ იჩემებდნენ ასე ამაყად ლაზები ლაზობას და არა ალბანელობას, არაბობას და ა. შ. მეორე მხრივ, ისლამის ენციკლოპედიაში გარკვევით წერია, რომ „ლაზები არიან სამხრეთ კავკასიური (ქართული) ტომის წარმომადგენლები და ისტორიულად უკავიათ შავი ზღვის სანაპიროს სამხრეთ-აღმოსავლეთი“.[26] დოღან ავჯიოღლუ თავის „თურქეთის ისტორიაში“ პირდაპირ უთითებს, რომ „XI საუკუნის დასაწყისში თურქმენების (სელჯუკების, წ. ბ.) მოსვლამდე, ჩრდილო-აღმოსავლეთ თურქეთში ჰარბობდნენ ქართველები და ლაზები, მათ ენაზე ლაპარაკობდა მოსახლეობის უმრავლესობა“.[27] ფარს თუღლაჯის ენციკლოპედიურ ლექსიკონში ვკითხულობთ: „ლაზური ენა ახლოა ქართულთან და წარმოადგენს მეგრული ენის კილოს“.[28] „ენა, რომელზეც ლაპარაკობენ ლაზები, მიეკუთვნება კავკასიური ენების სამხრეთულ ჯგუფს და ძალიან ახლოა ქართულთან“.[29] ქემალ ქარადენიზლი თავის ტრაპიზონის ისტორიაში ამბობს: „ტრაპიზონის, გირესუნის, რიზეს, თორულის და სხვა ადგილების მოსახლეობა შედგებოდა ლაზებისაგან, რომლებიც ცხოვრობენ ქართული წესჩვეულებებით და აქვთ საერთო წარმოშობა, რჯული და ადათი“.[30] ავტორი იძულებულია საგნებს უწოდოს თავისი სახელი და აღიარებს: „ეს ქვეყანა დასახლებული იყო ჭანებით, ლაზებით და ქართველებით, რომლებიც, მართალია, სულთნის ქვეშევრდომებად ითვლებოდნენ, მაგრამ არ ცნობდნენ ცენტრალურ ხელისუფლებას და ეკვემდებარებოდნენ მხოლოდ თავის ბეგებსა და აღებს“.[31]

შაქირ შევქეთის ტრაპიზონის ისტორიის მიხედვით, „ტრაპიზონი, ლაზების სამეფოს დედაქალაქი, ირან-ბიზანტიის ომების პერიოდში იყო სამხედრო მოქმედების სარბიელი“.[32] ხოლო მეჰმედ II-ის მიერ ტრაპიზონის აღების შემდეგ „ლაზისტანში დიდ ხანს გრძელდებოდა ბრძოლა თურქების წინააღმდეგ.[33]

თურქული ისტორიოგრაფია ვერ ახერხებს უარყოს ლაზებისა და ქართველების ნათესაობა და ეთნიკური ერთობა, მაგრამ მაინც ცდილობს „მეცნიერულად“ დაამტკიცოს ლაზ-ჭანთა თურქული წარმოშობა. ამ საკითხს გარკვეულ ადგილს უთმობენ სახელმძღვანელოებსა და

პოპულარულ გამოცემებში, ეწევიან იმის პროპაგანდას, თითქოს ლაზ-ჭანები განეკუთვნებიან ალთაური წარმომავლობის თურქულ ეთნიკურ ჯგუფს. თურქეთის ოფიციალური სტატისტიკის მიხედვით, თურქეთის ლაზეთში ლაზური მოსახლეობა თანდათან მცირდება. 1955 წლის აღწერით, 31 000 ლაზი თავის დედა ენად თვლის ლაზურს, ხოლო 19 000 ლაზი ლაზურს თვლის მეორე ენად.[34] 1960 წლის აღწერა გვაძლევს ასეთ შეფარდებას: 22 000 — 20 000-თან,[35] რაც, საერთოდ, 8 000-ით ნაკლებია, ვიდრე 1955 წელს. ზოგიერთი სხვა მონაცემის მიხედვით, ლაზების რაოდენობა 60-იანი წლებისათვის შეადგენდა 100 000 კაცს.[36] ყოფილი ტრაპიზონის ვილაიეთის ლაზების დიდმა ნაწილმა მთლიანად ან ნაწილობრივ დაკარგა მშობლიური ენა, თუმცა თავისი ლაზური წარმოშობა კარგად ახსოვს.

ლაზურად მოლაპარაკე ცალკეული სოფლები არის პონტოს ქედის აღმოსავლეთითაც, ართვინის, არხრუმისა და ყარსის ვილაიეთების ყაზებში, აგრეთვე, ბურსას, ადაფაზარის, ქოჯაელის, იზმითისა და ცენტრალური თურქეთის სხვა ვილაიეთებში. ამასთან, არ უნდა დავივიწყოთ, რომ ართვინისა და რიზეს ვილაიეთებში მცხოვრები ლაზების უმრავლესობამ იცის მშობლიური ენა, ხოლო ფაზარის (ყოფილი ათინა), არდაშენის, ხოფას, ფინდიქლის (ყოფილი ვიწე, ბღეთი), ბორჩხის ყაზებში მცხოვრები ლაზებიდან — ყველამ. ოფიციალური ცნობების მიხედვით, ამ რაიონებში სამოციანი წლების ბოლოს ცხოვრობდა 129043 კაცი,[37] რაც უკვე რამდენადმე აღემატება ლაზების საერთო რაოდენობას, რომელიც მოტანილია თურქული სტატისტიკით. „ლაზები ცხოვრობენ ძირითადად ართვინის, რიზეს, ტრაპიზონისა და ნაწილობრივ გიუმუშჰანეს, სამსუნის, სინოპის ვილაიეთებში“.[38] გარდა ამისა, ლაზები კომპაქტურად ცხოვრობენ „ერზერუმის ვილაიეთში, ქალაქ ჰანუთის ჩრდილოეთით, პატარა ჯგუფებად და ცალკე სოფლებად ცხოვრობენ სხვაგანაც“.[39] განსაკუთრებით ბევრი არიან ისინი ბურსაში, იზმითში, სტამბოლში, ანკარასა და სხვა ადგილებში. საბჭოთა კავშირის აზიური ნაწილის საერთო ეთნოგრაფიის ნარკვევებში ნათქვამია, რომ ორმოცდაათიან წლებში მსოფლიოში ქართველების საერთო რაოდენობა შეადგენდა 3,5 მილიონ კაცს.[40] აქვე ხაზგასმულია, რომ საბჭოთა კავშირში ცხოვრობდა 2 248 568 ქართველი. მაშასადამე, 1251432 ქართველი ცხოვრობს ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთ.

საინტერესოა უფრო ადრინდელი ვითარება. როგორც აღვნიშნეთ, ჯერ კიდევ XVII საუკუნის პირველი ნახევრის ცნობილი თურქი მოგზაურისა და ისტორიკოსის ევლია ჩელების „მოგზაურობის წიგნში“ მოცემულია „აღწერა ლაზიკის ძველი ვილაიეთის დიდი ქალაქისა და კეთილმოწყობილი ციხისა, ე. ი. ქალაქ ტრაპიზონისაა“,[41] სადაც „მოსახლეობის უმეტესობა ლაზია“.[42] ინგლისის კონსული ჯ. პალგრეი 1872 წლის „ანატოლიის პროვინციების აღწერაში“ წერს: „ორივე სქესის მცხოვრებლების საერთო რაოდენობა ტრაპიზონის ვილაიეთში აღწევს, ადგილობრივი ადმინისტრაციის ოფიციალური მონაცემების მიხედვით, 850 000 კაცს, მათ შორის დაახლოებით 56 000 ქრისტიანია. ამ უკანასკნელთა ორი მესამედი თავის თავს თვლის ბერძნებად, დანარჩენი — სომეხია. მუსლიმური მოსახლეობა ძირითადად ლაზურია, ეს მშვენიერი რასაა. ისინი კარგი მიწათმოქმედნი და გამოცდილი მეზღვაურები არიან“.[43] იმის შესახებ, რომ ტრაპიზონის ვილაიეთის მოსახლეობის უმეტესი ნაწილი ლაზებისაგან შედგება, ბევრი მოგზაური და მკვლევარი წერს. ა. შუბინსკი აღნიშნავს, რომ: „ტრაპიზონის მოსახლეობის ორი მესამედი ლაზურია“.[44] მ. ვ. ფრუნზე 1921 წელს ტრაპიზონში მოგზაურობის შემდეგ წერდა: „ლაზები წარმოადგენენ თურქეთის შავიზღვისპირეთის სამხრეთ-აღმოსავლეთის მოსახლეობის ძირითად მასას“.[45]

თუ ორმოცდაათი-სამოცი წლის წინ ლაზები წარმოადგენდნენ თურქეთის შავიზღვისპირეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ მხარის მოსახლეობის ძირითად ნაწილს, როგორ მოხდა, რომ ასეთი მცირე დროის განმავლობაში ლაზების რიცხვი აქ ათჯერ შემცირდა?!

ამრიგად, თურქული ისტორიოგრაფია ამავე ქვეყნის ბურჟუაზიული ნაციონალური პოლიტიკისა და მმართველი ოფიციალური წრეების გავლენით ცდილობს საქმე ისე მოგვაჩვენოს, თითქოს ლაზები წარმომავლობით თურქული ეთნოსის წარმომადგენლები იყვნენ. ამგვარი აზრი განსაკუთრებით მტკიცედაა გატარებული ოფიციალურ დოკუმენტებში, რომელთა მიხედვით თურქეთის ყველა მცხოვრები თურქები არიან და მათი მშობლიური ენაც თურქული ენაა. მიუხედავად ამისა, თურქულ ისტორიოგრაფიასა და ენათმეცნიერულ ლიტერატურაში აშკარად ვლინდება ის ჭეშმარიტი აზრიც, რომ ლაზები კავკასიური წარმომავლობის ტომია და ქართველთა ეთნიკურ სამყაროს განეკუთვნება. შემთხვევითი როდია, რომ თურქულ ისტორიოგრაფიაში შავიზღვისპირეთის მთელი სამხრეთ-აღმოსავლეთი იწოდება ლაზისტანად,

რომელიც მოიცავს დაახლოებით ოსმალეთის იმპერიის პერიოდის ტრაპიზონის ვილაიეთის ტერიტორიას, ხოლო ამ მხარის მთელ ადგილობრივ სვტოქტონურ მოსახლეობას უწოდებენ ლაზებს. თურქული ისტორიოგრაფია ვერც იმ ფაქტს უვლის გვერდს, რომ ლაზები განსხვავდებიან თურქეთში მცხოვრები სხვა ხალხებისაგან თავიანთი ისტორიულად ჩამოყალიბებული ეთნიკური ერთობით, ენით, ანთროპოლოგიური იერსახით, ყოფაცხოვრებით, ტრადიციებით, ხასიათით, ფოლკლორული შემოქმედებით და, რაც მთავარია, ეროვნული თვითშეგნებით. ამას კარგად შენიშნავს ინგლისელი მკვლევარი რობინ ფედენიც. იგი ხაზს უსვამს, რომ თანამედროვე თურქეთში მცხოვრები ლაზები წარმოადგენენ „მახლობელი აღმოსავლეთის მკვეთრად გამოყოფილი (ეროვნული, წ. ბ.) უმცირესობის იშვიათ მაგალითს“.46

შენიშვნები:

1 ქათიბ ჩელები, „ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ“, თბილისი, 1978, გვ. 170. თურქულიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებელი დაურთო გიული ალასანიამ.

2 ევლია ჩელები, „მოგზაურობის წიგნი“, ნაკვ. I, თბილისი, 1971, გვ. 83. თურქულიდან თარგმნა, კომენტარები და გამოკვლევა დაურთო გიორგი ფუთურიძემ.

3 იქვე, გვ. 82.

4 ს. ჯიქია, „ევლია ჩელები ლაზებისა და ლაზურის შესახებ“, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, VI, თბილისი, 1954, გვ. 246.

5. კ. კოხისა და ო. სპენსერის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, თბილისი, 1981, გვ. 186. გერმანულიდან თარგმნა, შესავალი და კომენტარები დაურთო ლონდა მამაცაშვილმა.

6. ივ. ჯავახიშვილი, „ქართველი ერის ისტორია“, თბილისი,1951,ტ. I, გვ. 415.

7 იოანნიდისი, ს., ტრაპეზუნტის ისტორია და სტატისტიკა, კონსტანტინოპოლი, 1870, გვ. 90 (ბერძნულ ენაზე).

8 იქვე, გვ. 184-185.

9 იქვე, გვ. 203-204.

10 იქვე, გვ. 217.

11 აჭარიანი მ. ჰ., ეტიუდები ლაზური ენის შესახებ, პარიზი, 1899, გვ. 1 (ფრანგ. ენაზე).

12 ისლამის ენციკლოპედია, ლეიპციგი, 1934, გვ. 996 (გერმანულ ენაზე).

13 Марр Н. Я., Из поездки в Турецкий Лазистан, С-пб., 1960, გვ. 608.

14 „შავი ზღვა“ კულტურის, ხელოვნების, ეკონომიკის და ტურიზმის ჟურნალი, ანკარა, 1969, ივლისი, № 14, გვ. 11 (თურქულ ენაზე).

15 მ. ე. ერიშირგილი, თურქიზმის ეპოქა, ნაციონალიზმის ეპოქა, ჰუმანიზმის ეპოქა, ანკარა, 1958, გვ. 10. (თურქულ ენაზე).

16 Акты КАК. ტ. 3, გვ. 53.

17 იქვე, ტ. 8. გვ. 890.

18 ი ქ ვ ე, გვ. 890.

19 ბიანკი ა., მოგზაურობა სომხეთში, ქურთისტანსა და ლაზისტანში, მილანი, 1863, გვ. 302 (იტალიურ ენაზე).

20 Внешняя политика СССР 1917-44 гг., Сб. документов, т. I, 1917—1920 гг. М., 1944, стр. 455—456.

21 მ. ათათურქი, ათათურქის სიტყვები და მოხსენებები, სტამბოლი, 1945 წ. გვ. 70 (თურქ. ენაზე).

22 თურქეთის რესპუბლიკის კონსტიტუცია. მიღების თარიღი 09. 07, 1961, № 334 კანონი (თურქ. ენაზე).

23 ა. თექინი, სტამბოლი, 1936, გვ. 304 (თურქ. ენაზე).

24 თურქული ენის დიდი ლექსიკონი, სტამბოლი, გვ. 786; ახალი თურქული ლექსიკონი, სტამბოლი, 1980, გვ. 649 (თურქ. ენაზე).

მ. აღაკაი, თურქული ენის ლექსიკონი, IV გამოცემა, 1955, გვ. 25 (თურქ. ენაზე).

25 ი. დანიშმენდი, ოსმალეთის ისტორიის განმარტებითი ქრონოლოგია, IV ტომი, 1955, გვ. 492 (თურქ. ენაზე).

26 ისლამის ენციკლოპედია, VII ტომი, სტამბოლი, 1955, გვ. 25 (თურქ. ენაზე).

27 დ. ავჯიოღლუ, თურქების ისტორია, წიგნი 1, სტამბოლი, 1979, გვ. 44, 144 (თურქ. ენაზე).

28 ბ. თუღლაჯი, ენციკლოპედიური ლექსიკონი „ოკეანე“, IV ტომი, 2 გამოცემა, გამომცემლობა „ჯემნიეთი“, 1978, მაისი, გვ. 1776 (თურქ. ენაზე).

29 ი. ა. გოვსე, ახალი ლექსიკონი და ენციკლოპედია ილუსტრაციებით, გვ. 1594 (თურქ. ენაზე).

30. ქ. კარადენიზლი, ტრაპიზონის ისტორია, ანკარა, 1954, გვ. 68 (თურქ. ენაზე).

31 იქვე, გვ. 69.

32 თრაბზონლუ შაქირ შევქეთ, ტრაპიზონის ისტორია, სტანბოლი, 1877, გვ. 20. (თურქ. ენაზე).

33 იქვე, გვ. 77-78.

34 1955 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერა, თურქეთის შედეგები, ანკარა, 1956, გვ. 32-33 (თურქ. ენაზე).

35 სტატისტიკური წელიწდეული, ანკარა, გვ. 63 (თურქ. ენაზე).

[36] Национальные процессы в странах Ближнего и Среднего Востока, М., 1970, გვ. 79.

37 თურქეთის ენციკლოპედია, ანკარა, 1970-1972, გვ. 240-248 (თურქ. ენაზე).

[38] Турецкая Республика, справочник, М., 1975, გვ. 32.

[39] იქვე, გვ. 32; Шпажников Г. А., Религии стран Западной Азии, М., 1976, გვ. 268.

[40] Очерки общей этнографии, Азиатская часть СССР, М., 1960, გვ. 85.

41 ევლია ჩელების მოგზაურობის წიგნი, ნაკვეთი I, თბ., 1971, გვ. 81. თურქულიდან თარგმნა, კომენტარები და გამოკვლევა დაურთო გ. ფუთურიძემ.

42. იქვე, გვ. 83.

[43] Материалы для описания азиатской Турции и Батумской области, приложения к 7-ому тому ИКОИРГО, Тифлис, 1882—1883, გვ. 17.

[44] Шубинский А. П., Гробница имеретинского царя Соломона в Трапезунте, «Исторический вестник», 1913, გვ. 278.

[45] Фрунзе М. В., Сбор. сочин., т. I, М.-Л., 1929, გვ. 278, 611.

46 რობინ ფედენი, არგონავტების ნაკვალევზე, თსუ, „მიმომხილველი", № 4-5, თბილისი, 1968, გვ. 99. ინგლისურიდან თარგმნა რ. გაჩეჩილაძემ.

КОНТРОЛЬНЫЕ ЭКЗЕМПЛЯРЫ

●

რედაქციის მისამართი:
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, № 12.

●

ტელეფონები: რედაქტორის — 93-55-11, მთ. რედ. მოადგილის — 93-55-13, პ/მგ. მდივნის და განყოფილებების — 93-55-15; 93-55-17, 93-55-20.

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა, 1984.

გადაეცა ასაწყობად 10.02. 84 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 20. 03. 84 წ. ანაწყობის ზომა $7^1/_4$X12, ქაღალდის ფორმატი 70X108, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 11, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 15,5. სააღრ.-საგამომცემლო

თაბახი 16,58.

უე 06451. ტირაჟი 35.000. შეკვ. 351 საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

ფასი 80 კაპ.
22587
ინდექსი
76128
ეროვნული
ბიბლიოთეკა

«М Н А Т О Б И»

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ